რევაზ

რჩეული თხზულებანი

ოცდახუთტომეული

თანამედროვე ქართული ლიტერატურის კლასიკოსის, რუსთაველის პრემიის ლაურეატის, რევაზ მიშველაძის შემოქმედება კარგახანია მსოფლიო ლიტერატურის ორგანულ ნაწილად იქცა.

„საქართველოს მაცნე“ გამოსცემს პროზის დიდოსტატის რევაზ მიშველაძის რჩეულ თხზულებათა ოცდახუთტომეულს.

მკითხველი ამ ტომების წაკითხვისას ადვილად დარწმუნდება, რომ მწერლის ჟანრულად უაღრესად მდიდარ ნაწერებში ჩანს არა მარტო საქართველოს პრობლემები, არამედ ქართული სარკმლიდან დანახული მსოფლიოც.

2012

მიშველაძე

ნოველები

ტომი
XI

გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“

ISBN 978-9941-16-228-2 (ოცდახუთივე ტომი)
ISBN 978-9941-16-287-9 (XI ტომი)

რედაქტორები: **მერაბ ცაგარეიშვილი**

კომპიუტერული
უზრუნველყოფა: **მავრა ბანცური**
ციალა ძიმისტარიშვილი

© რევაზ მიშველაძე, **რჩეული თხზულებანი ოცდახუთ ტომად**
© **გამომცემლობა** „საქართველოს მატიანე“, **თბილისი,** 2012

მისამართი: თბილისი, 0179, ალ. ჭავჭავაძის გამზ. №27

მსხვერპლი

ტრესტ „სწრაფმშენის“ №3 სამშენებლო ობიექტზე სხვებთან ერთად სერიოზული სახით ორი კაცი დააბიჯებდა. წინ მიმავალს სომბრეროს სისტემის ჭილოფის ქუდი ეხურა. უკანა უქუდო იყო და ამ მდგომარეობას ძალიანაც განიცდიდა, რადგანაც აგვისტოს მზე კისერში სადგისივით აჭერდა. სომბრეროიანი უადგილო ადგილას გადაჭრილ, ნაარმატურევ ფიცართან შეჩერდებოდა, სიცხისგან გათანგულ უკანა კაცს დაუცდიდა და აღმოჩენილ ნაგვერდულზე მიუთითებდა:

– ეს?

– წავა – კვნესით უპასუხებდა მეორე.

მერე უსიტყვოდ დაიღლიავებდნენ ფიცარს და ტრიალ მინდორზე ერთადერთი ცაცხვის ხის ჩრდილში მდგარი მანქანისკენ გამოძუნძულდებოდნენ. სამამდე თვლა არც კი სჭირდებოდათ, ზედმიწევნითი სინქრონულობით ისროდნენ ფიცარს მანქანის ძარაზე და უკან ბრუნდებოდნენ. წინ კვლავ ქუდიანი მიდიოდა სომბრეროს სწორებით, უკან უსომბრეროო მოჰყვებოდა ხელების ფერთხვით. ვაგონსასახლეში მთვლემარე თათარი ღამის დარაჯისთვისაც აღარ იყო საეჭვო, რომ ეს ორი კაცი ნარჩენი მასალით დაინტერესებულიყო. რატომ და რისთვის სჭირდებოდათ ეს, თითქმის გამოუსადეგარი მასალა, ამის ცოდნა, რა თქმა უნდა, სასარგებლო რამ იყო, მაგრამ თათარ დარაჯს ჩრდილიდან გამოსვლა ეზარებოდა.

მტვრის ბუღიდან გამოვარდნილი შავი ფერის მსუბუქი ავტომანქანა პირველად წინ მიმავალმა შენიშნა. ხაფანგში მოხვედრილ ვირთხასავით აწრიალდა, კოლეგის გაუფრთხილებლად ფიცარი მოისროლა და სასოწარკვეთილივით იყვირა:

– ხინგავა!

პასუხისთვის არ დაუცდია, მანქანის შესაგებებლად გაიქცა, მაგრამ სომბრერო თავიდან გადაუფრინდა, შემოტრიალდა და ქუდს გამოუდგა, დაეწია, იღლიაში ურჩი ინდაურივით ამოიჩარა და თავდაღმა დაეშვა. ამ ხნის განმავლობაში მეგობარი უსიტყვოდ მისდევდა. ერთი დაწევა დაეწია იგი გაქცეულს და ჩაჰყვირა:

– რა მოხდა?! ვინ მოვიდა! საით გავიქცე?!

– ხინგავა! – ახსნა-განმარტების გარეშე ესროლა სომბრეროს პატრონმა და ბუჩქს ბარიერის გადალახვაზე ფეხმიჩვეული სპორტსმენის სიზუსტით გადაევლო. უკანა ახლა კი მიხვდა რაშიც იყო საქმე, მეყვსეულად განერთხო მიწას და ხოხვით წავიდა უახლოესი თხრილისაკენ. იქ ცოტა ხანს სული მოითქვა, სანგარ-სანგარ იარა, შიფერით გადახურულ მზა კარ-ფანჯრის გროვას შემოუარა, ექსკავატორის ბრჭყალებს სასწაულით გადარჩენილ მტვრიან ბალახზე დაჯდა და ოფლიანი თავ-პირის გასამშრალებლად დიდხანს ამაოდ ისვამდა ცხვირსახოცს.

სანგარში მყოფი გაფაციცებით ადევნებდა თვალს მოვლენათა შემდგომ მსვლელობას, სომბრეროიანი შავ მანქანას სწორედ მაშინ მივარდა, როცა მძღოლმა ერთბაშად დაამუხრუჭა. მასპინძელი ცოტა ხანს ჩაიმალა მოყვითალო მტვრის კორიანტელში, როცა ბუღი გაიფანტა, მოთვალთვალემ დაინახა, რომ ხინგავა (საშუალო ტანის, ნორმალური პირი-სახის, ამ სიცხეში ჰალსტუხ-კოსტიუმით გულ-

მოდგინედ გამოწყობილი, ორმოციოდე წლის კაცი), მანქანიდან გადმოსულიყო და დამხვდურისათვის მხარზე გამართული მარჯვენა ისე დაედო, როგორც ტარიელს ავთანდილისთვის მოსე თოიძის ერთ-ერთ ილუსტრაციაში. დაბალი ტანის მასპინძელი ბედნიერი ღიმილით შეჰყურებდა ხინგავას და თავის კანონიერ ადგილას სომბრეროს დაბრუნებას არც კი ფიქრობდა.

ახლა კი დროა, ჩემო მკითხველო, ამ საიდუმლოებით მოცულ სურათს ნათელი მოვფინოთ და ერთხელ და სამუდამოდ გავუმჟღავნოთ კაცობრიობას, ვინ არის ეს ხალხი და რა ხდება ტრესტ „სწრაფმშენის“ №3 სამშენებლო ობიექტზე.

კარ-ფანჯრის ბარიკადებს საიმედოდ ამოფარებული კაცი, რომელიც, ვინ იცის, რამდენი ხნით გასწირა ღმერთმა ამ გაგანიაში მზეს მისაფიცხებლად, გახლავთ კომპოზიტორი ზურაბ რობაქიძე. თუ ძალიან არ დააკვირდით, ამ მდგომარეობაში ზურაბის ცნობა გაგიჭირდებოდათ. თქვენ ზურაბს იცნობთ ჩვეულებრივ შავ კოსტიუმსა, მერცხალა ჰალსტუხსა და თეთრ, მოქარგულ პერანგში გამოწყობილს. ახლა კი მას მუხლებზე და იდაყვებზე დაკერებული ოთხ მანეთ და ოცკაპიკიანი ბამბეულის სპორტული პიჟამო აცვია. მოდიდან ოცი წლის წინათ გამოსული ველვეტის დაგლეჯილი ფეხსაცმლიდან შიშველი ტერფები მოუჩანს. გაუპარსავია და ყოველთვის საგულდაგულოდ დავარცხნილი თმა ახლა ისე ასჩეჩვია, გეგონებათ, ამ ხშირ, მაგრამ დამჯერე თმას სავარცხელი არასოდეს შეჰხებიაო. ასე თავმოუვლელი თქვენ კი არა, კომპოზიტორი ზურაბ რობაქიძე საკუთარ მეუღლესაც კარგა ხანია არ უნახავს.

რამ გამოიყვანა სახლიდან პაპანაქებაში ესოდენ საძრახად გამოწყობილი კომპოზიტორი? საქმემ. კომპოზი-

ტორთა ამხანაგობის მიერ ამ თხუთმეტი წლის წინათ გამოყოფილ საბოსტნე ნაკვეთზე წვიმისაგან თავშესაფარად პატარა ფარღალალა ფიცრულ ქოხს აკეთებს, ხოლო რაიაღმასკომიდან მილიციის განყოფილებაში გაგზავნილი რადიოდეპეშის სიტყვებით თუ ვიტყვით – „უნებართვო მშენებლობას აწარმოებს“. ზურაბ რობაქიძე ქალაქის ცენტრალურ მაგისტრალზე ქუჩის პირას აშენებული ასოცბინიანი სახლის მეორე სართულზე ცხოვრობს. მტვერს რომ თავი დავანებოთ, მანქანების ღრიალმა ძილი და მოსვენება კარგა ხანია დაავიწყა. სანამ ახალი მოსახლე იყო, დილის ექვსი საათიდან ფანჯარასთან იდგა და ქალაქის ტრანსპორტის პარადს იღებდა. რაც ნევროზით დაავადდა, სისხამზე ადგომა უჭირს, ქალაქის მთავარ არტერიაზე მოძრაობის გამოცოცხლებას ვეღარ ესალმება, მაგრამ ძილ-ბურანშიც კარგად არჩევს ტრანსპორტის რა სახეობა გაუსწორდა მის, ერთხელ და სამუდამოდ დაგმანულ, ფანჯრებს. მსუბუქი ავტომანქანების ზუზუნს კიდევ აიტანდა კაცი, მაგრამ ნერვებზე განსაკუთრებული სიმძაფრით ძრავის სარქველღია ოცდათორმეტადგილიანი ავტობუსები და „სალიარკით“ მომუშავე უზარმაზარი „ტრალერები“ მოქმედებენ.

„ამ ბოსტნისაგან მაინც არავითარი სარგებლობა არა მაქვს (გაზაფხულზე ზურაბი კეთილსინდისიერად დაამუშავებდა ბაღს, რწყავდა, თოხნიდა, წამალს ასხურებდა, მოსავლის აღებამდე მიიყვანდა საქმეს და როცა გადაწყვეტდა – ხვალიდან შევუდგები კრეფასო, სწორედ წინა ღამით ესტუმრებოდნენ ქურდები და პირწმინდად გაუსუფთავებდნენ ბაღს), მოდი, პატარა ქოხს ჩავდგამ, ერთ საძილე ტომარას ვიყიდი და შაბათ-კვირას მაინც მშვიდად დავიძინებო“, გაიფიქრა ერთ მშვენიერ დღეს კომპოზიტორმა ზურაბ რობაქიძემ. აგარაკის აშენების ნებართვა რომელი

კომპოზიტორისათვის მიუცია თ, რომ ზურაბისთვის მიეცათ. ერთხანს წერა განცხადებები და საბოლოო უარი რომ მიიღო, დაცხრა, თუმცა კატეგორიულად უნდა განვაცხადო, რომ ქოხის აშენების სურვილი მის არსებაში სუსტად მაინც ფეთქავდა.

ერთ-ერთ სამეზობლო მუსაიფში ტრესტ „სწრაფმშენის“ №3 სამშენებლო უბნის უფროსს, ინჟინერ რევაზ აბუსერიძეს უამბო თავისი განუხორციელებელი ოცნების შესახებ. ისიც სიტყვას მოჰყვა, თორემ ძველი. მოშუშებული იარა რა გასახსენებელი იყო. რევაზ აბუსერიძემ შეაცდინა. „რა პროექტი უნდა, თუ ძმა ხარ, მაგას; ერცახე ქოხისთვის არავინ არ დაგახრჩობს. ამოი ჩემთან ხვალე. გამოუსადეგარი, ნარჩენი მასალა ქვეყნის მიყრია. მაინც უნდა ჩამოვწერო და ღამის დარაჯმა უნდა მომპაროს. აწი შენ გამოიყენე, უკეთესია. დავყაროთ მანქანაზე და იალა! ატხოდს საბუთი არ სჭირდება, კაციშვილი ვერ გაგაჩერებსო“.

კომპოზიტორს კარის მეზობლის რჩევა ჭკუაში დაუჯდა და მეორე დღეს საბარგო მანქანით მიადგა ტრესტ „სწრაფმშენის“ №3 სამშენებლო ობიექტს.

ახლა კი ყველაზე მიამიტი მკითხველიც ადვილად მიხვდება, რომ ნოველის დასაწყისში ჩვენ სწორედ ზურაბ რობაქიძის უნებართვო ქოხის მასალის მოგროვების ფაქტს შევესწარით. სომბრეროიანი წინ მიმავალი უბნის უფროსი რევაზ აბუსერიძე გახლდათ, საქოხე ფიცრის მოპოვების დარგში მისი თანამზრახველი კი კომპოზიტორი ზურაბ რობაქიძე.

ხინგავა? ვინ არის შავი მანქანით მოსული ეს სიმპათიური კაცი, რომლისაც თვით სამშენებლო უბნის უფროსს რევაზ აბუსერიძეს შეეშინდა, ხოლო კომპოზიტორი კურდღელივით საფარში კანკალებს და მტკიცედ გადაუწყვეტია, სანამ

ხინგავა მანქანით უკან არ გაბრუნდება, არ მიატოვოს თავისი უხერხული სათვალთვალო პუნქტი. ხინგავა „სწრაფიაფკარგმშენის“ მინისტრი გახლავთ. №3 სამშენებლო ობიექტი სექტემბრისათვის უნდა ჩაბარდეს. სექტემბრამდე კი ორიოდე თვე დარჩა და ამხანაგი ხინგავა ყოველდღე დადის მშენებლობაზე.

მანქანიდან გადმოვა, შემოგებებულ უბნის უფროსს მხარზე ხელს ჩამოადებს – როგორაა საქმეო, ჰკითხავს და მტკიცე ნაბიჯით გამოემართება ხარაჩოებისაკენ. რევაზ აბუსერიძეს პასუხი კარგა ხნის მოფიქრებული აქვს, უკან მოსდევს იგი თავის მინისტრს და ყურში ჩასძახის – ასთე არ გამუა არაფერი. მუშახელი არა გვყავს. ბეტონს გვიგვიანებენ, ლურსმანი გაგვითავდა, ცემენტი უხარისხოა.

ხინგავამ კარგად იცის, რომ სახლი მაინც აშენდება და ამიტომაც რევაზ აბუსერიძის ჩივილი მაინცდამაინც გულთან არ მიაქვს. ხარაჩოებზე გაივლ-გამოივლის, უბნის უფროსს ერთ-ორ სახუმარო ფრაზას ესვრის, „აბა შენ იციო“ დაუბარებს და პირში ჩალაგამოვლებულ ინჟინერს სწრაფად დაემშვიდობება.

აბუსერიძე დიდხანს პირდაღებული შეჰყურებს მტვერში მიკარგულ შავ მანქანას. უბნის უფროსი ნელ-ნელა ხვდება, რომ ობიექტის დროზე ჩაბარებისათვის არც ხინგავა იკლავს თავს. „სწრაფიაფკარგმშენის“ ხელმძღვანელს უნდა ისტორიისთვის ასეთი მომგებიანი ფაქტი შექმნას: „მშენებლობაზე თვით მინისტრი ამხანაგი ხინგავა ყოველდღე დადის“.

მინისტრმა ჩვეულებისამებრ გაიარ-გამოიარა ხარაჩოზე, აბუსერიძეს ერთი-ორი სახუმარო ფრაზა უბოძა, „აბა შენ იციო“, დაუბარა და მანქანისკენ წავიდა, მაგრამ უეცრად კარ-ფანჯრის გროვას მოჰკრა თვალი. „ოჰ, კარ-ფანჯარაც მიგიღიათო“ – რევაზს გადაულაპარაკა და გეზი პირდაპირ

ზურაბ რობაქიძისაკენ აიღო. ყოველ შემთხვევაში ზურაბს ასე მოეჩვენა. ხინგავამ კარ-ფანჯარას თვალი შეავლო და ის იყო უკან გაბრუნებას აპირებდა, რომ მისკენ დათვლილი ნაბიჯით მომავალი კაცი შენიშნა. კომპოზიტორს ეგონა, ალბათ გაიგო ჩემი აქ ყოფნა და მეძებსო, სანგრიდან გამოვიდა და დამალობანას თამაშისას „დასტუკული“ ბავშვივით მორცხვად გაემართა მინისტრისაკენ. ხინგავამ მაშინვე იცნო კომპოზიტორი, მარჯვენა შეაგება და ერთხანს ეჭვის თვალით შესცქეროდა, ხომ ნამდვილად ის არის, ხომ არ მეშლებაო.

– ბატონო ზურაბ? – ხინგავას მეტი არაფერი უთქვამს, მაგრამ ამ ორ სიტყვაში იგულისხმებოდა: „თქვენ აქ საიდან გაჩნდითო, რა უნდა კომპოზიტორ კაცს ახალგაზრდული ბანაკის მშენებლობაზეო (ამ ნოველის გულმავიწყ ავტორს გამორჩა, რომ ტრესტ „სწრაფმშენის“ №3 სამშენებლო ობიექტი ახალგაზრდული ბანაკის კომპლექსს წარმოადგენდა), მე, მინისტრს, თავი მაქვს მობეზრებული ახალგაზრდული ორგანიზაციებისაგან და ყოველდღე აქა ვარ, მაგრამ თქვენ რა შუაში ხართო; თუ ექსკურსიაზე ამობრძანდით, ასე შინაურულად რატომ გამოწყობილხართ, ან მტვერში რატომ ბრძანდებით ამოგანგლულიო“.

ამასობაში მინისტრს რევაზ აბუსერიძე ამოუდგა მხარში. მან გუმანით იგრძნო შექმნილი სიტუაციის მთელი სიმძიმე და გასაოცარი გამოსავალი იპოვა.

– ბატონი ზურაბი აქ შინაური კაცია.

მინისტრმა ახლა უბნის უფროსს მიაპყრო გაოცებული თვალები.

– აქაა. ჩვენთანაა ყოველ შაბათ-კვირას. შეფობას გვიწევს. გვეხმარება.

– რას შვრება? – ყრუდ იკითხა ხინგავამ.

– გვეხმარება. ფიზიკურად მუშაობს. გვამხნევებს. რაკი ხელმძღვანელობას სიტყვა მიეცით, პირი არ შეირცხვინოთო. ამოდის ასე, უბრალოდ გამოწყობილი და ხან მანქანას ტვრთავს, ხან მეარმატურეებს ფიცრებს აწოდებს. ერთი სიტყვით ჩვეულებრივი მუშასავით მუშაობს. უსასყიდლოდ და უანგაროდ.

კომპოზიტორი ყურებიანად გაწითლდა. ქვეშ-ქვეშეთიდან გაჰყურებდა გარემოს და არ იცოდა სად შემძვრალიყო. გასაკვირი ის იყო, რომ აბუსერიძეს თვითონ სრულიადაც არ ეცინებოდა.

– უღრმესი მადლობა, ბატონო ზურაბ, ჩემი და მთელი ჩემი უწყების სახელით. აღარც კი ვიცოდი თუ ასეთი ადამიანები კიდევ არსებობდნენ.

– როგორ გეკადრებათ, რისი მადლობა, – ნერწყვი გაუშრა კომპოზიტორს.

– ბარაქალა თქვენს კაცობას. იცით, ეს რამხელა ამბავია? თქვენ, კომპოზიტორი კაცი! როიალს მოცდებით და აქ მშენებლობაზე აგურს ეზიდებით. ოქრო წუთებს კარგავთ და მშენებლებს ეხმარებით. იცით ეს რამხელა ამბავია? – მინისტრი წამით შეყოვნდა, მას არა მარტო მოეწონა ზურაბ რობაქიძის საქციელი, წარმოიდგინა, რა სახელი და დიდება ელოდა დღეიდან კომპოზიტორს და სიმართლე გითხრათ, შეეხარბა კიდეც მისი. „მშენებლობის შეფისთვის“ ახლა მთავარი იყო ნერვებს არ ელალატნა. გაეძლო. რაღაც ისეთი ეთქვა, რომ მისი მდგომარეობა გაემაგრებინა და კომპოზიტორმა გაბედა.

– რა ვქნა. თქვენი შრომის შესაფერ, ღირსეულ მუსიკას თუ ვერ შევქმნით, ამით მაინც დაგეხმარებით, პატივცემულო ხინგავა, პატარა ხელი რომ წაგიკრათ, ერთი ლურსმანი რომ დავაჭედო, მე მგონი ლაილაის და ტყუილ დაპირებას ბევრად სჯობია.

– ესეც რომ არ იყოს – სიტყვა წაართვა მინისტრმა – იცით თქვენს გამოჩენას მშენებლობაზე რამხელა მნიშვნელობა აქვს? ხომ ხედავთ, რა აღფრთოვანებით გიყურებენ მუშები. კომპოზიტორი კაცი ჩვენ გვერდით მუშაობსო. იცით ეს რამხელა ამბავია?

ხინგავას კიდევ უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ გადაიფიქრა და მანქანისკენ წავიდა. შუა გზაზე მანქანისკენ წასვლაც გადაიფიქრა, შეჩერდა, მობრუნდა, კომპოზიტორს მიუახლოვდა, გულში ჩაიკრა, ლოყაზე აქეთ-იქით ექვსჯერ აკოცა და ცრემლმორეული გატრიალდა.

რაც შეეხება მუშებს, ისინი მაინცდამაინც დიდ აღფრთოვანებას არ გამოხატავდნენ. ხარაჩოებზე ზანტად მიმოდიოდნენ და თავის საქმეს აკეთებდნენ. მუშებმა ხინგავას ვინაობა და საქმიანობაც ბუნდოვნად იცოდნენ, ხოლო კომპოზიტორ ზურაბ რობაქიძის შესახებ არაფერი გაეგონათ და არც კი დაიჯერებდნენ, რომ ეს წვერგაუპარსავი, ოთხმანეთ და ოცკაპიკიან პიჟამოში გამოწყობილი კაცი კომპოზიტორი იყო.

როცა შავი მანქანა მტვერში საიმედოდ მიიკარგა, ზურაბ რობაქიძეს ელდამ გაუარა, ერთხანს პირდაღებული იდგა, მერე აბუსერიძეს მიუბრუნდა:

– ეს რა მიქენი, რევაზ?

რევაზი სიცილისაგან მუხლებში ჩაიკეცა.

– ძაანაც კაი. ასთე უნდა მაგნებს. აბა ხვარ ვეტყოდი, ეს ხელმწიფის ტოლა კაცი, ცნობილი კომპოზიტორი, უნებართვოთ ქოხს აშენებს და ნარჩენ მასალას ვიპარავდით აგერ ორივე-თქვა.

– კი მარა, რომ თქვას სადმე ეს ამბავი?

– თქვას მერე. რა გლახა ამბავს კი დაგწამებს. ასე არაა სუულ? ამნაირ ტყუილებზე არ კიდია სანახევროდ ქვეყანა?

* * *

მეორე დღეს ხინგავამ აქტივის სხდომას ამცნო: ახალგაზრდული ბანაკის მშენებლობაზე თავის ნებით, სრულიად უსასყიდლოდ და ძალდაუტანებლად ფიზიკურად მუშაობსო კომპოზიტორი ზურაბ რობაქიძე.

არ დასჭირვებია ერთი კვირა, რომ ზურაბ რობაქიძის სახელი ერთ-ერთი პოპულარული გამხდარიყო ქალაქში ოთხ სხვა პოპულარულ სახელს შორის. დიდსა თუ პატარს პირზე ზურაბ რობაქიძის სახელი ეკერა. აქტივის სხდომა არ ჩაივლიდა ზურაბის უხსენებლად. ადგილკომმა უკვე მესამე სიგელით დააჯილდოვა, ახალგაზრდებმა თავიანთ საპატიო წიგნში შეიტანეს. გაზეთები ახმაურდნენ, რადიო და ტელევიზია წამდაუწუმ გადმოსცემდა ზურაბის გმირობის ამბავს. აღსაზრდელებს იდეალად უსახავდნენ, აღზრდილებს მაგალითად. კომპოზიტორთა სექციის შენობის შესასვლელში ზურაბ რობაქიძის გადიდებული სურათი დაჰკიდეს. კომპოზიტორს შეხვედრებს უწყობდნენ და გულისამაჩუყებელი სიტყვებით მიმართავდნენ. მკითხველთა ერთ წყებას მოსწყინდა კიდეც ადგილობრივი პრესის ფურცლებზე ზურაბის გადიდებული სურათის ნახვა. ქალაქის კერამიკულ სახელოსნოში მუშა-კომპოზიტორის სუვენირ-ბიუსტები ჩამოასხეს. სასკოლო შეხვედრებზე გმირ-კომკავშირელთა ალბომით აჯილდოებდნენ და პიონერებს იქვე ფიცს ადებინებდნენ, რომ ყველაფერში ზურაბ რობაქიძისათვის მიებაძათ.

ბოლოს და ბოლოს ზურაბსაც შერცხვა. უნებართვო ქოხის მშენებლობა. განზე გადასდო და კვირაობით მართლა დაიწყო სიარული ტრესტ „სწრაფმშენის“ №3 სამშენებლო ობიექტზე მისი ლოდინით დაღლილი მუშების მისაშველებლად.

* * *

ამის შემდეგ სამი თვე გავიდა.

ზურაბ რობაქიძის დიდება არ დამცხრალა.

ერთ საღამოს ტელევიზორთან იჯდა და თავისი გამოსვლის ჩანაწერს სიამოვნებით უსმენდა. ვიღაცამ დარეკა. მასპინძელმა გაიფიქრა, ალბათ კიდევ ერთი შეხვედრის მოსაწვევი მომიტანესო და კარი მანამ არ გააღო, სანამ მისი გამოსვლა არ ჩამთავრდა. რაკი შეატყო, რომ ჯიუტი სტუმარი წამსვლელი არ იყო, ღიმილი შეაგება.

– თქვენ ჩემთან ხართ.

მოსული თხელ-თხელი ახალგაზრდა კაცი იყო. ჯინსის ხალათი მხარზე გადაეგდო და ცალი თითით ეჭირა. ისე უდარდელად იდგა, თითქოს მოცლილობის ჟამს მის მეგობართან გამოევლოს.

– ზურაბ რობაქიძე ხომ თქვენ ბრძანდებით? – ღიმილით ჰკითხა უცნობმა.

ზურაბს ცოტა არ იყოს ეწყინა.

– დიახ, თქვენ ვინ გნებავთ?

– თქვენთან მოვედი, ჟურნალისტი ვარ.

ამ სიტყვებთან ერთად ახალგაზრდამ ოთახში შეაბიჯა და დიდ, ფუშფუშა სავარძელში ერთბაშად ჩაეშვა.

– რომელი გაზეთიდან? – ჰკითხა ზურაბმა და დოინჯი გაიკეთა.

– მე, ბატონო ზურაბ, პრაქტიკაზე ვარ გაზეთ – „გარეკეში“, დამავალეს თქვენზე რამე დავწერო. ხომ იცით, თქვენ ახლა მოდაში ხართ. რომ გითხრათ ეს თემა მე ამოვირჩიეთქი, მართალი არ იქნება. თვითონ შემომთავაზეს. ერთთვიანი პრაქტიკა გვაქვს. თუ არაფერი დავბეჭდე, ჩათვლას არ მომცემენ.

– თქვენს გაზეთში ხომ იყო ჩემზე?

– კი ყოფილა. მე არ მინახავს. გაფართოებული ინფორმაცია მივეცითო. ახლა ინტერვიუ სჭირდებათ.

– შეკითხვები ჩამოწერილი გაქვთ? – უხალისოდ შეხედა დამწყებ ჟურნალისტს ზურაბმა და ინანა, რომ ამ უტიფარ ყმაწვილს კარი გაუღო.

– ზოგი რამ მოფიქრებული მაქვს, ზოგს კიდევ შიგადაშიგ მოვიფიქრებ, თუ არაფერი გამოვიდა, მერე ჩამოვწერ კარგ შეკითხვებს და, თუ ნებას დამრთავთ, პასუხებსაც მევე გავცემ, თქვენს მაგივრად, უმეტესად ასე ხდება ხოლმე.

– როგორ გეკადრებათ. ეს როგორ შეიძლება – ისე აღშფოთდა ზურაბი, თითქოს ამაზე მეტი უკანონობა მის ყურებს არც კი გაეგონოთ

– ბატონო ზურაბ – ფეხი ფეხზე შემოიდო დებიუტანტმა ჟურნალისტმა – ძალიან გთხოვთ გულახდილად მითხარით. მართლა მუშაობთ მშენებლობაზე თუ მოგონილია ყველაფერი?

– თქვენ როგორ ფიქრობთ? – მრისხანე მზერა ესროლა კომპოზიტორმა გალიფრებულ სტუმარს.

– ალბათ მართლა მუშაობთ. ყოველ შემთხვევაში ცოტას წაიმუშავებთ. ამხელა აფიორას ვერ გაბედავდნენ. ფოტოპოზიორობისთვის მაინც დაიჭერთ ნიჩაბს ხელში.

– ფოტოგრაფებისათვის არა, მართლა ვიჭერ. თუ არ გჯერათ, მობრძანდით შაბათს. – ზურაბისთვის ასეთი უხერხული კითხვა ჯერ არ დაუსვამთ. უკვირდა რატომ ღელავდა ასე, ან რატომ უნდა დასჭირებოდა თავის მართლება ამ გუშინდელ ღლაპთან.

– შვილებს გაფიცებთ, ბატონო ზურაბ, სიმართლე მითხარით. ნუ გეშინიათ, მე ამას გაზეთში არ დავბეჭდავ, გაზეთში მე ვიცი რა უნდა გამოვაქვეყნო.

– რა გითხრათ?

– ბანაკის დროზე ჩაბარება გინდათ და ამიტომ ეხმარებით მშენებლებს, თუ მუსიკით სახელი ვერ გაითქვით და ახლა ეს ასპარეზი მოძებნეთ?

ზურაბს სუნთქვა გაუძნელდა, მარცხენა მხარი დაუმძიმდა და თითები აუკანკალდა.

– სახელი მე არც აქამდე მაკლდა.

– მაგრამ თქვენ ასე პოპულარული არასოდეს ყოფილხართ.

– მე პოპულარობა არ მომითხოვია. იგი თავისთავად მოვიდა ჩემთან.

– როგორ არ მოგითხოვიათ, ბატონო ზურაბ. მეტი რაღა იქნება. კომპოზიტორმა კაცმა სახელის მოხვეჭის ეს გზა აირჩიეთ; როგორ შეიძლება თქვენი თითების აგურით გაუხეშება, ეს ხომ საშინელებაა. ჭკუა აქვს ახლა იმას, ვინც თქვენ შეგაგულიანათ?

– მე არავის არ წავუქეზებივარ.

– ახლობელი მაინც არავინ გყავდათ, რომ ერჩია, ამას ნუ ჩაიდენო?

– ეგ თქვენი აზრია, სხვები სხვანაირად ფიქრობენ.

– როგორ, ბატონო ზურაბ, თქვენ რომ ახლა შეხვედრებზე ლამაზ სიტყვებს გეუბნებიან, ერთი წუთით მაინც გჯერათ იმათი?! ისინი გულის სიღრმეში დაგცინიან. თქვენ არ გაგეცინებოდათ ასეთი რამ რომელიმე თქვენს კოლეგას რომ ჩაედინა?

– თქვენ საჩხუბრად მოხვედით? – ნერწყვი გაუშრა ზურაბს.

– არა, ბატონო, მე თქვენი გაცნობა მინდოდა. მინდოდა გამეგო, მართლა ასე გაქვთ ტვინი მოწყობილი, მართლა ასე ფიქრობთ? ყველაფერს კი არ უნდა აყვეთ, ბატონო ზურაბ. თქვენ ხელოვანი კაცი ხართ, ყველას კი არ უნდა დაუჯე-

როთ. მეტი სიდინჯე გმართებთ, მე თქვენი ერთი-ორი კარგი სიმღერა მომისმენია. როგორ დაეთახმეთ რომ თქვენი სახელი ასე გაეყიდათ. ეს ხომ სპეკულაციაა. რატომ გაიპამპულავეთ თავი?!

ზურაბი აიმღვრა, წამოხტა, კარები მთელი ძალით გამოგლიჯა და ინტერვიუსთვის მოსულს გზა იქით უჩვენა.

დებიუტანტ ჟურნალისტს არაფერი უთქვამს. წამოდგა და მხრიდან ჯინსის ჩამოუღებლად ნელა წავიდა კარებისაკენ. გასვლისას მოიხედა, მაგრამ მასპინძელს მისი გაღიმებული სახე არ დაუნახავს, უჯრაში ვალიდოლს ეძებდა.

ბრალი

ჯერ გასაღები აჩხაკუნდა, მერე თმაგაბურძგულმა, ციყვისთავლება მორიგემ შემოჰყო თავი და სიბნელეს შესძახა:

– კაპანაძე!

– რა იყო? – გაეპასუხა ნამძინარევი, გაბზარული ხმა. საკანი ამოძრავდა. ვიღაცამ ხმამაღლა შეიგინა და გვერდზე გადააფურთხა. ნარების ჭრიალში პატიმართა უკმაყოფილო ბუზღუნი ისმოდა.

– რა იყო ასე დილაუთენია, სად გაგექცევათ კაპანაძე?!

– ხანძარია?!

– ტელეფონზე ხომ არ ურეკავენ?!

– არ სცალია-თქვა, უთხარი უფროსს!

მორიგე წამით მიიმალა, დერეფნის კედელს ხელი დაუსვა და საკანში მოულოდნელად დაღვრილი შუქის გამო პატიმრებმა თვალებზე ხელი რომ მიიფარეს, გაიცინა – იმგვარი სიცილით, ფინაგენტები და კომპრაჩიკოსები რომ იცინიან.

– ჩვენ ბოდიში, ძილი არ გაცალეთ. კაპანაძე, არ გესმის შენ?!

– მოვდივარ, მოვდივარ, – შარვალს იცვამდა მაღლა თავის საწოლზე წამომჯდარი კაპანაძე და გრძელ ფეხებს დაკიდებული ბამბუკის კარებივით აქანავებდა.

– სარკე ხვარ მოგიტანო? – თავისას არ იშლიდა ხუმრობის გუნებაზე დამდგარი მორიგე.

უფანჯრო, ნახევრადბნელ დერეფანში შმორის სუნი იდგა. უხმოდ მიაბიჯებდნენ. ან რა უნდა ჰქონოდათ სალაპარაკო სახელმწიფო ქონების გაფლანგვა-დატაცებისათვის

სამართალში მიცემულ (და წინასწარ პატიმრობაში აყვანილ) გვანჯი კაპანაძესა და საპატიმროს წარჩინებულ მორიგეს, რომელსაც თავისი შემოქმედებითი ცხოვრების გრძელ გზაზე ათასი ჯურის პატიმარი მიეცილებინა საკნიდან დაკითხვის ოთახამდე.

კაპანაძეს ეს დერეფანი არაერთხელ გაევლო, მაგრამ ახლა რატომღაც უფრო გრძელი და მოსაწყენი ეჩვენა. გზადაგზა იკრავდა ღილებს და წამით რომ შეჩერდებოდა, მორიგე ზურგში უბიძგებდა – გაადგი ფეხი, ნუ მიიწმაწნები პატარძალივითო. პატიმარს უნდოდა ეთქვა: – რა იყო, რამ გაგამწარა, ღილებს ვიკრავ, სხვას ხომ არაფერს ვშვრები. კაცი ხარ, ავჩარკა ხომ არა ხარო, ეთქვა, მაგრამ მორიგის თვითშეგნების ამაღლების არავითარი იმედი არა ჰქონდა და დუმილს არჩევდა. კიბეზე რომ ჩადიოდნენ, ერთი კითხვა მაინც მისცა.

– რაზე მეძახიან, თუ იცი?

– ჩადი, ჩადი, კაცო, ჩემი გასაჭირი მეყოფა. რაზე გეძახიან და ბავშვს განათლინებს უფროსი, რაზე დაგიძახებენ, არ იცი ვითომ?

კაპანაძეს მეტი არაფერი უკითხავს.

მაგიდასთან თითქმის გათეთრებული ახალგაზრდა კაცი იჯდა. სამოქალაქო ფორმა ეცვა, არაჩვეულებრივად ლამაზ, სანდომიან სახეზე დაღლილობისა და ფიქრის კვალი აჩნდა, ბუკლეს ჭრელი პიჯაკი და ნიკაპამდე ამოწეული შავი სვიტრი ეცვა. შუბლსა და კეფაზე შეთხელებული ხუჭუჭა თმა საფეთქელთან ისე უხვად გაეშვა, რომ ყურები თითქმის არ უჩანდა. სუფთად გაპარსულ ლოყისთვის ხელი თავის დასამაგრებლად შეებიჯგა და კაპანაძემ ყურადღება მიაქცია, რომ იმ კაცს გრძელი და ნატიფი თითები ჰქონდა. „რა პიანისტი, ან ქურდი დადგებოდაო“, გაიფიქრა კაპანაძემ,

მაგრამ მაშინვე დაიტუქსა თავი და სწორადაც მოიქცა. კაპანძეს სახუმროდ არა ჰქონდა საქმე.

პატიმარი ამ კაცს პირველად ხედავდა და რატომღაც უნდობლობით განეწყო. სანამ სკამს შესთავაზებდნენ, თვითონ გამოსწია და დაჯდა, მასპინძელმა ლოყას ხელი შეუნაცვლა და მორიგეს მადლობა მოახსენა. მორიგე გავიდა. მარტო რომ დარჩნენ, შავსვიტრიანმა დიდი, ცისფერი თვალები მიაპყრო ბრალდებულს და კარგა ხანს შეჰყურებდა. გვანჯის ცოტა კი გაუკვირდა სახელმწიფო მოხელის დუმილი, მაგრამ ასეთი შეხვედრები პატიმრობის სამი თვის მანძილზე ყელში ამოუვიდა და საჭიროდ ჩათვალა თვითონ დაეწყო.

– პატიმარი კაპანაძე. მოვიტაცე თხუთმეტი ათას შვიდასი მანეთის საქონელი. არავის არაფერს ვაძლევდი, კავშირი არავისთან არ მქონია. მარტომ შევჭამე. ფული შენახული არსად არა მაქვს. წერილის გაგზავნას არავისთან არ ვაპირებ. თავს დამნაშავედ ვცნობ, სხაპასხუპით ჩაათავა კაპანაძემ და უცნობს ამით აგრძნობინა, თუ კაცი ხარ, ტყუილად თავი არ გაიწვალო, არ დამიწყო აქეთური და იქეთური. რაც არის ეს არის. რაც არ არის, ტყუილს ვერ ვიტყვი და „ვის აძლევდი, ვინ გმფარველობდა“ ჩხიკინით ტყუილად დროს ნუ დაკარგავო.

ცისფერთვალება წამოდგა, ფანჯარასთან მივიდა და რკინის ბადისთვის თვალი რომ არ მოუცილებია, ისე ჩაილაპარაკა:

– მე თქვენი ადვოკატი ვარ. მეგრელიძე.

– ადვოკატი არ მჭირდება-თქვა, ხომ ვუთხარი მე.

– ვის უთხარი?

– იმ ჩემს გამომძიებელს.

ვექილს გაეცინა, შემოტრიალდა და ხელები პიჯაკის ჯიბეში ჩაიწყო.

– რა იყო, შე კაცო. ხომ არაფერს დაგიშავებ, თუ ვერაფერს გაგიკეთებ.

– არ მინდა ეს ზედმეტი ხარჯი-თქვა. არაა, ბატონო, საჭირო. მე რომ ტყუილად ვიყო დაჭერილი, ან საბრალდებო დასკვნას ხელს არ ვაწერდე და რაღაცას ვჩიოდე, სხვა ამბავია. რათ მინდა ვექილი. მუხლს შენ ვერ მომიხსნი და ფული მე არ მაქვს, მოსამართლესთან შუაკაცად რომ დამიდგე.

– რას მეჩხუბები, შე კაი კაცო, წავალ, აბა, თუ არ გჭირდები, – ისევ გაიცინა დამცველმა და თეთრი, ჯანსაღი კბილები გააელვა.

– წყენით კი არ გეწყინოს, – ხმას დაუწია კაპანაძემ. – არ უნდა ამ ჩემს საქმეს დამცველი. გეფიცები ორ ბავშვს, თუ ვმეტიჩრობდე. მე საბოლოო სიტყვასაც არ ვიტყვი, ქე ნახავ აგერ. ჩავარდნილი ვარ, მორჩა და გათავდა. აღარ მაქვს მეტი ჯაჯგურის თავი. გამასამართლებს მექრთამე მოსამართლე თავის მექრთამე პროკურორიანად მე – გამფლანგველ კაპანაძეს და მომისჯის რაცხას იქნება. რაც კაციშვილს არ დამართნია, ისეთი არაფერი მჭირს, ღმერთს მადლობას ვეუბნები, უფრო სამარცხვინო საქმე არ დამმართა. აქანა თურმე რამდენიმე კაცი მამათმავლობაზე ზის და ერთი კაცი თავისი ცოლისდის გაუპატიურებაზე.

– საბრალდებო დასკვნას გაეცანი? – სხვათა შორის ჰკითხა დამცველმა.

– გავეცანი და ხელიც მოვაწერე. არ იცი ვითომ მაგ ამბავი შენ? როდის იყო, აბა, დამცველს წინასწარ რომ გინიშნავდნენ?

– სულ არაფერი გაქვს დასამატებელი ან გასახსენებელი?

– არაფერი, ყველაფერი საქმეშია, – ჯიუტ მოწაფესავით თავი გააქნია კაპანაძემ.

– მე ხომ არაფერი დამიშავებია, თუ ძმა ხარ, შენთვის, ახლა ფული შეტანილია და, ასეა თუ ისე, სასამართლოზე შენი ინტერესები უნდა დავიცვა. რაღაცა მაინც უნდა ვთქვა. ვინ იცის, რა მოხდება.

– კაი ახლა. გუშინდელი ბავშვი ხომ აღარა ვარ, ორმოცდათორმეტი წლის კაცი ვარ, მოქალაქე მეგრელიძე. როდის იყო ვექილი საქმეს იგებდა. ვინ გისმენს შენ? ვის უნდა შენი აფორიზმები იქანა? მოსამართლემ ორი დღით ადრე იცის, რამდენი უნდა მომისაჯოს, თანაც ჩემი საქმე არაა საორჭოფო. მოვიტაცე და დამიჭირეს. ახლა ვითომ შენ თუ დაუმტკიცე სასამართლოს, მაგისი ბრალი არაა, სიდედრმა შეაცდინაო, ამით მეშველება რამე? არაფერი სათქმელი არა მაქვს, ყველაფერი საქმეშია. ესაა ჩემი ბოლო სიტყვა.

– კაპანაძე, კარგი, დავანებოთ ყველაფერს თავი. ამ თხუთმეტი ათას შვიდას მანეთს რომ ჭამდი, არ იცოდი, რომ დაგიჭერდნენ?

– ერთ დღეს კი არ შემიჭამია.

– მით უმეტეს, – ვექილმა საქმეს დაუწყო ფურცვლა, – ასე სულელი როგორ იქნები, ვერ გამიგებენო გეფიქრა. დავანებოთ თავი ადვოკატობიას და მომიყევი, გაფიცებ ადამიანობას, რანაირად შეჭამე თხუთმეტი ათას შვიდასი მანეთი, როცა მშვენივრად იცი, რომ ოთხმოცი კაპიკისთვის ხალხი ციხეში მიდის. რამდენ ხანში შეჭამე, რას ფიქრობდი, ამას რომ აკეთებდი?

– მოსაყოლი ბევრი არაფერია. თხუთმეტი ათას შვიდასი, ჩემო საყვარელო, მეგრელიძე, მართლა დიდი ფულია. მე მარტოს რომ შემეჭამა, გული კი არ დამწყდებოდა. კი, მართლა, შეჭმა მეტისაც შეიძლება, ხომ გაგიგონია, ოც ქოთნის მკეთებელს ერთი მტეხელი ეყოფაო, მაგრამ ამხელა ფულის შემჭმელს ვგავარ მეე? მოდი ერთი, გაიარე

ჩემს ოჯახში, თუ კაცი ხარ, ჩემს ბავშვებს გამოსაცვლელი ნიფხავი არ მოეძევებათ. მე რომ ამ ფულის შემჭმელი ვიყო, ახლა აქ არ ვიქნებოდი. მივცემდი ვინცხას იქნებოდა ცოტას და გადავრჩებოდი. მაღაზიის გამგე რომ ჩავარდება, ახია-მასზე. მარტო ჩემნაირი მაღაზიის გამგეები და დებილები ვარდებიან.

– დებილები? – გაიცინა მეგრელიძემ.

– ჰო, დებილი ჰქვია აბა რა, მთავრობა ოცი ათას მანეთს ჩაგაბარებს და თხუთმეტს შეუჭამ. რისი იმედი გაქვს?

– ჰოდა, რისი იმედი გქონდა შენ?

– დებილისას ვერაფერს ვატყობ ჩემს თავს, ბატონო. ხუთ წუთში ჩამოგიფქვავ ყველაფერს, რაც მოხდა ჩემს თავს. იმიტომ კი არა, თითქოს იმედი მქონდეს, მიშველისთქვა. შველით მე ახლა მამაზეციერი ვერ მიშველის, ოღონდ ერთ რამეში კი შევთანხმდეთ; ლაპარაკში არ ჩამერიო და არ მკითხო, კონკრეტულად როდის, ვის მიეცი და სად მიეციო. ახლა ისე სულელი არა ვარ, სხვებიც ჩავყარო. ამით მე ვერაფერს გავხდები და სულ არ მინდა სხვისი ცოლ-შვილის გამწარება, რავარც ჩემი ცოლ-შვილი გამწარდა. პატარა რაღაცა აქაც ქე ვისწავლე და „გრუპავოით“ გასვლას პროცესზე ასე მარტო გასვლა მირჩევნია.

– ეგ თქვენი საქმეა, – კიდევ რაღაც უნდოდა ეთქვა მეგრელიძეს, მაგრამ კარი გაიღო და მორიგემ შემოიხედა, იგი ერთხანს შეჰყურებდა „უფროსს“ თავისი უაზრო, მორჩილი თვალებით. პასუხი რომ ვერ მიიღო, კარი გაიხურა. ვექილმა ავტოკალამი რამდენჯერმე გაიტკაცუნა და ჯიბეში ჩაიდო. მან, ცოტა არ იყოს, ინტერესი დაკარგა ბრალდებულისადმი. ჯერჯერობით ახალი ვერაფერი „დააცდენინა“ და არც საუბრის გაგრძელება უქადდა რასმე საინტერესოს.

კაპანაძეს ხელები მაგიდაზე ეწყო და უხმოდ დაჰყურე-

ბდა. მწვანე, ნაქსოვი პერანგი ბოლომდე შეეკრა და, თითქოს გაცივების ეშინიაო, იაფფასიანი შალის მონაცრისფრო პიჯაკის საყელოც აეწია. ლაპარაკისას თავს რომ დასწევდა, სათვალე უვარდებოდა და წამდაუწუმ ისწორებდა. გამხდარი იყო. საფეთქელთან ლურჯი, გამობურცული ძარღვები აჩნდა.

– ოცდახუთი წელი ბიბლიოთეკის გამგედ ვიმუშავე. ვიცი, თქვენ მკითხავთ ახლა, ბიბლიოთეკის გამგის ხელფასი რას გიზამდაო. სწორი ხართ, ბატონო, რაღაცა სხვა წყარო თუ არ გაქვს, ორი ბიბლიოთეკის გამგეც რომ იყო, თავის რჩენა გაგიჭირდება დღეს. ყველამ იცის ეს ამბავი, ხელფასით რომ ერთეულები არჩენენ დღეს ცოლ-შვილს. გამქონდა თავი რავარცხა იყო. სიმინდი და ყველი-ლობიო საყიდი არ მქონდა, მამაჩემს მაშინ სული ედგა და მეხმარებოდა სოფლიდან. თუ რამე არ მინდოდა, ვაჭრობაში წასვლა არ მინდოდა. დამიძახეს ერთ დღეს (არ ვიცი ვის რა დავუშავე) – გაიგებდი, ალბათ, ძველები დავხსენით სუყველა და მაღაზიის გამგედ უნდა გაგიშვათო. რას მერჩით, მე ვუთხარი. ჩემნაირი კაცი რას ივარგებს იქანა, მე ვუთხარი. სწორედ შენნაირი პატიოსანი გვჭირდებაო. ბავშვი არ ვიყავი, რომ ამ სიტყვას შევეცდინე, მაგრამ მაინც დავთანხმდი. რატომ? სულელი ვარ და იმიტომ დავთანხმდი. ვირი ვარ. სულ ერთია ვირი რა ხნის იქნება. ვირი ვირია, ორი წლისაც და ათი წლისაც. ხომ გაგიგონია ვირი რომ დაბერდება, არც მაშინ აძლევენ პირველ ადგილს ბაგაზეო. დამნიშნეს მაღაზიის გამგედ და იმ საღამოსვე გამომყვა გვერდით, ვინც ჩემი საკითხი მოამზადა. ინსტრუქტორი ბიჭი იყო – რას შვრები ფულისასო. რომელი ფულისას, მე ვუთხარი. შენ ხომ არ გაგიჟდი კაცოვო, ამხელა მაღაზიის გამგედ გაგიშვით და ფულს არ იძლევიო? მე კი არ ვიდებ იმ ფულს ჯიბეში, ციდან ხომ არ ჩამოფრინდი შენო. ამაღამ რომ მე იმას, იმას და იმას ფული არ მივუტანო,

ხვალვე გამაგდებენ სამსახურიდან და გინდა ჩემი გაგდება შენო? პირველი შეცდომა აქ დავუშვი: უნდა შემეტრიალებინა და პანღური ამომეკრა, მაგრამ მოვტყუვდი, ვისესხე ჩემი ცოლისძმისგან (იმ ორ ბავშვს გეფიცები) ორი ათასი მანეთი და მივუტანე. ერთ თვეს ვიმუშავე წესიერად. ერთ თვეზე მეტი ვერ გავძელი. ჯერ ერთი იმ ვალს გასტუმრება ხომ უნდოდა. ვიფიქრე ეკონომიას გავაკეთებ-მეთქი, რისი ეკონომია, მე ახლაც არ ვიცი, რას ვეძახით ჩვენ ეკონომიას. ჩემი მეზობელი მშენებელი ინჟინერია – ეკონომიას ვაკეთებო და სადაც სამი ტონა ცემენტი სჭირდება, ერთ ტონას ხარჯავს, სადაც ხუთი ლურსმანი უნდა დაარტყას – სამს ურტყამს. ვითომ სახელმწიფოს მასალას უზოგავს. სინამდვილეში მისი გაკეთებული ხელმეორედაა საკეთებელი და ეს ყველაფერი ქვეყანას ტვირთად აწვება. მერე იმ მორჩენილი ორი ლურსმნიდან ერთს ეკონომიაში უშვებს და პრემიას იღებს – მეორეს „ლევად“ ჰყიდის. ჩვენს საქმეში ეკონომია კი იმას ნიშნავს, ალბათ, რომ მომხმარებელს მოპარო. მოპარულია, ბატონო, ნახევარი, რითაც ჩვენ ვცხოვრობთ და სხვებს ვაცხოვრებთ. ხანდახან გამოაცხადებენ – ამა და ამ მაღაზიამ გეგმა ხუთასი პროცენტით შეასრულაო. ის ფული ნახევარი – „ლევი“ საქონლიდან შემოვიდა, თვარა ვინ გაიგონა გეგმის ხუთასი პროცენტით შესრულება. რანაირად უნდა შეასრულო ხუთასი პროცენტით გეგმა, თუ სწორად ხარ დაგეგმილი? მოკლედ, ბევრი რომ არ გავაგრძელო, ერთი თვის თავზე ბაზამ საქონლის მოცემა შემიწყვიტა. წესიერ საქონელზე მაქვს ლაპარაკი, რაც იყიდება, თორემ რაც არ იყიდება, ინებე, ბატონო, რამდენიც გინდა. ჩემს გასამტყუნებლად დაუყევი ქუჩას, ბატონო, ორმოცდაათი კაციდან ორს თუ აცვია ჩვენს დაბაში შეკერილი პერანგი ან ფეხსაცმელი. ამხელა დაბა ფეხსაცმელს და შარვალს

ვერ კერავდეს, სირცხვილი არაა? მოკლედ, ბაზამ, კარგი საქონელი თუ გინდა, ფული უნდა მომცეო. უკან დასახევი გზა არ მქონდა – ვისესხე და მივეცი. ორი თვის თავზე ერთი მომადგა – რავაა შენი საქმეო. რასი საქმე, მე ვუთხარი, – ყველა მაღაზიის გამგე თვეში ას-ას მანეთს მაძლევს და შენ ჭურში ხომ არ ზიხარო. ვისესხე და მივეცი. მალე მეორე მომადგა, იმას ფულს ვუკრიბავთ და ამდენი ჩამოდიო. ახალი დანიშნული ვარ, ჩავარდნილი ვარ-თქვა. გაგიგონია? ვის ესმის. ვისესხე და მივეცი. მეტის მოთმენა აღარ შეიძლებოდა. შევტოპე მეც, ცხრამანეთ და ორმოცკაპიკიანი ველოსიპედი თორმეტ მანეთად გავყიდე და ფაქტზე დამიჭირეს. ფაქტზე წამასწრეს, ოცდაათი მივეცი, ისიც პროცენტიანი სესხი, თორემ სად მქონდა ამდენი ფული. გადიოდა თვეები, გავმწარდი კაცი. ფასის დამახინჯების ქე მეშინია, არ დამიჭირონთქვა, არადა ამ ჩემს საქმეს ხეირი არ უჩანს. მევალეები არ მასვენებენ. ბოლოს ერთმა მითხრა: გეისტუმრე ეს ვალები შენი მაღაზიიდან და „ლევს“ შემოგიტანო. ვარი ვუთხარი. სიცილით კინაღამ გაიგუდა. – გლახას კიტრი მისცეს და არ მიიღო, მოხრილიაო – ისეა შენი საქმეო. ერთხანს ვჭოჭმანობდი, მაგრამ ბოლოს დავთანხმდი. „ლევის“ მოლოდინში მაღაზია თითქმის დავაცარიელე, ვალები გავისტუმრე. კაი ძალი ფული – „ლევში“ ჩავყარე. დღე-დღეზე ველოდი საქონელს, მაგრამ დააგვიანდა. ახლა სხვა დროა, გაჭირდა ყველაფერი. ამასობაში ინვენტარიზაციის რევიზია დამეცა. დანაკლისი აღმომიჩინეს და აგერ ვარ. ასე დამთავრდა ჩემი სავაჭრო კარიერა. რა უნდოდათ, რას მერჩოდნენ, ვმუშაობდი ჩემთვის ბიბლიოთეკაში. კაციშვილს არ ვერჩოდი და არც არავინ მერჩოდა. ფულის შოვნას თავისი ნიჭი უნდა. არ ვიყავი მე ამ საქმისთვის გაჩენილი.

პატიმარი ერთბაშად დადუმდა. ხელები მოიფშვნიტა და დაამთქნარა. ჯიბიდან „ყაზბეგის“ კოლოფი ამოიღო,

თითების ნერვიული მოძრაობით გახსნა, კოლოფი ცარიელი აღმოჩნდა. დაჭმუჭნა და იქვე, მაგიდის გვერდით, საქაღალდეში გადაუძახა. ვექილმა ჯიბეები მოისრისა, სიგარეტს ცერა თითი ამოჰკრა და გაუწოდა. კაპანაძემ ჯერ ამოიღო, მოუკიდა, გააბოლა და მერე მოახსენა მადლობა. მეგრელიძე წამოდგა და წელანდელივით ჯიბეში ხელჩაწყობილი ფანჯარასთან დადგა. პატიმარი ახლა მის სწორ ბეჭებს და კეფასთან გამელოტებულ თეთრ თმას შეჰყურებდა.

– რა გამოდის ახლა, თუ იცი, შენი ნალაპარაკევიდან? – ჰკითხა ვექილმა ბრალდებულს.

– თქვენ უკეთ იცით, – შორიდან უპასუხა კაპანაძემ.

– ესე იგი სხვებმა გაგაქურდეს, თორემ შენ ქურდი არ ყოფილხარ. ძალათი მიგაჩვიეს სიგლახეს, თორემ შენ თვითონ ანგელოზად ხარ დაბადებული, ასეა ხომ?

– ხომ გითხარი, ტყვილად ვყვები ჩემს ამბავს-მეთქი. ვერც შენ გაგიგია, მე რომ ჩემს დანაშაულს არ ვგრძნობდე, ასე ტკბილად ვიქნებოდი?

– რას იზამდი?

– რას ვიზამდი და ვიღაცას ყელს გამოვჭამდი. ღრიალს ავტეხავდი, შიმშილობას გამოვაცხადებდი. მე დამნაშავე როგორ არა ვარ, დასაჭერი ჯერ კიდევ მაშინ ვიყავი, თქვენ რომ აგყევით და დაგიჯერეთ. რა მინდოდა ვაჭრობაში მე. რაც ვარ, მე თვითონ სხვაზე უკეთესად ვიცი, მაგრამ ჩემს მტაცებლად ქცევაში თქვენ ყველას დიდი წვლილი გაქვთ. ყველანი ენერგიულად მეხმარებოდით, ხელს მიწყობდით, პირობებს მიქმნიდით, რომ მომეპარა. თუ სიმართლე გინდათ, მაიძულებდით რომ მომეპარა, თვარა ჩემდა თავად ვისაც ეს ხელმრუდობა და მამაძაღლობა უხარია, კუპრად და ბნელად ექცეს დღის სინათლე იმას!

მეგრელიძე ფანჯარას მოშორდა, მაგიდიდან ქაღალდები აკრიფა, იღლიაში ამოიჩარა და ღილაკს თითი დააჭირა.

– მოქალაქე ბრალდებულო, მე ჩემდა თავად ბოდიშს გიხდით. მე ვექილი არ გახლავართ. პროკურორი ვარ. თქვენი საქმე გუშინ მომცეს. მინდოდა შეგხვედროდით. იქნებ რაიმე შეღავათი გეთქვათ. მე ახლა ძალიან დავიბენი. თქვენ ყველანი ერთნაირად ლაპარაკობთ. თქვენ რომ ყური გიგდოთ კაცმა, ამ საქმეს თავი უნდა დაანებოს, – მორიგე რომ გამოჩნდა, პროკურორმა კილო შეიცვალა, წელში გასწორდა და რიხიანად უთხრა კაპანაძეს: – ამის შესახებ თავიდან უნდა გეფიქრათ. ისე ადვოკატზე უარს ნუ იტყვით. გჭირდებათ, დაცვა თუ ვინმეს სჭირდება, თქვენ გჭირდებათ.

* * *

„რაი მერე, რა შეიცვლება? ჩემსას მაინც მივიღებ. ამგენის თვალში მე დამნაშავე ვარ და მეტი არაფერი. ისე, თავიდანვე შევატყვე, რომ ვექილი არ იყო. ვიღაცა სხვა იქნება-მეთქი, მარა პროკურორი თუ იქნებოდა, რას მივხვდებოდი. ვინც უნდა ყოფილიყო, მე მაინც იმას ვეტყოდი, რაც ვუთხარი, არც მეტს და არც ნაკლებს. ხელს რომ მართმევდა, ნიკაპი უცახცახებდა ამხელა კაცს. რაი მერე... რაი მერე“... – ტუჩების ცმაცუნით ფიქრობდა დერეფანში მიმალული კაპანაძე, და ხანდახან თავისი უმარტივესი საზრუნავით გართულ მორიგეს მოხედავდა.

უკანასკნელი დიალოგი

მამადავითის კალთაზე, პატარა, მყუდრო ქუჩაზე არის მისი სახლი, არქიტექტურულად არცთუ დახვეწილი „კოლხური კოშკი“, არაერთგზის აღწერილი „დიდოსტატის მარჯვენის“ ავტორის თაყვანისმცემელ ჟურნალისტთა მიერ.

ზარი დავრეკე და მომეჩვენა, რომ კარის გაღება დამიგვიანეს.

ერთი გაფიქრება, გავიფიქრე: იქნებ ზარია-მეთქი მოშლილი და კარის ღრიჭოდან შევიხედე, ჭიშკრისაკენ მომავალი ზვიად გამსახურდია დავლანდე.

თავაზიანად შემიპატიჟა. „დღეს უკეთაა“,–სანამ ვკითხავდი, აქეთ დამასწრო.

მწვანეში ჩაფლულ ეზოს მყუდროება დაუფლებია.

კიბეზე აქა იქ ხავსი ამოსულა, ჩანს ამ კიბით იშვიათად ადიან. ეს სასტუმრო კიბეა. ოჯახის წევრები, ჩვეულებრივად, უკანა შესასვლელით სარგებლობენ.

მერე დიდხანს ვიდექი მოსაცდელ ოთახში და, როცა მიხმეს, საოცარმა ღელვამ შემიპყრო. მე ამ სახლში სხვა დროსაც არაერთხელ ვყოფილვარ, მაგრამ მაშინ სხვა იყო. მაშინ მხიარულება სუფევდა გამსახურდიების ოჯახში და დიდი მასპინძელი, ბატონი კონსტანტინე, ჯანმრთელი იყო.

უზარმაზარ საწოლზე ფერმიხდილი მოხუცი წევს. მარტო ხმაზე და არაჩვეულებრივად მეტყველ თვალებზე თუ შეატყობთ, რომ ეს კონსტანტინე გამსახურდიაა. შემაშინა მისმა ფერმკრთალმა სახემ და ის იყო, საუბრის გადადებას

ვაპირებდი, რომ მომესმა სადღაც, შორიდან, გულის სიღრმიდან წამოსული ოდნავ გაბზარული ხმა:

– რა გაგჭირვებია, ყმაწვილო?

უკანდახევა გვიანია. საყვარელი მოძღვრის სახეს დაშვებული ფარდის ათინათი დასდგომია.

საწოლის მარცხენა მხარეს ხეში გამოთლილი სვეტიცხოველი დგას.

გრძელი მაგიდა ალაგებულია.

საწოლთან პატარა სკამი დგას. სკამზე უწესრიგოდ გაშლილი სუფთა ქაღალდები და დაწნეხილი მელნის იაფფასიანი კალამი.

ახლა გვიანი სადილობაა, მაგრამ კონსტანტინე გამსახურდიას უზარმაზარ საწოლ ოთახში მწუხრისფერი დგას.

ოთახი თითქმის ჩაბნელებულია.

„შეძლებ ამ სიბნელეში რაიმე ჩაიწერო? დარაბების გაღების უფლებას არ გვაძლევს, ბრჭყვიალა სინათლეში თავბრუ მესხმისო“, – ჩურჩულით ამბობს ზვიადი და გვტოვებს.

მარტო ვრჩები ამ კაცთან, ვისი არსებობაც ამ ქვეყნად დიდი პატივისცემაა ყველა ქართველისათვის, ვინც მარტო მწერალი კი არა, რაინდია, თავისი ცხოვრების წესით, თავისი კაცური სიმართლით.

ეს შეხვედრა ჩემი დიდი ხნის ოცნება იყო.

– ლაპარაკობს ხმადაბლა, დაღლილი, გაბზარული ხმით, შესამჩნევი მეგრული აქცენტით.

ახველებს და წამდაუწუმ ბოდიშს მიხდის, ავად ვარ და მაპატიეთო.

რ. მიშველაძე – როგორ ბრძანდებით, ბატონო კონსტანტინე.

კ. გამსახურდია – გმადლობთ, ვცდილობ უკეთ ვიყო. მოგეხსენებათ, მძიმე ოპერაცია გადავიტანე. ჯანმრთელობა ძალიან შემერყა. ამ ბოლო დროს არა მიშავს. ექიმებმა ეზოში სეირნობის ნებაც დამრთეს, ვფიქრობ, შემოდგომაზე სანადიროდ წასვლის ოცნებაც არაა აუხდენელი.

რ. მიშველაძე – თქვენ ბედნიერი კაცი ხართ. მეოცე საუკუნის საქართველოს უპირველესი რომანისტი და უაღრესად პატივსაცემი მოქალაქე. როცა ცხოვრების განვლილ გზას გადახედავთ, როგორ ფიქრობთ, მიწვდით თუ არა სიჭაბუკეში დასახულ მიზანს?

კ. გამსახურდია – სიჭაბუკეში არავითარი მიზანი არ დამისახავს. ჩემი „პროგრამა“ ჩემი ერის სამსახური იყო. ვიშრომე როგორც შემეძლო, ვფიქრობ, ჩემი შესაძლებლობის მაქსიმუმი თუ არა, ერთი კაცისთვის საკმარისი მაინც გავაკეთე. ყოველი კაცი თავისი პიროვნების, თავისი ბუნების მონაა და, გამოგიტყდებით, მწერლობა მიზნად არა მქონია. იგი ჩემი სულიერი მოთხოვნილება იყო. მე სხვანაირად არ შემეძლო. უკალმოდ და უქაღალდოდ, ალბათ, ერთ დღესაც ვერ ვიცოცხლებ. როგორც დავწერე, მხოლოდ ისე შემეძლო მეწერა. არც უარესად და არც უკეთესად. თქვენ რამდენი წლისა ხართ.

რ. მიშველაძე – ოცდათოთხმეტის.

კ. გამსახურდია – უჩივით უდროობას, ხომ ასეა. ხშირად წუწუნებთ, ვერაფერს ვერ ვასწრებო.

რ. მიშველაძე – თითქმის.

კ. გამსახურდია – არა ხართ მართალი. დრო ძალიან ბევრია. უფრო მეტიც არის, ვიდრე საჭიროა. მე დრო მუდამ თავზე საყრელად მქონდა. დროის ყადრი ვიცოდი და იმიტომ.

რ. მიშველაძე – დიდება არც ადრე გკლებიათ, მაგრამ

თანამედროვე მწერალთა შორის თქვენოდენ პოპულარობას და მკითხველთა სიყვარულს ვერავინ დაიკვეხნის. ხელი ხომ არ შეუშლია სამწერლო დიდებას თქვენთვის? ან იქნებ, პირიქით?

კ. გამსახურდია – დიახ, პირიქით. მკითხველთა აღიარება და ყურადღება ყოველთვის ხელს მიწყობდა, მამხნევებდა, ძალას მმატებდა.

ის, რაც თქვენ სამწერლო დიდებად მიგაჩნიათ, ჩემთან ძალიან გვიან მოვიდა, გულდასაწყვეტი მე არა მაქვს რა, გული მხოლოდ იმაზე მწყდება, რომ ბევრ ჩემს ვალმოხდილ თანამედროვეს ვერ გავატანე ის სიყვარული, რაც ეკუთვნოდა. ჩემი დაკვირვებით, საამქვეყნო დიდებას და ჩინ-ჯინ-ჯალაკებს ხშირად ისინი უფრო მოიპოვებენ, ვინც ამისთვის იბრძვის. „იბრძვის“ არ ივარგებს, ცდილობს. მე ვწერდი, ვნადირობდი, ვცხოვრობდი, კლასიკოსის დაფნის გვირგვინი არც დამსიზმრებია. იგი ყოველთვის სხვათა წილხვედრი მეგონა. ახლაც ასე მგონია.

რ. მიშველაძე – ჰიუგო როცა პარიზში გაივლიდა, უკან თაყვანისმცემელთა არმია მიჰყვებოდა, ტოლსტოის ცხედარს მთელი რუსეთი დასტიროდა, რაჭა-ლეჩხუმში მოგზაურობისას აკაკი წერეთელი თითქმის ხელით ატარეს. ახლა თევზის რიგში გალაკტიონი რომ იდგეს, შეიძლება რიგი არც დაუთმონ. იტყვიან, რა მოხდა მერე, ისიც მოქალაქეა და ჩვენც მოქალაქეები ვართო. ხომ არ გეჩვენებათ, რომ ჩვენი თანამედროვე დიდი სახელებისადმი უფრო გულგრილი გახდა წარსული საუკუნეების მკითხველებთან შედარებით?

კ. გამსახურდია – როგორი გახდა?

რ. მიშველაძე – გულგრილი თუ დაბნეული, ალბათ მიმიხვდებით, ზუსტი ტერმინი ვერ ვიპოვე.

კ. გამსახურდია – ვერ დაგეთანხმებით. ეს მარტო ჩვენი ეპოქის თვისება როდია. დანტე ალიგიერი იტალიიდან გააგდეს, მაგრამ იმ დროის იტალიას მაინცდამაინც არ გამოუდვია თავი. სერვანტესი უკიდურეს სიღარიბეში გარდაიცვალა. მაგრამ არც ერთ ესპანელ იდალგოს ან კაბალლიეროს არ გახსენებია „დონ კიხოტის“ ავტორისათვის ერთი კვირის საკვები მიეწოდებინა, არც დუელში პუშკინის მოკვლას მოჰყოლია დიდი დემონსტრაციები რუსეთში. თანამედროვეობა, იშვიათზე იშვიათად აფასებს ღირსეულს. დაფნის გვირგვინი და მონომახის ქუდი ხშირად სრულიად სხვას, შემთხვევითს, რიგითს ახურავს თავზე.

იქნებ ამ ბოლო დროს ერთნაირობის, ზედმეტად გათანასწორების ტენდენცია შეიმჩნევა, მაგრამ ეს გულგრილობით როდი მოსდის ჩვენს თანამედროვეს. ხალხი გამრავლდა, ინფორმაციის საშუალებები გაფართოვდა. შენთვის კაცს გამოზომილი დრო აქვს. შინ, მაგიდასთან უნდა წაგიკითხოს, ან ტელევიზორში გნახოს, და ასე უცბად, ნავთის რიგში შეხვედრილს არ გცნობს, არ გელის, არ სჭირდები და იმიტომ. ისე, ნიჭის დაფასება შეძლებისდაგვარად დღეს რომ ხდება, ასე არასოდეს იყო.

გულნაკლულად ნუ ვიქნებით. ჩვენ ბედს არ უნდა ვუჩიოდეთ. წარსულში ჩემთვის ძვირფას სახელთაგან (მწერლებს ვგულისხმობ) თავისი სიკვდილით ცოტა მოკვდა. ზოგს ტყვია ჰკრეს შუბლში და ზოგი ფიზიკურად არ გაუნადგურებიათ, მაგრამ თავბედი აწყევლინეს.

რ. მიშველაძე – როგორ ფიქრობთ ახლა თქვენ, ოთხმოცსგადაცილებული კონსტანტინე გამსახურდია, მართალი იყო თუ არა ქართველი კაცი, როცა ცხოვრებას „წუთისოფელი“ უწოდა?

კ. გამსახურდია – უსათუოდ. ცხოვრება მართლაც წუთისოფელი ყოფილა. ხშირად მიპყრობს უკმარობის განცდა. ისე გაირბინა დრომ, ისე შემომეხარჯა წლები, რომ უკან მოხედვაც ვერ მოვასწარი და უკვე ოთხმოცი წლისა ვარ.

ეს ადამიანის გულია. თურმე დაუკმაყოფილებელი და „აღუვსებელი“. ხორცი ცვდება, მაგრამ გული არ ნებდება. საქმე უნდა გქონდეს, რაღაცამ უნდა შეგაწუხოს. თუ საქმე არა გაქვს, შეიძლება ოცდახუთი წლის ასაკშიც მოგწყინდეს ცხოვრება.

რ. მიშველაძე – ბატონო კონსტანტინე, ამ საუკუნის ქართული სალიტერატურო ენის განვითარებაში თქვენ რეფორმა მოახდინეთ, თქვენ, ერთ-ერთმა პირველმა, აღუდგინეთ ქართულს წარსულის ტკბილხმოვანება – და ძველ ქართულთან ხიდის გადებით სცადეთ გაგემდიდრებინათ თანამედროვე ქართული ენა მივიწყებული ლექსიკური განძეულით და დიალექტის რაციონალურად გამოყენებით. მე პირადად თქვენი ენობრივი პოზიცია ძალიან მომწონს. მაგრამ დღევანდელ მწერლობას და, საერთოდ, სალიტერატურო ენის მდგომარეობას რომ ვუცქერი, ვრწმუნდები, რომ ჩვენი ენის განვითარება თქვენ მიერ ნაჩვენები გზით ჯერჯერობით არ მიდის. რა მიზეზით ხსნით ამ ფაქტს?

კ. გამსახურდია – მე შევეცადე ქართული ენისათვის დამებრუნებინა ეს დიდებული კეთილხმოვანება, რაც ჩვენმა ენამ დროთა ვითარებაში დაჰკარგა, მე შევეცადე გამეცოცხლებინა ზოგიერთი მივიწყებული მშვენიერი სიტყვა და ამით გზა გადამეკეტა უსარგებლო ბარბაზრიზმების, ნეოლოგიზმებისა და კალკებისათვის.

მე არც ახალი სამეტყველო სტილი შემიქმნია და არც ახლებური კონსტრუქცია ფრაზისა, ყველაფერი, რითაც

ჩემი რომანების ენა მოსწონთ, ქართულს ადრე გააჩნდა. თქვენ მიერ ნაჩვენები გზით ენის განვითარება არ მიდისო, თქვენ ბრძანეთ. ხომ არ გულისხმობთ იმას, რომ ერთ მშვენიერ დღეს მთელმა საქართველომ გამსახურდიას ენით დაიწყოს წერა და მეტყველება?

რ. მიშველაძე – რა თქმა უნდა არა, მაგრამ თქვენი ენობრივი პოზიციის კეთილი კვალი სალიტერატურო ქართულს უნდა დაეტყოს.

კ. გამსახურდია – და განა არ ეტყობა? აქ არ ჩამოვთვლი ჩემ მიერ გაცოცხლებულ ან საკუთრივ ჩემ მიერ შექმნილ სიტყვებს, ასე ორგანულად რომ შეეზარდა დღევანდელ სალიტერატურო მეტყველებას. არც ამ კარგ მწერალთა გვარებს დავასახელებ, ჩემი გავლენა აშკარად რომ ეტყობათ. მერე რა არის ამაში ცუდი? ლიტერატურულ ცხოვრებას ერთი ცუდი ზნე სჭირს: თუ ვინმემ ჩემებურად დაიწყო წერა, მაშინვე უკიჟინებენ, კონსტანტინე გამსახურდიას ჰბაძავსო. მწერალს კი მიბაძვა (ვინც არ უნდა იყოს იგი) რატომღაც სალანძღავ სიტყვად მიაჩნია და მაშინვე თავს ანებებს ენის გამდიდრებისა და განვითარების ნაცად გზას.

რ. მიშველაძე – და რა გზას ირჩევს?

კ. გამსახურდია – ცრუ ორიგინალობისას. თუმცა ძიებანი ენის გზით და ამგვარად საკუთარი სტილისათვის, თუნდაც, საეჭო მეცადინეობა, მაინც სასარგებლო საქმედ მიმაჩნია.

სამწუხაროდ, მესამენი და (ისინი უმრავლესობას შეადგენენ). როგორც ჩანს, წერისას ნაწარმოებების ენაზე სრულიადაც არ ფიქრობენ. წერენ ერთნაირად. მათ ნაწერს უნიჭო ჟურნალისტის რეპორტაჟისაგან ვერ განასხვავებ. აი, სწორედ ეს მოშვებულობა ღუპავს ჩვენს ენას.

ზოგიერთი მწერალი ისე გაკადნიერდა, რომ მარტო თანამედროვეებს კი არა, მეფეებსა და დიდებულებს ალაპარაკებს ჟურნალისტური ქართულით. ვკითხულობ მათს ისტორიულ რომანებს და მათ მაგივრად მრცხვენია.

ვფიქრობ, ოდესმე მიხვდებიან ჩემი კოლეგები, რომ ენის აღორძინებისათვის მთელი პასუხისმგებლობა მათ ეკისრებათ. იქნებ ჩემი წვლილიც გაიხსენონ და ჩემს გზას გაჰყვნენ, ქართული ენის მომავალი მე სწორედ ამგვარად მესახება.

ჩვენში ასეა: ძნელია ენდო ცოცხალ კონსტანტინე გამსახურდიას, ძნელია მის ეპიგონთა ამალაში ყოფნა. მე რომ ასი წლის წინათ მეცხოვრა, სხვა ამბავია. დღეისთვის უკვე ენის საკითხშიც ავტორიტეტი ვიქნებოდი. მაგრამ ეს საინტერესო არ არის.

რ. მიშველაძე – ასი წლის წინათ ცხოვრობდა ილია ჭავჭავაძე, ასე რომ, მაშინ, ბატონო კონსტანტინე, ქართულ ენას დიდი ჭირისუფალი ჰყავდა. მოგეხსენებათ მისი ენობრივი რეფორმა. თქვენ, ილია ჭავჭავაძის ადგილზე, მისებურად მოიქცეოდით?

კ. გამსახურდია – უსათუოდ. ილიამ უდიდესი გადატრიალება მოახდინა ენის განვითარებაში, მაშინ სხვა გზა არ იყო. მან ქართული ენა სალონებს გამოგლიჯა და ხალხს დაუახლოვა. მაგრამ ილიას შემდეგ მოსულებმა ნამეტანი გაამდაბიურეს ჩვენი ენა. ამის შესახებ არაერთგზის მითქვამს და ახლა ნუ გამამეორებინებთ.

რ. მიშველაძე – ბატონო კონსტანტინე, გისმენთ და მეჩვენება, რომ თქვენი ჩვეულებრივი საუბარი და თქვენი ნაწარმოებების ენა ერთმანეთს შორდება. თითქმის სხვაგვარად წერთ და სხვაგვარად ლაპარაკობთ, უფრო სწორად, ისე არ ლაპარაკობთ, როგორც წერთ.

კ. გამსახურდია – მართალია. თქვენ გინდათ თქვათ, რომ ლაპარაკით შედარებით „მდაბიურად“ ვლაპარაკობ, წერისას კი ჩემი სტილი უფრო ამაღლებული, ზომიერად არქაული და ალაგ-ალაგ პათეტიკურია, ეს ხდება, მეც ხომ ამ დროის შვილი ვარ და გარემოებამ თავისი ძლიერი ხელი დამადო მხარზე. ამიტომაც ვლაპარაკობ ისე, როგორც თქვენ, ყველანი. წერისას კი სხვა ამბავია, იქ მე კი არა, ჩემი პერსონაჟები მოქმედებენ და ლაპარაკობენ. ხშირად მინდა მათ მივბაძო (სხვათა შორის საუბარშიც), მაგრამ მიჭირს. ასე ემართებოდა ყველას, ვის დროსაც ქართული ენის წიაღში ორსახოვნების საკითხი იდგა, თქვენ გგონიათ, ქართველი რომანტიკოსები ისე ლაპარაკობდნენ, როგორც წერდნენ? არავითარ შემთხვევაში. ისინი სრულიად ჩვეულებრივი, ხალხური ქართულით მეტყველებდნენ, აბა დააკვირდით გრიგოლ ორბელიანის ან ნიკოლოზ ბარათაშვილის პირად წერილებს!

ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ ლიტერატურა და ხელოვნება ცხოვრების ასლი კი არ არის. იგი სხვაა, იგი მშვენიერებაა, ამაღლებულია. მე სინამდვილეს კი არ ვხატავ ისეთად, როგორიც არის იგი, არამედ ახალ, განსხვავებულ მხატვრულ სინამდვილეს ვქმნი.

რ. მიშველაძე – თქვენმა სამწერლო პრაქტიკამ, ან დრომ ხომ არ შეცვალა თქვენი ადრინდელი შეხედულებანი ისტორიული რომანის ჟანრულ სახეზე?

კ. გამსახურდია – არა. მე ახლაც ვთვლი, რომ არავითარი ისტორიული რომანი არ არსებობს, არსებობს მხოლოდ „თანამედროვე რომანი“, ისტორია მხოლოდ მასალაა, დამხმარე საშუალებაა, რათა მწერალმა თავისი სათქმელი, თანამედროვეობასთან დამოკიდებულება გამოამჟღავნოს მხატვრული სახეებით.

რ. მიშველაძე – გვადი ბიგვასა და დავით აღმაშენებელს შორის ის განსხვავებაცაა, ბატონო კონსტანტინე, რომ მეორე ისტორიული პიროვნებაა, ხოლო პირველი კი არა.

კ. გამსახურდია – რა იცით, რომ გვადი ბიგვა არაა ისტორიული?

რ. მიშველაძე – ისტორია არ იცნობს ასეთ კაცს. ყოველ შემთხვევაში მას ისტორიული, საზოგადოებრივი აღიარება არ ჰქონია. მაგრამ ისტორიული პიროვნებაა სტალინი.

კ. გამსახურდია – ე. ი. სტალინზე ან დავით აღმაშენებელზე დაწერილი რომანები ისტორიულია, ხოლო ვახტანგ კორინთელზე დაწერილი არა?

რ. მიშველაძე – დიახ.

კ. გამსახურდია – როგორც ჩანს, ეს იმდენად რთული საკითხია, რომ ჩვენ ასე ადვილად ვერ მოვრიგდებით. იქნებ თქვენ მართალი ხართ. მაგრამ რატომ არ ფიქრობთ, რომ სტალინზე შეიძლება დაიწეროს ზღაპარი. განა ის ისტორიული ზღაპარი იქნება?

რ. მიშველაძე – ისტორიული ზღაპარი არ არსებობს. ჩვენ ამ შემთხვევაში, რომანის ჟანრზე გვქონდა მსჯელობა.

კ. გამსახურდია – როგორც ჩანს, ისტორიულ რომანში საკმარისი არ არის ისტორიული პიროვნება გამოიყვანო. ისტორიული სიმართლეც უნდა თქვა. აი, სწორედ იმაზე მომდის გული, რომ უკანასკნელ წლებში დაწერილ ზოგ ისტორიულ რომანში ისტორიული სიმართლე თავდაყირაა დაყენებული.

რ. მიშველაძე – კარგი, ბატონო კონსტანტინე, ჟანრებზე კამათი მართლაც ძნელია და უამრავი ეჭვით ავსებს კაცს. ვიღაცას უთქვამს: „ყველა ჟანრი კარგია, გარდა მოსაწყენისაო“, სრული ჭეშმარიტებაა. ასე ნახევრადლიტ-

ერატურულ საკითხზე მაინტერესებს თქვენი აზრი: ჩვენ ხშირად გვიხდება ლაპარაკი რესპუბლიკის ცხოვრებაში ამ სამი წლის წინათ არსებულ დარღვევებზე. მექრთამეობის, მომხვეჭელობის ზრდაზე. რატომ უნდა გველაპარაკნა სოციალიზმის მშენებლობის ამ ეტაპზე, მავნე გადმონაშთთა გაძლიერებაზე ჩვენს ხალხში?

კ. გამსახურდია – ჩვენს ხალხშიო, თქვენ ბრძანეთ? ხალხი აქ არაფერ შუაშია. ისინი, ვინც ახლა ბრალდებულის სკამზე ზის (ან ხვალ-ზეგ ელოდება), ხალხი არ არის. ხალხი წმინდაა. და თუ მექრთამეობა და მომხვეჭელობა შესამჩნევი გახდა, მიზეზი ცოტა უფრო ზემოთ უნდა ვეძებოთ. სამწუხაროდ, ყოველთვის კარგ მაგალითს როდი იძლეოდა ზოგი ხელმძღვანელი ამხანაგი. ჰიუგოს ნათქვამს შეგახსენებთ: „არ შეიძლება მბრძანებელთა დანაშაული მასას გადავაბრალოთ. მთავრობა ხშირად შედგება ბანდიტებისაგან, ხალხი კი არასოდეს“. თუმცა რაღა ჰიუგო შევაწუხოთ, განა სულხან-საბამ არ გვიანდერძა: „მრავალნი მწყემსნი უმჯობეს არიან უგვანთა მეფეთა“.

რ. მიშველაძე – მე ზოგად შტრიხებში ვიცი თქვენი ბიოგრაფია. იგი წიგნებში წერია და სტუდენტებს ვასწავლი. მაგრამ არსებობს სხვა ბიოგრაფიაც, უფრო სწორად ბიოგრაფიის სხვა მომენტებიც, რაც წიგნებში არასოდეს დაიწერება. თქვენ, ცხოვრების მძიმე გზა განვლეთ?

კ. გამსახურდია – საკვირველია, ჩემს უახლოეს მეგობრებს ახსოვთ, რა ძნელი ხდებოდა ზოგჯერ ჩემთვის მშვიდი ცხოვრება. ისეთი დღეებიც მახსოვს, ნაცნობი რუსთაველზე არ მიჩერდებოდა, რაიმე არ დამწამონო. ახლა კრიტიკა? ხანდახან მინდა ყური ავუწიო იმათ, ვინც თავს კრიტიკის გარეთ აყენებს. კრიტიკის გარეშე დარჩე-

ნა დამღუპველია მწერლისათვის. შემოვა ხანდახან ჩემთან ჯავრით გაბერილი მწერალი და შემომჩივლებს, მიშველეთ, უსამართლოდ მაკრიტიკებენო. მერე რა მოხდა? – ვიცინი მე, – გაკრიტიკებენ? მაგას რა სჯობია. ესე იგი არსებობ, ანგარიშს გიწევენ, შენით ინტერესდებიან, შენზე მუშაობენ. როცა „დიონისეს ღიმილი“ გამოვაქვეყნე, ერთბაშად თავს დამესხა „მებრძოლი“ კრიტიკა; ამ რევოლუციის ეპოქაში ეს ზნედაცემული სავარსამიძე საიდან მოიგონეო, იძულებული ვიყავ თავი დამეცვა; „სავარსამიძის ცოდვებს მე ნუ მომაწერთ, მე ჩემი საკუთარი ცოდვები მეყოფა-მეთქი“. არა მგონია, თანამედროვე მწერალთაგან ვინმეს მოხვედროდეს იმდენი მახვილი კრიტიკისა, რამდენიც მე ვიწვნიე საკუთარ თავზე. ჩემთვის საინტერესო იყო ამგვარი „კრიტიკული“ ცხოვრება. მაფხიზლებდა, ენერგიას მიორკეცებდა: „მაშა, ლხინსა ვინ მოიმკის, პირველ ჭირთა უმუშაკო“ – რუსთაველი ბრძანებს.

რ. მიშველაძე – როცა თქვენს რვატომეულს ადგენდით, ბევრი რამ ადრე გამოქვეყნებულ ან დაწერილ ნაწარმოებთაგან არ შეიტანეთ. რა მიზეზით? ბევრი მოგეძებნებათ ისეთი ნაწარმოები თქვენს არქივში, რომელთა გამოქვეყნებასაც არასოდეს აღარ ისურვებდით?

კ. გამსახურდია – მწერლის მხატვრული ნააზრევი, თუ იგი ასატანის ფარგლებში რჩება, უნდა დაიბეჭდოს მისი თხზულებების სრულ კრებულში. გადასაგდები არაფერი არ არის. ყველაზე პატარა ჩანახატიც კი მცირე დეტალია მწერლის შემოქმედების პანორამული სურათისა. შეიძლება ისტორიამ ჩვენ არც კი გვკითხოს, ისე ამოიღოს არქივიდან რომელიმე რვეული. როცა ჩვენვე ვადგენთ ჩვენს ტომეულებს, ზოგჯერ შეიძლება შევცდეთ, ტენდენციურნი ვართ

და იმიტომ. დიახ, ზოგი რამ არ შევიტანე, რა მოსაზრებით? ეს ჩემი საიდუმლოა. საერთოდ კი დაუბეჭდავი ცოტა მაქვს, მე იმ ბედნიერ მწერალთა რიცხვს ვეკუთვნი, რომელთაც სიცოცხლეში თითქმის ყველაფერი დაუბეჭდეს.

რ. მიშველაძე – რას იტყვით ლიტერატურულ დაჯგუფებებზე?

კ. გამსახურდია – რაზე?

რ. მიშველაძე – ლიტერატურულ ცხოვრებაში ხანდახან დაჯგუფება ხდება. ლიტერატორთა ერთი წრე შეიკვრება და გამოიკვეთება.

კ. გამსახურდია – მერე თქვენ ამგვარი დაჯგუფების წინააღმდეგი ხართ?

რ. მიშველაძე – მე რომ ვერ ვერკვევი და პასუხიც მიჭირს, ამიტომ გკითხეთ, ბატონო კონსტანტინე.

კ. გამსახურდია – დაჯგუფებანი ლიტერატურაში ყოველთვის იყო. თანამოაზრეთა, თანამდგომელთა წრე ყოველთვის უნდა არსებობდეს. არ შეიძლება ყველას ერთნაირად ესმოდეს შენი. ამგვარ დაჯგუფებაში, თუ იგი ინტელექტის ნიადაგზეა შექმნილი, ცუდს ვერაფერს ვხედავ, მაგრამ თუ დაჯგუფება შეკონწიწებულია, თუ იგი წმინდა ლიტერატურულ ინტერესებს ივიწყებს და ლიტერატურული „ჰეგემონობისთვის“ ანგარებიან ნაბიჯებს დგამს, თუ გარს შემოიკრებს უნებისყოფო კრიტიკოსებს და წყალს ამღვრევს, იქნებ თევზი დავიჭიროო, ამგვარი დაჯგუფება მავნებელია, ხოლო მის წევრად ყოფნა პატიოსანი მწერლისთვის სამარცხვინო. დღეს, როცა ჩვენ ერთმანეთთან რაიმე პოზიციური წინააღმდეგობანი არ გაგვაჩნია, ალბათ უხერხულია რომელიმე ლიტერატურულ დაჯგუფებას მიეკედლო. მწერლობაში ხშირად მარტო იბრძვიან. აქ ორკესტრული პრინციპი

არ გამოდგება. ჭეშმარიტი ნიჭი მარტო მიუყვება სამწერლო აღმართს. მხოლოდ უნიჭოს ეშინია მარტოსვლის, იგი ძლივს მეგობრებს ჩაჭიდებული ფონს გასვლას ცდილობს. მთელი მისი ცხოვრება ჯახირია.

რ. მიშველაძე – ბატონო კონსტანტინე, თქვენ ოციან წლებში აკადემიური ასოციაციის ერთ-ერთ ლიდერად ითვლებოდით. მე წაკითხული მაქვს თქვენი დაჯგუფების მიერ გამოცემული ლიტერატურული პრესა. გავცნობივარ თქვენს „საქართველოს სამრეკლოს“. ლიტერატურის ისტორიამ იცის თქვენი დაჯგუფების მაშინდელი სულისკვეთება. რას ფიქრობთ ახლა, როცა იმდროინდელ თქვენს ნააზრევს გადახედავთ, ყველაფერი, რაც მაშინ გწამდათ, დრომ წაშალა?

კ. გამსახურდია – მე და ჩემს მეგობრებს (მათგან ახლა ცოცხალი თითქმის აღარავინ დარჩა) როდი გვრცხვენოდა ჩვენი „აკადემიური“ წარსულისა. დიახ, მაშინ ზოგ რამეში ვცდებოდით, მაგრამ ეს სრულიად ბუნებრივი იყო. ჩვენ ვერ შევძელით ერთბაშად მიგვეღო რევოლუცია. ყველაფერი, რაც ირგვლივ ხდებოდა, განსჯის, დაეჭვების, ანალიზის პრიზმაში გავატარეთ. როცა ახლის ძლევამოსილებაში დავრწმუნდით, დროულად ჩავდექით მის მეხოტბეთა და მომხრეთა რიგებში. სიყმაწვილის და განსწავლის დღეების მოგონება სევდით მავსებს, მაგრამ ზიზღს როდი მგვრის. ვინც საქმეს აკეთებს, სწორედ ის შეიძლება შეცდეს. ძველი ბერძნები იტყოდნენ: „ჭკვიანი ზოგჯერ შეიძლება იყოს სულელი, ხოლო სულელი ჭკვიანი არასოდეს“.

რ. მიშველაძე – მე მახსოვს თქვენი ცეცხლოვანი გამოსვლები მწერალთა კავშირში. ბოლო წლებში თქვენ მწერალთა კავშირში იშვიათად შემოივლით. ზოგიერთის თვალში

თქვენ თანდათან იქეცით კოლხურ კოშკში განმარტოებულ მრისხანე კლასიკოსად. რამ გამოიწვია თქვენი „განდგომა“? ჯანმრთელობის გარდა სხვა მიზეზმაც ხომ არა?

კ. გამსახურდია – მე არ მწამს მწერალი, რომელიც თავისი დროის ლიტერატურული ცხოვრების ფერხულში ჩაბმული არ არის. მწერალთა კავშირი ჩემთვის ძვირფასი ადგილი იყო. სიცოცხლის ელექსირს მაძლევდა. ადრე იშვიათად ჩატარდებოდა პლენუმი, რომ სიტყვა არ მეთქვა. ახლაც სხვადასხვა რედკოლეგიების წევრი ვარ და შეძლებისდაგვარად ვეხმარები მწერალთა კავშირს. თუ იქ ხშირად არ ვჩანვარ, ეს მხოლოდ ჩემს ჯანმრთელობას უნდა დააბრალოთ და სხვას არაფერს. რაც შეეხება სიტყვებში გამოსვლას, ბოლო დროს მართლაც თავს ვიკავებ. ვიგრძენი, რომ მწერალთა კავშირს მოლაპარაკე და მჭევრმეტყველი ახლა გაუმრავლდა. მე კი მწერლის მთავარ იარაღად კალამს ვთვლი და ქადაგად დავარდნასა და დაპირებებს საქმეს ვარჩევ. მწერლის საქმე არტისტიზმის გარეშე წარმოუდგენელია და ჩემი მოქილიკე მეგობრები ხანდახან სრულიად ჩვეულებრივ ნაბიჯს პოზად მითვლიდნენ. თქვენ კოლხური კოშკი ახსენეთ, ეს სახლი თბილისური არქიტექტურის იერს რომ არ ატარებს, ბავშვიც მიხვდება. შევეცადე იგი ჩემი სიყრმის მოგონებებთან, კოლხეთთან, უზრუნველი ბავშვობის დღეებთან დამეკავშირებინა. ვფიქრობდი, რომ ჩემი მამა-პაპის სასახლეების მსგავსად აგებულ შენობაში უკეთ შევძლებდი მუშაობას და დასვენებას.

რ. მიშველაძე – ჩემი ფიქრით, თქვენ რომანტიკული ბუნების მწერალი ბრძანდებით. თქვენს ნაწერებში ამაღლებულ გრძნობებზეა ლაპარაკი, თქვენ ნაკლოვანებათა მხილებისათვის და ადამიანის სულში ნეგატიური მხარეების

ძებნისთვის თითქმის არ მოგიცლიათ. როგორ უცქერით „მოყვარეს პირში უძრახეს“ პოლიტიკას?

კ. გამსახურდია – ადამიანის გაკეთილშობილების ამოცანა მე ზოგი მწერლისგან განსხვავებული გზით – კეთილშობილი, ძლიერი ადამიანების ხატვით დავისახე. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ მე „მამხილებელი“ მწერალი არ ვიყო. თუ დააკვირდებით, თითქმის ყველა ჩემ მიერ დახატული პერსონაჟი წინააღმდეგობრივი ბუნებისაა. ისინი რთული ადამიანები არიან. ებრძვიან ბოროტს თავიანთ არსებაში. თქვენ სწორი ბრძანდებით; მე გავურბოდი წვრილმანებზე, ადამიანურ სანაგვეზე წერას. ეს ალბათ, ჩემმა სტილმა და ჩემი ნაწარმოებების ჟანრულმა სისტემამაც გამოიწვია. მოგეხსენებათ, მე ხშირად მეფეთა და დიდებულთა ცხოვრებას აღვწერდი და არ შემეძლო მათი სული ტეტიათა ვნებებით დამემძიმებინა. ხოლო „მოყვარეს პირში უძრახე“ კლასიკური ზნეობრივი სიბრძნე და მწერლის პირდაპირი მოვალეობაა.

რ. მიშველაძე – როგორ უცქერით „კმაყოფილი მწერლის“ პრობლემას? გთხოვთ შეკითხვა სწორად გამიგოთ.

კ. გამსახურდია – კმაყოფილება ძილს იწვევს. მწერალი კი თავისი ერის სიფხიზლის სადარაჯოზე უნდა იდგეს. „მაღლა მფრენი დაბლაც ხედავს, უფრო ნათლად, უფრო დიდადო“, – იტყოდა აკაკი. მწერალი სხვებზე უკეთ უნდა ხედავდეს თავისი დროის, თავისი საზოგადოების ნაკლოვანებებს და განგაშს სტეხდეს. მომწონს ფხიზელი, ნაკლოვანებებთან შეურიგებელი, გაბედული მწერალი, მაგრამ ყველაფრის უარმყოფელი, ნიადაგ უკმაყოფილო, ნიადაგ მოწუწუნე მწერალი მძულს.

რ. მიშველაძე – წერის პროცესში თუ ფიქრობთ ნაწარმოების ჟანრზე?

კ. გამსახურდია – კი. უფრო სწორად, მოფიქრებული მაქვს და გადაწყვეტილი. ჟანრი თუ გარკვეული არა გაქვს, ისე წერის დაწყება უაზრობაა. მაგრამ ხშირად დამიწყია რომანის წერა ისე, რომ სიუჟეტი ბოლომდე არ მქონია მოფიქრებული. ძნელია წინასწარ მომავალი რომანის ზუსტი სქემის შედგენა. სწორედ მაშინ გამოდის იგი სქემატური.

რ. მიშველაძე – მკითხველთა ერთი ნაწილი თვლის, რომ თქვენს რომანებში უხვადაა ავტობიოგრაფიული ეპიზოდები. რას იტყვით ამის შესახებ?

კ. გამსახურდია – სწორია. თითქმის ავტობიოგრაფიულია „დიონისეს ღიმილი“, „მთვარის მოტაცება“ და, თქვენ წარმოიდგინეთ, „დიდოსტატის მარჯვენაც“, „ავტობიოგრაფიულის“ სწორი, შემოქმედებითი გაგებით.

რ. მიშველაძე – წიგნად გამოცემის შემდეგ თუ კითხულობთ თქვენს წიგნებს და განიჭებთ თუ არა სიამოვნებას?

კ. გამსახურდია – კი, დაბეჭდილს სხვა ძალა აქვს და მეც საკუთარ ნაწარმოებს მუშტრის თვალით ვკითხულობ. გაგიმხელთ და, დაბეჭდილი ხანდახან მომწონებია, ვიდრე ხელნაწერი.

ზოგი მთელი ცხოვრების მანძილზე ერთ რომანს წერს: გამოაქვეყნებს, გადააკეთებს, ისევ გამოაქვეყნებს და ასე გაუთავებლად. მე ამგვარი უთავბოლო „გადამუშავების“ მომხრე არა ვარ. ბოლოს და ბოლოს ხომ უნდა დასვა წერტილი.

რ. მიშველაძე – 1876 წელს ლევ ტოლსტოიმ დაწერა: „შიში მიპყრობს, რადგან ვგრძნობ, როგორ მეუფლება საზაფხულო განწყობილება, მეზიზღება ყველაფერი, რაც დამიწერია. ახლაც მიდევს კორექტურები აპრილის წიგნისა და ვშიშობ, ძალა არ მეყოფა მათ გასასწორებლად. ყველაფერი საძაგე-

ლია, ყველაფერი გადასაკეთებელი, ყველაფერი, რაც დაიბეჭდა, უნდა აჭრელდეს, გადაიყაროს, დაიგმოს. მერე კი ვაღიარო: მაპატიეთ, მეტს აღარ ვიზამ-მეთქი, და ვწერო სულ სხვა რამ – ახალი, ოღონდ არა ასეთი აბდაუბდა, რაც არც წყალია და არც ღვინო“. თქვენ თუ გეუფლებათ უკმარისობის ასეთი განცდა. ეჭვი ზოგი თქვენი ნაწარმოების მიმართ?

კ. გამსახურდია – არა. როცა ეს დაწერა, ტოლსტოი, ალბათ, სულიერ დეპრესიას განიცდიდა, არ შეიძლება ასე ხელაღებით უარყო ის, რაც (თუნდაც მცდარი) მთელი ცხოვრების მანძილზე გიკეთებია.

რ. მიშველაძე – თქვენი რომანებიდან გამორჩეულად რომელი გიყვართ? რომელ მათგანზე ფიქრობთ, რომ ჩანაფიქრი შედარებით უფრო ზუსტად განახორციელეთ და სრულყოფილებას მიაღწიეთ?

კ. გამსახურდია – თქვენ, კრიტიკოსები, მწერალს, სხვათა შორის, ერთ ახირებულ თვისებასაც მიაწერთ; ბევრი კრიტიკოსისაგან გამიგონია: მწერალს თავისი დაწერილი გენიალურად ეჩვენებაო. ასე არ არის. ყველაზე უფრო მწერალი (რა თქმა უნდა, თუ იგი ჭკუდამჯდარი მწერალია და ზოგი ნაცნობივით მანიაკი არ არის) გრძნობს თავისი ქმნილების ნაკლოვანებებს არა მარტო დასრულებული ნაწარმოებებისას, არამედ თვით წერის პროცესშიც. მე ხშირად შევწუხებულვარ იმის გამო, რომ ესა თუ ის თავი ისე არ გამომდიოდა, როგორც მსურდა. წამიშლია, თავიდან დამიწერია, ზოგჯერ მთელი თავებიც გადამიყრია.

მიჭირს თქვენს კითხვაზე პასუხის გაცემა. სიყვარულით მე ყველა მათგანი თვისებურად მიყვარს. თუ მაინცდამაინც საჭიროა, გამოვყოფდი „დიდოსტატის მარჯვენას“ და „მთვარის მოტაცებას“.

რ. მიშველაძე – რომელი რომანის წერა გაგიჭირდათ ყველაზე მეტად?

კ. გამსახურდია – რა გაქვთ მხედველობაში?

რ. მიშველაძე – ვთქვათ, ძნელად გეწერებოდათ, ეპიზოდების მოფიქრება გიჭირდათ. სიუჟეტის განვითარება ისე ვერ წარიმართა, როგორც გსურდათ.

კ. გამსახურდია – მე, საერთოდ, ძნელად და ცოტას ვწერდი. მე არ ვეკუთვნი სწრაფმწერთა რიცხვს. ღამეები მითენებია ერთ ნიუანსზე, ერთ ფრაზაზეც კი ზოგჯერ, ვინც სწრაფად და გარბენით წერს და წელიწადში საშუალოდ თითო რომანს აცხობს, ამგვარად დაწერილ რომანს ზედვე ეტყობა.

განსაკუთრებით გამიჭირდა „დავით აღმაშენებლის“ წერა. დავით აღმაშენებლისადმი ბავშვობიდანვე მოკრძალებას და შიშსაც განვიცდიდი. მერე ბედმა მარგუნა ისე შევთამამებოდი დავითს, რომ დამეწერა, როგორ ილაპარაკებდა იგი, როგორ მოიქცეოდა ამა თუ იმ სიტუაციაში. ეს, ჩემი მხრივ, დიდი შებედვა იყო იმ კაცის მიმართ, რომელსაც მწერლობაშიც დიდ ავტორიტეტად ვთვლი, „გალობანი სინანულისანი“ დიდი მწერლის დაწერილია.

ასევე მიჭირს ახლა „თამარის“ წერა. თამარ მეფე ჩვენმა ხალხმა სრულიად სამართლიანად გააღმერთა. იგი ყველაზე ჭკვიანი და ყველაზე ლამაზი ქალია ჩვენთვის. იგი ჩვენი დიდი დედაა. ბრძენი, შორსმჭვრეტელი მეფე. მაგრამ თამარი ამავე დროს ქალი გახლდათ და თავისი ადამიანური ვნებები ჰქონდა. მოდი ახლა და, იმ ვნებებზე, ხანდახან მიწიერ საკითხეზეც ელაპარაკე მკითხველს, რომლისთვისაც თამარი თითქმის ზეციური არსებაა. არადა, ჩემი რომანის ღირსება არარა იქნება, თუ მე

თამარი დავხატე მხოლოდ ბრძენ მეფედ და არ ვაჩვენე იგი, როგორც ქალი.

რ. მიშველაძე – როგორ უცქერით კრიტიკას? შეასრულა თუ არა კრიტიკამ თქვენს შემოქმედებაში რაიმე როლი?

კ. გამსახურდია – რა თქმა უნდა. კრიტიკას ყოველთვის ყურადღებით ვუსმენდი. კრიტიკოსი, რასაკვირველია, წერას ვერ გასწავლის, მაგრამ იგი აუცილებელი, შეუცვლელი კაცია მწერლობაში, სხვა არა იყოს რა, ზოგჯერ მესიამოვნება კრიტიკოსის მიხვედრის უნარი, უმართებულო კრიტიკაც კი მწერალს ენერგიას უასკეცებს.

ზოგიერთი მწერალი რომელიმე ახალბედა კრიტიკანის აზრს მის რომანზე, მთელი საქართველოს აზრად მიიჩნევს და სასოწარკვეთა იპყრობს, ეს საშინელებაა. როგორ შეიძლება კრიტიკამ გული გაგიტეხოს, საერთოდ გული იმას უტყდება, ვისაც თავისი თავის იმედი არა აქვს. უნდა იფიქრო: ამ ერთ კაცს შენს რომანზე ეს აზრი აქვს, მაგრამ არსებობს დანარჩენი, ურიცხვი რაოდენობა მკითხველისა, ვისაც შენი სწორად ესმის. როცა ამას გაიფიქრებ, შენც დამშვიდდები და ის კრიტიკოსიც არ მოგეჩვენება ლიტერატურულ ურჩხულად, საერთოდ კი „წუნკლად ნასროლი ისარი, მსროლელსავე უბრუნდება“.

რ. მიშველაძე – თქვენი რომანების თარგმნა ადვილი არ არის. თქვენი სტილის სპეციფიკურობა მთარგმნელისგან დიდ სიფრთხილეს და ოსტატობას მოითხოვს. როგორ ფიქრობთ, ვინ გთარგმნათ ყველაზე უკეთ, ვინ მიუახლოვდა ყველაზე მეტად ორიგინალს.

კ. გამსახურდია – ფრანგულში – დომეკი, ინგლისურში – ვახტანგ ერისთავი, რუსულად კარგად მთარგმნა ელიზბარ ანანიაშვილმა.

რ. მიშველაძე – საერთოდ მანძილის შემცირებისა და პოლიგლოტობის გამრავლების ჩვენს ეპოქაში როგორ უცქერით თარგმნის მომავალს?

კ. გამსახურდია – მხატვრული ლიტერატურის თარგმნა მხოლოდ ნაწილობრივაა შესაძლებელი. პროზა კიდევ ჰო, მაგრამ ლექსის თარგმნა მე თითქმის წარმოუდგენლად მეჩვენება. მაგრამ მთარგმნელი, ლიტერატურის ეს კეთილშობილი და თავმდაბალი მუშაკი, ჯერ კიდევ დიდხანს დაგვჭირდება, სანამ მკითხველი დედანში შეძლებდეს ყველაფრის წაკითხვას. ეს იდეალური დრო ალბათ ოდესმე დადგება, თუმცა რიგით მკითხველზე რა მოგახსენოთ, როცა უცხო ენის ცოდნაზე ზოგი ჩემი კოლეგაც მწყრალად არის.

რ. მიშველაძე – ადრე თქვენს კრიტიკოსებს მწვავე პოლემიკას უმართავდით. ბევრ კრიტიკოსს უწვნევია თქვენი პოლემიკური მახვილი. უპასუხებდით თუ არა დღესაც კრიტიკოსს, რომელმაც თავს ნება მისცა და სრულიად უმართებულოდ გაგაკრიტიკათ?

კ. გამსახურდია – ადრე ვპასუხობდი იმიტომ, რომ სხვა გზა არ მქონდა. საჭირო იყო ჩემი სიმართლის დაცვა, ჩემი მწერლური პოზიციის განმტკიცება.

ახლა ჩემს სამწერლო ავტორიტეტს დაცვა აღარ სჭირდება. მით უმეტეს ჩემგან უხერხულია.

მოდექით და მაკრიტიკეთ. რამდენიც გნებავთ, პასუხს ნუღალ ელით. არა მცალია.

ისე, მწერლისა და კრიტიკოსის პაექრობა, თუ იგი კინკლაობაში არ გადადის, ყოველთვის საინტერესო საკითხავია. ორივენი თავიანთ სიმართლეს იცავენ, უნებლიედ ამჟღავნებენ ნაწარმოების ნიუანსებს, რაც, შეიძლება, მკითხველს არც კი შეემჩნია.

რ. მიშველაძე – მე წამიკითხავს თქვენი ლექსი და რამდენიმე წლის წინათ ამ ლექსებზე წერილიც კი შემოგბედეთ. რამდენადაც ვიცი, თქვენ ახლა ლექსებს აღარ წერთ. რამ გამოიწვია პოეზიიდან პროზაში თქვენი კვალიფიცირება, როდის დარწმუნდით (და რა მიზეზით), რომ ლექსები თქვენი საქმე არ იყო?

კ. გამსახურდია – ლექსს ლიტერატურის უმაღლეს ფორმად ვთვლი და დიდ პატივს ვცემ, მაგრამ ერთი საიდუმლოება უნდა გაგიმჟღავნოთ; არ ვიცი ჩვენი ენის ბუნების, თუ სხვა მიზეზთა გამო, ქართული ლექსი კავკასიონის უღელტეხილს იქეთ ვერ გადადის. მხოლოდ ლირიკულ ლექსზე მოგახსენებთ და რუსთაველს, რასაკვირველია, არ ვგულისხმობ.

თვით გალაკტიონიც ვერ ითარგმნა, იქნებ ვცდები, მაგრამ მე, ალბათ, ლექსისთვის ვეღარ მოვიცლი.

რ. მიშველაძე – ვინ მიგაჩნიათ თქვენს ლიტერატურულ მასწავლებლად?

კ. გამსახურდია – ახლა იმ ასაკში გახლავართ, რომ მასწავლებელი აღარ მყავს.

რაც შეეხება კითხვას, გიპასუხებთ, ჩემს მასწავლებლად ვთვლი რუსთაველს, საბას, ტოლსტოის, მერიმეს, ბალზაკს.

რ. მიშველაძე – თუ შეგიმჩნევიათ, რომ თქვენი შემოქმედების რომელიმე, ადრეულ ეტაპზე ამა და ამ მწერლის გავლენას განიცდიდით. ბაძავდით ნებით თუ უნებლიედ და ვინ იყო იგი?

კ. გამსახურდია – მე მგონი, ბალზაკს ადრე. რაც შეეხება იმპრესიონიზმს, რომელსაც თურმე ჩემი შემოქმედების პირველ ხანებში ხარკს ვუხდიდი, ეს კრიტიკოსების მოგონილი გახლავთ. ვერავითარ იმპრესიონიზმს ჩემთან ვერ იხილავთ.

რ. მიშველაძე – როგორ შეადგენდით მეოცე საუკუნის ქართული პოეზიის საუკეთესო ხუთეულს?

კ. გამსახურდია – გალაკტიონ ტაბიძე, გიორგი ლეონიძე, კონსტანტინე ჭიჭინაძე, ირაკლი აბაშიძე, შოთა ნიშნიანიძე. ძალიან მიყვარს აგრეთვე ანა კალანდაძე, იოსებ ნონეშვილი და მუხრან მაჭავარიანი.

რ. მიშველაძე – ახალგაზრდა თუ საშუალო თაობის ქართველი პროზაიკოსებიდან ვინ მიიქცია თქვენი ყურადღება?

კ. გამსახურდია – რევაზ ინანიშვილმა, ლადო მრელაშვილმა, ნოდარ დუმბაძემ, ოტია იოსელიანმა, ნოდარ წულეისკირმა.

რ. მიშველაძე – როგორ წერთ? წელიწადის ყველა დროს თანაბარზომიერად თუ ერთბაშად? ღამით უფრო გეწერებათ თუ დღისით? დღე-ღამეში რამდენ საათს გძინავთ?

კ. გამსახურდია – მქონდა წლები, როცა დღე-ღამეს ვასწორებდი. დიდი ესქპლუატაცია გავუწიე ჩემს ჯანმრთელობას. წლებს თავისი მოაქვს. ახლა მალე ვიღლები. ისე, თითქმის ყველაფერი ღამით დავწერე. ახლაც ღამით ვწერ.

ღამით ფანტაზიას მეტი გასაქანი აქვს. მწერალი ღამით უკეთ ხედავს, რადგანაც ემოციები ნაკლებია და საოცარი, იდუმალი სიწყნარეა ირგვლივ.

რ. მიშველაძე – რატომ შეწყვიტეთ „ლანდებთან ლაციცის“ წერა?

კ. გამსახურდია – ერთბაშად შევნიშნე, რომ მოგონებების წერა ჩემთვის ნაადრევი იყო. თანაც შემეშინდა, ჩემი სიყმაწვილის მოგონებებით (მე პირდაპირი კაცი ვარ საერთოდ) ვინმესთვის არ მეწყენინებინა.

თუმცა ეს ყოველივე ნაკლებმნიშვნელოვანია. მთავარი მიზეზი ის გახლავთ, რომ „თამარზე“ დავიწყე მუშაობა და „სალაციცოდ“ ვერ მოვიცალე.

რ. მიშველაძე – რა დროს ანდომებთ ნაწარმოების ენის დახვეწას, როცა შავად დაამთავრებთ. ბევრს შლით? ბევრს ასწორებთ. გიხდებათ თუ არა რამდენჯერმე გადაწეროთ რომანი? (თუ პირდაპირ „თეთრად“ წერთ?).

კ. გამსახურდია – გამოგიტყდებით, ბევრს ვფიქრობ, მაგრამ მელანს ბოროტად არ ვიყენებ. სანამ გონებაში არ დავხვეწავ, არ დავწერ. მერე ცოტას ვასწორებ. წაშლა არ მიყვარს. ისე, „მთვარის მოტაცება“ ოთხჯერ გადავწერე.

რ. მიშველაძე – თქვენ მძიმე ავადმყოფობა გადაიტანეთ. გაქვთ თუ არა სიკვდილის შიში? გეუფლებათ თუ არა სევდა სრულიად უნებურად მაშინ, როდესაც შეძლებისდაგვარად მხიარულ გუნებაზე ხარ?

კ. გამსახურდია – შიში არ ვიცი სიკვდილის, მე საერთოდ მხიარული კაცი ვიყავ უკანასკნელ წლებამდე. გთხოვთ სწორად გამიგოთ, მე დიდი უბედურებანი გადავიტანე.

რ. მიშველაძე – თქვენ უამრავი წიგნის ავტორი ბრძანდებით. თქვენი ნაწერების მხატვრულ დიდებულებას რომ თავი დავანებო, თქვენ ჩვენი დროის ერთ-ერთი ყველაზე პროდუქტიული მწერალიც ბრძანდებით. ალბათ სხვადასხვა დროს ჰონორარიც დიდი რაოდენობით მიგიღიათ. მდიდარი კაცი ხართ?

კ. გამსახურდია – ჰონორარი, მართლაც, ბევრი მიმიღია, მაგრამ მდიდარი არა ვარ. ფულს ვერასოდეს ვინახავდი. იყო წლები, როცა ძალიან მიჭირდა. განსაკუთრებით „რაპპის“ დროს. დახმარების მეგობრულ ხელს ხშირად მიწვდიდნენ მეგობარი რედაქტორები და გამომცემლობათა დირექტორები: ირაკლი აბაშიძე, გიორგი ნატროშვილი, კარლო კალაძე.

რ. მიშველაძე – ადამიანში რა თვისებას აფასებთ ყველაზე მეტად?

კ. გამსახურდია – ვაჟკაცობას, გამბედაობას, შრომის სიყვარულს, ამტანობას. გახსოვთ ილია? „ქვეყანა ტაძარი კი არ არის, საცა კაცი ლოცულობდეს, არამედ სახელოსნოა, საცა უნდა ირჯებოდეს და მუშაობდეს“.

რ. მიშველაძე – უკანასკნელ ათწლეულში გამოქვეყნებული რომანებიდან რომელს გამოარჩევდით?

კ. გამსახურდია – გთხოვთ ამარიდოთ ეს შეკითხვა, ჩემთვის ძნელია რომელიმეს გამოყოფა. დღეს ქართულ პროზაში თითქმის თანაბარი დონეა. მისი ყველაზე დიდი ნაკლიც ეს არის.

რ. მიშველაძე – გოგოლს გენიალური „რევიზორის“ და „მკვდარი სულების“ სიუჟეტი პუშკინმა მიაწოდა, თქვენ თუ დაგიწერიათ რაიმე სხვის მიერ შემოთავაზებული სიუჟეტით?

კ. გამსახურდია – კონკრეტულად არ მახსოვს. ისე სხვათა ნაამბობი, ყურმოკრული ამბავი, ან ახლობელთა მიერ განცდილი და გადატანილი ბევრი გამომიყენებია. ჩემს წინაშე არასოდეს მდგარა სიუჟეტის საკითხი. სიუჟეტების ნაკლებობა არ მიგრძვნია, და არც სიუჟეტის სასესხებლად მივდგომივარ ვინმეს კარზე. როცა იცი რა უნდა დაწერო, სიუჟეტი თავისთავად მოდის.

რ. მიშველაძე – რა აზრისა ხართ თქვენი რომანების ეკრანიზებაზე?

კ. გამსახურდია – აღიარებული ნაწარმოებების კინოს ენაზე თარგმნა საერთოდ არ მწამს. იშვიათად, რომ ეკრანიზაცია კარგად დამთავრებულიყოს. კინოს თავისი სპეციფიკა აქვს. თვით ნიჭიერი რეჟისორების ხელშიც კი ჩემი რომანებიდან ჩრდილიც აღარ დარჩა. ვუყურებდი ჩემს გმირებს ეკრანზე და მრცხვენოდა მათ მაგიერ. მე ისინი ასე

სქემატურებად და უსუსურებად არ დამიხატავს. ქართული კინო საერთოდ ცუდ დღეშია. სერგო ზაქარიაძის შემდეგ აღარ დარჩა დიდი პროფესიონალი მსახიობი კინოში (არ გამცეთ და, არა მარტო კინოში).

რ. მიშველაძე – სპორტი თუ გიტაცებთ?

კ. გამსახურდია – სპორტის გარეშე კულტურული კაცი ვერ წარმომიდგენია. საქართველო მითაჟამიდან სპორტული ქვეყანა იყო. განსაკუთრებით მიყვარს ჭიდაობა და ტყვიით სროლა. სპორტის ორივე სახეში საკმაოდ დაოსტატებული ვიყავი ერთ დროს.

რ. მიშველაძე – სხვადასხვა დროს ვინ იყვნენ და ახლა ვინ არიან თქვენი მეგობრები?

კ. გამსახურდია – გიორგი ნიკოლაძე, კონსტანტინე ჭიჭინაძე, ივანე ჯავახიშვილი, ჯვებე იოსელიანი, აკაკი შანიძე, გრიგოლ წერეთელი, პავლე ინგოროყვა, კორნელი კეკელიძე, ანდრია რაზმაძე, ქრისტოფორე რაჭველიშვილი, ალექსანდრე აბაშელი, გალაკტიონ ტაბიძე, პაატა გუგუშვილი, ირაკლი აბაშიძე, სერგი ჭილაია, აკაკი გაწერელია, გიორგი ნატროშვილი, ბესარიონ ჟღენტი, ელგუჯა მაღრაძე.

რ. მიშველაძე – როდის დაამთავრებთ „თამარს“?

კ. გამსახურდია – თუ ღმერთმა დამაცალა, გაისად ვფიქრობ. ინტენსიურად ვეღარ ვმუშაობ. ხუთი ფორმა დაწერილი მაქვს, ოცი დასაწერი.

რ. მიშველაძე – დაგღალეთ არა, ბატონო კონსტანტინე?

კ. გამსახურდია – რა დაგიმალოთ და, კი.

რ. მიშველაძე – უღრმესი მადლობა. კარგად ბრძანდებოდეთ.

17.V.1975.

მინაწერი:

მეორე დღეს სუფთად გადაწერილი „დიალოგით“ ისევ შევაწუხე გამსახურდიების ოჯახი.

თვლემდა.

სხვა დროს მოვალ-მეთქი, მაგრამ ზვიადმა – არ სძინავს, ათი წუთის წინ მელაპარაკაო.

– მამავ, ბატონო, – მარჯვენაზე ფრთხილად შეეხო – რეზო მიშველაძე გეახლათ, გუშინდელი საუბრის ჩანაწერი უნდა შეგითანხმოთ.

– ა?! – მკვირცხლად შეტრიალდა ზვიადისკენ. მერე მე ამხედა.

– წამიკითხე აბა, ცოტა ხმამაღლა.

როცა ვუკითხავდი, ზოგჯერ შემაჩერებდა, აბა, ეგ ადგილი კიდევ ერთხელ წამიკითხეო.

კითხვა რომ დავამთავრე, ნაწერი გამომართვა და ბოლო გვერდს დააწერა: „თანახმა ვარ დაიბეჭდოს. კონსტანტინე გამსახურდია“.

წვიმს იმერეთში

ისე გულდაგულ, ისე ერთგულად, ისე ცასრულად წვიმს, ჭოგრიტითაც რომ აიხედო, ვერ შეატყობ, თუ ოდესმე გადაიღებს და ვერც იმას გაარკვევ, არის თუ არა ახლა სადმე ამ დუნიაზე მშრალი მიწა.

„დაკარგულ სამოთხეში“ რომ იმერელი აზნაურის კონწიალა ჭიშკარია ისეთი ხის, ძლივს დაკიდული ჭიშკარი აქვს ოტია იოსელიანს.

სახლი – დარეჯანის სასახლისმსგავსი, მოხვეულაივნიანი შენობა ეზოს სიღრმეში დგას. მასპინძელს ფართო აივანი შეუმინავს და სწორედაც მოქცეულა. რა მოაჯირიატაკი გაუძლებდა ამ წვიმებს.

ჭიშკარს მივადექი და „მაინძელოს“ ძახილით გავსკდი.

მარცხნივ, დამრეც ეზოში ფუტკრის ოციოდე სკა დგას, მარჯვნივ ეზოს სიღრმეში – ლიმონარიუმი, ოდის ქვეშ ძველთაძველი, აგურისფერი „ნივა“, ხოლო ნივის გვერდზე ხელის ტრაქტორი მოჩანს.

კიბის თავზე უშველებელი, რუხნაცრისფერი ნაგაზი გადმოდგა, ერთხანს მიყურა. მერე წინა ფეხებზე გაიჭიმა, ბოლო დაძახებაზე აივნის კარი გაიღო. წელში შესაშურად გამართული სვანურქუდიანი მასპინძელი გამოვიდა, განუყრელი მუნდშტუკით ხელში. ნურას უკაცრავად, ჭიშკრისკენ არ გამოქცეულა.

– რომელი ხარ?!

– რეზო ვარ, რეზო მიშველაძე!

– მერე რას უყურებ მაქანა, ვერ ამოხვალ ზეით?!

– ძაღლი? ძაღლის მეშინია!

– მიდი ბოხოია, ამოუძეხი სტუმარს!

ლომისხელა ძაღლი ზანტად ჩამოკიბევდა და წინ დამიდგა.

– წამოდი, წამოდი თამამად. ნუ გეშინია. მაინცდამაინც გინდა მეც დავსველდე? ხო ხედავ, რა თავსხმაა. რავა ფიქრობ, საეჭვოდ გავხდი მე შენს ამოსვლას ამ კიბეზე? ან იმნაირ ძაღლს გავაჩერებ სახლში, სტუმარს რო შეუღრენს? ბოხოიამ იცის თავისი საქმე. ბარე ორ კაცს ჯობია, რომ იცოდე, ჭკუით.

შემეგება, გადამეხვია. სველი ქუდ-მოსასხამი ჩამომართვა.

– კიდო კაი, რომ მოაგენი შენს სახლს. სულ ვიცი, შენი გეოგრაფია; როის იყავი ქუთაისში, როის ბათუმში. გაჩვენებენ ტელევიზიით და ვიტყვი; ე, სადაცაა გამეივლის თქვა. გაგიგონია?!

ამას სტუმარმონატრებული კაცის იერით მეუბნება, მაგრამ ლოდინით დაღლა არ შემატყონო და კილოს იცვლის:

– დიდხანს მიძახე? ზეით ვიყავი, წევიმუშავებ პატარას თქვა, კაი ამინდში ვინ მოგაცლის. ბოხოია რო შამევიდა, იმაზე მივხვდი, რომ ვინცხა მევიდა, თვარა დაძახება არ ისმის. მით უმეტეს, თუ კარი ჩაკეტილი მაქვს. მე ვთქვი, არავინ დამიბარებია და ვინ მევიდა ამდილას-თქვა.

მივხვდი, ჩემს დაძახებებს შორის ის დრო იყო გასული, რაც სვანური ქუდის, სერთუკის მორგებას და მუნდშტუკის გაწყობას დაჭირდა. თან ცალი თვალი ჭიშკრისკენ ჰქონდა, ამაო ძახილით მასპინძლის შინყოფნის იმედი არ გადამეწურა და უკან არ გავბრუნებულიყავი.

უზარმაზარ შუშაბანდ-დარბაზში ორი გრძელი მაგიდა დგას. ერთზე მოწნულ დევის გობებზე დახვავებული ხურმა, ვაშლი, მსხალი, მანდარინი, შექიშმიშებული ადესა და ქლია-

ვის ჩირია, მეორეზე – ქაღალდები და წიგნებია უწესრიგოდ გაშლილი.

თხუთმეტიოდე წუთში აგუზგუზებულ ბუხართან თაფლით, კვახით, ყვითელი ჭადით, გადასარევი ყველნადუღით, ჩურჩხელებით, ლალისფერი ღვინით გაწყობილ ტაბლას ვუზივართ და ვმუსაიფობთ.

– მაგ გაუფრთხილებელ სტუმრობაზე ერთ ახალ ქუთაისურ ანეკდოტს გეტყვი, – მე დავიწყე.

– ჰო?! რომელია. თუმცა, რომც გამეგონა, ანეკდოტებს მაინცდამაინც ვერ ვიმახსოვრებ. ერთს ვარ დაკვირვებული; ბევრი ქუთაისური ანეკდოტი თბილისიდან ჩამოდის ქუთაისში, იქანა ხვარ იგონებთ?

– შუაღამე გადასულია, კარზე ბრახუნი ისმის. უშუქობით, უფულობით გაწამებული ქუთაისელი ლოგინიდან დგება და კარისკენ მიდის: – რომელი ხარ? – ქურდები ვართ! – მასპინძელი კარს აღებს: – აგაშენათ ღმერთმა, მე სტუმრები მეგონეთ?

მასპინძლის ომახიანი ხარხარი, ბუხრის გვერდზე დაკიდებულ თამბაქოს ფოთლებს არხევს. მერე სწრაფადვე მოიწყენს, მუნდშტუკს მიმწვარ სიგარეტს გამოუცვლის და იწყებს.

ისეთი ენერგიით და სხაპასხუპით ლაპარაკობს ჩემი ოტია, რომ წინადადებებს შორის პაუზის იმ ღრიჭოსაც არ მიტოვებს, შორისდებულები მაინც რომ ჩავურთო.

– რაც ამ ანეკდოტშია, მეტი თავის მოჭრა არ უნდა ქვეყანას. რასაკვირველია, გენიოსია, ვინც მაგი თქვა, მარა შენ რას შობი, შენ სად მიდიხარ, იმერეთო, სტუმარი რო თავს გერჩივნა. ქურდი ჯობია, აპა რაი. მიივლ-მეივლის და რო ვერაფერს ნახავს წასაღებს, ქე წავა თავის გზაზე. სტუმარი? პერანგი უნდა გაყიდო და პატივი სცე, მარა, პერ-

ანგიც რო არ გაქ? პერანგიც რო არ შეგარჩინეს?

არ გეგონოს, რომე შენს შესახედავათ ვეწევი ამ იაფიან თუთუნს და ვიწამლავ თავს. არ მაქ მეტის საშუალება, გჯერავს შენ? მე, ოტია იოსელიანს, ათი წელიწადია წიგნი არ გამომიცია. წიგნის ბეჭდვაში ფული შენ უნდა გადეიხადო და შენ გაყიდო მერეო. ხელიდან რო გართმევდენ, ვინ მამაძაღლი. ამევიღლიავებდი და ჩამევივლიდი, მარა დღეს ოღონდ წიგნს ნუ დაანახვებ კაცს და მოკალი თუ გინდა.

არ გეგონოს, ვწუწუნებდე. ჩემს თავზე ლაპარაკი არაა ეს – ქვეყანაზე ლაპარაკია. რანაირათ უნდა გემუშავა ხალხზე, რომელმაც რუსთაველი შობა, რო წიგნი შეგეძულებია. ასი ათას ტირაჟით გამევიდოდა ჩემი წიგნი და ორ დღეში მე თვითონ ვეღარ ვშოულობდი საყიდლათ.

დავანებოთ თავი მწერლობას. თუ იცი, ვინ ვარ მე – ოტია იოსელიანი. მე ვყოფილვარ გრანტების და სესხების გამანაწილებელი კომისიების წევრი თუ თავმჯდომარე. არ უთქვიათ კარგათ – ზოგი კომისიის წევრი ვარ, თურმე, ზოგის – თავმჯდომარე.

ჩემი განაწილებით გადის თურმე, საზღვარგარეთი რო გრანტებს და ტრანშებს გვაძლევს. დეიჯერებ? თვითონ ღებულობენ და თვითონ ინაწილებენ. ვინ მეძახის მე, ვინ მრევს საქმეში. შემთხვევით გავიგე. ვინცხა მევიდა, წევრი ხარ კომისიის და მიშველეო. რაის კომისიის, შენ ხვარ გადეირიე, მე ვუთხარი. მაგ ჭკუაზე არიენ, მე გამანაწილებიებენ თბილისში ფულს-თქვა.

დააქციეს და დაანელეს ქვეყანა.

საზღვარგარეთულ დახმარებაზე, ერთხელ ვთქვი იმისი არ იყოს, სანამ უნდა იყო გრანტის იმედზე, დასავლეთის გადმოგდებულ ძვალზე შეჩერებული. შეიძლება ქვეყანა მათხოვრათ იქცეს და ეამაყებოდეს თავისი მათხოვრობა?

აპა რაია. დახმარებას ვინც იძლევა, ისაა კაცი, თვარა ვინც ღებულობს მათხოვარია.

გეიყიდა ქვეყანა. მარანს, ღვინის ქარხანას რო გაყიდის. ღვინის ქვეყანა, დაქცეულია, აპა რა არის. საცხა წავიკითხე გუშინ, გურჯაანის ღვინის ქარხანა უყიდიათ ებრაელებს. თეთრი ღვინო არ გვინდაო, გამოუცხადებიათ და შავყურძენი ჩეიბარეს თურმე მარტო. ადგება ახლა მევენახე და თეთრ ყურძენს, იმ გადასარევ რქაწითელს აჩეხავს. აპა თუ არავინ ჩეიბარა, თუ ვერ გაყიდა, რა ქნას იმანაც. ჯერ სადა ხარ თურმე. რაცხა ჭანჭიკი ჩავარდნიათ ამ სახლისხელა ცისტერნაში ნაშრომ-ნაოფლარი. ღვინო ნიაღვრად მოდიოდა თურმე და ალაზანს ერთვოდა. იდგა კახელი მევენახე და ტიროდაო, ჟურნალისტი წერს.

მარანი რავა გაყიდე, მიწას რავა ყიდი შენ რომ მთავრობა ხარ, შე კაი კაცო, იყიდება საქართველოვო, ნიკო რო წერს. ნიკოს დროს რა იყიდებოდა?! საქართველოს ტაოც ჰქონდა, სოჭიც, აფხაზეთიც, სამაჩაბლოც, ლორეც და საინგილოც. ახლა? ახლა იყიდება, თუ იყიდება. ვყეფთ მე და შენ, მარა ვინაა გამგონე. ნიკოს ყეფაც ოთხმოცი წლის მერე გეიგონეს, მაშინვე არ გოუგონიათ, ნუ გეშინია. სქელი ყურის აპკი აქვს ხალხს და მთავრობას. უნდა უჩიჩინო, უჩიჩინო და შეიძლება მაშინაც ვერ გააგებიო. კაია იმ პარლამენტში რო ხარ, მარა ქე მეცოდები, რო იცოდე.

– პარლამენტი, თვარა ჩემს ჭკუაზე დადის. ოთხი წელიწადია ვბღავი – ქართველს ქართველი რომელიმე საბუთში მაინც ჩოვუწეროთ მეთქი. მივიღოთ კანონი, რო საქართველოში ქართული ენა სახელმწიფო ენად გამოცხადდესმეთქი – ვწუწუნებ.

– აგერ დეიბადა ჩემს მეზობლად ერთი კვირის წინ ბიჭი. შემომიფრიალა მამამისმა ტირილით დაბადების მოწმობა.

რა გატირებს ბიჭო-თქვა. ოვუწიე ყური. შეხედე, ოტია ბიძიაო. ჩემს ბოვშვს ეროვნების გასწვრივ სამი წერტილი ჩოუწერესო. რაშია საქმე, გამაგებიე ერთი. ძაღლს უწერია ჯიში და წარმომავლობა აგერ ჩემ ბოხოიას უწერია ჯიში და წარმომავლობა და კაცს არ უნდა ეწეროს?

– არაო, მიმტკიცებენ. ნუ გავახსენებთ ჩვენს სტუმრებს, რომ ჩვენ ქართველები ვართო. რომ ეს ქვეყანა ქართველების ქვეყანააო. ხო ნახე, რავა წამომეჭიმა ერთი უმწიფარა პარლამენტარი.

– ვერ მოდევი ერთი კისერში?

– ვინ გამიშვა.

– კი მარა, მისი ბოვშები რო გეიზრდებიენ და ვერ დაამტკიცებენ ქართველობას არ შერცხვება?

– ალბათ არა.

– პრეზიდენტი რას ამბობს?

– სამჯერ შევხვდი ამ საკითხზე, მარა გარკვევით ვერაფერს ამბობს. ხან აქეთაა, ხან იქით.

– რა ჰქნას მაგანაც. ჩემი არ იყოს, დროული კაცია და ხშირად ზედმეტ სიფრთხილეს იჩენს.

– მაგ „ზედმეტმა სიფრთხილემ“ დაგვღუპა და დაგვაგლახავა ჩვენ.

– ამას წინათ ჩემთან იყო. რაცხა ხმაური მემესმა. გადევიხედე, გავსებულია შუკა მანქანებით. ქე მითხრა შაშიაშვილმა უნდა მევიდეთო, მარა ზუსტი დროს და საათს მაგენი ხვარ გეტყვიენ. ამოდის ამ ჩემს კიბეზე პრეზიდენტი, ა, რავარც შენ ამოხვედი ახლა. მიმიღებო? ქე მკითხა სხვათა შორის. ვაჟაზე უკეთესს ვერაფერს მევიფიქრებ ასე სახელდახელოთ „დღეს სტუმარია ეგ ჩემი თუნდ ზღვა ემართოს სისხლის“-მეთქი. რა სისხლი მმართებს შენიო, იცინის. ჩემი კი არ გმართებს, საქართველოსი გმართებს, მე

ვუთხარი. რა უყავი ჩემი აფხაზეთი და ჩემი სამაჩაბლო, მე ვუთხარი. ოტია იოსელიანთან რო თავისუფლად ამოდიხარ, ეს გგონია შენ პრეზიდენტობა-თქვა? ისე უნდა მომკლა, რომ ვერ ჩევიდე ჩემს სახლში – ჩემს სოხუმში-თქვა? ამეიხვნეშა. მართალი ხარ, მარა არაა ეს ასე იოლი საქმეო. იოლი ჭადის გამოცხობაც არაა, მე ვუთხარი. სამი წელიწადი ვსწავლობდი მე ჭადის გამოცხობას-თქვა. შენ იცი თუ არა, რო მე დამნაშავეთ გყავარ გამოცხადებული და დღეს-ხვალ უნდა დამიჭირო-თქვა. კაი ერთიო, იცინის. სიცილი ქე უხდება სხვათა შორის. მართლა გეუბნები, ნუ იცინი, მე ვუთხარი. მე, მწერალი ოტია იოსელიანი, ვარ პარტიზანი, ჩინით მაიორი. ზურაბ სამუშიას პარტიზანული რაზმის წევრი. ვინ გკითხავდა შენ პარტიზანული მოძრაობის უკანონოდ გამოცხადებას. უნდა გაჩუმებულიყავი, აგერიდებია თვალი ჩვენთვის. პარტიზანობა ხალხის ნებაა. პარტიზანი რას აკეთებს, იცი? შეახსენებს მტერს ხანდახან, რო სხვის მიწაზე ცხოვრობს, არ ჩააძინებს, არ მოასვენებს. შენ, პრეზიდენტი წართმეულის დასაბრუნებლად ვერაფერს აკეთებ და ჩვენ რაცხას შევხოხდებით ჩვენს ტერიტორიაზე ხანდახან და ხეზე პატრიოტულ პლაკატს მივაკრავთ, იმასაც გვიშლი, შე კაი კაცო? მე ვუთხარი.

– რა გიპასუხა.

– რა უნდა ეთქვა. ვერაფერი. ხომ ხედავო, მაგის გულიზა დაიბომბა კოდორის ხეობაო.

– კაი სიტყვა გაქვთ პოლიტიკოსებს მოგონილი – „დაიბომბა“, მე ვუთხარი. კი არ „დაიბომბა“. უნდა თქვა რომ „რუსმა დაბომბა“, მე ვუთხარი. რუსი, ქე ვიცი, რასაც იზამს, მარა შენ რატო მოუწერე ხელი არძინბას, რო კოდორის ხეობაში ჯარს არ შეიყვან, რა ხათრი გაქვს არძინბასი ამნაირი, მე ვუთხარი.

– რა გიპასუხა?

– დავანებოთ ახლა პოლიტიკას თავიო. სტუმრად მოვედი, შე კაცო, ნუ ამავსე საყვედურებითო.

– აპა ვის ვუთხრა ე ჩვენი უბედურება. ხვალაც კი არ მეყოლები შენ აქანა, ამ ჩემ ბუხართან, მე ვუთხარი.

– კაი საქმეზე ვარ მოსული, ღირსების ორდენით დაგაჯილდოვეო, იღებს ჯიბიდან რაცხა წითელ კოლოფს.

– არ გეწყინოს მარა, უარი უნდა გკადრო მაგ ორდენზე, მე ვუთხარი. როდის იყო ჟეტონებს და ჩინ-ტემლაკებს აგროვებდა ოტია იოსელიანი, მე ვუთხარი. მაგის მოტანას ერთი კაი ბარი მოგეტანა მირჩევნოდა, ტარი გამიტყდა გუშინწინ, მე ვუთხარი.

– დენზე ხვარაფერი გითქვამს. დეიწყო გზის გადაკეტვები. მთელი თბილისი საბურავების კოცონშია გახვეული. მონღოლების ბანაკი გეგონება. ახალი სპეციალობა ჩამოყალიბდა – „გზების გადამკეტავი“. თხუთმეტკაციანი ბრიგადებია. თითო ოჯახმა ორ-ორი ლარი უნდა გადაიხადოს და ხელათ გადაკეტავენ ქუჩას შენი სახლის წინ.

– არ ვეტყოდი? რავა ფიქრობ. დათხრილი მაქვს თვალები უშუქობით და არ ვეტყოდი? მინისტრები ახლდენ შევარდნაძეს, რასაკვირველია, მარტო ხვარ მევიდოდა. მოდი აქ ბიჭო შენთქვა, იმ პუტკუნა მინისტრს ვუთხარი. რა გვარია? მირცხულავა, თუ არ ვცდები. მეირბინა, რატომ არაა, ბიჭო დენი-მეთქი. არ ყოფნის, ბატონო, ქვეყანასო. უწინ თუ ყოფნიდა, ახლა სა წევიდა, მე ვუთხარი. შენი მოსატყუებელი კბილი კაიხანია ამევიძვრე, ბიძია, მე ვუთხარი.

– ორი ჰესი იყო საქართველოში რიონჰესი და ზაჰესი. ის ორი ჰესი ანათებდა მთელ საქართველოს.

– სწორედ ეგ გავახსენე, მარა რას გაახსენებ, გუშინდელი ღლაპია. ბოვშვები რო დანიშნეთ მინისტრებათ, იმი-

ტომ წევიდა ჩვენი საქმე წინ. მომისმინე ბიძია, მე ვუთხარი, ქუთაისში ორი დიდი ფაბრიკა მუშაობდა (ქარხნებს დავანებოთ ამჯერად თავი) აბრეშუმკომბინატი და სამკერვალო. პირველი პარაშუტს ამზადებდა, მეორე შინელს კერავდა ჯარისკაცისთვის. კაი დედმამიშვილი იყავი და გეგეჩერებია რომელიმე თუნდაც ათი წუთით. კაი ჩიტს დაგაჭერინებდა სტალინი. გამოგიგზავნიდა, ბებიაშენისამ, კომისიას და დეიწყებდა რკვევას ვისი ბრალია დენი რომ გამეითიშა, რომელია კორუმპირებული აქანაო.

– კორუპციას რად უნდა კომისია, კორუპციას უნდა პოლიცია.

– ასე მგონია, იქანა იდექი და შენც გესმოდა. მაგი ვუთხარი სწორედ. მასხრათ აგდებაა ხალხის ეს ამდენი კომისიები, მე ვუთხარი. რომ ვიპარავ, მაშინ უნდა დამარტყა სახაზავი ხელზე, თვარა რომ მევიპარავ და კარგად დავაბინავებ, მერე რო მოდიხარ და მეკითხები: „საიდან ეიშენე ეს სახლი, კორუმპირებული ხვარ ხარ შენო, მეხუმრები, შე კაი კაცო? რომელი ქურდი გეტყვის, კი, მევიპარე და დამიჭირეო.

– რამხელა ოსტატობა გინდა, ჩვენი მდინარეების პატრონი ხალხი უსინათლოდ რო დატოვო.

– რა მითხრა, ხო იცი, ერთმა ჟურნალისტმა. ჟურნალისტებმა ხო ყველაფერი იციენ. საქართველოში გამომუშავებული ელექტროენერგიის 80 პროცენტი თურქეთში იყიდებაო.

– მეც ვიცოდი, ეგ ციფრი მარა არ გითხარი, გული არ გაგიხეთქე.

– მე კი არ უნდა მითხრა აქანა, ყურში, იქ უნდა დადგე პარლამენტში და იყვირო ქვეყნის გასაგონათ.

– მაგის მუღამიც დამუშავებული აქვთ, ნუ გეშინია.

პირველათ რო იტყვი, ხელათ გამოხტება არამკითხე „დამცველი“ და უტიფრათ დაგაბრალებს – ბატონი რეზო პირადათაა განაწყენებული იმ მინისტრზე და იმიტომ თქვაო.

– განაწყენებული იქნები აბა რა იქნება.

– ცილისმწამებლად გამოგაცხადებენ... და მეორეჯერ თუ იტყვი, ახლა სხდომის წამყვანი მიიღებს ზომებს: კაი ახლა, ბატონო რეზო, ერთხელ ხომ თქვით, რამდენჯერ უნდა გაიმეოროთ. სად გვცალია, სულ თქვენ გისმინოთ. ჩვენ საქმეს ვაკეთებთ აქანაო.

– კი, დიდი საქმეებით ხართ დაკავებული-თქვა. თქვენი გაკეთებული „საქმეებითაა“ ქონი რო გადადის ყურებზე ქვეყანასთქვა.

– სპარსეთში ვიყავი ამას წინათ და, იცი, რა გვითხრა სპარსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა?

– რაიო?

– კაი ხალხი ხართ, მშვენიერი, მარა ერთ ნაბიჯზე არ ინდობითო. მსოფლიოში ერთადერთი ქვეყანა ხართ, სტუმრის გამოცილებისთანავე რო გავიწყდებათ, რაზე შეთანხმდით და რა ხელშეკრულება დოუდევითო. აზრი არა აქვს თქვენთან გარიგებას და მოლაპარაკებას, სულერთია მაინც არ შესრულდებაო.

– აგაშენა ღმერთმა. გარიგება კი არა, კანონები არ სრულდება. ღებულობთ თქვენ კანონს და კანონი კანონათ რჩება. პრეზიდენტის რეზოლუციები არ სრულდება თურმე, ნახევარზე მეტი. ესაა სახელმწიფო? გული თვარ გამისკდებოდა არ მეგონა; წუხელის იყო მგონია, თუ გუშინ, გამოაცხადეს, თავის სადარბაზოში ევროკომისიის წევრს, გერმანელს გოუჩეჩქვეს თავიო. იმის წინ ორი ესპანელი იდგა ეკრანში და ჰყვიროდა – საქართველოში ჩვენს სიცოცხლეში აღარ ჩავალთო, რა ცუდი არ გამიგონია საქართველოზე,

მარა ასე მოჭრით არავის უთქვამს – მეტს აღარ ვიზამ ფეხს აქითო.

– რა გვეშველება, ოტია?

– მე მეკითხები მაგას მთავრობის კაცი? ახლა კითხულობენ მაგას? რა გვეშველება და ქუდი მექუდემ უნდა შეკეროს. პირველ რიგში ხალხის ხარჯზე რო დიდი ჯიბეები დეიკერეს, იმგენს აადღლიზეთ ის დიდი ჯიბეები და მეორე რიგში – უზარმაზარი ფაბრიკა- ქარხნები რო კაპიკებში მიყიდეთ ქურდებს, წაართვით და სახელმწიფოს დოუქვემდებარეთ. სხვა ყველაფერი კარგათაა.

* * *

ბუხარში ცეცხლი ინავლება.

ოტია გადის და მკლავზე გადაწყობილი შეშა შემოაქვს.

– შეშას კიბესთან ისე ვაწყობ, ცოტაზე რო დასველდეს. დალამული თუ არ იქნა, რა გოუძლებს ხმელ, გახიხინებულ შეშას, ორ კვირაში შემოგეწვება ხელში მთელი ზამთრის მარაგი.

– მუღამი უნდა ყველაფერს. ესე იგი ნედლი შეშა ნაჯობინარა.

– მთლად ნედლი არა. კვამლი დაგახრჩობს. ისე, საშუალო, ზომიერი...

გარეთ წვიმა ეტკაპუნება ფანჯრებს, კიბის მოაჯირს, ხეებზე მიმჭკნარ-მირჩენილ ფოთლებს.

წუთით რომ შევჩერდებით და ნაღვერდალს ჩავცქერით, ჩვენს ყურებში წვიმას კედლის საათის კაკუნიც ჩაენაცვლება.

მერე ოტია მუნდშტუკს გააწყობს და საუბარი გრძელდება.

სადაცაა დაღამდება.

ზამთრის სველ-ცივი, თოვლჭყაპიანი ღამე ჩამოწვება იმერეთში.

ვსაუბრობთ მე და ოტია.

ვიტყვით მთისას და ბარისას – რა, რატომ, რანაირად, როდის, რა მიზეზით, სადამდე...

ვსაუბრობთ და მეტი არაფერი, ჩემო უბედურო სამშობლოვ.

12.X.2002 წ.

გადავრჩით

ცნობილი რუსი მწერალი ვიქტორ ასტაფიევი და მე 1984 წლის დეკემბერში იაპონიის მწერალთა კავშირის მიწვევით ორი კვირით გახლდით ამომავალი მზის ქვეყანაში.

ახლა რომ იაპონურ დღიურებს ვათვალიერებ, ბევრი რამ ამ ოცდახუთი წლის წინათ რომ საოცრებად მომეჩვენა დღეს ჩვენთანაც ჩვეულებრივი ამბავია.

მაგალითად:

გამიკვირდა, როცა გავიგე, რომ შეძლებული იაპონელები ბაზრებში და მაღაზიებში თითქმის არ შედიან – დარეკავ და რაც გინდა, რამდენიც გინდა შინ მოგართმევენ.

გამიკვირდა, როცა გამომცემლობა „გუმოსიას“ დირექტორმა ასაკავამ გვითხრა – გამომცემლობები ერთიმეორის მიყოლებით კოტრდება. იაპონელები ლექსებს და რომანებს თითქმის აღარ კითხულობენ, მხოლოდ დოკუმენტურ ნოველებს ეტანებიანო.

გამიკვირდა გამომცემელ იუირო ივანამის ნათქვამი – ქართული მწერლობიდან მხოლოდ სამი ავტორია იაპონიაში თარგმნილი: შოთა რუსთაველი, ნოდარ დუმბაძე და გურამ პეტრიაშვილი. სამივე მე გამოვეცი. „ვეფხისტყაოსანი“ პირველ ტირაჟად ორასი ცალი დავბეჭდე. ნოდარ დუმბაძის „ბებია...“ და გურამ პეტრიაშვილის ზღაპრები ას-ასი ცალი. „ვეფხისტყაოსანი“ დღემდე მხოლოდ 3 ცალი გავყიდე, ნ. დუმბაძე და გ. პეტრიაშვილი ჯერჯერობით ხელუხლებლად დევს მაღაზიებშიო.

გამიკვირდა, როცა გამომცემელმა კომიამამ ჩასვლისთა-

ნავე მოსკოვში გამოცემული კრებული გამომართვა და გამოფრენის წინა დღეს იაპონურად გამოცემული ჩემი კოხტა წიგნაკი მომართვა, ჩემი სურათით ყდაზე. ან როდის ათარგმნინა ან დაბეჭდვა როდის მოასწრო-მეთქი, სიხარულს და განცვიფრებას ვერ ვმალავდი. თუმცა მაშინვე კარგად ვიცოდი, რომ ვერც ჩემი წიგნი მოუტანდა გამომცემლობას მოგებას.

იაპონელებმა გაოცებისგან პირი დააღეს, როცა მე, რუსეთისაგან დაპყრობილ-დაჩაგრული პაწაწინა საქართველოს შვილმა ჩანთა გავხსენი და ამოვალაგე საქართველოში თარგმნილი იაპონელ მწერალთა კობო აბეს, აკუტაგავას, მონძეამინ ჩიკამაცუს, ისაკავა ტაკუბოკუს და სხვათა წიგნები. მაშინ საქართველოში წიგნები ჯერ კიდევ ლინოტიპზე იწყობოდა და საშუალოდ გამოცემას თარგმნიანად ერთი წელი მაინც ჭირდებოდა, მაგრამ დღევანდელისაგან განსხვავებით ქვეყანა დიდი კულტურული ცხოვრებით ცხოვრობდა.

მკითხველს ალბათ აინტერესებს, ვკითხე თუ არა ასტაფიევს გზაში „ჭიჭყინებზე“ ნადირობის შესახებ. ვკითხე და შიგადაშიგ კბილიც გავუკრაჭუნე. შენც ასე ფიქრობ? ცრემლი მოადგა. მე იმ ჩანახატით გავეხუმრე ჩემს უსაყვარლეს საქართველოს. ეს ქვეყანა ოტია იოსელიანმა სამუდამოდ შემაყვარა. ჩემზე დიდი ქომაგი დღეს რუს მწერალთა შორის საქართველოს არა ჰყავსო. სხვათა შორის მშვენივრად იცოდა ქართული ლიტერატურა და ქართული კინო. ცოტა რომ შეზარხოშდებოდა, გვერდით მომიჯდებოდა და ტირილს იწყებდა – რატომ ვერ გამიგეთ ქართველებმაო.

10 დეკემბერს მასპინძლებმა გინზაზე უზარმაზარ კინოთეატრში შეგვიყვანეს და გვაჩვენეს ტარკოვსკის ფილმი „ნოსტალგია“.

„ანდრეი რუბლიოვის“, „ივანეს ბავშვობის“ და „სარკის“ ავტორისთვის „ნოსტალგია“, შეიძლება, დიდად წინგადადგმული ნაბიჯი არ იყოს, მაგრამ მაინც მშვენიერი ფილმია.

„ნოსტალგია“ გვიამბობს სამშობლოდან გაქცეულ რუს პოეტზე, რომელსაც ხრავს ნოსტალგია და სიცოცხლეს მისცემს ოღონდ შინ დააბრუნონ. ფილმში ასეთი ქვეტექსტიანი ანეკდოტიცაა ჩართული: კაცმა კაცი ჭაობიდან ამოათრია. „გადარჩენილმა ამომყვანს ჩხუბი დაუწყო: ვინ გკითხავდა, რატომ ამომიყვანე, მე იქ ვცხოვრობო“.

ფილმის მსვლელობის დროს, მესმოდა ასტაფიევი თარჯიმან რედინას რომ საყვედურობდა – რატომ შემოგვიყვანე სამშობლოს გამყიდველის ფილმის სანახავადო.

მოგეხსენებათ ტარკოვსკი საცხოვრებლად იტალიაში დარჩა და სსრკ-ში ხომ ყველას, ვინც საზღვარგარეთ დარჩებოდა – სამშობლოს გამყიდველს ეძახდნენ. ამავე მოსაზრებით ასტაფიევი მთელი გზა ლანძღავდა „გამყიდველ სოლჟენიცინს“.

ჯერ სადა ხარ.

გამოვედით თუ არა კინოთეატრის ფოიეში თვალებში რამპის შუქმა მოგვანათა და უამრავი ტელერადიო ჟურნალისტი მოგვაწყდა.

მოეწონათ თუ არა საბჭოთა მწერლებს „ნოსტალგია“?

წინდახედულმა ასტაფიევმა, გურულები რომ იტყვიან, თავი გაიაბდლა:

მეო, უსწავლელი კაცი ვარ. უპატრონოთა საბავშვო სახლში ვარ გაზრდილი და არა თუ უმაღლესი, საშუალო სკოლაც არ დამიმთავრებიაო. თანაც კინოში სუსტად ვერკვევი და ვერაფერს გეტყვითო. სამაგიეროდ ჩემს გვერდით დგას ცნობილი ქართველი მწერალი, პროფესორი

რევაზ მიშველაძე და ის მოგახსენებთ თავის კომპეტენტურ აზრსო.

მივხვდი ყველაფერს. ასტაფიევმა ჩემზე მოაგდო იაპონური ჟურნალისტიკა. რა ვქნა? მეც რომ უარი ვთქვა აზრის გამოთქმაზე, ორივეს დებილებად გამოგვაცხადებენ.

არც ვაციე, არც ვაცხელე და ვთქვი:

„მომეწონა ფილმი. რეჟისურა ბრწყინვალეა და პრობლემა უაღრესად თანამედროვე. ოლეგ იანკოვსკი მშვენივრად თამაშობს ნოსტალგიით შეპყრობილი პოეტის როლს. ჩემთვის გასაგებია დრამატიზმიც და თუ გნებავთ ტრაგიზმიც, რაზეც ფილმი დგას. ძნელია უსამშობლოდ ცხოვრება. მაგრამ უცხოეთში შექმნილი ამ პირველი ფილმიდანაც აშკარად ჩანს, რომ დიდი ხელოვანი ტარკოვსკი უსამშობლოდ ერთი დღითაც არ ცხოვრობს. ეს ნოსტალგია თვით ტარკოვსკის ნოსტალგიაა. ასე რომ, მე პირადად არ გამიკვირდება, თუ, ადრე თუ გვიან, ტარკოვსკი ევროპის რომელიმე საკონსულოს კარებზე დააკაკუნებს და რუსეთში დაბრუნებას ითხოვს. თუმცა მე არ განვსჯი ანდრეის თავისი ნაბიჯისათვის. ეს მისი პირადი ცხოვრებაა და თავისი საქმე თვითონ იცის“.

სადილობისას ასტაფიევს და რედინას აშკარად ეტყობოდათ უგუნებობა.

რად გინდოდა, გარეწარ ტარკოვსკის ქებაო. გასულიყავი განზე, როგორც მე ვქენიო. ან გეთქვა პირდაპირ, რომ იგი სამშობლოს გამყიდველიაო – ასტაფიევმა.

შენც ისე ფიქრობ-მეთქი? რედინას მივუბრუნდი.

რა თქმა უნდა, უფრო კრიტიკული უნდა ყოფილიყავიო, მიპასუხა.

მე რედინას აზრის უფრო მეშინოდა, რადგან გუმანით ვიცოდი, რომ იგი უბრალო თარჯიმანი არ იქნებოდა და კგბ-

სთანაც იქნებოდა შეკრული. საღამოს შვიდჯერ მოვკარი თვალი ჩემს სახეს იაპონურ ტელევიზიაში.

მეორე დილით, 11 დეკემბერს 12 საათზე საელჩოში გვიხმეს. აი, შენი მოუზომავი სიტყვების შედეგიო, ასტაფიევმა, ახალგაზრდა, ნიჭიერი კაცი ხარ, ორი წინადადებით სამუდამოდ გაიფუჭე მომავალიო. ხომ ნახე ტელევიზია მთელი საღამო გაჩვენებდაო.

საელჩოს პირველმა მდივანმა მიგვიღო.

აქო, – პირდაპირ დაიწყო – მწერლები რომ ჩამოდიან, გითხრათ სიმართლე, საელჩოს ხშირად ექმნება პრობლემებიო. თავიანთი სწოხაზოვანი, ნაჯახურ-იდეური გამოსვლებით ისინი თავსაც უხერხულ მდგომარეობაში იგდებენ და ჩვენც უხერხულ მდგომარეობაში გვაგდებენო. იტყვიან, რაღას სისულელეს და მერე მთელი თვე დასცინის, აქილიკებს მასმედიაო.

ვაი ჩემს მოსწრებას-მეთქი, გავიფიქრე. იმ სისულელიდან ხომ ერთი ნაბიჯია ჩემს მიერ ნათქვამ „სისულელემდე“.

ამ დილით შეგაწუხეთ იმისთვის, რომ გითხრათ, ელჩის დავალებით მადლობა უნდა მოვახსენო ამხანაგ რევაზ მიშველაძეს გუშინდელი სწორი და გულწრფელი გამოსვლისთვისო. სწორედ ასე უნდა გამოდიოდეს მწერალიო. მიშველაძემ ფილმიც მოიწონა, რადგანაც მართლაც კარგი ფილმია და ჩვენი სათქმელიც თქვა უსამშობლოდ ცხოვრების შესახებო. ჩვენ მოსკოვში დავრეკავთ და მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობას მადლობას ვეტყვით ასეთი კარგი დელეგაციის გამოგზავნისთვისო.

საელჩოს მდივანმა ხელი ჩამოგვართვა და ჩაიზე მიგვიწვია.

გადავრჩით.

ვერ გეტყვით ასტაფიევს გაეხარდა თუ არა საელჩოს მაღალი შეფასება, მაგრამ რედინა ნამდვილად კმაყოფილი იყო.

მის „თარჯიმანულ სკამს“ საფრთხე აღარ ელოდა.

ვერ დავიფარეთ

რუსთაველის თეატრში 1997 წლის 19 დეკემბერს „ცისკრის“ დაარსებიდან 145 და აღდგენიდან 40 წლის იუბილე გაიმართა.

მიყვარს „ცისკარი“ და სიამოვნებით დავთანხმდი რედაქტორ ზაურ კალანდიას გამოსვლაზე. აი, რა ვთქვი:

„სამოციანი წლების პარმაღზე ვინც ახალ ლიტერატურულ ჟურნალს „ცისკარი“ უწოდა, მშვენივრად იცოდა, რომ ის საქმე იყო ბოლომდე მისაყვანი, რისთვისაც გიორგი ერისთავი და ძმანი მისნი ციხეში ისხდნენ.

მართლაც, რომ ცისკარივით ამობღვრიალდა ქართული მწერლობის კაბადონზე.

ყოველ ახალ ნომერში თითო ყუმბარა მაინც იდო დახავსებული იმპერიის ასაფეთქებლად.

თითქოსდა შეთქმულთა ჟურნალი იყო.

მიგვქონდა ხელნაწერები. ნახევარტონებით, მინიშნებებით ველაპარაკებოდით ერთმანეთს ავტორები და რედაქციის თანამშრომლები.

იქ არ იყო განდობა და გულზე მჯიღის ცემა.

არვინ გეტყოდა, „ვიცი, ვხვდები, საითაც უკაკუნებო“.

„რაკი შენც ასე ფიქრობ, მე ვალდებული ვარ, დავიცვა შენი ნაფიქრალი. რაკიღა იგი ჩვენი საერთო სევდაა, ხოლო შენ ჩვენი ამქრის წევრი ხარ“, – არ გეტყოდნენ, მაგრამ ხვდებოდი.

სია არ გვქონია-მეთქი ჩამოწერილი რეჟიმის წინააღმდეგ შეთქმულთა, მაგრამ რაღაც სასწაულებრივი მანქა-

ნებით მაშინვე დაირხეოდა განგაშის ხმა თანამზრახველთა შორის:

„ცისკარი გააჩერეს“.

და იყო ბაგირის გაუთავებელი გადაქაჩვა მიამიტსახემიღებულ მწერლებსა და ცეკას შორის.

რაღა შორს წავიდე, ჩემს თავზეც ტრიალებდა მკაცრი ცენზურის წისქვილის ქვა.

დავწერდი ნოველას მძღოლზე, რომელსაც სიცოცხლე გაუმწარეს ჩინოვნიკებმა. ცეკა ავტომანქანას ეტლად გადამაკეთებინებდა; მძღოლს – მეეტლედ, გარაჟს – თავლად, ხოლო მოქმედებას სულ მცირე ერთი საუკუნით უკან გადამაწევინებდა.

დავწერდი ნოველას ქვეყანაზე, რომელსაც გამოჩერჩეტებული ბებრები მართავენ, ხოლო მათ შორის უპირველესი დღის უმეტეს ნაწილს სურდოკამერაში ატარებს, დამიძახებდნენ და მეტყოდნენ, ხომ არ აჯობებს ეს ამბავი სადღაც შორს, კუნძულ იპიაზე, ხდებოდესო.

დავწერდი ნოველას მინისტრზე, რომლის თარჯიმანმაც გაცილებით მეტი იცის თავის უფროსზე. მირჩევდნენ, ქვეყანა, რომელზეც წერ, შეიძლება, აფრიკაში იყოს და მუმუმია ერქვასო.

ეს ორთაბრძოლები ხშირად რედაქტორის ყურის აწევით მთავრდებოდა.

ახლა სხვა დროა.

ახლა ჩვენ, რედაქტორები და მწერლები, ფულიანი ბიზნესმენებისა და ბანკირებისათვის, შოთა ნიშნიანიძისა არ იყოს, „აბეზარი მათხოვრები“ ვართ და მეტი არაფერი.

ერთი მდიდარი ფირმის პრეზიდენტმა პირდაპირ მითხრა ამას წინათ: თუ გიჭირს ჟურნალის გასაღება, სხვა უფრო სარფიან საქმეს მოკიდე ხელი. სხვა დროა ახლა, ნუ გგონია,

ქვეყანა შენი ჟურნალის ახალი ნომრის მოლოდინით ათენაღამებსო.

ჩვენ ასეთი დროისთვის, ასეთი საქართველოსთვის არ გვიბრძოლია.

ამ მაღალი ტრიბუნიდან მადლობა მინდა ვუთხრა იმ დიდებულ. ჭეშმარიტ მკითხველს (თუკი ცოცხალი გადარჩა), მხარში რომ ედგა „ცისკარს“ და სულს უბერავდა, თანაგრძნობით და თანადგომით სიცოცხლეს უხანგრძლივებდა.

მადლობა მინდა ვუთხრა „ცისკარს“ ლამის საუკუნენახევრის განმავლობაში ეროვნული ცეცხლის გაღვივებისათვის.

მადლობა მინდა ვუთხრა „ცისკრის“ ახლანდელ რედაქტორს, ზაურ კალანდიას ამ უმადურ ეპოქაში ჟურნალის გადარჩენისათვის.

და, რაც მთავარია, ცისკრის ყველა დროის ყოფილ რედაქტორს მივმართავ მადლობის სიტყვით, ვისაც სასმენელი ჯერ კიდევ შერჩა:

ძვირფასებო, კარგა ხანია ჩვენს გამო მიღებული ყველა საყვედური მოგეხსნათ.

აწ და მარადის თქვენი პირადი საქმე სუფთა და ნათელია.

ჩვენ ვბერდებით და რიგრიგობით გავიკრიფებით ამ წუთისოფლიდან.

„ცისკარი“ კი რჩება წყვდიადში ანთებულ ჩირაღდნად.

თავს ნებას ვაძლევ, ამ საიუბილეო ტრიბუნიდან მივმართო შევარდნაძეს – „ცისკარს“ მომავალი წლიდან დაფინანსება უნდა გაეზარდოს. გარდა თვით ჟურნალისა „ცისკრის“ ეგიდით გამოდის „ნობათი“, გამოსაცემია „ცისკრის“ ბიბლიოთეკა, „ცისკარი“ ჩვენი მწერლობის სინდის-ნამუსია და უნდა დავიფაროთ ავი თვალისაგან“.

... ახლა 2007 წლის თებერვალია.

ვიხსენებ „ცისკრის“ იუბილეს და გული მეწურება.

თურმე რა მაწუწუნ-მაკაკანებდა მაშინ.

იმ დროს „ცისკარი“ ჯერ კიდევ ფეთქავდა, ჯერ კიდევ ენთო ქართული ლიტერატურის კაბადონზე.

150 წლის „ცისკარი“ თითქმის აღარ არსებობს.

ოთხ თვეში ერთხელ გამოდის კერძო შემოწირულობებით და მხოლოდ 200 ცალი.

ჩაქრა წყვდიადში ანთებული ჩირაღდანი.

ვერ დავიფარეთ ავი თვალისაგან.

რატომ დაიგვიანა გუბერნატორმა

1996 წელს გორის საოსტატო სემინარიას 150 წელი შეუსრულდა.

ამ სემინარიაში ვაჟა-ფშაველა სწავლობდა და ნიკო ლომოური მასწავლებლობდა.

საიუბილეო ზეიმზე ანა კალანდაძე და მე მიგვიწვიეს.

ზუსტად მახსოვს 21 ნოემბერი იყო.

ციოდა.

როგორც მოსაწვევი ბარათი იუწყებოდა, ღონისძიება 12 საათზე იყო დანიშნული.

უხერხულია, დავიგვიანეთო, მეუბნება ქალბატონი ანა. არა და ზუსტად პირველის თხუთმეტ წუთზე, რომ იტყვიან, ადგილზე ვიყავით.

გულთბილად, სიყვარულით შეგვხვდნენ.

სკოლის დირექტორმა ქალბატონმა ცირა ჯაჯანიძემ თავის კაბინეტში მიგვიწვია. ქართულის მასწავლებელმა ქალბატონმა ცირა ქრისტესიაშვილმა საიუბილეო ალბომი მოგვართვა, დაათვალიერეთო.

ვათვალიერებთ ალბომს.

ერთი საათი გავიდა.

გავლენ მორიგეობით სკოლის ხელმძღვანელები. ცოტა ხანში შემობრუნდებიან ხელების ფშვნეტით და ბოდიშიანი ღიმილით.

არაუშავს, დავიცადოთ, სად გვეჩქარება, ალბათ არ მოვიდა ხალხი, სიცივის ბრალია-მეთქი.

დარბაზში ტევა არ არის, ოღონდ კიდევ ერთ სტუმარს ველოდებით, საცაა მოვა, უმორჩილესად გთხოვთ გვაპატიოთო, დირექტორმა.

გავიდა კიდევ ერთი საათი.

„კიდევ ერთი სტუმარი“ არა და არ ჩანს.

ქალბატონო, მაპატიეთ ცნობისმოყვარეობა, მაგრამ ანა კალანდაძე აქ არის და თუ საიდუმლოება არ არის, ვის ელოდებით ამისთანას. გალაკტიონ ტაბიძე ვერ მოვა ფრიად საპატიო მიზეზის გამო-მეთქი, – ნახევრადირონიულად, ნახევრადსაყვედურით შევკადრე მასპინძლებს.

არ გამცეთ, ბატონო რეზო, და გუბერნატორს ველოდებით. როგორც ჩანს, რაღაც მოხდა, თორემ ისეთი ზრდილობიანი და კარგი ბიჭია, არ დაიგვიანებდაო. ცოტა ხანში, გუბერნატორმა თვითონვე დარეკა:

ვერ მოვდივარ, ბოდიში მომხადეთ სტუმრებთან და დაიწყეთ უჩემოდო.

კლუბადგადაკეთებულ დარბაზში ლოდინით გათანგული მოსწავლეები, მშობლები და მასწავლებლები ტაშით შეგვხვდნენ.

მთელი იუბილე ერთ მშვენიერ ლიტერატურულ მონტაჟს წარმოადგენდა.

იშვიათად მინახავს ასეთი ფაქიზი, დახვეწილი გემოვნებით ჩატარებული ღონისძიება. როგორც მითხრეს, მონტაჟის (ახლა რომ „პროექტს“ ეძახიან) ავტორი თვით ცირა ქრისტესიაშვილი იყო.

დიდებულად გამოვიდა ქალბატონი ანა.

ლექსებს რომ კითხულობდა, დარბაზი ფეხზე წამოდგა.

ოქროს ფასი აქვს ჭეშმარიტ პოეზიას.

ანას შემდეგ ვთქვი:

„განსაკუთრებული მღელვარებით განვიცდი სკოლის იუბილეს და გაორმაგებულია ჩემი მღელვარება, როცა ვიცი, რომ ამ სკოლაში ვაჟა-ფშაველა სწავლობდა.

იგი, რა თქმა უნდა, ვაჟა-ფშაველად წლების შემდეგ იქცა. აქ რომ სწავლობდა ერთი ჩარგლელი ჩასკვნილი და, ცოტა არ იყოს, ბრაზიანი ბიჭი იყო.

– და, რაც მთავარია, ძნელად თუ შეატყობდი მაშინ, რომ საოსტატო სემინარიის მოსწავლე ლუკა რაზიკაშვილი თავისი გენით ატარებდა „ბახტრიონის“ და „სტუმარმასპინძლის“ დამწერის პოტენციას;

გენიოსთა გენიოსობის ადრიდანვე „შემტყვებარნი“ რომ არსებობდნენ, ვინ იცის, რუსთაველის ბატის ფრთაც შემოგვჩებოდა, სულხან-საბას ბერის ჩოხაც და ის მერხიც, რომელზეც ვაჟა-ფშაველა იჯდა.

ყველა ქართული სკოლა პროტესტია გარუსების გათათრების, გასომხების წინააღმდეგ მიმართული.

დღეს მასწავლებლობა გმირობას ნიშნავს.

ვაჟა=ფშაველას დროსაც გმირობას ნიშნავდა.

ვულოცავ ამ დღეს ყველას, დირექტორიდან დაწყებული იმ პირველკლასელი მოწაფის ჩათვლით, ვინც ახლახან მოიყვანა სკოლაში დედამ გაცვეთილი „ჩანთით და მისი უფროსი ძმის ნაქონი „დედაენით“.

სამი ტაძარი აქვს ქვეყანას – ღვთის სახლი, სკოლა და თეატრი. ერი, რომელიც სკოლას ასეთ იუბილეს გადაუხდის, უკვდავია. დროა, ერთმანეთი ხელისცეცებით ვიპოვოთ იმ სიბნელეში მარიონეტულმა ხელისუფლებამ რომ „მოგვიპოვა“ და ერთად, ხელიხელჩაჭიდებულებმა ვიაროთ ჭეშმარიტად თავისუფალი საქართველოსკენ“.

რწმუნებული ირაკლი ბოჭორიძე მოგვიანებით შემოგვიერთდა.

ბოდიშს ვიხდი დაგვიანებისათვისო, მიჩურჩულა, ოსებმა ერედვიდან სამი კაცი გაიტაცეს, დავედევნე, მაგრამ ცხინვალში შემასწრეს. სამშვიდობო ჯარების სარდალმა, რომ ვაცნობე, ყურიც არ შეიბერტყაო.

ცხინვალის „ხელისუფლება“-მეთქი?

ინფორმაციას არ ვფლობთო, მპასუხობენ.

შენ ვერ შედიხარ-მეთქი, ცხინვალში?

ვერა, ბატონო რეზო, იმ წამსვე დამაპატიმრებენო.

რა დღეში ხარ, ჩემო უბედურო საქართველოვ!

ვაჟა-ფშაველა და ნიკო ლომოური როცა მოეხასიათებოდათ, მაშინ შედიოდნენ საქართველოს ძირძველ ქალაქში – ცხინვალში.

გამწყრალი მინისტრი

1989 წლის 6 სექტემბერს საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ედუარდ შევარდნაძე თბილისში ჩამოვიდა.

შემოქმედებით ინტელიგენციასთან შეხვედრა მოისურვა და გივი გუმბარიძემ 4 საათზე ცეკაში გვიხმო.

ბიუროს დარბაზში მაგიდას სამნი უსხდნენ. შევარდნაძე შუაში ზის. იქეთ-აქეთ გივი გუმბარიძე და ნოდარ ჭითანავა. ვერ დავმალავ, მიხარია რომ ჩემი თანამემამულე იმპერიაში ლამის მესამე კაცია. მეოცე საუკუნეში ამხელა პოლიტიკური ფრთები სტალინის მერე ქართველ კაცს არ ჰქონია.

და არა მარტო მეოცე საუკუნეში; ჩვენი სახელოვანი მეფეები მაინც ერთი შემოსაზღვრული სახელმწიფოს თავები იყვნენ და მსოფლიო პოლიტიკაზე გავლენა არ შეეძლოთ.

თითქმის დაუჯერებელი ამბავი მოხდა.

გორბაჩოვმა საგარეო საქმეთა მინისტრად, ლამის ყველაზე გამოსაჩენ ადგილზე, დიპლომატიის ელემენტარულად სკოლაგაუვლელი, რუსულის სუსტადმცოდნე შევარდნაძე დანიშნა.

ერთი პირობა გავიფიქრე – ხომ არ დაგვცინა-მეთქი რუსეთის იმპერატორმა.

სხვა არა იყოს რა, ხუთი წინადადება მაინც ხომ უნდა თქვას ზეპირად რუსულად თვითმფრინავის ტრაპთან. ამტვრევს რუსულს მამათელი პოლიტიკოსი, მაგრამ ქართულ აქცენტს მალე შეეჩვია მსოფლიო და გადაჭრით უნდა ვთქვა, შევარდნაძეს ამ თანამდებობაზე თავი არ შეურცხვენია.

აქცენტი განა სტალინს არ ჰქონდა?

თითქოსდა უხდებოდა კიდეც შევარდნაძეს მსოფლიო პოლიტიკის ლომებს შორის ქართული მიხვრა-მოხვრა და ხან აზრიანი, ხან უაზრო ღიმილი.

სხვა საკითხია, საქართველოსთვის რა გააკეთა, ან ერთმა, ან მეორემ.

მე მგონი, მსოფლიო ასპარეზზე გასვლის შემდეგ ქართველს თავისი პატარა სამშობლო ავიწყდება და მაშინ გაახსენდება, როცა მაღალი სკამიდან დააცურებენ.

9 აპრილი მომხდარია. საქართველო აღრენილია და ამ დროს შევარდნაძე მუზის მსახურთ ხვდება.

ჯერ თვითონ ბრძანა:

მადლობელი ვარ, რომ შეწუხდით და მობრძანდითო. გითხრათ სიმართლე, ძალიან მომენატრეთ ყველანიო. ორიოდე კვირით ბიჭვინთაში გახლდით და სულ ეკალზე ვიჯექი, სული და გული აქეთ მქონდაო.

არ ვიცი, რამდენ ხანს გაგრძელდება მოსკოვში ჩემი სამსახური, მაგრამ გარწმუნებთ, ერთი დღითაც არ მიცხოვრია უსაქართველოდ, თვალი სულ აქეთ მიჭირავსო.

ცხრა აპრილმა წელში გაგვტეხა. ისტორია იტყვის, ვისი ბრალი იყო, რაც მოხდაო.

არ გეგონოთ მარტო საქართველოში იყო შეხლა-შემოხლა. მთელ საბჭოთა კავშირში ასეაო. ძველებურად გაგრძელება რომ არ შეიძლება, ყველამ კარგად იცითო.

დიდი მადლობა ზოგი თქვენთაგანი რომ თავის ახალ წიგნს მიგზავნისო.

სიამოვნებით მოგისმენთ, იქნებ ერთად ვიპოვოთ ამ მძიმე მდგომარეობიდან გამოსავალი, ბოლოს და ბოლოს ხომ უნდა დაშოშმინდეს ქვეყანაო.

გამოუძახებლად, ერთმანეთის მიყოლებით გამოვიდნენ ჭაბუა ამირეჯიბი, ნოდარ ნათაძე, ელდარ შენგელაია, თამაზ შავგულიძე, რევაზ ჩხეიძე, ჯანსუღ ჩარკვიანი და ლანა ღოღობერიძე.

შვიდივემ ტაქტიანად, მაგრამ მკაცრად გააკრიტიკა პოლიტბიუროს ხაზი.

შევარდნაძის მოთმინების ფიალა უსაზღვროა. რა თქმა უნდა, ასეთ კრიტიკას არ ელოდა, მაგრამ არ იმჩნევს.

ჩემი ჯერიც დადგა.

ბატონო ედუარდ, ისტორია კაცსაც და ქვეყანასაც ერთხელ აძლევს შანსს და იქნებ დიდ პოლიტიკაში თქვენი ყოფნა ჩვენი ბოლო შანსია-მეთქი.

რასაც ახლა გთხოვთ, ადვილი საქმე როდია, მაგრამ თქვენ ეს შეგიძლიათ და თქვენი სვეგამწარებული სამშობლოსათვის უნდა იტვირთოთ-მეთქი.

რას მთხოვ ამისთანასო, გაეცინა.

ერთადერთი კაცი ხართ, რომელიც გორბაჩოვთან თითქმის დაუკაკუნებლად დღეში სამჯერ მაინც შედის. იქნებ დაარწმუნოთ პრეზიდენტი და ავტონომიები გააუქმებინოთ. თქვენ ხომ კარგად იცით, რა სამართებელია საქართველოს სახელმწიფოს მუცელში ეს ავტონომიები და მარტო საქართველოში კი არა, მთელს საბჭოთა კავშირში უნდა გაუქმდეს-მეთქი.

თუ ოდესმე დამოუკიდებლობას მივაღწიეთ, საქართველოსაც და რუსეთსაც გადაუდებელ პრობლემად, შენელებული მოქმედების ბომბად ექცევა ის ავტონომიები-მეთქი.

დავიწყე თუ არა გუმბარიძეც და ჭითანავაც, ლამის ყელგამოწევით მანიშნებდნენ (ისე კი რომ შევარდნაძეს არ

დაენახა) გაჩუმდი, ნუ იღუპავ თავს და ჩვენც ნუ გვაგდებ უხერხულ მდგომარეობაშიო, მაგრამ სანამ სათქმელი ბოლომდე არ ამოვწურე, არ მოვეშვი.

შევარდნაძეს სხვა დროსაც ბევრჯერ შევხვედრივარ, მაგრამ ასე გაბრაზებუოლი და გაწითლებული არ მინახავს.

ერთს გკითხავთ მე თქვენო, გორბაჩოვი რომ დავითანხმო ავტონომიების გაუქმებაზე და რესპუბლიკებიც ზედ მიაყოლოს, როგორ ხასიათზე დადგებითო.

თქვით, თქვით, რომ გააუქმოს მოსკოვმა საქართველო, რას იტყვითო.

დაძაბული სიჩუმე თვითონვე დაარღვია.

მე თქვენ კარგად გიცნობთ მიშველაძე, მაგრამ, არ გეწყინოთ და არ შეიძლება, რაც ენაზე მოგვადგება, ყველაფრის ლაპარაკიო.

ჩემთვის ეს შეხვედრა არავის დაუვალებია, მომენატრეთ და მოვედი, ხომ არ ჰგონია რომელიმე თქვენგანს, აქ ნათქვამი სიტყვა ჩვენს შორის რჩებაო. ასეთი რამეები შეგვიძლია ვაკის პარკში ვილაპარაკოთ, მაგრამ საგარეო საქმეთა მინისტრთან არავითარ შემთხვევაშიო.

როგორც თქვენ გინდათ ცალკე რესპუბლიკად ყოფნა, ისე უნდა აფხაზსაც და ოსსაც ავტონომიაო.

რაც შეეხება დამოუკიდებლობას, ჯერ ის უნდა განსაზღვროთ, შეგიძლიათ თუ არა დამოუკიდებლად არსებობა. ამის სავალალო გაკვეთილი უკვე ჰქონდათ საქართველოს მენშევიკების დროსო.

იცით თუ არა, რომ ახლაც, ამ წუთში თქვენ რუსის პურს და კარაქს ჭამთ, რუსის გაზს და ბენზინს ხმარობთ და რუსმა თუ ხელი დაგიქნიათ, შიმშილით სული ამოგძვრებათო.

არც მთლად ეგრეა საქმეო, ნოდარ ნათაძემ სცადა შეპასუხებოდა, მაგრამ შევარდნაძე წამოდგა, ბოდიში, მეჩქარებაო და ლამის დაუმშვიდობებლად დაგვშორდა.

ამ ამბიდან ზუსტად ერთი თვის თავზე ჟურნალ „კრიტკის“ რედაქტორობიდან მომხსნეს.

პირველი ლედი

კომუნისტებს ოპოზიციონერ მწერალთან ბრძოლის ორი მეთოდი ჰქონდათ – აშკარა და ფარული.

კარგა ხანს გითმენდნენ. პატარ-პატარა წკიპურტებს დიდსულოვნად გაპატიებდნენ ხოლმე, მაგრამ თუ ძალიან გაუტევდი, კოლექტიურად როდი დაგეხსმებოდნენ; ერთ „კრიტიკოსს“ დააწერინებდნენ – ჩვენს მიღწევებს ვერ ხედავს, ცხოვრებას შავი სათვალით უცქერის და დროა, ჭკუა ისწავლოსო.

ეს, ერთი შეხედვით, უწყინარი კრიტიკა ფაქტიურად ნიშანი იყო მავანთათვის, რომ შენს წინააღმდეგ ფარული ბრძოლა დაწყებულიყო.

რით გამოიხატებოდა „ფარული შეტევა“, ახლავე მოგახსენებთ;

ჩემი ნოველები იმთავითვე არ ეხატებოდა ხელისუფლებას გულზე, მაგრამ მანამდე მითმენდნენ, სანამ 1985 წელს „ლიტერატურულ საქართველოში გამოვაქვეყნე ნოველა „გიყვარდეთ მტერნი თქვენნი?“

ნოველა ხელოვანის თავისუფლებას შეეხებოდა. მხატვარმა უშანგი კირთაძემ ვერ გაუძლო იდეოლოგიურ წნეხს, ცენზურის ბარიერს. მიატოვა ქალაქი, სოფლად პატარა საყდარი იპოვა და ფრესკების ხატვას შეუდგა. იქაც მიაგნეს და დააპატიმრეს – ვინ მოგცა ძეგლის ხელყოფის უფლებაო.

ამ ნოველამ, ჩანს, შეაშფოთა ცეკა და აი, „კომუნისტში“ დაიბეჭდა არქიტექტორ ირაკლი ციციშვილის წერილი. ავტორი ქვას ქვაზე არ სტოვებდა ჩემი ნოველიდან. სად იპოვა

მწერალმა ჩვენში დაჩაგრული ხელოვანიო. რატომ მხატვართა ფონდს არ მიმართა ნოველის გმირმაო.

აქვე დავსძენ, რომ ამ წერილის გამოქვეყნებიდან ერთი თვის თავზე შევხვდი ბატონ ირაკლის და მომიბოდიშა; თუ ძმა ხარ, ის სისულელე ჩემი დაწერილი არ გეგონოს. ცეკაში შეთითხნეს და ჩემი სახელი და გვარი მიაწერესო.

ასეთი რამ ხდებოდა და არც გამკვირვებია, მაგრამ „კომუნისტში“ გაკრიტიკებამ თავისი საქმე გააკეთა:

გამომცემლობა „მერანმა“ გეგმიდან ამომიღო. ლიტერატურული ჟურნალ-გაზეთების რედაქტორები მორცხვად მიღიმიან – ცოტა ხანს დავიცადოთ რეზო, დრომ გაიაროსო. შეხვედრებზე გახლდით მიწვეული და რაიკომის პირველმა მდივნებმა მესამე მდივნებს დაარეკინეს – სტიქიამ დაგვაზარალა და თქვენთან შეხვედრა გადაიდოო.

ვიცი, რას ნიშნავს ყოველივე ეს. ჩემს თავზე შავი ღრუბლები გროვდება.

ავდექი და ორი კვირით მოსკოვში გავემგზავრე. აქაურობას ცოტახანს გავერიდები-მეთქი. 1986 წლის სექტემბერი იყო. მოსკოვში უკვე მქონდა სამი წიგნი გამოცემული. „სოვეტსკი პისატელში“ ჩემი ერთტომეული იგეგმებოდა და მაინტერესებდა თბილისის ხელი მოსკოვშიაც ხომ არ მომწვდა-მეთქი.

1987 წლის ცხრა სექტემბერია. ჩვენი წარმომადგენლობის სასტუმროს კიბეზე ლევან ღვინჯილია შემხვდა. ლევანი მაშინ, თუ არ ვცდები, ენათმეცნიერების ინსტიტუტში მუშაობდა და კოლხური სიმღერების ანსამბლში მღეროდა.

დღესო, მოსკოვის ხალხური შემოქმედების კულტურის ცენტრში კონცერტი გვაქვს და, თუ გაინტერესებს, წამოდიო.

სიამოვნებით დავთანხმდი.

ანსამბლთან ერთად საკონცერტო შესასვლელიდან შემიყვანა ლევანმა. კარისკაცებს, ესო წარმომადგენელიაო, აუწყა და იმათაც წინააღმდეგობა არ გაუწევიათ.

ახლა ჩვენ სცენაზე ავალთ, შენ დარბაზში შედი და, სადაც გაგეხარდება, დაჯექიო, ლევანმა.

შევედი. დარბაზი თითქმის სავსეა. მეორე და მესამე რიგების შუა სავარძლები ცარიელია და მეორე რიგისკენ გავიწიე.

რიგის თავში ახალგაზრდა დგას. თქვენო? წარმომადგენელი ვარ-მეთქი. თავაზიანად დამითმო გზა.

ვზივარ მესამე რიგში.

კონცერტი დაიწყო თუ არა, დაცვის თანხლებით, დარბაზში რაისა გარბაჩოვა შემოვიდა და ზუსტად ჩემს წინ დაჯდა. რა თქმა უნდა, ყველა დანარჩენი სკამი დაცვის ბიჭებმა შეავსეს.

გარბაჩოვა მაშინვე ვიცანი, პრეზიდენტის გვერდით ხშირად მინახავს ტელევიზორში.

სსრკ-ს პირველი ლედი, მომცრო ტანის, კოხტა ქალია. ქერა, მოკლედ შეჭრილი, ხვეული თმა, გვირგვინივით ადგას თავზე, წვრილი, ქალური კისერი აქვს და ლამაზი ყურები. თავს იქეთ-აქეთ ატრიალებს და განზე რომ გაიხედავს, კიდევ ერთხელ ვრწმუნდები, რომ ლამაზი პროფილი აქვს.

სუნამოებში მე ნაკლებად ვერკვევი, მაგრამ რაისა გარბაჩოვა დაახლოებით ორი მეტრის რადიუსზე უნაზეს, დამათრობელ, სექსუალურ სურნელს აფრქვევს.

მეორე სიმღერა რომ ჩაამთავრა ჩვენმა გუნდმა, რაისა მომიბრუნდა.

– თქვენ ქართული გესმით?

– რა თქმა უნდა, საქართველოს წარმომადგენელი გახლავართ-მეთქი.

გამოცდილებით ვიცი, სიტყვა „წარმომადგენელი“ ამ დარბაზში ძალიან ჭრის.

– ოდოია რას ნიშნავს? – მკითხა და სცენისკენ გაიხედა.

სხვა გზა არ არის, უნდა გადავიხარო და ყურში უნდა ვუთხრა.

დაცვის ბიჭები დაიძაბნენ, მაგრამ ცდილობენ არ შეიმჩნიონ.

– ოდოია უბრალოდ მოძახილია, შრომის სიმღერის თანამდევი სიტყვა. კოლექტიური შრომის დროს იმღერება. მუშაკაცის მოსახმობი სიმღერაა-მეთქი.

– რა შუაშია კოლექტიური შრომა? – მკითხა და ისევ გაიხედა.

– ჩვენში გაჭირვებულის დასახმარებლად შეიკრიბებიან ხოლმე. „ნადს“ ეძახიან-მეთქი.

სახელდახელოდ მეტი ვერაფერი მოვიფიქრე.

ცოტა ხანში ისევ მომიბრუნდა საბჭოთა კავშირის დედოფალი, პირზე ხელი მიიფარა და მეკითხება:

– რას ნიშნავს არამი და ჩარიკა?

– ძაღლების სახელებია-მეთქი.

– რისი?

– ეზოდან საქონელი რო გადადენონ, პატრონი ძაღლებს უხმობს-მეთქი.

– აააა, გასაგებია, სიმღერაში ყეფაც ამიტომ ისმისო, თავი დამიქნია და კიდევ ერთხელ შემომხედა. ალბათ იმის გასაგებად, მოვუწონებდი თუ არა მიმხვედრიანობას.

– რასაკვირველია-მეთქი და მეტი დამაჯერებლობისათვის იმდენი გავბედე, რომ გავუღიმე კიდეც.

– სისატურა რა არის? – არ მეშვება ქალბატონი რაისა.

არ გინდა მოკლედ აუხსნა?

გავწირე თავი და დაცვის უკმაყოფილო თვალების მიუხედავად ყურში ვუჩურჩულე.

– ეს სიმღერა კოლხური სახუმარო სიმღერა გახლავთ. ცოლი ქმარს ღალატობს და ეზოსმომდგარი ქმრის თვალის ასახვევად ჰყვირის, თითქოსდა ეზოში ტურას ამაოდ დაეძებს, ამასობაში კი საყვარელი უკანა კარიდან გაიპარებამეთქი.

გარბაჩოვა მთელი ტანით შემობრუნდა.

– ტი სმატრი... მერე და რა არის აქ სახუმარო?

– სახუმარო თვით სიტუაციაა-მეთქი. მოტყუებულ ქმარს რომ სჯერა, თითქოს საქათმეში ტურაა-მეთქი.

გაიღიმა და ისევ შეტრიალდა.

შესვენებამდე მეტი შეკითხვა არ მოუცია.

შესვენების დროს ახალი საზრუნავი გაუჩინა დაცვას „ურჩმა“ დედოფალმა.

თქვენო, მოსკოვში ცხოვრობთო? მეკითხება.

არა, თბილისში-მეთქი.

წამოდგა.

დაცვამ სკამები გასწი-გამოსწია და მეც გაუბედავად წავდგი წინ ორიოდე ნაბიჯი.

ერიჰაა... რაისა გარბაჩოვამ ხელკავი გამომდო და დაცვის თვალწინ დამასეირნებს.

ათი ნაბიჯი იქეთ... ათი ნაბიჯი აქეთ.

მეო, გითხრათ სიმართლე, ხალხურ სიმღერებს საერთოდ ვერ ვიტან, მიშას კი ძალიან უყვარსო. თქვენი ანსამბლი ურიგო არ არისო. ქართული ტემპერამენტი ჩანს სიმღერებშიო. განსაკუთრებით „სისატურა“ მომეწონა. დახე, რა მოხერხებული და ეშმაკები ყოფილან ქართველი ქალებიო. მე და მიშას ბევრი ქართველი მეგობარი გვყავს და საქართველო

ძალიან გვიყვარსო. საერთოდ კი, მე ასე გამიგია – ღალატი თუ გაუგო, ქართველი მამაკაცი თავს წააჭრის ცოლს, მართალია თუ არაო?!

– საერთოდ კი... მაგრამ გამონაკლისი შემთხვევებიც არსებობს, ყველა ქმარი ეგრე სასტიკად არ იქცევა-მეთქი. გაეცინა.

თქვენ იუმორის გრძნობა გქონიათო.

დაახლოებით ამ ჭრილში ვისაუბრეთ.

კონცერტი თითქმის მთავრდებოდა, დაცვის ბიჭები ერთბაშად რომ წამოიშალნენ, რაისა გარბაჩოვა ხელის დაქნევით დამემშვიდობა, ჩაიყენეს შუაში და ელვისისწრაფით გაიყვანეს.

საღამოს კიდევ ერთხელ რომ ვნახეთ სასტუმროში ტელევიზიით დედოფლის და ჩემი ხელკავით მიმოსვლის კადრი. ლევანი იცინოდა:

შენთვის ჩაგვიტარებია, ძმაო, ეს კონცერტი, ხომ კარგი ვქენი, რომ წამოგიყვანეო.

ერთ კვირაში დავბრუნდი თბილისში.

მწერალთა კავშირთან „შემთხვევით შემხვდა“ კგბ-ს თანამშრომელი. უნივერსიტეტიდან ვიცნობდი. ჩვენს შეხვედრაზე ყოველთვის დადიოდა, მაგრამ მეც ისე ველაპარაკებოდი, თითქოს ახალგაზრდა მწერალი გახლდათ, და არც კი ვიცოდი, რომ უშიშროების კომიტეტში მუშაობდა.

საერთოდ, კარგი ბიჭი იყო. კეთილი ღიმილი ჰქონდა.

რაზე ესაუბრე პირველ ლედისო, ნახევრადღიმილით, თითქოს სხვათაშორის მკითხა.

რესპუბლიკის მიღწევებით დაინტერესდა-მეთქი.

მეც როგორი ჩიტი ვარ, სხვას რას ვეტყოდი. ორ კვირაში „მერანის“ დირექტორმა კარლო კალაძემ თვითონ დამირე-

კა: შენს წიგნს სტამბაში ვგზავნი და დასამატებელი ხომ არაფერი გაქვსო. რედაქტორებიც მოულოდნელად დამითბნენ.

მწვანე შუქი! მაგრამ რამდენი ხნით?

საკვირაო სკოლა თურქეთში

ტაო-კლარჯეთში არის ქართული მონასტერი – ბანა.

ბანასთან ახლოს თურქული სოფელია. სოფელს ფენეკი ჰქვია.

ჩემი ძვირფასი მეგობარი, კინორეჟისორი რეზო ჩხეიძე და მე ბანას ვეძებთ.

ფენეკელებმა „ვერ გაიხსენეს“.

ბოლოს ერთი ჭარმაგი თურქი გამოჩნდა და „სომხები ხართო?“ გვკითხა.

არა გურჯები ვართ და ქართულ მონასტერს – ბანას ვეძებთ-მეთქი.

აქაო, ქართული მონასტერი საერთოდ არ გამიგონია, თქვენ ალბათ სომხურ ეკლესიას ბანას კითხულობთო.

სომხურსო! ვინ გითხრათ-მეთქი რომ სომხურია. გაიცინა. შარშან სომეხი ტურისტები იყვნენ ჩამოსულები და აქ მცხოვრებთ ფურცლები დაგვირიგეს – გთხოვთ ჩვენს მონასტერს ბანას მოუარეთო, ეწერა. თანაც ამ თხოვნას საჩუქრებიც მოაყოლესო.

ასე ერთგულად და თანმიმდევრულად ეპატრონებიან სომხები ტაო-კლარჯეთის კულტურას.

ეს ამბავი კარგახანია დაიწყო.

მსოფლიოს არაერთ სახელოვნო ცნობარში ოშკი, ხახული, ბანა, იშხანი, ოპიზა, შატბერდი, ოთხთა ეკლესია... სომხური კულტურის ძეგლებადაა მონათლული.

უნდა მოიცალონ ჩვენმა ხელოვნებისმცოდნეებმა, ერთხელ კიდევ შეადარონ VII-XII საუკუნის ქართული და სომხური

ხუროთმოძღვრების ძეგლები, საბუთებით უნდა დაამტკიცონ სომეხთა პრეტენზიების უსაფუძვლობა.

თუმცა ხუროთმოძღვართა ანალიზი რად უნდა, ყველა ძეგლი დახუნძლულია ქართული წარწერებით.

ბანა იქვე „აღმოჩნდა“, ფენეკიდან ორასიოდე მეტრში.

თურქს ავუხსენი, ეს წარწერები ქართულია და სომხებს ამ ძეგლთან არავითარი კავშირი არა აქვთ-მეთქი.

ჩამოგლიჯა სამიოდე თვის წინათ გაკრული სომხური აბრა და მოისროლა. თუ თქვენია, გურჯებისაა, რატომ არავინ მოდის, არ პატრონობს. აქ სულ სომხები მოდიანო. რა დასამალია, ჩვენ სომხები უფრო გვძულს, ვიდრე ქართველებიო (ვინ უფრო უყვარს, არ უთქვამს).

გული მომიკვდა ძველი, სახელოვანი საქართველოს ხილვით, თურქეთის მიერაა მიტაცებული დღეს ზუსტად მესამედი საქართველო. ამ მიწების დაბრუნების იმედი დღეს ასიდან ორი პროცენტია, მეტი არა. ტაო-კლარჯეთს კი არა, აგერ რუსეთის მიერ გუშინ წართმეულ აფხაზეთ-სამაჩაბლოსაც ვერ ვიბრუნებთ.

თურქეთს ფეხებზე ჰკიდია შენი ისტორიული ძეგლები.

ხახული მეჩეთადაა გადაკეთებული, იშხანი შუაზეა გატიხრული სხვადასხვა საყოფაცხოვრებო დანიშნულების სათავსოებად, ოშკზე ტუალეტები და საწყობებია მიშენებული, ბანა მიწასთანაა გასწორებული, შატბერდში თივა ჰყრია და საქონლის სადგომადაა ქცეული, ასევე საქონლის სკორეთია სავსე გენიალური ოთხთა ეკლესია, ხანძთა ოპიზა, ტბეთი საერთოდ იავარქმნილია.

განსაკუთრებით შთამბეჭდავია ოთხთა ეკლესია.

ერთნავიანი ბაზილიკის სტილის ამ გრანდიოზულ ტაძარს მოუვლელობისაგან ხავსი მოსდებია, სახურავზე და კედლებზე ხეები ამოსულა.

უიარაღოდ, შიშველი ხელებით მთელი დღე ვიმუშავეთ მე და რეზომ, რომ ოთხთა ეკლესიისთვის ათასწლის ხავსი მოგვეშორებინა.

უკან დაბრუნებისას ართვინში შევიარეთ.

ართვინის ვილაიეთის გუბერნატორს ომერ ბიუკენტს მიღება ვთხოვეთ.

მიგვიღო.

მეათე ჭიქა ჩაი რომ დავცალეთ, შევაპარეთ თავაზიანად მასპინძელს – ჩვენ, ყოველთა ქართველთა მსოფლიო კონგრესის ხელმძღვანელები, გთხოვთ ნებართვას, რათა ართვინში ქართული წერა-კითხვის შემსწავლელი საკვირაო სკოლა გაიხსნას.

ატრიალა კრიალოსანი ეშმაკმა თურქმა; ვისთვის გინდათ ეს სკოლაო, აქ ხომ ქართველები აღარ ცხოვრობენო.

არა და ართვინის ყოველი მეორე თუ არა, ყოველი მესამე მცხოვრები გურჯია.

ამ ხაზით კამათის წამოწყება არ ღირს.

იქნებ თურქებს გაუჩნდეთ სურვილი ქართული წერა-კითხვის შესწავლისა-მეთქი.

არა მგონიაო.

ჩვენთან თბილისში თურქული კოლეჯი გაიხსნა და მას დემირელის კოლეჯი ჰქვია. რა დაშავდება აქ მხოლოდ საკვირაო სკოლის გახსნით-მეთქი.

იფიქრა, იფიქრა, სადღაც გადარეკ-გადმორეკა და ბოლოს ღიმილით გამოგვიცხადა: თურქეთის მხარე თანახმაა. პირადად გამოგიყოფთ ნებისმიერ თურქულ სკოლაში 3 ოთახს და მსმენელთა შოვნაშიც დაგეხმარებითო. გამომშვიდობებისას დასძინა. იმედია, სწორად გამიგებთ; ამ საქმეს საგარეო საქმეთა და განათლების სამინისტროების თხოვნა

და საქართველოს პრეზიდენტის დემირელისათვის გაგზავნილი ბარათი დასჭირდებაო.

აღტაცებულნი გამოვედით ვილაიეთის გუბერნატორის კაბინეტიდან.

მე და ბატონი რეზო სიხარულით ერთმანეთს ვეხვეოდით.

ეს იყო 1998 წლის 22 აგვისტოს.

ესო, ისტორიული დღეაო, რეზო მეუბნება. ამ დღეს მე და შენ საფუძველი ჩავუყარეთ ქართული საკვირაო სკოლის გახსნას თურქეთშიო.

წერილების მოგროვებას რა უნდა, შევარდნაძესაც ძალიან გაეხარდებაო. მასწავლებლები შენ უნდა იშოვო. სამ-სამი თვით მოავლინე თურქეთში უნივერსიტეტელი ფილოლოგებიო.

მე თვითონ წამოვალ და 3 თვეს დავრჩები, რა არის უფრო საპატიო და პატრიოტული საქმე-მეთქი.

თურმე, სად გძინავს.

ძლივს შევაღწიეთ საგარეო საქმეთა და განათლების მინისტრებთან. ორივემ სიხარულისაგან ლამის ტაში შემოჰკრა. ესაო, ჩვენ გეგმაში ისედაც გვქონდა და რა კარგია, თქვენ რომ მოვლენები დაგიჩქარებიათო. წერილებს ახლავე შევადგენთ, ოღონდ პრეზიდენტთან მაინც მიდით, ხომ იცით, მისი ნებართვის გარეშე ვერაფერს გავაწყობთო. თანაც ბ-ნ ედუარდს გაეხარდება, ეს პუნქტი თურქეთთან ახლახანს ხელმოწერილ სამეგობრო ხელშეკრულებაშიც ჩადებულიაო.

მივედით შევარდნაძესთან.

ყურადღებით მოგვისმინა.

გაგითავებიათ საქმე და ეგ არისო, გაიღიმა. შეგვაქო. ახლა მთავარია, დროზე გაიხსნას საკვირაო სკოლაო. ერთი კი არა, რამდენიმე საკვირაო სკოლის გახსნა შეიძლება

თურქეთის სხვადასხვა ქალაქშიო. რაც შეეხება წერილს, პრეზიდენტების დონე რად უნდა საკვირაო სკოლასო. მინისტრების დონეც დიდია მაგისთვისო. ვილაიეთის გუბერნატორთან თქვენი შეთანხმება აბსოულუტურად საკმარისიაო. ყოველ შემთხვევაში მე დავავალებ ორივე მინისტრს, ყოველნაირად შეგიწყონ ხელიო. თუ კაცი ხარ, მასწავლებლები კარგები შეარჩიეთ და რაც მთავარია, ასეთი სკოლები პოლიტიკისგან თავისუფალი უნდა იყოს! თურქებს აღიზიანებთ წამდაუწუმ იმის ხაზგასმა, რომ თითქოს თურქეთში უამრავი ქართველი ცხოვრობსო. მოველაპარაკები მინისტრებს და მე თვითონ შეგატყობინებთ ყველაფერსო.

ამ საეჭვო შეხვედრის მერეც არაერთხელ გავფართხალდით მე და რეზო, მაგრამ ქართული საკვირაო სკოლის გახსნას თურქეთში საშველი არ დაადგა.

ორი წლის შემდეგ ყოველთა ქართველთა მსოფლიო კონგრესის მოწვევის საორგანიზაციო თათბირზე რომ მივედით, შევარდნაძემ ჩვენთვის მოულოდნელად გვკითხა:

როგორაა თქვენი საქმეო და სანამ პირს გავაღებდით, თვითონვე დასძინა, იცით რა, წერილის გაგზავნა უხერხულია, ამ დღეებში პირადად ვნახავ დემირელს და მოველაპარაკებიო.

როგორც ჩანს, დაავიწყდა.

ცოტნე დადიანი

1996 წლის 24 ნოემბერს ფოთში ცოტნე დადიანის ძეგლი გაიხსნა.

ფოთის მერმა, რომ იტყვიან, გულის სისხლი ჩააწურა ამ ჭეშმარიტად ეროვნულ საქმეს.

საყოველთაო შეჭირვების დროს სახსრები გამოძებნა, ელგუჯა ამაშუკელს ძეგლი შეუკვეთა და მაღალ კვარცხლბეკზე მდგარი დიდებული ძეგლი შეემატა საქართველოს.

აქვე დავსძენ, რომ ნუგზარ ნადარაიას თაოსნობით ფოთში გარდა ცოტნე დადიანის ძეგლისა დაიდგა ივანე ჯავახიშვილის და იაკობ-გოგებაშვილის ბიუსტები, გაიხსნა ფოთის საისტორიო-ეთნოგრაფიული მუზეუმი, დაარსდა „ფაზისის“ აკადემია.

პირველი სიტყვა ედუარდ შევარდნაძემ თქვა. ხაზი გაუსვა ცოტნეს ძეგლის დადგმის დიდ მნიშვნელობას ქართველთა კონსოლიდაციის საქმეში და ჩვენი სამომავლო ცხოვრების იმედიანი კონტურებიც მოხაზა. აფხაზეთს და სამაჩაბლოს მალე დავიბრუნებთო, განაცხადა, რაზეც ლოდინით დაღლილი მასის ტაში დაიმსახურა.

გამოვედით ლევან სანიკიძე, ვალერი ასათიანი, ცოტნე მირცხულავა, ნუგზარ ნადარაია და მე.

აღინიშნა, რომ ცოტნე ჩვენი უპირველესი გმირია, რომ მრავალგანზომილებიანია მისი გმირობა, რომ ყველაფერთან ერთად იგი ზნეობრივი გმირიც არის.

მე ვთქვი;

„ბატონებო!

კაცი, რომელიც თავისი მიწიერი სიცოცხლიდან ლამის 700 წლის შემდეგ ძეგლად აღიმართა ამ მოედანზე, თავისუფალი საქართველოს ერთი შეთქმულთაგანი იყო და როცა ანისში, დამპყრობელ მონღოლთა ბანაკში, აბეზარ ქარსიცხეში თავის უდანაშაულოდ დასჯილ თანამოძმეთა შორის ჩაჯდა, რა თქმა უნდა, არ ფიქრობდა იმაზე, რომ დიდი ხნის შემდეგ გრძნეული მოქანდაკე საჭრეთელს აიღებდა და საუკუნეებს უამბობდა ამ ბეჭარწივოსანი გმირის უკვდავებაზე.

ცოტნე დადიანი ქართველთა უპირველესი ზნეობრივი გმირია. შეიძლება იფიქრო კაცმა; დგანან ახლა თავიანთი წილი მზით განათებული მოედნებზე საუკუნეთა დელგმაგვემას გადარჩენილი ქართველნი, რომელთაც სამშობლო თითქმის ხელში შემოეფცქვნათ და ძეგლებს დგამენო.

ეს მარტო ძეგლი არ არის, ეს ოდენ ხელოვნების ნიმუში არ გახლავთ, ეს ქართველთა გადაშენებისადმი პროტესტის ნიშნად მაღლა შემართული მუშტია.

ამიტომაც მადლობის ღირსია დღეს ყველა, ვინც ეს ძეგლი შექმნა, მისი დადგმა ითავა, მისი ლიბო გაამაგრა და ჩაადუღაბა.

ეს ძეგლი კი არა, კივილია, საუკუნეებს რომ გამოივლის. საქართველოს მთებში რომ წრიალებს და კოსმოსში იკარგება.

ისევ და ისევ დავით აღმაშენებლის და ცოტნე დადიანის სიბრძნე და უკვდავება გააერთიანებს და გადაარჩენს საქართველოს.

ნუ გაიხარებენ ჩვენი მტრები.

ცოტნე დადიანის გენი ისევ ფეთქავს. ცოტნე დადიანის

სისხლი ისევ მიმოდის ჩვენს ძარღვებში.

ცოტნე დადიანის ბრალიცაა. ამას წინათ იმპერიასთან უსამართლო ომში ჩვენი პირტიტველი ბიჭების სიკვდილთან შეთამამება.

დიახ, „თამაშად და მღერად“ – როგორც რუსთაველი ბრძანებს, მიიჩნია 30 ათასმა და უფრო მეტმა გმირმა მამულისათვის სიკვდილი.

ეს იმას ნიშნავს, რომ ჯერ ყველაფერი არ დაკარგულა.

„ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ!“

ქართული მიწებისკენ შურით მზირალნო და გაიძვერა მოყვარენო, გეშინოდეთ ცოტნეს მხარზე მჯდომი არწივისა, იგი ხვალინდელი საქართველოა“.

* * *

ფოთიდან თბილისში რომ დავბრუნდი, ერთ ავტორიტეტულ კულტურულ დაწესებულებაში შევიარე. იქ, როგორც მოველოდი, ჩემთვის ფრიად პატივსაცემი, ხანდაზმული პოეტი იჯდა. მკითხა, ელგუჯას ძეგლი როგორიაო.

ძალიან შთამბეჭდავია-მეთქი.

რატომ მაინცდამაინც ფოთში უნდა დადგმულიყო ცოტნეს ძეგლიო.

ალბათ, ცოტნეს კოლხური წარმომავლობის გათვალისწინებით. ისე, რასაკვირველია, ცოტნე ზოგადქართული ფენომენია და მისი ძეგლი ისეთივე წარმატებით შეიძლებოდა თბილისში, ქუთაისში ან თელავში დადგმულიყო-მეთქი.

საქმეც მაგაშიაო. შენ როგორ ფიქრობ, „ლ“-ს რბილად წარმომთქმელი ცოტნე კოხტასთავის შეთქმულებაში მოთავეთა შორის, წინა სავარძელზე იჯდა, თუ თავისთვის კუთხეში იყო მიმჯდარიო.

ჯერ ერთი, ძალიან გთხოვ, მეგრულთან შენი პოლემიკური დამოკიდებულება ნუ დაგრევს ხელს ცოტნეს შეფასების დროს, მეორეც, რა მნიშვნელობა აქვს ცოტნე შეთქმულების მოთავე იყო თუ უბრალო წევრი, რაც მან გააკეთა, ვაჟკაცობის და თავდადების უმაღლესი გამოხატულებაა-მეთქი.

მე, გითხრა სიმართლე, ვერც მაგ თეატრალურ გმირობას ვიჯერებო. ჯერ ერთი, მონღოლები არც ისე სულელები იყვნენ ცხენით მოვარდნილი კაცისთვის გაშიშვლება და თაფლის წასმა ეცლიათ, იქამდე დაცვა არ მიუშვებდა, მეორეც, ვინ იცის, იქნებ, ამ ნაბიჯით ცოტნეს თავისი უნებლიე შეცდომისთვის ალიბის გაკეთება სურდაო.

რა შეცდომაზეა ლაპარაკი, არ გამაგიჟო-მეთქი. – სიბრაზისაგან პირი გამიშრა.

– ხომ შეიძლებოდა ცოტნეს შეთქმულების შესახებ ვინმესთან „წამოცდენოდა“. მერე კი შეთქმულთა შეპყრობის ამბავი რომ გაიგო, ისტორია მე დამაბრალებს გაცემას რაკი დასჯილთა შორის არა ვარო და ამიტომ გამოჩნდა წამებულთა შორის. ისიც ხელოვნური ამბავია, რომ თითქოს მონღოლ ნოინს ცოტნეს გამოჩენამ გული აუჩუყა და „რას ვერჩი ამ ხალხს, მართლები ყოფილანო“ ჩაილაპარაკა. არ მჯერა მე ეგ რომანტიკული ზღაპარი, არ მჯერა და მომკალი.

თვალებში შევხედე. ისე გულწრფელად ამბობდა, კამათის გაგრძელება ზედმეტი იყო. მაინც ვერ გადავათქმევინებდი აჩემებულ, ახირებულ აზრს.

როგორ არ მინდოდა შენც იმ დაეჭვებულ ქართველთა შორის მეხილე, აგერ ა, გუშინ ქართველთა გასაერთიანებლად გია აბესაძის თავდაწვის გმირობა რომ არ დაიჯერესმეთქი, ესღა ვუთხარი და დავემშვიდობე.

ახლაც მჯერა, რომ იგი ცოტნეს გმირობას არ აბიაბურებდა, იმ დღეს „სხვა ფეხზე იყო ამდგარი“ და უბრალოდ დებატური განწყობა ჰქონდა. ან იქნებ, „სიბერის წიკმა“ სძლია საღ გონებას?

წართმეული გვარები

აზერბაიჯანში სამოცი ათასამდე ქართველი ცხოვრობს.

გასული საუკუნის ოციან წლებში სერგო ორჯონიკიძის მსუბუქი ხელით და ბნელი გონებით ჩადენილ იქნა გაუგონარი ეროვნული დანაშაული – საქართველოს ძირძველი კუთხე ჰერეთი (საინგილო) აზერბაიჯანს აჩუქეს.

1959 წელს ინგილოებს ჩამოართვეს პასპორტები, აქაოდა პასპორტის ფორმა იცვლებაო, ხუთი თვის შემდეგ დაუბრუნეს პასპორტები, მაგრამ ვაი ამ დაბრუნებას; მოძმე აზერბაიჯანელებს ქართველებისთვის გვარები შეეცვალათ. ასე იქცნენ იაშვილები აღამამედოვებად, ნაცვლიშვილები – საფაროვებად, ტატიშვილები ქალაჯაევებად...

ატეხეს ქართველებმა ერთი ვაიუშველებელი.

აზერბაიჯანში მცხოვრებს გვარიც აზერბაიჯანული უნდა ჰქონდესო, მოკლედ მოუჭრეს აზერბაიჯანელმა კომუნისტებმა. თუ ეს გვარები ხელს არ გაძლევთ, გასახლდით საქართველოშიო.

როცა დაპირისპირებამ პიკს მიაღწია, აზერბაიჯანელებმა მოწყალება მოიღეს და ქრისტიან ქართველთა ერთ ნაწილს დაუბრუნეს ქართული გვარები, მუსულმან ქართველებს კი სასტიკი უარი უთხრეს.

ამ ამბის შემდეგ ლამის 50 წელი გავიდა.

ვის არ მიმართეს გვარწართმეულმა ქართველებმა დაგვიბრუნეთ ეროვნება და გვარსახელებიო, მაგრამ ამაოდ.

ასე რომ ამჟამად საინგილოში 60 ათასი ქართველიდან მხოლოდ 7 ათასი ატარებს ქართულ გვარს, დანარჩენი კი

აზერბაიჯანულს.

... და დღითიდღე აზერბაიჯანელდება.

ეს მაშინ, როცა საქართველოში ნახევარ მილიონამდე აზერბაიჯანელი ცხოვრობს და არცერთი მათგანისთვის მასპინძელ ქართველებს გვარის შეცვლაზე მინიშნებითაც არ მიუნიშნებიათ.

2002 წლის 28-30 იანვარს საქართველოს პარლამენტის დელეგაცია ნინო ბურჯანაძის ხელმძღვანელობით ოფიციალური ვიზიტით აზერბაიჯანს ეწვია.

დელეგაციის ერთი წევრი მეც გახლდით.

29 იანვარს პრეზიდენტმა გეიდარ ალიევმა მიგვიღო. მაღალი დონის შეხვედრა დასასრულს უახლოვდებოდა, როცა სიტყვა ვითხოვე.

რა უნდა თქვათო, ნინომ ჩამჩურჩულა.

ქართველთა გვარების დაბრუნება უნდა ვთხოვო-მეთქი ალიევს. ბატონო რეზო, გეხვეწები, ახლა არ არის მაგის დროო, მიჩურჩულა ნინომ, მაგრამ უკვე გვიან იყო.

– ბატონო პრეზიდენტო, ახლახან აზერბაიჯანში გამოვიდა ჩემი ნოველების რჩეული, რომელიც თარგმნა ვუგარ ალიევმა. მოკრძალებით მოგართმევთ ამ წიგნს და გულწრფელ მადლობას მოგახსენებთ, რადგანაც როგორც მთარგმნელმა მითხრა, წიგნის გამოცემა თქვენმა საქველმოქმედო ფონდმა დააფინანსა.

თუ ნებას მომცემთ, ერთი სათხოვარი უნდა გაგიმხილოთ.

ორმოცდაათიანი წლების ბოლოს აზერბაიჯანში მცხოვრებ ქართველებს (ე. წ. ინგილოებს) გადაუკეთეს გვარები. ეს ის დროა, როცა თქვენ აქტიურ პოლიტიკაში არ იყავით, ასე რომ დანაშაული, რომელზეც მოგახსენებთ, თქვენი მონაწილეობით არ მომხდარა.

მოგმართავთ, როგორც ჩვენი უპირველესი მეგობარი ქვეყნის პრეზიდენტს, იქნებ გასცეთ განკარგულება და დაუბრუნოთ ქართველებს თავიანთი გვარები-მეთქი.

ნინო გამშრალი მიყურებს.

უხერხული დუმილი ალიევმა დაარღვია: მადლობას მოგახსენებთ ბატონო მიშველაძე წიგნისთვის და კეთილი სურვილებისთვის, რაც წიგნზე წაგიწერიათო.

რაც შეეხება თქვენს თხოვნას, აბსოლუტურად კანონიერია. გარწმუნებთ, პირველად მესმის, როგორ შეიძლებოდა ასეთი რამ მომხდარიყო.

ჩვენთან პასპორტში საერთოდ ერთი ეროვნება – აზერბაიჯანელი იწერება, რაც შეეხება გვარების დაბრუნებას, ახლავე გავცემ განკარგულებას და ყველას, ვისაც სურვილი აქვს – აზერბაიჯანის მოქალაქე ქართველს თავის ძველ გვარს დაუბრუნებენო.

უღრმესი მადლობა მოვახსენე.

ნინოც კი გაიბადრა.

ყველაფერი გამოქვეყნებულია „ბაკინსკი რაბოჩის“ 30 იანვრის ნომერში.

თბილისში რომ ჩამოვედით, ინგილოების ტელეფონების ზარს ვერ ავუდიოდი. ეს რა გმირობა ჩაიდინეო, ჩვენი ახალი ნათლია ხარო, მეუბნებოდნენ.

12 მარტს აზერბაიჯანში საქართველოს სრულუფლებიანი ელჩის ზურაბ გუმბარიძის ოფიციალური წერილი მივიღე.

წერილი ასე მთავრდებოდა:

„აზერბაიჯანული მხარის შესაბამისი უწყებების წარმომადგენლებმა ერთსულოვნად და სრული პასუხისმგებლობით განაცხადეს, რომ ამჟამად ამ მხრივ არავითარი პრობლემა არ არსებობს. დაკმაყოფილდება ყველა მსურველის თხოვნა

როგორც სახელის, ასევე გვარის შეცვლასთან დაკავშირებით. მათ ასევე აღგვითქვეს, რომ აიყვანენ საკითხს პირად კონტროლზე და მისცემენ მითითებებს შესაბამის უწყებებს, რათა მაქსიმალურად ოპერატიულად იქნას დაკმაყოფილებული მოქალაქეთა მსგავსი მოთხოვნები“.

რომ მგონია პური ჭამა სამართალმა, დაიბრუნეს ინგილოებმა ქართული გვარები-მეთქი, 2002 წლის 23 ივნისს პარლამენტში ინგილოთა თხუთმეტკაციანი დელეგაცია მეწვია.

ჩვენს იმედს ზაქათალას რაიკომის მდივანმა ცივი წყალი გადაასხაო. გვარების გადასაკეთებლად განცხადებები რომ მივუტანეთ, სამი თითის კომბინაცია გვიჩვენაო.

მეორე დღესვე ვიახლე ჩვენი პარლამენტარი კოლეგა მამედ მამედოვი და ჩავედი ზაქათალაში.

მაგიდაზე დავუფინე „ბაკინსკი რაბოჩი“ და ზ. გურგენიძის წერილი რაიკომის მდივანს.

წაიკითხა.

ჯერ ერთი აზერბაიჯანში არც ერთი ქართველი არ ცხოვრობს, მეორეც არ მესმის რა ქართულ გვარებზეა ლაპარაკი და მესამეც ეს გაზეთი და თქვენი ელჩის წერილი ჩემთვის საბუთი არ არის. პირადად მომწეროს ალიევმა და შევასრულებო.

როგორ მთელი აზერბაიჯანის წინაშე ტელევიზიით მოგვცა პრეზიდენტმა პირობა და ალიევს არ ემორჩილებიმეთქი?

მაშ, მოგვატყუა-მეთქი ალიევმა?

როგორც გინდათ, ისე იფიქრეთო.

ამის შემდეგ გეიდარ ალიევის ერთ-ერთი ვიზიტის წინ ჩვენს პრეზიდენტს ვთხოვე: იქნებ შეახსენო ალიევს ჩვენთვის მოცემული პირობა-მეთქი.

ვერაო, ჩემო რეზო, არ გეწყინოსო, მე რომ იქეთ მივ-

დიოდე, ვეტყოდი, მაგრამ კაცი აქ მოსაფერებლად ჩამომყავს და ულტიმატუმის ენით ვერ დაველაპარაკებიო, გულწრფელად მითხრა.

ახლა 2007 წელია.

ქართველები აზერბაიჯანში ისევ აზერბაიჯანულ გვარებს ატარებენ.

ინგილოებს იმედი აქვთ იქნებ დროთა განმავლობაში ჩვენმა იუსტიციის მინისტრმა აზერბაიჯანის იუსტიციის მინისტრს შეჰბედოს ჩვენი სატკივარიო.

ვნახოთ, დაველოდოთ.

ხდება ხოლმე...

1991 წლის 6 მარტს ზვიად გამსახურდიამ გვიხმო მწერლებს: შოთა ნიშნიანიძე, მურმან ლებანიძე, გიორგი გაჩეჩილაძე, გურამ გვერდწითელი, მზია ხეთაგური, იგორ ბოგომოლოვი და მე.

კარებში შემოგვეგება. სიყვარულით მოგვიკითხა. რა ხდება მწერალთა კავშირშიო. უნდა აღგადგინოთ-მეთქი წევრად. გაეცინა. დიდი მადლობა, მაგრამ ჯერ უხერხულიაო (სხვათა შორის მწერალთა კავშირის მდივნად რომ ამირჩიეს 2003 წელს, მესამე დღესვე მოვიწვიე გამგეობის სხდომა და ზვიად გამსახურდია სიკვდილის შემდეგ აღვადგინეთ მწერალთა კავშირის წევრად). ერთ, ფრიად მნიშვნელოვან საქმეზე შეგაწუხეთო, უნდა ჩახვიდეთ მოსკოვში და რუსეთის ინტელიგენციას უნდა გააგებინოთ, რომ საქართველო აღარ არის რუსეთის ვასალი. ჩვენ დამოუკიდებელი სახელმწიფო ვართ. საქართველო შეინარჩუნებს რუსეთთან კულტურულ ურთიერთობას, ხოლო პოლიტიკურს – როგორც თანასწორი სახელმწიფო მეზობელ სახელმწიფოსთანო. ეს დიდი პოლიტიკური მისიააო. ამ მისიის უკანასკნელ 200 წლის მანძილზე რუსეთში შემოქმედებითი ინტელიგენციის დელეგაცია არ ჩასულაო. უნდა ჩაატაროთ შეხვედრები, საუბრები, პრესკონფერენციები. თან წაიღეთ, ვისაც გაქვთ თქვენი რუსული წიგნები და დაურიგეთ რუსებსო. დელეგაციის ხელმძღვანელად რევაზ მიშველაძეს ვნიშნავო.

მუხრან მაჭავარიანი-მეთქი?

მუხრანს აქ სხვა საქმეც ბევრი აქვს. თანაც პარლამენ-

ტის წევრია და არ მინდა ოფიციალური პირი გაერიოს ამ საქმეშიო.

მერე თვალი მოჭუტა და მისებურად, ნაწყვეტ-ნაწყვეტი სიცილით დაუმატა – ესეც არ იყოს, მუხრანის რუსულის დიდი იმედი არა მაქვსო.

8 მარტს გავფრინდით მოსკოვში.

მურმან ლებანიძე და შოთა ნიშნიანიძე 20 წელიწადი ხმას არ სცემდნენ ერთმანეთს. რაზე წაიკიდნენ, თვითონვე აღარ ახსოვდათ. გზაშივე შევარიგეთ. ჩვენი დელეგაციის პირველი დიდი მიღწევა ეს არის-მეთქი გამოვაცხადე ვახშმობის დროს.

მეორე დღესვე დავიწყეთ საქმიანობა.

ვურეკავ მწერლებს, მეცნიერებს, მსახიობებს, მხატვრებს, მუსიკოსებს, ჟურნალისტებს...

დავრბივარ საელჩოებში.

დღეში ორ შეხვედრას ვმართავთ. ხანდახან – სამსაც.

ყოველ საღამოს ვურეკავ ზვიად გამსახურდიას და ანგარიშს ვაბარებ.

„კარგია. კარგიაო...“ კმაყოფილია.

11 მარტს შუაღამისას თვითონ დამირეკა;

როგორც მითხრეს, მანდ ხვალ ნოდარ ნათაძე ჩამოდის. ეგ შიზოფრენიკია, თანაც ჩემი დაუძინებელი მტერი. ალბათ, ლანძღვას დამიწყებს, არავითარ შემთხვევაში სიტყვა არ მისცეო.

12 მარტს შეხვედრა გვაქვს მწერალთა კავშირში.

შესავალ სიტყვაში ვრცლად ვილაპარაკე რუსულ-ქართულ ლიტერატურულ და პოლიტიკურ ურთიერთობაზე. ვთქვი, რომ საქართველოში კომუნისტური წყობილება დამხობილია და ხელისუფლების სათავეში მოვიდა ცნობილი მეცნიერი და მწერალი, ეროვნული მოძრაობის მედროშე

ზვიად გამსახურდია-მეთქი.

– არავითარი მწერალი და მეცნიერი ეგ არ არის. ეგ თქვენი ზვიადი უბრალოდ უზრდელია! – წამოიძახა ვლადიმერ სოლოუხინმა.

რა ვქნა? სოლოუხინი თვალსაჩინო რუსი მწერალია. მის ნათქვამს ვერ მიაფუჩეჩებ.

რატომ არის-მეთქი უზრდელი? ვკითხე სოლოუხინს.

– იმიტომ, რომ ამას წინათ თქვენმა თანამემამულემ, სსრკ-ს საგარეო საქმეთა მინისტრმა ედუარდ შევარდნაძემ მას მიულოცა უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ არჩევა და ზვიადმა, როგორც გაზეთებიდან შევიტყვე, ეს მილოცვა არ მიიღო. ზრდილობიანი ადამიანები ასე არ იქცევიან!

უხერხული სიჩუმე ჩამოწვა.

ვახსენე ღმერთი და დავიწყე:

– თქვენ, როგორც ჩანს, არ იცით შევარდნაძის და გამსახურდიას ურთიერთობის ისტორია, თორემ ამას არ იტყოდით.

მოგეხსენებათ, ზვიადი არის ქართული ლიტერატურის კლასიკოსის კონსტანტინე გამსახურდიას შვილი. მას აღზრდა და ოჯახური გარემო სწორედ რომ დიდებული ჰქონდა. იცის ხუთი ენა და, ვისაც აქამდე შეხვედრია, ყველანი მის რაფინირებულობაზე და გულისხმიერებაზე ლაპარაკობენ.

კონსტანტინე გამსახურდია სამი წელი ლოგინზე იყო მიჯაჭვული და „ყურადღებიან“ ედუარდ შევარდნაძეს იგი ერთხელაც არ მოუნახულებია, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ზვიადი სძულდა, როგორც დისიდენტი და ეროვნული მოძრაობის წარმომადგენელი.

კონსტანტინე გამსახურდია რომ გარდაიცვალა, მეოთხე დღეს გაჩხრიკეს მისი სახლი, ხოლო 10 დღის შემდეგ, მამის ორმოცის შესრულებამდე ზვიად გამსახურდია დააპატიმრეს.

ყოველივე ამის გამო ჰქონდა თუ არა ზვიად გამსახურდიას საბაბი დაეჭვებულიყო ედუარდ შევარდნაძის მოლოცვის სიწრფელეში? რაო, რატომ უნდა გახარებოდა კომუნისტ შევარდნაძეს საქართველოში კომუნისტური წყობის დამხობა?

– ოოო... ეს ყოველივე მე, რა თქმა უნდა, არ ვიცოდი! – ჩაიბურტყუნა ვლადიმერ სოლოუხინმა და დარბაზში ტაშის ქარიშხალი ამოვარდა.

არ ვიცი, მე მიკრავდნენ ტაშს თუ სოლოუხინს.

ყოველ შემთხვევაში, პირველი რაუნდი მოგებულია.

ამ დროს დარბაზში ნოდარ ნათაძე შემოვიდა.

ვცდილობ, თვალი ავარიდო, უკანა რიგში დაჯდა.

შეხვედრა გრძელდება.

ჩვენი გამოსვლის შემდეგ გამოვიდნენ მოსკოველები იან გოლცმანი, ვლადიმირ ვოინა, ელიზბარ ანანიაშვილი და ვლადიმირ ლეონოვიჩი.

ვიღაცამ იკითხა:

ოსებს რას ერჩით, გაგვაგებინეთ, ის ტერიტორია, სადაც ოსები ცხოვრობენ თქვენია თუ ოსებისააო. რა დააშავეს, რომ ავტონომია წაართვითო:

– რეზო! რეზო! – დაიძახა ნოდარ ნათაძემ – ამ კითხვას მე ვუპასუხებ!

ბატონი ხარ-მეთქი, სხვას რას ვეტყოდი და გამოვაცხადე:

– მოვუსმინოთ პროფესორ ნოდარ ნათაძეს.

ნოდარმა მშვენივრად, გამართული რუსულით უამბო მსმენელთ, როდის ჩამოსახლდნენ ოსები საქართველოში, თქვა რომ 1913 წელს ცხინვალში მხოლოდ 1 ოსი ცხოვრობდა და დაწვრილებით განმარტა, რატომ იყო უკანონო სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი.

ზვიადზე კრინტი არ დაუძრავს, არც კარგი უთქვამს, არც ავი.

ამოვისუნთქე შვებით.

14 მარტს დავბრუნდით თბილისში.

მთელი კვირა გადასცემდა ტელევიზია ჩვენს შეხვედრებს და წერდნენ გაზეთები ჩვენი დელეგაციის წარმატებული ვიზიტის შესახებ.

მეგონა, დამიძახებდა ზვიადი და, თუ მადლობას არ მეტყოდა, ანგარიშს მაინც ჩაიბარებდა ჩემგან, რათა დაწვრილებით მომეთხრო, რა გავაკეთეთ და როგორ.

მხოლოდ ოცი დღის შემდეგ 4 მარტს მიხმო.

ჯერ სამი საათი მაყურყუტა მისაღებში და რომ შევედი ფეხზეც არ ამდგარა, ხელიც არ ჩამოურთმევია, მანიშნა დაჯექიო.

– კაცო, შენ ხომ გითხარი, იმ გიჟ ნათაძეს სიტყვა არ მისცე-მეთქი. ასე შეასრულე ჩემი თხოვნა?!

– ზვიად, ჯერ ერთი ნოდარმა ხელი ასწია და უხერხული იყო უარის თქმა. მეორეც, კაცი, პარლამენტის წევრია და მე არც ერთი თქვენგანის საავადმყოფო ფურცელში არ ჩამიხედავს. მესამეც, არაფერი ცუდი არ უთქვამს, თორემ გავაწყვეტინებდი. პირიქით, შენ პირადად კარგად მოგიხსენია.

ეს უკანასკნელი ფრაზა ვიცრუე, რასაკვირველია.

– რაო. ჩემზე ამბობს გიჟიაო?! – გადაიხარხარა – კარგი. წადი. სხვა დროს ვილაპარაკოთ.

ასე უცერემონიოდ გამომისტუმრა.

გავბრაზდი, მაგრამ არ შემიმჩნევია, ზვიადი ჩემი თანაკურსელია, მიყვარს... რა მოხდა, ალბათ, ნოდარ ნათაძის მიმართ ალერგია აქვს-მეთქი.

27 აპრილს ისევ მიხმო ზვიადმა.

უხალისოდ მივედი.

მდივან ლალი მაისურაძეს ვუთხარი: აქ სამ საათს ვჯდომას არ ვაპირებ, ლექციები მაქვს. იქნებ შენ გითხრას, რა უნდა-მეთქი.

შევიდა ლალი და იმ წამსვე გამობრუნდა.

შებრძანდით, გელოდებათო.

ამჯერად, ფეხზე წამოდგა და მომიკითხა კიდეც.

– ასეთი საქმეა, რეზო, – მითხრა ზვიადმა, – მინდა მწერლებმა პრეზიდენტად არჩევაში მხარი დამიჭირონ. მიდი მუხრანთან, დაწერეთ მხარდასაჭერი წერილი, მოაწერინეთ ხელი კარგ მწერლებს და მიიტანეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“. შენ გაუკეთე ორგანიზაცია ამ საქმეს.

მაშინვე წამოვედი მწერალთა კავშირში. მუხრანი კაბინეტში მარტო იჯდა.

ასე და ასე დამიბარა-მეთქი.

– კი მარა, თვითონ ვერ დამირეკა? – უგემურად შეხვდა მუხრანი ჩემ ნათქვამს.

ალბათ, არ ჩათვალა სატელეფონოდ. თუ ეჭვი გეპარება, დარეკე და ჰკითხე-მეთქი.

– გამაგებინე ერთი, როდის გნიშნავს თავმჯდომარედ?! – გაიცინა მუხრანმა – მოსკოვში შენ გგზავნის, მხარდაჭერას შენ გავალებს – მე ტყვილა ვზივარ, აქ.

ეს ნათქვამი უგერგილო ხუმრობად ჩავუთვალე და არ შევპასუხებივარ.

– შეადგინე წერილი და მოვაწერინოთ ხელი, ვინც მოაწერს, როდის უნდა იყოსო? – მკითხა თავმჯდომარემ.

– ხვალ, „საქართველოს რესპუბლიკაში“.

იქვე დავწერე მხარდამჭერი წერილი და გავუწოდე.

წაიკითხა, არაფერი ჩაუსწორებია, გადააბეჭდვინა.

მოაწერე შენ ხელი, მერე მდივნებს შეუტანე. მერე მწერლებს ჩამოუარე და დღის ბოლოსთვის მომიტანეო.

იქნებ შენ ახლავე მოაწერო, შენს ხელმოწერას რომ ნახავენ, სხვებიც მოაწერენ-მეთქი.

არაო, მე ბოლოს მოვაწერო.

მოვაწერე ხელი და შევუტანე გურამ ფანჯიკიძეს.

მდივნებიდან გურამ ფანჯიკიძემ და ენვერ ნიჟარაძემ მოაწერეს. ხუტა ბერულავა კაბინეტში არ იჯდა.

ჩემი „ჟიგულით“ ჩამოვუარე და ხელი მოვაწერინე: ანა კალანდაძეს, შოთა ნიშნიანიძეს, მურმან ლებანიძეს, მერაბ ელიოზიშვილს, სოსო სიგუას, დავით მჭედლურს, ლადო მრელაშვილს და მარიკა ბარათაშვილს.

ექვსის ნახევარი იყო მუხრანს კაბინეტში რომ შევუტანე. გადაათვალიერა. კარგი, დატოვე. რედაქციაში მე თვითონ გავგზავნიო.

მეორე დღეს, დილით, გურამ ფანჯიკიძე მირეკავს.

რა მოხდაო, მეკითხება, დღეს „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნებულია ზვიადის მხარდამჭერი წერილი მხოლოდ მუხრან მაჭავარიანის ხელმოწერითო.

გავვარდი, ვიყიდე გაზეთი და პირკატა მეცა.

წერილი ნამდვილად ისაა, რაც მე შევადგინე, ხელმოწერა კი ერთადერთი კაცის.

დავურეკე ზვიადს. მარნეულშიაო მპასუხობენ.

დავურეკე რედაქციას.

რაც გამოგვიგზავნეს ის გამოვაქვეყნეთო. სხვა ხელმოწერები თვალით არ გვინახავსო.

დავურეკე ქალბატონ მანანას.

ასე და ასე მოხდა-მეთქი. მე თვითონ მოვაწერინე მწერლებს ხელი. მუხრანიანად 12 ხელმოწერა უნდა ყოფილიყო-მეთქი.

არ ვიცი, არ ვიციო. ზვიადი მარნეულში გამშრალი წავიდაო. ასე უთხრეს, მუხრანის გარდა ხელი არავინ მოაწერაო. შენი სახელის გაგონებაც კი არ უნდაო.

გადაეცი ზვიადს, ქალბატონო მანანა, რომ მე მისი დავალება პირნათლად შევასრულე. დაგვიბაროს თორმეტივე მწერალი და პირისპირ შეხვედრაზე ყველაფერი გაირკვევა-მეთქი.

არაო, ზვიადი ხომ იცი, რომ ამას არ იკადრებსო.

ზვიადს თქვენი შესახვეწნი არაფერი სჭირსო.

თქვენ გაარკვიეთ ერთმანეთში ურთიერთობაო.

მივედი მუხრანთან.

მეო, თორმეტივეს ხელმოწერით გავგზავნე წერილი რედაქციაში, მაგრამ, როგორც ჩანს, მერე ზვიადს ჰკითხეს და თვითონ ისურვა მარტო ჩემი ხელმოწერა ყოფილიყოო.

სახეზე შევატყვე, დაბნეული იყო.

აღარ გავაგრძელე ძიება იმაში დასარწმუნებლად, რომ ტყუილს ძალიან მოკლე ფეხი აქვს.

არ მინდოდა ჭეშმარიტ პოეტზე გული გამტეხოდა.

არიელ შარონთან

2003 წლის 23 ივნისს ისრაელის ქსენეთის (პარლამენტი) თავმჯდომარის რეუვთენ რივლინის მიწვევით საქართველოს პარლამენტის დელეგაცია ისრაელში ჩაფრინდა.

დელეგაცია: ნინო ბურჯანაძე (ხელმძღვანელი), მაია ნადირაძე, გია ბარამიძე, ჯემალ აჯიაშვილი, რევაზ მიშველაძე.

დიდებულად მიგვიღეს და ქართულ-ებრაულ ურთიერთობებზე ოქმით გათვალისწინებული 50 წუთის ნაცვლად 3-საათიანი ურთიერთსასარგებლო საუბრები გვქონდა პრეზიდენტ მოშე კაცავთან, შიმონ პერესთან და პარლამენტის თავმჯდომარე რეუვენ რივლინთან.

23 ივნისს დილით ისრაელის სახელმწიფოს მეთაურმა – პრემიერ-მინისტრმა არიელ შარონმა მიგვიღო.

73 წლის ტანდაბალი, მსუქანი მოხუცია. მისი წონა – ასაკისთვის შეუფერებლად საოცრად მკვირცხლად მოძრაობს, საღად აზროვნებს, ჩანაწერს არ იშველიებს (ჩანს, მეხსიერება არ ღალატობს) და ხშირად იღიმება (იუმორის გრძნობაც უხვად მიუმადლებია გამჩენს).

ჯერ მოგვესალმა. ქართული დელეგაციის ჩამოსვლა ყოველთვის მიხარიაო. შევარდნაძე ძალიან მიყვარს, ჭკვიანი და ფრთხილი პოლიტიკოსია. ეგ რომ არ გყავდეთ (თვალებში ღიმილი ჩაუსახლდა) თქვენ, ფიცხი ქართველები, აქამდე ვინ იცის, რას მოიმოქმედებდით, ან მთლად აშენდებოდით, ან დააქცევდით ქვეყანასო, იხუმრა.

მერე თავაზიანად დაგვითმო სიტყვა.

ნინომ ინგლისურად მშვენივრად ილაპარაკა მსოფლიოს

პრობლემებზე, ტერორიზმზე, ებრაელი და ქართველი ხალხის 26 საუკუნოვან მეგობრობაზე და საქართველოში შექმნილ დრამატულ ვითარებასაც შეეხო. განსაკუთრებით ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა გვაწუხებსო.

მერე ჩვენც, დელეგაციის წევრებმაც, ვთქვით მოკლედ, ჩვენ-ჩვენი სფეროდან, რაც გვაწუხებდა.

ბოლოს არიელ შარონმა ბრძანა:

მე საქართველოს კარგად ვიცნობ, სხვათა შორის ბებია თბილისში მყავსო დაკრძალული.

ისრაელსაც თითქმის იგივე პრობლემები აქვს, რაც საქართველოს. ჩვენი განახლებული სახელმწიფოც ახლა დგება ფეხზე, ისე როგორც თქვენი და ტერიტორიული სატკივარი ჩვენც არანაკლებ გვაწუხებსო.

ისრაელის მკვდრეთით აღდგენას ვერ ეგუებიან ჩვენი მეზობლები და რომ შეეძლოთ თვალისდაუხამხამებლად ჩაგვყლაპავენო.

თქვენთან შედარებით ის ფაქტი გვშველის, რომ ამერიკა ყოველწლიურად (სათქმელად არ გეუბნებით) 3 მილიარდ დოლარს გვაძლევს გრანტის სახით, თითქმის საჩუქრადო.

იმ სამი მილიარდიდან მილიარდნახევარს სამხედრო თავდაცვისთვის ვხარჯავთ. მარტო ნახევარი მილიარდისას თვით ამერიკიდან შეიარაღებას ვყიდულობთ, მილიარდნახევარს კი ეკონომიკის აღორძინებას ვახმართო.

ამერიკამ რომ ხელი აიღოს, ისრაელის სახელმწიფო ერთი კვირაში შეწყვეტს არსებობასო.

რაც შეგეხებათ თქვენ, ვიცი თქვენი მძიმე მდგომარეობა, მაგრამ არ გეწყინოთ და რაც გჭირთ, ზოგი რამ თქვენი ბრალიც არისო.

ახლახან დაგამარცხათ რუსეთმა უთანასწორო ომში და სრულიადაც არ ცხოვრობთ დამარცხებული ქვეყნის სინ-

დრომითო. თავი ისე არხეინად გიჭირავთ, თითქოს რუსეთი იყოს დამარცხებული.

მეორეც, თქვენს სახელმწიფოებრივ პოლიტიკას სრულიადაც არ ეტყობა, რომ წართმეული ტერიტორიების დაბრუნება გსურთო.

არამც და არამც არ უნდა დაგეშვათ, ლტოლვილების საქართველოს მთელ ტერიტორიაზე და სასტუმრო – სანატორიუმში განთავსებაო.

როგორც ჩვენ გვყავდა ღაზას სექტორში საზღვართან, კარვებში ჩვენი ლტოლვილები სანამ არაფატმა თავის სახლებში არ დააბრუნა ყველანი, თქვენც ისე უნდა გყოლოდათ ზუგდიდიში (გამიკვირდა, ზუგდიდი რომ ახსენა) კარვებში თქვენი ლტოლვილები და მსოფლიოს უნდა გაეგო მათი გოდებაო.

მე რომ პალესტინიდან გამოქცეულები იერუსალიმის საუკეთესო სასტუმროებში დამებინავებინა, არც ერთი მათგანი არ იბრძოლებდა უკან დასაბრუნებლადო. რაკი „ბრძოლა“ ვახსენე, გასაგებია, რომ თქვენ რუსეთს ვერ მოერევით და წართმეულ ტერიტორიებს ძალით ვერ დაიბრუნებთ, მაგრამ წინ რა უდგას სიტყვიერ პროტესტს, გაუთავებელ დემონსტრაციებს, მასმედიით ბრძოლას, მუდმივ აქციებს ე. წ. „სამშვიდობოების“ წინააღმდეგო. თქვენ არც ამას აკეთებთ და, თუ აკეთებთ, კომპანიურად, კანტიკუნტადო.

ნახეთ, ჩადით ღაზას სექტორში და დარწმუნდებით როგორ არ ურიგდება ებრაელი თავისი მიწის ხელყოფასო. ნახეთ, როგორ ესვრიან ქვებს 10-12 წლის ბავშვები არაფატის ტანკებსო.

არ გეწყინოთ ჩემი რჩევა, მე ჭკუას როდი გარიგებთ, ტერიტორია მაშინ იკარგება, როცა ხალხის დიდი ნაწილი

შეურიგდება ვითარებას და მიწის დასაბრუნებლად სხვისი ხელის შემყურე გახდებაო.

ასეთია ისრაელის გამოცდილებაო.

ერთი დღითაც არ მოასვენოთ ექსტრემისტები თქვენს სახლებში, თუ კი აფხაზეთი და სამაჩაბლო მართლაც თქვენი ტერიტორიებიაო.

... როცა არიელ შარონს თავის მძიმე, ძარღვიან მარჯვენას ვართმევდი, სხვების არ ვიცი, მაგრამ მე ღრმად მჯეროდა, რომ ამ მოხუცი ებრაელის პირით ჭეშმარიტება ღაღადებდა.

გაწბილებული დელეგაცია

საქართველო, რომანოვების პერიოდს რომ თავი გავანებოთ, უჭიშკრო, საზღვრებმოშლილი ქვეყანა იყო საბჭოთა კავშირის არსებობის დროსაც.

ყველა მოხეტიალე და დერვიში, ვინც სადმე აიყრებოდა, საქართველოში ჩამოდიოდა საცხოვრებლად.

... და იქცა საქართველო „ინტერნაციონალურ რესპუბლიკად“. ჩვენი ცეკას მდივნები მოსკოვში კომპარტიის ყრილობებზე ტრაბახობდნენ; საქართველოში ამჟამად 60 სხვადასხვა ეროვნების მოქალაქე ცხოვრობს და ახლა იმაზე ვმუშაობთ, რომ ციფრი „60“, როგორმე, „100“-მდე ავიყვანოთო.

ასე გასინჯეთ; დღეს აზერბაიჯანში არ ცხოვრობს არც ერთი სომეხი და სომხეთში არ ცხოვრობს არც ერთი აზერბაიჯანელი. საქართველოში კი ცხოვრობს 350 ათასი აზერბაიჯანელი და 400 ათასი სომეხი.

ხომ მშვენიერი მონაცემებია ჩვენი უნაპირო „სტუმართმოყვარეობის“ ხაზგასასმელად?

იქნებ მთლიანად ეროვნული სიჭრელის ბრალი არ იყოს, მაგრამ არც მთლიანად ამ გარემოების გამორიცხვა შეიძლება საქართველო რომ დღეს მსოფლიოს ჩემპიონია ეთნიკურ ნიადაგზე ჩადენილ დანაშაულებში.

აი, ერთი მაგალითი:

1989 წლის 14 იანვარს საღამოს ცხრა საათზე, მოძმე ლეკებმა ყვარელში თავის ჭიშკართან ნახევრადბრმა, 65 წლის გლეხი ლელაძე დაიჭირეს. ძალით ჩატენეს მოტოციკლში და

ტყეში წაიყვანეს. თავი მოკვეთეს.

კოცონი დაანთეს. სხეული ნაჯახით ნაწილ-ნაწილ დაჩეხეს და კოცონზე დაწვეს. თავი კი მთავარმა მკვლელმა ტომარაში ჩადო და სახლში წაიღო.

ორ კვირაში დაიჭირეს მკვლელები, რომლებმაც აღიარეს დანაშაული. ჩვენაო იმ დღეებში ერთი ცხვარი დაგვეკარგა და გვეგონა ლელაძემ მოგვპარაო. ბოლოს დავრწმუნდით, რომ ბრმა იყო და ცხვარს ვერ მოგვპარავდაო, მაგრამ უკვე გვიან იყო, მისთვის განაჩენი გამოტანილი გვქონდა, თავი უნდა მოგვეჭრა, რათა სხვა ქართველები დაგვეშინებინაო.

ამ ბარბაროსულმა მკვლელობამ ქართველებსა და ლეკებს შორის ურთიერთობა ფრიად დაძაბა.

კახელები უმადურ ხიზნებს ამოწყვეტით ემუქრებოდნენ.

ლეკთა სოფლებში ჩადიოდნენ ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლები (მაშინ არაფორმალებს ეძახდნენ) და აფრთხილებდნენ; თუ გინდათ ცოცხლები გადარჩეთ, აქედან აიბარგეთ, კვლავ თქვენს სამშობლოში, დაღესტანში დაბრუნდითო.

დაშინდნენ ლეკები.

811-დან 300-მა ოჯახმა ხელი მოაწერა კოლექტიურ განცხადებას. მიმართავდნენ საქართველოს და დაღესტნის ხელისუფლებას დაღესტანში სასწრაფოდ დაგვაბრუნეთო.

სისხლისღვრის თავიდან ასაცილებლად და პრობლემის მშვიდობიანი გზით მოსაგვარებლად ამ განცხადებით შეიარაღებული საქართველოს ოფიციალური დელეგაცია 1989 წლის 10 ივლისს მახაჩკალაში გაფრინდა.

დელეგაციაში შევდიოდით: გურამ მგელაძე (ხელმძღვანელი) მუხრან მაჭავარიანი, გურამ ფანჯიკიძე, ვახტანგ გოგუაძე, რევაზ მიშველაძე და თეიმურაზ ოსეფაშვილი (ყვარლის რაიკომის მდივანი).

გურამ მგელაძე მაშინ საქართველოს ცეკას ერთ-ერთი მდივანი გახლდათ.

დილით მიგვიღეს დაღესტნის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ აბდურაზაკ მარდანოვიჩ მირზაბეკოვმა და მისმა მოადგილემ მაგომედ რაჯიდოვიჩ აბდულბასიროვმა.

პოლიტიკის და დიპლომატიის რა მეთოდები არ ვიხმარეთ, მაგრამ ლეკებმა თავიანთი ხალხის უკან დაბრუნებაზე უარი განაცხადეს.

მოსალოდნელ საშიშროებაზეც ვესაუბრეთ, 300-კაციანი განცხადებაც გავუფინეთ მაგიდაზე, გაგონებაც კი არ სურთ.

ოთხ საათზე მიგვიღეს საოლქო კომიტეტში.

დაღესტნის პირველი მდივანი მოგამედ იუსუპოვიჩ იუსუპოვი, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მუგამედ ალი და იგივენი ვუსხედვართ მოლაპარაკების მაგიდას, აქვე არიან დაღესტნის შინაგან საქმეთა მინისტრი და უნივერსიტეტის რექტორი.

დიდ პატივს გცემთ, ძვირფასო მეზობლებო, მაგრამ თქვენი ჩამოსვლის მიზანი ხუმრობა მგონიაო, დაიწყო პირველმა მდივანმა, როცა ჩვენი წინადადებები მოისმინა; არც სადმე წამიკითხავს და არც გამიგონია, ერთი ქვეყნის დელეგაცია მეორე მოძმე ქვეყანაში ჩასულიყოს და ხელმძღვანელობისთვის ეთქვას – თქვენი ეროვნების ხალხი ცხოვრობს ჩვენს ქვეყანაში, მოგვაბეზრეს თავი და თუ კაცი ხარ, დაიბრუნეთო. მით უფრო გამკვირვებია ეს აზრი თქვენგან, სტუმართმოყვარე ქართველებისაგანო.

ამხანაგო გურამ (მგელაძეს მიმართა) მწერლები ემოციური ხალხია და მათგან არ მიკვირს, მაგრამ თქვენ როგორ ჩაერთეთ პოლიტიკოსი, დარწმუნებული კომუნისტი ამ საქმეშიო.

თქვენ რა, პირველად გაიგეთ, რომ საბჭოთა კავშირის

ნებისმიერ მოქალაქეს უფლება აქვს იცხოვროს საბჭოთა კავშირის ნებისმიერ წერტილშიო.

თქვენ რომ მკვლელობაზე ილაპარაკეთ, ეგ ჩვეულებრივი კრიმინალია. არც ეს ხელმოწერები მგონია გულწრფელი. გასარკვევია, ლეკებმა ამ დოკუმენტს ხელი ვიღაცების ზეწოლის შედეგად ხომ არ მოაწერესო.

მე ვფიქრობ, თქვენს სურვილში, ლეკები საქართველოდან გამოასახლოთ, სხვა რამ იმალებაო; ჯერ ერთი, ლეკები მშრომელი ხალხია, თქვენ კი შრომა არ გიყვართ, მეორეც, ქართველები ვერ მრავლდებით, ლეკები კი სწრაფად მრავლდებიან და გეშინიათ, რომ ადრე თუ გვიან თქვენს მიწებს სწორედ ის დაღესტნელები დაეპატრონებიან, თქვენ რომ დღეს დაცინვით უმადურ სტუმრებს ეძახითო.

აი, ასე მწარე და მკაცრი მსჯელობით გადაასხა ცივი წყალი დაღესტნის ხელმძღვანელმა ჩვენს ლამაზ სიტყვებს მთიელთა ტრადიციული ძმობის, ფიც-ვერცხლის ჭამის, ქართულ-დაღესტნური სტუმართმოყვარეობის, საერთო ისტორიული ბედის და ურთიერთგატანის შესახებ. ვერც იაკობ გოგებაშვილის „იავნანამ რა ჰქმნას“ მაგალითმა გვიშველა და ვერც რასულ გამზატოვის ხსენებამ.

გულდამძიმებულნი დავბრუნდით თბილისში.

დანა პირს არ გვიხსნიდა.

თვითმფრინავში უბრად ვიჯექით, ჩვენ-ჩვენს მწარე ფიქრებში ჩაძირულნი.

შენ წაუშალე საფლავი, ღმერთო, ვინც ჩვენ ამ დღეში ჩაგვაგდო.

ვინც საქართველოს ყველა ჭიშკარი გააღო და გადამთიელი განუკითხავად შემოუშვა.

ირაკლი

ირაკლი აბაშიძე დიდხანს იყო საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე.

მაღალი, ლამაზი კაცი გახლდათ, უნიჭიერესი პოეტი და საზოგადო მოღვაწე (სწორედ იმ დროს, როცა საზოგადო მოღვაწეობა კომუნისტების მიერ დანაშაულად იყო შერაცხული).

1962 წელია. უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტი, ახალგაზრდა მწერალთა წრის აქტიური წევრი ვარ. ვწერ ჩემი ჭკუით რაღაც-რაღაცებს და მწერალთა კავშირში, ღონისძიებას არ ვაცდენ. „მნათობის“ ორი წლის პროზის განხილვა. მოხსენება ბესო ჟღენტმა გააკეთა, ირაკლი აბაშიძეს მიჰყავს სხდომა. გამოვიდნენ კონსტანტინე გამსახურდია, დემნა შენგელაია, სერგო კლდიაშვილი, გრიგოლ აბაშიძე, ლადო ავალიანი, სერგი ჭილაია...

დახეთ, ტუტუცი სტუდენტის სითამამეს, როცა სხდომის დასასრულს ირაკლიმ იკითხა, კიდევ ხომ არავის სურს სიტყვაო, ხელი ავწიე.

აღარ მახსოვს, რა ვთქვი ზუსტად; მგონი, ოთახ ჩხეიძის და ლადო ავალიანის ნაწარმოებებზე ვილაპარაკე. პირველზე ვთქვი გაბედული და მართალი ნაწარმოებია, ცოტა ენობრივ ქსოვილს რომ უფრო დახვეწდეს-მეთქი, მეორეზე კი – პრიმიტიულია, იდეის შიშველი ილუსტრაციაა-მეთქი.

ჩემს წინ გამომსვლელი მოხუცების ფონზე, თუ ტრა-

ბახში არ ჩამომართმევთ, სულ წყალივით ჩავარაკრაკე ეს ჩემი წყალივით სათქმელი.

ერთმა-ორმა „ყოჩაღო“ მომაძახა, ვიღაცამ ტაშიც კი გაუტკაპუნა.

დამთავრდა დისპუტი.

წასვლას არ ვჩქარობ.

ბატონი ირაკლი კარებში რომ გადადიოდა, შემნიშნა და ხელი დამიქნია.

– მოდი აქ!

მივედი.

– სადაური ხარ, ბიჭო შენ!

ქუთაისელი გახლავართ-მეთქი.

– ოჰო, – გაეცინა – ორი ქუთაისელი ვიქნებით აბა აქ. მე ხონიდგინ ვარ. ქუთაისი და ხონი რამ გაყო. რა გვარი ხარ?

– მიშველაძე გახლავართ-მეთქი.

– ერთს გეტყვი ახლა მიშველაძე და არ გეწყინოს. სადაც არ გეკუთვნის კაი სიტყვის თქმა, არ თქვა, თვარა შეგიძულებენ. მეც მასე თამამი ვიყავი შენხელობაზე. აბა, კარგად იყავი.

თავზე ხელი გადამისვა და მანქანაში ჩაჯდა.

ამის შემდეგ ბევრი წელი გავიდა. მე და ბატონი ირაკლი დავმეგობრდით. ჩემს ყოველ ახალ წიგნს სტამბიდანვე პირველს ირაკლი აბაშიძეს მივურბენინებდი ხოლმე. მივიტანე 1985 წლის გაზაფხულზე გამოცემული ნოველების კრებული „ჯაჭვიც“.

ჩემთვის სრულიად მოულოდნელად 1985 წლის 15 ოქტომბრის „ახალგაზრდა კომუნისტში“ დაიბეჭდა ბატონი ირაკლის წერილის „ჯაჭვზე“. თანამედროვეთა შეფასებაში ყოველთვის თავშეკავებული ირაკლი აბაშიძე ჩემს მიმართ

საქებარ სიტყვებს არ იშურებდა: მისი ნოველების პრობლემატიკაო „მაღლდება იმ ფილოსოფიურ განზოგადებამდე, რაიც მთელ კაცობრიობას აშფოთებსო“. თქვენ წარმოიდგინეთ, მაშინ ახალგაზრდა ბელეტრისტს დავით კლდიაშვილს და ნიკო ლორთქიფანიძესაც კი მადარებდა ენა-მეტყველებით და იმერული ხასიათის ხატვით.

1987 წელს გამოვაქვეყნე „ნოველა“ გიგილო.

ნოველის გმირი, 1937 წელს დახვრეტილი მამის შვილი – გიგილო ცხადაძე უარს ამბობს მამამისის რეაბილიტაციაზე. მე და დედაჩემიო, რაც ამ ხნის განმავლობაში ვეწამეთ, მის სინდისზე იყოს, ვინც მამაჩემი დაიჭირაო. ამას ყველაფერს იმიტომ ვითმენდი, რომ მეგონა და ახლაც მგონია, იგი სიმართლის თქმას შეეწირაო. ახლა კი რეაბილიტაციის ქაღალდით ჩემს წარმოდგენაში დახატულ გმირს მამას უდანაშაულოდ, არაფრის გამგებ ჩვრად და ტუტად მიქცევთ. ამიტომაც უარს ვამბობ მამაჩემის რეაბილიტაციაზეო.

შუაღამისას დამირეკა ბატონმა ირაკლიმ.

მიდევს, რეზო, გაზეთი წინ და ვტირიო. მალადეც შენო. საიდან მოგივიდა აზრად ასეთი რამო. მართალია ეს ბიჭი, რად უნდა იმის გაგება, რომ მამამისი ერთი საწყალი, ტყემალზე მჯდარი კაცი იყოვო. ეს ხომ მეორეჯერ დახვრეტაა კაცისო. დაანებონ თავი ამ სულელურ რეაბილიტაციებსო.

ჩემთვის უფრო დიდი შეფასება, არ არსებობდა.

მელაპარაკებოდა კაცი, რომლის თვალწინაც ჩატარდა მრისხანე ოცდაჩვიდმეტი.

როცა 1989 წლიდან ეროვნული მოძრაობის ტალღა ახალი ძალით აგორდა, ერთმა-ორმა აჩქარებულმა ახალგაზრდამ მამათა ბანაკს შეუტია და ირაკლი აბაშიძე კომუნისტების მეხოტბედ მოიხსენია (ისე როგორც დღეს მწერალთა კავ-

შირს ახსენებს ზოგი თანამდებობიანი ნაძირალა „კომუნისტურ გადმონაშთად“).

ბატონი ირაკლი თითქმის განმარტავდა „მაღალ ზვირთებში“ აღარ ერეოდა. მხოლოდ უახლოესი მეგობრები დავდიოდით მასთან სახლში.

1990 წელს გამოვაქვეყნე ნოველა „ვინძლო არ ინანოთ“. ნოველის გმირი, ოთხმოცს მიტანებული ცნობილი პოეტი წუხს რომ ზოგიერთი უკეთური მის მიერ გაკეთებულის გაბაიბურებას ცდილობს. მეო, ამბობს იგი, ჩემი სინდისის კარნახით ვიცხოვრე და თავი არ შემირცხვენიაო, „არ იყო პატარა საქმე ურდოში რუსთაველის ძეგლის დადგმა და არც რუსთაველის რვაასწლოვანი იუბილის გამართვა იყო რიკტაფელას თაამაშიო“. ერთი სიტყვით, ამ ნოველაში ბატონი ირაკლის ბიოგრაფიის მომენტებიც ჩავრთე და, როგორც შემეძლო გამოვექომაგე ჩვენი ქვეყნის ამ ამაგდარ მოღვაწეს და უანგარო ჭირისუფალს.

ამ ნოველის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის შემდეგ ბარნოვის ქუჩაზე შევხვდი.

მადლობელი ვარ, ჩემო რეზო, მარა იქნებ ცხოვრების კანონია ასეთი, რაც ახლა ჩემს თავს ხდება და მე და შენ ხელს ვერ შევუშლითო. როგორც ჩანს, მოვწყინდი საქართველოს. ვინ გაპატიებს პოეტი სამოცდაათი წელი სულ წინა პლანზე იყო და თვალში ეჩხირებოდე ქვეყანასო. მოვაბეზრე თავი ვიღაცებს ჩემი ცაიტნოტური სიცოცხლითო. მე ვინ ოხერი ვარ, ილიას მოკვლაც, ჩვენ რო მეფის ოხრანკას ვაბრალებთ, ახალმა თაობამ ჩაიდინაო. კი ბატონო, მაგენის დროა და მოვიდნენ, მარა ერთს დავიბარებ: მანქანის მძღოლს თხოვენ ავტოინსპექციაში „ფსიხოს“ – ფსიქიური ნორმალურობის საბუთს და პარლამენტში რო კაცს

ვირჩევთ, ან მინისტრად ვნიშნავთ, იმასაც რომ მოვთხოვოთ აჯობებსო. რატომ გეუბნები იცი? ზოგი იმნაირია მთავრობაში, ავლიპი ზურაბიშვილი „ფსიხოს“ მიცემს კი არა, ორ ბატს არ ჩააბარებსო.

გაიცინა თავისი ლამაზი, გულიანი სიცილით და გააბიჯა.

შოთა ნიშნიანიძის ნიღაბი

შოთა ნიშნიანიძე ჩემი უპირველესი მეგობარი იყო.

საერთოდ მე არა ვარ „ცას და მიწას მოდებული კაცი“ ჩემი ბუნებით. მიმაჩნია, რომ არ შეიძლება ადამიანს უამრავი უახლოესი მეგობარი გყავდეს.

უბრალოდ, ბევრთან დამეგობრებას ვერ მოასწრებ.

დრო არ გეყოფა.

აწ იმქვეყნად წასული ჩემი უახლოესი მეგობრები იყვნენ: შოთა ნიშნიანიძე, ზაურ ბოლქვაძე, ლევან სანიკიძე, მორის ფოცხიშვილი, გურამ ფანჯიკიძე.

ერთი ამდენი აქეთ მყავს, ცოცხალთა შორის. ღმერთმა კარგად მიმყოფოს ისინი და აქ გვარებს დელიკატური მოსაზრებით არ ჩამოვთვლი.

1999 წლის 23 ივლისს გარდაიცვალა შოთა ნიშნიანიძე.

ვერაგი სენი (წინამდებარე ჯირკვლის კიბო) ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ხრავდა მის სხეულს.

ოპერაციაც გაიკეთა, მაგრამ ჩანს, დაგვიანებული იყო.

ოც ივლისს ვინახულე უკანასკნელად ე. წ. არამიანცის საავადმყოფოში.

კიბო რომ სჭირდა არ ვეუბნებოდით, უბრალოდ ნაოპერაციევი გაგირთულდაო, მაგრამ თურმე ყველაფერი კარგად იცოდა.

წამოიწია. თამრიკო მანდ ხომ არ არისო, მკითხა.

გავიდა, ხომ არაფერი გჭირდება-მეთქი.

არაო. მე კიბო მჭირს რეზო და ჩემი დღეები დათვლილია, თუმცა შენ რას გეუბნები, შენ ჩემზე უკეთ იცი ესო.

სულ არ ყოფილა სიკვდილი საშიში, მით უმეტეს, როცა იცი, რომ სამუდამოდ შორდები ტკივილს, კაცთა ჭირვეულობას და სხვა, უკეთეს განზომილებაში გადადიხარო. მთელი ცხოვრება მორწმუნე ვიყავი და იქაც ღვთის კალთის იმედი მაქვს. სხვების, ახლობლების სიკვდილი უფრო ძნელი გადასატანი ყოფილა, ვიდრე საკუთარიო. მე რა დღეში ვიყავი, შენი აჩიკო რომ დაიღუპა და შენ რა დღეში იქნებოდიო. აჩიკოზე ლექსს რომ ვწერდი, ცრემლი ღაპაღუპით მცვიოდა და ქაღალდი სულ სველი მქონდაო. ისე, მე მგონი, კარგ დროს მივდივარ, რამდენიმე ახლობელზე მწყდება გული თორემ აქ ცხოვრება არ ღირსო. რაც ყველაზე უფრო მტკენს გულს, პოეზიის დრო წავიდა. ნეტავ, თუ მოუბრუნდება ოდესმე საქართველო ლექსსო.

ცრემლი მახრჩობდა, მაგრამ მაინც ამოვილუღლუღე:

ჯერ ერთი სასიკვდილო არაფერი გჭირს. ნაოპერაციევში ინფექციაა შეჭრილი და გაგივლის-მეთქი. მეორეც უნიჭოების დრო წავიდა, თორემ შოთა ნიშნიანიძე დღეს, ცოცხალთა შორის, უპირველესი პოეტია-მეთქი.

რა იციო გამიღიმა, რამდენადაც შეეძლო გაღიმება.

სტუდენტებს თემას რომ ვაწერინებ „ჩემი საყვარელი პოეტი“, ოცდახუთიდან ოცი შენზე წერს-მეთქი.

ახლა მაინც მითხარი, რეზო მართალი, იმედის მოცემა და გულის გაკეთება ჩემთვის უკვე დაგვიანებულიაო. გინდა გითხრა ჩემი „პოპულარობის“ მაგალითიო?

მითხარი-მეთქი.

„მერანის“ მაღაზიაში ჩემი რჩეული იყიდება. ორი წლის განმავლობაში მხოლოდ სამი ცალი გაიყიდაო. სიმართლე თუ გინდა, აი, ეს არისო. მე ვინ ვარ, გალაკტიონიც ამ დღეშიაო.

მწერალთა კავშირიდან გავასვენეთ.

სამგლოვიარო მიტინგზე გამოვიდნენ: ედუარდ შევარდნაძე, ვაჟა ლორთქიფანიძე, რევაზ მიშველაძე, თამაზ წივწივაძე, ბაკურ გულუა და გიორგი გაჩეჩილაძე.

შევარდნაძე ჩემ გვერდით იდგა. ვისარგებლე შემთხვევით და ვუთხარი: ბატონო ედუარდ, ორი სირცხვილი დაგვემართა: პირველი – მთაწმინდაზე რომ არ დავკრძალეთ და მეორე – ნიღაბი რომ არ ავუღეთ-მეთქი.

პირველზე მიპასუხა, რა ვქნა, რეზო, მე თანახმა ვიყავი, მაგრამ თქვენ შორის (მწერლებს გულისხმობდა) არ იყო ერთობაო. მეორე ფაქტმა გულწრფელად შეაწუხა. უხმო ირაკლი ანდრიაძეს. ირაკლი მიდგა-მოდგა, მაგრამ ბოლოს გვიჩურჩულა, უკვე დაგვიანებულიაო.

არ დამავიწყდეს, იმ კვირაში სამ გაზეთში („საქართველოს რესპუბლიკა“, „ლიტერატურული საქართველო“, „თბილისი“) დავბეჭდე გამოსათხოვარი სიტყვა და სამივეგან ვთქვი, მომავლის საქართველო შოთა ნიშნიანიძეს თავის კუთვნილ ადგილს მიუჩენს-მეთქი მთაწმინდაზე.

დავკრძალეთ შოთა დიდუბის პანთეონში.

ჩემი აზრით, იმის შესახებ, რომ შოთა ნიშნიანიძის სახე არ უნდა დაეკარგოს საქართველოს და საჭიროა ნიღბის აღება, ქელეხზევე ავანთე გიზო ნიშნიანიძე, თემურ ჩალაბაშვილი და გიგლა გობეჩია.

დიდუბის ეკლესიაში გვითხრეს:

სანამ ღამეს გაათევს მიწაში, შეიძლება მიცვალებულის ნეშტის შეწუხება ახლობელთა მიერ, ღამის გათევის შემდეგ კი მხოლოდ სამღვდელო პირის ლოცვა-კურთხევითო. ასე რომ, თუ ოჯახი თანახმაა, შეგიძლიათ აუღოთ ნიღაბი და ჩათვალეთ, რომ ლოცვა-კურთხევა მიღებული გაქვთო.

საჭირო იყო ოჯახის წევრების დათანხმება. სიძემ – ლაშამ უარი გვითხრა, ჩემს თავზე ვერ ავიღებ, თამრიკოს

გადასაწყვეტიაო. მივედი ქალბატონ თამართან. რეზო, შენ როგორც უფრო სწორად მიგაჩნია, ისე მოიქეცითო. ჩემი გონება ვერ შეძლებს გადაწყვიტოს. თქვენა ხართ მეგობრები. ჩემთვის შეგეძლოთ, არც გეთქვათო. კარგად ვიცი, შოთა დღეიდან მე აღარ მეკუთვნის, იგი ისტორიის კუთვნილებაა და ალბათ მისი სახე უნდა შეუნარჩუნდეს საქართველოსო.

რა ღირსეული ცოლი ჰყოლია ჩემს შოთას.

ღამის 11 საათზე მოვიყვანეთ მღვდელი, მუშები, ნიღაბის ამღები და შევუდექით საქმეს.

ავანთეთ სანთლები, მღვდელმა ლოცვა ჩაატარა. ამოვასვენეთ მიცვალებული, ნახევარ საათში ავუღეთ ნიღაბი და ისევ ჩავასვენეთ საფლავში.

ახლა შოთა ნიშნიანიძის ორი ნიღაბი გვაქვს:

ერთი შოთას ოჯახში სუფევს, მეორე უნივერსიტეტის უახლესი ლიტერატურის კაბინეტში მაქვს გალაკტიონის ნიღაბის გვერდით.

მაპატიოს ჩემი შოთას ნათელმა სულმა ეს, ჩემთვის მეტად მძიმე, მოგონება.

ფერეიდანში

თეირანში საქართველოს პარლამენტის დელეგაციას ირანის პრეზიდენტის სეიდ მოჰამედ ჰათამი ფეხზე ამდგარი რომ შემოგვეგება, სათითაოდ გადაგვეხვია, ზურაბ ჟვანია გვერდით მოისვა და თბილად, ტკბილად მოიკითხა, მაშინ საბოლოოდ ვირწმუნე, რომ უკვე სახელმწიფო ვართ.

დელეგაცია ოთხი წევრისგან შედგა: ზურაბ ჟვანია, პეტრე ცისკარიშვილი, გივი შუღაროვი, რევაზ მიშველაძე.

სანამ პრეზიდენტამდე მივიდოდით, სამი დღის განმავლობაში დარბაზობა-მეჯლისთა და უმაღლესი დონის პირებთან ვიზიტების ფეიერვერკი გამოვიარეთ.

შევხვდით ეკონომიკის და ფინანსთა მინისტრ ნამაზის, საგარეო საქმეთა მინისტრ ხარაზის, პარლამენტის სპიკერ ქაროუბის...

ელჩმა ჯემშიდ გიუნაშვილმა სპარსულად გამოცემული ჩემი ნოველების წიგნი დამახვედრა.

18 აპრილს ისპაჰანში გავფრინდით.

ისპაჰანი ლამის 700 წელი იყო იმ იმპერიის დედაქალაქი, რომელშიც ჩვენც შევდიოდით. ისე, როგორ ბოლო 200 წელი მოსკოვში, ქართველები ჩადიოდნენ ისპაჰანში. რომ იტყვიან ლამის გაიდარბაზეს ისპაჰანი. არაერთ ქართველს ეჭირა მაღალი თანამდებობა შაჰის კარზე.

ისპაჰანში შაჰ-აბაზის უზარმაზარი სასახლის დათვალიერებისას გიდმა გვითხრა, ამ ცენტრალურ დარბაზში შაჰის ტახტის გვერდით 45 სავარძელი იდგა. ორმოცდახუთი დიდებული ესწრებოდა სერობას და თქვენ წარმოიდგინეთ,

იმ ორმოცდახუთიდან 25 ქართველი გახლდათო. შაჰს ქართველები ძალიან უყვარდაო. ისე ძალიან, რომ მის ჰარამხანაში შაჰის 300 ცოლიდან 200 გურჯი ხანუმი იყოო. შაჰ-აბასმა ქართული ძალიან კარგად იცოდა. ალავერდი ხანს (უნდილაძე) და როსტომ ხანს ყოველთვის ქართულად ელაპარაკებოდაო.

გიორგი სააკაძეს-მეთქი?

გიდმა კოპები შეჰყარა: ძალიან გთხოვთ, ის მოღალატე აქ მეტი აღარ ახსენოთო. გიორგი სააკაძე ყველაზე საზიზღარ ქართველადაა ცნობილი ირანის ისტორიაშიო.

ბედის ირონია! სპარსეთი ხომ მოღალატეს ეძახის, ზოგი უკეთური ქართველიც მოღალატედ თვლის გიორგი სააკაძეს. კაცს, რომელმაც შვილი გასწირა საქართველოსთვის და ისეთი აჯანყება მოუწყო „აღმოსავლეთის ლომს“ რომ ლამის წელში საბოლოოდ გადატეხა.

გვაჩვენეს ალავერდი ხანის (უნდილაძე) მიერ აშენებული ხიდი ისპაჰანში. ყველაზე ლამაზი ხიდი მთელს ირანში.

მე მაინც ფერეიდნისკენ მიმიწევს გული.

ჩემი ფიქრი და ოცნება ფერეიდანს დასტრიალებს.

ისპაჰანში გამოგვიცხადეს, ფერეიდანში ვერ მივდივართ იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ იქ თქვენისთანა მაღალი რანგის სტუმრების შესაფერისი სასტუმროები არა გვაქვსო.

არა უშავს-მეთქი, ვეუბნები საგარეო უწყების წარმომადგენელს, ჩვენ უპრეტენზიო ხალხი ვართ და კომფორტზე არ შეგაწუხებთ, ფერეიდანში კი უსათუოდ უნდა ჩავიდეთ. ჯერ ერთი გველოდებიან და მეორეც, ჟვანიამ აეროპორტში განაცხადა, რომ პროგრამა ფერეიდანში ჩასვლასაც ითვალისწინებს (ტყუილი ვთქვი, არ განუცხადებია). ვაი-თუ პროგრამიდან ფერეიდნის ამოღებას ვინმემ პოლიტიკური კუდი გამოაბას-მეთქი.

მაინც რატომ გაინტერესებთ ფერეიდანი, იქ ხომ ქართველები აღარ ცხოვრობენო, ცბიერმა მასპინძელმა.

ჩვენი ვალია მოვინახლოთ ის ადგილები, სადაც შაჰ-აბასმა 400 წლის წინათ ასი ათასამდე ტყვე ქართველი ჩაიყვანაო, კატეგორიული ტონი გაკრთა ჟვანიას ხმაში.

ჩვენმა გამყოლებმა თეირანში გადარეკ-გადმორეკეს და, როგორც იქნა, მოიღეს მოწყალება.

ძალიან გთხოვთ, ჩვენი ელჩი გვეუბნება, ნურც ფერეიდანში და ნურც ჟურნალისტებთან ქართველთა ძალით გადმოსახლებას და ტყვეობას ნუ გაუსვამთ ხაზსო. სპარსელებმა ისე იციან, რომ თითქოს, რაკიღა ბებია ქართველი ჰყავდა, შაჰმა შეიწყნარა ქართველთა თხოვნა და ნება დართო მათ სპარსეთის საუკეთესო ადგილზე, ფერეიდანში კომპაქტურად დასახლებულიყვნენო.

ორსაათნახევარი ვიარეთ ისპაჰანიდან ნახევრადუდაბნოში და ჯერ ბალახიანი მინდვრები, ხეები და მერე შორს თოვლიანი მთები დაჩნდა.

– ესეც ფერეიდანი – გვეუბნება ბატონი ჯიმშიდი – არის თუ არა სამოთხე სპარსეთის სხვა ადგილებთან შედარებით?

ფერეიდან-შაჰრის საკრებულოს დიდ სადარბაზო სასახლეში ჩამოვხტით. სპორტის სასახლის მსგავსი შენობაა. თურმე ჩვენს თანმხლებს ფერეიდანის ვილაიეთის გუბერნატორი გაუფრთხილებია – ხალხს არ გააგებინოთ, რამდენიმე კაცი შევკრიბოთ და სტუმრები მათ შევახვედროთო.

არ ვიყავით 10 წუთის ჩამოსულები, რომ გარეთ რაღაც ჟრიამული მომესმა, ფანჯარაში გავიხედე და თვალებს არ დავუჯერე. გამორბიან ეზოებიდან, ქუჩაბანდებიდან, მეჩეთებიდან, ახტებიან თხრილებს, ღობეებს, უამრავი ხალხი მოაწყდა საკრებულოს. მალე კარიც გააღეს და შე-

მოცვივდნენ. აღტაცებული, აცრემლებული, ათრთოლებული ადამიანები.

– გურჯი! გურჯი! – ჰყვირიან, გარს გვეხვევიან, გვკოცნიან, ქართულად გველაპარაკებიან. დაცვა შეშფოთებულია, ლამის მთელი ტანით გადაგვეფარონ. გაივსო დარბაზი, გაივსო ეზო, გადაიკეტა ქუჩა.

ნახევარ საათში 5 ათასამდე ქართველი მოგროვდა.

– ესაა ქართველები აღარ ცხოვრობენო? – მიჩურჩულა ზურაბ ჟვანიამ და ცრემლები მოიწმინდა.

ფერეიდნის გუბერნატორმა; ჯერ საქართველოს ხელისუფლების დელეგაცია არ ყოფილა ფერეიდანშიო. ბატონი ჟვანია საქართველოში პრეზიდენტ შევარდნაძის შემდეგ მეორე კაციაო.

სანამ ზურა სიტყვას დაიწყებდა, კარგა ხანს არ დამცხრალა ტაში.

თქვენაო, ზურამ, მადლობა უნდა გითხრათ, რომ 400 წლის განმავლობაში შეინახეთ ენა და ეროვნებაო. ეს სპარსეთის ხელისუფლების დამსახურებაც არისო. თქვენ აქ, კარგ პირობებში ხართო. დედა-სამშობლო ბევრს ფიქრობს თქვენზე და მალე იქნება იმის შესაძლებლობა, რომ თავისუფლად დაბრუნდეთ საქართველოშიო.

მერე მე მომცეს სიტყვა.

მე მწერალი გახლავართ და მთელი დარჩენილი სიცოცხლის განმავლობაში რომ ვწერო ამ წუთებზე, მაინც ვერ შევძლებ სრულად ავსახო, რასაც ახლა განვიცდი-მეთქი.

გიცქერით ახლა თქვენ, ოთხასწლოვანი მოლოდინით დაღლილთ და ვფიქრობ, ერს, რომელსაც შეუძლია ამხელა ლოდინს გაუძლოს, სიკვდილი არ უწერია-მეთქი.

გიცქერით და თითოეულ თქვენგანში 400 წლის წინანდელ მეაბჯრეს, თოროსან მხედარს, გუთნისდედას და ღამის მეხრეს ვხედავ-მეთქი.

აწი ნუღარ გეშინიათ. ახლა სხვა მსოფლიოა მოსული, ახლა საქართველომდე ისე შორს აღარ არის, როგორც აქამდე იყო-მეთქი.

თქვენს გაძლებას გაუმარჯოს-მეთქი – ამ სიტყვებით დავამთავრე.

ჩემი ყვითელი სპარსული წიგნი დავარიგე. თუმცა დავარიგე ძალიან მოწესრიგებული სიტყვაა იმასთან შედარებით, რაც სინამდვილეში მოხდა. ერთ ფერეიდნელს მივაჩეჩე და ოცდახუთი წიგნი თვალისდახამხამებაში აართვეს ხელიდან.

სანამ ფერეიდნელები ქართულ ლექსებს ამბობდნენ და უძველეს ქართულ სიმღერებს მღეროდნენ, ერთმა შუახნის თეთრპერანგა, შავჟილეტიანმა კაცმა მომკიდა ხელი, ეზოში გამომიყვანა და იქვე, მოშორებით მწვანეჭიშკრიანი სახლისკენ გაიშვირა ხელი.

იქ ჩემი სახლია. მივიდეთ, რაღაც უნდა გაჩვენო.

რა თქმა უნდა, დაცვამ გამოგვსდია და ჩემს მასპინძელს სპარსულად რაღაც ჰკითხა:

– უთხარით, რომ მოგწყურდა, – მეუბნება ფერეიდნელი.

– ვოტა, ვოტა – ვუთხარი დაცვის კაცს და მეტი დამაჯერებლობისთვის მუშტი პირთან მივიტანე.

მასპინძელი შემიძღვა ქვიტკირის ერთსართულიან შენობაში, რომელსაც ერთადერთი ფანჯარა ჰქონდა და ისიც ეზოს მხარეს.

გავიარეთ ერთი ოთახი, მეორე... ორივე ოთახში დგას დიდი, გრძელი ჩუქურთმიანი ტახტები, რომელზეც უამრავი მუთაქაა გაწყობილი. სპარსული ნოხები იატაკზე, კედელზე და მგონი ჭერზეც...

ერთ მომცრო ოთახში თითქმის ხელისცეცებით შევედით. ბნელოდა. მასპინძელმა მტკავლისხელა სარკმელი გამოაღო. კედელთან მივიდა და ფარდა გადასწია.

აი, თურმე რის სანახავად მომიყვანა:

მთელი კედელი დაფარულია საქართველოთი!

დავით აღმაშენებლის დროინდელი საქართველოს რუკა, დავითის და თამარის ფრესკები, ქართული ანბანი. გაშლილი დედა-ენა, ასევე გაშლილი „ვეფხისტყაოსანი“. გელათის, სვეტიცხოვლის და ალავერდის ხედები, გიორგი სააკაძის პორტრეტი (თვითონ მითხრა გიორგი სააკაძეაო, თორემ მე ვერ მივხვდებოდი, მგონი სპარსული ნახატი იყო), მყინვარწვერი, ქართული ჩოხა-ახალუხი და რამაც ყველაზე მეტად გამაოცა ჯაჭვის პერანგი და უზარმაზარი, ჟანგისგან შეჭმული ხმალი, თაროზე დაწყობილი თხუთმეტიოდე ქართული წიგნი, პატეფონი და ფირფიტები.

ფერეიდნელმა პატეფონი მომართა. ოთახი „ჩაკრულოს“ ღვთაებრივი ჰანგით გაივსო.

– სსსუ – ტუჩზე ხელი მიიდო მასპინძელმა და სარკმელი მიხურა. პატეფონი თავის ადგილას დადო, ფარდა ჩამოაფარა და ეზოში გამომიძღვა;

2001 წლის 18 აპრილი იდგა.

ვის დავაბრალოთ?!

იერუსალიმში ვარ.

პირველი გაოცება – მეგონა აღმოსავლური, უდაბნო-მორეული ქალაქი იყო; მთა-გორაკებზე აშენებული. მარად-მწვანე, ხეებში ჩაფლული ქალაქია.

ძალიან ცხელა.

სამ-ოთხსართულიანი სახლები, მდიდრული მანქანები, დიდებულად მოკირწყლული ქუჩები... ქალაქში ჭარბობს შავ ფრაკსა და ცილინდრში (უმაღლესი მორწმუნეობის ნიშანი) გამოწყობილი წვეროსანი ებრაელი ხელჯოხით, ბუტ-ბუტით, ცუხცუხით რომ მიაბიჯებს თავის ებრაულ საქმეებზე.

ვახშმის შემდეგ პარლამენტის დელეგაციის წევრებმა ჯემალ აჯიაშვილმა, გია ბარამიძემ და მე გამთენიის სამ საათამდე ვიხეტიალეთ იერუსლიმის ქუჩებში.

თავი ზღაპარში მეგონა.

ოთხი ათასი წლის ქუჩა-შუკებში დავაბიჯებ.

იარუსებიან იერუსალიმში რა ტაძრებს, რა აკლდამებს არ ვაწყდები ყოველ ნაბიჯზე. გამაოგნა სოლომონის კედლის გრანდიოზულობამ, დავითის სასახლეთა ნაშთებმა, საფლავებმა.

... და აი, გოდების კედელიც.

იფიქრებ, აქ შეკრებილანო მთელი დედამიწის მორწმუნე ებრაელები.

ამ კედელმა, ამ რწმენამ გადაარჩინა ებრაელობა.

მესმის საუკუნეთა მიღმიდან დარხეული:

„თუ დაგივიწყო იერუშალაიმ, დამავიწყდეს მარჯვენა ჩემი და ენა ჩემი შეეზარდოს სასასა ჩემსას“.

კედელი სასწაულებრივად გადარჩენილი სოლომონ წინასწარმეტყველის ტაძრის ნაწილია. ტაძრის დანარჩენ ნაწილზე მეჩეთია მიშენებული.

მეორე დღეს „დავითის ციტადელ ოტელში“ ცნობილი ებრაელი მთარგმნელი და მეცნიერი გერშონ ბენ ორენი (წიწუაშვილი) მეწვია და ორი ძვირფასი საჩუქრით გამახარა. მომიტანა მის მიერ ებრაულად თარგმნილი, პატარა ბროშურად გამოცემული, ქუთაისელ ებრაელთა წასვლაზე დაწერილი ჩემი ნოველა „სიკვდილი“ (35 ცალი) და ბორის გაპონოვის მიერ თარგმნილი „ვეფხისტყაოსანი“.

გვიან ღამემდე ლუდის ბარში ვისხედით გერშონ, ჯემალ აჯიაშვილი და მე.

ვკითხე გერშონს, როგორ არიან-მეთქი, ქართველი ებრაელები.

ქარაგმებით, ბრძნულად მიპასუხა (როგორც ებრაელს შეეფერება).

სახლი რომ იყიდო და გადაბარგდე, კარგა ხანს ხომ ძველი სახლი გახსოვს, მაინც იქით გაგირბის მზერა, იქ გირჩევნია, ასე ვართ ჩვენცო.

აქ რომ ქართველმა ებრაელმა გითხრას, ძალიან კარგად ვარო, არ უნდა დაიჯერო.

ყვავილი რომ სხვა ადგილას გადარგა, შეიძლება არ გაიხაროს, დაჭკნეს, იქნებ ფესვები დაუზიანე ამოღების დროს. ასე ვართ ჩვენცო.

ახალი თაობა უფრო ეგუება ახალ ვითარებაში ცხოვრებას, ჩვენ კი, ძველებს, გული იქეთ, საქართველოსკენ გვიხმობს, თუმცა 30 წელია აქა ვართო.

მეორე დღეს ამიხდა ცხოვრებაში ყველაზე დიდი ნატვრა.

იერუსალიმის ქართველთა ჯვრის მონასტერში ვარ.

ვკოცნი რუსთაველის ფრესკას (სწორედ იმ დროს გადაუღია ჯემალ აჯიაშვილს ჩემთვის სურათი).

ყველაზე დიდი ქართველის ფრესკასთან ვდგავართ. მაქსიმე აღმსარებლის და იოანე დამასკელის ფეხებთან მოკრძალებით მოკალათებულა იგი, დედამიწის ყველაზე დიდი მწერალი.

ვინ არის რუსთაველთან ან ერთი ან მეორე (ღმერთო შემინდე), მაგრამ დახეთ გენიოსის თავმდაბლობას; დამასკელის და აღმსარებლის გრანდიოზული ფრესკების ქვემოთ პატარა, სამტკაველიანი ფრესკაა თეთრწვეროსანი მოხუცის და ის მოხუცი არც მეტი არც ნაკლები – „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი შოთა რუსთაველია.

იქნებ თვით ისურვა წმინდანების ფეხებთან მიმახატეთო, იქნებ თვითვეა ავტორი ამ ფასდაუდებელი ფრესკისა?

ცრემლი მახრჩობს.

ჯვრის მონასტრებს ბერძნები დაპატრონებიან, ჩვენიაო. არადა გავსებულია მონასტერი ქართული წარწერებით და ფრესკებით.

ბევრჯერ გადასულა მე- 10 საუკუნის ეს მონასტერი ხელიდან-ხელში (მცხეთის ჯვარსა ჰგავს შიგნიდან).

დავით აღმაშენებელს მამლუქთა დახმარებით დაუბრუნებია.

მე-19 საუკუნეში ბერძნებმა წაგვართვეს.

დღეს, XXI საუკუნეში, ნუთუ არ უნდა არსებობდეს რაიმე საერთაშორისო სამართალი, რომ ჩვენი (უდავოდ ჩვენი!) ტაძარი ისევ ჩვენ მოგვაკუთვნონ.

2 მილიარდადაო შეფასებული, გვითხრა ელჩმა რევაზ გაჩეჩილაძემ. თუ გამოვისყიდით, ბერძნები თანახმა არიანო. ისე პირად საუბარში არ უარყოფენ რომ მონასტერი ქართულია. ამის გარდა იერუსალიმში შვიდი ქართული მონასტერიაო.

ვინ მოგვაშავა 2 მილიარდი ჩვენ.

ახლა იმაზე, რატომაც იწერება ეს ნოველა.

ჯვრის მონასტერში ფოტოაპარატმა მიმტყუნა და სამი საათის შემდეგ ჯემალი და მე მოვბრუნდით სურათების გადასაღებად.

თავისუფლად შევედით. კარებში არავინ დგას.

ის ერთადერთი, რუს-ბერძენი გამოყრუებული, მოხუცი მონაზონიც არსად ჩანს. დელეგაციის ყოფნისას ტაძარში რომ ფუთფუთებდა.

გადავიღეთ უამრავი კადრი.

სასტუმროსკენ რომ მოვდიოდით ჯემალს ვკითხე:

აი, ახლა, ჩვენ საათნახევარი ვიყავით ჯვრის მონასტერში და არავინ შეგვხმიანებია. კარებში ხომ მაინც უნდა იდგეს დაცვა. ხომ შეიძლება ვიღაც გარეწარმა უძვირფასესი ხატი ან ლუსკუმა მოიპაროს, ან უბრალოდ შერყვნას-მეთქი რომელიმე ფრესკა?

ნუ გეშინია, ჩემო რეზო, გაიღიმა ჯემალმა, აქ საქართველო არ გეგონოს, ისრაელია. კედლებში უამრავი ტელეთვალია ჩამონტაჟებული, ასე რომ ჩვენი ტაძარში ყოფნაც თავიდან ბოლომდე იქნება გადაღებულიო.

ეს იყო 2003 წლის 24 ივნისს.

არ გასულა რამდენიმე თვე და იერუსალიმის ჯვრის მონასტერში შოთა რუსთაველის ფრესკას თვალები დათხარეს.

ვის დავაბრალოთ, ეს საუკუნის დანაშაული, ეს გამოუსწორებელი დანაშაული, ჩემო ჯემალ?

„პირისპირ“

ჟურნალისტ ვალერი კვარაცხელიას ტელევიზიის პირველ არხზე (ახლა რომ საზოგადოებრივ არხს ეძახიან და სინამდვილეში რომ სამთავრობო არხია) ერთი კარგი გადაცემა მიჰყავდა.

გადაცემას „პირისპირ“ ერქვა.

ორ საზოგადოებრივად ღირებულ პიროვნებას მოიწვევდა, გვერდით მოისვამდა და აკამათებდა ერთმანეთთან. თვითონ შიგადაშიგ ტაქტიანად ჩაერეოდა ხოლმე.

პირდაპირ ეთერში საქმიანი, დინჯი საუბარი მიდიოდა.

ორივე მხარეს საშუალება ჰქონდა თავისი აზრი მთლიანად გამოეხატა.

ახლანდელ ტელევიზიაში ეს მშვენიერი ტრადიცია დაიკარგა და მოდაშია „შოუგადაცემები“. ყურებსა და თეძოებზე დამაგრებული მობილურ-მიმღებ-მიკროფონებით შეიარაღებული ლამაზი გოგოები მოუხმობენ საშუალოდ 54 „მოკამათეს“. ერთმანეთზე სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაკიდებული ადამიანები (გადაკიდებაში მათ ტელეწამყვანიც საკმაოდ ეხმარება) ერთმანეთს გაანჩხლებით უცვლიან სალანძღავ ეპითეტებს. ხოლო თუ უერთიერთდაქოჩვრის დროს, ათასში ერთხელ, გამოერევა ისეთიც, წყნარ, დალაგებულ საუბარს რომ წამოიწყებს, „წამყვანი“ ენერგიულად აცლის პირიდან სიტყვას და ალავერდს სხვასთან გადადის. ჭკვიანური ლაპარაკი, ჩანს, ტელევიზიას მოსაწყენ საქმედ მიაჩნია და კარგ გადაცემად ის გადაცემა ითვლება, რომელშიც მეტი ლანძღვთა-გინების ნიაღვარი გადმოსკდება.

მე კი მგონია, ეს შოუ-აქციები ხელისუფლებამ იმისთვის მოიგონა, რომ, რაც შეიძლება, მეტ „ცნობილ სახეს“ დამართოს მთლად ინსულტი თუ არა, ინფარქტი მაინც.

რომ მახსენდება, ამ ფონზე უფრო მომწონს ვალერი კვარაცხელიას „პირისპირ“.

ჰოდა 1995 წლის 18 დეკემბერს ვალერიმ ღია ეთერში ჭაბუა ამირეჯიბი და მე მიგვიწვია.

ჯერ ბატონმა ჭაბუამ ბრძანა თხუთმეწუთიანი სიტყვა, თავისი დამოკიდებულება გამოხატა საქართველოში შექმნილი ვითარების მიმართ. ბალახზე მიშვებული ნახირივით ვართო. ასე გაგრძელება არ შეიძლებაო. პოლიტიკოსები ერთმანეთს კორტნიან, პარტიები სოკოებივით მრავლდებიანო. საქართველომ თავისი გეოგრაფიული და ეკონომიური ფუნქცია თუ არ დაიბრუნა, ქვეყანა დაიღუპებაო.

მერე მე ვთქვი, დაახლოებით ასეთი რამ: საქართველოს ბედს საქართველო ვერ განაგებს და ამის ბრალია ყველაფერი-მეთქი. რუსმა ჩვენ სამწლიანი დამოუკიდებლობა, როგორც 1918-21 წლებში, ახლაც 1990-1993 წლებში, არ გვაპატია და ეროვნული ხელისუფლება თავზე დაგვამხომეთქი. ჩვენც ვერ ვივარგეთ, ინტელიგენციას მთელი ერი უნდა დაერაზმა ეროვნული რეფერენდუმის და ეროვნული არჩევნების შედეგების დასაცავად-მეთქი. დამოუკიდებლობისათვის მზად არ აღმოვჩნდით-მეთქი.

არა ხარ მართალი. ჩვენ ახლა სწორედ რომ დამოუკიდებელი ქვეყანა ვართო, შემაწყვეტინა ბატონმა ჭაბუამ.

როგორ ვართ დამოუკიდებელი, როცა რუსმა 1993 წელს სასტიკად დაგვამარცხა, ესენგეში, ანუ მოდერნიზებულ იმპერიაში ყურით შეგვათრია, ხოლო ახლახან, ერთი თვის წინათ, სარფში რუსებმა საქართველოს დროშა ჩამოხსნეს და რუსული დროშა გაჰკიდეს-მეთქი.

დამარცხებული შევარდნაძე ბალტინის ტანკებით დააბრუნა რუსმა ხელისუფლების სათავეში, ხოლო მარიონეტული პარლამენტი იმასაც ვერ ახერხებს, რომ ე. წ. სამშვიდობო ძალებს (ფაქტობრივად ოკუპანტთა შენაერთს) სამშვიდობო ფუნქციის შესრულებისკენ მოუწოდოს-მეთქი.

შენაო, აკვიატებული გაქვს დღევანდელი ხელისუფლების ლანძღვა, თორემ არ შეიძლება ვერ ხედავდე, დანგრეული ქვეყანა დღითიდღე როგორ ემსგავსება სახელმწიფოსო, სწორედ შევარდნაძის ავტორიტეტით როგორ გამოგვიწოდა მსოფლიომ დახმარების ხელიო.

რა ვიცი, მე კი შევარდნაძეს ვერასოდეს მოვუწონებ ყოჩივით რომ შეგვიძლვა ესენგეში-მეთქი.

სწორედ იმ ნაბიჯმა გადაარჩინა საქართველო ბოლომდე დამხობასო. სწორედ შენგან, ბრწყინვალე „დათა თუთაშხიას“ ავტორისგან არ ველოდი სნგ-ში შესვლაზე დასტურსმეთქი.

დიახაც, ხმა მივეცი და არც ვნანობო, ჭაბუამ. ახლაც ღრმად მწამს, რომ სწორად მოვიქციო.

გავა დრო და ისტორია განგვსჯის, ისტორია გაგვასამართლებს ბატონო ჭაბუა: ვინძლო არ შეგრცხვეთ იმ დიდებული წინაპრებისა რუსეთის უღლისაგან თავის დაღწევისთვის რომ სიცოცხლე გასწირეს და დღეს თქვენ, პარლამენტის მორჩილმა უმრავლესობამ ისევ შეგვაბით რუსის აპეური ყელზე-მეთქი.

მე არავის მორჩილი არასოდეს ვყოფილვარო, გაცხარდა ბატონი ჭაბუა და ვალერი კვარაცხელიამ იგრძნო რა, კამათმა შეიძლება არასაეთერო სახე მიიღოსო, დროულად ჩაგვერია.

რასაკვირველია, ორივე მხარეს თავისი სიმართლე აქვს და როგორც ბატონმა რეზომ თქვა, დაე ისტორია იყოს პირუთვნელი მსაჯულიო.

გარეთ რომ გამოვდიოდით, ბატონმა ჭაბუამ შემაჩერა.

რეზო, კრიტიკა უფრო იოლია, ვიდრე თავის დაცვა. ორი რამის გამო ვიყავი მძიმე დღეში; ჯერ ერთი, როგორც პარლამენტის წევრს ჩვენ მიერ გადადგმული ნაბიჯი უნდა გამემართლებინა. შენ კარგად იცი, მე არავისი მეშინია, მაგრამ ახლაც მივცემდი ხმას ესენგეში შესვლაზე, თუმცა დამპყრობელი რუსი შენზე ნაკლებად როდი მძულს, თანაც ეკრანიდან იმ სიმართლეს ვერ გეტყოდი, რასაც ახლა გეტყვიო.

ბრძანე-მეთქი, სმენად ვიქეცი.

შენ, გეტყობა, კარგად არ იცნობ რუსს. რუსეთი დედამიწაზე ერთადერთი უკონტროლო სახელმწიფოა, რომელიც არავითარ საერთაშორისო ნორმებს არ იცავს. როცა მოეხასიათება, კატასავით მიგახრჩობს და პასუხსაც ვერავინ მოთხოვსო.

მაშინ არ დავეთანხმე. მაგრამ ჩეჩნეთის ბედზე რომ ვფიქრობ და რუსის მიერ საბარგო თვითმფრინავებით საქართველოში გადმოყრილ ქართველებს რომ შევცქერი, თანდათანობით ვრწმუნდები, რომ ჭაბუა ბევრ რამეში მართალი იყო.

რაც შეეხება ვალერი კვარაცხელიას გადაცემას.

მეორე დღეს, ე. ი. 19 დეკემბერს მოქალაქეთა კავშირის ფრაქციის სხდომაზე ერთ „ყოჩაღ“ დეპუტატს უთქვამს: პარლამენტისა და პრეზიდენტის შეურაცხყოფისათვის გადაცემა „პირისპირ“ სასწრაფოდ უნდა დაიხუროს, ხოლო მიშველაძემ და კვარაცხელიამ პასუხი უნდა აგონო.

ეს იყო და ეს. „პირისპირ“ ეთერში მეტი აღარ გასულა.

მგონი ერთადერთი გადაცემა იყო შევარდნაძის დასტურით რომ დაიხურა.

ახლა ჩემ ხვდები

1997 წლის 8 იანვარს ნინო ქუთათელაძემ დამირეკა ტელევიზიიდან. ახალ ციკლს ვიწყებ, „მწერლის ერთი დღე“ ჰქვია და უნდა ჩაგწეროთო.

რამ გაახსენა მწერალი ტელევიზიას, ნინო, რას მივაწეროთ ეს სენტიმენტალობა-მეთქი, ვკითხე.

მთელი წელია თითქმის არაფერი გაგვიკეთებიაო, ტელევიზიის ხელმძღვანელობა ჩვენს რედაქციას „არ სწყალობსო“. ჩანს, ზემოდან აქვს მითითებაო, ვერც იმას გეტყვით, რომ შარშანდელი ინერციის გადამკიდე, გაუშვებენ ამ გადაცემას, მაგრამ მაინც უნდა მოვამზადო და ძალიან გთხოვთ, უარი არ მითხრათო.

მივედი, ჩამწერეს.

დაახლოებით ასე ვთქვი:

„ორმოცდაათს კარგა ხანია გადავშორდი და ახლაღა ვატყობ ჩემს თავს, ტყუილ-მართლის გარჩევა, როგორც იქნა, ვისწავლე.

კარგა ხანს მჯეროდა, რომ რასაც ხელისუფლება იტყოდა, წმინდა წყლის სიმართლე იყო, ახლა ვხვდები, რა უნდა დაიჯერო და რამდენად:

მაგალითად, თუ გეტყვიან, სტიქიამ ოთხი მილიონი დოლარის ზიანი მოგვაყენაო, უნდა იცოდე, რომ სინამდვილეში ერთი მილიონის ზარალი მიუყენებია.

თუ გეტყვიან, მოსახლეობას 5 მილიონი დოლარის ჰუმანიტარული დახმარება დავურიგეთო, უნდა მიხვდე, რომ ერთი მილიონი დოლარის დახმარება მაინცაა დარიგებული.

თუ გეტყვიან, სოხუმი საიმედოდაა დაცული, იქ ჩიტიც ვერ შემოფრინდებაო, უნდა მიხვდე, რომ წასულია სოხუმის საქმე.

თუ გეტყვიან, მოგვილოცავს, ბაზალეთზე თურქული უნივერსიტეტი აღარ აშენდებაო, უნდა იცოდე, რომ თურქული უნივერსიტეტი დაარსებულია და უკვე ფუნქციონირებს, სადღაც, სხვა ადგილზე.

როცა გეტყვიან, 15 იანვრიდან იწყება ლტოლვილთა დაბრუნება აფხაზეთშიო, უნდა იცოდე, რომ ეს კეთილი ტყუილია, რადგანაც 15 იანვარი ძალიან ახლოა, ამ ტყუილის მოკლე ფეხები მალე გამოჩნდება. ბოროტი ტყუილი მაშინ იქნებოდა, რომ ეთქვათ, 15 მაისს ვბრუნდებით აფხაზეთშიო. 15 მაისი, მოგეხსენებათ შორია და შეიძლება მოლოდინისგან გული გაგისკდეს.

ასე უფრთხილდება ხელისუფლება ჩვენს ნერვებს.

ახლა, დაპყრობილ საქართველოში, ჩვენი ტელეგადაცემების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, გაუთავებელი ცეკვა-თამაშია. აქამდე მეგონა, რომ ამას ხელისუფლება იმიტომ აკეთებდა, ცეკვა-თამაშით მთავარი საფიქრალისაგან განზე გავეყვანეთ და ამით დაემალა ქვეყნის უბედურებაში თავისი დანაშაული. ახლა ვფიქრობ, ამას იმიტომ აკეთებენ, რომ წრეგადასული ზარ-ზეიმი შეგვაძულონ და მარტო დაგვტოვონ ჩვენს ვეებერთელა სევდასთან.

რაც უფრო უგემოვნო ხუმრობებს და უკბილო ანგლობებს გვთავაზობენ სცენიდან, უნდა მიხვდე, რომ ამას სპეციალურად აკეთებენ, რათა ბოლოს და ბოლოს დასერიოზულდე, ნაკლები იღადავო და მეტი იფიქრო დაქცეული ქვეყნის გადარჩენაზე.

ვზივარ ახლა ზამთრის ცივ დღეს ჩემს მაგიდასთან და ვფიქრობ იმაზე, რომ, რაც ტყუილ-მართლის საზღვარს მივაგენი, ცხოვრება უფრო საინტერესო გახდა.

თურმე ხელისუფლება კი არ გვატყუებს, არამედ ჩვენს მიმხვედრიანობას ავარჯიშებს.

და ამ დღეებში მაინც მოვიდა ჩემთან დიდი, სასურველი სიმართლე.

მოქანდაკე თენგიზ კიკალიშვილი მეწვია და მაცნობა, რომ გალაკტიონის ნიღაბი, რომელსაც ოცდაათი წელია ვეძებდით, ნაპოვნია. იგი თვით ბატონ თენგიზს აღმოუჩენია მოქანდაკე გორგოძის (ამ უკანასკნელმა აუღო ნიღაბი გალაკტიონს გარდაცვალების მესამე დღეს) სარდაფში.

თენგიზ კიკალიშვილი ამ საჩუქარს უძღვნის ქართულ მწერლობას, თბილისის უნივერსიტეტს და, რა თქმა უნდა, მთელს საქართველოს.

იანვრის ბოლოს ნიღაბი სამუდამოდ დაიმკვიდრებს ადგილს თბილისის უნივერსიტეტის გალაკტიონის კაბინეტში".

ჩანაწერი (ტექნიკურად) ურიგო როდი გამოვიდა, მაგრამ ეჭვი მეპარება, რომ ირონიისმიმხვედრ ტელევიზიის ხელმძღვანელობას მისთვის მწვანე გზა მიეცა.

17 იანვარს, როგორც მითხრეს, ტელევიზიას გადაუცია ჩვენი ჩანაწერი შეცვლილი სახელწოდებით – „მწერლის ერთი დღის" ნაცვლად „ზამთრის ერთი დღე" დაურქმევია.

რა შუაშია „როგორც მითხრეს?" მე არ მინახავს და, ალბათ, არც ტელემაყურებელთა 99,99 პროცენტს. იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ გადაუცია შუაღამის 1 საათზე, როცა მთელ საქართველოში დენი გამორთული იყო და თვით ტელევიზიას მხოლოდ კანტიკუნტად კვებავდა გენერატორი.

ორიოდე კვირის შემდეგ ტელევიზიის თავმჯდომარის მოადგილეს შევხვდი.

ახლა ხომ მაინც ხვდები, რატომ არ არის სასურველი სტუმარი ტელევიზიაში მწერალიო.

შენი ხუთწუთიანი გამოსვლა მაინც უნახავთ „ზევით" და ყურები დაგვახიესო.

ხელისუფლებას ხომ აბაიბურებ, არც ჩვენ გვაყრი კარგ დღესო.

ირონია საერთოდ უნდა ამოიძირკვოს ტელევიზიიდანო.

ვატყობდი, რომ შენს ნათქვამში ბომბი იდო და ნაშუაღამევს გადავეცით, მაგრამ მაინც მოუკრავს ფხიზელ „შპიონს“ თვალიო.

თუ ასე გეშინოდათ, საერთოდ რატომ გადაეცით, ნინო ქუთათელაძე ნიჭიერი ქალია, რატომ არ გინდათ ეკრანიდან ნათქვამი, თუნდაც, პაწაწკინტელა სიმართლე-მეთქი – მწარე ღიმილით ვკითხე.

რომ არ გადაგვეცა, ახლა იმაზე ატეხავდით ერთ ამბავს: არიქა, იქცევა ქვეყანა, ჩაგვწერეს და არ გადასცესო.

ვერაფერი ვთქვი. განშორებისას „მშვიდობითო“, მისურვა, „ნახვამდის“ არ უთქვამს, ვიცოდი ეს რასაც ნიშნავდა. მესმოდა მისიც.

წინასწარმეტყველება?

1993 წლის აგვისტოში ტელესტუდიაში ჩაგვწერეს გია ჭანტურია, აკაკი მინდიაშვილი და მე. საუბარს უნიჭიერესი ჟურნალისტი ნანა წითელაშვილი (ამ ბოლო დროს აღარ ჩანს ეკრანზე, ეტყობა, სხვა მართალ ჟურნალისტთა – ვ. კვარაცხელია, გ. გორელიშვილი, მ. მერაძე... ბედი გაიზიარა).

გია ჭანტურიასთან სხვა დროსაც არაერთხელ მისაუბრია, მაგრამ ჩაწერის დროს განსაკუთრებით მომხიბლა მისმა ინტელიგენტურობამ, უშუალობამ, კამათის მაღალმა კულტურამ და მაღალეროვნულმა პათოსმა. მიუხედავად იმისა, რომ გადაცემა ავტორს ნახევრადრელიგიურ თემაზე – ადამიანის როლსა და დანიშნულებაზე, ათი მცნებისადმი თანამედროვე პიროვნების დამოკიდებულებაზე ჰქონდა ჩაფიქრებული, გიამ ეროვნულ რელსებზე გადაგვიყვანა და „მეობის“ რომანტიკული პრობლემა საქართველოს სოციალ-პოლიტიკურ მდგომარეობაზე კამათით დავასრულეთ. „დავიღუპე, გადაცემას არ გაუშვებენო“, შიშობდა ნანა წითელაშვილი. ცოდოს ვერ დავიდებ, ჩანაწერმა საკმაო დაგვიანებით, მაგრამ მაინც იხილა დღის ნათელი.

ჩაწერა რომ დამთავრდა, მე და გია ერთად გამოვედით, კიბეზევე გვერდით ამოგვიდგა ავტომატიანი ყმაწვილი და მანქანის კარებამდე მიგვაცილა. კარი გაგვიღო, ჩაგვსვა და თვითონ წინ მოკალათდა.

ცისკარში „მოსეს“ ვკითხულობ, ძალიან მომწონს, მწერალიც ყოფილხარ-მეთქი.

ვერ წარმოიდგენთ, როგორ გაეხარდა.

პირველი მწერალი ბრძანდებით, ვინც „მოსეზე“ სიტყვა ჩამომიგდოო. სიმართლე გითხრათ, მეგონა, აღარავის აინტერესებს ლიტერატურაო. გულახდილად გეტყვით, უდიდეს სულიერ კმაყოფილებას მანიჭებს მხატვრულ სიტყვაზე მუშაობა და თუ ქვეყანა დაწყნარდა, ვაპირებ მთლიანად ლიტერატურულ საქმიანობაზე გადავერთოო. ისე ჩვენი დღევანდელი ცხოვრება, მე მგონია, მუხლჩახრილი წიგნის კაცობის საშუალებას არ იძლევა. „მოსეს“, დაკითხვასა და დაკითხვას შორის, ციხეში ვწერდიო.

მეგრული თუ იცი-მეთქი, ვკითხე.

არაო, მე ხონელი ჭანტურია ვარო.

ერთხანს ჩუმად ვიყავით.

მე, საერთოდ, დაცვის თანდასწრებით საუბარი არ მიყვარს.

გულმა არ მომითმინა და მაინც ვკითხე.

ხომ არ გამომრჩა, რამე ოფიციალურ თანამდებობაზე ხომ არ დაუნიშნიხართ-მეთქი.

არაო. ახლანდელი სახელმწიფო სტრუქტურების მიმართ მე მკვეთრად გამოხატული უარყოფითი პოზიცია მაქვსო, უბრალოდ, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე ვარო.

საზღვარგარეთ პარტიის თავმჯდომარეებს თუ ჰყავთ შეიარაღებული დაცვა-მეთქი.

ზოგს ჰყავს, ზოგს არაო. მკვეთრად გამოხატული ოპოზიციური პარტიის ლიდერები დაცვის გარეშე, რომ იტყვიან, ოთახიდან ოთახში არ გადიანო.

შენ ხომ მკვეთრი ოპოზიციონერი არა ხარ-მეთქი.

გაიცინა, მაგას მომავალი გაარკვევსო.

მითხარი გულახდილად, თავდასხმას იმათგან უფრო ელი (გროზნოური ხელისუფლებისაგან), თუ ამათგან-მეთქი.

ორივესგანო.

როგორ, ორივესგან-მეთქი.

გულზე არც ერთ მხარეს არ ვახატივარ. ადვილი შესაძლებელია ამათ „გამასაღონ“ იმ ვარაუდით, რომ მერე ზვიადისტებს დაბრალდესო.

კი მაგრამ, რაღაც მიზეზი, რაღაც ლოგიკა ხომ უნდა ჰქონდეს შენს მოკვლას-მეთქი. ქვას შენ არ ისვრი და არც სხვებს მოუწოდებ ქვის სროლისკენ, რას გერჩიან-მეთქი.

თქვენ რას გერჩოდნენ, მწერალ კაცს – პოლიტიკაში გაუსვრელ-გაურეველს, კარებზე ბომბი რომ ჩამოგიკიდესო. სულ მინდოდა მეკითხა, რომელ მხარეზე უფრო გაქვთ ეჭვი. ვის აძლევდა ხელს თავისუფალი მწერლის მოკვლაო.

დაბნეული ვარ, ვერც ერთი მხარისთვის ვერ დამიბრალებია-მეთქი.

ჰოდა, მეც რომ არ დავიბნე, ამიტომ მყავს დაცვაო. თუმცა თუ სიაში აღმოვჩნდი, დაცვა რას მიშველის, დაცვიანადაც მშვენივრად გამისტუმრებენ იმქვეყნადო.

მაშინ ამ საუბრისთვის მნიშვნელობა არ მიმიცია.

რა იყო ეს? წინასწარმეტყველება? ბრძენი ბიჭის საოცარი უნარი რეალურად ხედავდეს მოვლენებს, იცოდეს ვისთან აქვს საქმე, რა ძალები განაგებენ ქვეყანას?

ალბათ, ერთიც და მეორეც.

არ გაუვლია დიდხანს გია ჭანტურია მოკლეს.

საკუთარ სადარბაზოსთან მანქანაში ჩაცხრილეს მეუღლესთან, – ირინა სარიშვილთან ერთად.

ირინე სასწაულებრივად გადარჩა.

სადღეგრძელოები

* * *

ხომ გქონია შენც წუთები, როცა ფიქრობ, რომ სრულიად ზედმეტი ხარ, აღარავის ჭირდები.

უფრო უსიამო ყოფა არ არსებობს.

ადგილს ვერ პოულობ.

ამქვეყნად გაჩენასაც ნანობ.

ისინი, ვისაც მთელი სიცოცხლე მიუძღვენი, ვისთვისაც ღამეები გითენებია, ვეღარ გცნობენ, აღარ გკითხულობენ.

წაკითხვას ვინ დაეძებს, შეკითხვასაც აღარ გაძლევენ;

შენი არც გამოცდილება უნდათ და არც ჭკუის სწავლება.

ერთხელ, როგორც იქნა, დამიძახეს ტელევიზიაში, ტელე-დიალოგისთვის გაწუხებთ, თუ თანახმა იქნებითო.

რასაკვირველია, დავთანხმდი.

დამისვეს წინ მშვენიერი ჟურნალისტი გოგონა. დიახ, მართლაც რომ მშვენიერი. ისინი ერთიმეორეზე უკეთესები არიან.

პირველი კითხვა იცით, რა მომცა?

ბატონო რევაზ, თქვენ ძირითადად პოეზიაში მუშაობთ, თუ პროზაშიო.

გავბრაზდი და ეთერშივე მივუგე: ჩემო კარგო, გუშინ ხომ მაინც იცოდი, რომ ჩემთან უნდა გესაუბრა სახალხოდ, რა იქნებოდა, შეგეწუხებინა თავი და გადაგეფურცლა ჩემი რომელიმე წიგნი-მეთქი.

არ უნდა მეთქვა, მაგრამ ველარ მოვითმინე.

შევდივარ ლექციაზე და ინტერესი მკლავს, იქნებ ორმოცდაათი სტუდენტიდან ერთმა მაინც მკითხოს, თქვენ ამა და ამ ნოველაში, ხომ ამას და ამას გულისხმობთო?

შენც არ მომიკვდე.

ქვევით, შემოსასვლელთან, ჯიხურში ჩემი ბოლო წიგნი იყიდება.

მე პრეტენზია არა მაქვს, ღმერთმა დამიფაროს, მაგრამ ხანდახან ასეთი ფიქრი გამიელვებს: მე რომ სტუდენტი ვიყო და სოფრომ მგალობლიშვილი ლექციას მიკითხავდეს, რა უსახსროც უნდა ვიყო, ხომ ავიღებ ურიის ვალს, ხომ ვიყიდი სოფრომ მგალობლიშვილის წიგნს და ხომ დავხვდები აუდიტორიასთან თხოვნით: პატივცემულო, იქნებ ავტოგრაფი გაიმეტოთ ჩემთვის-მეთქი.

ბოლო ხუთი წლის მანძილზე მსგავსი შემთხვევა არ მქონია.

... და მწერლობისთვის ასეთ გაუსაძლის დროში, მოგძებნის ვინმე ახალგაზრდა კაცი, ბატონო რევაზ, როგორ ბრძანდებით, რაღაც სევდიანი მეჩვენებითო.

შენ ბოდიშს უხდი ვერ ცნობისათვის და თხოვ, დაბრძანდეს.

მეო, თქვენ პირადად არ გიცნობთ, მაგრამ თქვენი ყველაფერი მაქვს წაკითხულიო. რა ბედნიერი ვარ, რომ გაგიცანითო.

შენ ეჭვით ათვალიერებ, მაგრამ ეჭვის ობობა მაშინვე ქრება, როცა იგი შენი ნოველების სიუჟეტებს, პერსონაჟებს, პასაჟებს... იხსენებს და ისე ლამაზად გიყვება, შენვე მოგაწონებს შენს ნაჯღაბნს.

გულს გაგიკეთებთს, რწმენას დაგიბრუნებს.

ამ ცხოვრებისკენ მოგაბრუნებს.

მოდი, იმ ახალგაზრდას გაუმარჯოს.

* * *

მთელი ცხოვრება დათმობას მიაქვს. თითქოსდა საზოგადოება, კანონი, სახელმწიფო იმისთვისაა მოგონილი, რომ შეგაგუონ, დაგთრგუნონ, გაგაჩუმონ...

ვაჟა-ფშაველას გენიალური ალუდა ქეთელაური კი არ შეეგუა მტრისთვის ხელის მოჭრას. არ შეეპუა თვისტომთ და შეეწირა კიდეც ამ ვერშეგუებას.

ნიკო ლორთქიფანიძეს აქვს პატარა ნოველა – „ამაყი“.

ამაყი ბიჭი თათრებს მარტოდმარტო აუმხედრდა.

ვერ აიტანა სოფლის მთავარ ციხეში მათი პარპაში, უცხოტომელთა მედიდური სიარული.

რაკი სხვა ვერავინ აიყოლია, მარტო მიეჭრა დამპყრობელთ.

იცოდა, რომ უსათუოდ მოკლავდნენ, მაგრამ მან დაიწყო. იგი პირველი იყო, პირველის ბედი კი ხშირად სავალალოა.

მტერს მოტყუებით ციხის კარიბჭე გააღებინა.

ხმალი შეაბრიალა და კარებშივე დახოცა ექვსი მცველი. შუბებზე ააგეს, მაგრამ არ დაუკვნესია.

ჯანი გავარდეს, ექვსი ურჯულო ხომ მოვაშორე ქვეყანასო.

მისმა სიკვდილმა სოფელი გამოაღვიძა და სხვებმაც მოსინჯეს ხმლის ვადა.

ამაყი იყო და ვერ მოითმინა.

საკუთარ გულს, სიფრთხილის „სიბრძნეს“ აუჯანყდა.

მოდი, პირველ მეამბოხეს, ქვეყნის სავალალო ძილის

დროს ზარის პირველ შემომკვრელს, პირველგამსვლელს, პირველ მიმჭრელს, პირველ მესაყვირეს გაუმარჯოს.

* * *

ვთქვათ, ჯერ თიხისგან მოზილა ღმერთმა ადამი. მერე ადამის ნეკნიდან ევა გააჩინა და ორივენი სამოთხეში გაუშვა.

მერე?

ხომ მოდის ათასწლეულებში კაცობრიობა?

ექვს მილიარდს მიაღწია ადამისა და ევას შთამომავლობამ.

რამდენი ვარიანტი უნდა ჰქონდეს ღმერთს, რომ ამ ექვსი მილიარდიდან ორი ზუსტად ერთმანეთის მსგავსი, რომ იტყვიან, „ასლი“ არ არსებობს.

ტყუპებიო? მკითხავთ.

მეც მანდა ვარ, სწორედ ზედმიწევნით იდენტური ტყუპები არ არსებობენ ტყუპთა შორის.

უფრო დიდი სასწაული ის არის, რომ ორი ზუსტად ერთნაირი თევზი, ორი ზუსტად ერთნაირი ფოთოლიც არ არსებობს ამ დუნიაზე.

რა გონებამ, რა კომპიუტერმა უნდა გათვალოს, რომ კაცობრიობის არგადასაშენებლად თითქმის ნახევარი ქალი უნდა გაჩნდეს ქვეყანაზე და ნახევარი მამაკაცი.

გაოცებისაგან, შეიძლება ტვინი იღრძო.

იცვლებიან საუკუნენი, იცვლებიან ფორმაციები, ადგილს იცვლიან ზღვანი და მთანი, ერთი პრინციპი სიცოცხლისა კი უცვლელი რჩება: ლამის იმდენივე ასული იბადება, რამდენიც ვაჟი.

სად ხდება ეს გენიალური შეფარდება, რა კოსმიური გენი მართავს დაბადებას?

იბადება საქართველოში ვაჟი და მის მეწყვილედ ზუსტი გაანგარიშებით სადღაც, ავსტრალიაში, ქალი იბადება.

ღმერთო, დაილოცა შენი სამართალი.

მოდი, ვინც ახლა, ამ წუთში იბადება, ყველას გაუმარჯოს.

* * *

ინგლისში, ქალაქ ლივერპულში, გახლდით ლიტერატურისმცოდნეთა სიმპოზიუმზე. მოხსენებები რომ წავიკითხეთ, მესამე დღეს პლენარული სხდომის შესვენების დროს თავმჯდომარემ გამოაცხადა: რაკი მეცნიერი იუმორის გრძნობის გარეშე წარმოუდგენელია, მოდით, ბლიც-კონკურსი ჩავატაროთ საუკეთესო ანეკდოტზე, სიმპოზიუმის თითოეულმა მონაწილემ თქვას თითო ანეკდოტი, რომელშიც, მისი ერის ბუნება მეტ-ნაკლებად მაინც გამოჩნდებაო.

გაიმართა რკინება. ჩემმა რიგმა რომ მოაღწია, „რა ვთქვა, რა ვთქვა-მეთქი და უეცრად კახური ანეკდოტი გამახსენდა. დავიწყე ჩემი დამტვრეული ინგლისურით: „კახეთში, თელავის ბაზარში კახელი კაკალს ჰყიდის. საქმე ის არის, რომ იქვე ყიდულობს კილოგრამს ხუთ ლარადა და იქვე ჰყიდის კილოგრამს ხუთ ლარად. ეუბნებიან, ნიკა, ამ სიცხეში თავს რისთვინ იკლავ. მაგ კაკალსა კაპიკ არ უგებ. თხა გავყიდე - თხა ვიყიდე გამოდის!

ნიკამ ულვაშებზე ჩამოისვა ხელი და უპასუხა: „მე შვილოსა, განა ფულის მოგება მაინტერესებს, უბრალოდ, კაკლის ჩხრიალი მიყვარს!“

რომ დავამთავრე, დარბაზი გაისუსა. ეტყობა, „ჩხრიალი“ ვერ გავაგებინე აუდიტორიას და ჩემი გიდი წამეხმარა.

უეცრად დარბაზში ჰომერული ხარხარი ატყდა.

ცრემლის მორევამდე იცინოდა ქალიც და კაციც.

როცა დაშოშმინდნენ, თავმჯდომარემ გამოაცხადა:

„პირველი პრიზი დოქტორ მიშველაძეს მიეკუთვნა. მე ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ ამ ურბანისტულ მსოფლიოში კიდევ დარჩა ისეთი ერი, რომლის შვილიც ბაზარში ბიზნესის საკეთებლად კი არა, მხოლოდ კაკლის ჩხრიალის მოსასმენად დგასო“.

მოდი, ნიკასთანა კაცებს გაუმარჯოს. მზით განათებული ნეკერჩხლის ტოტი წამით რომ გაარინდებს, ისეთ კაცებს.

* * *

უპატრონო ძაღლი.

არა, მათ ლუკმა არ აკლიათ. იქნებ, პატრონიან ძაღლებზე მეტ ლუკმას შოულობენ.

თავისუფლებაც თავზე საყრელი აქვთ.

სადაც უღამდებათ, იქ უთენდებათ.

მაგრამ აკლიათ ერთი რამ; პატრონის ხელების სუნი და სითბო.

ჩაირბენს შენს წინ თავის ძაღლურ ბედზე ჩაფიქრებული. თითქოსდა, ვერც გამჩნევს.

– მპუ, მპუ, მპუ!

შეჩერდება, ხელებში შემოგხედავს.

თუ ხელთ არაფერი გიჭირვს, „კაი ერთი, თუ კაცი ხარ, სამასხარაოდ არა მცალიაო“, გაიფიქრებს და გზას განაგრძობს.

თუ სადმე მინდვრის განაპირას წააწყდი თითებში თავჩარგულს და მოსაფერებლად მიუახლოვდი, წამოდგება და ადგილს შეიცვლის.

არ სჯერა შენი.

ტკბილად ესაუბრები, ჯიბიდან პურის ნაჭერს იღებ და აწვდი.

ახლოს არ მოდის. ხელიდან არ გამოგართმევს.

თუ გადაუგდებ, წაწვდება, გაარბენინებს, ხის ქვეშ საიმედოდ ჩამარხავს და დაბრუნდება.

რატომ მაშინვე არ შეჭამა, რაშია საქმე?

საქმე წინ წაიგდო. ახლა, ალბათ, ძალიან არა შია. ვინ იცის, ხვალ რა დღე ელის. ვინ იცის, შეხვდება ხვალ კიდევ შენნაირი კეთილი კაცი?

– მპუ, მპუ, მპუ, მპუ... შენ ხომ ჭკვიანი მურია ხარ.

კუდს მიწაზე აბათქუნებს.

თვალებით საოცარ მადლიერებას გამოხატავს.

თითქოსდა, უკვე გენდობა, თითქოსდა, მოგეჩვია.

მაგრამ შუბლზე ხელის გადასასმელად რომ მიუახლოვდები, წამოდგება და გაიწევა.

ბოლომდე არ გენდობა.

მოდი, უპატრონო ძაღლებს გაუმარჯოს.

* * *

არავის ეგონოს მართალი აღტაცებული ფილოსოფოსის შეგონება: – ადამიანი ბედნიერებისთვის არის გაჩენილი!

რომ ვუკვირდები ცხოვრებას, უფრო პირიქით გახლავთ.

უბედურება, სასოწარკვეთა, სიკვდილი, სევდა... ჩვენი ყოველდღიური თანამგზავრია.

ტირილით ვიბადებით და ტირილით მიგვასვენებენ.

ბედნიერება უცხო ფრინველივით იშვიათზე იშვიათად, საათობით და წუთობით გვეჩვენება და ქრება.

სულსწრაფნი ვერ უძლებენ ამ დაუოკებელ გაქროლებას, ბედნიერების წამების მიმოქცევას.

სასოწარკვეთა იპყრობთ, გლოვა-ხოკვას ეძლევიან, გაგონებაც აღარ სურთ იმისა, რომ სიხარულის ცისარტყელა მუდმივად არ გადგას თავზე.

მეორენი დინჯად იტანენ ბედნიერების დაკარგვის ტკივილს.

იციან, რომ ბედნიერების წამებს შორის მოქცეულია ნამდვილი ცხოვრება – არსებობისათვის გარჯა, შური, გაუტანლობა, უმადურობა, ორგულობა, ღალატი, ლოდინი... ლოდინი... ლოდინი... მდუმარე ტელეფონი... მარტოობის ლოგინი...

ბედნიერება ფლავი არ არის, კიდევ მინდაო, მოითხოვო და დაგიმატონ.

ბედნიერება იშვიათი ხილია, იობის მოთმინებით მოპოვებული.

ვინც მოითმინა, მოიგო – გვასწავლის ქართული სიბრძნე. მოდი, „ლოდინით დაღალულ ქალთა“ სადღეგრძელო იყოს.

* * *

ჩემთვის ყველაზე დიდი სიამოვნება, განსაკუთრებით ამ სიბერეში, სახლში ყოფნაა. დღეს თავისუფალი ხარ. ღმერთო ჩემო, რა ბედნიერებაა. ლექცია არა გაქვს, სხდომაზე არსად დაუძახნიხართ.

ზიხარ ხალათმოხურული შენს მაგიდასთან, შენს ბიბლიოთეკაში.

თუ არ გეწერება, წიგნის თაროს ათვალიერებ.

რასაც გინდა, გადმოიღებ და წაიკითხავ.

აგერ, შენთა თანამედროვეთა წიგნები.

ერთმანეთის გვერდით ჩამწკრივებულან ჯიუტ ფაქტებად.

შენ არავისი ვალი არა გაქვს. ყველა ნაჩუქარი წიგნი წაკითხული გაქვს. საერთოდ, სხვადასხვა დროს ყველა თანამედროვე მწერალზე გითქვამს ორიოდე თბილი სიტყვა.

ახლა ამ თავისუფალ დღეს კეთილი ინებონ და დაგტოვონ მარტო შენს სურვილებთან, შენს გემოვნებასთან.

რა კარგია, რასაც გინდა, წაიკითხავ.

უეცრად აღმოაჩენ, რომ შენს და წიგნს შორის, გინდა არ გინდა, დგება ადამიანური ურთიერთობანი.

ჩვენი ცხოვრება ხომ ფაქტობრივად ერთმანეთთან ურთიერთობის დაუსრულებელი გარკვევაა.

„ამას ეს უთქვამს ჩემზე.. ამან „შავი ხმა“ მომცა... ამას ამაში არ ვეთანხმები... ეს იმის ძმაკაცია... ეს რაღაც ამ ბოლო დროს ბღვერით მიყურებს... ამას მედროვეობა შეეტყო...“

ღმერთო, რა უსუსურები, რა პატარები ვართ ადამიანები.

ახლა, ამ კვირა დღეს, ანგარიშს იმით გაგისწორებ, რომ შენს წიგნს არ წავიკითხავ.

... მერე ხელი გაგექცევა მისი წიგნისკენ. გადაშლი. იქნებ, ერთხელ კიდევ გსურს დარწმუნდე, რომ ის შენი მეგობარი არასოდეს ყოფილა. სხვა კაცია და იმიტომ.

იწყებ კითხვას და აგერაა ის სტრიქონები, არაერთხელ რომ სული აგიფორიაქა; „ამბავს წაუღებთ ვის, თქვენ, ფრინველებო ღვთის, – წითელფეხება მტრედებო“.

თვალებში ცრემლი გაწვება. მასაც ხომ „შენი სიკვდილი სჭირს“, ისიც ხომ შენსავით თავგანწირულად ებრძოდა წითელ ურჩხულს.

მერე მოდის უნაზესი და თმისაბურძგვნამდე დრამატული „გაზაფხული შემოსულა, ლენ...“ და თვალი ტელეფონისკენ გაგირბის. დღეს თუ ხვალ უნდა დაურეკო და ყველა ცივი სალამისთვის პატიება სთხოვო.

მოდი, ვისი სტრიქონიც კაცს მოგანატრებს და შეგარიგებს, იმ კაცს გაუმარჯოს.

იმედი მაქვს...

დღეს საქართველო დედამიწაზე ერთადერთი ქვეყანაა, რომლის მოქალაქესაც პირადობის დამადასტურებელი არც ერთ საბუთში (პასპორტი, პირადობის მოწმობა, დაბადების მოწმობა) ეროვნება არ უწერია.

ზოგიერთი ქვეყნის პასპორტში, ცოტა არ იყოს, ეშმაკურადაა ეროვნება მითითებული: არის გრაფა „მოქალაქეობა“, ხოლო მოქალაქეობის გვერდით ფრჩხილებშია მოქცეული „ნაციონალობა“ ასე რომ ნაციონალობა, ანუ ეროვნება მაინც ხაზგასმულია.

მსოფლიოში საბუთებში ეროვნების ჩვენების ორი მოდელი არსებობს „ტრადიციული“ და „ევროპული“.

„ტრადიციული“ მოდელი იმას ნიშნავს, რომ ყოველ მოქალაქეს პასპორტში თავისი ეროვნება უწერია: რუსს – რუსი, ქართველს – ქართველი, სომეხს – სომეხი და ა. შ.

„ევროპული“ მოდელის მიხედვით მოქალაქეს ეწერება ძირითადი, სახელმწიფოს შემქმნელი, ანუ ავტოქტონური ერის ეროვნება. ამრიგად, გერმანიაში მცხოვრები ყველა „გერმანელია“, იტალიაში მცხოვრები „იტალიელი“, ესპანეთში მცხოვრები „ესპანელი“ და ა. შ.

ამ მოდელის შემოღების ინიციატორი საფრანგეთია. 1975 წელს მოსახლეობის აღწერის შედეგად გაირკვა, რომ საფრანგეთში ეროვნებით ფრანგი მხოლოდ 31 პროცენტი იყო. თუ ფრანგთა გამრავლების ტემპით ვიმსჯელებდით, სახელმწიფოს გაქრობა ელოდა. და ფრანგებმა ჭკუა იხმარეს. საფრანგეთის ყველა მოქალაქეს ნაციონალობად „ფრანგი“

ჩაუწერეს. საფრანგეთს სხვა ქვეყნებმაც მიბაძეს და ასე გადაიჭრა ეროვნული საკითხი ევროპაში.

1999 წლიდან პარლამენტის წევრი გახლდით და ეროვნულ საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილედ ამირჩიეს. ამ დროს ახალ პასპორტებში წინა პარლამენტის ნებით ეროვნება გამქრალი იყო. რამდენიმე პარლამენტარმა მიზნად დავისახეთ მოქალაქეობის დამადასტურებელ საბუთებში ეროვნება დაგვებრუნებინა.

ვუმტვრევდით კარებს პარლამენტის ხელმძღვანელობას, მაგრამ ამაოდ. ჩვენს რუდუნებას გულგრილობის ყრუ კედელი ხვდებოდა.

დროდადრო ევროპელ ექსპერტებს ჩამოიყვანდნენ, შეგვახვედრებდნენ. ესპერტები თავგამოდებით გვარწმუნებდნენ, ეროვნებაზე ლაპარაკი დღეს ევროპაში პროვინციალიზმად ითვლება და არ არის ლამაზი თქვენ – ცნობილი პიროვნებები, საბუთებში ნაციონალობის აღსადგენად იბრძოდეთო.

ჩვენ ვუმტკიცებდით, რომ ეს დავით აღმაშენებლის ქვეყანაა, რომ ყველა ჭეშმარიტი ქართველი ქართველობის შესანარჩუნებლად სწირავდა თავს. რომ საფლავში გადაბრუნდებოდნენ ილია ჭავჭავაძე და კონსტანტინე გამსახურდია, თუკი შეიტყობდნენ, რომ დღეს, დამოუკიდებელი საქართველოში ეროვნება „ქართველი“ გაუქმებულია.

რაკი დავრწმუნდი, რომ ტრადიციული მოდელის აღდგენა ამ ხელისუფლების ხელში წარმოუდგენელი იყო, ბევრი ვიფიქრე და დავთანხმდი ევროპული მოდელის შემოღებაზე; კი, ბატონო, იყოს, როგორც ევროპაში, საქართველოს ყველა მოქალაქეს ეროვნება „ქართველი“ ჩავუწეროთ-მეთქი.

ამ „დათმობის“ გამო ჩემი და ზოგიერთი პარლამენტარის თვალსაზრისები ერთმანეთს დაშორდა, მაგრამ ქართული

საქმე მოიგებს-მეთქი ვფიქრობდი. საქართველოში ყველა რომ ქართველი იქნება, ეთნოკონფლიქტები აღარ იარსებებს-მეთქი.

რომ მგონია, გაევროპელებული კანონპროექტის პარლამენტში გატანას წინ აღარაფერი დაუდგება-მეთქი, მწარედ მოვტყუვდი.

ჩემს კანონპროექტს პინგ-პონგის ბურთივით ესროდნენ ერთმანეთს მთავრობა და პარლამენტი, ფრაქციები და ბიუროები...

იქამდე მივედი, რომ პარლამენტის პლენარულ სხდომაზე მთელი საქართველოს თვალწინ გულიც შემიწუხდა.

ჟვანია ბურჯანაძეს აბრალებს, ბურჯანაძე შევარდნაძეს. ბოლოს ჟვანიასთან ორ-ორსაათიან დებატებში, როგორც იქნა, გამოიკვეთა „ეროვნების მთავარი მტერი“ ედუარდ შევარდნაძე.

მივედი შევარდნაძესთან. ბატონო პრეზიდენტო, სამარცხვინო ამბავი გვჭირს, დედამიწაზე მხოლოდ საქართველოშია ყველა საბუთიდან ამოღებული ეროვნება-მეთქი.

თვალზე ცრემლი მოადგა.

ვინ გააკეთა ესო.

თქვენ გაბრალებენ-მეთქი.

გაგიჟდა კაცი. როგორ, რეზო, როგორ გაივლე გულში, რომ მე საბუთებიდან ეროვნებას ამოვიღებდიო.

ორივე მოდელი გავაცანი საფუძვლიანად.

თან ფრანგული, გერმანული და იტალიური პასპორტებიც ვუჩვენე მეტი დამაჯერებლობისთვის.

ორივე მოდელი მოიწონა. მე ტრადიციულს უფრო ვემხრობი (ძველი კაცი ვარ), მაგრამ არც ევროპული მოდელია ურიგო. ახლა, აქედან რომ გახვალ, შეგიძლია უთხრა ყველას, რომ მე ორივე მოდელი მომწონს. იმსჯელეთ ხვალვე

პარლამენტზე და რომელ კანონპროექტსაც მიიღებს პარლამენტი, იმას მოვაწერ ხელსო.

ამის შემდეგაც კარგა ხანი გავიდა. დღეს, ხვალ, დღეს ხვალო, მეუბნებიან და საკითხი პლენარულ სხდომაზე არა და არ გააქვთ.

კვლავ შევარდნაძე „ბლოკავსო“ მეუბნებიან.

თუ არ გინდათ, რომ ხვალვე საქართველოს მტრებად გამოგაცხადოთ, მივიდეთ შევარდნაძესთან და პირისპირ გაირკვეს ყველაფერი-მეთქი, დავიღრინე პარლამენტის ბიუროს სხდომაზე.

მეტი გზა აღარ დარჩა.

2001 წლის 7 სექტემბერს ნინო ბურჯანაძე, ზურაბ ჟვანია, მიხეილ სააკაშვილი და მე საქართველოს პრეზიდენტთან მივედით.

ჟვანიამ დაიწყო. მისი სიტყვიდან ჩანდა, რომ ეროვნება „ქართველის“ წინააღმდეგი არ იყო, თუ კი ევროპულ მოდელს მივიღებდით. იქო, ფრანგულ პასპორტში „ეროვნება – ფრანგული“ წერიაო. იქნებ ჩვენც „ეროვნება – ქართული“ ჩაგვეწერაო. საერთოდ, რეზომ დაიჟინა, თორემ არ ღირდა ამ პატარა საკითხზე თქვენი შეწუხებაო.

თქვენ რა აზრის ბრძანდებითო, ნინოს და მიშას ჰკითხა შევარდნაძემ.

ნინომ და მიშამ ჟვანიას დაუჭირეს მხარი და თავის მხრივ დასძინეს, ორივე მოდელი – „ტრადიციულიც“ და „ევროპულიც“ საქართველოსათვის ნაადრევიაო.

რას ჰქვია ნაადრევიო, გაბრაზდა შევარდნაძე, სანამ უნდა მლანძღოს თქვენს გამო საქართველომ, შევჩერდეთ ან ერთ მოდელზე ან მეორეზე. ბოლოს და ბოლოს დამთავრდეს ეს საქმეო.

მერე მე მომიბრუნდა:

ერთი, თუ კაცი ხარ, დაწვრილებით გამაგებინე, როგორაა სხვა ქვეყნებში და რა ვარიანტები არსებობსო.

თითქმის ერთი საათი ვილაპარაკე.

ახლა ჩემი საბოლოო სიტყვა მოისმინეთო, შევარდნაძემ; აღარ გადადოთ ეს საკითხი, კენჭი უყარეთ ხვალვე ორივე პროექტს და რომელიც გავა, ის მივიღოთო.

ამის შემდეგ ყველაფერი გაკეთდა, რომ საკითხი არც „დაუყოვნებლივ“ და არც „დაყოვნებით“ გადაწყვეტილიყო. არა და არ გაიტანეს კენჭის საყრელად.

აღარ დაბრუნდა ეროვნება ჩვენს საბუთებში.

ასე რომ, ახლა ჩვენ არც „ტრადიციული“ მოდელი გვაქვს და არც ევროპული, საქართველო, როგორც თავში მოგახსენეთ, მსოფლიოში ერთადერთი უეროვნებო სახელმწიფოა.

მერე და რატომ? რისთვის? ვის აძლევს ხელს სიტყვა „ქართველის“ წაშლა?

სოფი ლორენი

1981 წლის 7 დეკემბერია.

მწერალთა დელეგაცია იტალიას სტუმრობს.

კოლიზეუმი... ვენეციის მოედანი... ესპანეთის მოედანი... ფორუმი... ლეონარდო დავინჩის შადრევანი, პეტრეს ტაძარი... მიქელანჯელოს პიეტა... ვატიკანი... მიქელანჯელოს სიქსტის კაპელა...

ახალი და ძველი რომი.

ახალი რომი ძველის ნანგრევებზეა აშენებული. აქ სახლებს საძირკველი თითქმის არ სჭირდებათო, პირდაპირ ძველ კედლებზე აშენებენო, გიდმა.

კაპიტოლიუმის მოედანზე მაღალ პოცდამენტთან შევჩერდით.

მარკუს ავრელიუსის ძეგლის პოცდამენტიაო.

თვით ძეგლი სად არის-მეთქი, ვკითხე.

ბრინჯაო გაჭუჭყიანებული ჰაერისგან გაფუჭდა, ალაგ-ალაგ ამოსკდა და გასარემონტებლად წაიღესო.

საერთოდ გადაწყვეტილი აქვთ, აქ ძეგლის ასლი დადგან, ხოლო ძეგლი კი მუზეუმში, მინის ხუფის ქვეშ შეინახონო. ორი ათასი წელი იდგა ეს ძეგლი აქ, ცის ქვეშ და არ გაფუჭებულა.

აი, რა უქნა მანქანამ ქალაქს.

გამონაბოლქვი თვით უმაგრეს ბრინჯაოსაც ვნებს და ადამიანს რას უზამს.

გიდმა ჩვენი მიკროავტობუსი მაღალ სახლებს შორის ჩაშენებულ ორსართულიან, ფართოაივნიან სახლთან შეაჩერა.

ესაო, სოფი ლორენის და მისი მეუღლის სახლიაო, საათს დახედა, ამ დროს ე. ი. თორმეტ საათზე, თუ გადაღებაზე არ იქნა, სოფი ლორენი ნახევარი საათით გამოდის ვერანდაზე. ამ დროს მისი სახლის წინ გიდებს ტურისტები მიგვყავს და სოფი ლორენს ვაჩვენებთო. სამწუხაროდ, დღეს თქვენ ამ საჩუქარს ვერ მოგიძღვნით, რადგანაც სოფის და მის ქმარს სკანდალი შეემთხვათ და დროებით შვეიცარიაში გადაბარგდნენო.

უფრო საინტერესო რა უნდა იყოს, ვიდრე სოფი ლორენის სკანდალია.

წლების განმავლობაში საშემოსავლო გადასახადებს არ იხდიდნენ და სასამართლოს სოფის და მის მეუღლეს იტალიაში ცხოვრება აუკრძალაო. თუ გადასახადს არ გადაიხდიან, შეიძლება დააპატიმრონ კიდეცო.

არ დაემთავრებინა ჩვენს გიდს ეს ნაღვლიანი ისტორია, რომ ვერანდაზე სოფი ლორენი გამოჩნდა.

მოაჯირს დაეყრდნო და ღიმილით ჩამოგვაცქერდა.

თერთმეტივე „საბჭოთა მწერალი“ ავტობუსიდან ჩამოვცვივდით, ხელს ვუქნევთ, ჰაეროვან კოცნას ვუგზავნით, ვესალმებით, ვეღრიჯებით, სასიყვარულო სიტყვებს ვესვრით სხვადასხვა ენაზე.

თვითონაც იცინის და ხელს გვიქნევს.

ისე ლამაზად იღიმება და ისეთი სიახლოვე ვიგრძენი უცებ ამ ზღაპრულ კინოვარსკვლავთან, რომ ჩემს ცხოვრებაში პირველად დავარღვიე სტუმრის (და განსაკუთრებით „საბჭოთა მწერლის“) ეტიკეტი, მარცხენა მხარეს ვიწრო კიბე დავლანდე და კიბისკენ გავეშურე.

– ტავარიშ მიშველადზე, ნელზია! – მომაძახა გიდმა, მაგრამ წავუყრუე, კიბე ავირბინე და თვალის დახამხამებაში სოფი ლორენის აივანზე აღმოვჩნდი.

გამომხედა, წარბები შეჰყარა და ცოტა არ იყოს, გულმოსულად რაღაც მითხრა იტალიურად.

ჩემზე მაღალია. ყავისფერი შარვალი აცვია და ბატისჭუკისფერი ნაქსოვი თხელზე-თხელი „ჟაკეტი“. დიდი თვალები და მაღალზე-მაღალი ფეხები აქვს. შარვალი მოკლეა. შიშველი ფეხები მაღალქუსლიან ფოსტლებში აქვს წაყოფილი. ჩემკენ მობრუნდა და ალბათ დაბეჯითებით მიმტკიცებს, რომ ჩემთვის აჯობებს, თუ კარს გავიხურავ და ძირს ჩავალ.

მაგრამ მე თვითონ არ ვიცი, ჩემთვის რა აჯობებს?

ცოტა გაჯავრებულ ლამაზ ქალზე უფრო მშვენიერი არის რამე ქვეყანაზე?

სოფის ძალად კატეგორიულ (და არა გაანჩხლებულ) მომართვაში, სიტყვა „პოლიციასაც“ მოვკარი ყური და ცოტა არ იყოს შემეშინდა. – სოვეტიკო! – ამოვილუღლუღე დარცხვენილმა.

– ტურისტო?! – მკითხა.

– ნო ტურისტო, პისატელ, „ვრაიტე“, – კალამი ამოვიღე.

– ჟურნალისტო! ნო, ნო! – კალამმა უფრო გააბრაზა – მოსკვა?

– ნო მოსკვა, ტბილისო! ნაციონალე ჯორჯია! ზაკარიაძე!

საულვაშეზე ხელი მივიტანე და მგონი ზაქარიაძეს წავბაძე კიდეც სიარულში.

სასწაული მოხდა. მოულოდნელად ღიმილის სხივი ჩაუდგა თვალებში.

– ია, ია! ზაკარიაძე, გრუზინო!

ახლა აშკარაა პოლიციას აღარ დაუძახებს. ყველაფრიდან ჩანს, დამითბა.

– ინგლისურად თუ ლაპარაკობთ-მეთქი, სული რომ მოვითქვი.

კიო.

ბედი მქონია რომ გნახეთ, გიდმა გვითხრა, რომ ამ აივანზე ორი თვეა არ გამოჩენილხართ-მეთქი.

ალბათ იმასაც გეტყოდათ, რატომ არ ვჩანდიო.

რაღაც გაუგებრობა იქნება-მეთქი.

არაფერი შემთხვევითი არ არისო. იტალიური კანონი აშკარად გვძარცვავს. თითქმის მესამედს გვართმევსო. მე და ჩემი ქმარი იმისთვის როდი ვშრომობთ დღედაღამ, რომ ჩვენი ფულით სახელმწიფო ჩინოვნიკებმა ისეირნონო. მირჩევნია, უპატრონო ბავშვთა თავშესაფარს დავეხმარო, ვიდრე ამ უსინდისო სახელმწიფო მანქანასო.

– არა მგონია სასამართლომდე მივიდეს საქმე, თქვენ ხომ დედამიწაზე ერთადერთი სოფი ლორენი ხართ-მეთქი.

– თქვენ წარმოიდგინეთ, უკვე ორჯერ გვქონდა სასამართლო და რომში ცხოვრება აგვიკრძალესო. ახლა, აქ, ინკოგნიტოდ ვარ ჩამოსული, ჩემი ქმარი შვეიცარიაშიაო. რაღაცები უნდა წავიღო და წავიდეო.

– კი, მაგრამ, საერთოდ რას აპირებთ, თუ სირეგვნე კვლავ იზეიმებს-მეთქი.

– თუ იტალიას მე არ ვჭირდები, არც მე მჭირდებაო. სამუშაოს ყველგან ვიშოვიო. არ გაგიკვირდეთ და არასოდეს არ იცოდა ჩემი ფასი იტალიამო.

აი, რა შეუძლია ცინიზმს და კანონების „მკაცრ მოქალაქეს“. დედამიწაზე ულამაზესი და უნიჭიერესი არსება კი არა, გამწყრალი იტალიელი ქალი მელაპარაკება ყოფით პრობლემებზე.

ვგრძნობ, უნდა წავიდე.

ამისთვისაც უზომო მადლობელი ვარ, რომ ათი წუთი დამითმო და თავისი ფიქრის მოზიარე გამხადა.

– არა უშავს-მეთქი. ყველაფერი მალე მოგვარდება-მეთქი.

არ მოიწყინოთ. მალე მოვა გონს იტალიის ხელისუფლება და ბოდიშს მოგიხდიან იმავე სასამართლოს გაუქმებული განაჩენით-მეთქი.

გაიცინა, რა ოპტიმისტი ყოფილხართო, მე ამათგან მსგავს სიკეთეს არ ველი, უბრალოდ, ახლა იმაზე ვფიქრობ, რა გავყიდო, რომ წლების განმავლობაში დაგროვილი გადასახადი გადავიხადო, თორემ იქამდეც მივლენ, რომ შეიძლება ციხეში ჩამსვანო.

– ნუ გეშინიათ, მე თქვენთვის ვილოცებ-მეთქი.

ხელი გავუწოდე და ულამაზეს, ვარდისსუნიან გრძელ თითებზე ცოტა შეყოვნებულად ვეამბორე.

– რეზო, პაცელუი! პაცელუი!

– ნე ბოისია!

მომესმა ქვემოდან.

თითები მაინც ხელში მეჭირა, ოდნავ დავქაჩე და თქვენ წარმოიდგინეთ, ლოყა მომიშვირა.

ვაკოცე.

– არივედერჩი!

ესღა ვთქვი დარეტიანებულმა და კიბე ჩამოვირბინე.

– ია ვიჟუ, ვი ნე ტერიაეტეს, – ღიმილიანი საყვედურით მიცქერის გიდი.

– და ონ ჟე გრუზინ!

ეუბნება უზბეკი საბავშვო პოეტი ხუდაიბერგენ ხუადიბერგენოვიჩ ხუდაიბერგენოვი.

დარბაისელი

ოცდაათი წლის გახლდით ჩეხოსლოვაკიაში თანამედროვე ლიტერატურული ჟანრებისადმი მიძღვნილ სიმპოზიუმზე რომ მიმიწვიეს.

გავემგზავრე პრაღაში. წავიკითხე მოხსენება „თანამედროვე პოემაზე“. მოხსენება რომ დავამთავრე, მაღალი, ცხვირკეხიანი ახალგაზრდა კაცი მომიახლოვდა და მითხრა – ბრატისლავის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანი გახლავართ. რას იტყვით ბრატისლავის უნივერსიტეტში რომ წაგვიკითხოთ ლექცია სათანადო ანაზღაურებითო.

მერე სიმპზიუმი-მეთქი?

სიმპოზიუმი კიდევ სამ დღეს გასტანს. თქვენ ხომ უკვე გამოხვედით. დღესვე თუ წავალთ საღამოს მატარებლით, ხვალ 12 საათზე წაიკითხავთ ლექციას და ხვალვე დავბრუნდებით. თან ბრატისლავის დათვალიერებასაც მოვასწრებთო.

ცდუნება დიდი იყო და დავთანხმდი.

ბრატისლავის უნივერსიტეტში ჩემი მასპინძლის თხოვნით პოემაზე კი არა სოციალისტურ რეალიზმზე ვისაუბრე.

მეგონა სტუდენტური აუდიტორია დამხვდებოდა (რაც ჩემთვის უცხო ხილი იყო), მაგრამ ცოტა არ იყოს, გავოცდი, როცა სავსე დარბაზში მხოლოდ სამიოდე ახალგაზრდა დავლანდე, ძირითადად პროფესორ-მასწავლებლები გვესწრებოდნენ.

რექტორმა წარმადგინა და ბოდიშის მოხდით მაშინვე გაიხურა კარი.

ვილაპარაკე, რაც ვიცოდი სოციალისტურ რეალიზმზე.

წამოვიდა შეკითხვების კორიანტელი:

„თუ რეალიზმია, „სოციალისტურის“ დამატება რა საჭიროაო“, „როგორ შეიძლება საბჭოთა კავშირში მცხოვრებ ათიათას მწერალს ერთი სკოლა, ერთი „მეთოდი“ ჰქონდესო“, „სანამ გაგრძელდება პარტიული წრთობა-აღზრდა მწერლებისო“, „რას ნიშნავს ყბადაღებული საბჭოთა ოპტიმიზმიო“, „რატომ სდევნის მთავრობა პასტერნაკსო“...

ჯერ „დაშვებული“ პასუხი ვცადე, მაგრამ მასპინძელთა სახეზე ირონიული ღიმილი რომ შევნიშნე, რაც იქნება იქნება-მეთქი და გავიარე სოციალისტურ რეალიზმზე. მე პროზაიკოსი გახლავართ და მეც სულს მიხუთავს საბჭოური ლიტერატურული რეჟიმი, აუტანელი ცენზურა-მეთქი.

ბრატისლავაში ტაში დამიკრეს, ჩემმა ნაცნობმა დეკანმაც მომიწონა გაბედულება, მაგრამ „შეფიქრიანებული“ მაინც ვიყავი, ე მანდ ჩემი „გულწრფელობა“ წინ არ დამხვდეს-მეთქი.

დავბრუნდი თბილისში. ერთი კვირის შემდეგ ცეკაში დამიანე გოგოხია გიხმობსო, მაცნობეს. ბატონი დამიანე მაშინ პროპაგანდის განყოფილებას ხელმძღვანელობდა.

ფერდაკარგულს საშუალო ტანის, ლამაზი პირისახის, ულვაშ-ჭაღარა კოლხი კარებშივე შემომეგება.

თითქოს პირველად კი არ ვხვდებოდით ერთმანეთს, დიდი ხნის ნაცნობები გახლდით.

გამომკითხა სადაურობა, ცოლ-შვილი, იქამდე კი, დის-

ერტაცია რომელ წელს დავიცავი და ვინ იყო ჩემი ხელმძღვანელი.

„მთავარზე“ ხმას არ იღებს.

როდის როდის სიტყვას მოაყოლა, საზღვარგარეთ თუ დადიხარო.

ერთი კვირაა ჩეხოსლოვაკიიდან დავბრუნდი-მეთქი.

ვიცი, ვიციო, ჩაიღიმა.

კარგია, რომ ახალგაზრდა კაცს გაფასებენო. შენი ერთი-ორი მოთხრობაც წავიკითხე, სათაურები აღარ მახსოვს, აქ იმდენი საქმე მაქვს, მოთხრობა კი არა, ხანდახან ჭადის სახელიც მავიწყდებაო.

საინტერესო საქმეა მწერლობა და მეცნიერებაო. მე ამ პარტიულ პიჭუ-პაჭუს გადავყევი, თორემ ადრე მეც მინდოდა მეცნიერებაში სერიოზულად მემუშავაო.

ისე, სიტყვა უცნაური რამეაო. ხანდახან ისე გაგიყოლიებს, რისი თქმაც არ გინდა, იმას გათქმევინებსო. ხომ გაგიგონია, ჩვენში იტყვიან „სიტყვა გამექცაო“. გაქცევა იცის ხანდახან, მარა რა მოხდა მერეო. ადამიანი იმიტომაა ადამიანი, რომ ხან ასე იტყვის და ხან ისეო. ჩვენს სოფელში ერთი ტოტოჩია მეწისქვილე იყო, ერთ დღეს რომ გაგლანძღავდა და გაგთათხავდა, მეორე დღეს იმდენს გაქებდა, ცრემლს მოგადენდა თვალზეო. ისე, საერთოდ, მთლად კარგი არაა წარამარა აზრის შეცვლაო. „ტოტოჩიას სიბრძნეს“ ეძახდნენ სოფელში ჭკუდაუმჯდარ, აზრრბენია კაცსო.

ვგრძნობ ა, ახლა მეტყვის, ახლა გამახსენებს „ბრატისლავის ინციდენტს-მეთქი“, მაგრამ იმაზე, რისთვისაც მიხმო, კრინტიც არ დაუძრავს.

მე, რასაკვირველია, ყველაფერს მივხვდი.

მაინტერესებდა შენი გაცნობაო. მადლობელი ვარ რომ მოხვედიო. თუ რამეში დაგჭირდე, არ მომერიდო. გეგულებოდე აქ შენს კაცად, გინდა ერთგულ ბიძად. წადი და, აბა შენ იცი, როგორ მასახელებო.

ტაქტიანობის, სიბრძნის, სიდარბაისლის, ქარაგმულობის მშვენიერი გაკვეთილი იყო ეს შეხვედრა ჩემთვის და არასოდეს დამავიწყდება.

ამის შემდეგ გავიდა ხუთიოდე თვე.

კრიტიკული წერილების პირველი წიგნი მქონდა გამოსაცემი, მაგრამ რომელ გამომცემლობაშიც მივედი (სულ ოთხიოდე გამომცემლობა იყო საქართველოში) მტკიცე უარი მითხრეს; აქაოდა, ჩვენ სამი წლით ადრე ვადგენთ საგამომცემლო გეგმასო, ესეც არ იყოს, მწერალთა კავშირის წევრი არა ხარ (იმ დროს არ ვიყავი) და კრიტიკულ წერილებს ასე ერთბაშად ვერ გამოგიცემთ, ჯერ დაბეჭდე ჟურნალებში (ორი-სამი წერილი მქონდა გამოქვეყნებული), გაგიცნოს ხალხმა, ჩამოყალიბდი კრიტიკოსად და მერე ვნახოთო.

გავიწყვიტე შუბლის ძარღვი და მივედი დამიანე გოგოხიასთან. სამი წლის მერე მოძველდება ეს წიგნი და იქნებ დამეხმაროთ, ამ წლის გეგმაში მოვხვდე-მეთქი.

რა ჰქვია წიგნსო?

„კრიტიკა“-მეთქი.

ისე, საერთოდ წერილებია, ლიტერატურაზე-მეთქი.

აიღო ტელეფონი და „მერანის“ დირექტორს რევაზ მარგიანს ურეკავს:

ჯერ მოიკითხა. როგორ ბრძანდებით, ბატონო რეზო, ხომ ხართ ძველებურად, არწივივითო. იცინის, მეც „ძველებურად“ ვარ, მეც მახველებს, მაგრამ არ შეგეშინდეს,

იცის გვიანმა შემოდგომამო. რას შვრება შენი სახელოვანი გამომცემლობაო. ჩანს, „შემჭამეს მწერლებმაო“, ბატონმა რეზომ უთხრა; არ გავხარ შეჭმულს, რომ დაგინახავ მიხარია, ფერი არ გაკლია და ხორციო. ქაღალდის საქმე როგორ გაქვსო...

ერთი სიტყვით კარგა ხანს ისაუბრეს. როგორც ჩანს, მე დავავიწყდი ან საერთოდ არ ჩათვალა საჭიროდ ამ სიტუაციაში თქმა-მეთქი და ის იყო, ტელეფონი უნდა დაედო... თუ მოდის ახალგაზრდა ვინმე, საიმედო მწერლობაში, აი თქვენი თაობა რომ იყო, შენ რომ იყავი ისეთიო, ჰკითხა.

ეტყობა, იქედან ბატონმა რეზომ დიდად საიმედო ვერაფერი უთხრა და ბატონმა დამიანემ სიტყვაზე დაიჭირა.

ღმერთმა ნუ ჰქნას, რომ ასე იყოს, ჩემო რეზო, ახალგაზრდებს მოძებნა და გამომზეურება უნდაო. არიან, როგორ არ არიან, კარგი ყმაწვილებიო. უნივერსიტეტში ახალგაზრდა დოცენტი რომ არის, გვარი აღარ მახსოვს, მგონი მიშველაძეა, მის სტატიას ვკითხულობდი ამას წინათ და ძალიან მომეწონაო. ხომ არ იცი, წიგნი თუ აქვს მიშველაძეს გამოცემული, მოვაძებნინებ ჩემს მდივანს, მინდა წავიკითხო ერთი, არ ჩანს ურიგო ბიჭიო. არა, სპეციალურად, არა, თვითონ თუ მოვიდა შენთან იმ შემთხვევაშიო. იქნებ თვითონ არ სურს ჯერჯერობით წიგნის გამოცემაო...

ყურმილი რომ დადო, მომიბრუნდა.

დღეს და ხვალ არა, მაგრამ ზეგ მიდი, მიუტანე ხელნაწერი და ყველაფერი რიგზე იქნებაო.

თუ შეიშმუშნოს, დამირეკე და კიდევ ერთხელ დაველაპარაკებიო.

ამ საუბრიდან სამი თვის შემდეგ ჩემი წიგნი „კრიტიკა“ წიგნის მაღაზიათა დახლებზე იდო.

„ცოდნაში“ რომ გადმოიყვანეს, იმ კვირაშივე დამიბარა, „ცოდნის“ პრეზიდიუმის წევრად მაქცია და ორ წელიწადში სამჯერ გამგზავნა საზღვარგარეთ ცოდნის ხაზით ლექციების წასაკითხად.

ასეთი იყო დამიანე გოგოხია.

22.XII.06. წ.

გავიმარჯვეთ!

2003 წლის 23 ნოემბერია.

პარლამენტის პირველ სხდომაზე გამოვცხადდი დილის 12 საათზე.

მეორე ვადით ამირჩიეს პარლამენტის წევრად.

ახლა უკვე გამოცდილებაც მაქვს და სამოქმედო გეგმაც.

ისევ და ისევ ეროვნული ცნობიერების გადარჩენისთვის ვიბრძოლებ. კვლავ ეროვნული რეკვიზიტის, სახელმწიფო ენის, რელიგიის, შემოქმედებითი კავშირების, ხელოვანის თავისუფლების, სამშვიდობო ჯარების გაყვანის და, რაც მთავარია, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხები იქნება ჩემი საპარლამენტო ბრძოლის დვრიტა.

დარბაზში კვლავ ჩემი ძველი ადგილი მოვძებნე.

პარლამენტის სხდომის დაწყება ჭიანურდება, ფორუმი არ არისო, წამდაუწუმ აცხადებენ.

დარბაზში ვერ ვხედავ პარლამენტის ახლადარჩეულ ზოგიერთ ძველ წევრს. ჯერჯერობით ეს არის და ეს.

ოთხ საათზე, როგორც იქნა, შეიკრიბა ფორუმი და დაიწყო სხდომა. რეგისტრაცია კიდევ ერთხელ გავიარეთ.

მოხსენება შევარდნაძემ დაიწყო.

ვიცი, რასაც იტყვის, „არნახულ მიღწევებზე“ ილაპარაკებს და პარლამენტს მუშაობის დაწყებას მიულოცავს, ამიტომაც მოსაცდელ ოთახში გავედი და ტელევიზორს შევცქერი.

ჩემ გარდა ტელევიზორთან ათიოდე დეპუტატია.

უჩვენებენ კანცელარიის შენობასთან გამართულ მიტინგს. ჩვენ თვალწინ მომიტინგეებმა პოლიციელთა კორდონი გაარღვიეს და პარლამენტისკენ მოემართებიან.

დარბაზში დავბრუნდი და ჰამლეტ ჭიპაშვილს ვეუბნები, მომიტინგეები აქეთ მოდიან. ხომ შეიძლება პარლამენტის კარები შემოგლიჯონ და შემოვიდნენ-მეთქი.

ჰამლეტს გაეცინა.

– რა მიამიტი ხარ, ბატონო რეზო, აქ ვინ შემოუშვებს, აქ პრეზიდენტის დაცვაა. პრეზიდენტს უახლესი, მოდერნისტული ტექნიკით შეიარაღებული დაცვა ჰყავს. ესეც არ იყოს, როცა პრეზიდენტს საფრთხე ემუქრება, საერთაშორისო კონვენციით, მაშინვე ჩაირთვება საგანგაშო სიგნალი, მეუბნება ჰამლეტი.

ჰამლეტს როგორ არ დავუჯერო, საერთაშორისო დიპლომატია. საგარეო საქმეთა სამინისტროში და სახელმწიფო კანცელარიაში ჭიპი აქვს მოჭრილი.

არ გაუვლია ათ წუთს, მარჯვენა კარებთან ჩოჩქოლი ატყდა, ვიღაცებმა შემოსვლაც სცადეს, მაგრამ კარებთან მდგარი სამიოდე ბუღა ბიჭი მიაწვა კარებს და სტუმრებმაც იკადრეს უკანდახევა.

შევარდნაძე აგრძელებს ტყუილი ციფრებით სავსე თავისი მოსაწყენი მოხსენების კითხვას.

ისევ შემოგლიჯეს კარები.

ამჯერად ჩვენი ნაცნობი პარლამენტარები შემოიჭრნენ და ორმოციოდე ჩასკვნილი, შავმოსასხამიანი ახალგაზრდა.

– ჰამლეტ, რა ხდება?! – მივუბრუნდი ჰამლეტს.

– არაფერი ბატონო რეზო, პრეზიდენტის დაცვა ახლავე აღკვეთს ამ ხულიგნობას!

მე „ხულიგნებს“ ვერსად ვხედავ. კარებთან სამიოდე მეტრში უცნობ ახალგაზრდათა შორის დგას ყავისფერქურ-

თუკიანი სააკაშვილი, და შევარდნაძეს შესძახის:

– გადადექი! გადადექი!

სააკაშვილს წინ უდგას შევარდნაძის დაცვის რამდენიმე წევრი.

ისინი სააკაშვილს გზას უთავისუფლებენ და „წესრიგის აღდგენაზე“ არ ფიქრობენ.

კარები ფართოდ იღება და დარბაზი ივსება სიხარულმ-ღელვარებისგან აღტკინებული ახალგაზრდებით.

შევარდნაძეს დაცვამ კითხვა შეაწყვეტინა, ქაღალდები უბეში ჩაუჩურთა, შეაბრუნა და ლამის ხელში აყვანილი გააქრო დარბაზიდან.

– ჰამლეტ! ეს არის არ შემოვლენო?! –მოვუბრუნდი ჰამლეტს, მაგრამ გვერდითა კარებში მის მშვენიერ ქოჩორსღა მოვკარი თვალი.

– გავიმარჯვეთ! გავიმარჯვეთ!

სკამიდან-სკამზე ხტომა-ყიჟინით შემოვარდნილები სპიკერთა ტრიბუნისკენ მიიწევენ.

სააკაშვილი შევარდნაძისთვის გამზადებულ სადიაბეტო, უშაქრო ჩაის სვამს.

ნინო ბურჯანაძე მიკროფონთან მიდის და აცხადებს, რომ რევოლუციის სახელით ხელში იღებს ძალაუფლებას.

... ლიფტი ჯერ კიდევ მუშაობს.

ავდივარ მესამე სართულზე. დერეფანში ვიღაცები გარბი-გამორბიან.

ჩემი კაბინეტის კარი გავაღე და გაღიმებულმა ჰამლეტ ჭიპაშვილმაც ჩამოიარა. ჰამლეტსაც მესამე სართულზე აქვს კაბინეტი.

– ჰამლეტ!

– რა იყო?! – იცინის.

– რა მოჰყვება ამ ამბავს, ჰამლეტ?!

– რა უნდა მოჰყვეს, ბატონო რეზო, ახლა შევარდნაძე საგანგებო მდგომარეობას გამოაცხადებს და დებოშის ორგანიზატორებს პარლამენტის სხდომის ჩაშლისთვის პასუხს აგებინებს. წესი ასეა.

... მაგრამ მე უკვე ეჭვი შემაქვს ჰამლეტის ნათქვამში.

სიყვარულის გამოცანა

ერთხელ ოტია იოსელიანი და მე კასპში ვიყავით შეხვედრაზე.

დარბაზიდან ერთმა ლამაზმა ქალმა შეკითხვა დაგვისვა:

– პატივცემულო მწერლებო, რამდენჯერ შეიძლება შეუყვარდეს ცხოვრებაში ქალს მამაკაცი?

ორივე დაგვაბნია ამ უჩვეულო შეკითხვამ.

– ბატონი ოტია, ჩემზე უფროსი გახლავთ, ცხოვრებაში გამობრძმედილი კაცია და უპასუხებს-მეთქი.

„დავუთმე“ ოტიას.

– არაფერიც! ბატონი რეზო პროფესორია და პროფესორს წინ ვერ გავუხტებიო. – ქვა ააგდო და თავი შეუშვირა ოტიამ.

მეტი რა გზა მქონდა. რაღაც მივკიბ-მოვკიბე, ვილაპარაკე კლასიკურ ერთსიყვარულზე, პლატონურ სიყვარულზე... მეოცე საუკუნის სიყვარულზე და ბოლოს დავასკვენი: სიყვარული იმდენჯერ შეიძლება მოვიდეს, რამდენჯერაც ჩვენ მისი მიღება შეგვიძლია-მეთქი.

– მაინც რამდენჯერ? – არ გვეშვება შეკითხვის მომცემი.

– მაინც... რაკი რიცხვი გაინტერესებთ, თხუთმეტჯერ შეიძლება გვეწვიოს სიყვარული! – ვიხუმრე.

– მეთექვსმეტე ბოზობაა, ქალბატონო! – არ დააყოვნა ოტიამ. ხარხარმა არა მარტო ფანჯრები შეაზანზარა, ჭაღიც შეარხია.

მე ბოლქვაძე ვარ...

ნოდარ დუმბაძეს, ზაურ ბოლქვაძეს და მე პიონერთა სასახლეში შეხვედრა მოგვიწყვეს. ოცდასამი წლისა გახლდით მაშინ – ახალბედა კრიტიკოსი.

პირველი სიტყვა მე მომცეს: ამ ორი მწერლის შემოქმედებაზე უნდა მესაუბრა.

სანამ ტრიბუნასთან მივიდოდი, ნოდარის ახალი რომანის „მზიანი ღამის“ მთავარი პერსონაჟის გვარი დამავიწყდა.

შემოვტრიალდი და ზაურს ვკითხე. ზაურსაც არ ახსოვდა. ახლავე გაგიგებო და ნოდარს ჰკითხა.

– თემო ბარამიძე, შე შტერო! – მიუგო ნოდარმა.

– თემო ბარამიძე – დამაწია ზაურმა, წამოხტა გამომეკიდა და უკვე ტრიბუნაზე შემდგარს საკმაოდ ხმამაღლა მითხრა:

– თვითონ ნოდარი გვარად დუმბაძეა, მე ბოლქვაძე ვარ, ლექსებს ვწერ!

ჯიხვი

საკანდიდატო დისერტაცია რომ დავიცავი, ბანკეტი გადავიხადე. მაშინ ბანკეტი მთავრობის მიერ აკრძალული არ იყო.

ნოდარ დუმბაძე თამადობდა.

ზუგდიდელმა მეგობრებმა შემწვარი ვაცი ჩამომიტანეს. ორიგინალურად იყო შემწვარი – ფეხებზე იდგა. სუფრაზე რომ დავდგით, შეზარხოშებული სტუმრები აღფრთოვანდნენ. მეც არც ვაციე, არც ვაცხელე და ჯიხვია-მეთქი, გამოვაცხადე.

ნოდარ ჩხეიძემ მოხერხებულად ჩამოაჭრა „ჯიხვს“ ხორცი და ჩამოარიგა.

ვხედავ გაჭრა ჩემმა ტყუილმა. მოწონების შეძახილები მესმის. რა გემრიელი ყოფილა ჯიხვის ხორციო, – ვინც პირველად მიირთმევდა. შენ აგაშენა ღმერთმა, რამდენი ხანია ჯიხვის ხორცი არ მიგემნიაო, – ზოგმა.

ქეიფის დასასრულს ნოდარმა მიხმო, მხარზე ხელი გადამდო და მიჩურჩულა:

– ისე, ტყუილებს ბავშვობიდან ნუ მიეჩვევი, მიშველაძე, თვარა სადოქტორომდე მისვლა გაგიჭირდება. ჯიხვები ჩვენ ვართ, აი, თხა ჯიხვად რომ მოგვასაღეო.

მაშინ „ჯიხვს“ მოტყუებულს, უცოდინარს, „ღრმა პროვინციელს“ ეძახდნენ.

რა ვაჟკაცი მნახეთ

მწერალთა კავშირის კლუბში „მნათობის“ ერთი წლის მოსავლის გარჩევაა. გურამ გვერდწითელმა ბესო ჟღენტს უსაყვედურა, ახლა რომ ბევრს ლაპარაკობთ, ოცდაჩვიდმეტ წელს რატომ არ აღიმაღლეთ ხმა რეპრესიების წინააღმდეგ, რატომ არ უთხარით სტალინს და ბერიას პირში სიმართლეო.

ბესოს იმ წუთში ხმა არ ამოუღია. ბოლოს, სხდომას რომ აჯამებდა, სხვათა შორის თქვა:

– ამხანაგებო, გურამ გვერდწითელს აქ ყველაფერი ტყუილი არ უთქვამს. ზოგი მართალი თქვა. მაგალითად, დღეს მოუმზადებელი გამოვდივარო, რომ მოგვახსენა, მართალი გამოდგა.

ახლა რაც შეეხება სტალინის და ბერიას წინააღმდეგ ჩემს ბრძოლას. ოცდაჩვიდმეტ წელს ცოცხალი იყვნენ ფადეევი, ფედინი, ტიხონოვი, შოლოხოვი, ტვარდოვსკი, კონსტანტინე გამსახურდია, შალვა დადიანიც და გალაკტიონ ტაბიძეც!

ახლა ამ მწერლებს გმირობას ვაძლევთ და ორდენებს ვურიგებთ, კარგი, მე ერთი მშიშარა გამოვერიე, მაგრამ თუ რომელიმე ზემოთნახსენებს მოუძებნით ერთ სიტყვას სტალინის და ბერიას წინააღმდეგ ნათქვამს, მართლა ჩასაქოლი ვყოფილვარ, თუ არა და, მე რა ვაჟკაცი მნახეთ ამისთანა!

ისე, უნდა ვუთხრა ჩემს გურამს, სტალინი და ბერია მაგას მამამის ესტატეში, ან ჩვენი კანცელარიის გამგე იროდიონ ქავჟარაძეში ხომ არ ეშლება?!

„როვნო პიტნაცატ მინუტ!“

ბატონი ნიკო შველიძე „ნიანგის“ რედაქტორი იყო. გულისხმიერი კაცური კაცი.

ერთ დღეს ხმა გავარდა, შველიძეს ათავისუფლებენო; მოგეხსენებათ, რას ნიშნავს ხმის გავარდნა. ძლიერნი ამა ქვეყნისანი ზოგჯერ თუნდაც იმიტომ ათავისუფლებენ კაცს, რომ გავარდნილი ხმა გაამართლონ.

იმ ხმამ, რა თქმა უნდა, ბატონ ნიკოს ყურამდეც მიაღწია. მიდგა-მოდგა და, რომ იტყვიან „ზომები მიიღო“.

იმ დღეებში „ნიანგში“ გამოსაქვეყნებლად პატარა ნოველა მივიტანე. უკან რომ გამოვბრუნდი, კიბეზე ზემოდან, ჩემი სახელი მომესმა.

პირველ სართულზე ჩამოსულს მეოთხე სართულიდან მეძახის ბატონი ნიკო. აშკარაა ის, რაც უნდა მითხრას, სურს სხვებსაც გააგონოს.

– რეზო! ვიცი გაგეხარდება. ჩემი საქმე ძალიან კარგადაა. ჭორიკანებს არ დაუჯერო! ზუსტად ორმოცდახუთი წუთი ველაპარაკე მჟავანაძეს, ახლა იქედან მოვდივარ. ზუსტად ორმოცდახუთი წუთი! როვნო პიტნაცატ მინუტ!

დაამატა იქვე ჩავლილი რუსული გაზეთის თანამშრომლის გასაგონად.

გასაწმენდი

ბაკურიანში ერთ დროს როინ მეტრეველის ინიციატივით ლიტერატურული სემინარები იმართებოდა.

ბესო ჟღენტი ჩამობრძანდა და კომუნისტური იდეების ერთგულებაზე მოხსენებას გვიკითხავს.

მოგეხსენებათ, ბაკურიანის „კომფორტი“. ვზივართ ახალგაზრდა მწერლები გაუპარსავნი, ღარიბად ჩაცმულნი, ტყეში ხეტიალისაგან აჩაჩულ-ჩამოჩაჩულნი.

ბესომ მისებურად რომ გაუტია, კრიტიკოსმა ნოდარ ჩხეიძემ ვერ მოითმინა და წამოიძახა: – აღარ შეგვიძლია ამ სიყალბის მოსმენა! საერთოდ, თქვენ ოცდაჩვიდმეტწელგამოვლილნი სუფთად არა ხართ იმ წლებიდან გამოსულნი! გასაწმენდნი ხართ და, რაც მალე მოინანიებთ ცოდვებს, მით უკეთესიო!

ბესო არ დაიბნა.

– ძალიან გთხოვთ, ამხანაგებო, შემავლოთ თვალი მე, და მერე ნოდარ ჩხეიძეს შეხედოთ. აქამდე მამამის ბარნაბაში ვეშლებოდი და ახლა გასაწმენდს მეძახის. თქვენსას ყველაფერს დავიჯერებ, ოღონდ გულახდილად მითხარით, რომელი უფრო ვგავართ გასაწმენდს და გასარეცხს, ნოდარ ჩხეიძე თუ მეო.

ბატონი ბესო თეთრ, ქათქათა პერანგ-ჰალსტუხში და ახალთახალ კოსტუმში გამოწკეპილი იდგა ჩვენს წინაშე. თვალსაჩინოება მის სასარგებლოდ მეტყველებდა.

სინამდვილეში შენ იყავი

ირაკლი აბაშიძე ლენინგრადში პოეტთა დელეგაციას გზავნის. მოსაგვარებელი დარჩა მთავარი საკითხი. – ვის დაავალოს დელეგაციის ხელმძღვანელობა. დელეგაციაში ორი „წონიანი პოეტია“. ალიო მირცხულავა და კარლო კალაძე.

იფიქრა, იფიქრა და ხონურ-გენიალურ გამოსავალს მიაგნო.

კარლო კალაძეს უხმო.

– ჩემო კარლო, ლენინგრადში რომ ჩახვალთ, ჟურნალისტები დაგეხვევიან. ყველაზე პოეტური შესახედაობა შენ გაქვს, და პირველად შენთან მოვლენ. პირველი შეკითხვა ასეთი იქნება; ვისი მეთაურობით ჩამოხვედითო. რა გენაღვლება, უთხარი, საშუალო პოეტი ალიო მირცხულავაა ხელმძღვანელი-თქო. სინამდვილეში – შენ იყავი.

სხედან და ზიანს აყენებენ

ბესო ჟღენტი მოხსენებას კითხულობს. „კითხულობს“ სწორი არ იქნება. ბატონი ბესო ხომ მუდამ ზეპირმეტყველებდა. ასე რომ ბესო ჟღენტი მოხსენებას ამბობს.

– ზოგიერთები, ჩვენი სოციალისტური რეალიზმის უნაყოფო წარმომადგენლები დღესაც აქ ზიან ამ დარბაზში! – დაამთავრა მომხსენებელმა.

– ზიან კი არა, სხედან! – დაუძახა დიმიტრი ბენაშვილმა.

ბესო წამით შეჩერდა. დარბაზს დააკვირდა, სურდა ხმის მიხედვით გამოეცნო მორეპლიკე.

გამოსავალი ახლაც ზუსტად იპოვა.

– დიახ, ამხანაგებო, სხედან და ზიანს აყენებენ ჩვენს საქმეს, ჩვენს პროლეტარულ მწერლობას!

რჩევა

თუ გახსოვთ, ერთ დროს ჟურნალი „ცისკარი“ ყდაზე აქვეყნებდა; შემდეგ ნომერში იხილეთ ესა და ეს ნაწარმოებიო.

მწერალთა კავშირში „ცისკრის“ განხილვაა. ბესო ჟღენტმა ასე დაიწყო:

– ამხანაგებო, ჟურნალი გაზეთი კი არ არის, რომ ყოველგვარი სისულელეები ვბეჭდოთ შიგ. ჟურნალი ჟურნალია. ჟურნალ „ცისკრის“ მეექვსე ნომერი გვაუწყებს: მეშვიდე ნომერში იხილეთ ზაურ ბოლქვაძის ლექსებიო. ნუთუ ზაურ ბოლქვაძე ისეთი გაუგებარი, რთული და ბუნდოვანი პოეტია, რომ ერთი თვით ადრე გვჭირდება შემზადება მისი ლექსების წასაკითხად. თუ ასეა, ვურჩევ ჟურნალს გამოაქვეყნოს მერვე ნომერში ანკეტა, მეშვიდე ნომერში იყო ზაურ ბოლქვაძის ლექსები და გთხოვთ მოგვწეროთ, ვინ წაიკითხა და ვინ არაო.

სად ისწავლა

ბესო ჟღენტს ზეპირი პოლემიკის საოცარი უნარი ჰქონდა.

ერთხელ მწერალთა კავშირში მორიგ მოხსენებას რომ აბულბულებდა და ერთ ნაწარმოებზე მისებურად, ზოგადად შეჩერდა, გურამ ასათიანმა დარბაზიდან უსაყვედურა:

– არა გაქვთ თქვენ ეგ წიგნი წაკითხულიო.

– ამხანაგებო! – არ დაიბნა ბესო – გურამ ასათიანი რომ ბოლომდე არ კითხულობს წიგნებს, ამ რეპლიკაზეც ეტყობა. ბოლოში რომ ჩაჰყვე წიგნს, ტირაჟი აწერია. ხელნაწერი წიგნების გარდა, ჯერ არასოდეს მინახავს წიგნი, ერთი ეგზემპლიარი ტირაჟით გამოსულიყოს. ასე რომ, ჩვენთვისაც გამოდის, მარტო თქვენთვის კი არ ისტამბება ერთი ცალი! ჩვენც ვკითხულობთ, ძირფასო გურამ, ჩვენც!

დარბაზში სიცილი გაისმა. გურამმა საპასუხო ვერაფერი თქვა, მაგრამ გაბრაზება აშკარად შეეტყო. ბესომ რომ დაამთავრა, პირველი სიტყვა გურამმა აიღო და სხვათა შორის თქვა: ზოგ ჩვენს მწერალს და, მათ შორის, ბატონ ბესოს განათლება აკლიაო.

ახლა ბესომ იხელთა დრო.

– ამხანაგებო, მოგეხსენებათ, მე საზღვარგარეთ არ მისწავლია, რაც ვიცი, სულ საზღვარს შიგნით მაქვს შეძენილი, მაგრამ საზღვარგარეთის ბევრ ქვეყანაში მიმოგზაურია და კემბრიჯის, ოქსფორდის, ლონდონის, კოლუმბიის, სორბონის, ლაიპციგის, უნივერსიტეტებშიც შემივლია. სხვათაშორის, იმ უნივერსიტეტების შესასვლელებში ყველა

იმ გამოჩენილი პირის გვარია ქვაზე ამოტვიფრული, ვინც ეს უნივერსიტეტი დაამთავრა. უნდა გამოგიტყდეთ, არსად გურამ ასათიანის გვარს არ წავწყდომივარ და მიკვირს; სად მიიღო ამ ახალგაზრდამ ეს აუწონავი განათლება ყოველ ფეხის ნაბიჯზე ასე უღმერთოდ რომ ამჟღავნებს!

დარბაზს ისევ გადაუარა სიცილის ტალღამ.

გურამს ისღა დარჩენოდა, ხელები აეწია და სიცილში სხვებს აჰყოლოდა.

ცხრა აკვანი

ლევან სანიკიძე, თამაზ წივწივაძე, ომარ გოცაძე და მე სადღაც შეხვედრაზე მივდივართ. გზაში თამაზის წერილებიდან ადგილებს ვყვებით.

– როგორ აბაიბრუებს თამაზი ერთი რომანის პასაჟს – ცოლმა ქმარს აივნიდან ხუთი ვედრო ჭუჭყიანი წყალი რომ გადაასხა თავზე. ხუთი ვედრო წყლის გადმოსხმა მწერლის შეცდომაა, წერს წივწივაძე – პირველ ვედრო წყალს რომ გადმოასხამს ცოლი, არც ერთი ჭკუათამყოფელი ქმარი დანარჩენ ოთხ ვედროს არ დაუცდის.

ლევანი ხომ კვდება სიცილით და გასაკვირი ისაა, რომ თვითონ წივწივაძეც გულიანად იცინის.

– აბა, ნამდვილ მწერალს ასეთი შეცდომა როგორ უნდა მოუვიდესო, მრავლისმეტყველად დაასკვნის ლევან სანიკიძე.

– შენც მყავხარ გამოჭერილი, – მიუბრუნდა თამაზი – „უქარქაშო ხმლებში“ ერთ ადგილას გიწერია, გლეხის ქალი ცხრა შვილის აკვანს ერთდროულად არწევდაო.

– მერე? – ღიმილი შეაცივდა სახეზე ლევანს.

– რა მერე. შენ მაინც უნდა იცოდე, სტუდენტებში ტრიალებ. როცა დედას მეცხრე შვილი სააკვნე ჰყავს, პირველი შვილი ასპირანტის ასაკს გადაცილებულია და აკვანში რა დაატევდა.

ჩემს თვალწინ მოხდა გარიგება პურ-მარილზე, რომ თამაზს ეს „იაღლიში“ საქვეყნოდ არ გამოეტანა.

„ლოზუნგების ქვეყნის“ ავტორი დღემდე დანაპირებს ერთგულად ასრულებს.

რომ მოგპარონ?

მატარებელში მიამბო ერთმა:

თავის დროზე კომპარტიაში მინდოდა შესვლა, მაგრამ ენამ წამისწრო და რაიკომის ბიუროდან გამომაბუნძულესო.

ანკეტაც შევავსე, კრებამაც მიმიღო, გასაუბრებაც გავიარე და ბოლოს რაიკომის ბიუროზე რომ გამიყვანეს, ერთმა ლოტოსკოჭისდარმა პარტიულმა სხვათაშორის მკითხა:

მანდატს სად შეინახავო.

გულის ჯიბეში-მეთქი.

პიჯაკი რომ მოგპარონო?

მაშინ შარვლის ჯიბეში-მეთქი.

შარვლის ჯიბე რომ გაგიჭრას ჯიბგირმაო?

შინ, კარადაში შევინახავ-მეთქი.

სახლში რომ ქურდი გეწვიოს და კარადა გაგიცარიელოსო?

კედლის ღრიჭოში დავმალავ, რომ ქურდმა ვერ იპოვოსმეთქი.

სახლი რომ დაგეწვასო? ჩამომსდია, საშველს არ მაძლევს.

ნერვებმა მიმტყუნა:

შე ოჯახაშენებულო, კოსტუმი თუ მომპარეს, კარადა გამიქურდეს და სახლი დამიწვეს, ეს თქვენი მანდატი რა ოხრად მინდა-მეთქი!

წადი, თავისუფალი ხარო.

იაფი

მესამე კურსის სტუდენტი გახლდით პირველი წიგნი რომ გამოვეცი. ეს იყო იუმორისტული მოთხრობების კრებული „ნიანგის ბიბლიოთეკის“ სერიით.

ცას ვეწიე სიხარულით. წიგნის ავტორი ვარ. რომ იტყვიან, ცა ქუდად არ მიმაჩნია და დედამიწა ქალამნად.

იმ დღეებში რუსთაველის პროსპექტზე ჩემი ქუთაისელი თანაკლასელი შემხვდა. რა ჰქენი, მოეწყვე უნივერსიტეტშიო? მკითხა.

თითქოს მდუღარე გადამასხესო, ისე შევკანკალდი. მგონია ყველამ ყველაფერი იცის ჩემზე. კითხულობენ, აღშფრთოვანებული არიან.

არა მარტო მოვეწყვე, უკვე წიგნის ავტორიც ვარ-მეთქი. დავაძრე ჩემი განძი და იქვე გავუშანშალე წარწერა: „სიყრმის მეგობარს ავტორისაგან“.

არავითარი გაოცება ან გახარება. საკმაოზე მეტად გულგრილად ჩამომართვა და რატომღაც პირველად ფასს დახედა.

წიგნი 20 კაპიკი ღირდა.

თვალი ეშმაკურად მოჭუტა:

– ბიჭო, საერთო რვეული, სუფთა დაუწერელი ორმოცი კაპიკი ღირს და შენ რა დაწერე ამნაირი ოცი კაპიკით რომ ჩამოუფასებიათ.

დაჩქარების მიზნით

ახალგაზრდობაში წერილების წიგნი წარვუდგინე გამოსაცემად „საქართველოს“ (მაშინ „საბჭოთა საქართველო“ ერქვა). რედაქტორად პოეტი ილია ხოშტარია დამინიშნეს, ალალ-მართალი, უპრეტენზიო კაცი.

ბატონი ილია ხანში შესული გახლდათ და დედანს ნელა კითხულობდა.

მივედი ერთ დღეს, მხოლოდ ოცდაშვიდი გვერდი აქვს წაკითხული. ერთი კვირის შემდეგ რომ მივაკითხე, ორმოც გვერდს არ იყო გაცილებული.

თუ ასე გაგრძელდა, ამ წელიწადს არ მაღირსებს-მეთქი წაკითხვას, შევჩივლე ირაკლი არაბულს. ისიც, იქვე, გამომცემლობაში მუშაობდა.

შენ მაგან დაგაღონაო? ვიღაცას ბატონი ილია გარეთ გამოაძახებინა, ხელი მომკიდა, შემიყვანა რედაქტორის კაბინეტში და გაშლილი ხელნაწერი 347-ე გვერდზე გადაშალა. ასე რომ ბ-ნ ილიას წასაკითხად, რაღაც ოდიოდე გვერდი რჩებოდა. შემოვიდა ბატონი ილია, მიუჯდე ხელნაწერს და 347-ე გვერდიდან განაგრძო კითხვა.

წიგნი ერთ კვირაში ჩაბარდა სტამბას.

ერთ დღეს დამირეკა ბატონმა ილიამ, – მოდი სასწრაფოდო! მივვარდი.

მთავლიტი აკაკანდა. შენ ხელნაწერში ჩემი წაკითხვის შემდეგ, ხომ არაფერი ჩაგიმატებიაო. როგორ გეკადრებათ-მეთქი. ეტყობა მოვხუცდი, თორემ გრიგოლ რობაქიძე და

„თაგუნა“ (მენშევიკი შალვა შარაშიძე) როგორ გამეპარნენო.

მაშინ გ. რობაქიძის და შ. შარაშიძის ხსენება არ შეიძლებოდა.

თუ გული გულობს

ამ ხუთიოდე წლის წინათ ასპირანტურის გამგემ დამირეკა; ბატონო რევაზ, ვიეტნამელი ასპირანტი უნდა მოგამაგროთო.

მე რომელი ვიეტნამური ლიტერატურის სპეციალისტი ვარ-მეთქი, ვიუარე.

სხვა გზა არა გვაქვს, უნდა გვიშველოთო. ვიეტნამური ლიტერატურის სპეციალისტი საქართველოში საერთოდ არ გვყავს. ასპირანტი მოსკოვმა მოგვამაგრა, თემაც შერჩეული აქვს: „სოციალისტური რეალიზმი ვიეტნამურ ლიტერატურაშიო“.

არ გამივიდა უარი და, როგორც იქნა, დამითანხმეს.

მოვიდა ასპირანტი – ნგუენ ნგია ჩონგი. რუსულს ძლივს ამტვრევს. ქართულზე წარმოდგენა არა აქვს.

მე ჩინური სრულებით არ ვიცი. ვიეტნამური კი ჩინურზე უფრო ცუდად.

შევუდგინე გეგმა. დავსვი საჯარო ბიბლიოთეკაში. სოციალისტურ რეალიზმზე ლიტერატურას გაეცანი-მეთქი.

ორი თვის თავზე მივაკითხე. გორკის „დედას“ კითხულობდა. რა ჰქენი-მეთქი. ვმუშაობო, რა წაიკითხე ამ ორ თვეში-მეთქი – გორკის „დედაო“. სხვა არაფერი-მეთქი? არაო.

სამეცნიერო ლიტერატურას თუ გადახედე-მეთქი.

არაო.

რატომ-მეთქი.

შევატყვე ამ „ტემპით“ ჩონგი დისერტაციას კარგა ხანს ვერ დაამთავრებდა.

არა და მოსკოვის გეგმის მიხედვით ორ წელიწადში უნდა დაეწერა, უნდა დაეცვა და მშობლიურ ვიეტნამს კანდიდატად დაბრუნებოდა.

დავუწყე კარნახი. კვირაში ორჯერ ვხვდებით.

სოციალისტური რეალიზმის თეორიის საფუძვლებს ადვილად გავართვი თავი, მაგრამ მერე, რაღა ვქნა, წინ ორი მთავარი პრობლემა გველის: „სოციალისტური რეალიზმი ვიეტნამურ პოეზიაში“ და „სოციალისტური რეალიზმი ვიეტნამურ პროზაში“.

მივლინებით მოსკოვში გავგზავნე; ლენინის ბიბლიოთეკაში თანამედროვე ვიეტნამური პოეზიის ნიმუშებს გაეცანი და მასალა ჩამომიტანე-მეთქი.

სამი თვე დაჰყო მოსკოვში. დღემდე საიდუმლოდ რჩება რა საქმეს ეწეოდა, ერთი სტრიქონიც არ ჩამოუტანია. ვერა ვიპოვე რაო.

გავშრი. ერთხელ კიდევ წადი, და იქნებ, თანამედროვე ვიეტნამელი პოეტების გვარები მაინც გამიგო-მეთქი.

ამჯერადაც სამი თვე იმოსკოვა. თქვენც არ მომიკვდეთ, ერთი პოეტის გვარიც ვერ მომაწოდა.

ვკარნახობ პირველ თავს, მე თვითონ ვიგონებ ვიეტნამურ გვარებს; თხან ვან ხოი, ჩან გუნ ვაი, ჭიპ ტინ ძინი.

ვთხზავ ლექსებს. არ შეიძლება ვიეტნამელ პოეტებს ლექსები არ ეწერათ დედაზე, მშვიდობაზე, სამშობლო ვიეტნამზე (ჩრდილოეთ ვიეტნამზეა ლაპარაკი), პატარებზე, მზეზე, ტბებზე, სიყვარულზე. ისეთი „ციტატები“ მომაქვს ვიეტნამური პოეზიიდან, რომ ჩონგი პირდაღებული შემომყურებს: თუ ასე კარგად იცნობდით თანამედროვე ვიეტნამურ მწერლობას, მოსკოვში რაზე მიმარბენინებდითო.

პოეზიას, როგორც იქნა, მოვაბი თავი. პროზას რა ვუყო. უკანდახევა აღარ ეგებოდა. შევები და გავწიე.

ვთხზავ სიუჟეტებს ვიეტნამელთა ცხოვრებიდან. საქმეში ჩავაბი ამერიკელთა და ვიეტნამელთა ომი. პარტიზანი ვიეტნამელის, ვიეტნამელი კომუნისტის, ვიეტნამელი კომკავშირელის შთამბეჭდავი სახეები დავახვავე.

დავამთავრე დისერტაციის კარნახი. სირცხვილისაგან ყურები მეწვის. ვაი თუ გამიგონ და კუდით ქვა მასროლინონ.

წადი ახლა ვიეტნამში, წაიღე ეს დისერტაცია და ჩემი მოგონილი გვარების ნაცვლად ნამდვილი მწერლების გვარები ჩასვი-მეთქი.

წავიდა. ექვს თვეში დაბრუნდა. ნაშრომი ისევ ისე ჩამომიტანა. თანამედროვე მწერლების გვარები არავინ მითხრაო. რას ვეტყოდი, ბევრი რომ არ გავაგრძელო, დაიცვა ჩონგმა დისერტაცია თბილისში, მოსკოვმა ორ თვეში დაუმტკიცა ხარისხი.

ამ ორი კვირის წინ ვიეტნამიდან ამანათი მივიღე.

გულისფანცქალით გავხსენი.

ნგუენ ნგია ჩონგს ჰანოიში „თავისი“ ნაშრომი ცალკე წიგნად გამოუცია რუსულ ენაზე.

ჩემს მიეგ გამოგონილი ვიეტნამელი მწერლები ნაშრომში ისე ლამაზად სხედან, რომ მე თვითონ შემეხარბა.

აფრიკელი სტუმარი

იოსებ ნონეშვილი, მოგეხსენებათ, ხშირად მოგზაურობდა.

ერთ-ერთი მოგზაურობიდან ორმეტრიანი ზანგი ჩამოიყვანა, აბრეშუმისანაფორიანი, სქელტუჩება ზანგი ყველას უღიმოდა და თეთრ კბილებს აელვებდა. აფრიკის ცნობილი პოეტიაო, გამაცნო ზანგი რუსთაველის პროსპექტზე. ხვალ, მწერალთა კავშირში, შეხვედრას ვუწყობთ, უსათუოდ მოდიო, ჩემი პირადი მეგობარიაო, მშვიდობის განმტკიცებაში დიდი წვლილი მიუძღვისო.

რა ენაზე წერს-მეთქი, ვკითხე..

ზანგურ ენაზეო, დაბნეულმა მომიგო.

აღარ ჩავეკითხე კონკრეტულად რომელ „ზანგურზე“ წერდა.

მეორე დღეს მწერალთა კავშირში ზანგ პოეტს, მართლაც, გრანდიოზული შეხვედრა მოუწყვეს.

იოსებმა ვრცლად „მიმოიხილა“ სტუმრის შემოქმედება. ახლა თვითონ წაიკითხავს ლექსებს ავტორი და დარწმუნდებით, ვისთან გვაქვს საქმეო, დასძინა.

ზანგმა კეთილი, ფართო თვალები ჭერს მიაპყრო და სამსიტყვიანი ლექსი გვტყორცნა. „ლუმბა, მუმბა, ბუმბა“.

ტაში რომ დაცხრა, ყველამ იოსებს შევხედეთ. არც არის საჭირო იმის თქმა, რომ შეხვედრა უთარჯიმნოდ ტარდებოდა. იმის შეხსენებაც ზედმეტია, რომ „ზანგურიდან“ მთარგმნელს იმხანად საქართველოში მამაზეციერიც ვერ აღმოაჩენდა.

იოსებ ნონეშვილი როდი დაიბნა.

ეს ლექსიო მშვიდობაზე გახლავთო. უმღერის მშვიდობას, ამბობს ყველანი ღვთის გაჩენილები ვართ, კაცი კაცს რატომ უნდა კლავდესო. ყველა ერსა აქვს უფლება მშვიდობით იცხოვროსო, ამ ტრიალ ქვეყანაზე ყველანი დავეტევითო.

ტაში დავცხეთ. ზანგმა კიდევ ერთხელ გადაგვიხადა მადლობა (ჩვენც და იოსებსაც) და მეორე ლექსი წამოიწყო:

„ჩანქა, ბჰანა, ლუმმუ!“

ვერც ამ მეორე ლექსს გავუგეთ რამე. ისევ ნონეშვილმა გვიხსნა.

ეს ლექსიო, დედაზეა დაწერილიო. პოეტს მუდამ თან დასდევს სადღაც, აფრიკის ჯუნგლებში ბუხართან (?!) მიმჯდარი მარტოხელა დედის აჩრდილიო. დედას სიცოცხლეში ვერ ვაფასებთო, გვირჩევს, დედის თითებაღბეჭდილ ხმიადს სხვა გემო აქვსო. დედა ყველა ძვირფასია, რა კანის ფერიც უნდა ჰქონდესო.

„თარგმნის“ დროს იოსები ზანგ პოეტს შეჰყურებდა და ისიც, თითქოს ყველაფერს ხვდებაო, თანხმობის ნიშნად თავს უქნევდა.

ნამეტანი გრძელი თარგმანი გამოგივიდა, იოსებო, შეჰღიმილა ნოდარ დუმბაძემ, მაგრამ „ზანგურის სპეცალისტს“ ამ მცირე „შენიშვნისთვის“ ყურადღება არ მიუქცევია.

მეორე დღეს იოსების მშობლიურ სოფელ კარდანახს ვაწვიეთ ძვირფასი სტუმარი.

მაძღარი შემოდგომაა. ზვარში გავიარეთ.

ამათთან ვენახი არ ხარობს, ვაზს პირველად ხედავს, ალბათ, ყურძენიც არასოდეს უჭამიაო, მიხსნის იოსები.

მოწყვიტა მტევანი იოსებმა.

– ეტა ვინაგრად, ვინაგრად, – აუხსნა და გაუწოდა. ზანგმა მადლობით გამოართვა და მტევანი შარვლის ჯიბეში

ჩაიდო.

–ხომ გითხარით, ყურძენზე წარმოდგენაც არა აქვს, – იღიმება იოსები.

მეორე მტევანი მოიხელთა.

– ეტა ვინაგრად, ი ოჩენ ვკუსნი, – გაუწოდა.

ზანგმა მეორე მტევანიც მადლობით ჩამოართვა და პიჯაკის ჯიბეში ჩაიდო. თანაგრძნობის, შეცოდების ღიმილით შესცქერის იოსები.

– არ იცის, როგორ უნდა ჭამოს. ამათთან ათასნაირი ხილი იცის, მაგრამ ყურძენი თვალითაც არ უნახავს.

კიდევ ერთი მტევანი შეწყვიტა მასპინძელმა ვაზს.

– ოჩენ სლატკი ვინაგრად, ვოტ ტაკ კუშაიუტ, ვოტ, ვოტ ოჩენ სლატკი. კუშაი, კუშაი!

რამდენიმე მარცვალი მოკუმპლა იოსებმა, პირში ჩაიდო, თან მიუმიმიკა, ძალიან გემრიელიაო. ზანგმა სუფთა რუსულით აუწყა:

– ჩევო სპეშიტ, იოსიფ ელიოზოვიჩ, პანიმაიუ ჩტო სლატკი, პაიდუ, პამოიუ ი პატომ პაკუშაიუ.

იოსებს მეტი მტევანი აღარ შეუთავაზებია „ჰიგიენური სტუმრისთვის“.

ზანგები მგონი ჩვენა ვართ, ამ გაურეცხავ ყურძენს რომ მივასკდითო, იხტიბარგატეხილმა ჩაილაპარაკა.

მერე შევიტყვე; თურმე ის ზანგი მოსკოვში მცხოვრები „ზანგი პოეტი“ იყო. აფრიკიდან ყმაწვილობისას ჩამოუყვანიათ.

ასეთები ცოტა როდი ჰყავდა იმპერიას.

ოთხი „პერიოდი“

პლატონ გულუა – მამაჩემის მეგობარი, ბრძენი და იუმორიანი კაცი იყო.

მახსოვს, ჩემს ქორწილზე სადღეგრძელოში, სხვათაშორის მითხრა:

– ღმერთმა გამრავლება და ჯანმრთელობა ნუ მოგაკლოს, მაგრამ რაკი წუთისოფლის სტუმრები ვართ, ყველა ასაკისათვის მზად უნდა იყოთ. იცოდეთ ორივემ, ნეფემაც და პატარძალმაც, მამაკაცს ოთხი პერიოდი აქვს ცხოვრებაშიო. პირველი პერიოდი, როცა ცოლს ირთავ. რა თქმა უნდა, ცოლზე ამოგდის მზე და მთვარე. ბუდეს იწყობ, სახლს იშენებ, ბალღებს აჩენ. გარეთ გახედვაც არ გინდა. ეს პერიოდი, დაახლოებით; ათი-თხუთმეტი წელი გრძელდება. მერე იწყება მეორე პერიოდი. კაცს სევდა შეგეპარება, შინ მისვლას აგვიანებ ხანდახან. იჩენ საყვარელს, მაგრამ ცოლის ერთგულიც ხარ. რომ იტყვიან, შინაც „მუშაობ“ და გარეთაცო. მერე, კაი ხნის მერე, იწყება მესამე პერიოდი, როცა შინ მუშაობას თავს ანებებ და გარე-გარე მუშაობო. ბოლო პერიოდი მეოთხეა, არც შინ ვარგიხარ და არც გარეთ. ზიხარ და კრიალოსანს მარცვლავო.

– შენ რომელ პერიოდში ხარ, პლატონ ბიძია-მეთქი, – ვკითხე,

– მეო, მეორედან მესამე გარდამავალ პერიოდში ვარო.

თანამოგრძნე

ცალყბად ნათქვამს, გულისგარეთა თანაგრძნობას ვერ ვიტან.

კაცს რომ ჰკითხავ, როგორ ხარო, მართლა უნდა გაინტერესებდეს, როგორ არის. თუ არა და, ვინ გაძალებს, წადი შენთვის.

ჩემს ქუჩაზე გრიგოლ თადუმაძე ცხოვრობდა. ერთ დროს თანამდებობის კაცი გახლდათ. კაი ხანია აღარ შემხვედრია. ვერ გეტყვით, ახლა რას საქმიანობს. ერთხელ ვაკის პარკთან შემეფეთა.

– გამარჯობა რეზო, რას შვრები, როგორა ხარ?

გმადლობთ, ბატონო გრიგოლ, კარგად ვარ-მეთქი. ახლახანს ჩემი წიგნი მოსკოვში და ბულგარეთში გამოვიდა. სადოქტორო დავიცავი. პროფესორად ამირჩიეს. მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის წევრი ვარ. შინაც ყველანი კარგად მყვანან-მეთქი, მივაყარე სხაპასხუპით.

ამას რომ ვეუბნებოდი, მაღლა, ღრუბლებს ასცქეროდა. თურმე არ მისმენს.

– რას იზამ, ჩემო რეზო, წვალებაა ცხოვრება. უნდა გაუძლო, უნდა გაუძლო – თანაგრძნობით ჩამომართვა ხელი და სწრაფად გამშორდა.

ორი კვირის შემდეგ ისევ შემხვდა. პურის რიგიდან გამოსულს (პური გათავდა, არ მომიწია), მკლავზე ხელი მომიჭირა:

– გამარჯობა რეზო, რას შვრები, როგორა ხარ?

ერთი გამოვცდი, მართლა აინტერესებს, თუ ყასიდად მეუბნება-მეთქი.

– ცუდად ვარ, ბატონო გრიგოლ, კუჭის წყლული აღმომაჩნდა, მამაჩემს წნევა აქვს, დედაჩემს გული აწუხებს, ცოლს მარილები დაუგროვდა, ბიჭმა ბაკურიანში ფეხი მოიტეხა!

მომიბრუნდა, ღიმილით მითათუნებს მხრებზე ხელს:

– მიხარია, მიხარია, ჩემო რეზო, ხომ იცი, შენი კარგად ყოფნა ყოველთვის გამეხარდება.

შეეხარბა

თურმე ჩემი მდგომარეობაც კი შეეხარბება ზოგიერთს.

მართლა სახლი დაგიწვესო? ერთმა მწერალმა მკითხა.

ნამდვილად-მეთქი.

სულ მთლად დაიწვაო?

მთლიანად, თითისდადება ქაღალდიც ვერ გადავარჩინეთ-მეთქი.

ვატყობ, დიდად არ სწყინს კი არა, ცოტა არ იყოს, აღტაცებითაც შემომცქერის.

ზარალი დიდია, რასაკვირველია, სახლის დაწვა ხუმრობა საქმე ხომ არ არისო, წაიფილოსოფოსა, ცოტა ხარჯი კი არ დაჭირდება სახლის აღდგენასო. მაგრამ გული არ გაიტეხო და, ჩვენს შორის რომ დარჩეს, მაგ ამბავს კარგი მხარეც აქვსო. ვერ წარმოიდგენ, როგორ შეუყვარდი ხალხს ამ ბოლო დროსო. სადაც კი მოვკარი ყური, ყველგან კაკუშაძის ხსენება ისმისო. ისინიც კი, ვისაც სძულდი, ახლა თანაგრძნობით შემოგცქერიან. დამიჯერე, ღირს ამხელა მსხვერპლადაც ხალხის სიყვარულის ერთბაშად მოპოვებაო. მე ვინ დამწყევლა, ვერ გამიგია, არაფერში არ მიმართლებს, რა დავაშავე, ასე რომ ამომიღო ღმერთმა გულიდანო. ვისზე ნაკლები ვიბრძოლე, ვისნე ნაკლები დამსახურება მაქვს ეროვნული მოძრაობის წინაშე, სხვისი ბამბაც რომ ჩხრიალებს და ჩემსას ვერაფერს ხედავენო. ჯერ იყო და გული იმაზე ჩამწყდა, ზვიადის დასახვრეტთა სიაში რომ ვერ მოვხვდიო. ცხრა ადგილას შევამოწმე, მაგრამ დამატებით სიაშიც კი არ აღმოვჩნდიო. ბოლო იმედი წიგნების დაწვა

იყო და იქაც გამომტოვესო. ოცი წიგნის ავტორი ვარ, რა იქნებოდა იმ ოციდან ერთი მაინც ეცნოთ დაწვის ღირსად. ცოტა მაინც გავხმაურდებოდიო.

რას გაუგებ კაცს.

„კიევსკაია“

თელავის ავტობუსში დამემგზავრა. სახენაყვავილარი, მაღალკისერა, ბასრცხვირა, ასე ორმოციოდე წლის კაცი იყო, შუბლიდან კეფამდე შუაგაყოფილი, ბრიოლინით დამორჩილებული თმა საფეთქლებთან, როგორც ვერძს ჩამოხრილი რქები, ისე ჰქონდა ჩამოშვებულ-ჩამოკაუჭებული. კახური ქუდი არ ეხურა და არც ხელისზურგები ჰქონდა მზისგან თუ ჯაფისაგან დამწვარ-დახეთქილი. ან პარიკმახერი იქნება ან ბუღჰალტერი-მეთქი, გავიფიქრე. პარიკმახერი აღმოჩნდა. გოლა მქვიაო. იყალთოს ჩასახვევთან, იქვე მაღაზიის გვერდით ვმუშაობ, თუ ჩვენსკენ გზა დაგირჩეთ, უფასოდ გალამაზება ჩემზე იყოსო... აი, რა მიამბო:

კაცი ორმოცდაათს რომ გადაშორდება უფრო გულდაგულ ითვლის დღეებს და წელიწადებსა. შიშით შეჰყურებს ბებრებსა და, თუ გაუშინაურდა, პირველ რიგში ეკითხება: რამდენი წლისა ბრძანდები ძიაკაცო, ისე როგუა საქმე, ჯანზე როგორა ხარ, ქვედა სართულებში რა ამბავიაო.

აინტერესებს, აბა, რომელ წლამდე რა შეგვიძლიან და მამაკაცად დარჩენის დროს დაკანკალებს. სუ ტყუილი ყოფილა. აქაო და სამოც წლამდე მაგრები ვართ, მერე რაღაც რაღაცებ საღათი ძილი მაერევათ და სამუდამოდ ისვენებენო. მამაჩემი სამოცდახუთი წლის გახლავთ და, თუ უზრდელობაში არ ჩამომართმევთ, შარშანდელ ამბავ გიამბობთ, გზაც მალე დაილევა, და იქნებ, ცოტა გაგამხიარულოთ კიდეც.

მამაჩემ კენჭმა გაუარა და ექიმებმა ტრუსკავეცი ურჩიეს. სადღაც ლვოვი იქეთა ყოფილა, ნავთიანი წყალი ამოდის, რო ვსვამდით, გულმუცელი ავად გვიტოკავდა, მაგრამ რა გვექნა, საჭირო იყო.

როგორც იქნა, მოვისისხლფასეთ ორი საგზური ტრუსკავეცისა. მე ჯანმრთელი ვარ, მაგრამ თან მივდევ მამაჩემს, ამოტოლა გზაზე მოხუცს მარტო ხომ ვერ გავუშვებდი.

ცალ-ცალკე მოგვათავსეს, ერთ სართულზე, გვერდიგვერდა – მამაჩემი ორასთერთმეტში, მე – ორასთორმეტში, მამაჩემო, შენს ნომერში შედი, ცოტა მუხლი გავმართოთ, შვიდზე ვახშამია-მეთქი, ნამგზავრი ხალხი ვართ-მეთქი, მამაჩემს ვეუბნები. სუ ერთი საათის ჩამოსულები ვართ, ერთიც ვნახოთ, ბედი ალჩუზე დაჯდა. თვალები მელულება. ძილი თავისკენ მიმათრევს და კაკუნი გაისმა.

პაჟალუსტა-მეთქი, გავძახე.

გოგო შემოვიდა, მაგრამ რა გოგო. გოგო კი არა ფარშევანგი. მაღალი, ლამაზი, თეთრყირმიზა, თეთრხალათიანი, თავზე გამტკიცული მარლის ვეებერთელა ქუდი ახურავს, ცხრამეტი-ოცი წლისა იქნება, ანგელოზია პირდაპირ.

სიხარულისაგან ფერი-ფური დავკარგე, რომ იტყვიან ელეთმელეთი მომივიდა. ხელში გრაფინით წყალი უჭირავს. დამისხა, მომაწოდა. სულმოუთქმელად დავცალე.

მეო, ლუსია მქვიანო. სანიტარკა ექთანი ვარო. თქვენ ალბათო საქართველოდან იქნებითო.

დიახ, კახელი ვარ-მეთქი.

ჩურჩხელები და ნაზუქები თუ ჩამოიტანეთო.

მე რაღა კახელი ვიქნები, ეგეც თუ არ ჩამომიტანია-მეთქი. თქვენ ოღონდ დალევა შეიძელით და კახური ჭაჭაც ჩემზე იყოს-მეთქი.

გაიცინა ჩანჩქერის სიცილითა.

ვეცი ჩემოდან. თოკები დავაგლიჯე, არ გამექცეს ეს ანგელოზი-მეთქი, სიჩქარისაგან ხელი მიკანკალებს, დავუშვი მაგიდაზე რაც საკბილო-სასუსნავი ჩემოდანში მედო.

ერთი ჩურჩხელა აიღო. ჩაკბიჩა, ჩურჩხელა ძალიან მიყვარსო. ამხედ-დამხედა, რა გაწუხებსო.

მე არაფერი-მეთქი, მოზვერივით ჯანმრთელი ვარ. მამაჩემ ჩამოვყევ, კენჭმა გაურა-მეთქი.

არაუშავს, ეგ წყალი ჯანმრთელსაც უხდებაო. ახლა წავალ და ვახშმის წინ ერთი საათით ადრე დაგალევინებთ წყალსაო.

მაიცა-მეთქი. შე თვალტანმადლიანო, წყალი იქეთ იყოსმეთქი, ცოტა ხანს დარჩი, მანდ სკამზე ჩამოჯექ, ცოტა ხანს კიდევ მაყურებინე შენთვისა-მეთქი.

ეშმაკურად ჩაიცინა.

რა სუ ერთნაირები ხართ ეს ქართველებიო. შენაო, მგონი, მოგეწონე კიდეცაო.

მომეწონე კი არა, ისეთი კარგი ხარ, როგორც რძეშეუმშრალი ბატკანი ანდა გაზაფხულისპირის ნადიკვარზე ამოგორებული მთვარე-მეთქი.

კარგიო, რაკი ეგრე ჩაგვარდნია გულში ჩემი სურვილი, მოვალ და მოგეფერები, ოღონდ ხომ იცი, ახლანდელ გოგოებს საჩუქრები გვიყვარსო. წადი ხვალ უნივერმაღში, ოდეკალონი „კიევსკაია“ მიყიდე და ხვალ ამ დროისთვის დამელოდეო. არ შეგეშინდეს „კიევსკაია“ სულ შვიდი მანეთი ღირსო.

თუნდაც შვიდჯერჩვიდმეტი ღირდეს-მეთქი, შე ქალო, რას მიქვიან „კიევსკაია“, ვიყიდი მა რა ჯანდაბას ვიქმმეთქი.

კარგი, აბა, შევთანხმდითო და კარისკენ წავიდა.

მოიცა-მეთქი, ყელგაშვერილმა მივაძახე, ხომ იცი, აქე-

დან გამქცევი არა ვარ, ოცდაოთხი დღე თქვენი სტუმარ-ტყვე ვარ. რაღა ხვალისთვის გადავდოთ ის, რისი მოხერხებაც დღესვე, აქვე მშვენივრად შეიძლება-მეთქი. რაც შეეხება „კიევსკაიას“, მაგაზე ფიქრი ნუ გექნება-მეთქი.

ცოტა შეყოყმანდა და რომ შევაშველე სიტყვები ბიჯგები აქეთ-იქითა, კარი ჩაკეტა. ფარდა ჩამოუშვა, საწოლზე ჩამოჯდა და გახდა დაიწყო. თანაც გამაფრთხილა, პომადა არ წამჭამო და თმები არ ჩამომიშალო, დახვევას დიდხანს ვუნდები ხოლმეო.

რა თმები, რა პომადა, ეგრე დავჭმუჭნე, როგორც დასათელ-დასარბილებელი ახალი ტიკი.

წასვლისას გაზეთის ნახევზე დიდი ასოებით დამიწერა: „კიევსკაია“.

რაღა ბევრი გავაგრძელო. მეორე დღეს ერთის მაგივრად სამი „კიევსკაია“ დავახვედრე. მერეც ყოველ შემოსვლაზედა თითო „კიევსკაიას“ ვუფეშქაშებდი ხოლმე.

ჩამოსვლიდან მერვე თუ მეცხრე დღეზედ, მამაჩემს კენჭმა ისევ გაუარა. ეგრე სცოდნია ტრუსკავეცის წყალსა, ეგ კარგი ნიშანიაო, ექიმმა, ესე იგი წყალმა იმოქმედაო, ორი დღე იწვა. მერე გამომჯობინდა და ნასაუზმევს ქალაქში გავისეირნოთო შემომთავაზა.

მივაბიჯებთ ტრუსკავეცის ჭრელ, კურორტულ ქუჩაზედა, მე და ჩემი დროული მამა.

უნივერმაგ რო გავუსწორდით, შენაო, აქ ცოტა ხანს მომითმინეო, მამაჩემმა, თელავიდან ადეკოლონის წამოღება დამვიწყნია, სახის კანი გაღიზიანება ვიცი ხოლმე გაპარსვის შემდეგაო.

მე მაქვს-მეთქი ტრაინოი ადეკალონი, შეფიქრიანებით შევხედე. ადეკალონიგულითვინ ამ რიგში ხომ არ ჩადგები, ავადმყოფი კაცი ხარ, შეწუხდები-მეთქი.

არაო, რაღაც ახალი ადეკალონი გამოუგონიათ. მირჩიეს, სახის კან ძალიან არბილებსო. სახელი ამავარდა გულიდან. სადღაც მიწერიაო. ჩაიყო საფისტონე ჯიბეში ხელი და გაზეთის ნახევი გამომიწოდა.

თვალი ჩავკარი, დამცეცხლა. „კიევსკაია“ გარკვევით ეწერა. ლუსიას ხელი მაშინვე ვიცანი.

... ტრუსკავეციდან კარგა ხნის დაბრუნებულები ვართ, ჩვენი რაიკავშირი თავმჯდომარემ დაგვპატიჟა, სიდედრი დღეობა ჰქონდა.

ტრუსკავეცში დავისვენეთ, მამაჩემ ძალიან მოუხდა იქაური წყალი-მეთქი, რას მოვაყოლე აღარ მახსოვს.

რომელ სანატორიუმში იყავითო.

„ხრუსტალნი დვარეცში“-მეთქი.

იქაო, ლუსია თუ ნახეთო.

შიშით გავხედე, მამა-შვილის შერცხვენისა ხომ არაფერი იცის-მეთქი.

ჰო, მგონი, იყო ეგეთი სანიტარკა, ცალყბად ვეუბნები.

„მგონის“ თავი გაანებე. შენ „კიევსკაიას“ უეჭველად გაყიდინებდა ლუსია, არ უნდა ამას ჭიჭინიო – ხითხითებს – თუ იცი, რატომ იღებდა ყველასაგან საჩუქრად მხოლოდ „კიევსკაიას“ ან რად უნდოდა ამდენი „კიევსკაიაო“.

არა-მეთქი, ისე კი მართლა მაინტერესებს. მეც მიფიქრია მაგ საკითხზე.

აბა შენ ყოფილხარო, მთავარი არ გცოდნიაო. ლუსია ყოჩაღი გოგოა და დღეში ამოტოლა სანატორიუმში, მინიმუმ შვიდ-რვა „კიევსკაიას“ დააგროვებსო. თან წესიერი გოგოს სახელი აქვს, ფულს არ იღებსო. დღის ბოლოს ალალი შრომით მოხვეჭილ ყველა „კიევსკაიას“ უკან აბრუნებს უნივერმაღში ხუთ-ხუთ მანეთადო. იმათაც მოგებულს ტოვებს და თვითონ ხომ ორმაგად მოგებული რჩებაო.

ახლაღა მივხვდი. კიდეც ამიტომ იყო, პირველ დღეს „კიევსკაია“ ხომ არა გაქვთ-მეთქი რიხიანად რომ ვიკითხე, გამყიდველი გოგოები აკისკის-აძიგძიგდნენ: „გვაქვს, გვაქვს, კარგი ხალხისთვის ყველაფერს ვიშოვითო“.

მთავარია მიდგომა

კაცს დავალება ისე უნდა მისცე და საქმე ისე უნდა გააკეთებინო, რომ არ ახტეს და არ შემოტრიალდეს. აყვირებული კაცი უმართავია და უმართვობას რაც მოაქვს, მე მგონი ამის ახსნა ჩვენი ახლო წარსულის მაგალითზე არ გაგიჭირდება.

აკადემიაში ერთი პარტკომი გყვავდა, „ამხანაგოს“ გარეშე ენას არ დაასველებდა. ყველა გაურბოდა მასთან საუბარს და ურთიერთობას. ბოლოს ისე მოაბეზრა პარტწევრებს თავი, რომ ბიურო ვერ შეადგინა. ყოველ შემხვედრს ეხვეწებოდა, შემოდი ბიუროში, მეცი პატივიო.

სოსო ბუხაიძემ ჰკითხა, რას ჰქვია ბიუროს წევრობა, რა უნდა გავაკეთო, რა მევალებაო.

– რა და – უხსნის პარტკომი – მე რომ დამიბარებენ რაიკომში და მომცემენ დავალებას, მე შენ მოგცემ დავალებას. მე რომ დამიბარებენ და მეტყვიან, რა ჰქენიო, მე შენ გკითხავ, რა ჰქენი თქვა. მე რომ დამიბარებენ და მეტყვიან: დაუჩქარეო, მე შენ გეტყვი დაუჩქარე-თქვა. მე რომ ამახევენ ყურს, მე შენ აგახენ ყურს. მე თუ მიტირეს ყოფა, არ გეწყინოს და, მე შენ უნდა გიტირო ყოფა – ესაა სულ პარტიული მუშაობა!

შეტრიალდა სოსო და თავპირლეწვით დაეშვა კიბეზე. ბიუროს კი არა, მე მგონი, იმის მერე პარტის კრებასაც არ დასწრებია.

ასეა, მიდგომაა მთავარი კაცთან, თუ მიუდგები, სულის კლიტეს გაუხსნი, შეიძლება მთა აიკიდოს. ერთი პროფკომი გვყავდა. უნივერსიტეტის ორმოცდაათი წლისთავის წინა საიუბილეო დღეებში თავის კაბინეტში მიხმო და ასე დამიწყო:

– აი, რექტორი ჩვენი, ვეკუა, ხომ არაფერია შენი, პირადად?

– ვერ გავიგე, ბატონო სპარტაკ?

– ნათესავად ხომ არ გეკუთვნის ჩვენი რექტორი?

– არა, რაზე ბრძანეთ?

– რა ვიცი, მოგვიყარა თავი გუშღამ და ყველას ერთად გვკითხა: რეზო სადაა, მიშველაძეო. რატომ არ ჩანს აქო.

მაშინ ასპირანტი გახლდით და რექტორატის წევრი კი არა, ასისტენტის ნახევარი შტატის მიღება იყო ჩემი ოცნება.

– რას ქვია, არაო, რექტორმა. ვინ გვყავს მაგაზე უკეთესიო. მაგან უნდა ჩაატაროს მთელი უნივერსიტეტის იუბილეო.

სიხარულისაგან გული შემეკუმშა. რა ხდება? რა ნიჭი აღმოაჩინეს ჩემში ისეთი, რომ „მთელი უნივერსიტეტის“ იუბილეს მე მატარებინებენ?

– მაგან უნდა ჩაატაროს მთელი უნივერსიტეტის იუბილე თელავშიო – დაამატა ბატონმა სპარტაკმა და ცოტა დავმშვიდდი.

– მოხსენება უნდა წავიკითხო თელავში, ბატონო სპარტაკ? – ყოველშემთხვევისთვის ვკითხე.

– არა, მოხსენება ქე დაავალა პროფესორ მახარაძეს. თუ გინდა, შენ წაიკითხე, მარა მე მგონია, გაართმევს თავს მაგი მოხსენებას, შენ რავა ფიქრობ?

- მშვენიერი კანდიდატურაა. ესე იგი მე თანამოხსენებით უნდა გამოვიდე, ხომ?

– თანამომხსენებლობა ზეიკიძეს და ვერძაძეს სთხოვა. უხარიათ იმგენს და, თუ შენ არ იქნები წინააღმდეგი, გამოვიდნენ, რა გენაღვლება. მთავარი, ხომ იცი, შენ ხარ!

– სიტყვა უნდა ვთქვა არა? – ბზარი გამერია ხმაში.

– სიტყვაში კუტალაძე, ბრეგვაძე, ჩიორაძე და მამისთვალოვი გამოვლენ. შენ რატომ იქნები მაგენის წინააღმდეგი. თავის გამოჩენა უნდათ და თქვან პატატვრანი სიტყვები. ისე, მთავარი შენ ხარ. თუ შენ გინდა, მომხსენებელიც შენ იყავი, თანამომხსენებელიც და სიტყვაშიც შენ გამოდი, შე კაცო!

– მივხვდი. შესავალი სიტყვით უნდა გავხსნა საღამო – ხავსს ჩავებღაუჭე.

– გახსნით იქაური რექტორი გახსნის, ასე ყოფილა წესი, მე კი არ ვიცოდი. მთავარი შენ ხარ, შენს კისერზეა ყველაფერი. რექტორმა თქვა ვინ გვყავს მაგისთანა ნიჭიერიო.

– რა უნდა გავაკეთო, რა მევალება – ცრემლგამშრალმა ვიკითხე.

– რა და რა იციან იმგენმა დაბნეული ხალხია, მთავარი შენ ხარ. ეგება, ისიც ქე დაავიწყდეთ, ფარდა რომ დროზე უნდა გეიხსნას. ეგება, წესიერი მაუდიც ვერ გადააფარონ მაგიდას. „ბორჯომი“ რომ უნდა იდგეს სამ-ოთხ ადგილას და ყვავილები უნდა იყოს ვაზაში, ყველამ კი არ იცის. შენზე თქვა რექტორმა, მაგან უნდა უხელმძღვანელოს ყველაფერსო, ვინ გვყავს მაგისთანა ნიჭიერიო. მე მგონია პრორექტორად გიპირობს გაზრდას!

როგორც იქნა მივხვდი; რექტორი არაფერ შუაში იყო; ხელის ბიჭად, ტექნიკურ მოსამსახურედ მგზავნიდა პროფკომი თელავში უნივერსიტეტის იუბილეზე.

წავედი და დიდი სიამოვნებითაც.

არაბია

ერთი მეზობელი მყავს, ადრე ბიუროს წევრი იყო, და რასაკვირველია პრეზიდიუმის მუდმივი ბინადარი. პრეზიდიუმში ჯდომა ისე აქვს გამჯდარი ძვალ-რბილში, რომ თუ სადმე შეკრებაზე დაუძახეს, მივა და პრეზიდიუმში გამოიჭიმება. არის მერე კითხვა და მითქმა-მოთქმა: ეტყობა ძველი დრო ბრუნდება, ჩანს ბუხუტი ისევ დაჭირდათ და მაღლა წაიყვანესო.

ბაბუაჩემს მარტვილში ერთი ცხენი ჰყავდა. არაბია ერქვა. მშვენიერი, თვინიერი ცხენი იყო. ბავშვობისას იმ ცხენზე ვისწავლე ჯირითობა-მხედრობა. მერე დაბერდა საწყალი და ბაბუაჩემმა თემსაბჭოს მიჰყიდა. ჩვენს სოფელში სასაფლაო მაღლა მთაზეა (ეკლესიასთან რ. მ.). იქ მაცვალებულის ატანა ჭირს, ამიტომ ცხენს შებმული მარხილით მიაქვს ცხედარი. ჩვენი ბებერი არაბია ბალდახინად გამოიყენა თემსაბჭომ. სხვა მხრივ, როგორც ვალმოხდილი ცხენი, დღიური შრომისგან თავისუფალი იყო. ება თემსაბჭოს ეზოში და თვლემდა.

მიაქვს არაბიას ცხედარი სასაფლაოსკენ. გაუსწორდება ჩვენს ჭიშკარს თუ არა, გვერდზე მიუხედავად, უეცრად მოღრიცავს კისერს და შემოგრიალდება. მოსდევს ჭირისუფალი, არის ერთი წივილ-კივილი.

ახლაც ყურში ჩამესმის ბებიაჩემის ყვირილი: რეზო, გოგია, აქვსენტი! ხომ გითხარით, ჭიშკარს ნუ ტოვებთ-თქვა! გამოშავდით გარეთ! არაბიამ კიდო მეიტანა მკვდარი!

ჭეშმარიტად სახალხო

არსებობს საქართველოში ჭეშმარიტად სახალხო ექიმი, აკადემიკოსი ფრიდონ თოდუა.

მან საზღვარგარეთ განსწავლულმა და მსოფლიოს არაერთ უმაღლეს სამედიცინო დაწესებულებაში პრაქტიკა-მიღებულმა, მსოფლიოს სამედიცინო წრეებში აღიარებულმა პროფესიონალმა, კომუნისტური ტირანიის დამხობის მეორე დღესვე მოაშურა თავის სამშობლოს.

ჩამოვიდა და თან ჩამოიტანა მეცნიერების უკანასკნელი მიღწევების დონეზე შექმნილი უნიკალური სამედიცინო-კომპიუტერული ტექნიკა.

ჩამოიტანა და შიშველი ენთუზიაზმით, საკუთარი ხელით და სახსრებით დაამონტაჟა თბილისში.

მე, რომელსაც ბედმა მარგუნა სიყრმიდანვე მემეგობრა ფრიდონ თოდუასთან, ვაღიარებ, რომ ბევრჯერ თავიც კი მოვაბეზრე ჩემი გაუთავებელი თხოვნა-ვიზიტებით.

რაკი მწერალთა და მეცნიერთა ამქრის მესვეური გახლავართ და ფრიდონთან ჩემი ახლობლობაც იციან კოლეგებმა, თუ ვინმეს ფრჩხილი წამოტკივდება, მე მომადგება; აბა, რეზო, მიშუამდგომლე ფრიდონთანო.

ბატონ ფრიდონთან ჩემი შუამდგომლობა კი მთავრდება პაციენტის გულდასმითი, ხანგრძლივი გამოკვლევით, უზუსტესი დიაგნოზის დასმით და ძვირფასი მედიკამენტების უფასოდ გადაცემით.

ამას ყველაფერს ისე უანგაროდ, უბრალოდ, სხვათა შო-

რის აკეთებს, სირცხვილით გაწითებულს მადლობასაც არ დაგაცლის – რას ამბობ, სამადლობელი რაა, კომპიუტერი საქმიანობს, მე მხოლოდ თვალს ვადევნებ, რაც შეეხება წამლებს – ჰუმანიტარული დახმარებააო.

არა და მე ხომ ვიცი, რომ „ჰუმანიტარული დახმარებიდან“ კი არ ღებულობს, ხშირად თავისი ჯიბის ფულით ყიდულობს წამალს, რომ ავადმყოფს ხვედრი შეუმსუბუქოს.

მოგეხსენებათ უკანასკნელ ორ ათწლეულში საბაზრო ეკონომიკამ რა დღეში ჩააგდო ყველა ფენა საერთოდ და განსაკუთრებით სამეცნიერო თუ მხატვრული ინტელიგენცია.

ზოგჯერ ისეთი გარემოება იქმნება, რომ უფასოდ საკუთარ მამიდაშვილსაც ვერ უმკურნალებ.

სახელმწიფოს დიდი პირი აქვს და შენს საქველმოქმედო შემართებას, შენს თურმანიძე-გომართელობას არად დაგიდევს.

არა და ვინ მისცა მწერალს და მეცნიერს ძვირადღირებული მკურნალობის ფული.

მადლობა ღმერთს, ამ დროს გამოჩნდებიან ხოლმე ჩვენს ერში ჭეშმარიტი მამულიშვილები და მეცენატები.

მათ შორის ერთ-ერთი უპირველესი ფრიდონ თოდუაა.

იგი ზოგჯერ „კანონს არღვევს“, მაგრამ ეს კეთილშობილური დარღვევაა; უანგაროდ, უფასოდ ემსახურება ხალხს.

ფრიდონ თოდუა რომ არა, რამდენი უილაჯო, სასოწარკვეთილი ერისკაცი ვერ განიკურნებოდა, რამდენს ჩაყვებოდა საფლავში ვერდაფასების, უმადურობის გულისტკივილი.

რომელი ერთი გავიხსენო.

სხვადასხვა დროს ფრიდონთან მყავდა ჩემი უახლოესი მეგობრები შოთა ნიშნიანიძე და ლევან სანიკიძე. ჩვენ ხომ

ექიმს მხოლოდ მაშინ მივმართავთ ხოლმე, როცა ტკივილი აუტანელი ხდება და როცა, განსაკუთრებით იმ ვერაგი სენის შემთხვევაში შოთას და ლევანს რომ აწუხებდათ, უკვე ყველაფერი დაგვიანებულია.

შესწავლილი მაქვს, ხუთი თითივით ვიცი ფრიდონის სახის გამომეტყველება, როცა ანალიზის შედეგებს, ან კომპიუტერის გამოსახულებას გულდასმით ათვალიერებს.

ყელშიცრემლმოწოლილი რა დიდი ოსტატობით ახერხებს იგი შინაგანი მღელვარების დაფარვას.

ცდილობს გაიღიმოს, პაციენტი დაამშვიდოს, აქაოდა, საშიში არაფერიაო.

მე ყველაფერს ვხვდები. ცალკე დარჩენა და ახსნა-განმარტება თითქმის არ მჭირდება.

შენ ხომ ამ დღეში გაგდებ, ყველაზე მეტად მე ვიტანჯები-მეთქი, ერთხელ ვუთხარი, როგორი საქმეა შენთან ვიზიტის შემდეგ მთელი ნახევარი წლის განმავლობაში, ვითვალთმაქცო, და შევღიმილო ყასიდად, ავი სენისგან განწირულ კაცს-მეთქი.

რას იზამ, რეზო, ასეთია ცხოვრება. მეგობრობის ფილოსოფიაც ასეთია, ჩვენ ჩვენი ჭაპანი ბოლომდე უნდა ვზიდოთო.

ასეთია იგი „ყველას პატრონი“ ფრიდონ თოდუა.

აკადემიის ვიცე-პრეზიდენტად არჩევამ თავის მთავარ საქმეს როდი მოწყვიტა.

უმეტეს დროს მაინც თავის კლინიკაში ატარებს.

შენი იმედი ნუ მოგვიშალოს მაღალმა ღმერთმა, ყელამდე მართალო კაცო, ჩემო ფრიდონ.

მშვიდი დარჩა ვინმე?

დაღამებისას პროჟექტორები მიანათეს ტრიბუნას და შიომ მაღლა, ტერასებისკენ გაიკვლია გზა, რათა მოქადაგეთა სახეები ახლა მაინც დაენახა.

აქამდე ირგვლივ ჯგუფებად მდგომთა სახე-ზურგებს ხედავდა მხოლოდ და მიკროფონის გასკდომამდე ხრიალის გარდა საკუთარი ტაშის ხმა და მემიტინგეთა შეძახილები ჩაესმოდა.

ყინავდა, მაგრამ ფეხს არავინ იცვლიდა. იპოდრომის ორივე კარიდან უწყვეტ ნაკადად მოედინებოდნენ. შემოსასვლელთან და ზედა გზაზე ფანჯრებგაუმჭვირვალე ავტობუსები იდგნენ. ავტობუსების წინ უიარაღო მილიციელები გამწკრივებულიყვნენ. მილიციელებს, რატომღაც, მოღლილი და მოწყენილი სახეები ჰქონდათ.

შიოს მაღლა ასვლისას ფეხი დაუცდა და ფიჭვს რომ არ მოჭიდებოდა, ქვემოთ მდგარ სამ გრძელპლაშიან ყმაწვილს კარებამდე ჩაიტანდა. ბიჭებს მისი დაცურება არც შეუმჩნევიათ. კისერწაწვდილნი ფეხისწვერებზე იწეოდნენ, თითქოს ვიღაცას ეძებენო.

ყურებზე რიდეაკრულმა კაცმა ხელი შეაშველა და იასამნის ბუჩქთან ბოლო რიგის კუთხეში შიომ ფეხზე დასადგომი ადგილიც იშოვა.

აქედან ყველაფერი ხელისგულივით ჩანდა.

საათს დახედა. მესამე საათი იწურებოდა, რაც მიტინგი დაიწყო და ორმოცი ათასი კაცი ლამის სუნთქვაშეკრული უსმენდა გამომსვლელთ.

შიო პირველად მოხვდა იმგვარ შეკრებაზე, სადაც აშკარად ჩანდა, რომ ყველაფერი წინასწარდაგეგმილი არ იყო. და თვით ტრიბუნაზე მდგომნიც ვეღარ ახერხებდნენ უზარმაზარი სახალხო ყრილობის კალაპოტში ჩაყენებას.

პირველი ხუთი-ექვსი გამოსვლა წესრიგიანად, გამოცხადება-წარდგენით, აუჩქარებლად, შეიძლება ითქვას, მიტინგისათვის შეუფერებელი სიდარბაისლით ჩატარდა.

არავინ ცდილობდა ლამაზსიტყვაობით ეკეკლუცა, ან ყოჩაღი, გაბედული ბიჭობით მოეწონებინა თავი მსმენელთათვის. შიოს აქამდე რაც მიტინგები ენახა, სულ სხვა ქვეყნების გასაჭირზე იჭაჭებოდნენ ორატორები. ხან დემოკრატი ბერძენი ჟურნალისტის ბედზე წუხდნენ, ხან ჩილელ პატრიოტებს უთანაგრძნობდნენ, ხან პიროვნების თავისუფლებისათვის მებრძოლი ამერიკელი ქალის დაპატიმრების გამო გამოთქვამდნენ პროტესტს. დღეს კი, დღეს, 1988 წლის 12 ნოემბერს მთავრობისთვის ნებართვაგამოგლეჯილ ამ უზარმაზარ მიტინგზე პირველად შიოს მახსოვრობაში საქართველოს გასაჭირზე იყო საუბარი. შუახანსმიღწეული ჟურნალისტი გაოცებული იყო. შემკრთალი იხედებოდა აქეთ-იქით და უკვირდა მიკროფონის ირგვლივ შემოჯარულთ თოფს რომ არავინ ესროდა, ან ცივ ჰაერს რომ არ კვეთდა წესრიგის დამცველთა გამყინავი შეძახილი – დაუყოვნებლივ დატოვეთ იპოდრომის ტერიტორია!

„ბატონებო, მეგობრებო, ქართველებო, მოქალაქენო“, ყველანაირი მიმართვა გაისმოდა გამომსვლელთა პირიდან გარდა იმ ერთისა, რომელიც სამოცდაათზე მეტი წლის განმავლობაში საოცრად გაცვდა მორიგი თათბირ-კონფერენციების კათედრებიდან და სიცივის, არაგულწრფელობის, ოფიციალური დამოკიდებულების ნიუანსი შეიძინა – „ამხანაგო!“

რაზე საუბრობდნენ მოქადაგენი? უჭირსო საქართველოს. უცხო თესლი მოგვიმრავლდა, ფრთებს ისხამსო საქართველოს დემოგრაფიული დაპყრობის ავბედითი გეგმა, პრესიდან უსამართლოდ თავს გვესხმიანო „უფროსი ძმები“ და შეპასუხების უფლებასაც არ გვაძლევენო. საქართველო სუფრა-რესპუბლიკად და მეწველ ფურად გადაიქცაო. დაგვღუპავსო უნაპირო, მოუზომავი ინტერნაციონალიზმი. ხალხს ატყუებსო არაერთი დიდი და პატარა გაიძვერა. აღარ გვჯერაო ყალბი დაპირებების. სასწრაფოდ შეჩერდესო საქართველოში ერთა შერწყმა-გათქვეფის საბჭოური ექსპერიმენტი, ილია ჭავჭავაძის სამშობლოს თავზე მშვიდობიანი განადგურების შავი ღრუბელი გროვდებაო. დროა, თავს ვუშველოთ, ბატონებო.

რა გაბრწყინებული, შიგნიდან განათებული სახეები ჰქონდათ ქადაგებს. ერთბაშად ჩამოეგლიჯა მათთვის ვითარებას ის იარლიყები, დემაგოგებად, კარიერისტებად, შიზოფრენიით დაავადებულებად, უცხოეთის პროპაგანდისთვის სულმიყიდულებად რომ აცხადებდნენ ბოლო თვეების განმავლობაში გაზეთები, რათა სახელი გაეტეხათ ერის ქომაგთათვის. პროჟექტორმინათებულ ტრიბუნაზე ყველანი წმინდანებად ჩანდნენ.

ნერვიულობა ეტყობოდათ ხმაში. თითქოსდა ჩაჰყვიროდნენ მიკროფონს. თითქოსდა ყველაფრის თქმა ერთბაშად სურდათ მოესწროთ. შიში იგრძნობოდა, შიში იმისა, რომ ეს-ესაა ვიღაცის ღონიერი ხელი მიწვდებოდა მიკროფონს და პირში შეატოვებდა უთქმელ სიტყვას ქადაგების ექსტაზში შესულს.

თავისებური სიმძაფრე შეჰქონდა მიტინგის მსვლელობაში იმ სიტყვებსაც, ორგანიზატორთა შორის ტრიბუნაზე რომ გაისმოდა მას შემდეგ, რაც მორიგი მოკამათე სიტყვას

დაასრულებდა. მიტინგზე კულისები არ არსებობს. მიკროფონში „სამუშაო“ ლაპარაკი ისმოდა:

– ახლა შენ თქვი!

– შენა, ხუდონჰესი არ დაგავიწყდეს!

– პასუხი ახლავე მოგვეცით-თქო!

– მოიცა. რას აცხადებ?!

– არ დაიშალოთ, სანამ მთავრობის წევრი არ გამოვათქო!

– ასე უცებ რა უნდა გადაწყვიტონ!

– ისეთი რამეც არ უნდა მოვთხოვოთ, რაც მაგათ არ შეუძლიათ.

– მოიცათ. ყველანი ხომ ვერ ვილაპარაკებთ. არაბულს, არაბულის მამას უხმეთ!

– კონკრეტულები, კონკრეტულები უნდა ვიყოთ!

– მოიცათ, მოიცათ, ნუ აწვებით, მოკლედ მოჭერი, თუ ძმა ხარ. ლიტველი, ლიტველი გამოუშვით. ამის შემდეგ ლიტველს მივცემ სიტყვას!

სიტყვები მაინც სიტყვებია და შიოს მიკროფონთან მყოფთა გაბედულებაზე უფრო მეტად სხვა რამ ხიბლავდა:

ჩემს რედაქტორს ოცდახუთი კაცი ვერ შევუკრებივართ ერთად სამსახურში კრების ჩასატარებლად და ეს ორმოცი ათასი კაცი ასე ერთბაშად, ერთსუნთქვად, ერთფიქრად რამ შეჰყარაო იპოდრომზე ამ სიცივეში. ჩანს, მოქადაგეთა წუხილი მართლაც რომ საერთო წუხილია, თორემ სეირის საყურებლად მოსულის არაფერი ეტყობაო ამ ხალხს.

ყინვა ძვალ-რბილში ატანდა. შიოს ფეხის თითები წაჰყინა და ადგილზე ხტუნვა დაიწყო: იქნებ ცოტა მაინც გავხურდეო.

მიტინგი, რომ იტყვიან, სიჩქარეს იღებდა. კითხულნი უფრო და უფრო გაბედულად მოითხოვდნენ თავისუფალ,

პოლიტიკურ-ეკონომიურად დამოუკიდებელ, ეროვნულად სუფთა საქართველოს. და შიოს უფრო და უფრო სჯეროდა, რომ ამ მოთხოვნაში გაუგონარი და უცნაური არა იყო რა.

ცოტა ხნის შემდეგ ერთმა სურათმა გაიტაცა და არა მარტო სიცივე გადაავიწყდა, მიკროფონის ხმაც აღარ ესმოდა.

რა სურათი იყო ასეთი? რას დაადგა თვალი შიომ?

ტრიბუნის ირგვლივ შემოჯარულ და მაღლა, ფიცარნაგზე მდგარ ახალგაზრდებს ხელთ ქართული დროშები ეჭირათ და ისე თავისუფლად, ლამაზად იდგნენ, თითქოსდა, რაც ირგვლივ ხდებოდა, მათ სრულიადაც არ ეხებოდათ.

იდგნენ პირტიტველანი, ლამაზები, შიშის ნატამალიც არ ჩანდა მათს გამოხედვაში. საოცარი სიმშვიდე დაუფლებოდა მათ სახეებს. დროშებს და საქართველოს თავისუფლებისათვის ბრძოლაში დაცემულთა პორტრეტებს იქეთ-აქეთ არწევდნენ და ზამთრისპირის კრიალა, გვერდაწითლებული ღრუბლებით მოოჭვილ ცას ასცქეროდნენ.

რა მშვიდად არიანო, ცრემლი მიაწვა თვალებში შიოს.

იდგნენ ყმაწვილები პროჟექტორებით აბრდღვიალებულ ფიცარნაგზე, იდგნენ, როგორც სამიზნეზე და შიომ საბოლოოდ ირწმუნა, რომ ყველა ყველა და ხვალინდელი საქართველოს ჯიუტი მზერის მოთოკვა უკვე არავითარ ძალას აღარ შეეძლო.

რაზე გაეცინებათ ოცდამეხუთე საუკუნეში

დიდხანს ეგრეთ წოდებულ „გადმონაშთებს“ დავცინოდით, მერე, როცა გაირკვა, რომ რასაც დავცინოდით, გადმონაშთები სრულიადაც არ იყო, გარდაქმნა გამოვიგონეთ და დავუწყეთ დაცინვა იმათ, ვინც გარდაქმნას არ ემხრობოდა. ამ გაქანებულ საზოგადოებას რომ ვუცქერი, შიში მიპყრობს, მეჩვენება, აგერ-აგერ დაიძახებენ-მეთქი „კანჩაი დემოკრატიუ!“ და ისევ იმ მწყობრში ჩაგვაყენებენ, როცა თავის აწევა და ირგვლივ მიმოხედვა კარგ ტონად არ ითვლებოდა, წინამავლის ფეხის ქუსლებისთვის უნდა გეცქირა. მერე, ალბათ, ღმერთმა ნუ ქნას და, იმათ დავუწყებთ დაცინვას, ვინც გარდაქმნისთვის ნამეტანი გამოიდო თავი. ასეა, დედამიწა, ეს დალოცვილი, ჯერ კიდევ ბრუნავს და თავის უცნაურ მშვენიერებებს გვთავაზობს.

ჩვენ ჩვენი გასაჭირი კარგა ხანს შეგვრჩება. სანამ საბოლოოდ ავიღებდეთ ხელს, სოციალიზმის სამ-ოთხ ვარიანტს კიდევ ავაშენებთ, მერე ან ვირის, ან პატრონის ანდაზისა არ იყოს, სხვა რამ გამოჩნდება, კაცობრიობას სხვა იდეალი გაიტაცებს. ადამიანი ისეთი მოუსვენარი არსებაა, მცდარი შეხედულებებისა და ხორცშეუსხმელი თეორიების გარეშე არსებობა არ შეუძლია.

მოდით, ოცნებით მაინც გავცდეთ ამ გარდამავალ, სამუშაო ოთხ-ხუთ ასწლეულს და ოცდამეხუთე საუკუნეს მივუკაკუნოთ.

როგორ გაეცინებათ ოცდამეხუთე საუკუნეში, როცა გაიგებენ, რომ სამოცდაათი წელი მსოფლიოს ვატყუებდით,

პიროვნების თავისუფლების კლასიკური ქვეყანა ვართო და, როცა მართლა მოვინდომეთ პიროვნების განთავისუფლება, საოცარმა დაბნეულობამ დაგვრია ხელი, ადამიანები დიდხანს ეკითხებოდნენ ერთმანეთს – საჯაროობა და გულახდილობაა ნაბრძანები და როგორ მოვიქცეთ, თუ იცითო.

როგორ გაეცინებათ ოცდამეხუთე საუკუნეში, როცა შეიტყობენ, რომ გულახდილობის და საჯაროობის პრაქტიკული მეცადინეობების ჩატარება ისევ იმათ მიანდეს, ვისაც დესპოტიზმის და დათრგუნვის ცხრაკლიტულთა გასაღებები ედო ჯიბეში.

როგორ გაეცინებათ ოცდამეხუთე საუკუნეში, როცა შეიტყობენ, რომ ჩვენთან მოყვასისთვის ყურზე არ კბენა და ახლო მეგობრის არდასმენა გმირობასთან იყო გატოლებული და სერიოზულად დაგვჭირდა კანონით საზოგადოების გაფრთხილება, ნუღარ გაირჯებით, ანონიმურ წერილებს აღარ წავიკითხავთო.

როგორ გაეცინებათ ოცდამეხუთე საუკუნეში, როცა შეიტყობენ, რომ უდანაშაულო ერთა და ეროვნებათა გათქვეფა-შერწყმა-შეერთება პროგრამით დავისახეთ მიზნად და ათეული წლების განმავლობაში ამაოდ ვცდილობდით მცირე ერთათვის გამოტანილი ეს სასჯელი სისრულეში მოგვეყვანა.

როგორ გაეცინებათ ოცდამეხუთე საუკუნეში, როცა შეიტყობენ, რომ მეცნიერის მიერ დაცული დისერტაცია და ალპინისტის მიერ აღებული მწვერვალი დისერტაციად და მწვერვალად არ ითვლებოდა, თუ მას მეორიათასე კილომეტრზე, დედაქალაქში არ დაამტკიცებდნენ.

როგორ გაეცინებათ ოცდამეხუთე საუკუნეში, როცა გაიგებენ, რომ ჩვენი ქვეყანა ორადაა გაყოფილი: ტელევიზორში გამოსაჩენ – დაბანილგოჭებიან, სავსე ვიტრინებიან და კმაყოფილი სახის ადამიანებიან ქვეყნად და გამსრეს სა-

ბაზრო ფასებიან, ძნელადსაშოვნ კონსერვებიან და მხოლოდ სიზმარში გამოცხადებულ ხიზილალიან ქვეყნად, სადაც შეიძლება შიმშილით აღმოგხდეს სული, თუ შინ სპეცმაღაზიაზე მიწერილი ომის ვეტერანი არა გყავს.

როგორ გაეცინებათ ოცდამეხუთე საუკუნეში, როცა შეიტყობენ, რომ ჩვენს სხდომებსა და თათბირებზე კარგა ხანია მოვხსენით მსოფლიო ლაყბობის ყველა რეკორდი და ერთმანეთთან ცა და მიწასავით დაშორებული უსაქმო გამოსვლების თანმიმდევრობას სიყვარულით „კამათს“ ვეძახით.

როგორ გაეცინებათ ოცდამეხუთე საუკუნეში, როცა გაიგებენ, რომ წინამძღოლად ამორჩეულ კაცს იმ რაიონს ავარჩევინებდით, სადაც იმ ასარჩევ პიროვნებას არათუ არავინ იცნობდა, იქ ექსკურსიაზეც კი არ იყო ნამყოფი, და მერე აღტაცებულნი გავყვიროდით, რა ბედნიერი ვართ, რომ დაგვთანხმდა, ჩვენს ოლქში კენჭისყრაზეო.

როგორ გაეცინებათ ოცდამეხუთე საუკუნეში, როცა გაიგებენ, რომ ერთმა ყმაწვილმა სპორტული თვითმფრინავი ქვეყნის მთავარ მოედანზე დასვა და როცა გაბადრული სახით ჩამოაბიჯა რკინის ფრინველის კიბეზე (ეგონა სიყოჩაღეს შემიქებენო), ვსტაცეთ ხელი და ციხეში ჩავსვით.

ცხოვრება

ვუძღვნი ანიკო ვაჩნაძესა და
ლადო ასათიანს

სოფელში რომ ყველაფერი ჩამოგვართვეს, თბილისს შევეხიზნეთ. გურჯაანის რაიონის სოფელი კოლაგი გახლავთ ჩვენი სოფელი. გვარი ჩვენი, ვაჩნაძეებისა, ძველი თავადების გვარია, მოგეხსენებათ, თბილისში ერთი ოთახი გვქონდა ალექსანდრე ჭავჭავაძის ქუჩაზე. კარგა მოზრდილი, ორმოცმეტრიანი ოთახი იყო. ვცხოვრობდით შიგა მე, დედაჩემი და მამაჩემი, მამა ქალაქს გულს ვერ უდებდა. ხშირად სოფელს აკითხავდა. გარს უვლიდა წართმეულ მამულ-სახლეულს. ბოლმას გულში იკლავდა, რა მეტი გზა ჰქონდა, იქვე რჩებოდა კვირაობით. ჩვენს ეზო გარემოში მოთარეშე კოლწევრებს თავს დასტრიალებდა, ე მანდ ჩემი გაგეგმილი ბაღ-ვენახი არ გამიფუჭონო. თითქოსდა, კიდე ჰქონდა იმედი, რომ წართმეულს დაიბრუნებდა.

მე მწერალთა კავშირში, საუდში ვმუშაობდი, თან ეკონომიური ინსტიტუტის თბილისის ფილიალში ვსწავლობდი. სანამ ახლანდელი ტექნიკის ინსტიტუტი გაიხსნებოდა, მოსკოვის ფილიალი ერქვა. ტექნიკოსებს ამზადებდა. სწავლა თბილისში გვქონდა. მხოლოდ დიპლომი გვეძლეოდა მოსკოვის სახელითა. საუდი ხომ იცი, რაც არის, საავტორო უფლებათა დაცვის განყოფილება, მაშინ მწერალთა კავშირის შენობაში იყო, პირველ სართულზე, მარჯვნივ, ბოლოს შოთა ნიშნიანიძე რომ იჯდა, იქა. ოცი წლის გოგო მივედი მწერალთა კავშირში და გათხოვების შემდეგაც კარგა ხანს ვიმუშავე, დაქვრივების მერეც იქ ვიყავ. ერთიანად, არ

ვიცი, ცამეტი თუ თხუთმეტი წელი დავყავ საუდში. ადრე საუდის დირექტორი შალვა დადიანი იყო. მერე ბევრი დირექტორი გამოიცვალა, მაგრამ ჩემს იქ ყოფნაში შალვასთანა გულისხმიერი და ყურადღებიანი არავინ ყოფილა.

ერთი სიტყვით. გასათხოვარი გოგო ვიყავ საუდში და, როგორც ამბობენ, შესახედავადაც არა მიშავდა რა. ვაჩნაძეობას ახლა აქვს პატივი და სილამაზე, თორემ მაშინა მძიმე ტვირთი უფრო იყო, ვიდრე ღირსება. გათხოვებაში თავადიშვილობა თუ ხელს შეგიშლიდა, თორემ შველით ვერაფერს გიშველიდა. პირიქით, გვერიდებოდნენ, თქვენთვის გასაგები მიზეზების გამო, თავადის გვარისაა და, ე, მანდ ხიფათს რასმე არ გადაგვყაროსო. განსაკუთრებით ოცდაოთხი წლის შემდეგ კომუნისტებს თავადაზნაურების ხსენება არ უნდოდათ. არისტოკრატული გვარების დამცირება-შევიწროების მორიგი კომპანია რომ გაიმართებოდა გაზეთში, შალვა დადიანი თავისთან მიხმობდა და მწარე ღიმილით მეტყოდა: გლახათაა, ანიკო, ჩვენი საქმეო. ახლა მიკვირს, შალვა როგორ გადარჩა, რომ არაფერი უქიმანეს, არადა პირში მთქმელი კაცი იყო, ირონიის დიდი გრძნობა ჰქონდა.

ათას ცხრაას ოცდაცხრამეტი წელია, მგონი სექტემბერი იყო. არც ისე პატარა ვიყავ, ოცდაოთხი შემისრულდა. რომ იტყვიან, უფრო მაშინდელი გაგებით, შინაბერობის კანდიდატთა სიაში ვეწერე. ჩვენი გაუბედურებული ცხოვრების გამო გათხოვებაზე არც კი ვფიქრობდი, უფრო სწორად, ვფიქრობდი, მაგრამ გულზე არვინ მეხატებოდა, ყურადღებით და, მგონი მთხოვნელებითაც განებივრებული გოგო კი ვიყავ, რაც მართალი მართალია, განსაკუთრებით მწერლებისგანა. ვინ ლექსებს მიძღვნიდა, ვინ გულზე ხელს იცემდა; უშენოდ თავს მოვიკლავო. ხომ იცი, მწერლების ამ-

ბავი, მაგრამ გულთან არაფერი მიმქონდა. იმათ ნათქვამს სერიოზულად არ ვეკიდებოდი.

ჰოდა, სექტემბერში შიკრიკმა წერილი შემომიტანა. დავხედე, არც კონვერტში იდო, არც საფოსტო მარკა ჰქონდა, ასეთ წერილებს ხშირად ვღებულობდი და რა დაგიმალო, ბევრის ხელსაც ვცნობდი. მაშინ სიყვარულის ახსნა, ძირითადად, წერილითა ხდებოდა. წერილს გამოგიგზავნიდა და მადლობელი უნდა დარჩენილიყავ, თუ ხელს მოაწერდა გამომგზავნი, თუ არა და, თავი უნდა გემტვრია, ვინ იყო შენზე ასე უღმერთოდ შეყვარებული.

წავიკითხე, როგორც ველოდი, მორიგი სასიყვარულო ბარათი იყო, ვიღაც მეფიცებოდა, უშენოდ სიცოცხლე აღარ შემიძლიაო. თანაც სიყვარულის მოკლე ახსნისათვის, ალბათ, მეტი დამაჯერებლობის მისაცემად ლექსიც მოეყოლებინა, რომ იცოდე, როგორ ვნანობ, რომ ის ლექსი არ შემრჩა, სადღაც დავკარგე. ზოგჯერ, რასაც ყველაზე სათუთად ინახავ, ის დაგეკარგება ხოლმე. შეინახავ სადმე, ყველაზე საიმედო ადგილას, აქაოდა, სხვამ არ მიაგნოსო, მერე მიგრჩება, დაგავიწყდება და გაგებნევა ხოლმე.

ამგვარ ბარათებს, როგორც წესი, არავის ვაკითხებდი, ვხევდი და ბუხარს შევუნთებდი. მაგრამ ამ წერილმა, ესეც ბედია, რატომღაც მიმიზიდა. არ ვიცი, მოკლე, უცერემონიო სიტყვებმა ჩამაფიქრა, თუ ლექსი მომეწონა. თანაც უცნობი ხელი იყო. ვდგავარ წერილით ხელში მწერალთა კავშირის დიდ სარკესთან, კიბე რევაზ მარგიანმა და ჟაკი ბალახაშვილმა ამოიარეს. ორივენი ახალწვერა, უცოლო ბიჭები იყვნენ და ჩემთანაც, რასაკვირველია, შეხუმრებულ-შეთამამებული. არც ვაციე და არც ვაცხელე, ეს თქვენი ნამაიმუნარი ხომ არ არის-მეთქი.

დახედეს წერილს, მერე ერთმანეთს გადახედეს სერიო-

ზულად და მხრები აიჩეჩეს. ჟაკიმ, ერთი დღით გვათხოვე ეს წერილი და ჩვენ დაგიდგენთ ავტორსო. ეჭვი გვაქვს ერთზე, შეიძლება იმისი დაწერილიაო. აბა, თქვენ იცით, ეს ბარათიც თქვენთვის მიჩუქნია, თუ გამოიცანით, პასუხიც თქვენ გაეცით; ვისაც იმის გაბედულება არა აქვს, რომ პირდაპირ მითხრას და წერილის უკან იმალება, ანიკო ვაჩნაძე იმგვარ „ვაჟკაცს“ თავის გულს არ მისცემსო-მეთქი.

მეორე დღეს არაფერი და მესამე დღეს მოვიდნენ ორივენი. იცინიან, ხითხითებენ და მათებურადა, ანიკოო, რეზომ, აღმოვაჩინეთ შენი ავთანდილიო. ქუთაისიდან ჩამოსული პოეტიაო, ძალიან კარგი ბიჭი – ლადო ასათიანი „ნორჩი ლენინელის“ რედაქციაში მუშაობს, შეიძლება ნანახიც გყავს, ხშირად ჩვენთან დგასო.

მე, რასაკვირველია, არაფერი შევიმჩნიე. ვითომც აინუნშიაც არ ჩავაგდე ჩემზე შეყვარებული ქუთაისელი პოეტის არსებობა. ისე კი, გულში, რა კითხვა უნდა, გავიფიქრე, ნეტა რომელია-მეთქი. ბიჭებს წერილი გამოვართვი და ჩემს პატარა, სატკაპუნო „პორტმანში“ ჩავკუჭე.

იმ დღის შემდეგ „ნორჩი ლენინელის“ წინ რომ ჩავივლიდი, სულ მაღლა ვიხედებოდი. აივანზე ბიჭები იდგნენ ხოლმე და ალბათ, ერთ-ერთი მათგანია-მეთქი. „ნორჩი ლენინელი“ მაშინ ოპერის წინ იყო, ახლანდელი წიგნის მაღაზიის თავზე. ერთხელ, ვიღაც მაღალმა, ქერა ბიჭმა გამოაღო კარი და წინ გადამირბინა, ჩვენი თვალები ერთმანეთს შეხვდნენ. ახლაც თვალწინ მიდგას, წყლიანი, ფართო თაფლისფერი თვალები ჰქონდა. თითქოს რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ ისე მკაცრი სახით მივდიოდი, ჩანს, შეეშინდა და გადაიფიქრა.

მეორე დღეს ნიკა აგიაშვილი მოვიდა საუდში. გარეთ გამიხმო. კიბის თავზე სწორედ ის მაღალი ბიჭი იდგა. ახლა თვითონაც ვხვდებოდი, რომ ეგ იყო ლადო ასათიანი, მაგ-

რამ იმის ჩიტი ვიყავ, შამემჩნია? ნიკამაც, თითქოს სხვა რამ აინტერესებდა, მიმიკიბ-მომიკიბა რაღაც; ჰონორარების მომატების ხომ არა ისმის რაო, მწერლები გაჭირვებულად ცხოვრობენო. მერე ლადოს შეეხმიანა, მოდი ახლოს, შე კაცო, რა განზე გამდგარხარო, მე და ანიკოს საიდუმლო არაფერი გვაქვსო. მოვიდა, აი, ანიკო, შენ რომ ლექსები მოგწონს, ეს სწორედ იმ ლექსების ავტორია ლადო ასათიანიო, შემარცხვინა. არც ვაციე, არც ვაცხელე; ლადო ასათიანი, საერთოდ გამიგია, მაგრამ წაკითხვით ჯერ მისი არაფერი წამიკითხავს-მეთქი. ლადომ ხელი გამომიწოდა და კვდება სიცილით, ესეც შენ, ნიკალაო, მიუბრუნდა, შენ მიგაჩნივარ გენიოსად, თორემ ხალხს არაფრად ვუღირვარო.

გავიცინეთ-გამოვიცინეთ და დავშორდით ერთმანეთს. მე ჩემს ოთახში შემოვბრუნდი, ისინი მაჩაბლის ქუჩას დაუყვნენ. ვერ იტყოდი, ლამაზიაო, მაგრამ რაღაც ჰქონდა განსაკუთრებული და მიმზიდველი, რაც ყველასაგან გამოარჩევდა. რაღაც სხვა შუქი ადგა სახეზე. სიცილიც ძალიან უხდებოდა. მაღალი იყო, ცოტა უშნოდ აწყობილიცო, რომ იტყვიან, გრძელ ხელებზე გრძელი თითები ჰქონდა, ტალღოვანი, წაბლისფერი თმა გვერდზე გადავარცხნილი, გრძელი ნიკაპი, ცოტა არ იყოს უშნო, ფართო ყურები, ლამაზი ტუჩკბილი, თხელი სწორი ცხვირი, საერთოდ ძალიან გამხდარი იყო, მაგრამ რაღაცნაირი, ვაჟკაცური იერის მქონე. ფართო ნაბიჯებით დადიოდა, სულ იცინოდა, გარეგნულად უზრუნველი და ბედნიერი ჩანდა. ცოლად გაყოლაზე პირველ ხანებში, რა თქმა უნდა, არ მიფიქრია, მაგრამ გულში კი ძალიან ჩამრჩა და მისი გრძელი, ომახიანი სიცილიც სამუდამოდ დამამახსოვრდა.

ამ ამბიდან სამი-ოთხი დღე არ გასულა, სამსახურის შემდეგ ვითომ შემთხვევით შემხვდა მაჩაბელზე, და შინამდე

მიმაცილა. არც სიყვარულის ახსნა დაუწყია, არც იმ წერილზე არაფერი უთქვამს, ჩუმად, უბრად მომყვებოდა გვერდით. გითხრა სიმართლე, ცოტა არ იყოს, გავბრაზდი, სხვები ყურებს მიჭედავდნენ ლაქლაქით და ეს ვინღაა, თავსაც რომ არ მიყადრებს-მეთქი. სახლს რომ მივუახლოვდი, წყენა ვერ დავმალე; ყოველთვის ასე წყნარი ხარ-მეთქი? არაო, გაიცინა, ნიკასთან და ჟაკისთან უფრო თამამი ვარო. მაშინ ნიკა და ჟაკი გააცილე ხოლმე სხვა დროს-მეთქი.

ორჯერ-სამჯერ კიდევ მოვიდა ჩემს გასაცილებლად. ჩანდა, ძალიან დაეძლია სიმორცხვე და ბევრს ლაპარაკობდა. მთელი მწერალთა კავშირი დამიხასიათა, ლამის, და სამი-ოთხი კაცის გარდა ყველა, რომ იტყვიან, გააპუსტიაკა. არა, ცუდი კი არაფერი უთქვამს, უბრალოდ აქილიკებდა. ზოგის ნაწერები არ მოსწონდა, ზოგისა პიროვნება. მომეჩვენა, რომ ყველასი ყველაფერი იცოდა; ზოგზე ფუნაგორია მითხრა, ზოგისა კიდევ, სტრიქონი წამიკითხა და დააყოლა, ნახე, რა უნიჭობააო. მე მწერლებს, როგორც ღმერთებს, ისე შევცქეროდი და, სიმართლე გითხრა, მაინცდამაინც არ მომეწონა ამ ახალგაზრდა პოეტის შეთამამება მამისტოლა კაცებთან. თუ წინა დღეებში მისმა სიჩუმემ გამაღიზიანა, ახლა ზედმეტი ლაპარაკით და თავის ქებით დამღალა და პირდაპირ მივახალე, არ გეწყინოს და, ცოტა ჭორიკანა ბიჭი ჩანხარ-მეთქი. სწორი არი, გაიცინა, სკოლაშიც მაგაზე მეჩხუბებოდნენო. დედას ვგავარ, დედაჩემმაც ბევრი ლაპარაკი იცისო: მშობლებზე მაშინ არაფერი უთქვამს, შენ წარმოიდგინე, რომ დავქორწინდით, მერე გამიმხილა, რომ დედა დაპატიმრებული ჰყავდა.

მერე ჯარში წავიდა. ოცდაცხრამეტის მიწურული იყო, წერილი მივიღე. სურათში სამხედრო, კონუსური ქუდი ახურავს. წერილი მწერალთა კავშირის სახელზე გამოეგზავნა.

ჩემი მისამართი, ალბათ, არც კი იცოდა, ან შინ ვერ გამიბედა მოწერა. წერილიც მისებური, თამამი იყო. მწერდა, როგორც ძველ მეგობარს. გამიკვირდა კიდეც ასეთი ფამილარობა. აქაო, მწერდა, ცოტა გავცივდიო, მაგრამ ახლა კარგად ვარო. შეგიძლიათ, მანდ მწერალთა კავშირში, მშვიდად გეძინოთ, ლადო ასათიანი თქვენს ძილს დარაჯობსო. მალე გნახავო.

არ გაუვლია სამ-ოთხ თვეს, ჩამოვიდა, მაისი იყო თუ ივნისი. მწერალთა კავშირში მომაკითხა, სამხედრო ფორმა ეცვა, არ უხდებოდა, ყველაფერი მოკლე ჰქონდა, შარვალიც და ხალათიც. სხვისივით, ნათხოვარივით. ასე ადრე როგორ გამოგიშვეს, ჩვენ ორი წლის შემდეგ გელოდებით-მეთქი. გამოვიქეციო, გაიღიმა, მომდევნო. თუ ახლავე არ წამომყვები ცოლად, გავბრუნდები და აღარასოდეს აღარ ჩამოვალო. ოღონდ შენ ჯარში აღარ წახვიდე და როცა გაგეხარდება, მაშინ წამოგყვები-მეთქი, მეც რასაკვირველია, ხუმრობით მივუგე.

მოვიდა ზაფხული. მწერალთა კავშირში საგზური მომცეს და ციხისძირის დასასვენებელ სახლში ვარ, ბათუმთან ახლოს რომ ციხისძირია. ერთი კვირის ჩასული არც გახლდით, გკითხულობენო. მე-ვთქვი, აქ ვინ უნდა მიკითხოს; აქ ნაცნობი ვინა მყავს-მეთქი. გამოვიხედე, ლადო და რეზო მარგიანი, რომ იტყვიან, გახეთქილი მთვრალები დგანან და ხითხითებენ. ღმერთო, მთელმა დასასვენებელმა სახლმა დაინახა, მომეჭრა თავი-მეთქი. ჩავედი და გავუჯავრდი ორივეს. რა დაგიშავეთ, თავს რატომ მჭრით, მეც გამაგდებენ აქედან, თუ მოდიოდით, ფხიზლები მაინც მოსულიყავით-მეთქი. წადით ახლა აქედან, არ დაგინახოთ ჩემმა თვალებმა-მეთქი. ნირი წაუხდათ, უცებ დასერიოზულდნენ და ჭიშკარში გაიძურწნენ. გასვლისას ლადომ ხელი

დამიქნია, თბილისში როდის მოდიხარო. ოცდარვაში-მეთქი. ჩამოგაკითხავო, პასუხი არ მიმიცია, გაბრაზებული ვიყავ.

მართლაც ჩამომაკითხა და ბათუმიდან ერთად ვიმგზავრეთ. რბილი ვაგონის ბილეთი მაშინ ჭირდა, და კაცმა რომ თქვას, არც ფული გვქონდა. საერთოში ერთმანეთის გვერდით ვიჯექით მთელი ღამე გაუნძრევლად. ღმერთო, რა ტკბილი იყო მისი გრძელი მკლავების სიახლოვეს ყოფნა და მატარებელი რომ აქანავდებოდა, შემთხვევით მკერდზე თავის მიდება.

ჩამოვედით თბილისში და ერთ კვირაში ხელიც მოვაწერეთ. ლადოს სამსახურიდან შესვენებაზე, ვითომ ნაყინზე დამპატიჟა, ქუჩაში უცებ გამომიცხადა: პასპორტი თან თუ გაქვს, წავიდეთ, ხელი მოვაწეროთო. შენ ხომ არ გაგიჟდი-მეთქი, ჯერ ვიუარე. მერე ჭკუაში დამიჯდა: კაცია, არ გადაიფიქროს-მეთქი. მივირბინე შინ, ლადო რუსთაველზე მიცდიდა, ავიღე პასპორტი, ჩამოვირბინე, ხუმრობა საქმეა? ვთხოვდები ქალი.

ძლივს მივაკვლიეთ მმაჩის ბიუროს. იქ გვითხრეს, კაცისათვის აუცილებელი არ არის, მაგრამ ქალის მხრიდან ერთი მოწმეა საჭიროო, გამოვვარდით ქუჩაში. ბედად ჩემი ნაცნობი, ქმარ-შვილიანი ქალი შემხვდა, ასე და ასე-მეთქი, დეიდა მარგო, ვთხოვდი და მოწმე მჭირდება-მეთქი. წამოგვყვა, ხელის მოწერას სულ რაღაც თხუთმეტ წუთში მოვრჩით.

უკვე ლადო ასათიანის რჯულიერი ცოლი ვარ. საათზე დავიხედე, შესვენების დრო კარგა ხანია გასულა. ცოტაც დაიგვიანე, ნუ გეშინია, დღეს ისეთი საპატიო მიზეზი გაქვს, არაფერს გეტყვიანო, ლადომ. პირველად ჩემს ცხოვრებაში რესტორან „ორიანტში“ ვისადილეთ. რესტორნიდან რომ გამოვედით, ექვსს აღარაფერი აკლდა. ხუთზე ვამთავრებდი

სამსახურს, დედაჩემი გამიგიჟდება-მეთქი და მოვუსვი შინისაკენ.

მეორე დღეს კვირა იყო. ჩვენი ნათესავი ქალი გვეწვია. რას უცდითო, დედაჩემს უსაყვედურა, ე, გოგო გაუთხოვარი ხომ არ უნდა დარჩესო. რა იციან, თუ უკვე გათხოვილი ვარ. რა ვქნაო, დედაჩემმა. ბედი თუ გამოუჩნდა, უნდა ხვალვე გათხოვდესო, ეგ ისეთი პუწკია და ცხვირბზეკიაა, მგონი, გაუთხოვარი დამირჩესო.

დედა-მეთქი, ერთ ბიჭს მოვწონვარ-მეთქი, გაჩვენებ და, თუ ყაბულს იქნები, გავყვები-მეთქი. შენ იციო, დამეთანხმა დედა.

ახლა, მეორე დღეს, ლადოს მოძებნა არ გინდა? არც ვიცი, სადა ცხოვრობს, ხელი რომ მოვაწერეთ, არც მაშინ მიკითხავს. მივვარდი ნიკა აგიაშვილთან, „ჩვენი თაობის“ მდივანი იყო. ეგაო ლევან კიკნაძესთან ერთად ცხოვრობსო, ვნახავ საღამოთი და დილით გამოგიგზავნი, რაკი ეგრე მოგენატრა შენი აყლაყუდა ლადოიაო. არავინ იცის, რომ ის აყლაყუდა უკვე ქმარია ჩემი.

სამსახურში მომაკითხა დღის ბოლოს; სადა ხარ აქამდე-მეთქი, ვუსაყვედურე ნამდვილი ცოლის საყვედურითა. იცინის. დედაჩემს უნდა შენი ნახვა და დღესვე უნდა გვესტუმრო-მეთქი, ჯერ იმან არაფერი იცის, შენც არაფერი წამოგცდეს-მეთქი. მამაჩემი სოფელშია. კარგიო, იცინის, დაგდებთ პატივს და გეწვევითო. გავიქეც შინა. მე და დედაჩემმა, საცოდავად, ნათქურაზე რაღაც სადილივით მოვახლაფორთეთ. შეღამებულზე მოვიდნენ ლადო და მისი კურსის მეგობარი ლევან კიკნაძე, ვისთანაც პატარა ოთახში იყო შეკედლებული.

ვსადილობთ, ვმუსაიფობთ, ლადო ოხუნჯობს კახელებზე, ლევანი ჩუმად არი. დედაჩემს კახელებზე არ უყვარდა

ოხუნჯობა. გავიყვანე განზე და ვუჩურჩულე; ამ ორში ერთერთს ვუნდივარ, შენ რომელი უფრო მოგწონს-მეთქი. ჩემთვის სულ ერთია, შვილო, ორივენი კარგები არიან, მაგრამ ის წითური (ლევან კიკნაძეზე მითხრა) უფრო სერიოზული ჩანსო. თუ არჩევანია, იმას გაჰყეო. არა, დედი, იმ გამხადრს, ყურებიანს მივყვები-მეთქი. კარგი შვილო, ოღონდ შენ იყავ ბედნიერი და თუნდა ალს გაჰყეო, დედაჩემმა.

მესამე თუ მეოთხე დღეს ლადო ჩვენთან გადმოვიყვანეთ საცხოვრებლად. სადღაც შირმა ვიშოვეთ, ერთი საწოლი გვქონდა და იმ ერთ საწოლზე გვეძინა ახალ ცოლ-ქმარს შირმის უკან. დედაჩემი და მამაჩემიც იქვე იწვნენ, ახლოს. ალბათ, არ ესიამოვნა მამაჩემს ერთ ოთახში ჩასიძება, მაგრამ კრინტი არ დაუძრავს, არც უგრძნობინებია. დავეტევითო. იმდენი გაჭირვება და შავდღე ჰქონდა ნათავადარს ნანახი, რომ აღარაფერი უკვირდა.

დამავიწყდა მეთქვა, ჯარიდან ჩამოსვლის შემდეგ ლადო არსად მუშაობდა. „ნორჩი ლენინელში“ მის ადგილას სხვა მიეღოთ და ლადოც აღარ მიეძალა.

მაინც წუხდა უმუშევრობას. დილით გავიდოდა სახლიდან და საღამოს შემოსული იტყოდა ხოლმე; მგონი მალე, „მნათობში“ ან საბლიტგამში დავიწყებ სამსახურს, მპირდებიანო.

ხველებით ცოტ-ცოტას ყოველთვის ახველებდა, მაგრამ მაშინ ყველანი ვახველებდით. მგონი, ხველება მოდაში იყო. დღევანდელი სიტყვით რომ ვთქვათ, ინტელექტუალობის მაჩვენებელი გახლდათ.

ოთხი თვის გათხოვილი ვარ, გაზაფხულისპირზე უმატა ლადომ ხველებას და, ვაი ჩემს მოსწრებას, მაისის მიწურულს სისხლიც ამოაღებინა.

გავიქეც ხუდადოვზე. ერთი ნათესავი ექიმი გვყავდა; ასე და ასეა ჩემი საქმე-მეთქი. მოიყვანე, გავაშუქოთო. მა-

შინვე დამთანხმდა ლადო, მანამდეც მეუბნებოდა; ვერა ვარ კარგად, მგონი, საღამოობით სიცხესაც მაძლევსო. ღამით ოფლიანდებოდა, მაგრამ შავ სენზე არც მიფიქრია. გააშუქეს, სისხლიც აუღეს და მესამე დღეს ექიმმა თავისთან მიხმო, ფეხმძიმე თუ ხარო? სამი თვის ფეხმძიმე ვარ-მეთქი, ჰოდა, შენი ქმარი სერიოზულად ავად არის, ჭლექზე დადებითი ამოეთესა, თუ გიყვარს, უნდა უმკურნალო, იქნებ გადარჩეს, ბავშვზე კი, სანამ გვიან არ არის, უარი უნდა თქვაო. ლადო გარეთ მელოდა. ეტყობა, ისეთი სახე მქონდა, ექიმის კაბინეტიდან რომ გამოვედი, არაფერი მკითხა, ვიცი, რასაც გეტყოდაო, მაპატიე ყველაფერიო. მე არ ვიცოდიო, ჩანს, ჯარმა დამიჩქარაო. როგორც შენ გინდა, ისე გადაწყვიტეო.

გადასაწყვეტი რა მაქვს, მე ერთხელ უკვე გადავწყვიტე და გავათავე-მეთქი, რა მოხდა მერე, კაცი ხან ავად იქნება, ხან კარგად. თუ კაცი ჯანმრთელი გიყვარს, ავადმყოფიც უნდა გიყვარდეს. წავიდეთ და ჩვენებს არაფერი ვუთხრათ, ალბათ, ყველაფერი გაივლის-მეთქი.

არაო, მე შენც ვერ დაგღუპავო, ჩვენი ერთად წოლა აღარ შეიძლებაო. თუ ყველაფერი დაგვიანებულია, იცოდე, თავს მოვიკლავო, ვიღაცის სახლში შეირბინა, ფული ისესხა და უბრალო საწოლი ვიყიდეთ. მივიტანეთ ის საწოლი შინ და ლადოს ფანჯარასთან, შემოსასვლელში დავუდგით. დედაჩემს არაფერი უთქვამს. ლადო ღამით მშრალად და ხმამაღლა რომ ახველებდა, ყველაფერს მივხვდიო, მერე მითხრა სულკურთხეულმა დედაჩემმა, ლადოს სიცოცხლეში მის ავადმყოფობაზე სიტყვაც არ დაუძრავს.

ყოველდღე მეხვეწებოდა, მიდი და გაესინჯეო. ორ კვირას ფეხი ვითრიე, მერე წავედი, რაკი ორსულ ვიყავ, ჩემი გაშუქება არ შეიძლებოდა და მხოლოდ სისხლი ამიღეს. წარმოიდგინეთ, ალბათ, რა გულისბრაგუნით ავდიოდი ამბის

გასაგებად მეორე დღეს კიბეზე, ჩემი ჯავრი როდი მქონდა, ბავშვზე ვწუხდი, ლადოს შვილზე.

ჯანმრთელი ხარო რომ მითხრეს, სიხარულისაგან გული შემიღონდა. რომ მომასულიერეს, ექიმმა მითხრა; ბავშვი მაინც უნდა მოიშორო, შეიძლება კოხის ჩხირები შენთან არ აღმოჩნდეს, მაგრამ ჩანასახში იყოსო. ეგეც არ იყოს, თქვენ ბოლომდე ჰიგიენურ უსაფრთხოებას ვერ შეძლებთ. ერთხელაც რომ აიყვანოს მამამ ჩვილი ხელში, უსათუოდ შეეყრება სნეულება და მერე უფრო დაიტანჯებითო, რად გინდა ბავშვი ავადმყოფისაგანო. თუ მორჩა, კვლავაც გეყოლებათ, თუ განწირულია ეგ უბედური, ობოლს რატომ აჩენ. ამქვეყნად შენ იქნებ ბედი კიდევ ერთხელ მოგიტრიალდეს, ჯერ ახალგაზრდა ხარო. ისეთი შევუბღვირე ექიმს, რომ მგონი, სამუდამოდ ინანა ჩემი ჭკუის დარიგება.

წავედი გინეკოლოგთან. გამსინჯა გულდასმით, პლეხანოველი ქალი იყო, მხეიძე, დიდებული ექიმი და პიროვნება. ბავშვის მოშორება არც იფიქრო, ასპროცენტიან გარანტიას გაძლევ, რომ ჯანმრთელი შვილი გაგიჩნდებაო.

როგორიც უნდა გამჩენოდა, მუცლის მოშლას მაინც არ ვაპირებდი.

ლადოს საგზური ვუშოვე და აბასთუმანში გავუშვი, ლამის ყოველ მეოთხე დღეს მწერდა წერილებს. უკეთესად ვარო, ბევრს ვმუშაობო. ლექსებსაც მიგზავნიდა; ეს ამ რედაქციაში მიიტანე, ეს იმ რედაქციაშიო, მიმქონდა, მაგრამ დაბეჭდვას უგვიანებდნენ და ძალიან ნერვიულობდა.

პირველ წასვლაზე ლამის სამი თვე აბასთუმანში დაჰყო, მშვენიერ ფერ-ხასიათზე ჩამოვიდა. სამიოდე კვირაში ისევ დააწყებინა ხველება, ისევ მივადექი მწერალთა კავშირს და ააშენა ღმერთმა სიმონ ჩიქოვანი, ისევ გამაგზავნინა აბასთუმანში.

მანანა რომ დამებადა, ახალი ჩამოსული იყო. მეორე თუ მესამე დღეს სამშობიაროს ფანჯარაზე ამომძახა. ძლივს მივედი და გადავიხედე, დაიბადა როგორც იქნა საქართველოს დედოფალი მანანა ასათიანიო? მანანა ბებიაჩემს ერქვა და მე დავიჟინე; თუ გოგო იქნა, მანანა უნდა დავარქვა-მეთქი. თვით ლადოს ასმათი სურდა დაერქმია. ასმათ ასათიანი კარგად ჟღერსო, აბა, მოიყვა, დამანახე, როგორიაო; ვერ ვუჩვენე, გაყვანილი ჰყავდათ. საავადმყოფოდან რომ გამოვედით, ლადო ათ დღესაც არ იყო შინ. ისევ აბასთუმანში წავიდა, ვგრძნობდი იტანჯებოდა. ბავშვის ხელში აყვანა სურდა, როცა მელაპარაკებოდა, თავს განზე აბრუნებდა. ნეტა ერთი შენა, ილაპარაკე წესიერად, მოკიდე ხელი და შეისროლე მაღლა შენი გოგო, ავადმყოფობა ეგრე ხომ არ შეაფრინდება-მეთქი. რა იცი, რა იციო, მეტყოდა. ჯიბეში ხელებს ჩაიწყობდა და გავიდოდა სახლიდან.

ორი წელი კიდევ იცოცხლა. ამასობაში მწერალთა კავშირმა ერთი პაწაწინა ოთახი მოგვცა ძერჟინსკზე, ლამის დაფრინავდა სიხარულისაგან. უკვე ჩემი ჭერი მაქვს, თბილისელი მოქალაქე ვარო.

სასწრაფოდ გადავიდეთ და იქ ვიცხოვროთო. დედაჩემმაც მირჩია და მეც ჭკუაში დამიჯდა, ვუთხარი ლადოს: იმ ოთახში, ჯერჯერობით, მარტო შენ გადადი, სანამ ბავშვი მომაგრდ-მოიზრდებოდეს, დედაჩემთან ვიქნები-მეთქი.

ერთი სიტყვით, სამსახურიდან, შესვენებაზე ლადოსთან გავრბოდი. მივალაგებდი. მერე შინისკენ გავვარდებოდი. მანანა აღრიალებული მხვდებოდა: ისეთი ცელქი იყო, დედაჩემი დაბრიყვებული ჰყავდა, სამსახურში დეკრეტული მეკუთვნოდა, მაგრამ ექვსი თვის შემდეგ მე თვითონ გავედი სამუშაოდ. ძალიან გვიჭირდა, მაშინ კიდე ეგეთი წესი იყო: თუ დეკრეტულზე უარს იტყოდი, დეკრეტულის ფულსაც გაძლევდნენ და ხელფასსაც გინარჩუნებდნენ.

მესამედ რომ წავიდა აბასთუმანში, მორჩენის პირას იყო, მაგრამ იქ გაცივებულიყო და სიცხიანი ჩამოვიდა. ჩამოვიდა ძალიან ცუდ გუნებაზე. ჩემი დღეები დათვლილიაო, ამბობდა. იმდენი ფული მაინც მომცა, ამ პატარა ოთახში მინის კედელი გამაკეთებინა, შენა და მანანა აქა მყავდეთ და სიკვდილამდე კედლის მიღმა გიცქიროთ მაინცო.

ბოლო ორმოცდასამის გაზაფხულზე, ლოგინად რომ ჩავარდა, ყველაზე ხშირად სიმონ ჩიქოვანი აკითხავდა მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობიდან, მისი მეგობრები ხომ სულ თავს დასტრიალებდნენ. ერთხელ კონსტანტინე გამსახურდიაც მოვიდა. წიგნის სასიგნალო რომ მოვუტანე, გაგიჟდა სიხარულით, იქვე წააწერა; საჩუქრად მავანს, და მავანსო, ხუთ წიგნს. მაშინ სასიგნალო თორმეტი ცალი იყო, დანარჩენები შემანახინა.

ორი კვირის შემდეგ ვიღაცამ გაუმხილა, შენი წიგნი დაჭრეს, გაანადგურესო. დღემდე არ ვიცი, ვინ უთხრა მომაკვდავს. ატირებული დამხვდა, შენ არ იცი, რას ნიშნავს პირველი წიგნის დაკეპვა, ეგაო შვილის სიკვდილის ტოლფასიაო.

ძალიან განიცადა. მე მგონი, მისი სიკვდილი წიგნის განადგურებამაც დააჩქარა. მერე ამ ქვეყნისკენ აღარც მოუხედავს.

ბოლო დღეებში ფეხზე ვეღარ დგებოდა. ოფლად დაღვრილი, სიცხით გათანგული, დალეული ესვენა ბალიშზე. ღამე აგონიაში იყო. დილით ჩემს ხელს ეძებდა. არ წახვიდეო, მეხვეწებოდა. სად უნდა წავსულიყავ, სასთუმალთან როგორ მოვშორდებოდი. სიკვდილის წინა დღეს მანანა მოითხოვა. მაჩვენეო, ფანჯრიდან დამანახვეო. მოვიყვანე, ფანჯარასთან მდგარ დედაშვილს ხელი დაგვიქნია და გაგვიღიმა. შემოვიყვან-მეთქი, არაო, ნება არ მომცა.

იმ საღამოს გრძნობა დაკარგა. მთელი ღამე აბოდებდა; დედამისის და მანანას სახელებს იძახდა. დილით გრძნობაზე არც მოსულა.

გარდაიცვალა და სწორედ იმ დღეს მამამისი ჩამოვიდა. შვილს ცოცხალს ველარ ჩამოუსწრო. სულ რაღაც ოთხი საათის შეწყვეტილი ჰქონდა სუნთქვა ლადოს.

დახოკილი ლოყები მეწვოდა. ჩვენს ვიწრო ოთახში სიკვდილის აჩრდილი ტრიალებდა.

ძილში არ გაიპარო

ცხელოდა.

ქუთაისში აგვისტო აგვისტობდა.

ომით ელდაცემულ ქალაქს დიდი მიზეზი ჰქონდა, შინ, ოთხ კედელში ჩაკეტილიყო და შიშით ეცქირა ტელევიზორისთვის.

საზოგადოებრივი ტელევიზია, ვერ დავუკარგავ, ძალიან ცდილობდა, მაყურებლისთვის გუნება არ მოეშხამა, თუმცა შიგადაშიგ მართალსაც გამოურევდა ხოლმე.

აკაკის ბაღი მიტოვებულს ჰგავდა.

ოდენ მტრედები ფრთხიალებდნენ გამორთული შადრევნის აუზის პირას, თავიანთ მტრედულ პრობლემებზე ღუღუნებდნენ და დროდადრო წყალში ამოავლებდნენ ხოლმე ლამაზ თავ-ფრთებს გასაგრილებლად.

თეატრის წინ ძველთაძველმა „მოსკვიჩმა“ გადმოჭრა მოედანი, წითელი ხიდი გადაიარა და ყრმა გალაკტიონის ძეგლთან შეჩერდა.

– აქ შეუხვიე, მარჯვნივ, ეიხედე ზეით ე... იქ ვართ ასასვლელი.

კაცმა მინა ჩამოსწია და კორკიმელის გასწვრივ ხელი გაიშვირა.

– აუ, სად ყოფილხართ?! ზეით თუ ქუჩა იყო, არც ქე ვიცოდი, – შეიცხადა მძღოლმა.

– ხო გითხარი თავიდან. აგიდუღებს ვითომ?

– შენ არხეინად იყავი, ამ დანჯღრეულ „მოსკვიჩს“ მასე ნუ უყურებ. გუშინწინ ორი რელსი ოვუტანე ვინცხას ჭომაზე,

თუხთუხ-სვენებით, ხლიწინ-ხველებით, როგორც იქნა, ააღწიეს. რკინის ჭიშკარი და ნაგვერდულის ღობე ერთფერად – ბაცმწვანედ იყო შეღებილი.

– მევედით, – გადავიდა ჭიშკარი გააღო და შოფერს მიუბრუნდა.

– წადი, წადი, მარცხნივ ეიღე და ზადნით შემოდი.

შოფერმა ბარგი იქვე, ჭიშკართან, კოინდარზე დააწყობინა და ონკანს პეშვი შეუშვირა.

– ჭიქას მოგიტან.

– არ მინდა. ასე უფრო ვატან გემოს.

„მოსკვიჩი“ ჩარიხინდა და რეაქტიულივით სქელი, ცისფერი კვამლი მიიხვია.

– გესმის?!

კარებზე დააბრახუნა.

პარმაღზე თავწაკრული, გამხდარი ქალი გამოჩნდა. ქმრისთვის არც შეუხედავს, ჭიშკართან მილაგებულს დაადგა თვალი.

– ავანსი მომცეს და ცოტა რაცხა ვიყიდე: ერთი ტომარა პურის ფქვილი, ერთი ტომარა კარტოფილი, ნახევარი ტომარა შაქარი და ხუთი ლიტრი ზეთი, სიმინდის ზეთიაო, პორტუგალიურიაო, ნოქარმა, რა ვიცი, პორტუგალიურია?

– რათ გინდოდა ამდენი რამე, კარტოფილში მაინც რავა გადაყარე ფული. ერთ კვირაში ამოვა და დეიფშუტება.

ქალმა შაქრიანი ნახევარტომარა მოიგდო თეძოზე.

– მეიცა, მეიცა. ერთ მხარეს მე დევიკავებ... შიმშილობა იქნებაო.

– რო არ იქნეს?

– რო იქნეს? ამგენს ენდო ტიფა. ფქვილი და კარტოფილი თუ გაქვს სახლში, ცოტა გულმიცემული ხარ, ხო ხედავ, ომია.

– რა ომია, შალიკო, შენ ამას ომს ეძახი?

– ქალო, რო მიჩერებიხარ ჭინკასავით ტელევიზორს, აზრი ვერაფერი გამოგაქ? ხომ ხედავ? ორ-ორად რო დაშლიგინობენ თვითმფრინავები და ყვავის კაკლებივით ყრიან ბომბებს.

– ყრიან, მარა, ბევრი არ სკდებაო, ესო შესაშინებელი ბომბებიაო. თალიკოს მარუსიე ამბობდა, ამ დილას რძის რიგში.

– კი, კი, გეთამაშება, გაშინებს რუსი-თქვა. შესაშინებელი კი არა, გორში სახლი არ დატოვა ცეცხლწოუკიდებელი.

* * *

დილით პურზე ჩავიდა.

თაროზე სერი პური ელაგა, მაგრამ შილიფად ჩაცმული ქალები განზე იდგნენ და თავიანთი ნახევრად სერიოზული (ნახევრად ჭკვიანური კინაღამ წამომცდა) მუსაიფით თავს იქცევდნენ.

შალიკოს არაფერი უკითხავს. მიხვდა, ახალი პური ჯერ არ მოეტანათ. ფანჯარასთან მიდგა.

– აპა, ჩემი ქმარი გენაცვალე... ჩემ ქმარს მაგ არ შეეშლებოდა... მაგ კი არა, აქით მეკითხება ხანდახან...

ნაწყვეტ-ნაწყვეტად ჩაესმოდა მაღალი, წაბლისფერთმება, პომადიანი ქალის ნათქვამი და შალიკოს ეგონა, ის ქალი მის გასაგონადაც ლაპარაკობდა.

„ქალი ქმრის ქებას სახალხოდ რომ დეიწყებს, ორი რამ არის: ან ნაღალატევი აქვს მისთვის უკვე, ან აწი აპირებს უღალატოს," – გაიფიქრა შალვამ.

მუშტუკი გააწყო და გარეთ გავიდა.

სინაურიძის ჭიშკართან ჩამომსხდარნი წუხანდელი ტელევიზორის ამბავს არჩევდნენ.

– არაფერი არ ვიცით, არა, ჩვენ... ჩვენ არაფერს არ გვეუბნებიენ. სერიოზულათ თუ ვომობთ, არც ეს მგონია, დეიქცა ცხინვალიო. ვინ ნახა... რომელმა ნახეთ, ერთი მითხარით?!

– ასე რავა შეიძლება, შე კაცო, წეილო რუსმა ნახევარი ქვეყანა და მაინცდამაინც შენს ეზოში უნდა ჩამოვარდეს ბომბი, რო დეიჯერო?

– რა იყო წუხელი, დეინახე? რავა დაძვრებოდა ე ჩვენი პრეზიდენტი დაცვის ბიჭების ლაჯებში, დეინახე?

ჟღალწვერებიანი იობიძე სიცილით ჩაბჟირდა.

– ისე სხარტი ქე ყოფილა, მე ამდენიც თუ შეეძლო, არ მეგონა, გაქცევით მარდათ გეიქცა.

– სული მწარეა, ბიძია.

– ისე... მე რომ მკითხოთ, დაცვის ბრალიცაა, – სიცილით სულს ძლივს ითქვამდა იობიძე – რა იყო, რა მოხდა იმნაირი, რომ მეიგდეს ფეხქვეშ ამხელა კაცი და რო დააყარეს თუ რამე მოხვდათ ხელში: ტაშტი, კარდალა, ფანერკის ნაჭერი, ნახმარი ჭავშანჟილეტი, არყის ქვაბი, შეაწუხეს კაცი... კიდო კარქათ გამოხვანცალდა იქიდან.

– მე, მაგალითად, სხვანაირად ვუყურებ ამ ამბავს, – დაიწყო პედინსტიტუტის კონკურსში ვერგამარჯვებულმა ნაადრევმა პენსიონერ-ლექტორმა მაღლაკელიძემ, – რაკი გეიქცა, ეს იმას ნიშნავს, რომ მთლად სულელიც არ ყოფილა. შიშის გრძნობა სად აქვს სულელს. ჩვენი საქმე მთლად დაღუპული მაშინ იქნებოდა, პრეზიდენტი ჟირაფივით თავაწეული, ნელა რომ წასულიყო. ამ ჯგლეთა-ქაჩვაში შენ არ გეიქცეოდი მაგალითად? შეეშინდა კაცს; არ მდრუზოს რუსმა ბომბი ზურგშიო და მოუჩქარა ფეხს, რა იყო, რა მოხდა, ყოლიფერი საგლახაოთ და საღადაოდ უნდა აქციოთ?!

– სტუმარი რო ახლდა? ი სტუმარი რომ ერთ ადგილას

დეიკიდა და თვითონ, რო უშველა თავს?

– რა ექნა, აპა... იფიქრა იმ კაცმა, მე თუ მოვკვდები აქანა, სტუმარიც უკან დამრჩება და მასპინძელიცო. სტუმრის მეტს რას ვიშოვი, მე თუ არ ვიქნები, მოსრია პატრონი, რაც სტუმარია, ქვეყანაზეო.

– უწმინდე პირი ხო, შენი პატრონობა უნდა მაგას, მიტომ ვართ ამ დღეში.

– მე არავის არ ვპატრონობ, მე არ მიმიცია ხმა. შენ მიეცი და შენნაირებმა, ხვარ დაგავიწყდა ოც-ოცი ლარი რო ჩამოგირიგათ ხახალეიშვილმა.

– ვაი... რავაც ის ოცი ლარი ჩემ ჯიბეში ჩევიდა, ისე მიცეს ხეირი გამჩენმა შენს დამაწყევარს, შენ არ დაგწყევვლი, მეცოდები, ჩემი ბოვშის ლექტორი იყავი, მაინც, რაც არ უნდა იყოს, – თავი იმართლა იობიძემ.

– კაი, კაი, კაი, კაი, ნუ გეიმამააბრამისბატკნებთ ახლა სუყველა თავს, – მეზობლებისთვის სრულიად მოულოდნელად ჩაერთო სანდუხაძის გერი გუჯია, – ძაან მშვენივრად ეიღეთ, მეც ევიღე, არ ვმალავ, რავა, თავისი ჯიბიდან კი არ არიგებდა ხახალეიშვილი.

შალიკომ შეატყო: ლაპარაკი ცოტა არ იყოს, უსიამოვნო ელფერს რო იძენდა და ბირჟას გაერიდა.

მაღაზიაში შევიდა და შიდა კარის მინაში არეკლილ თავის თავს ჰკიდა თვალი: უსაშველოდ ხუჭუჭი, სავარცხლებმტვრევი, მოურჯულებლად ურჩი, ჭაღარა თმა ქინჯილოჯა ბალახივით ეხურა თავზე. „რა ჩქარა იზრდება ე დასაწვავიო“, ყოველ შეხედვაზე გაიფიქრებდა ხოლმე შალიკო და, რასაკვირველია, ახლაც ეს გაიფიქრა თავის მომაბეზრებელ თმაზე, მწვანე, ბუდიდან უჩვეულოდ ამოწეული თვალები ჰქონდა და გაბუშტულ ცხვირს ქვემოთ, ვიწრო საულვაშეზე ძლივს დატეული, ჭაღარა, მაგრამ არახუჭუჭა, ფენჯგირე-

სავით სწორი, მსხვილნემსა ულვაშები. სამოცის ჯერ არ იყო, მაგრამ ყურში ამოსულ მუქშავ თმას ინდაურის ბიბილოსავით ლურჯ-წითელი, ლეღვის ფოთლებივით ფართო ყურები თითქოს ამოევსო, ზედ ყურთან იწყებოდა ორი, ქალამნის ტყავივით სქელი ნაოჭი ქედ-კისერში რომ ჩახვეოდა და სადღაც ბერძნული კაკლისოდენა ადამის ვაშლის ქვემოთ იკარგებოდა. მარცხენა კეფასთან ძლივს მოუჩანდა ბადრიჯნისთავისხელა ცხიმრქა, რომელსაც კიდევ კარგი, ასი პროცენტით შენარჩუნებული ქოჩორი საიმედოდ უფარავდა. მაღალი არ ეთქმოდა, მაგრამ არც დაბლად ჩათვლიდით. გამხდარ, რომ იტყვიან, ჩასხმულ ტანზე დაკვირვებული თვალი რასაც შეიმჩნევდა, პირველ რიგში, გრძელი, ზურგთმიანი დამჭკნარი უნაბისფერი ხელები იყო. ბრტყელტერფა გახლდათ და სიარულის დროს ფეხებს მრუდედ აწყობილი რობოტივით აჩაბაჩა დგამდა. სამუხლეზე დაკერებული ჯინსი ეცვა და ოდესღაც ლურჯი ხალათ-პერანგი.

ლავაშნახევარი (ნახევარი ლავაში გზაში შემოეჭამა) აივანზე ჩამოკიდებულ კალანჩხაში ჩადო, ბებერი მსხლის ძირში სასკამედ გადაჭრილ მორზე ჩამოჯდა და ღობის ძირას მოხტუნავე მამალს მიაჩერდა.

უდეზო მამალი ტრიფოლიატაზე მიშენებულ შეთვალულ ადესას სათითაოდ კუმპლავდა. თითო ახტომაზე თითო მარცვალს მოიგდებდა ნისკარტში, მაგრამ ჩანდა, მისთვის ესეც ხეირი იყო, ყოველ შემთხვევაში ეს საქმე არც ბეზრდებოდა და, მაინცდამაინც, არც დაღლა ეტყობოდა.

ჭიშკართან რომანია ხვადაგიანის უფროსი ბიჭის კიჭოია ხვადაგიანის ძველთაძველი „ჟიგული“ გაჩერდა.

– შალიკო ბიძია!

შალიკო სტუმარს გაეგება.

– ფოთიდან თბილისში ალუმინის ბიდონები მაქ

წასაღები, თუ არავის ხარ რამეზე შეპირებული წამომყევი. კაი ტკიცინა ხუთთუმნიანს ალალს და დოუმადლებელს ქე მოგართმევ და ხვალ ამ დროს აქანა დაგსვამ, შენს ჭიშკართან.

– რა ვიცი, ეირია, ბიჭო, ქვეყანა და... როის მიდიხარ?

– ახლა ა ამ წუთში, რომ ეირია, მეც მიტო გეუბნები, ქე მეშინია მარტო წასვლა. ჩვენ ვინ რას გვერჩის... მარა მაინც, წამოხვალ?

– წამოვალ, აპა – კეფა მოიფხანა – მარტოს ხვარ გაგიშობ.

კიბე აირბინა, ორიოდე წუთში გრძელკეპინი ხაკის ქუდით და საწვიმრით დაბრუნდა. უკან ცოლი მოსდევდა.

– ჩაი მაინც დეგელიათ. რა დროს წასვლა იყო. როის მოხვალ, როის?!

– ხვალ ამ დროს! – კიჭიას გვერდით მიუჯდა, – წავედით.

* * *

ცოდვის გაკითხვა, რასაც ჰქვია, სწორედ ეს ტრიალებდა სამტრედიას რომ გასცდებოდი, ფოთის და სენაკის გზებზე. სიცხით დაოსებული, ოფლში გახვითქული, დარდისგან და შიშისგან პირმოღრეცილი ადამიანები ვაი-ვიშით მოაგორებდნენ ყველაფერს, რასაც ბორბალი ჰქონდა.

ისმოდა ქალების მოთქმა-ტირილი, ზარი და გნიასი... ზაფრა-ელდა გაწოლილიყო გზაზე. ყველას წინ უნდოდა გასვლა, ყველას გადასწრება სურდა და ერთმანეთის ნათქვამს „მე ავადმყოფის პატრონი ვარ“ და „მე ძუძუთა ბავშვი მიმყავსო“ უსმენდნენ, მაგრამ არად აგდებდნენ.

საშინელ ამბებს ჰყვებოდნენ სენაკის და ფოთის დაბომბვაზე, აეროპორტის და ნავსადგურის ბეტონის ტრაპები მკვდრებითაა მოფენილი, მაგრამ ახლოს არ გვაკარე-

ბენო.

„ბეტეერებთან“ რუსი სალდათები იდგნენ და ყველას წალმა-უკუღმა საბუთებს სთხოვდნენ, მოწმობას რომ დააძრობდი, შიგ არც იხედებოდნენ, ეტყობა, კითხვა არ სიამოვნებდათ.

უკან მობრუნება გადაწყვიტეს, მაგრამ ისე იყვნენ ჩაჭედილები რიგში, რომ იქიდან გამოღწევა შეუძლებელი იყო.

ქუთაისიდან შუადღისას გამოსულები ღამის 1 საათზე ჩავიდნენ ფოთში.

მასპინძელმა მორგოშიამ იმ ღამეს, საშიშიაო და არ გამოუშვა. არც თვითონ ჰქონდათ წამოსვლის თავი. დილით დატვირთეს მანქანა და ფოთის გამოსასვლელთან რომ გავიდნენ, ურჩიეს, ახალქალაქზე წადით, შედარებით უსაფრთხოაო.

ასეც მოიქცნენ.

მტვრიან-ბუღიანი გზით გაწამებულ-გათეთრებულებმა, როგორც იქნა, ჩამოაღწიეს ბაკურიანამდე, მაგრამ წალკის გზა აღარ გააგრძელეს, ბორჯომის გზით გადმოვიდნენ ხაშურზე, ასე იმიტომ მოიქცნენ, რომ გზაჯვარედინზე ცალფეხა, ყავარჯნიანი კაცი იდგა და ყველას ეუბნებოდა გორზე წადით, ხიდი აღდგენილიაო.

როგორც მერე გაირკვა, ცალფეხა ცრუობდა, მაგრამ რატომ ავრცელებდა ასე ენერგიულად ტყუილს, ამ ნოველის ავტორისათვის დღესაც გაუგებარია.

ჯავახეთ-ახალქალაქის გზაზე ხუთი საათი ისე იარეს, ქართულის მცოდნე ერთი კაციც არ შეხვედრიათ. საქართველოს მოქალაქენი ნათლად და გასაგებად ვერც რუსულად ახერხებდნენ გზის სწავლებას, ერთი კი იყო, რძის ბიდონებს რომ თვალს შეავლებდნენ, სირბილ-ღრეჯით მოჰყვებოდნენ მანქანას. მე მგონი, მიყიდვაზე უფრო მეტად ჩუქებას

ითხოვდნენ.

ქართლის მცირე უღელტეხილზე გორისკენ რომ დაეშვნენ, პირველივე „ბეტეერთან“ შეაჩერეს, ორი ავტომატიანი ცხვირპაჭუა პირდაპირ მანქანას ეცა. მანქანის პატრონებისთვის ზედაც არ შეუხედავთ. ერთმანეთს რაღაც გადაულაპარაკეს და მწვანე ვილისში ბიდონების გადაცლა დაიწყეს.

შალვა და კიჭოია აყვირდნენ, რაც შეეძლოთ. მიჰყვებმოჰყვებოდნენ, ემუდარებოდნენ სალდათებს, მაგრამ შეაყარე კედელს ცერცვი.

– რაია, იცი? ჩემი არაა ეს უპატრონო, თვარა ჩემი რო იყოს, მოგცემდიყენ, სხვამ გამომატანა! თბილისში მიმაქვს. სად მაქ მე ამის გადასახდელი ფული, ნუ დამღუპავთ! ხალხი არა ხართ?! – იმდუღრებოდა კიჭოია.

ჯარისკაცს მობეზრდა მებიდონის მანჭვა-გრეხა და კაპიტანს უხმო.

– ჩტო ონ ხოჩეტ? ჩტო ტი ხოჩეშ?! – მიუბრუნდა კიჭოიას უშლემო კაპიტანი, რომელსაც მზისგან სახე ერთი უწყინარი, ადამიანის მსგავსი ცხოველის ტრაკისფრად გაწითლებოდა.

– რაია, იცი?! – ახლა კაპიტანს შეაცქერდა კიჭო, – ჩემი არაა, ეს უპატრონო სხვამ გამომატანა ფოთიდან, სამი ცალი წეიღეთ, თუ ძაან გჭირდებათ, დანარჩენი დამიბრუნეთ!..

კაპიტანმა უსმინა, უსმინა და თითქოს ყველაფერს მიხვდაო, მოკლედ მოუჭრა:

– პაშოლ ნა ხუი!

სალდათებმა ცარიელ „ჟიგულს“ ფეხები დაუშინეს, წადით აქედან, თორემ ამ თქვენს დამპალ „დრანდგალეტს“ ხრამში გადაგიგდებთო.

ცრემლგამშრალი „გმირები“ იქაურობას გაეცალნენ.

– ესაა ღვთიშობელს ვერგეთ წილადო? – ჩაიკვნესა კიჭომ.– მაგი ქენი, მაგი... ვისი წილი და არჩივიც ვართ. მე კარგად ვხედავ...

აფეთქებულ ხიდამდე ვერ გააღწევდნენ. მანქანა გზიდან გადააყენეს და ფეხით გაუყვნენ.

გორთან ოტებული ნაბრძოლი ბიჭები მოღუშული, გაბრაზებული სახეებით ჯგუფ-ჯგუფად დააბიჯებდნენ, არავის უჩერდებოდნენ და არც შეკითხვაზე – „რა ხდება იქეთო“ – პასუხობდნენ.

სტალინის სახლ-მუზეუმის უკან, მოედანზე ძლივს სულმოთქმული დევნილები სახელდახელო ფუთა-ჩანთებს შემოსხდომოდნენ და წამდაუწუმ ცას აჰყურებდნენ.

– ბატონო, – შალვას მიუბრუნდა, ხანში შესული, სანდომიანი, შავოსანი ქალი – დღეს საღამომდე დაგვაბრუნებენ ვითომ სახლებში?

– საიდან ხარ? – ისე ჰკითხა შალვამ, თითქოს დაბრუნების საკითხში ძალიან გარკვეული იყო.

– ტყვიავიდან, აგერ ვარ შვიდ კილომეტრში... ტყვიავი როგორ არ გეცოდინება.

შალიკომ თავი დაუქნია.

– რატომ გეკითხები, იცი? საქონელი არ ამიხსნია და ბოგის კარიც დაკეტილი დავტოვე. სისხამზე დაბომბვა რო დაიწყეს, არიქა, არიქაო, ვტაცე ბავშვებს ხელი და გამოვიქეცი. დღეს თუ არ შევბრუნდი, დასკდება საქონელი წყურვილით, სამი ძროხა მყავს ერთმანეთზე უკეთესი. ღორს და ქათამს ვიღა ჩივის.

– დღეს რაღას დაბრუნდებით, გაგანია ომია იქ, ქალბატონო, მაინც საქონელი ბოგაში როგორ დატოვე? ეგ როგორ დაგემართა? – ჩაერია საუბარში მაღალი, ზურგჩან-

თიანი სამხედრო.

– ვაი ჩემ დღეს უბედურს... ვაი ჩემ დღეს უბედურს, – მოთქვამდა ქალი, რომელსაც ჯერ კიდევ სჯეროდა, რომ გვიან საღამოთი თუ არა, ხვალ მაინც დააბრუნებდნენ თავთავიანთ სახლებში.

გორში კარგა ხანს იხეტიალეს. ზოგს ბარგის გადატანაში უშველეს, ერთხანს ცისტერნიდან წყლით სავსე ვედროებს მიარბენინებდნენ ცეცხლმოდებული სახლებისკენ. კიჭოიას თბილისში ჩასვლა უნდოდა, თუმცა გზის აღდგენის იმედი მაშინ გადაეწურათ, როცა კომენდანტის მანქანამ ჩამოიარა და ლტოლვილებს აუწყა: ვისაც როგორ შეგიძლიათ, მოთავსდით, დახმარებას საკრებულოში მიიღებთ, თბილისისკენ გზის გახსნას ორი დღე მაინც დასჭირდებაო.

უკან, მანქანისკენ რომ ბრუნდებოდნენ, შალიკო შემოტრიალდა და დევნილებისკენ გაიქცა. ძლივს მოძებნა ბავშვებზე გადაფოფრილი შავოსანი ქალი.

– ქალბატონო, თქვენ ამბობდით, რომ ბაგაში საქონელი დამრჩაო?

– მე, ბატონო, მე... ვაი ჩემ დღეს უბედურს...

– ტყვიავში რა ადგილას ცხოვრობთ?

– იქვე, შესასვლელთან, მეოთხე მოსახლე ვარ. აქედან მარჯვენა მხარეს, „პავლიაშვილი“ აწერია ჭიშკარზე, თუ არსებობს, ჭიშკარი საერთოდ აგერ ვიღაცა ამბობდა, გადაწვეს ნახევარი სოფელიო.

არაფერი უთქვამს. კიჭოიასთან მიბრუნდა.

– ვის ელაპარაკებოდით? – ჰკითხა კიჭოიამ.

– არავის, ვის დეელაპარაკები, ყველა ერთ დღეშია...

– რა ვქნათ?

– რას ვიზამთ, გავბრუნდეთ უკან, ქუთაისში. თუ მოვახ-

ერხეთ.

– რა პასუხი მივცე იმ ხალხს, – კვნესა გაერია ხმაში კიჭოს.

– რა პასუხი უნდა მისცე? ჯერ ერთი, თბილისისკენ გზა რომ არ არის, ქე ეცოდინება იმასაც და მეორეც, ომია, ბიძია. ეტყვი, ასე შემემთხვა-თქვა, გაგიგებს ქართველი კაცი, აპა რას იზამს.

ერთხანს უხმოდ მიიკვლევდნენ გზას.

– კიჭო, – შალიკო შეჩერდა, – შენ მანქანაში დამიცადე მე ასე საათ-ნახევარში, ორ საათში მოვალ.

– სად მიხვალ ამ ღამეში, შენ ხვარ გადეირიე.

– რაია, იცი? ეგერ ტყვიავში ერთი ძველი ძმაკაცი მყავს. ბარეღამ აქვე ვარ, შოუვლი, ეგება უჭირს კაცს.

– რა დროს შევლა-შემოვლაა, შალიკო, ვერ ხედავ, რა ხდება?!

– არა, არა... უნდა მივიდე დიდი ნაპატივცემარი ვარ მაგისგან.

– სა გაგიშვა ამ რია-რიაში... რა ეიტეხე ახლა, გლახა ფეხზე ხარ ამ დილას ამდგარი... წამოვალ, აბა, მეც...

– არა, არა... შენ მანქანაში დამიცადე. მანქანას გაძარცვავს ვინცხა ამაღამ.

– რაია გასაძარცვი... რაც წასაღები იყო, ქე წეიღეს.

– კარგად იყავი. აპა, დაჯექი მანქანაში, წევედი!

შალიკომ მარჯვნივ ბილიკზე გადაუხვია და სიბნელეს შეერია.

ცხელი აგვისტოს ღამე დასავლეთიდან დაძრულმა ნიავმა ცოტათი მაინც შეაგრილა.

მანქანები მილაგ-მოლაგდნენ. ზოგი უკან დაბრუნდა, ზოგმა ახლომახლო სოფლებში გადაუხვია.

ჰორიზონტზე შავად შესუდრულ ხეებს შორის ჭურვების ელვა კანტიკუნტად კრთოდა, ელვას მეყსეულად ქუხილი მოსდევდა.

ზოგჯერ ავიაგამანადგურებელი გახაზავდა ცას. კიჭომ სავარძელი გადასწია და დაძინება სცადა, მაგრამ რული არ მიეკარა.

მამალმა კარგა ხანია იყივლა.

შალიკო არ ჩანდა.

ოთხ საათს გადაშორებული იყო, ორმა ბიჭმა სახელდახელო საკაცით რომ მოიყვანეს შალიკო.

– ფეხშია დაჭრილი, ჩვენ სანიტარული ნაწილიდან ვართო, შევუხვიეთ, როგორც შევძელით, ტყვია არ უნდა იყოს შიგ. მუხლს ქვევით რბილ ხორცზეა მოხვედრილი და გასულია, საშიში არ უნდა იყოსო, მაგრამ ქირურგის ხელი სასწრაფოდ სჭირდებაო. გორში ჰოსპიტალში მიყვანაზე თავი მოიკლაო, – ერთმანეთს არ აცლიდნენ ბიჭები.

როგორც იქნა, გადმოსვეს მანქანაში.

შალიკო არ კვნესოდა.

– თქვენ აგაშენათ ღმერთმა, თქვენ რო არ ყოფილიყავით, დაცლილი ვიქნებოდი ახლა სისხლიდანო... – პაუზებით, მძიმედ ლაპარაკობდა შალიკო, – მისამართი და სახელი მაინც მითხარითო, – ეხვეწებოდა.

შევხვდებით, შევხვდებით თუ გადავრჩითო – ბიჭებმა საკაცე ხრამში მოისროლეს და ასფალტზე გატყაპუნდნენ.

კიჭიამ მანქანა სურამისკენ მოაბრუნა.

– გტკივა?

– ვუძლებ.

– სად იყავი მაინც... რაფერ დაგჭრეს?

– ტყვიავში ჩავედი, ქალი რო ამბობდა საქონელი დამ-

რჩა დაბმული ბოგაზეო.

– მივხვდი მაშინვე, მაგ საქმეზე რომ მიდიოდი, შენ სრულ ჭკუაზე ხარ?

– ვერ მევისვენებდი. გადევირეოდი ამეღამ, მე ვთქვი, გინდა ასე გამხეთქია გული და გინდა ისე-თქვა. რავარი საქმეა დაბმული საქონელი, კიჭოია.

– მერე?

– მოვძებნე რავარც იქნა, პავლიაშვილების სახლი... შევიპარე ეზოში, ახლოს კაციშვილი არ იყო... საქონელი ბღაოდა... აქა-იქ სახლები იწვოდა, მარა მაგ ქალის სახლი გადარჩენილი იყო. ოვუშვი ძროხები, ქათმები, ღორები, რაც ჰყავდა, ერთი სიტყვით. ძაღლი იქვე იყო, მარა არ დამიყეფა, მიხვდა რო არ ვიყავი გლახა საქმეზე მისული, მოკლეთ გადავრეკე უკან, ბაღში ეს საყოლი ყველაფერი, შენ ხარ ჩემი ბატონი და უკანგამობრუნებულზე შემამჩნია ვინცხამ, მე მგონია, სნაიპერმა მესროლა...

– რა ხდება მაინც... რავა შეატყვე...

– მტრისას, რაც იქ ხდება კიჭოია, მეორეთ მოსვლაა ნამდვილი, ძარცვავენ სახლებს და ცეცხლს უკიდებენ. მიტოვებულ სახლებთან დგანან ოსების ბარტავოი მაშინები და ეზიდებიან ყველაფერს, რაც უშოვია საწყალ კაცს.

– რუსები?

– არც რუსები აკლებენ ხელს.

– კაი ახლა... მერე ვილაპარაკოთ... სისხლდენა ხვარ გაქ, ზესტაფონში რო შევიაროთ?

– არ მინდა არა, ქუთაისში ჩამიყვანე და სამხედრო ჰოსპიტალში მიმიყვანე პირდაპირ. იქ მორიგე ქირურგები იქნებიან, მერე ჩემთან შეიარე. უთხარი ჩემ ცოლს, გულნაზის არ გააგებიოს, იმას თავისი ყოფნის...

– რავა?

– ჩემი სიძე გამეიძახეს რვაში და ვინ იცის, რავაა.

– ჰო... კაი ახლა... დაწყნარდი... ყველაფერი კარგად იქნება. კიდო კაი, ასე რო გადარჩი.

– რათ მინდა, კიჭოია, ამნაირი გადარჩენა, თუ დეიქცა ქვეყანა, რა ვნახე მაინც დღეს... არ ვიყავი იმ გზაზე ნამყოფი... გათავებულა ე საქართველო და რაის პრეზიდენტია ეს ოჯახაშენებული.

– მაგი მართლაც ოჯახაშენებულია... შენ მაგის დარდი ნუ გაქვს. არ უნდა შენი ლოცვა... თვითონ რა უჭირს, ჩვენ დაგვაქცია და დაგვანელა თვარა...

* * *

კუნაპეტი ღამე დასწოლოდა უღელტეხილს.

ათასში ერთხელ შემხვედრი მანქანა თუ ამოანათებდა ხეთა კენწეროებს.

როცა შემხვედრი ამოივაკებდა, შუქს ჩააქრობდა, მერე აქედან მომავალი ჩაიქრობდა და ახლა თვითონ კეცავდა გზას შემხვედრის სინათლეზე.

„ჟიგულში“ ორნი ისხდნენ.

კიჭოია დროდადრო გადახედავდა სავარძელზე გადაწოლილ დაჭრილს.

– შალიკო.

– ჰო.

– გტკივა?

– კი.

– გული ხვარ გერევა?

– არა, ნუ გეშინია, ისე ხმა გემეცი ხანდახან, არ გევიპარო ძილში.

– ნუ გეშინია, არ გეიპარები, შორაპანი გევიარეთ. მალე ჩავალთ.

მანქანის „ტორპედოში“ ჩაჭედილი საათი გაჩერებით არ ჩერდებოდა, მაგრამ დროს მაინც ვერ ეწეოდა. დღე-ღამეში საათ-ნახევრით უკან რჩებოდა და საათზე სამუდამოდ ხელჩაქნეული პატრონი მას უკვე აღარც ასწორებდა. ამ უბრალო მიზეზის გამო კიჭოია ხვადაგიანმა აღარც იცოდა, მისი საათი რომელი წლის რა დროს უჩვენებდა.

თბილისი, 7 თებერვალი, 2009 წ.

პრეზიდენტის დამხობის ოსტატები

მე, გითხრა სიმართლე, ახალი ვარ ამ საქმეში.

თბილისში ჭიჭია კვარაკვახიძემ ჩამომიყვანა.

თბილისში ნამყოფი რავა არ ვიყავი, მარა ამ საქმეზე – არა.

ჭიჭიას, რომ იტყვიან, ჭიპი აქვს მოჭრილი პრეზიდენტების გადმოგდებაში.

ორი პრეზიდენტი ნაღდათ ჰყავს დამხობილი და ახლა მესამეზე მუშაობს.

ამ მესამეზე, ქე იცით, ცოტა არ იყოს, ხელი მოგვეცარა.

უფრო მაგარი კაკალი აღმოჩნდა ე ოჯახქორი, ვიდრე ჩანდაო, – ამბობს ჭიჭია, მარა იმედს არ კარგავს.

მოკლედ რო გითხრა, ოცდასამ აპრილს, ხუთშაბათს ჩამევედით და პირდაპირ რუსთაველზე, შტაბში გამოვცხადდით.

ცხრას აღარაფერი აკლდა, ღრუბლიან-სუსხიანი დღე იყო, რავარც თბილისმა იცის.

ამ დროს ჩვენთან ტყემლის ყვავილობა გათავებულია.

თბილისში კი, ეს რა ვნახე, გაზაფხული თურმე მაისის ბოლოს იწყება.

სამ მეხანძრისკურტაკიან ბიჭს მაგიდაზე ფეხშეწყობილებს ეძინა. თავები უკან გადაეგდოთ და ერთმანეთში თითებშეყოფილი ხელები მუცლებზე ედოთ.

ქუთაისიდან გახლავართო, სამი გამღვიძებელი დახველების მერე აუწყა მასპინძლებს ჭიჭიამ.

გისმენთო, ერთმა.

თავები, რომ არ მოგატყუო, არ აუწევიათ.

ჩანდა, დაღლილები იყვნენ.

ჩვენ თვითონ გისმენთო, ჭიჭიამ.

ამ საქმეზე ვართ ჩამოსული და რა გავაკეთოთ, რავა იქნება ჩვენი საქმე, საით ვქნათ პირი, რას დაგვავალებთო.

გამომდგარი რო იქნება კაცი. მაინც რას ნიშნავს გამოცდილება, მარტო რო ვყოფილიყავი, ჯერ ერთი, ვერ გავბედავდი ამგენის გაღვიძებას და მეორეც... დევიწყებდი ლუღლუღს და მიდებ-მოდებას, რავაც ვიცი საერთოდ.

მე, ჭიჭია ვარ კვარაკვახიძეო, მეტი დამაჯერებლობისთვის დასძინა ჭიჭიამ.

სამეულმა ერთმანეთს შეხედა. ცნობით, რასაკვირველია, ვერ იცვნეს (რევოლუციის საქმეში ან ეგენი იყვნენ ძალიან ახლები, ან ჭაჭია იყო ძალიან ძველი), მაგრამ სამივემ მოიბოდიშა, გვაპატიეთ, გამოცვლილხართ და ვერც გიცანითო.

ეს კაცი იუზა სანდუხაძეა, ჩემი მეზობელი, ჩვენნაირათ მომართული კაციაო, გააცნო ჩემი თავი ჭიჭიამ მთავარბანაკის მორიგეებს, რომლებიც, როგორც შევატყვე, არც ჭიჭიას იცნობდნენ და მე – მით უმეტეს.

„მომართულს“ ფიქრით გავეკიდე. რა ჩემი საქმე იყო ჯანყობია და მიტინგობია. როის იყო პრეზიდენტებს ჭიჭიასავით ქვით რო დასდევდი, მარა გაცხარებული ცხვარივით მომივიდა.

მეტის მოთმენა ვეღარ შევძელი.

საპნის ფაბრიკაში ვმუშაობდი, მაქანა, გოჭოურაზე. ორ საპონს და ას ლარს მაძლევდნენ თვეში.

ერთ უბედურ დღეს გამოგვიცხადეს: დეიხურა ფაბრიკა, წაით სახლებშიო.

ვინ დახურა, ასე რანაირათ, სა წევიდეთ, რა ვაჭამო სამ ბაღანას-მეთქი?

შენ ჭურში ხვარ გძინავსო, მიპასუხეს, საპნის ფაბრიკა კი არა, ავტოზავოდი, აბრეშუმკომბინატი და სტეკლოტარა დახურეს ამგენმაო.

კი მარა, ე სამი ბოვში რო შიმშილით მომიკვდეს, ვის მოვთხოვო პასუხი-მეთქი.

ვის და სააკაშვილსო.

აი, ეს იყო სულ ჩემი გადარევის მიზეზი.

წელიწადი ვითმინე, მივდექ-მოვდექი, მარა რამდენი ჩემნაირი დაბორიალობს და დეისაწყლება ქუთაისში.

სადაა საქმე, სადაა სამუშაო... ამევიდა ყელში ამდენი ტყუილი, პარლამენტში ტყუილი, საკრებულოში ტყუილი, მერიაში ტყუილი...

ველარ გოვუძელი და გამოვყევი ჭიჭიას პრეზიდენტის გადმოსაგდებად.

რუსთაველზე ცელოფანშემოკრული, ახალთახალი მშვენიერი საკანი დაგვიდგეს მე და ჭიჭიას.

ორფა ლეიბები ზედ ასფალტზე დაგვიწყვეს და კარავს „დომსვიაზის“ მხარეს დიდი, წითელი ასოებით დააწერეს „19“.

მთელი ღამის ნამგზავრები მივეყარეთ და ქე მიგვძინებოდა.

შუადღისას დინამიკების ღრიალმა წამოგვყარა. ზედ ჩვენი კარვის გვერდზე დაელო პირი „გამაძლიერებელს“ და რუსთაველს აყრუებდა.

ჭიჭია რადიო-მანქანასთან მივიდა.

რადიოს თხაწვერა ბიჭმა ყური პირთან მიუტანა.

– დოუწიე ცოტა, – სთხოვა ჭიჭიამ.

– ვერ გავიგე? – ყურის მიკროფონი მოიხსნა თხაწვერამ.

– დოუწიე ცოტა, ღმერთი არ გწამს? – შეევედრა ჭიჭია.

– ბატონო, თქვენ ხომ თქვენს საქმეს აკეთებთ, ასე ვაკეთებ მე ჩემ საქმეს, – აუხსნა დინამიკების „სპეციალისტმა“.

– ცოტა რო დოუწიო, რა იქნება, ხალხი ვართ აქანა, დაგვისკდა ყურები, – შერბილებული კატეგორიულობით უთხრა ჭიჭიამ.

თხაწვერამ თავი დაუქნია და ზურგი შეაქცია.

დინამიკებს კი ხმა თუ მოუმატა, თორემ მოკლებით ნამდვილად არ მოუკლია.

ყოველდღე ორიდან გვიან საღამომდე გრიალებდა მიტინგი.

ზღვა ხალხი იდგა რუსთაველზე.

ჩვენი მომარაგების საქმე ასეთი იყო: თავიდან დღეში ორჯერ მოქონდათ „სუხოი პაიოკი“ (პური, იაფიანი ძეხვი, მოხარშული კვერცხი, სამი ვაშლი...) და ათი ლარი ფულათ ფული თითო კაცზე. მერე და მერე დღეში ერთხელ დეიწყეს „სუხოი პაიოკის“ მოტანა და ბოლოს მთლად შეგვიწყვიტეს. ათ ლარს გვირიგებდნენ და უნდა გვყოფნოდა.

გაგვქონდა თავი, რავარცხა იყო.

ჯერ ერთი, საკნებში ხალხი რო შეთხელდა (ჩვენს გასწვრივ ექვსი საკანი ცარიელი იყო), ფულის დამრიგებლებს არ ვუმხელდით: „ახლა აქ იყო, ალბათ პერერივზე გევიდა, დაგვიტოვეთ და ჩვენ გადავცემთ“, – ვეუბნებოდით ფულის დამრიგებელს. ტყუვდებოდნენ თუ თავს იტყუებდნენ, ქე გვიტოვებდნენ ხანდახან სამი-ოთხი საკნის ფულს და მეტი არც გვინდოდა, საჭმელი თავს არ გადაგვდიოდა, მარა არც საწუწუნოდ გვქონდა საქმე.

ო, რა ცეცხლს ანთებდნენ ჩვენი „ლიდერები“.

ტყუილია, ჩვენ რომ მიტინგის საქმე ვიცით, ვერავინ დედამიწაზე ვერ შეგვედრება.

ისე ომახიანად, ჟრუანტელისმომგვრელად ლაპარაკობდა ყოველი მოქადაგე, რომ მინდოდა მივსულიყავი და მეთქვა: ცოდოა სააკაშვილი, ცოტა შეიბრალე. ამ შენი გამოსვლის მერე გადადგომით ხომ უეჭველად გადადგება, მეშინია, თავი არ მოიკლას-მეთქი.

რვაზე მიტინგი რო შეწყდებოდა და ყურები დაისვენებდა, სულს მოვითქვამდით.

მიტინგის მერე იწყებოდა დიდი სახალხო სეირნობა:

„გამარჯვებული ხალხი“ სეირნობდა რუსთაველზე. იყო ერთი სემიჩკ-ნაყინობია და ჩურჩხელა-კანფეტობია. ვინ იცის, რა ხნის უნახავები ხვდებოდნენ ერთმანეთს.

ყოველ ფეხის ნაბიჯზე გაიგონებდი: „ეს ერთი კაი მაინც გააკეთა გადარეულმა სააკაშვილმა შენს თავს შემახვედრაო“.

მისალმება-მოკითხვის მერე ჩასაკნებულებს ჩამოგვივლიდნენ.

ისე გვათვალიერებდნენ, როგორც გალიის ლომებს; შიშით და აღტაცებით.

ხალხის თვალში ჭეშმარიტ გმირებად ვჩანდით.

გვამხნევებდნენ, გვეფერებოდნენ, მარა ჩვენ გვერდით ცარიელ საკნებში ღამის გათევაზე თავს იკავებდნენ.

„ცნობადი სახეები“ (ეს ტერმინი აქანა ვისწავლე) გამოჩნდებოდნენ ხანდახან. უკან ტელეგოგუები და აპარატიანი ბიჭები მოჰყვებოდნენ. ჩვენ ბოდიშის მოხდით საკნიდან გამოგვიყვანდნენ. თვითონ შევიდოდნენ, სააკაშვილის მიმართ გუშინ ნათქვამ წყევლა-კრულვას ერთ-ორ წყევლა-კრულვას მიუმატებდნენ და წავიდოდნენ.

ერთი თვის მერე მიტინგები შეთხელდა, მარა შეთხელებული ადგილები საკნებით შეავსეს.

თბილისის ცენტრი საკნებით შეივსო.

ან საკანს სად ამზადებდნენ ასე თათარიახნად, ან ამდენ ცელოფანს სად შოულობდნენ.

ღამის თორმეტი საათის მერე საკნების ახლომახლო ლოთები და ბოზები დაჩნდებოდნენ დაბარებულებივით მიადგებოდნენ იმ საკნებს, ვისაც სად ელოდებოდნენ.

მე და ჭიჭია თავს მევიმძინარებდით და პირველ ხანებში ვიგერიებდით „დოუპატიჟებელ სტუმრებს“, მარა მერე და მერე კაცები ვართ და ქე გევიარეთ ღამის გოგუებში (რომელი ცარიელი საკნები არ იყო ირგვლივ, ან ხელს შეგიშლიდა ვინმე). ერთი მაინც იმნაირი ლამაზი იყო და ისე საყვარლად სუნთქავდა (რავარც ახალნამშობიარევი უშობელი), რო მევიძვრე ი დასაწვავი რეზინა და მევისროლე – რად მინდა, გოგო, შენთან პრეზერვატივი, ღორის გრიპიც რო დემემართოს შენგან, არ ვინაღვლებ, იმნაირი კაი ხარ-მეთქი. მე შენი მეშინია, თვარა ჩემი იმედი გქონდესო, ერთი თვე არ იქნება, რაც ეს საქმე დევიწყეო... რა მოსაყოლი ეს იყო, მარა კაცები ვართ და ყველაფერი ხდება-თქვა, ზეით გითხარი, მართლაც, აშენდა მისი ოჯახი, სუფთა გოგო აღმოჩნდა.

ორი თვე რო გევიდა, ცოტა არ იყოს, შევფიქრიანდით მეც და ჭიჭიაც.

„რაცხა არ გამოდის ისთე, რავარც გვქონდა ჩაფიქრებულიო, – ამოიხვნეშებდა ხანდახან, – ბოლო პრეზიდენტის ჩამოგდებაზე სად იყო კარვობია და საკნობია, ორ დღეში გათავდა ყველაფერიო“.

„კი მარა, ჩვენ აქანა საკნებში გვძინავს და ის რაფერ გადადგება იქანა-მეთქი“, – ჩავილაპარაკებდი ჩემთვის.

„გადადგება, გადადგება, შენ ასწავლი ხაინდრავას? მეტი კი არაფერი უკეთებია. ჩვენდენი ცოდნა ერთ ნეკა თითში აქვსო“, – მეტყოდა ჭიჭია და „დამამშვიდებდა“, თუმცა ბოლო დღეებში თვითონაც არ სჯეროდა, რომ ხაინდრავას

(ან სხვა, ნებისმიერ ლიდერს) ჩვენზე მეტი ჭკუა ცალ ნეკა თითში ეტეოდა.

ჭიჭიას მობილური ჰქონდა და ათ დღეში ერთხელ მარეკიებდა ცოლთან.

ჩამოვწერე ნათესავ-ნაცნობების სახელები და ვაგზავნიდი ფულის სასესხებლად, რამეფრად გეიტანეთ თავი ნასესხები ფულით, ბევრი აღარ დარჩა, მალე გავათავებთ ამ საქმეს და ჩამოვალ გამარჯვებული-მეთქი, ვაიმედებდი თანამეცხედრეს.

ბოლო დარეკვები სასოწარკვეთილებაში მაგდებდა.

ყურმილში გააფთრებული ცოლის ღრიალი კი არა, ხრიალი მესმოდა: „არ ჩამოგიყვანა გამჩენმა მაქიდან! შე უსაქმურო, შე სალახანა! ეს ბოვშვები ჩემია მარტო?! პოლიციაში უნდა მივიდე ხვალ და პატრულს უნდა ჩამოვათრევიო შენი თავი! გაკოჭვის ღირსი ხართ ორივე, შენ და მაგ ლოთი ჭიჭია!“

„ქალო, მე საქმე მაქ აქანა, კი არ ვგლახაობ, მიხარია ორი თვე საკანში ჯდომა?!“ – ვიყვირებდი ჩემდათავად, მაგრამ ცოლი ყურმილს გაცილებით უფრო ადრე დაახეთქებდა და ჩემი საბუთიანი მიზეზი, როგორც ჩანს, არ ესმოდა.

ჩემი გამობრძმედილი თანამებრძოლი – ჭიჭიაც ნელ-ნელა მეცლებოდა ხელიდან.

რაც ოპოზიციის ბელადებზე გული გაუტყდა, ჭიჭია გულჩათხრობილი გახდა და, ვიღას დავუმალო, სმას მიეძალა.

წავიდოდა, მოიტანდა ერთ ბოთლ არაყს, რაკი მე „საბუტილნიკად“ ვერ გამოვადგებოდი (არაყს არ ვსვამ), ამოიღლიავებდა და სხვა საკანს მიადგებოდა.

ნაშუაღამევს ბრუნდებოდა მთვრალი მიეგდებოდა და დილამდე თავდაღმა ეძინა.

ლოთები საერთოდ დილით ადრე დგებიან და სერიოზული სახეებით გარბიან თავიანთ ლოთურ საქმეებზე.

18 ივლისს რყევამ „გამომაღვიძა“. წამოვხტი. ჭიჭია წასულია „პახმელიაზე“ გამოსასვლელად.

გამოვვარდი გარეთ.

ჩვენს საკანს ოთხი გადაუცმელი პატრული დატაკებია და ეჯაჯგურება.

გულმა რეჩხი მიყო.

აქამდე სულ გადაცმული პატრული ჩანდა ჩვენს სიახლოვეს და ახლა რაკი ასე ღიად მოგვვარდნენ, რაღაცაშია საქმე-მეთქი.

ამასობაში ამოაძვრეს ასფალტზე პოლის ლურსმნებით ჩამაგრებული ჩემი საკანი და პირველი გიმნაზიის ჩასახვევისკენ მიახრიგინებენ.

მივიხედ-მოვიხედე ასეთ დღეშია სხვა საკნებიც.

რა წყალს ვეცე.

ჭიჭია მაინც ეგდოს აქანა. მე მევერევი პატრულს?

რას შობით! სა მიგაქვთ ეს საკანი! ვინ მოგცათ ნება! ჩვენ მშვიდობიანი მესაკნეები ვართ-მეთქი, ვიყვირე მეც, რავარც სხვები ყვიროდენ.

უნდა გადავწიოთო, მიპასუხეს.

რატო უნდა გადავწიოთ, გლახათ იდგა აქანა-მეთქი?

სტუმარი ჩამოდის და თვალში მოხვდებაო.

მეიცათ, მეიცათ! ეს საკანი ჩემი კარაა, რა პასუხი გავცე, ვინც ჩაგვაბარა, ვინც დაგვიდგა-მეთქი.

ჩვენთან გამოუშვიო.

კი მარა ასე გესმით, ბიჭო, თქვენ დემოკრატია? არ გრცხვენიათ-მეთქი? ვეცადე ნამუსში ჩამეგდო პატრული.

ჩვენ ასე გვიბრძანეს, თვარა კი არ გვეხალისება ამ სიცხეში თქვენი ჭუჭყიანი ლეიბების თრევაო.

რო წავა სტუმარი, ისევ დაგვიდგამთ ამ კარვებს თავის ადგილოზე-მეთქი? წყალწაღებულივით ხავსს ჩავებღაუჭე.

წადი, წადი, ბიძია, საქმე ნახეო.

რას ჰქვია საქმე ვნახო, აპა, რას ვაკეთებ აქანა სამი თვეა-მეთქი, ვითომ თავი მევისაწყლე.

შენ ლოთიანად, კრუხის თავი ხომ არ გიჭამია. ჩაგსვამ ახლა მანქანაში და გაწრუწუნებ თაგვივით განყოფილებაში. ერთ-ორ გემოიან ჟაჟს გამოგიწერ და გახეხიებ 30 დღეს პარაშკასო, – დამემუქრა მხარბეჭიანი პატრული და თვალებში ეტყობოდა, რაც თქვა, იმის გამკეთებელი იყო.

მოვშორდი.

რა მექნა?

თავს ზეით ძალა არ იყო.

... იმ საღამოსვე მე და ჭიჭია ქუთაისში დავბრუნდით.

ჰო, დამავიწყდა; წამოსვლის დროს შტაბში შევიარეთ იღბლად, იმ სამიდან ერთი, ბობრი მორიგე დაგვხვდა.

ახლა ასთეა საჭიროვო, ასეთი ტაქტიკა და სტრატეგია შევიმუშავეთო, სექტემბერში ისევ დაგიძახებთო.

ჭიჭიასი არ ვიცი და მე, ჩემდათავად, აქეთ ამ საქმეზე პირს აღარ ვიზამ.

ისე, ჩვენ შორის დარჩეს და, არც ეგენი არიან დამძახებლები, ისე შევატყვე ლაპარაკში.

მკურნალი

ჯერ ტელეფონმა დარეკა. იუზამ მაშინვე აიღო. გისმენთ, გისმენთო, ჩასძახა, მაგრამ არავინ გაეპასუხა. ყურმილში უცნობის სუნთქვაც კი ისმოდა. ჩანდა, იგი ყურმილის დადებას არ აპირებდა. ოციოდე წუთში კარებზე კაკუნი გაისმა. მასპინძელი ელოდა იმ კაკუნს. საიდუმლო რეკვას კაკუნი ხშირად მოჰყვებოდა. ხან მილიციის ქვეგანყოფილების რწმუნებული შემოივლიდა, ისე, დროის მოსაკლავად. ხან სახალხო ფრონტის დაბნეული წევრები აკითხავდნენ, ხან ფინაგენტი მოვიდოდა და ხანაც იუზას „მოღვაწეობით“ დაინტერესებული მეზობელი შემოიხედავდა; გუშინ აქ, შემთხვევით, ქუდი ხომ არ დამრჩენიაო.

გააღო. პარმაღზე პირმრგვალი, თაგვისფერმოსასხამიანი, გრძელქოჩორა, წითური, შუახნის მამაკაცი იდგა.

– მაპატიეთ, უხერხულ დროს ხომ არ მოვედი? – უცნობს ორივე ხელი მოსასხამის ჯიბეში ეწყო.

– ჩემთან ბრძანდებით? – იუზამ უკან დაიხია.

– დიახ, – ეს სიტყვა სტუმარმა უკვე ოთახში წარმოთქვა, – ცოტა სალაპარაკო მქონდა, თუ შეიძლება.

– შეიძლება გკითხოთ, ვისთან მაქვს საუბრის პატივი? – იუზას ტონს ირონია აშკარად დაეტყო.

– ახლავე აგიხსნით ყველაფერს. არ შეგეშინდეთ, კეთილის მსურველი ვარ.

– რა ბრძანებაა. შიშს კარგა ხანია გადავეჩვიე. გისმენთ ყურადღებით.

უცნობმა მოსასხამი გაიხადა, სკამზე გადაჰკიდა, მაგი-

დას მიუჯდა, თითები ერთმანეთში გაუყარა და იუზას შეხედა.

– მე ფსიქიატრი გახლავართ. ფსიქონევრულ კლინიკაში ვმუშაობ, შროშის შესახვევში.

– ძალიან სასიამოვნოა.

– სამსახურებრივ საქმეზე ვარ. პროფილაქტიკის მიზნით ყველამ უნდა გაიაროს ფსიქოშემოწმება, გასაუბრება მაინც. ეს ჩემი უბანია.

– კი ბატონო. ეს ახალი ამბავია?

– დიახ. ახლა შემოიღეს, მოგეხსენებათ ნერვული საუკუნეა.

– ჩემთან, მე მგონი, პრობლემები არ გექნებათ. თქვენი ხაზით არა მიშავს-რა.

– აგაშენათ ღმერთმა. ისე ჩვენ შორის დარჩეს და თავიდან ყველა ასე ამბობს, – უცნობს გაეცინა.

– ბატონი ბრძანდებით.

უცნობმა უჯრედებიანი ქაღალდი ამოიღო ჯიბიდან და წინ დაიდო.

– თუ შეიძლება, ბელგიური ტესტით გათვალისწინებულ რამდენიმე შეკითხვას მოგცემთ, ბატონო იუზა.

– რატომ მაინცდამაინც ბელგიურით?

– მოკლე ტესტია, დასაწყის სტადიას ლამის შეუმცდარად ადგენს.

– აბა ჰე.

– ბატონო იუზა, დილით სახლიდან რომ გადიხართ, ქუჩაში გასვლის შემდეგ თუ გახსენდებათ, რომ გაზი არ ჩაგიქვრიათ, ან კარები ღიად დაგრჩათ?

– დიახ, რასაკვირველია.

– ხშირად გემართებათ ასე?

– ძალიან ხშირად.

– ბრუნდებით, და ირკვევა, რომ ყველაფერი რიგზეა კარებიც დაკეტილია, გაზიც გამორთული და ონკანიც მოჭერილი.

– დიახ.

უცნობმა რომელიღაც უჯრედს ჯვარი დაუსვა.

– ბატონო იუზა შუაღამისას თუ გამოუღვიძებიხართ კაკუნს კარებზე.

– არა მარტო შუაღამისას.

– იცით, მე რომელ კაკუნზე მოგახსენებთ? წამოდექით, მიირბინეთ კარებთან, გააღეთ და იქ არავინ დგას, მოგეჩვენათ.

– იყო ასეთი შემთხვევაც.

– როდის მოგეჩვენათ უკანასკნელად?

– არ დამიმახსოვრებია, ალბათ, ორი თვის წინათ.

– კეთილი.

უცნობმა კიდევ ერთ უჯრედს დაადო ნიშანი.

– ბატონო იუზა, ძილი როგორი გაქვთ?

– დაღლას გააჩნია.

– რას?

– თუ ძალიან დავიღალე ადვილად მეძინება.

– პირიქით, ძლიერი დაღლისას ცუდად უნდა გეძინოთ.

– ხან როგორ და ხან როგორ.

– სიზმრებს ხედავთ?

– ძალიან ხშირად.

– სიზმრებში ზოგჯერ დიდი ხანძარი ხომ არ გაერევა, ან წყალდიდობა, ან ზვავი მოდის ზემოდან და ენერგიულად ცდილობთ გადაასწროთ, რომ თოვლში არ ჩაიჩუმქროთ.

– არც უმაგისობაა.

– ფერად სიზმრებს ხედავთ?

– არ დავკვირვებივარ.

– ხომ არ გყავთ რამდენიმე ისეთი ნაცნობი, რომლის ნახვის შემდეგ, მთელი დღე ცუდ გუნებაზე დგებით, აფორიაქებული ხართ, ადგილს ვერ პოულობთ, თუ ის ნაცნობი დარბაზში აღმოჩდა, ჩქარა გინდათ გახვიდეთ იქედან.

– კი ბატონო, ორი-სამი ასეთი ნაცნობიც მყავს.

სტუმარმა ორ უჯრედსაც დაუსვა ჯვარი, ქაღალდი დაკეცა, გულისჯიბეში ჩაიდო და იუზას მიმართა:

– ბატონო იუზა, ვერ გეტყვით, რომ მოულოდნელი იყო ტესტის შედეგი ჩემთვის. თქვენი ფსიქიკური წყობის და ტემპერამენტის მქონე მარტოხელა კაცისთვის ეს მოსალოდნელიცაა. ათიდან, ალბათ, სამს მაინც ექნება.

– რა ექნება?– იუზამ გულხელი დაიკრიფა და ფსიქიატრს გაუღიმა.

– თქვენს ავადმყოფობას ჰქვია ნევრასთენიის პირველი სტადია. ავადმყოფობა ამ სტადიაზე საშიში არ არის, მაგრამ თუ დროზე არ მივხედეთ, შეიძლება, საშიში რეციდივები მოჰყვეს.

– აჰა, – იუზამ მრავალმნიშვნელოვნად ამოიოხრა. იგი თვალს თვალში უყრიდა სტუმარს, – ჩემგან რა არის საჭირო?

ექიმმა ჯიბიდან ქაღალდი ამოიღო და წინ დაუდო:

– ეს განცხადების ბლანკია. უნდა შეავსოთ. თქვენ აცხადებთ, რომ საჭიროებთ მკურნალობას და სთხოვთ ჩვენს ფსიქონერვულ დისპანსერს, რომ აგიყვანოთ აღრიცხვაზე და, თუ საჭირო გახდა, სტაციონარულადაც გიმკურნალოთ.

იუზამ ქაღალდი განზე გასწია, წამოდგა, ოთახში გაიარ-გამოიარა, მერე ისევ დაჯდა და სტუმარს მოწყენილად შეხედა.

– შემოსვლისთანავე ვიცოდი, რა საპატიო საქმეზე ბრძანდებოდით. თუ ძმა ხარ, წადი შენს გზაზე. არ გამოვა არაფერი-თქო, გადაეცი, ვინც გამოგგზავნა.

უცნობმა სიგარეტი ამოიღო და გააბოლა.

– ეგ იოლი საქმეა. წავალ, მაგრამ ერთი რამ მინდა იცოდე.

– ჰო.

– ჩვენ, ალბათ, კიდევ ბევრჯერ შევხვდებით ერთმანეთს და, შეიძლება, ოდესმე დარწმუნდე, რომ მე აქ შენს გადასარჩენად მოვედი.

– დიდი მადლობა.

– ამ შემთხვევაში ჩვენთან მკურნალობა შენთვის ყველაზე კარგი გამოსავალია.

– რა მჭირს სამკურნალო?

– შენც ნუ იმკურნალებ, იქნები ჩვენთან აღრიცხვაზე.

– რატომ, ბატონო, რისთვის?

– ყური დამიგდე, იუზა. საშიშ გზაზე რომ დგახარ, ჩემზე უკეთ იცი. მთავრობის წინააღმდეგ აშკარად გამოსვლას და ახალგაზრდების აბუნტებას რომ არ გაპატიებენ, მე მგონი, ამაშიც ეჭვი არ გეპარება. მე, ერთი უბრალო ექიმი ვარ, მაგრამ გული მიგრძნობს, თუ შენის ნებით მკურნალობაზე უარი თქვი, შეიძლება სხვა ზომებს მიმართონ.

– მაგალითად?

– რად გინდა ახლა, მე რომ გითხრა მაინცდამაინც. ან დებოშში მოგახვედრებენ და ხულიგნობის მუხლს აგკიდებენ, ან ნარკოტიკს ჩაგიდებენ ჯიბეში და ნარკოტიკის გამავრცელებლის მუხლით გაგიშვებენ, ან, ღმერთმა დაგიფაროს, ავტოკატასტროფაში მოგახვედრებენ. თუ ძმა ხარ, მე რომ გითხარი, ეს არსად წამოგცდეს, თორემ დავიღუპები. რად გინდა შენ ჩემი ცოლ-შვილის ცოდვაში ჩადგომა.

– რას ვაკეთებ ასეთს. ამიხსენით ერთი.

– ეგ მე არ მეხება. მე პატარა კაცი ვარ-მეთქი, გითხარი. როცა უნდათ, მაშინ მოძებნიან რამდენ მოწმესაც გინდა,

რომლებიც დაადასტურებენ, რომ შენ მათს შვილებს გონებას ურევ და სასაკლაოზე აგზავნი.

– თუ შევავსებ ამ ბლანკს, როგორ ფიქრობ, თავს დამანებებენ?

– აუცილებლად.

– ავარიის და დებოშის აღარ უნდა მეშინოდეს?

– პატიოსან სიტყვას გაძლევ. უკვე ჩვენ ვაგებთ შენზე პასუხს. ჩვენ კიდევ, სანამ ქვის სროლას არ დაიწყებ, ხმას აღარ გაგცემთ.

– მერე? ეს რომ ოდესმე ვინმეს მართალი ეგონოს?

– რას ჰქვია ოდესმე? შე კაი კაცო, ნაპოლეონზე, ვოლტერზე, ბაირონზე, მიქელანჯელოზე დიდი კაცი ხარ? ყველანი ესენი ნევრასთენიით იყვნენ შეპყრობილი, მაგრამ მათი სახელისთვის ამას ჩრდილი არ მიუყენებია.

– მე სხვა რამეს ვამბობ. ხომ შეიძლება ეს ქაღალდი ხვალვე გამოიყენონ ჩემ წინააღმდეგ. დაბეჭდავენ გაზეთში ნევრასტენიკიაო.

– გარანტიას გაძლევ. ჩვენი სამსახური ავადმყოფობის საიდუმლოებას უზრუნველჰყოფს.

...ექიმმა და „პაციენტმა“ იმ ღამით დიდხანს ისაუბრეს.

კიდევ ერთი დაავადებული მიემატა ფსიქონევრულ ავადმყოფთა გრძელ სიას.

როდემდე?

ტელესტუდიის რეჟისორი ვაჟა ბაკურაძე მიტინგის მონაწილეთა შორის თავის ქალიშვილს დაეძებდა.

ღვინობისთვე ახალი დამდგარი იყო, მაგრამ საღამოობით კარგად ციოდა და ვაჟა უკვე ნანობდა, რომ თეთრი, თხელი მოსასხამის ამარა იყო გამოსული და მოსასხამის შიგნითაც შილიფად ეცვა.

ნანა არაფორმალური გაერთიანების წევრი გახლდათ და ვაჟას დიდი იმედი როდი ჰქონდა, რომ ქალიშვილს ამ გაგანია მიტინგს მოსწყვეტდა, მაგრამ თვალს ხომ შეავლებდა და ორიოდე დამრიგებლურ ფრაზას ხომ ესროდა. ესეც საქმე იყო.

გაქვავებულნი იდგნენ მემიტინგენი და სანთლის ფიგურები მხოლოდ იმიტომ არ გეგონებოდათ, რომ დროდადრო ტაშს დასცხებდნენ, ან მუშტების მაღლა შემართვით დაიქუხებდნენ: „გაუმარჯოს!“

დააბიჯებდა თეთრმოსასხამიანი რეჟისორი შავ-სერ ქურთუკ-ჯუბაჩებში გამოწყობილ ადამიანთა შორის და დროდადრო საათზე დაიხედავდა. ამ საღამოს ტელევიზიაში ჩაწერა ჰქონდა და ეშინოდა, არ დაგვიანებოდა.

– ბატონო ვაჟა, – ვიღაცამ მხარზე ხელი დაადო. ვაჟამ მოიხედა: ტყავისპლაშჩიანი, მაღალი უცნობი ედგა წინ.

– თუ შეიძლება, თქვენთან სალაპარაკო გვაქვს.

– კი ბატონო.

– კუთხეში მივდგეთ, აქ უხერხულია.

პლაშჩიანი კუიბიშევის სახელობის სკოლა-ინტერნატის შენობისკენ წავიდა. ბაკურაძე მიჰყვა.

მოფარებულზე კუთხეში, სამი კაცი იდგა. სამივეს რატომღაც ერთნაირი, შავი ტყავის, გრძელი მოსასხამები ეცვა.

– გაიცანით, ჩვენი თანამშრომლები არიან.

ვაჟამ ყველა მათგანს ხელი ჩამოართვა, თუმცა ჯერ არც ის იცოდა, გამცნობი რა უწყების წარმომადგენელი იყო.

– ბატონო ვაჟა, თქვენს ქალიშვილს დაეძებთ, ალბათ. – ვაჟამ ჩოფურა „თანამშრომლის“ ნათქვამში ნაძალადევად ალერსიანი კილო დაიჭირა და თვითონაც იმავე ინტონაციით უპასუხა.

– დიახ.

– აქ არის, – დაამშვიდა იგი მაღალმა, ბოხხმიანმა კაცმა, რომელსაც მარცხენა ხელზე ხელთათმანი ეკეთა და მეორე ხელთათმანიც იმ ხელთათმნიან ხელში ეჭირა.

– მერე და რატომ გავიწყდება მამის ვალი? – ლამის ყურში ჩასძახა ვაჟას გვერდით მდგომმა, ულვაშიანმა, ჭაღარა მორიგემ.

– რას გულისხმობთ? – დაიბნა რეჟისორი.

– ძალიან კარგად იცით, რომ თქვენი ქალიშვილი პატრიოტობანას თამაშობს, – ისევ ჩოფურას ხმა იყო.

– იქნებ სულაც არ თამაშობს. – მიუბრუნდა ბაკურაძე.

– მით უარესი მისთვის.

– მე იგი ჩვეულებრივ გოგოდ გავზარდე. რამდენადაც შემეძლო, ქვეყნის ყაყანს ვარიდებდი.

– იცოდეთ, ეგ თამამი ბავშვები ცუდად დაამთავრებენ. – იმ კაცმა თქვა, ვინც ვაჟა მიტინგიდან გამოიხმო.

– ისინი ჯერ მხოლოდ იწყებენ. – ვაჟამ გაიფიქრა, თუ მაგრად არ დავხვდი, ეტყობა იერიშის მოტანას აპირებენო.

– ცუდად დაიწყეს! – თქვა ჭაღარამ.

– ეგ თქვენი აზრია.

– წაიყვანეთ და დააბით სახლში პოლიტიკურ ხულიგანთა ეგ თქვენი ჟანა დარკი, მამაჩემსა აქვს ცხონება, სანამ გვიან არ არის! – კბილებში გამოსცრა ჩოფურამ.

– სამწუხაროდ, გვიან არის! – უკან არ დაიხია ვაჟამ.

– ახლა ანდაზების დრო არაა. თქვენ მამა ხართ, შვილი უნდა გადაარჩინოთ, მორჩა და გათავდა! – კატეგორიულად უთხრა მაღალმა.

– თქვენ ხომ გყავდათ ერთხელ, ხომ დაკითხეთ?

– მერე? შეაყარე კედელს ცერცვი.

– აბა, მე რა ვქნა, მითხარით, როგორ მოვიქცე?!

– გამომწვევად ნუ გველაპარაკები. იცი შენ ძალიან კარგად, რეჟისორ კაცს თავზე ხელს რომ არ დაგისვამენ. – ჩოფურა ოფიცერი აშკარად გაბრაზებული ჩანდა.

– როგორ არ ვიცი. მსოფლიოში ერთადერთი ქვეყანა ვართ, შვილის საქციელისთვის მამასაც რომ პასუხს აგებინებენ.

– აქამდე ხომ არ მოვსულვართ შენთან. თუ ფიქრობ; ციდან მოდიოდა ის პრემიები და საზღვარგარეთ გადაღებები? – ჭაღარამ ლამის ჩურჩულით თქვა.

– ჩვენი ერთი სიტყვა საკმარისია და შენი გვარის ჭაჭანება არ იქნება არსად. – იმუქრებოდა ხელთათმნიანი.

– ვიცი, ეგ რომ შეგიძლიათ, მაგრამ რატომ არ ფიქრობთ იმაზე, რომ დაშინებისა მეც კარგა ხანია აცრილი მაქვს.

– შენ არავინ გაშინებს, შვილის გადარჩენა თუ გინდა, უნდა დაგვეხმარო, – ხმა დაუთბა მაღალს.

– რაში კონკრეტულად?

– არ გჭირდებათ ჩვენთან ეგ ირონია. მერე ძალიან იცით ხოლმე ცრემლის გადმოყრა: მშობელი ვარ, ანგარიში გამიწიეთო, – ჩაილაპარაკა ჩოფურამ.

– გადასარჩენი რა დააშავა ჩემმა შვილმა?

– დიდი ხანია ვუთმენთ. ჩვენც დავიღალეთ, ბოლოს და ბოლოს, ჩვენც ხალხი ვართ. ყველაფერს თავისი საზღვარი აქვს. – თქვა ხელთათმნიანმა და დააყოლა: – ორმოცდათექვსმეტი წელი თქვენ მაინც გემახსოვრებათ.

– ეგ არ არის მუქარა?

– როგორც გინდათ ისე გაიგეთ. თქვენი შვილები სწორედ იმან გაათამამა, რომ რეპრესიებზე უარი ვთქვით, – ჩოფურამ პლაშჩის ღილები შეიხსნა და ისევ დაიწყო შეკვრა.

– თქვენ არ გითქვამთ, ჩვენ გათქმევინეთ.

– ჰოდა, რაკი „თქვენ გვათქმევინეთ“, არ უნდა გეუბნებოდეთ, მაგრამ კარგად დაიხსომეთ; როგორც გვიბრძანებენ, ისე მოვიქცევით და მერე გვიან იქნება.

ჩოფურას არ მოეწონა ხელთათმნიანის ნათქვამი და შეუბღვირა.

– რა ლაპარაკია ეს? თქვენ თქვენი შვილი გიყვართ? – სერიოზული სახით ჰკითხა ვაჟას.

– დიახ.

– ჩვენ გვინდა თქვენს შვილს ხიფათი ავაცილოთ, თქვენც ხომ ეს გინდათ?

– რასაკვირველია. მაგრამ იგი უკვე გამოვიდა იმ ასაკიდან, როცა ბავშვის თავმოყვარეობასთან თამაში ჯერ კიდევ შეიძლება. ნანას თავისი შეხედულებები აქვს.

– არ დაიჯეროთ, არავითარი შეხედულებები მათ არა აქვთ. მოსწონთ უბრალოდ გაფიცული, გაბუტული, დემონსტრანტი ახალგაზრდების პოზა. – თქვა ჭაღარამ.

– წიგნს რომ არ მოჰკიდონ ხელი და საქმე რომ არ აკეთონ, გამოუგონეს თავის თავს რევოლუციონერობა. მე ვინ მკითხავს თვარა, წავკრავდი თითო ჭიტლაყს იმ გახურებულ

თავში სუყველას და შევრეკავდი, სადაც საჭიროა. – ჩოფურას ნერვები აშკარად ღალატობდა.

– კიდევ კარგი, შენ რომ არ გეკითხებიან. ბოლოს და ბოლოს, რას აშავებენ, ცუდს რას ამბობენ? მეტი თავისუფლება იყოსო, ჩვენს ენას ნუ დავკარგავთო, ისტორიულ ძეგლებს ნუ დაანგრევთო. თქვენ არა ხართ ამ აზრის?

– ყველაფრის თქმას თავისი ადგილი აქვს. რად უნდა ამას დემონსტრაცია. – განაცხადა ხელთათმნიანმა.

– დემონსტრაციის უფლება კონსტიტუციაში წერია. – ვაჟამ ხელი ხელს გაუტყაპუნა.

– ახლა გაგახსენდათ კონსტიტუცია? კონსტიტუციაში ეს ოცდაათი წლის წინათაც ეწერა, რატომ არ მართავდა თქვენი თაობა დემონსტრაციებს? – გაცხარდა ჭაღარა.

– როცა გავმართეთ, ტყვია დაგვასხით თავზე.

– ჰოდა, გამარჯობა შენი.

– წარმოიდგინეთ, რომ ჩვენი შვილები ერთ მშვენიერ დღეს გულგრილნი აღმოჩნდნენ ჩვენი ენის, ჩვენი ეროვნული პასპორტის მიმართ, ხომ იქნება ეს უბედურება? – კითხვა ამჯერად ვაჟამ დასვა.

– უნდა გაიგოთ, ისინი ახლაც გულგრილნი არიან. ეს ბრძოლა შირმად ააფარეს მათ მიერ ჩვენთვის მორთმეულ „საჩუქრებს“ – ნარკომანიას, ტოქსიკომანიას და ვინ იცის, კიდევ რა მანიას არა! – მისი ჩინისათვის შეუფერებლად აუწია ხმას მაღალმა მაიორმა.

– როგორ გეკადრებათ. თქვენ შვილები გყავთ?! – მიუბრუნდა ვაჟა მაიორს.

– დიახ.

– მერე რატომ აძლევთ თქვენ თავს უფლებას თქვენს შვილებზე ასე ზიზღით ილაპარაკოთ?

– სწორს გეუბნება. – უთხრა ჩოფურამ მაღალს. – სიტყვებს დაუკვირდი. – ვაჟას მოუბრუნდა – ბატონო ვაჟა, ჩვენც უნდა გაგვიგოთ, დავიღალეთ. იდექით, აბა, ქუჩაში დღე და ღამე და იმის შიში გქონდეთ, ვინმემ ქვა არ გესროლოთ.

– რატომ გეშინიათ, რა ხდება ასეთი?

– ხომ ხედავთ, რაც ხდება. გამოვა ორმოცდაათი გულუბრყვილო ახალგაზრდა, მოვა პრავაკატორი, აქ მიტინგიაო და ჩაიგდებს ხელში ტრიბუნას – ჭაღარა ოფიცერი ქუსლებს ისე უბაკუნებდა ერთმანეთს, გეგონებოდათ „მაზურკას“ ცეკვავსო.

– მერე. რას იტყვის იმ ტრიბუნიდან! დააქცევს ვითომ ქვეყანას?

– რას არ იტყვის, ენას ძვალი არა აქვს.

– შევთანხმდეთ, თქვენ სწორედ იმის გეშინიათ, ის დიდი და მწარე სიმართლე რომ არ ითქვას, ყველას რომ ენაზე გვადგას. მეც და თქვენც.

– სხვაგან თქვით, დაწესებულების კედლებში თქვით, ოჯახში თქვით, სუფრაზე თქვით, თუ მაინცდამაინც, ეგ ოხერი სიმართლე, მაინცდამაინც ქუჩაში უნდა თქვათ? – არ ცხრებოდა ჩოფურა.

– ესეც არ იყოს, რაღა ბავშვებს მიანდეთ ისტორიასთან ჯაჯგური. რაო, პასუხისმგებლობის გეშინიათ? – ჩოფურას მაიორი წაეხმარა.

– ეგეც თქვენი დახმარებით მოხდა. თანაც არ დავმალავ და, ისინი ჩვენზე გაბედულები არიან.

– სწორედ ამგვარმა დამოკიდებულებამ შეასხა ფრთები თქვენს შვილს, ვინ დააბრალა გაბედულება ამ გუშინდელ ღლაპებს? ვინაა მაგათზე ნაკლები პატრიოტი? – ჭაღარას გული აუჩუყდა.

– ჰო, რასაკვირველია, პატრიოტობის დაჩემება ძნელი არ არის, როცა იღლიასთან, ტყავის ბუდეში რევოლვერი გაქვს და უდანაშაულო კაცის ყურის აწევა სამსახურებრივად გევალება. – ვაჟას თვითონვე მოეწონა თავისი გაბედულება.

– ბევრი ლაპარაკის დრო არ არის. ერთი სიტყვით, თუ თქვენი შვილისთვის სიკეთე გინდათ, გაარიდეთ დემონსტრაციას. სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ, ქალის საქმე არ არის ეს. – დაუყვავა ჩოფურამ.

– ხოლო კანონის წინაშე ქალიც და კაციც ერთნაირად აგებს პასუხს. – დაამატა ჭაღარამ.

– თოთხმეტში აპირებენ რაღაცას. ამას ყველას არ ვეტყოდით, მაგრამ თქვენი პატივისცემა გვალაპარაკებს. თოთხმეტში გვერდით იყოლიეთ, ხელიდან არ გაუშვათ. მე ცრუმორწმუნე არა ვარ, მაგრამ დამიჯერეთ, ცუდი წინათგრძნობა მაქვს. – თითქოს დიდ საიდუმლოს ანდობსო, უჩურჩულა მაღალმა.

ქაშუეთიდან ზარების რეკვა მოისმა. ერთმანეთის მიყოლებით, იდუმალი გახედვა-გამოხედვით გაქრნენ სამნი. ვაჟასთან მარტო ხელთათმნიანი დარჩა.

იგი მიუახლოვდა რეჟისორს და დარცხვენილი მოწაფესავით წინ დაუდგა.

– გითხრათ სიმართლე, ბევრი რამ მეც არ მომწონს. თავის დროზე ყველაფერი გაირკვევა, მაგრამ ჯერ ნაადრევია. ჩვენმა შვილებმა თავი უნდა შეინახონ. უაზრო მსხვერპლის გაღება არ ღირს. გადაეცით ჩემი მოკითხვა თქვენს ქალიშვილს და უთხარით, ჯერჯერობით ჩამოშორდეს დემონსტრაციებს. განსაკუთრებით თოთხმეტში გვიჭირს. გაფრთხილებული ვართ! თოთხმეტში სახლიდან ნუ გამოვა!

ეს რომ თქვა, მარჯვენა ღონივრად ჩამოართვა და აღმართს ლამის სირბილით აუყვა.

რვას აღარაფერი აკლდა, როცა, როგორც იქნა, იპოვა თავისი ქალიშვილი ვაჟამ. იდგნენ მეტროს წინ ორნი და გამვლელ-გამომვლელს ქაღალდზე ხელს აწერინებდნენ. ვაჟამ მაშინვე იცნო ვაჟი, ნანას თანაკურსელი დათო იყო. იცოდა მისი ქალიშვილი გულგრილი არ იყო ამ შავწვეროსანი კოლხის მიმართ, მაგრამ მამას ამის შესახებ ჯერ არას ეუბნებოდა და ვაჟაც, რასაკვირველია, არ ეკითხებოდა. ნახევრადდანგრეულ კედელთან, ძელსკამზე ჩამოსხდნენ. კედლის მიღმა, ქუჩაში ყაყანი ისმოდა და მილიციის მანქანის რადიორუპორის ხმა: „გაანთავისუფლეთ ტროტუარი“, „დაიშალეთ“, „ტრანსპორტს მოძრაობას ნუ უშლით“, „დაბრუნდით უკან, აქ გადასვლა არ შეიძლება“, „თქვენ რა, თბილისში პირველად ხართ?!“

– ღმერთო, რა საცოდავები არიან, ღმერთო, როგორ ეშინიათ! – ნანა აღგზნებული ჩანდა და ისტერიკაში ჩავარდნილივით ლაპარაკობდა.

– ნანა, დაწყნარდი! – უთხრა დათომ.

– ხელი შეგიშალეს ხომ ცუდმა ბიძიებმა, – ცოტა არ იყოს ირონიულად ჩაურთო ვაჟამ.

– ჩვენ ისედაც მალე დავიშლებოდით, მაგრამ რა უფლება ჰქონდათ! – დათო „უფლებას“ ხაზგასმით წარმოთქვამდა.

– შენ ეგა თქვი, ყური ხომ არ აგვეწია „წესრიგის დამცველთათვის?“

– ტრანსპორტის მოძრაობას ხელს უშლითო, ღმერთო, რა დამფრთხალი სახეები ჰქონდათ. მოძრაობასთან ჩვენ რა გვესაქმება-მეთქი, – თმები უკან გადაიყარა ნანამ.

– ეგაო, რასაც თქვენ აკეთებთ, ხულიგნობააო. რატომ არის ხულიგნობა? – დათო სიბრაზის დაფარვას ცდილობდა.

– თქვენი არ მიკვირს? ხომ უკეთესი იქნებოდა: თქვენ წყობილების საწინააღმდეგო სიტყვებს ჭიკჭიკებდეთ, ისი-

ნი ახლომახლო იდგნენ და ტაშს გიკრავდნენ, აჯობებდა ხომ? ის, რაზეც თქვენ ასე აღშფოთებით ლაპარაკობთ, იმ კაცების სამსახურია.

– რა სამსახური?

– რა და მთავრობა ფულს იმაში უხდით, რომ საზოგადოებრივი სიმშვიდის ილუზია შექმნან და დაუგეგმავ მიტინგ-დემონსტრაციებს ხელი შეუშალონ. – განუმარტა ვაჟამ ახალგაზრდებს.

– ისიც სამსახურებრივად ხომ არ ევალებათ, ქუჩაში გააჩერონ უდანაშაულო კაცი და გაჩხრიკონ – ნანა ისე რიხით ამბობდა, ვაჟას გაუკვირდა, როდის გახდა ჩემი გოგო ასე მამაცი.

– როგორ გაჩხრიკონ?

– მე გამჩხრიკეს გუშინ. დღისით-მზისით მანქანაში მიკრეს თავი. წამიყვანეს და სამი საათი სულ თითისქნევით და მუქარით მაიძულეს დამეწერა, რომ ამ დღეებში ქუჩაში არ გამოვალ და საზოგადოებრივი შეკრების ადგილებზე არ გამოვჩნდები, – თქვა დათომ.

– მერე? იოლად გადარჩენილხარ.

– რა იოლად, დავაშავე რამე? პასუხი უნდა ვაგებინო იმ სერჟანტს, გვარიც ვიცი.

– რა გულუბრყვილო ბავშვები ხართ. შენ გგონია, შენი გაჩხრეკა შემთხვევით მოხდა? არ მოეწონე რომელიღაც სერჟანტს და დაგაკავა? შენი გაჩხრეკა, ჩემო კარგო, სულ მცირე თერთმეტკაციან ოპერატიულ თათბირზე მაინც გადაწყდებოდა გუშინ დილით. რას ერჩი იმ საწყალ სერჟანტს. მადლობელი უნდა იყო, რომ გამოგიშვეს და ჯიბეში მორფის ამპულა არ ჩაგიდეს, რომ გაჩხრეკის დროს „აღმოეჩინათ“.

– ღმერთო, როგორ ეშინიათ, ეს არის პიროვნების ხელშეუხებლობა?

– რატომ ვერ გაიგეთ; ქუჩას უადგილო ადგილას რომ გადაჭრი, შენ უკვე დამნაშავე ხარ და სახელმწიფო გაჯარიმებს. შენ გეგონა დემონსტრაციაში თქვენი გასვლა-გამოსვლა და აქტიურობა შეუმჩნეველი დარჩებოდა? თქვენ სახელზე გახსნილი საქაღალდეები დღითი დღე სუქდება ერთ ადგილას, ჩემო კარგებო.

– მერედა რატომ, რისთვის? ეს ხომ ძალადობაა? არ წაუკითხავთ? „რომელი აღმაღლდეს მახვილითა, მახვილითვე წარხდეს იგი“ – „მათეს სახარება“ მოიშველია დათომ.

– სხვაც ბევრი რამ წაუკითხავთ, მაგრამ ეს ქვეყანა ათეული წლები მაგრდებოდა და თანდათანობით იხვეწებოდა იმ გამაგრების მეთოდები. რაც შეეხება ძალადობას, შენ უკვე ისე პატარა არა ხარ, ნამდვილი ძალადობის შესახებ გაგონილი მაინც რომ არ გქონდეს. დაიშალეთო, დაგიძახეს და თქვენ ამას ძალადობას ეძახით. იცით თუ არა, რომ გალაკტიონ ტაბიძეს ფოსტალიონის დანახვისა ეშინოდა, ჩემმა ცოლმა ციმბირიდან წერილი არ გამომიგზავნოს და მეუღლესთან „დანაშაულებრივი კავშირი“ არ დამიმტკიცდესო. იცით თქვენ, ეს რა გრძნობაა? ცოლი დაუჭირეს პოეტს, რომ მისი შემოქმედებითი გენიის მართვა შეძლებოდათ. ახლა სახელმწიფოში წარსულის გამო შედარებით დამორცხვების ეპოქაა.

– რაო, ახლა რისი შეგვრცხვა? ბერიას გამო და ეჟოვიაგოდას გამო? რატომ უნგრეთის, ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთის, ავღანეთის გამო არ გვრცხვენია? – ნანა დამშვიდებას არ აპირებდა.

– აი, ჩვენ გამოვდივართ და ავად თუ კარგად ვამბობთ, თქვენმა თაობამ რა გააკეთა უნაპირო სიფრთხილის მეტი? – დათომ ვაჟას შეხედა.

– არა ხარ შვილო, მართალი. იცი თუ არა შენ, რომ ის შედარებითი თავისუფლება, რომელმაც თქვენ ახლა მიტინგობიის ხასიათზე დაგაყენათ, ჩვენ მოგიპოვეთ ჩვენი ბრძოლით, კედელზე ხეთქებით და სამშობლოდან გაძევებებითაც. ის ფიქრიც, რითაც თქვენ ახლა სამშობლოს უვლით, ჩვენ ჩავდეთ თქვენს თავებში.

– რა თავისუფლებაა, მამაჩემო. ვთქვათ, რომელიმე უგუნურმა ოფიცერმა დავით გარეჯი სასროლ პოლიგონად აქცია. ჭურვები სკდება და ფრესკებს აზიანებს. ძეგლების დაცვის სამმართველო საეჭვოდ სდუმს. საჭიროა სასწრაფოდ შევიკრიბოთ და ხმა მივაწვდინოთ, სადაც ჯერ არს, შეწყვიტონ სროლა.

დათომ ნანას სიტყვა წაართვა:

– ამისათვის თურმე შვიდი დღით ადრე განცხადება უნდა შევიტანოთ აღმასკომის სახელზე. დავასაბუთოთ მიტინგის აუცილებლობა და თაოსანთა გვარ-მისამართებიც გარკვევით აღვნიშნოთ. აღმასკომი ათ დღეში უარით გამოგვისტუმრებს: ჩვენ მოვაგროვებთ, ამ საკითხს რად უნდა მიტინგიო. ორგანიზატორთა გვარებს ყოველ შემთხვევაში დაიტოვებს, რომ სათანადო ორგანოებს შეატყობინოს.

ვაჟას მოეწონა კიდეც, რომ ნანა და დათო სკოლაში დადგმული მონტაჟივით ერთმანეთს ცვლიდნენ.

– მერე ჩვენ უფლება გვაქვს ათ დღეში საქალაქო საბჭოს აღმასკომში გავაპროტესტოთ რაიაღმასკომის უარი. ისინი ათ დღეში გვიპასუხებენ. ჩვენ უფლება გვაქვს ხუთ დღეში უფრო ზემდგომ ორგანოში ეს უარიც გავაპროტესტოთ. ზემდგომი ორგანო ათ დღეში მოგვცემს საბოლოო პასუხს.

– ასე რომ ორმოც-ორმოცდახუთ დღეში გადაწყდება, შევიკრიბოთ თუ არა ჩვენ ჩვენს გასაჭირზე ერთსაათიანი მიტინგის გასამართავად.

– ამასობაში კი, არათუ ფრესკები დაზიანდება, კედლებიც ჩამოიქცევა თავის ფრესკებიანად. ესაა თქვენ მიერ მოპოვებული თავისუფლება?

– მე ვთქვი, შედარებითი თავისუფლება-მეთქი. – წყნარად თქვა ვაჟამ.

– ჩვენ არასერიოზულ, ჭირვეულ ბავშვებად გვთვლიან, ყველაზე საწყენი ეს არის. – თითქოს დაიჩივლა ნანამ.

– ვაშინგტონში, თეთრი სახლის წინ ჰაიდერი რომ შიმშილობდა, იმ დღეებში ყველანი ფეხზე დავდექით. ერი და ბერი იმაზე ფიქრობდა, როგორ გადავარჩინოთო. მე რომ პროტესტის ნიშნად შიმშილობა გამოვაცხადო, სასაცილოდ ამიგდებენ. ყოველნაირი საშუალებით ეცდებიან დამამცირონ. ჩვენთან თურმე შიმშილობის გამოცხადების სოციალური საფუძველი არ არსებობს.

– შიმშილობა კი არა, ნავთი რომ დავისხა და შუა მოედანზე თავი დავიწვა, ჩემ საქციელს სიგიჟედ მონათლავენ და სულით დავრდომილთა საავადმყოფოში ჩემი ავადმყოფობის ისტორიას სახელდახელოდ შეადგენენ, თუ როგორ ვმკურნალობდი მე, შიზოფრენიით დაავადებული, წლების განმავლობაში. ესაა თქვენი თავისუფლება?

სანამ ვაჟა ნანას უპასუხებდა, დათომ დაამატა:

– ბოლოს და ბოლოს, თავზე ხელს ნუ აგვაღებინებენ. ჩვენ ძალიან კარგად ვიცით, რომ მოწამლული ატმოსფეროს და შიდსის თაობა ვართ. არ გვინდა იმ საუკუნეში ყოველგვარი მემკვიდრეობა გავიყოლოთ. რისი დატოვებაც შეიძლება, აქვე უნდა დავტოვოთ და მოგვცენ თეთრისა და შავის გარჩევის დრო და საშუალება, თუ შეიძლება.

– მაგრამ ქვეყნის დანგრევას ნუ ეცდებით და სხვაში, ალბათ, შესაძლებლობისამებრ, ხელს შეგიწყობენ. – თქვა ვაჟამ.

– იქნებ ის ქვეყანა, რომელსაც ასე ენერგიულად ამაგრებდნენ, უკვე დაინგრა?! – პათეტიკურად გამოაცხადა ნანამ.

– იქნებ... ვაჟამ საათზე დაიხედა, – რვა საათზე გადაცემის ჩაწერა მაქვს. თქვენ?

– შინ წავალთ, ნუ გეშინია. – დაამშვიდა ნანამ.

– იქნებ წამოსულიყავით, დამსწრებოდით ჩაწერაზე, ა? – აშკარად ჩანდა, ვაჟას ამ საღამოს ამ „ჯიუტი ბავშვების“ მოშორება არ სურდა; გაგულისებულნი ხიფათს არ გადაეყარონო.

ნანამ და დათომ ერთმანეთს გადახედეს.

– სიამოვნებით, – ნანას დაასწრო კოლხმა.

სამივენი მიწისქვეშა გასასვლელისკენ გაემართნენ.

...ტელევიზიის მეორე სტუდიაში ჩაწერის სამზადისი დაწყებული იყო, როცა ჩვენი გმირები იუპიტერებით განათებულ დარბაზში შევიდნენ.

ვაჟამ მოსასხამი სკამზე მოისროლა, ნანას და დათოს კუთხეში მიდგმულ სკამებზე მიუთითა და მაშინვე საქმეში ჩაერთო.

ჯერ ტელედიქტორი, მომხიბვლელი, ფერფლისფერთმება ქალი ჯინა დასვა მრგვალ მაგიდასთან, მერე გადაცემის სხვა მონაწილეებს ჩამოართვა ხელი და სათითაოდ მიიწვია. როცა ყველას ეგონა „სუფრაზე განლაგება“ დამთავრდაო, ვაჟამ ტელეაპარატთან მიირბინა, ოპერატორი განზე გასწია და ტელეთვალში გაიჭვრიტა. რაღაც არ მოეწონა, კვლავ მრგვალ მაგიდასთან დაბრუნდა, ნაწნავებიან მეჩაიე ნუცას და ჭარმაგ მასწავლებელს, ძველმოდურჰალსტუხიან არჩილს ადგილები შეუცვალა. გაცოცხლებული სოფლის მკვიდრს, ურჩთმებიან, ოთხკუთხედი სახის პატრონს – ჭონქას წინ შუაზე გადაშლილი ბროშურა – „მეცხრამეტე პარტკონფერ-

ენციის მასალები“ დაუდო, ფენჯგირეს თავთავივით მსხვილულვაშა მესიმინდეს ბიქტორს – ქუდის მოხდა სთხოვა, მერე ისევ აპარატთან მოირბინა, ერთხელ კიდევ გაიჭვრიტა, „კარგიაო“ დაიძახა და სამიოდე ნახტომით კვლავ მრგვალ მაგიდასთან გაჩნდა.

სტუდიაში ცხელოდა. გადაცემის მონაწილენი შუბლზე წამდაუწუმ ოფლს იწმენდნენ და ყელთან ერთგულად შეკრულ ღილებსაც ორი თითით მოსინჯავდნენ ხოლმე.

– ძალიან გთხოვთ თავისუფლად, ძალდაუტანებლად ისაუბრეთ. უმეტესობა ჩვენთან პირველად არ ბრძანდებით. გაფრთხილება არც კი გჭირდებათ.

– არ შეგვატყონ, რომ ტყუილს ვამბობთ? – რასაკვირველია, იხუმრა სილოვან ძაბრაძემ, მუშათა დინასტიის წარმომადგენელმა. სილოვანს ქალაქში ყველა იცნობდა. გაზეთი იშვიათად გამოვიდოდა, რომ პირველ ან მეოთხე გვერდზე მისი სურათი არ ყოფილიყო. ყველას გაეცინა, რაღაც უცნაური, მოგუდული სიცილით.

– სიმართლე ვთქვათ, ბატონო. რაღა დროს ტყუილებია. სიმართლის მოსმენა რომ გვსურს, ამიტომ არ გამოგართვით ტექსტები წინასწარ. ა, მიკროფონი და ა, თქვენ. ილაპარაკეთ, რაც გაგეხარდებათ. – შეაგულიანა ვაჟამ გადაცემის მონაწილენი.

– რაზე ვილაპარაკოთ? – მცირე პაუზის შემდეგ იკითხა სოფელსგამოქცეულმა ახალგაზრდამ – ბენიამ, რომელსაც ვერაფრით ვერ გაეგო, საერთოდ როგორ მოხვდა ამ კამპანიაში.

– დღევანდელ დღეზე, ამ გარდაქმნაზე, საქმეზე, სატკივარზე. ცოტა გვაქვს სათქმელი? – სხვების გასაგონადაც თქვა ვაჟამ.

– აგაშენათ ღმერთმა. – ჩაილაპარაკა ბიქტორმა.

– კი მაგრამ, რეპეტიცია არ იყო საჭირო? – იკითხა ნუცამ. აშკარად ჩანდა, მეჩაიე გოგონას ტელეჩანაწერების დიდი გამოცდილება ჰქონდა.

– რეპეტიცია მაინც შეგზღუდავდათ, ჩარჩოებში ჩაგაყენებდათ. გადავწყვიტეთ, პირდაპირ ჩავიწეროთ. უფრო ბუნებრივი გამოვა. – განუმარტა ვაჟამ.

– ასე რანაირად... ყველა ერთად რომ ავყაყანდეთ? – იკითხა მასწავლებელმა.

– ვინ ვის შემდეგ ვთქვათ, ეს მაინც ხომ უნდა ვიცოდეთ.

– რა მნიშვნელობა აქვს, ამ შემთხვევაში.

– მაინც ხომ მრგვალი მაგიდაა არა?

– აქვს, როგორ არა აქვს, ბატონო, მნიშვნელობა. ჯერ ერთი ნერვიულობ, მაინც აპარატის წინ ზიხარ, რაც არ უნდა იყოს. დროზე გინდა მოიშორო შენი სათქმელი. ბოლოს რომ იტყვი, უარესი იმითაა, რომ შეიძლება სხვამ თქვას, რაც შენ გაქვს მოფიქრებული და მერე საძებარი გაგიხდეს აზრი – ჩანს, არჩილს „თანმიმდევრობის პრობლემა“ მართლა აწუხებდა.

– სწორია, სხვის ნათქვამს ხომ არ გაიმეორებ! – მეკოოპერატივე ელეფთერის ხმა იყო.

– მოსწრებაზე ნუ გაგვიშვებ, თუ კაცი ხარ. ამას წინათ იყო ჩაწერა. სამნი დაგვსვეს ასე, როგორც ჩვენ ვზივართ. ახალგაზრდები იყვნენ. ვარ ჩემთვის, ჩუმად, ველოდები ჩემ რიგს. იჭიკჭიკეს ერთმანეთში მშვენივრად, ჩემკენ არც გამოუხედავთ. ბოლოს ერთმა საათზე დაიხედა, ჩვენი გადაცემის დრო ამოიწურაო და ამით მოთავდა ყველაფერი. სიტყვა ვერ ჩავაგდე, მოწმესავით ვიჯექი. – თქვა ძაბრაძემ.

– ქალბატონი ჯინა წაიყვანს გადაცემას და ყველას გექნებათ თავისუფლად თქმის საშუალება. არა ჯინა? –

საბავშვო ბაღის აღმზრდელის ინტონაციით ჩაჰკითხა რეჟისორმა ჯინას.

– ჩემკენ გქონდეთ ყურადღება და ან შეკითხვას მოგცემთ, ან მოვბრუნდები თქვენკენ. უნდა გთხოვოთ ოღონდ, რომ, სანამ ერთი არ დაამთავრებს სათქმელს, არ ჩაერთოთ, არ გააწყვეტინოთ. სიტყვა-სიტყვას დააჯდება და არ ივარგებს – ლამაზი ტუჩების კიდეებს ორი თითი ჩამოაყოლა ჯინამ.

– მაინც რა უნდა ვთქვათ, ვერ გავიგე? – ბენიას კითხვა გაიმეორა სუფთად გაპარსულმა ემიგრანტყოფილმა ავალო მხეიძემ.

– სათქმელი რაც გაქვთ, პატივცემულო, – მიუბრუნდა ჯინა.

– რას ჰქვია სათქმელი?

– აი, რა გაწუხებთ. რასაც პირველივე შემხვედრს ეტყოდით დილით, სახლიდან გამოსვლისას. ხომ გასაგებია.

– ახლა კი.

– მეტი არ იქნა ჩემი მტერი, ეს ჩემთვის გასაგები არ იყოს. – დაიწუწუნა ბიქტორ მესიმინდემ.

– არა აქვს მნიშვნელობა, ვინ იქნება ის პირველი შემხვედრი? – რთულ ფიქრებს გამოარიდა გონება ავალომ.

– შემხვედრს თუ არა, ბატონო, ახლობელს ხომ ეტყვით, რა პრობლემები დგას თქვენ წინაშე. რაღაც სათქმელი როგორ არ გექნებათ? – ჯინამ იფიქრა, ახლა კი გავარკვიე ემიგრანტყოფილიო, მაგრამ ავალო მაინც გაოგნებული შესცქეროდა ხან რეჟისორს, ხან ჯინას, ხან გადაცემის მონაწილეებს.

– აბა, თქვენ იცით, მე პულტთან ვიქნები, როგორც მოვილაპარაკეთ. თავისუფლად! – ერთხელ კიდევ გაამხნევა მონაწილენი ვაჟამ, კიბე აირბინა და ნახევრადღია კარებში გაუჩინარდა. მონიტორზე აინთო წარწერა „ყურადღება“.

კარგა ხანს ხან მრგვალ მაგიდასთან მსხდომნი გამოჩნდებოდნენ მონიტორზე, ხან წარწერა „ყურადღება“. გაისმა საექსპოზიციო მუსიკა. ჩაწერა დაიწყო. ტელეაპარატის თავზე წითელი სინათლე აინთო. ტელეოპერატორმა ხელი დაიქნია.

ჯ ი ნ ა – (ყალბი პათეტიკით) ძვირფასო ტელემაყურებლებო, სადაგი დღეები უდგათ ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებს. მართლაც რომ დიადი გარდაქმნების ეპოქაა. სახელმწიფო მიღების, სამეურნეო ანგარიშის და საოჯახო იჯარის ფართოდ გაშლილმა მოძრაობამ ადამიანები არნახული ენთუზიაზმით აღანთო და აღაფრთოვანა. შრომის ნაყოფიერებამ არნახულ მაჩვენებლებს მიაღწია, მაგრამ, რასაკვირველია, არნახულ გამარჯვებათა ფონზე ჯერ კიდევ შეიმჩნევა მცირეოდენი ნაკლოვანებანი. დღეს სტუდიაში მოვიწვიეთ გამრჯე, სახელოვანი ადამიანები. ისინი სხვადასხვა ასაკისა და პროფესიისანი ბრძანდებიან, მაგრამ მეტნაკლებად აერთიანებთ სახალხო დოვლათის შექმნისადმი დაუოკებელი მისწრაფება, დიად მიზანდასახულებათა განხორციელებისათვის არნახული შემართება. გთხოვთ, ბატონო სილოვან!

ს ი ლ ო ვ ა ნ – (მუჭაში ჩაახველა, წელში გაიმართა და კიდევ უფრო ყალბი პათეტიკით დაიწყო) – ჩვენი საწარმო – ტუმბოშემკეთებელი ქარხანა ერთ-ერთი უძველესი საწარმოა დედაქალაქში. მას საფუძველი საკავშირო მამასახლისის – კალინინის ინიციატივით ჩაეყარა. საწარმოს რამდენჯერმე შეეცვალა დავალება. ომის დროს, მაგალითად, ხელყუმბარის სასხლეტს ვამზადებდით, ომის შემდეგ ვენახის სარწყავ აპარატებს, ახლა, როგორც მოგახსენეთ, ტუმბოებს ვარემონტებთ. ბოლო პლენუმების და დადგენილებების შუქზე საწარმოში საფუძვლიანად გარდაიქმნა მუშაობა. ხარატებმა ერთხმად გადავწყვიტეთ: ძველებურად მუშაობა არ ივარ-

გებს, ახლებურად ვიმუშაოთო. ვალდებულება ავიღეთ და განაღდებასაც შევუდექით. მე პირადად, ამჟამად, მომავალი წლის ანგარიშში ვმუშაობ.

ჯ ი ნ ა – მაგრამ, რასაკვირველია, ამოდენა საწარმოს მუშაობაში მცირეოდენი ნაკლოვანებებიც შეიმჩნევა, ხომ ბატონო სილოვან?

ს ი ლ ო ვ ა ნ – რასაკვირველია, ამოდენა საწარმოს მუშაობაში შეიმჩნევა მცირეოდენი ნაკლოვანებანიც, რაც უახლოეს დღეებში გამოსწორდება.

ჯ ი ნ ა – გმადლობთ, ბატონო სილოვან. ჩვენთან არის მოწინავე მეჩაიე, კოლმეურნეობაში სიმწიფის ატესტატით მისული ნუცა ბაბილოძე. გთხოვთ ნუცა.

ნ უ ც ა – (ნაწნავი მხარზე გადაიგდო, სახელოდან ცხვირსახოცი დააძრო, დაცვარული ნესტოები შეიმშრალა, თავი ასწია და მოსალოდნელზე უფრო ყალბი პათეტიკით დაიწყო).

– გარდაქმნის ამ ეტაპზე განსაკუთრებით გაიზარდა ჩვენი სოფლის მშრომელთა ენთუზიაზმი. განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ შრომისუკუგებას და ინტეგრაციას.

ა ვ ა ლ ო – (ჩაეცინა) მაპატიეთ, რას?

ნ უ ც ა – (ყოფილ ემიგრანტს გულმოსულად შეხედა) შრომის უკუგებას და ინტეგრაციას. ჩვენთან ყოველგვარი პირობაა შექმნილი ხალისიანი შრომისათვის. რაიონის ხელმძღვანელობა ძალასა და ენერგიას არ იშურებს, რათა მეჩაიეებმა ქვეყნის წინაშე პირი არ შევირცხვინოთ. ჩვენ კარგად ვიცით, რომ წარმატების მიღწევა მხოლოდ ნაკისრი ვალდებულების კეთილსინდისიერად, პირნათლად შესრულების გზით შეიძლება. გალამაზდა და დამშვენდა სოფელი. ვეღარსად ნახავთ ძველებურ სახლებს და სამზად ფაცხებს. თვალს მოგტაცებთ მაღალი ოდები და ლამაზი

ჭიშკრები. ცხოვრებას მეტი შნო და ლაზათი მიეცა. მე პირადად მომავალი თვის შრომით ვახტზე ვდგავარ.

ა ვ ა ლ ო – (დაბნეული) რაზე დგახართ, პატივცემულო?

ჯინამ და ნუცამ ავალოს კვლავ გულმოსულად შეხედეს.

ნ უ ც ა – მომავალი თვის შრომით ვახტზე ვდგავარ, იმ თვის ანგარიშში ვმუშაობ და ვალდებულებას ვკისრულობ, ექვსასი კილოგრამით მეტი მწვანე ოქრო შევმატო სოციალისტურ სამშობლოს.

ჯ ი ნ ა – (ცოტა დაბნეული და უკმაყოფილო) გმადლობთ, ნუცა, მაგრამ ხარვეზს ვერაფერს ატყობთ შექმნილ მდგომარეობას?

ნ უ ც ა – როგორ არ ვატყობ (ნაწნავი წინ გადმოიგდო).

ჯ ი ნ ა – მაინც?

ნ უ ც ა – კარგი იქნებოდა გართობის მეტი საშუალება რომ იყოს სოფელში.

ბ ი ქ ტ ო რ ი – (თავისთვის) აგაშენა ღმერთმა.

ტელეაპარატის თავზე წითელი ნათურა ჩაქრა, მონიტორზე აინთო წარწერა, „ყურადღება!“ კიბეზე ვაჟა-რეჟისორი გადმოდგა.

– მაპატიეთ, მაგრამ რაღაც არ გამოდის... ჩვენ სულ სხვაგვარად ჩავიფიქრეთ ეს გადაცემა... ძველებურად ვლაპარაკობთ... სხვისი ხმით... არ გვინდა პათეტიკა. ჯინა, შენ რაღა მოგივიდა? პირდაპირ საქმეზე, წუხილზე ვილაპარაკოთ – ტყვიამფრქვევივით მიაყარა ვაჟამ გადაცემის მონაწილეებს.

– თუ არ გვაქვს ეს წუხილი, საიდან მოვიტანოთ? – იყვირა ბენიამ.

ყველამ გაიცინა, მაგრამ სწრაფად დასერიოზულდნენ, პერანგ-ჰალსტუხები გაისწორეს და თავები ასწიეს. ტელეაპარატზე ისევ აინთო წითელი ნათურა.

ვაჟამ მიკროფონს ჩასძახა:

– ყურადღება, განვაგრძობთ ჩაწერას, „აგაშენა ღმერთმა“ ჩაწერილია!

ჯ ი ნ ა – ძვირფასო ტელემაყურებლებო, მოგეხსენებათ, რა დიდ ყურადღებას აქცევს პარტია დაცარიელებული სოფლების გაცოცხლებას. წარსულის რეციდივებმა არაერთი სოფელი ნასოფლარად გვიქცია. მიკროფონს გადავცემთ სოფელ ბლოუს ერთადერთ მკვიდრს – ჭონქა ხიმიკაურს, რომელმაც ჭეშმარიტი გმირობა ჩაიდინა: ამას წინათ მიატოვა რუსთავის ახლოს სოფელ „გამარჯვებაში“ თავისი სახლ-კარი და მამა-პაპის ნაფუძვარზე ბლოუში დასახლდა. გთხოვთ ჭონქა.

ჭ ო ნ ქ ა – (გასწორდა, ჩაახველა, სადღაც ზემოთ, ჭერს შესცქერის) ჩემი სიტყვა საკუთარ ლექსით მინდა დავიწყო. იქ, ბარში საკუთარ ლექსს არა ვწერდი. აქ მთაში მეწერების.

ისევ ამავალს სიცოცხლე
თავისი მწვანე ამალით,
აბოლდებიან ბუხრები
ისევ იყივლებს მამალი.
მთას შააკვდება მთის ჩიტი,
ამ გულმა ასე ინება,
მამა-პაპათა ციხეებს
ჯანღი არ დაეფინება.

დიახ, ჯერხნობით მარტო ვცხოვრობ მთაჩი. სასურსათო პროგრამის განხორციელების სურვილმა ამამიყვანა.

კუსტანაის სოფელ იევლევოს ვეჯიბრები ერთ ძროხაზე და ერთ ცხვარზე რძე-მატყლის ყუათიანობაში, ცხიმიანობაში და ბარაქიანობაში. ჯერხნობით კარგად მიდის საქმე.

შემდგომში ვნახოთ. ჩემს სიტყვას გავანაღდებ. იქ, მთაჩი, დემოკრატია და საჯაროობა ძალიან მშველის.

– მარტო თუ ხარ, რად გინდა დემოკრატია? – ჰკითხა ავალომ.

ჭონქამ ამრეზილად გაიხედა ავალოსკენ, თავი ასწია და განაგრძო:

– დიახ, დემოკრატიამ და საჯაროობამ პირდაპირ სულზე მოგვისწრო. საერთოდ გარდაქმნა ყველა სფეროს უნდა შეეხოს.

– აგაშენა ღმერთმა – ამოიოხრა ბიქტორმა.

– განაგრძეთ, განაგრძეთ! – გაისმა მიკროფონში რეჟისორის ხმა.

ჯ ი ნ ა – მაგრამ...

ჭ ო ნ ქ ა – მაგრამ საჭიროა ჩვენთან უფრო ხშირად გაიმართოს ხალხური პოეზიის საღამოები. აქ, მთაში ლექსი გულს ათბობს. ხშირად უნდა მაჰდიოდნენ არტისტები და მეცნიერები. მეტი რაი ვართ ჩვენ. მტრის გულის გასახეთქად ჩვენს საძვალეებს ახალი ძვლები არ მააკლდებოდა!

ტელეაპარატის თავზე ისევ ჩაქრა ნათურა. მონიტორზე გაჩნდა „ყურადღება“. რეჟისორმა კიბე ჩამოირბინა და უკმაყოფილო სახით წაადგა გადაცემის მონაწილეებს.

– არ ვარგა, არ გამოდის... ძალიან გთხოვთ უბრალოდ, ერთმანეთში ისაუბრეთ. როგორ მინდოდა, ამ გადაცემაში მაინც მაღალფარდოვნად არ გველაპარაკნა. ნუთუ ასე ძნელია? განვაგრძობთ! „ახალი ძვლები“ ჩაწერილია.

რეჟისორმა ისევ აირბინა კიბეები, ტელეაპარატზე წითელი ნათურა აკიაფდა.

ჯ ი ნ ა – გმადლობთ. ჩვენს ტელემაყურებლებს აქ წამოჭრილ საინტერესო საკითხებზე ძალიან აინტერესებთ პატივცემული ბიქტორის აზრი.

ბ ი ქ ტ ო რ ი – მე ამას წინათ ვთქვი, მისი არ იყოს, ძალიან მომხრე ვარ ამ გარდაქმნის. ძალიან კაი რამეა. სად ნახავდი უწინ ამდენ ტრაქტორს და კომბაინს. ახლა, თუ ხელს გამეიღებ, ყველაფერი კარგად არის. ჩვენი რაიონი რიონისპირა რაიონია, მთები ცოტა გვაქვს, მარა რა ვუყოთ მერე. სამაგიეროდ ხელმძღვანელობა შეგვხვდა ძალიან კარგი. ვთქვი, მისი არ იყოს, ხელმძღვანელზეც ბევრი რამეა დამოკიდებული. გეგმა იმისია, რომ უნდა შესრულდეს. გვიმატებენ გეგმას და ვუმატებთ ჩვენც მუშაობის ტემპს. აბა რავა გინდა. ნუ გეშინია, ვთქვი, მისი არ იყოს, მუშაობა არ მოკლავს კაცს. ამოვუდგეთ უნდა ერთმანეთს მხარში და, ვთქვი, მისი არ იყოს, ამ დიდი ზრუნვისთვის პარტიას და მთავრობას სამაგიერო უნდა გადავუხადოთ.

მონიტორზე ისევ გაჩნდა „ყურადღება“, ჯინამ ნერვულად ამოიოხრა, ვაჟამ ისევ ჩამოირბინა კიბეები.

– არა, ბატონო, არა, არ გამოვა ასე. არ ვამბობთ სიმართლეს. გისმენთ და ასე მგონია, თითქოს ვიღაცას, მატყუარა გამომსვლელს ვაჯავრებთ. ნუთუ სალაპარაკო არაფერი გვაქვს?

სიჩუმე ჩამოწვა. თითქოს გამოსავალი იპოვაო, ვაჟას სახე გაუბრწყინდა. ჯინა განზე გაიხმო და რაღაც უჩურჩულა, ჯინამ თავი დაუქნია და თავის ადგილს დაუბრუნდა.

– ცხადდება შესვენება. ძალიან გთხოვთ, მაგიდას არ მოშორდეთ. კადრი შეიცვლება და ოპერატორს გადასვლა გაუჭირდება. შესვენების შემდეგ ჩაწერას განვაგრძობთ ბატონი ბიქტორის სიტყვიდან: „მთავრობას სამაგიერო უნდა გადავუხადოთ“ ნათქვამია. მაშ, ასე, ვისვენებთ. კარგად ბრძანდებოდეთ. მე ტექნიკურ საქმეებს მივხედავ! – გამოაცხადა ვაჟამ და კიბე აირბინა.

მაგიდის ირგვლივ საპატიო ყარაულივით გაჭიმული სტუმრები ერთბაშად მოეშვნენ. ნუცამ კოწოლი უკან გადაიგდო, სკამზე გადაკიდებული ტყავის ჩანთა გახსნა, მუჭის სარკე ამოიღო და ჩაიხედა, ბენიამ ყურში რაღაც უთხრა. ნუცამ გაიღიმა. მერე კოპები შეჰყარა და ბენიას ტკბილგაბუტვით საჩვენებელი თითი დაუქნია. ჯინამ ტუჩების ნაკეცებში გასული ასკილისფერი პომადა ორი თითით ერთხელ კიდევ შეისწორა და ლამაზი ნიკაპი ხელისგულს ჩამოადო. კაცებმა ჰალსტუხები მოიშილიფეს და თითქოს პირველად ხედავენო, ერთმანეთს მიაჩერდნენ. ჩაწერის დროს თუ თავები ჟირაფებივით აწეული ჰქონდათ და სადღაც სივრცეში იმზირებოდნენ, ახლა შინაურული იერი მიიღეს. თითქოს აქამდე მარიონეტთა თეატრის თოჯინები იყვნენ და მათი ხელ-ყბა მაღლა ძაფებით ეჭირათ.

– არ გვენდობით, არა – მოწყენილად თქვა ჯინამ.

– რავა გეკადრება, აპა ვის ვენდობით – თქვა მეკოოპერატივე ელეფთერმა.

– აბა რა მოხდა, თქვე კაი ხალხო. საათია გეხვეწებით, უბრალოდ ვილაპარაკოთ-მეთქი. თქვენ კი „ამ დიადი ეპოქის“ ქებას მოჰყევით. ვინ დაგვიჯერებს, თითქოს ყველაფერი კარგად იყოს, – წუხს ჯინა.

– არ გენდობითო, რომ ბრძანე, რატომ გიკვირს, ბიძია, არ გვაქვს მიზეზი? თქვენ ყველაფერი მშვენივრად იცით, მაგრამ ჩვენგან გინდათ გაიგონოთ. ესაა, მეტი არაფერი. – თავი იმართლა ელეფთერმა.

– კი, ვინ მამაძაღლი არ იტყვის, რაც გულში აქვს, მარა რაი მერე? თქვენ აქ დარჩებით კარგად, მშვენივრად და მე, სოფელში რომ ჩავალ, რაიკომის მდივანი ყურებს ხელში მომცემს. რას პრუტუნებდი, არ უნდა გცოდნოდა შენხელა კაცსო? – თქვა ბიქტორმა.

– აბა, ვატყუოთ ძველებურად ერთმანეთი? სოფლის მთავარი პრობლემა მართლა გართობის საშუალებათა ნაკლებობაა, როგორც ძვირფასმა ნუცამ ბრძანა, ასე ფიქრობთ თქვენც? – იკითხა მასწავლებელმა.

– გართობა კი არა ის, რომელ გართობაზე მელაპარაკები, თუ ძმა ხარ, იქცევა ქვეყანა. – სილოვანის ხმა იყო.

– მაინც?

– მუშაობა არ უნდა არავის. პატარა ხანს ვუყურებ მეც და მერე უნდა ვუგანო. რა ვქნა აბა, თოხს მოვაკვლევინო თავი? – ბიქტორის ამ სიტყვებზე ჯინასაც გაეცინა.

– რატომ, ბატონო ბიქტორ, რა ხდება ასეთი?

– რა ხდება, ძმიშვილო, და საკარმიდამო ნაკვეთი რომ არ მქონდეს, შიმშილით ამომძვრებოდა სული. ჩემს ეზოში მოყვანილსაც ათასი პატრონი ჰყავს ახლა. ქათმის კვერცხიდან დაწყებული, ყურძნის კუმპალით გათავებული – ყველაფერი დათვლილი აქვთ. კოლექტივს რაც შეეხება, დილიდან საღამომდე, მთელი წლის განმავლობაში, ვთქვი, მისი არ იყოს, იქ დაღვრილი ოფლით მიღებული გასამრჯელო, გულდაგულ რომ ეკონომიას დაიცავ, ვთქვი, მისი არ იყოს, მაშინაც კი თვეზე მეტს არ გეყოფა. მიხვდა ხალხი ამ წაგლეჯობიას.

– რა მიხვედრა უნდოდა. ამის მიხვედრას მოანდომეს სამოცდაათი წელი? – იკითხა ავალომ.

– მართლაც, თქვენი ბრძანების არ იყოს, რა მიხვედრა უნდოდა, მიხვდა და თავს უშველა. გეიქცა სოფლიდან, ვთქვი, მისი არ იყოს, ახლა ბევრიც რომ უწრუწუნო, უკან მიმბრუნებელი არ არის. სიმართლე თუ გინდა, ესაა.

– რატომ ხდება ასე? არ გიხდიან, როგორც გეკუთვნით? – იკითხა ჯინამ.

ელეფთერმა ვერ მოითმინა:

– ამას ჩვენ კი ნუ გვეკითხებით, პატივცემულო. იმათ ჰკითხე, ვინც ამ დღეში ჩაგვაგდო. ახლაც ჩვენს შრომას თითქმის ისევე ანაზღაურებენ, როგორც სტალინის დროს გვიხდიდნენ. იმის მერე, სინდისიანად რომ ვთქვათ, რამდენჯერ მოიმატა ბაზრის ფასმა. ბოლოს და ბოლოს, რა ვალი გვაქვს ამ მთავრობის ასეთი გადაუხდელი.

– ა, შეხედეთ ჩემს ხელებს. – ნუცამ ხელები მაგიდაზე დააწყო. – ოცდაორი წლის გოგოს ხელებია ეს? თუ ჩაგიგდო ბრიგადირმა ხელში, სიქას გაგაცლის მუშაობით. გეგმა! გეგმაო. ათი კილოს მაგივრად ორმოც კილოს რომ მოგაკრეფინებენ, ის ჩაი ივარგებს რამედ? რატომ გვააბდლებენ ჩვენ, ან თავს რატომ იტყუებენ თვითონ?

– სიმართლე თქვითო, რომ ბრძანებთ, ღირს ახლა ამის ლაპარაკი ტელევიზორში? – მიუბრუნდა არჩილი ჯინას.

– რატომაც არა, – მაღლა აიხედა ჯინამ.

– რატომ მოვუშხამოთ ხასიათი სამუშაოდან მობრუნებულ და საღამოს ტელევიზორთან მიმჯდარ კაცს. თავისი გასაჭირი არ ეყოფა? – თქვა ბენიამ.

– თუ არ ვთქვით, თუ ქვეყანას არ გავაგებინეთ, როგორ ვუწამლოთ აბა ამ ჭირს? ხომ ყველამ კარგად ვიცით, ასე გაგრძელება რომ არ შეიძლება.

– ქვეყანას, ჩემო ბიძია, გაზეთში და ტელევიზორში ლამაზი ლაილაით ვერ უშველი. ჩამთავრდა ფუჭი ლაპარაკის და დაპირების დრო. ახლა საქმით უნდა მაჩვენო, თუ რამის გამკეთებელი ხარ.

– რა საქმით, მაგალითად? – მიკროფონი ახლოს მიუწია ჯინამ ელეფთერს.

– კანონი უნდა შეცვალო. კანონი უნდა დამიწერო და მომცე ხელში. ნელა, გაუბედავად, პწკენა-პწკენით კი არა, ერთბაშად უნდა გადააგდო, რაც არ გამოდგა და ახალ საქმეს უნდა ეწიო.

– რწმენა დაკარგა ხალხმა. ჯერ მარტო ოცდაჩვიდმეტმა გატეხა წელში ჩვენი დამოკიდებულება ამ წყობის მიმართ. – ჩაილაპარაკა სილოვანმა.

ლაპარაკში ბენია ჩაერია.

– რას ჩააცივდით ამ ოცდაჩვიდმეტს. თქვენ ჩემზე უკეთ იცით, რომ მარტო ოცდაჩვიდმეტში არ ყოფილა უდანაშაულო ხალხის დევნა. რომ ვიანგარიშოთ; რამდენიმე ოცდაჩვიდმეტი გამოვიარეთ. შეიძლება პატარა-პატარა მასშტაბების, განსხვავება მეტი არაფერია. ხომ წაიკითხეთ ამას წინანდელ გაზეთში ხრუშჩოვის მოგონება?

– აბა, ყველაფერი იბეჭდებოდა დასავლეთში, კაცმა რომ თქვას, ჭორიც და მართალიც, მაგრამ ჯერ არსად წამიკითხავს: პარლამენტის წევრი, პარლამენტში, რევოლვერით შეიარაღებული მივიდა პარლამენტის მეორე წევრისთვის სროლა რომ დაესწროო. ამნაირი რამ, მეგონა, მხოლოდ იულიუს ცეზარის დროს იყო შესაძლებელი. – თქვა ავალომ.

– რატომ, ბატონო, ბრუტუსის კომპლექსს ადამიანის გონებიდან ასე ადვილად ვერ ამოშლი – წაიფილოსოფოსა ჯინამ.

– ბრუტუსის კომპლექსზე კი არაა ლაპარაკი, ძვირფასო, რაზეა იცით? რანაირად უნდა გენდო და მოგყვე მე, უბრალო კაცი, როცა მეცოდინება, რომ მაღლაც ისევე ჭირვეულობით, შეთქმულებებით და ზურგხანჯლაობით მიუღიათ გუშინწინ გვირგვინები და სავარძლები ჩვენს მთავარ ყოჩებს. – თქვა ბენიამ.

– მერე ცუდია, რომ ითქვა ამის შესახებ? – იკითხა ნუცამ.

– გააჩნია, რაში წამადგების ამგვარ სიმართლე. – ვერ მოითმინა ჭონქამ.

– აი, დავღამდი მე, გათავდება მალე ჩემი ცხოვრება. რა

პასუხს მაძლევ. რას მერჩოდი, შენი ექსპერიმენტის თეთრ თაგვად რატომ გადამაქციე? გაგეშვი ჩემთვის. მეცხოვრა კაცურად ამ ორი დღის წუთისოფელში. – დაიჩივლა ელეფთერმა.

– ჯერჯერობით ისე არავის უცხოვრია, ბატონო, როგორც უნდოდა. გული არ დაგწყდეთ. სხვებმა რაღა უნდა თქვან, ბრმა ლეკვებად რომ დარჩნენ ბოლომდე და ისე წავიდნენ ამ ქვეყნიდან. თქვენ მაინც ხომ მოგისწროთ გარდაქმნის და დემოკრატიის სიკეთემ. – დაამშვიდა ჯინამ გადაცემის მონაწილენი.

– კი, რასაკვირველია, მაგრამ...

– რა მაგრამ, ბრძანეთ, ბრძანეთ.

– რა მაგრამ და ის მაგრამ, რომ ჯერჯერობით სიტყვებშია გარდაქმნა, სხვაში არაფერში. ფასები ისევ მატულობს, ძველი გეგმებით და ძველებურად კეთდება ბევრი რამე. შენდება სახლები, მეორე დღესვე რომ დაინგრევა, იკერება ფეხსაცმელები, რომლებსაც არასოდეს არავინ ჩაიცვამს.

– მოიცათ... მოიცათ... ასე ყველაფრის გაბიაბრუება იოლი საქმეა. მოდით, კონკრეტულად ჩვენ-ჩვენს საქმეზე ვილაპარაკოთ.

– კი ბატონო. საიდან უნდა დაიწყოს, თუ იცი გარდაქმნა, ჩემო კარგო? – იკითხა არჩილმა და იქვე დაამატა:

– პიროვნების განთავისუფლებიდან. ჯერ კაცმა უნდა იგრძნოს კაცურად თავი.

– რას გულისხმობთ, კონკრეტულად? – ჰკითხა ჯინამ.

– იცით თქვენ, რასაც ვგულისხმობ. ჯერჯერობით შევცვალეთ რამე პიროვნებასთან დამოკიდებულებაში? მითხარი აბა. იქნებ არჩევნების წესი შეიცვალა? ადამიანის ნამდვილი უფლებები გაფართოვდა? მთელი ცხოვრება თოკით ვართ მიბმული გამოგონილ შეზღუდვებზე. სიდედრი

რომ მოგიკვდება თავისთავად ხომ ერთი უბედურებაა, შიშიც გაგკრავს გულში, არიქა, ერთი სულით ნაკლებ ოჯახს ბინის ფართობი არ შემიმცირონო. საქმეა ეეს? მთელი ცხოვრება შეიძლება მშვიდად ვერ დაიძინო კაცმა? სულ გეჩვენებოდეს, რომ ვიღაცის მკაცრი მზერა გითვალთვალებს? სულ ელოდებოდე გამოსახლებას, გადასახლებას, ჩამოსახლებას ან გასახლებას?

– კაცს კოოპერატიული ბინის აშენება რომ გინდოდეს, მისხალ-მისხალ გიზომავენ; რამდენი სული ხარ, გეკუთვნის თუ არა. კაცო, ჩემი ფულით ვიშენებ, შენ არ გაწუხებ თხოვნით, არ უნდა გიხაროდეს?

– მანდაც იგივე ამბავია, რაც საოჯახო იჯარას სჭირს. რატომ უშლიან, თუ იცი, ხელს საოჯახო იჯარას? რომ არ გაძლე. მაძღარიო, ფიქრობენ, ძველებურად აღარ დაგვემორჩილებაო. ვინ იცის, რა ცუღლუტური ფიქრი მოუვაო თავში, ჩურჩულით თქვა ბიქტორმა და ყოველ შემთხვევისათვის მიიხედ-მოიხედა, მერე ავალოს გახედა და ჰკითხა:

– როგორ იყო, ერთი თქვენკენ, თუ კაცი ხარ, იქეთ, წყალგაღმა?

– თუ ფული გაქვს, შეგიძლია, სახლი კი არა, მატარებელი იყიდო საკუთრად.

– აგაშენა ღმერთმა. – თქვა ბიქტორმა.

– ჯიბეს არავინ გიმოწმებს? არავინ გეკითხება, საიდან მოიტანე ეს ფულიო? ჩვენთან ფული კიდეც რომ გაახერხო, ყიდვის გეშინია; დაგიბარებენ და გკითხავენ, საიდან გაქვს ფული, რომელ ლომს შეუყავი ხელი უკანალშიო. – ჰკითხა ბენიამ.

– იქნებ ნიძლევში მავიგე, ან პაპის პაპამ ოქროს კვერცხი დამიტოვა, ხომ შაიძლების? – გულუბრყვილოდ იკითხა ჭონქამ.

– მაგას ჭამენ კი, მაგ ჭკუაზე არიან. – გაეცინა სილოვანს.

– გამდიდრება და კაი ცხოვრება რომ სირცხვილად და დანაშაულად ითვლება, იქ რაღაზე უნდა ილაპარაკო, – ჩაილაპარაკა ელეფთერმა.

ყველაზე ხმამაღლა ავალომ გაიცინა.

– ხუმრობთ ალბათ, ეგრე როგორ იქნება. – ელეფთერს შეხედა ავალომ.

– არ ხუმრობს, – ჩაურთო არჩილმა. – მთელი ცხოვრება სიმდიდრეს, მდიდარ კაცს გვაძულებდნენ. ანეკდოტი გამიგონია ერთი, ჩემს სიყმაწვილეში: თურმე ნიკო ნიკოლაძის ქალიშვილი დიდ ჯიხაიშში, თავის მშვენიერ სახლში, როიალზე უკრავს. გარეთ სროლის ხმა და ყიჟინა-ზრიალი ისმის. რა ამბავიაო, მოურავს ჰკითხა. რევოლუცია ახლოვდება ქალბატონოვო, უპასუხეს. – რისთვის იბრძვიან, რა უნდათო. – რა და მდიდრები რომ არ იყვნენ ქვეყანაზეო. – საწყალი მამაჩემი კიდე, მთელი ცხოვრება იმისთვის იბრძვის, რომ ღარიბები არ იყვნენო. მთავარი ისაა, ბინძური გზით არ გამდიდრდე, თორემ სიმდიდრე, თავისთავად, რატომაა ცუდი, ჩემო ბატონო?

– თქვენ მასწავლებელი ბრძანდებით, სკოლაში როგორაა საქმე? – ჰკითხა ჯინამ არჩილს.

– მტერს არ ვუსურვებ, ისე. საერთოდ, ჩვენი უბედურების თავი და თავი შესაძლებლობასა და სურვილს შორის შეფარდების დარღვევაა. ოცნებას ავყვებით და ისეთ რამეს მოვინდომებთ, რომლისთვისაც არც ძალა შეგვწევს და არც სახსარი. არიქა, სკოლის რეფორმაო! ავიჩემეთ. რანაირად, ბატონო. რეფორმისთვის ან ბაზა გაგვაჩნდა, ან სხვა საშუალება? ბუქსაობს ახლა რეფორმა და დაგვცინის მთელი ქვეყანა.

– ის როგორაა, მეოთხე კლასის მათემატიკის ამოცანას მთელი სამეზობლო რომ ვერ ხსნის ზოგჯერ და მათემატიკის დოცენტთან აგზავნიან დელეგაციას? – იკითხა ბენიამ.

– ეგეც მართალია. ოცი წელია ერი და ბერი პროგრამების გამარტივებაზე ვბღავით. ვადგენთ პროგრამის პროექტებს და ირკვევა, რომ გამარტივების მაგივრად უფრო გაგვირთულებია. რანაირად გავუმწაროთ ბავშვს ბავშვობა, იმაზე ვმუშაობთ გაფაციცებით.

– ნოვატორული პედაგოგიური მოძრაობაც ხომ არსებობს? – იკითხა ჯინამ.

– რად გინდა მერე. თითო-ოროლა ნოვატორ-მერცხალს ამ დაძველებული, ჩაკირულ-ჩამყაყებული სწავლების სისტემისთვის ძვრაც ვერ მოუხერხებია და ამიტომაა ნოვატორ მასწავლებლებს ზოგან გიჟებად რომ აცხადებენ.

– დამანებე თავი, თუ კაცი ხარ, ყულფში გვაქვს თავი გაყოფილი. კრება ავიღოთ, თუ გინდა. არა მგონია მსოფლიოს რომელიმე ქვეყანაში იყოს კრება ისე გამასხარავებული, როგორც ჩვენთანაა. რატომ თუ იცი? – იკითხა სილოვანმა.

– რასაც დავადგენთ, არ სრულდება და იმიტომ. – უპასუხა არჩილმა.

– კონფერენციების და პლენუმების ტალღა რომ წამოვა ზემოდან? ერთი და იგივე ლაპარაკი. რასაც ერთ ადგილზე იტყვიან, შენც იგივე უნდა გაიმეორო, შენც იგივე უნდა დაადგინო.

– თუ დაკვირვებიხარ, კენჭს რომ უყრიან ხანდახან; დადგენილების პროექტი წავიკითხოთ, თუ არაო, წარმოგიდგენია?

– კრება ხომ იმისთვის არის, რომ დადგენილება მიიღო. – სიცილს ძლივს იკავებს ავალო.

ამოუვიდა ხალხს ყელში ეს შეუსრულებელი დადგენილე-

ბები; „მოვუმატოთ“, „გავაუმჯობესოთ“, „გავაძლიეროთ“ და ბოლოს „კრება დარჩა მხიარული“.

– ახლა რომ გვაგულიანებენ – საჯაროობა და დემოკრატიაო, ვერ ვიჯერებ ვერაფრით. როგორც მელია დაბმულ ნაგაზს, შორიდან ვუვლი მეც...

– რატომ, ბატონო, ჩახედეთ გაზეთებს, ფაქტი სახეზეა – განაცხადა ჯინამ.

– კი, ორმოცი წლის მკვდრებს თავისუფლად ვაკრიტიკებთ და ისიც შიგა და შიგ, შერჩევით. – ბენიას კიდევ რაღაც სურდა ეთქვა, მაგრამ არჩილმა სიტყვა წაართვა.

– კი, კი, ასეა ნამდვილად. კრიტიკა დროული და სამართლიანია იმის მიმართ, ვინც უფროსებს არ უყვართ და წამოგდებული ჰყავთ საკრიტიკოდ, მეძებრები რომ წამოაგდებენ კურდღელს. ხოლო ვინც უფროსებს უყვართ, იმის მიმართ კრიტიკა დემაგოგია და ცილისწამებაა. მოგკიდებენ ყურში ხელს და ერთ მშვენიერ დღეს, შეიძლება, მშრალზეც დაგტოვონ რიყეზე ამოგდებული თევზივით.

– დაგტოვებენ და იჩივლებ, სადაც საჭიროა. – თქვა ავალომ.

– ნუ გეშინია, ეგეც მშვენივრად გვაქვს მოგვარებული, პირველ საჩივარზე არ გიპასუხებენ, მეორე საჩივარს სწორედ იმას გაუგზავნიან „გასარკვევად“, ვისაც უჩივი, თუ ძალა გეყო და მესამედ იჩივლე; კრიტიკანად, პროფესიონალ მომჩივანად, ინტრიგანად გამოგაცხადებენ და ლაფში ამოგსვრიან. – განუმარტა ელეფთერმა.

– როგორ? სასამართლო?

– სასამართლო? ჯერ ერთი, მოსამართლე რაიკომის მდივანს და აღმასკომის თავმჯდომარეს შეჩერებია თვალებში და მეორეც; კანონია ის კანონი, რომელიც დანაშაულისთვის ერთიდან ცხრა წლამდე დაპატიმრებას ითვალისწინებს?

მოსამართლეს ქრთამს თუ მისცემ, ერთ წელს მოგისჯის, თუ არ მისცემ – ცხრას.

– და ორივე შემთხვევაში მართალი იქნება! – დაამატა არჩილის ნათქვამს ბენიამ.

– მაინც ამდენი უკმაყოფილო ელემენტი არასოდეს ყოფილა ჩვენში. არ გეჩვენებათ, რომ წუნიებად გადავიქეცით? ის, რაც ჩვენ თვითონ ავაშენეთ და დავამკვიდრეთ, ახლა აღარ მოგვწონს? სად ვიყავით მაშინ, ტაშის გრიალით რომ მოვისწრაფოდით აქეთკენ? – გულისწყრომა ვერ დამალა ჯინამ.

– თქვენ ყველაფერი არ გეხსომებათ. მართლაც რომ დიდი ცოდვა იქნება ჩვენვე დავცინოთ ჩვენს გამოვლილ გზას, მაგრამ მაშინ გვჯეროდა. – თქვა არჩილმა.

– ახლა აღარ გჯერათ? – ჰკითხა ჯინამ.

– ნაკლებად.

– ხომ ხედავთ, ბზარი იქაც კი შეგვეპარა. რაც მართლაც რომ, ერთხელ და სამუდამოდ გადაწყვეტილი და მოგვარებული გვეგონა.

– და რატომ, თუ იცი? მეუბნები; ძმა კი ვარ შენი, მაგრამ იცოდე, – უფროსი ძმა ვარ და ჩემთან შეუთანხმებლად ქვა არ გადააბრუნო შენს ეზოშიო. შეიძლება ყოველ ფეხის ნაბიჯზე მაგრძნობინო, რომ შენ გთხოვო ნებართვა, შენ უნდა დამამტკიცო, შენ უნდა გამომიყო, შენ უნდა გამესაუბრო, შენ უნდა მომიტეხო პატარა?

ბიქტორს არჩილმაც აუბა მხარი:

– ჩამოვა ცენტრიდან სტუმარი. აბა, ახლა გავკეთდით თუ გავკეთდით, თავი უნდა გამოვიჩინოთ. იმას რა ენაღვლება, ერთს შეგაქებს – შეგაგულიანებს – თქვენ რომ მასპინძლობა იცით, არავინ იცის მსგავსიო. არიქა, ვყვარებივართ ამ კაცს, არ შევირცხვინოთ თავიო. და არის

ერთი მწვად-შამფურობია, პირში გაჩრილი ხანჯლით ცეცხლის გარშემო როკვა. წამოვა ის კაცი და თვითმფრინავშივე იწყებს ფიქრს – ჯერ ერთი, ნამეტანი ხომ არ შევითამამე, ბოლოს და ბოლოს, მე ცენტრი ვარ და ეს კი მასპინძელი რესპუბლიკაა, მეტი ხომ არაფერიო, მეორეც, ერთი უნდა გამოვარკვიო – რა სახსრებით გამიშალა ამოდენა სუფრაო.

– რა სახსრებით და წელებზე ფეხის დადგმით საკუთარი ცოლშვილისთვის სარჩო-საბადებლის დაკლებით. – აღდგენილი სოფლის მკვიდრის ხმაში წეღანდელი ფოლადი აღარ ჟღერდა.

– ეგ მე ვიცი, მაგრამ იმ გიჟის არ იყოს, ქათამმა იცის? – სიცილით თქვა ბენიამ.

– მაინც ყველაზე უფრო ამ უნდობლობის მიზეზი მაინტერესებს. საიდან მოდის იგი. ნუთუ მართლა აღარ გჯერათ ჩვენი? – გაიმეორა კითხვა ჯინამ.

– არ გვჯერა იმიტომ, რომ ასე ჰაიჰუით და რიხით დაწყებული ვერც ერთი საქმე, ვთქვი, მისი არ იყოს, ბოლომდე ვერ მივიყვანეთ.

– ვისი ბრალია მერე? მაინცდამაინც მიზეზი ჩვენს გარეთ უნდა ვეძებოთ? რატომ მოხდა, რომ სოფელში ერთი კომლიღა ცხოვრობს? მხოლოდ ჭონქას ბუხრიდან ამოვიდეს კვამლიო, დაგვიკანონა ვინმემ?

– იმ ერთ ბუხარშიც ეჭვი მეპარება, – ჩაილაპარაკა ბენიამ.

ყველამ ჭონქას შეხედა.

– დედას გეფიცებით, არა ვსტყუი, საფიცარ რაი არს. – გულზე ხელი მიიდო ჭონქამ.

– რომელი სოფელია, გენაცვალე? – ჰკითხა არჩილმა.

– ბლოუ.

არჩილმა ღიმილით კეფა მოიფხანა: – რას ერჩით ამ კაცს.

– გაფიცებ გულით საყვარელს, ზამთარშიც იქ ხარ მარტო, შენს ბლოუში? – ჰკითხა ელეფთერმა.

– ამ ზამთარს არ ვყოფილვარ, დიდთოვლობა იყო, ფიცში ვერ ჩავიყოლიებ.

– შარშან? – არ მოეშვა ბენია.

– შარშან ზამთარს მთელი ორი კვირა დავჰყავი.

– დანარჩენი? – ჰკითხა ჯინამ.

– რა დანარჩენი?

– ზამთრის დარჩენილი დრო, იმ ორი კვირის გარდა, სად გაატარეთო?

– ჩემ სოფელ „გამარჯვებაში“, იქაც მაქვს სახლი.

– ესეც შენი გაცოცხლებული სოფელი. ასე რომ ვიმსჯელოთ, მე სოფლის მოღალატეს და გაქცეულს მეძახიან, მაგრამ ზაფხულობით მეც ჩემს სოფელში ვარ. – თქვა ბენიამ.

– თქვენც იქაური ბრძანდებით? რა ჰქვია სოფელს? – ჰკითხა ავალომ ბენიას.

– ბლოუ – თქვა დარცხვენილმა ჭონქამ.

– არა. ჩემი სოფელიც მთაშია, ოღონდ სხვა მხარეს. საერთოდ კი ახლა თბილისში ვცხოვრობ. – ჭონქას შეხედა ბენიამ.

– თქვენ ბრძანეთ, ციმბირის რომელიღაც სოფელს ვეჯიბრებიო! – ჰკითხა ავალომ ჭონქას.

– დიახ, ვეჯიბრებით, კუსტანაის ოლქი, სოფელი იევლევო!

– აქედან იმ სიშორეზე როგორ ეჯიბრებით?

ჭონქა ამაყად და ჯიქურად წინ იხედება, ცოტა არ იყოს გაბუტულია, რომ მის „გმირობაში“ ეჭვი შეიტანეს:

– დიაღაც ვეჯიბრებით.

– რატომ ეჯიბრებით, რა დაგიშავათ?

აქ კი ველარ შეიკავეს სიცილი.

ბიქტორმა სული მოითქვა და სიცილისგან ჩამოღვრილი ცრემლი მუშტით მოიწმინდა:

– სწორად კითხულობს ეს კაცი. ეს შეჯიბრება, ვთქვი მისი არ იყოს, გაზეთის ფურცლებზეა, თვარა ვინ ვის ეჯიბრება, თუ ღმერთი გწამს. ადვილი შესაძლებელია, იქ არც კი იცოდნენ, რომ ეს ჩვენი ბიჭი დამარქაფებული მოსდევს და ეჯიბრება.

– მართლაც, რა ჯარხანაა ეს შეჯიბრება, რა შეჯიბრება აგვიტყდა, ფიზკულტურა ხომ არ არის? სერიოზული ხალხი ვართ, საქმეს ვაკეთებთ. რას ჰქვია შეჯიბრება, – თქვა სილოვანმა.

ელეფთერი ალაპარაკდა:

– ამიტომაა, დენზე ჩართულებივით იქეთ-აქეთ რომ ვაწყდებით. სულ შეწუხებული და გატაცებული სახეები გვაქვს. ხალხი წყნარად ცხოვრობს. ფინელი რომ ფინელია, გეტყვი აგერ, სასტუმროს გვიშენებდნენ შარშან. ნასადილევს ხვეწნით რომ ყელი გამოგეღადრა, არ დაიძინოთო, ვერაფერს გახდებოდი. წაწვებოდნენ და საათი-საათნახევარი ფშვინავდნენ. ჩვენ თვალებდაჭყეტილები ვუვლიდით გარს. მძიმე ავადმყოფი უნდა იყოს ჩვენებური, შუადღისას რომ დაიძინოს.

– დღისით, მზისით რაი დამაძინებს?

– მთელი მსოფლიო რომ იძინებს! ჩვენ ვითომ ყველაზე ჭკვიანები ვართ? – ჭონქას შეხედა სილოვანმა.

– როცა სხვას სძინავს, სწორედ მაშინ უნდა იფხიზლო, თორემ დარჩები მშიერი. – თქვა ბენიამ.

– მისწრებაზე და სიჩქარეზე გამახსენდა: ჰერი-ჰერით და ყიჟინით შეიძლება სახლი გადათოვლო, მარა ყველაფერში სიჩქარე შეიძლება? მწვანე ქვის მონასტერი თუ გინახავთ? – იკითხა ბიქტორმა.

– ბავშვობაში. – უპასუხა არჩილმა.

– ახლა მიდით და ნახეთ.

– რა დაემართა? – იკითხა ჯინამ.

– სასწრაფო რესტავრაციააო და გაჯით გალესეს კედლები, ძველი ფრესკების ნარჩენები გაჯით დაფარეს, ახალი უნდა დავხატოთო. წინა კვირას შაბათობა მოუწყვიათ და პროფსასწავლებლის მოწაფეებისთვის სულ სიმღერ-სიმღერით ჩამოუფხეკინებიათ მონასტრის კედლები. შაბათობის იმედით და მოსწრებაზე რესტავრაცია გამიგონია? – თქვა ბიქტორმა.

– მერე თქვენ, ამ სურათს რომ შეესწარით, რა ზომას მიმართეთ? – აშკარად ჩანდა, რომ ბიქტორის ნათქვამმა ჯინა აღაშფოთა.

– იმ დღეს ქე ჩამოვყარე ხარაჩოებიდან და ერთ-ორს ქე გადავაცალე გაჯიანი ვედრა თავზე, მარა რაი. ჩემსას გეიგონებენ მაგენი?

– ა, ასე ვიცით. ერთბაშად ისეთ შეცდომებს დავუშვებთ, რომ თაობები ვერ გაასწორებენ.

– ა, ბატონო, ვთქვი მისი არ იყოს, ილაპარაკე ახლა ეს ტელევიზორში და კაი დახლი დაგიდგება.

– არაფერიც არ მოხდება. სწორედ ასეთები უნდა ვილაპარაკოთ.

– მეორე დღესვე მტრად გამოგაცხადებენ. – დაბეჯითებით აუწყა ბენიამ ჯინას.

– ახლა ხალხის მტრობას აღარ აბრალებენ, ახლა სხვანაირ მოაზროვნედ აცხადებენ. ოღონდ ერთბაშად კი არ

ჰკიდებენ ქიჩოში ხელს. ნელ-ნელა მოუვლიან. მეთოდები ძალიან დაიხვეწა, წინ წავედით. – თქვა სილოვანმა.

– რაღაცის თქმას აპირებდით, ბატონო ბიქტორ. – ჯინამ ბიქტორს შეხედა.

– ვიტყვი, ოღონდ ჯერ პირობა უნდა მომცე, რომ მტრად არ ჩამთვლით.

– როგორ გეკადრებათ.

– ახლა ისეთი დროა, ყველას თვითონ ჰგონია, რომ ბოლოს სიმართლე ჯიბეში უდევს. მრჩეველი და დამრიგებელი არავის უყვარს. რავარც პირს გააღებ და იტყვი, არ ვარგა ასეო, მაშინვე ავი მუსაიფი ეჩვენებათ.

– ბრძანეთ, ბრძანეთ, თამამად.

– ჯერ ეს მითხარი: მართლა გინდათ ქვეყნისთვის სიკეთე, თუ ყასიდად ლაპარაკობთ? მართლა მონდომებული ხართ, ხალხი უკეთ ცხოვრობდეს? თუ თქვენც თქვენის მხრივ ვიღაცას ატყუებთ და მთლად სიცრუეზეა აშენებული ეს ქვეყანა?

– გვინდა.

– აბა, თუ გინდათ, კარგად დამიგდე ყური. მე იმნაირ მუღამს გასწავლით, რომ ერთბაშად მოეღოს ბოლო ამ ქვეყნის უთავბოლო მოწყენილობას.

– აბა, ჰე, გვიშველე, შე კაცო! – მუხლებზე დაირტყა ხელი ელეფთერმა.

– ბევრი უსაქმური დაგროვდა ქვეყანაზე. ახლა ზოგი უფროსი იმ დათვის დღეშია, სხვა დათვს რომ სხვის ვენახში ეპატიჟებოდა. თუ ქვეყნის სიკეთე გინდათ, ახლა, ძალით თუ ნებით, ორი რამ უნდა გააკეთოთ: პირველი – თოხი და მწყემსის კომბალი მისცეთ ხელში გამოგონილ სკამებზე უსაქმოდ მჯდომებს, მეორე – მიწას ბევრზე-ბევრი ცრუ პატრონი ნუ ეყოლება, ვთქვი მისი არ იყოს, მიწა მიწის მუშას უნდა ეკუთვნოდეს! – განაცხადა ბიქტორმა.

– აგაშენა ღმერთმა! – კვერი დაუკრა სილოვანმა.

ყველამ წუთიერად თავი ჩაქინდრა.

– მდაა... მძიმე სურათია – სხვისი ხმით თქვა არჩილმა.

ტელეაპარატის თავზე სინათლე ჩაქრა და სახეგაბადრულმა ვაჟამ კიბე ქურციკივით ჩამოირბინა. იგი აღტაცებული მიეახლა გადაცემის მონაწილეებს ხელს ართმევს და უღიმის.

– მშვენიერია, მადლობელი ვარ, ძვირფასებო!

– აგაშენათ ღმერთმა. დავიწყოთ აბა. – საათზე დაიხედა ბიქტორმა.

– რა? – ჰკითხა ვაჟამ.

– ჩაწერა.

– ჩავწერეთ უკვე!

ვაჟას სიტყვების გაგონებისას გადაცემის მონაწილენი ელდანაცემივით შეჩქვიფდნენ, ყველას ზაფრანის ფერი დაედო.

– რას ჰქვია ჩაიწერეთ?! – ამოიკნავლა ნუცამ.

– დამიჯერეთ, ასე სჯობდა, მე მგონი არ გამოგვივიდა ურიგო საუბარი – დაბეჯითებით თქვა ვაჟამ.

გადაცემის მონაწილეებმა ჯინას შეხედეს, ჯინამ განზე მიაბრუნა თავი. მალე, თითქოს გამოფხიზლდნენო, ყველანი ერთბაშად აყაყანდნენ და ვაჟას შემოეხვივნენ. ვაჟა სცენის ხან ერთი კუთხისკენ გარბის და სკამზე ეშვება, ხან ისევ მრგვალ მაგიდას უბრუნდება. გადაცემის მონაწილენი ფეხდაფეხ მოსდევენ, ერთმანეთს ასწრებენ, ლაპარაკს არ აცლიან, ყველა თავისას ჩასძახის თავგაბეზრებულ ვაჟას.

– ასე როგორ შეიძლება!

– ეს გადაცემა რომ ხალხმა ნახოს, ხომ მოგვეჭრა თავი.

– სხვისა არ ვიცი და ჩემი ნათქვამი უეჭველად უნდა ამოიღო. – ევედრება ელეფთერი.

– როგორ, ბატონო?

– უნდა ამოიღო რამენაირად. შეგიძლიათ თქვენ მაგის მოხერხება.

– პროტესტს ვაცხადებ. ასე როგორ შეიძლების. მეორე ლექსი უნდა მეთქვა! – გულზე მჯიღს იცემს ჭონქა.

– არა უშავს, სხვა გადაცემაში თქვი! – სცადა მისი დამშვიდება ვიღაცამ.

პროცესიამ სხვა სკამისკენ გადაინაცვლა, ნუცამ იმარჯვა და ვაჟას ყურში ჩასძახის:

– ხელმეორედ უნდა ჩავიწეროთ, არ ვიცი მე, თორემ წავალ, სადაც საჭიროა!

– რა მოხდა ბოლოს და ბოლოს, ნუ დაახრჩვეთ ეს კაცი. რაც იქნება, იქნება! – თქვა ბიქტორმა.

– რას ჰქვია? რაც იქნება იქნებას იმედზე ვიყოთ? – ადუღდა ბენია.

– ნუ გეშინიათ, არ იქნება ხარისხიანად ჩაწერილი. მაინც დაიწუნებენ. – იმედის ხავსს ებღაუჭება ავალო.

– რომ არ დაიწუნონ, ხომ ამოვვარდი კაცი! – შიშით იკითხა სილოვანმა.

პროცესიამ ახლა სხვა სკამისკენ გადაინაცვლა.

– უხერხულია, სერიოზული ხალხი ვართ. არ შეიძლება ასე. რასაც ვფიქრობდით, ის ვილაპარაკეთ, ბოლოს და ბოლოს, რაც იქნება, იქნება! – სიტუაციის განმუხტვას ცდილობს ბიქტორი.

უსიამოვნო ბუტბუტით, ნერვიული ნაბიჯით, ზოგი დამუქრებითაც კი სათითაოდ გაიკრიფნენ სტუდიიდან გადაცემის მონაწილენი. ჯინა მარტო უზის მრგვალ მაგიდას. ვაჟასთან მხოლოდ ბიქტორი დარჩა.

– წელან გითხარი მისი არ იყოს, ჩემი ლაპარაკი მართლა უნდა ამოიღო, ჩემი საქმე სხვანაირადაა. მაინც ალმაცერად მიყურებენ.

– დამერწმუნეთ, ბატონო ბიქტორ, არაფერი გაქვთ საშიში. ისეთი არაფერი გითქვამთ. – ამშვიდებს ნანა მოხუცს.

– ჩემი საქმე მე ვიცი, ბიძია – ბიქტორმა ვაჟას მუდარით შეხედა. – ამომიღე, ღმერთი არ გწამს? გაფრთხილებული ვარ, კუდს გამოაბამენ, ვიცი მე.

ბიქტორმა ხელი ჩაიქნია და წელმოწყვეტილივით გააბიჯა კარებისაკენ.

დათო და ნანა ხმამაღლა იცინიან.

დაღლილი ვაჟა ეშვება სკამზე. პაუზა.

– ღმერთო, როგორ ეშინიათ, როგორ გეხვეწებოდნენ, ამოგვიღეო. – თქვა ნანამ.

– ახლა ხომ დარწმუნდით, ბატონო ვაჟა? – ჰკითხა დათომ.

– რაში?

– ხომ ნახეთ, რა უყვეს ადამიანს?

– ეს არის თქვენი აღზრდის პროდუქტი – სოციალიზმის მოქალაქე?

– როგორ ფიქრობ, სხვაგან სადმე მსოფლიოში, ტელეაპარატთან კაცს ამდენს ეხვეწებიან, მამას გაფიცებ, რასაც ფიქრობ, ის ილაპარაკეო?

– მაინც როგორ მოხდა, რა მანქანებით მიაჩვიეს ადამიანები ერთის ფიქრს და მეორის კეთებას? – იკითხა ნანამ.

– დემოკრატია ჩვენთვის ჯერ უცხო ხილია და ჯერ შორიდან ვუვლით, როგორც შაშვები კაკანათს.

– „კლასიკური დემოკრატიის და მსოფლიოში ყველაზე ჰუმანური სახელმწიფოს“ მოქალაქენი ათეული წლების განმავლობაში ტაშის გრიალით ხვდებოდნენ კაცებს, რომელთაც თანამდებობა წესიერი არჩევნებით კი არა, თავიანთივე მეგობრების ზურგში ხანჯლის ჩაცემით და ყელზე რევოლვერის მიბჯენით ჰქონდათ მოპოვებული.

ვაჟა წამოდგა, კიბისკენ წავიდა, შეჩერდა და მოიხედა:

– ბედნიერი კაცი ვიქნებოდი, ეს ყველაფერი თქვენ არ გენახათ და მოგესმინათ. თან არ წაგეღოთ იმ საუკუნეში შეცდენილი, მოტყუებული თაობების სევდიანი ისტორია, მაგრამ როდემდე დაგვემალა თქვენთვის სიმართლე, როდემდე?

– როდემდე?! – თქვა ნანამ.

– როდემდე?! – გაიმეორე დათომ.

...შუაღამე გადასული იყო.

დავით აღმაშენებლის პროსპექტზე სამნი მიაბიჯებდნენ.

შემოდგომი ცივი ქარი ქროდა.

მამლის ყივილამდე ჯერ გრძელი ღამე იდო.

იგივენი და ოფელია

მეოთხეჯერ რომ შევიდა ბატისჭუკისფერთმიანი ინგლისელი და საკუთარ მაჯის საათზე თითის კაკუნით აგრძნობინა, როდემდე უნდა ვიდგეთ აქო, საბაჟოს მორიგემ სელექტორს ჩასძახა:

– რა ჰქენით მანქანების!

– მოგახსენებთ, – უპასუხა ახალგაზრდულმა, მორჩილმა ხმამ და ორიოდე წუთში მორიგის მაგიდასთან სამი პირტიტველა ჯარისკაცი იდგა. ისინი სათითაოდ მიდიოდნენ ფანჯრის რაფას მიყრდნობილ ჩინოვნიკთან და რაღაცას დაბეჯითებით უმტკიცებდნენ. ინგლისელი ატყობდა, რომ საუბარი მის ტვირთს შეეხებოდა. კაცმა რომ თქვას, რა დიდი შეტყობა უნდოდა, ჯარისკაცი ჯერ სტუმარს შეხედავდა და მერეც, საბაჟოს მორიგეს რომ ყურში უჩურჩულებდა, ინგლისელს თვალს არ აცილებდა, ხომ არაფერს ხვდებაო.

– იქნება მართლა დეკორაციებია? – მცირე პაუზის შემდეგ თქვა მორიგემ, დაჯდა და ტყავის საქაღალდეზე თითები აატყაპუნა.

– იეს, იეს, დეკორეიშენ! – გამოცოცხლდა სტუმარი.

იმ სამიდან ყველაზე დაბალი, ცხვირპაჭუა ჯარისკაცი კიდევ ერთხელ დაიხარა და ახლა უკვე ისე ჩუმად ალაპარაკდა, რომ მორიგესაც ძლივს ესმოდა.

– რანაირად? – ლუნაჩარსკის სურათს ახედა საბაჟოს პასუხისმგებელმა პირმა.

ჯარისკაცი დაიხარა და ყურთან ტუჩები აუმოძრავა.

– რომ ეწყინოთ? – ფეხები მაგიდის ქვეშ გამართა და ხელები გაშლილი თითებით საქაღალდეს დააწყო მასპინძელმა.

ჯარისკაცმა კიდევ ერთხელ მომართა ტუჩები.

საბაჟოს მორიგე ტელეფონს დაწვდა და ორიოდე წუთის შემდეგ ოთხივენი უხსნიდნენ ინგლისის ნაციონალური თეატრის წარმომადგენელს, რომ დეკორაციების ინგლისური მარკის მანქანებიდან საბჭოთა მარკის მანქანებზე გადატვირთვით ინგლისის მხარის ინტერესებისთვის იყო საჭირო. წინააღმდეგ შემთხვევაში დეკორაცია-კოსტიუმები ადგილზე ვერ ჩააღწევდა, რაკიღა კავკასიონის ქედზე გამავალი სამხედრო გზა ალაგ-ალაგ ისეთი ვიწრო იყო, რომ „ოჰიუს-8 კორპორეიშენის“ გიგანტ მანქანებს მანევრირება გაუჭირდებოდათ.

თეატრის ტექნიკური მენეჯერი მაიკლ შერვუდი ყელგამოწვდილი ეხვეწებოდა საბაჟოს მესვეურებს, დეკორაციების სხვა მანქანებზე გადატვირთვა, ძალიან ძნელია, საგანგებოდ გვაქვს შეფუთულ-შეხვეულიო, მაგრამ, მოგეხსენებათ, თუ რაიმე არ გადის ჩვენი საზღვრის გუშაგებთან, ეს სწორედ ხვეწნა გახლავთ და რაც უფრო მეტს იხვეწებოდა უცხოელი, ჩვენს მხარეს უფრო და უფრო იპყრობდა ეჭვი იმის შესახებ, რომ ამ ორ უზარმაზარ მანქანას მხოლოდ ისეთი უწყინარი ტვირთი როდი შემოჰქონდა საბჭოეთის ტერიტორიაზე, როგორიც „ჰამლეტის“ დეკორაციები და კოსტიუმ-რეკვიზიტი გახლდათ.

ბოლოს და ბოლოს შერვუდიც მიხვდა, რომ თხოვნა არ გაუვიდოდა და ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა, მაგრამ იქვე განაცხადა, თეატრის დასი და ხელმძღვანელობა, მოგეხსენებათ, გუშინ გამოფრინდა ლონდონიდან და უკვე თბილისში არიან, მე ტრანსპორტისა და გადატვირთვის ხარჯებს შეფის გარეშე ვერ გავიღებ, ამიტომაც, კეთილ ინებეთ, და, თეატრის დირექტორთან – ტიმ ჯეკსონთან მალაპარაკეთო.

გადატვირთვით ჩვენვე გადავტვირთავთ, ხარჯებზე ნუ იდარდებთ, მასპინძელი ქვეყანა ჩვენა ვართ და უფასოდ მოგემსახურებით, მთლად ისე კი არაა საქმე, როგორც იქეთ, კაპიტალისტურ სამყაროში გეჩვენებათო, საბაჟოს მორიგემ სმენაზე გაჭიმულ სამ ჯარისკაცს ამაყად გადახედა.

შერვუდმა მადლობით მიიღო შემოთავაზებული „უფასო მომსახურება“, მაგრამ მაინც გაჭირვეულდა; დირექტორთან საუბრის გარეშე ვერ დაგყაბულდებითო.

გაიცა განკარგულება და ორიოდე წუთში ორი ინგლისელი „გუდ მორნინგებითა“ და „აი ანდესტერნებით“ ეჭიკჭიკებოდა ერთმანეთს. დირექტორი სასტუმროში არ აღმოჩნდა და მცხეთისკენ მიმავალ ინტურისტის მანქანაში მისცეს ხელთ ყურმილი.

საუბარი კარგა ხანს გაგრძელდა და ბოლოს შერვუდმა ყურმილის დაუდებლად, დატანჯული სახით მიმართა საბაჟოს მორიგეს. დირექტორი თანახმაა, თუ იმის გარანტიას მოგვცემთ, რომ დეკორაციები არ გაფუჭდება და ჩვენი ბარგი ზეგ, თერთმეტ საათზე თბილისში აღმოჩნდება, რადგანაც მაზეგ, 3 ივნისს სპექტაკლი დანიშნულია; აფიშები გაკრულია და ბილეთები გაყიდულიაო.

ჩვენმა მხარემ გარანტია დაუფიქრებლად შეაგება, რის შემდეგაც მაიკლმა რამდენიმე ნაღვლიანი ფრაზა ჩასძახა ყურმილს და იმ პაციენტის თვალებით მიაჩერდა მორიგეს, რომელიც საოპერაციოდ გაამზადეს და ვეღარაფერს შეცვლის, თუმცა ღრმადაა დარწმუნებული, რომ საოპერაციო არა სჭირს რა.

ნასადილევს მოლოტოვის სახელობის ქარხნის ორი დანჯღრეული საბარგო მანქანა, „სოუზტრანსის“ ერთი თექვსმეტკაციანი ავტობუსი და „კამაზის“ სისტემის ორი ტრალერი რომ მიაყენეს ინგლისურ მანქანებს, შერვუდმა და მძღო-

ლებმა შეიცხადეს და „ნოუ, ნოუს“ ძახილით მორიგესთან შეცვივდნენ, მაგრამ მათ პროტესტს შედეგი არ მოჰყოლია. მტვირთავთა „ოცეული“, სანამ მოლაპარაკება გრძელდებოდა, საქმეს შეუდგა. სტუმრები იძულებული გახდნენ საბაჟოს პასუხმგებელ პირთან ურთიერთობის ფუჭი გარკვევა შეეწყვიტათ და მკლავჩახვეულნი, ჭირისუფლებივით დადგომოდნენ თავზე არცთუ უცნობისმოყვარო მტვირთავებს.

ოცეული ისე ენერგიულად შრომობდა, როგორც შეიძლება შრომობდეს ადამიანთა ჯგუფი, რომელსაც ამხელა საქმეში კაპიკს არ უხდიან და ყველაზე ფაქიზად გადმოტვირთვის შემთხვევაშიც კი მადლობას არავინ ეტყვის. რაკიღა დაატყვეს ინგლისელებმა, რომ პირტიტველა მტვირთავები დეკორაციებს ასატანზე უფრო უხეშად ეპყრობოდნენ, კაბინიდან ზურგჩანთა გადმოათრიეს და „საქმეში გაუშვეს“ სუვენირები, სიგარეტები, საღეჭი რეზინები და, თქვენ წარმოიდგინეთ, ჰალსტუხის სამაგრებიც კი. მტვირთავებმა სუვენირების გამოძალვის ტაქტიკა ფიცხლად შეიმუშავეს. ყუთებს ბრახუნით რომ დააგდებდნენ, ან რეკვიზიტს გაუფრთხილებლად შეისროდნენ მანქანიდან მანქანაზე, ეს იმის ნიშანი იყო, რომ სტუმრებს სიგარეტებისა და საღეჭი რეზინების ხელახალი ჩამორიგება მოუწევდათ.

მტვირთავებს შორის პიწკად დააბიჯებდა ჩვენი ნაცნობი სამი ხელჯოხიანი ჯარისკაცი და, აქაოდა გადმოტვირთვის დროს ხომ არაფერი დაზიანდაო, გულმოდგინედ იცქირებოდნენ ყუთებში და, ღმერთო შეგცოდე, განსაკუთრებით ყუთების ფსკერზე მდებარე მუყაოს ქაღალდების სისქე აინტერესებდათ.

გამთენიის სამ საათსა და თორმეტ წუთზე გადატვირთვა – ჩხრეკა დამთავრდა. მორიგეს გულწრფელად სწყინდა, რომ ინგლისური თეატრის ბარგში არ აღმოჩნდა საიდუმლო

რუკები, მიკრო ჩამწერ-გადამცემები, მასობრივი მოწამვლის საშუალებანი, ან თუნდაც ნარკოტიკები. უხალისოდ შეადგინა საბაჟოს ოქმი და დილის რვა საათზე ისე წავიდა შინ, რომ ცარიელ მანქანებში ძილად მიგდებულ სტუმრებს კი არა, თავის კოლეგებსაც არ დამშვიდობებია.

ბრესტის ლეგენდარული ციხესიმაგრის შემოგარენში ნელა, სვენებ-სვენებით თენდებოდა.

ხელისგულისოდენა ტბიდან შურდულივით ავარდნილი იხვი თუ დაარღვევდა საზღვრისპირა სოფლის გუშაგთა ყურადღებას, თორემ სხვა მხრივ სამარისებური სიჩუმე იყო.

იხვისთვის და საერთოდ, ნადირ-ფრინველთათვის, მოგეხსენებათ, საზღვარი არ არსებობს, ისინი თავიანთი ანგარიშმიუცემელი ქცევით ცოტა საზრუნავს როდი უჩენენ სიჩუმესმიჭიჭინებულ მესაზღვრეებს.

სანამ სტუმრები ჩვენს ჩამოწერილ თუ ჩამოსაწერ მანქანებს ირგვლივ უვლიდნენ და ხელებს ასავსავებდნენ, საბაჟოს სათათბირო ოთახში აზრთა ცხოველი გაცვლა-გამოცვლა გაიმართა.

საბაჟოს ახალი მორიგე, რომელმაც ამ დილით შეცვალა ძველი მორიგე, დაბეჯითებით ამტკიცებდა, რომ დეკორაციების გადატვირთვის ოპერაცია შეცდომა იყო და საერთაშორისო ურთიერთობაზე ჯანსაღ გავლენას როდი მოახდენდა. ჯერ ერთი ინგლისელები განა ისე მიამიტი ხალხია, ვერ მიხვდნენ, რისთვის გავითამაშეთ ჩვენ ეს სპექტაკლი და მეორეც, იმან რომ ქუდი დაიხურა და წავიდა, მე რანაირად გავაგებინო ამ პატიოსან ხალხს, რომ ისევ ინგლისურ მანქანებს უნდა ავკიდოთ ინგლისური ტვირთიო. მალე საბაჟოს ეზოში ახალთახალი ვილისი შემოგრიალდა. სამოქალაქო ფორმაში გამოწყობილი ორი დიდმესაზღვრე გულმოდგინედ გაეცნო „შექმნილ ვითარებას“. წუხანდელი

მორიგის საქციელი „სიფრთხილეს თავი არა სტკივას“ მოხდენილი ანდაზით გაამართლეს და თავის მხრივ, წინადადება დააყენეს: კაცმა რომ თქვას, მართლაც, რა მოხდება ჩვენი მანქანებით ჩავიტანოთ ბარგი თბილისშიო. საბჭოთა მანქანების ტექნიკური დათვალიერებისას გაირკვა, რომ დარიალის ვიწროებში და ჯვრის უღელტეხილის ოღროჩოღრო გზებზე ეს მონჯღრეული მანქანები სამამულო ინდუსტრიას ერთხელ და სამუდამოდ მოჭრიდნენ თავს. „რაკი ასეა, შეხედულებისამებრ იმოქმედეთო“, უბრძანეს პასუხისმგებელმა პირებმა საბაჟოს მორიგეს და იქაურობას ისეთივე სერიოზული სახეებით გაეცალნენ, როგორი სერიოზული სახეებითაც მოვიდნენ.

ცოდვას ვერ დავიდებ, მაიკლ შერვუდს არ შეუცხადებია, როცა აცნობეს, ბარგის „ოჰიუ-8 კორპორეიშენის“ მანქანებზე ხელახალი გადატვირთვა ინგლისის ნაციონალური თეატრის პატივისცემისა და ინტერესების გამოა აუცილებელიო. დაახლოებით მსგავს გადაწყვეტილებას ელოდა თეატრის ტექნიკური ხელმძღვანელი, მაგრამ გულისჯიბიდან ამოწეულ საათზე წამდაუწუმ ორი თითის კაკუნით აგრძნობინებდა მასპინძლებს, რომ დრო არ ითმენდა, ხვალ, თერთმეტ საათზე ბარგი ადგილზე უნდა ყოფილიყო.

საბაჟოში ფაციფუცი ატყდა. გუშინდელი ოცეული საწვრთნელ იერიშზე წაეყვანათ და საღამომდე არ მობრუნდებოდა სახელდახელოდ შეაქუჩეს აქტივისტი მოქალაქეებისაგან დამხმარე რაზმი და სამხედრო-პატრიოტული მოვალეობა რომ ხმამაღლა მოაგონეს, მერე ხმადაბლა სთხოვეს, გვიჭირს და მანქანების გადატვირთვაში გვიშველეთო. მოქალაქეები მცირე ყოყმანის შემდეგ დათანხმდნენ, მაგრამ ვითარებას რომ გაეცვნენ, განაცხადეს, გადატვირთ-

ვის ღონისძიების დროულად და ხარისხიანად ჩატარებისთვის საჭიროა, მანქანები დავუახლოვოთ ერთმანეთსო. ეს უკანასკნელი ღონისძიება დიდ სიძნელეს როდი წარმოადგენდა, მაგრამ უხერხულობას ის ჰქმნიდა, რომ საბჭოთა მძღოლები შინ წასულიყვნენ, ხოლო თავიანთი მანქანები ცხვირით ისე მიედგათ ერთმანეთთან (ვინ იცის, რა მოსაზრებით ხელმძღვანელობდნენ), რომ ინგლისური გიგანტები ახლოსაც ვერ უდგებოდნენ.

დაახლოებით კი არა, ზუსტად ოთხ საათზე თითქმის ყველაფერი მოგვარდა. მობილიზაციის წესით მოყვანილი მძღოლები თავს იმართლებდნენ; ჩვენ გვითხრეს, მანქანები დააყენეთ და თავისუფალი ხართო. ჩვენც გავთავისუფლდით და, განრიგის მიხედვით, ზეგ ვაპირებდით სამსახურში გამოცხადებასო.

გადატვირთვა გადმოტვირთვაზე ძნელი აღმოჩნდა. მოქალაქეთა რაზმი ჭირვეულობდა. არც სუვენირებს იღებდა დიდი ხალისით, ჩვენ ჩვენი გასაჭირი გვყოფნის, რა უფლება აქვთ, ბოლოს და ბოლოს გამთენიამდე ვირებივით რომ გვამუშავებენო. წეღანდელმა პატრიოტულმა აღტკინებამ გადმომტვირთავ-მოიერიშე ჯგუფს მალე გაუარა და ვერც გაამტყუნებდი.

ცა კარგად გამტრედისფერებული იყო, საქმეს რომ მორჩნენ. ინგლისელმა მძღოლებმა შერვუდს დემონსტრატიულად განუცხადეს; სამი საათი მაინც თუ არ წავუძინეთ, კაცებად აღარ ვვარგივართ, ფეხსაც ვერ გადავდგამთო.

შერვუდი, სანამ მძღოლები გაიღვიძებდნენ, საბაჟოს ეზოში დამჟავებული სახით და არცთუ მთლად სასიამოვნო ინგლისური ჩიფჩიფით დააბიჯებდა.

საღამოვდებოდა, პროცესია კავკასიონის მთავარი ქედის მიმართულებით რომ დაიძრა. ვლადიკავკაზში საწვავი შემოელიათ და ჩვენი ბენზინი ჩაისხეს. ჩვენი ბენზინი თა-

ვისთავად ურიგო როდია, მაგრამ ინგლისურ კარბურატორს ვერ შეეგუა და ვლადიკავკაზიდან სტეფანწმინდის ვიწროებამდე ეს ამოდენა მანქანები საწყალობელი ხველებითა და ქშენა-ჩიქჩიქით ძლივს ამოვიდნენ. სტეფანწმინდასთან კი ვიწრო მოსახვევში (რომელიც „ოჰიუს-8 კორპორეიშენის“ ტიპის გიგანტებისთვის არ იყო გათვალისწინებული) წინმავალი მანქანა ვეღარ მობრუნდა და ისე საიმედოდ გაიჭედა, რომ დილამდე, სანამ საგზაო სამსახურმა კლდე არ ჩამოანგრია და გზა არ გააფართოვა, ინგლისელებიც და უკან მომყოლი ქართველი მძღოლებიც კოცონს უსხდნენ და ტკბილი მასლაათით ათენებდნენ.

* * *

...მესამე ზარის შემდეგ, ავანსცენაზე თეატრის დირექტორი სახედაღარული, კაფანდარა, აწოწილი მოხუცი გამოვიდა და მაყურებელს მიმართა:

– ძვირფასო თბილისელებო. იმათ, ვისაც ჩვენი დეკორაციების კოსტუმების და რეკვიზიტის დროულად ჩამოტანა უნდა უზრუნველეყო, თქვენი მდიდარი ფანტაზიის და სულგრძელობის იმედად დაგვაგდეს. ჩვენ ვითამაშებთ „ჰამლეტს“, მაგრამ ეს, რასაკვირველია, ის „ჰამლეტი“ ვერ იქნება, რითაც თქვენთან თავმოწონების იმედი გვქონდა.

სპექტაკლი დაიწყო. სცენაზე დაშლიგინებდნენ ჯინსიანი ჰამლეტი და ბანანისშარვლიანი ოფელია, ხოლო რეკვიზიტს და დეკორაციის მაგიერ გამოყენებულ დეტალებს დაკვირვებული მაყურებელი გამოიცნობდა; ინგლისის ნაციონალურ თეატრს ჩვენი „ანზორის“, „ღალატის“ და „კახაბრის ხმლის“ მხატვრულ-ტექნიკური გაფორმებით უხვად ესარგებლა.

ბაგირის ორი ბოლო

სცენის შუაში დიდი ტელეეკრანია. მასში რამდენიმე კაცი თავისუფლად მოთავსდება. ეკრანის მარჯვნივ და მარცხნივ, შემაღლებულ ფიცარნაგზე, ორ-ორად, ექვსი სკამი დევს. იმ ექვს სკამს წინ მოშორებით თითო სკამი უდგას. მარცხნივ ზის ამერიკელთა დელეგაცია, მარჯვნივ ჩვენი. ამერიკელები ამერიკულად, მოშვებულად სხედან, ჩვენები გაჭიმულნი, სამკერდე ნიშნებით და ჟეტონებით დამშვენებულნი. თითო სკამზე პროგრამის წამყვანები – ტომი და ლეო სხედან თავიანთ დელეგაციებთან ახლოს და ხელში მიკროფონები უჭირავთ. იხსნება ფარდა. ამერიკის დელეგაცია ფეხზე დგება და მღერის ტემპიან ამერიკულ სიმღერას. მერე ჩვენი დელეგაცია დგება ფეხზე და მღერის ძნელადგასაგებ სიტყვებიან და უფრო გაურკვეველ შინაარსიან ხალხურ სიმღერას „ერეხელი“. პროგრამის წამყვანები მიკროფონით ხელში თავიანთი დელეგაციების წინ გამოდიან.

– ჰელო ტომ! – ამბობს ლეო.

– გაგიმარჯოს, ლეო – პასუხობს ტომი ამერიკული აქცენტით.

– გვიხარია, რომ ტელევიზიამ საშუალება მოგვცა, ბოლოს და ბოლოს, ამერიკელ მოქალაქეებს პირისპირ შევხვედროდით, – თითქოს მართლა უხარიაო, აცხადებს ლეო.

– რა ენაზე წარვმართოთ ტელეხიდი? – ტომი, ჩანს, საქმის კაცია.

– რა ენაზეც გაგეხარდებათ, – იღიმება ლეო.

– იქნებ ჩამოთვალოთ, რა ენები იცით და შევარჩევთ, – ეშმაკობს ტომი.

ლეო დაიბნა. საკითხის ასე დაყენებას არ ელოდა.

– ხომ არ აჯობებს ჩამოვთვალო, რა ენებიც არ ვიცი?

ტომს გაეცინა.

– გასაგებია, გასაგები. ჩვენ გაგვიჭირდება, მაგრამ ქართულად ვისაუბროთ.

– როგორც გენებოთ. გნებავთ ქართულად ვისაუბროთ, რაკი ეგრეა, ქართულად ვისაუბროთ. ჩვენ წინააღმდეგი არ ვიქნებით. ჩვენ დამთმობი ხალხი ვართ. – გული მიეცა ლეოს.

– სანამ საუბარს დავიწყებდეთ, ერთი პრობლემა უნდა გადავწყვიტოთ. მე მითხრეს, რომ მიუხედავად თეატრის ადმინისტრაციის წინააღმდეგობისა, მაყურებელთა შორის მაინც გაგვეპარა სამი მოქალაქე, ვისაც იუმორის გრძნობა არ გააჩნია. – ამბობს ტომი.

– ისინი, ალბათ, ბილეთიან მაყურებელთა რიცხვს ეკუთვნიან. უბილეთოებს ყოველთვის ჭარბად აქვთ იუმორის გრძნობა. – კვერს უკრავს ლეო.

– თუ ის სამი სერიოზული მოქალაქე არ აღმოვაჩინეთ, ჩვენს სპექტაკლს ლაზათი დაეკარგება.

– ექსპერიმენტს მივმართოთ, ექსპერიმენტები ახლა მოდაშია.

– რა ექსპერიმენტს?

– ორ სასაცილო ამბავს მოვყვები, შენ დარბაზს დააკვირდი, ვინც არ გაიცინებს, ან გაღიმებით მაინც არ გაიღიმებს, სწორედ ის არის, ვისაც ვეძებდით.

– მოიცა, მერე? ვთქვათ, აღმოვაჩინეთ გაუცინარი სამეული.

– არაფერი. ვთხოვთ დასტოვონ დარბაზი. სალაროში ფულს დაუბრუნებენ და შესთავაზებენ ბილეთებს ლექციების ციკლისათვის ათეისტური აღზრდის თემაზე.

– დაიწყე. – ამბობს ტომი და გაფაციცებით ათვალიერებს დარბაზს:

ლეო ჰყვება:

– ორი კაცი შეხვდა ერთმანეთს. ერთს ცხვირ-პირი ჩამოსტირის. – რა მოგივიდა? ჰკითხა მას იმან, ვისაც ცხვირ-პირი არ ჩამოსტირის. – უბედურება! – მიუგო მან, ვისაც ცხვირ-პირი ჩამოსტირის; – მითხარი, თუ ღმერთი გწამს – მოთმინებას კარგავს ის, ვისაც ცხვირ-პირი არ ჩამოსტირის. – ძაღლი მყავდა, დავიღუპე, მე შენ გელაპარაკები, ძაღლი მყავდა, გელაპარაკები, ძაღლი კი არა, ვეფხვი იყო, პირდაპირ, ვეფხვი კი არა, ლომი იყო პირდაპირ, მისი შიშით ჭიანჭველა ვერ შემოძვრებოდა ჩვენს ეზოში, ჩიტი ვერ დაფრინდებოდა ჩვენი სახლის სახურავზე. ოც მეტრში, ჩემს გარდა, არავის უშვებდა ახლოს. ძაღლი კი არა, ვეფხვი იყო პირდაპირ. მთელ ქუჩას კი არა, მთელ ქალაქს ეშინოდა მისი.

– მერე? მოგიკლეს?

– არა, მომპარეს!

დარბაზში სიცილი. ტომი ენერგიულად ცდილობს აღმოაჩინოს გაუცინარი მაყურებელი.

– როგორაა საქმე? – ეკითხება ლეო ტომს.

– ყველამ გაიღიმა. ზოგმა გაიღიმა კი არა, გაიცინა კიდეც. – შეშფოთებულია ტომი.

– ახლა მეორე ამბავს ვიტყვი. დააკვირდი მეტი ყურადღებით – განაგრძობს ლეო, – ბაზარში კაცი იდგა და კაკალს ჰყიდიდა. საქმე იმაში იყო, რომ იქვე, ბაზარში ყიდ-

ულობდა კილოგრამს ათ მანეთად და იქვე ბაზარშივე ჰყიდიდა კილოგრამს ათ მანეთად. – ვანო! რატომ იქცევი ეგრე უცნაურად? – ჰკითხეს კაკლის გამყიდველს, – თხა ვიყიდე, თხა გავყიდე გამოდის. თუ სარგებელი არ დაგრჩება, რაზე იკლავ თავს ბაზარში დგომითაო; – ეჰ, შვილოსა, ყველას თავისი ეშხის ოფოფები ჰყავს. მე ფულის მოგება კი არ მაინტერესებს, კაკლის ჩხრიალი მიყვარსო, – მიუგო ვანომ.

დარბაზში კვლავ სიცილი, ტომი კვლავ გაფაციცებით ათვალიერებს მაყურებელთა სახეებს.

– როდის მოხდა ეგ ამბავი?

– ვერ გეტყვი. ალბათ მანამდე მოხდებოდა, სანამ ჩვენს ბაზრებზე ვაშლის ფასი კამჩატკაზე ვაშლის ფასს გაუტოლდებოდა. ახლა ვინღა დგას ბაზარში მხოლოდ კაკლის ჩხრიალის სიყვარულით. შენ ეს მითხარი, იპოვე?

– ვერა, ჩემს გარდა, ყველამ გაიცინა.

– ძვირფასო მაყურებლებო, ისედაც გაგვიჭიანურდა, იძულებული ვართ დავიწყოთ სპექტაკლი და ორი სათხოვარი გვექნება თქვენთან...

– პირველი, – სიტყვა წაართვა ლეომ. – დააკვირდით გვერდით მჯდომ მაყურებელს. მთლად ნუ მიაჩერდებით. ისე, შიგადაშიგ გახედეთ ხოლმე. თუ არ იცინის და არც იღიმება, ხელი ხელზე აქვს დადებული და პირმოკუმული, მკაცრი, სერიოზული სახით შესცქერის სცენას, სწორედ ის გახლავთ ჩვენს სპექტაკლზე შემთხვევით მოხვედრილი. ფეხაკრეფით ამოიპარეთ სცენაზე და შეგვატყობინეთ. მერე ჩვენ ვიცით.

– მეორე სათხოვარი ასეთი გვექნება; – ამბობს ტომი, – მიუხედავად იმისა, რომ ამ გამოსვლაში მე და ჩემი კოლეგა საკმაოდ სოლიდურ ჰონორარს ვიღებთ, ყველაზე დიდი

საჩუქარი მაინც ტაშია. ამიტომაც ტაშის დაკვრას ნუ დაიზარებთ. მიჩვეული არ ვართო, ვერ იტყვით, თქვენთან ტაშის დაკვრას აკვანშივე ასწავლიან.

– ახლა კი დავიწყოთ ტელეხიდი! – პათეტიურად აცხადებს ლეო.

მუსიკალური ლაიტმოტივის ფონზე ორივენი თავიანთ ჯგუფთან მოდიან.

– ჩვენ დავიწყოთ თუ, თქვენ დაიწყებთ? – იკითხა ტომმა.

– როგორ გეკადრებათ, თქვენ, რასაკვირველია. – ლეო დამთმობი კაცია.

– იქნებ თქვენ დაგეწყოთ?

– არავითარ შემთხვევაში! – ისეთი ქართული სტუმართმოყვარეობით თქვა ლეომ, რომ კინაღამ გაიქცა ტელეეკრანიდან. – თქვენ დაიწყეთ, ბატონო.

– კიდევ ერთი სათხოვარი გვაქვს. თუ ნებას მოგვცემთ, ამერიკის ტელევიზიის ჩვეულების თანახმად, ალაგ-ალაგ რეკლამებს ჩავრთავთ.

ლეო მოსათათბირებლად თავის დელეგაციისკენ დაიხრება.

– კეთილი და პატიოსანი. მაშინ ჩვენც ჩავრთავთ სარეკლამო ნომრებს. – აცხადებს ჩვენი დელეგაციის ტელეთავი.

– მაშ ასე. პირველი შეკითხვა, მისის კეთრინ!

ტომმა მიკროფონი გადასცა მომხიბვლელ ამერიკელ ლედის.

– თუ არიან საბჭოთა კავშირში უბინაოები? – იკითხა კეთრინმა.

ლეო გაფაციცებით დააცხრა თავის დელეგაციას, – აბა,

ამ შეკითხვაზე ვინ მეცადინეობდა, ჩქარა, ჩქარა.

– სანთლით საძებარია! – მიკროფონს ჩასძახა გიორგიმ.

– როგორ, როგორ? – ტომმა ვერ გაიგო პასუხი.

– აქა-იქ შემოგვრჩნენ. ცოტანი დარჩნენ. – გაუსწორა ბენომ გიორგის.

– სად წავიდნენ? – კითხულობს კეთრინ.

– არსად წასულან, გამზადებულ კოოპერატიულ ბინებს ტეხავენ და შედიან.

ჩიკაგოელებმა პასუხი კვლავ ვერ გაიგეს.

– უბინაოებს როგორ ეხმარებით? – სხვა კითხვაზე გადავიდა კეთრინ.

– აღრიცხვაზე აგვყავს. – ბეჯითად ამბობს სალომე.

– ეს როგორ გავიგოთ, აღრიცხვაზე აგყავთ და მერე ბინას აძლევთ? – კითხულობს დევიდ.

– თქვენ გინდათ აღრიცხვაზეც ავიყვანოთ და ბინაც მივცეთ? ბინას მხოლოდ იმათ ვაძლევთ, ვინც აღრიცხვაზე ვერ აგვყავს. – განმარტავს ლეო.

– ახლა ჩვენი რიგია. – თქვა ლეომ და მიკროფონი კაკოს გადასცა.

– არ გწყინდებათ? – მოულოდნელად ჰკითხა ამერიკელებს კაკომ.

– რა? – კითხულობს ტომი.

– არ გწყინდებათ-მეთქი ამერიკის მოქალაქეობა?

– რატომ უნდა მოგვწყინდეს?

– თქვენ ხომ ვერასოდეს გამოცდით იმ სიხარულს, რასაც საბჭოთა მოქალაქეები განვიცდით ყოველ ფეხის ნაბიჯზე. თქვენ ხომ არ იცით იმ ელექტროშუქის ფასი, რომელიც გამოთიშულ ლიფტში ერთსაათიანი ჯდომის შემდეგ გაგინათებს სახეს. – თქვა გენომ.

– თქვენ ხომ ვერასოდეს გაიგებთ იმ სიამოვნებას, შვიდწლიანი რიგისა და ოცდაცამეტი საჩივრის შემდეგ „ჟიგული“ რომ მოგიწევს. მერე რა, „ფურგონი“ რომ აღმოჩნდება, თქვენ რა, „ფურგონი“ მანქანა არ გგონიათ? – ბენოს ხმაა.

– თქვენ ხომ ვერ წარმოიდგენთ სახლში შემოჭრილი, სახეგაბადრული სიდედრის აღტაცებულ ძახილს – ჩქარა ფული! ბუდიონის ქუჩაზე, მეშვიდე მაღაზიაში თევზს არიგებენ! – საქმეში კაკო ჩაერია.

– დიაღაც, რომ მოსაწყენია თქვენი ცხოვრება, ჩიკაგოელო ბატონებო. გისმენთ! – ლეომ თავისი (ჩვენი) დელეგაციის წევრებს მაღლა შემართული ცერა თითი უჩვენა.

– რატომაა თქვენს კრებებზე ყველაფერი ერთხმად მიღებული. არ კამათობთ? – იკითხა ვილიმ, მაღალმა, ჟირაფისკისერა ამერიკელმა.

ლეო დელეგაციისკენ დაიხარა, სანამ პასუხის გამცემს დამოძღვრავდა, გიორგიმ სტაცა მიკროფონს ხელი.

– ვკამათობთ, მაგრამ ვინც წინააღმდეგია, იმათ ხმის უფლებას ვართმევთ. დეპუტატებად და დელეგატებად მხოლოდ იმათ ვირჩევთ, ვინც ყველაფერზე თანახმაა.

ამერიკელებმა გაიცინეს.

– არ არის ასე. მოსმენით ჩვენ ყველას ვუსმენთ და სიტყვასაც ყველას ვაძლევთ! – აპილპილდა ლეო.

მუსიკა, სინათლე ქრება, რეკლამა დაიწყო. ტელევიზორის დიდ ჩარჩოში ლეო კრების თავმჯდომარეა. იქვე დგას გიორგი. შეიძლება ორივეს შეცვლილი პარიკები ჰქონდეთ.

ლ ე ო – სიტყვა ეძლევა გიორგი ნერგაძეს!

გიორგი ტრიბუნაზე შედგა.

ლ ე ო – რას იტყვიან ახლა ისინი, ვინც წინასწარმ-

ეტყველებდა; არ მისცემენ სიტყვას გიორგი ნერგაძესო. არ მივეცით? მე პირდაპირ უნდა ვთქვა იმ ამხანაგების მისამართით, თუნდაც საწყენად დარჩეთ, უნდა ვთქვა – არ ვარგა ასე, ამხანაგებო. ჩვენ ხელს არავის ვუშლით. ასე გვესმის ჩვენ დემოკრატია. ჩვენ ყველას ვაძლევთ საშუალებას გამოთქვას თავისი საკუთარი აზრი. ასე არ არის, ამხანაგო გიორგი? გიორგი თავს უქნევს და სიტყვის დაწყებას აპირებს. რატომ არ მივცემდით, მაგალითად, სიტყვას გიორგის? რა უნდა თქვას ახლა მან ისეთი, რაც ჩვენ შეგვაშინებს, ან ხელს შეგვიშლის? ჰქონდეს ამ კაცს თავისი აზრი, მერე რა მოხდა. თუნდაც არ იზიარებდეს იგი ჩვენს თვალსაზრისს. მერე რა, გიორგის სიტყვა უნდა მივცეთ და ხომ ხედავთ, მივეცით კიდეც. მე ვეკითხები ახლა იმ ამხანაგებს, ვინც ამტკიცებდა ჩვენი კრების კულუარებში, სულერთია, გიორგი ნერგაძეს სიტყვას მაინც არ მისცემენო? არ მივეცით? არ დგას ახლა თქვენს თვალწინ ამხანაგი გიორგი? ჩვენ ასე გვესმის საჯაროობა. საერთოდ სიტყვა, თუ იგი გონივრულად, ფაქტებზე იქნება აგებული, უნდა ითქვას, ვინც არ უნდა იდგეს იმ სიტყვის უკან, დღეს ეს გარემოება განსაკუთრებით საჭიროა. დაბრძანდით, ამხანაგო გიორგი! – თქვა ლეომ.

გიორგი ტრიბუნას შორდება.

ამერიკელები იცინიან, ტელეხიდი გრძელდება.

– შეგიძლიათ თუ არა სასამართლოში უჩივლოთ თქვენს პრეზიდენტს? – ეკითხება გენო ამერიკელებს.

– რა თქმა უნდა. – პასუხობს დევიდ.

– ჩვენც შეგვიძლია. – თავს უქნევს ბენო.

– რა შეგიძლიათ?

– ვუჩივლოთ თქვენს პრეზიდენტს. – დააზუსტა ლეომ.

– რას აკეთებს თქვენთან რაიკომი? – მიკროფონს ჩასძახა ვილიმ.

ჩვენი დელეგაცია შეჯგუფდა. თათბირობენ, მერე მოშე დგება მიკროფონით ხელში:

– ავალებს, ამოწმებს, საყვედურს აძლევს, ხსნის, ნიშნავს, პასუხგებაში აძლევს, შიგადაშიგ ქრთამს ღებულობს.

– აღმასკომი რაღას აკეთებს? – კითხულობს ჯენეტ.

– ავალებს, ამოწმებს საყვედურს აძლევს, ხსნის, ნიშნავს, პასუხგებაში აძლევს, შიგადაშიგ ქრთამს ღებულობს, – გაიმეორა მოშემ.

– ეს რა, თქვენთან ორხელისუფლებიანობაა?

– ორხელისუფლებიანობა რომ იყოს, რა გვიჭირდა. ჩვენთან ცხრახელისუფლებიანობაა. გარდა ამ ორისა ჩვენი უფროსია – სამინისტრო, სამმართველო, მილიცია, პროკურატურა, სახალხო კონტროლი, სახალხო რაზმი, ამხანაგური სასამართლო და სახლმმართველობა – არ აცალა მოშეს ბენომ.

– თქვენთან მოსამართლე თავისუფალია? – დევიდის ჯერი დგება.

– სანამ ქრთამზე დაიჭერენ, კი. – პასუხს აძლევს ბენო.

– დაცულია თუ არა თქვენთან სატელეფონო საუბრის საიდუმლო?

– არა, ჩვენთან ტელეფონით საუბარს ჩვენი სატელეფონო კავშირის მაღალი დონის გამო, ყველა ისმენს, გარდა იმისა, ვისაც ურეკავ. – არ ხუმრობს გიორგი.

– თვითდაფინანსება რას ნიშნავს? – კითხულობს დევიდ.

– როცა სახელმწიფო გეუბნება; მე ჩემი წილი არ დამაკლო და შენ ფული, თუნდაც ლომის ხახიდან გამოიღეო. თუ ვერ გამოიღებ, თავში ქვა იეც და მუცელში სამართებელიო.

– კაკოს უკვირს, რაზე ეცინებათ ამერიკელებს.

სინათლე ქრება. მუსიკა. ამერიკული რეკლამა იწყება.

ტ ო მ ი მიკროფონით ხელში ამბობს – ამერიკელმა მწერალმა ჯეკ ბენედიკტმა დაწერა პატარა ნოველა: ფერმერის ქალიშვილი ტოლ-მეგობრებში დროს მხიარულად ატარებდა. ფერმერი შორეული მოგზაურობიდან რომ დაბრუნდა, შინ შვილიშვილი და შვილიშვილის აცრემლებული დედა დახვდა. – ვისგან გყავს ბავშვი! – მრისხანედ იკითხა ფერმერმა. ფერმერის ქალიშვილმა თავისი პაწია დაიფიცა, რომ არ იცოდა, ვისგან ჰყავდა შვილი. გავიდნენ წლები. ფერმერის შვილიშვილი გაიზარდა. ბაბუამისი მეზობელ ფერმერებთან და მათს ვაჟებთან თავისი შვილიშვილის მსგავსებას ეძებდა, მაგრამ ჰოი საკვირველებავ, შვილიშვილი არცერთ მათგანს არ ჰგავდა. ამ ნოველის მიხედვით ჰოლივუდის, რომის და ბომბეის კინოსტუდიებში შეიქმნა ფილმები. გიჩვენებთ ნაწყვეტებს ამ ფილმებიდან:

(ტელეეკრანზე ფილმის ნაწყვეტები თამაშდება. ეს გახლავთ პაროდირება ამერიკულ-კოვბოური, იტალიური და ინდურ-გრძელსიმღერიანი ფილმების... მერე ჩვენი რეკლამის ჯერი დგება)

– თქვენ წელან ტელეფონი ახსენეთ. ტელეფონის დადგმა უბრალო კაცისთვის ჩიკაგოში კი არა, ჩვენთანაც ჭირს. მინდა ჩიკაგოს მოქალაქეებს ტელეფონის დადგმის ხუთი გზიდან, მეხუთე, ყველაზე უხიფათო და უნაღდესი გზა ვასწავლო. თქვენ რას იტყვით, ტომ? – ამბობს ლეო.

– კარგი იქნება. – დაინტერესდა ტომ.

ლეო იწყებს:

– დაუგდეთ კარგად ყური. ბოლოს და ბოლოს რაღაც ჩვენგანაც ხომ უნდა ისწავლოთ. ჩემი მეზობელი დიდ საქ-

მეზე მუშაობდა. მე პატარა საქმეზე ვიყავი. დიდ ადგილზე მომუშავეს დაუდგეს ტელეფონი. მე – არა. ვიფიქრე, ვიფიქრე და აი, რა მოვიფიქრე: შევდივარ ყოველ საათსა და თვრამეტ წუთში მეზობელთან, ვითომ დასარეკი მაქვს სადმე... მეზობელი ასეთ თხოვნაზე უარს ვერ მეტყვის. ვრეკავ ნებისმიერ ნომრებზე. ვლაპარაკობ ყასიდად. ხან ვყვირი, ხან ვიცინი, მეზობელი თავის ოჯახიანად პირდაღებული შემომყურებს. ასე გაგრძელდა ორი კვირა და სამი დღე. ერთ დღეს მეზობელი მეუბნება, როგორაა, ლეო, შენი ტელეფონის საქმეო. ვინ დამიდგამს, ბატონო, მე ტელეფონს-მეთქი. რატომ კაცოვო, გაეცინა. შენ გჭირდება, თუ ვინმეს ჭირდება ტელეფონიო. მოდი ხვალ ჩემთან, სამსახურში და მოგიხერხებ რამესო. ნუ შეწუხდებით-მეთქი. განგებ ერთხელ კიდევ დავრეკე და ვითომ ყურმილში ვინმე რამეს მეუბნებოდა, გაბმული ხარხარი დავიწყე. მოდი ხვალ უსათუოდო, შემეხვეწა. აჰა, გაჭრა ჩემმა ხერხმა-მეთქი, ვიფიქრე. მაინც არ მივსულვარ. მესამე კვირის თავზე ტელეფონი დამიდგეს და იმწუთშივე ჩამირთეს.

მაგრამ აქაც დიდი ზომიერებაა საჭირო. ეს გზა თავისთავად უნაკლოა, მაგრამ სიტუაციას უნდა დაუკვირდე, თვარა როგორც ჩემს სიძეს დაემართა, ისე დაგემართება.

– რა დაემართა? – არ იცინის ტომი.

– რომ მოვუყევი ეს ამბავი, ჭკუაში დაუჯდა. მაცივარი არა მაქვს. ეგებ მეშველოს რამეო. ამოირჩია მსხვერპლად ერთი მეზობელი და წამდაუწუმ შეჰქონდა მასთან მაცივარში შესანახად, ცარიელი ქოთანი, ქვიჯა და ქვასანაყი, ერთხელ გაზეთში გახვეული „შიბლეტებიც“ შეიტანა. ფიქრობდა, ილაჯი გაუწყდება მეზობელს და მაცივარს მიყიდისო.

– მერე, უყიდა? – სიცილს ძლივს იკავებს ტომი.

– არა, მეზობელმა თავისი მაცივარი გაყიდა და ახლა ტელევიზორის საყურებლად მთელი თავისი ცოლ-შვილ-სიდედრიანად, ყოველ საღამოს, ჩემს სიძესთან დადის. – ამბობს ლეო.

– დიდებული მეთოდია, გმადლობთ.

– თქვენთან უკონდუქტორო ტრამვაი დადის?

– ახლა ლეო ეკითხება ტომს.

– არა! – თავს აქნევს ამერიკელი.

– ჩვენთან დადის, – ამბობს ლეო. – ავდივარ, ამას-წინათ, უკონდუქტორო ტრამვაიზე და, მიუხედავად დიდი სურვილისა – შევიძინო ბილეთი, ამას ვერ ვახერხებ. ვერ ვახერხებ იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მაქვს მანეთიანი და არ მაქვს ხურდა ფული.

ერთი გაჩერების შემდეგ, ზურგს უკან, ჩემი მისამართით ასეთი ხმები მესმის:

– არც კი რცხვენია!

– სახელმწიფოს პარავს სამ კაპიკს.

– ნეტავი რა პირით ისმენს ჰიმნს დილის ექვს საათზე?!

– ეტყობა ისე მაგარი შუბლი აქვს, რომ მაგისაგან ყველაფერია მოსალოდნელი.

– სულ ადვილი შესაძლებელია, ღამე დაგხვდეს და ჯიბიდან სიმწრით ნაშოვნი ოქროები ამოგაცალოს.

– სადაა ახლა ერთი ბომბი!

ბაწრის ნერვებიც რომ გქონდეს ამას ვერ მოითმენ.

– მანეთიანს ხომ ვერ დავღუპავ თქვენი სამკაპიკიანის გულისთვის! – ვიყვირე მე.

– ვინაა შენი მანეთის მათხოვარი. – დამეჯღანა ჩემს წინ მდგომი გამხდარი კაცი, რომელსაც ღრანჭებზე ეტყობოდა, რომ საზოგადოებრივი კვების ობიექტების ხშირი სტუმარი იყო.

– მოქალაქე! ჩააგდეთ მანეთიანი და ხურდა სხვა მგზავრებისაგან აინაზღაურეთ! – მასწავლა კი არა, მიბრძანა ერთმა.

ხურდას დაჩვეულმა ავტომატმა, რომელსაც იმხელა პირი აქვს, რომ ნიკოლოზის ტკიცინა ათმანეთიანებსაც სიამოვნებით დაიტევს, ხალისით შთანთქა ჩემი მანეთიანი.

მოვხიე ბილეთი. მერე კი ჩემი კუთვნილი ოთხმოცდაჩვიდმეტი კაპიკის მოლოდინში ავტომატს გვერდით ამოვუდექი და ავტომატურად დავაღე პირი.

შემდეგ მოქმედების განვითარებამ ასეთი სახე მიიღო:

– მოქალაქევ, არ ჩააგდოთ. – ვამბობ მე.

– ?!

– მე მანეთიანი ჩავაგდე და თქვენი ფული მე მეკუთვნის.

– კი მაგრამ მე ოცკაპიკიანი რომ მაქვს?

– მოიცადეთ ცოტა ხანს, ვის შეუძლია ოცი კაპიკის დახურდავება?! მოქალაქევ, არ ჩააგდოთ, მე მანეთიანი... მე მეკუთვნის, ჰო... კიდევ ოთხმოცდაჩვიდმეტი კაპიკი! ესე იგი ამას თქვენგან ერგება ათი კაპიკი; თქვენი რამდენი იყო? ესე იგი თქვენ იმან უნდა მოგცეთ შვიდი კაპიკი და იმ შვიდი კაპიკიდან იმ ქალს ოთხი კაპიკი ერგება. ხოლო თხუთმეტი კაპიკი... იმ კაცის იყო, რომ ჩავიდა. ახლა თქვენ გერგებათ... მოიცა, არ ჩააგდოთ, მე მეკუთვნის! მე! მე! მანეთიანი!..

– ნახალ! – გამომაფხიზლა სამშენებლო ამხანაგობის წევრივით ნერვებიდან მოშლილმა ხმამ.

...სახალხო რაზმელებს ფათერაკების მოყვარული არაორგანიზებული მასებიც დაეხმარნენ და გაკოჭილი მიმიყვანეს მილიციის რომელიღაც განყოფილებაში.

ბრალად მედებოდა ტრამვაიში ყვირილი, ფულის იოლი გზით შოვნის სურვილით მგზავრების შეწუხება და გამო-

ძალვის მიზნით ოთხი სამარშრუტო წრის გაკეთება ვაგონიდან ჩამოუსვლელად.

ამერიკელები იცინიან და ტაშს უკრავენ.

– როდის მოიხსნება თქვენთან სასურსათო პრობლემა? – კითხულობს ქეთრინ.

– როცა საბოლოოდ დავრწმუნდებით, რომ არაფერი გამოგვდის! – აშკარად იჩქარა კაკომ პასუხი.

– როგორ არიან თქვენთან სხვანაირად მოაზროვნეები? – იკითხა ვილიმ.

– სხვანაირად აზროვნებენ! – მოშეს ხმაა.

ლეომ მოშეს შეუბღვირა.

– როგორ ექცევა მათ მთავრობა? – ინტერესდება ვილი.

– მკურნალობს! – მოშემ კმაყოფილად მიმოიხედა.

– როგორც გიჟებს? – იცინის ვილი.

– როგორც სხვაგვარად მოაზროვნეებს! – პასუხობს გენო.

– როგორია თქვენთან მცირე ერების ბედი? – რას მოაყოლა ეს მძიმე კითხვა რობინმა.

– მცირე ერები დიდ ერებში მშვენივრად ითქვიფებიან. – ამბობს გიორგი.

– აი თქვენ, ქართველებს, თქვენს ენას ხომ არ გართმევენ? – არ ისვენებს ქეთრინ.

– წაგვართმევდნენ, მაგრამ ვერაფერში გამოიყენებენ. საზღვარგარეთ მაზანდა არა აქვს. ვერ გაყიდიან. – როგორც იქნა, გიორგიმაც იხუმრა და ყოველ შემთხვევისათვის შიშით მიმოიხედა.

ამერიკელები გიორგის ტაშს უკრავენ და იცინიან.

– რა ურთიერთობაშია თქვენთან ეკლესია და სახელმწიფო? – ტომი დგება და კედელთან მიდის.

– ეკლესია გამოყოფილია სახელმწიფოსაგან! – ამაყად აცხადებს სალომე.

– თუ გამოყოფილია, რატომაა თქვენთან ყოველი მეორე ეკლესია დანგრეული?

– როცა სახელმწიფომ ეკლესიები დაანგრია, მაშინ გამოყოფილი არ იყო. მერე გამოეყო – სამღვდელოებას რომ არ ეჩივლა და დანგრეული ეკლესიების შეკეთება არ მოეთხოვა. – გაალამაზა სალომეს პასუხი ბენომ.

– რა მოგცათ გარდაქმნამ? – ეს გულისმომკვლელი შეკითხვა რობინმა დასვა.

– სხვებს რა მისცა, რომ ჩემთვის მოეცა? – მოშეს ყველამ მრისხანედ გადახედა.

– ამხანაგ მოშეს სურდა ეთქვა; რაც სხვას მისცა, ის მომცა მეცაო, – მიაყოლა ლეომ.

– თავისუფლად ვისი გაკრიტიკება შეგიძლიათ? – წინ გადმოიხარა მაიკლ.

– სტალინის! – იყვირა გიორგიმ.

– თუ გახსოვთ, რომ კოსმოსის ათვისების პიონერები ხართ? – ვილის ამ კითხვას ჩვენი დელეგაცია ელოდა.

– გვახსოვს, – არ დაახანა გიორგიმ.

– მთვარეზე რატომ არ ჯდებით? – დევიდ კითხულობს.

– ჩვენ, სადაც საჭიროა, ყველგან ვჯდებით! – ენამ უყივლა ლეოს.

– თქვენთან ამ ბოლო დროს მოდაშია კოსმოსის ინტერნაციონალური ეკიპაჟები.

– კი, მოდაშია, – დაეთანხმა ჯენეტს კაკო.

– ქართველებს კონსტიტუციით არ ეკუთვნით კოსმოსში გაფრენა?

– იმდენად ვუყვარვართ, რომ გვიფრთხილდებიან, კოს-

მოსში არ დავმარცხდეთ! – გიორგიმ ისევ საბედისწეროდ იხუმრა.

– რატომაა, რომ თქვენთან პარტიის წევრს, თუ პასუხისგებაშია მიცემული, წინასწარ რიცხავენ პარტიიდან? – ეს კითხვა მაინც რაღამ მოაფიქრა აყლაყუდა ვილის.

– იმიტომ რომ, თუ პარტიიდან გარიცხული არაა, ვერ დაიჭერ. – ნემსის ყუნწში გაძვრა კაკო.

– მერე, გასამართლებამდე, წინასწარ რატომ რიცხავთ? – ჩააჭიჭინდა ვილი.

– რომ მერე სასწაული არ მოხდეს და თავი არ გაიმართლოს, – თქვა გიორგიმ.

– გისმენთ. – თქვენი ჯერია! – ჯენტლმენი ახლაღა ალაპარაკდა ტომის არსებაში.

ჩვენი დელეგაცია აფუსფუსდა.

– თქვენ ასანთს ბავშვებს უმალავთ? – მარტივი კითხვა დასვა სალომემ.

– დიახ, მცირეწლოვანებს, როცა შინ მარტო რჩებიან.

ტომი დააბნია ამ შეკითხვამ.

– ჩვენ არ ვუმალავთ. ჩვენთან სპეციალურად, შინ მარტო დარჩენილი ბავშვებისათვის ისეთი ასანთიც გამოდის, რომელიც არ ინთება და ამიტომ საშიშიც არ არის. – ნიშნისმოგებით თქვა გენომ.

მუსიკა, სინათლე ქრება, ნათდება ტელეეკრანის ჩარჩო. ლეო იმ ჩარჩოში დგება მიკროფონით ხელში. იწყება რეკლამა.

– ვიღაცას უთქვამს, გემოვნებაზე არ დაობენო. – ამბობს ლეო.

მე კი მგონია, თუ რამეზე შეიძლება იდაოს კაცმა, ისევ და ისევ გემოვნებაზე.

იგი ახლაც ჩემი მეგობარია.

ერთი კვირაა ვემალები, ერთი კვირაა, მეგობართან საუბარს გავურბი, ერთი კვირაა, დამნაშავესავით ვწითლდები მის წინაშე და წარბებს ოწინარივით ვაქანავებ.

ერთი კვირის წინათ შემხვდა იგი ქუჩაში და მითხრა:

– გადასარევი პიჯაკი ჩავიგდე ხელში.

– მართლა? – გავიხარე მე. – თუ ძმა ხარ, მიჩვენე.

– წამოდი.

... პიჯაკი არ მომეწონა. იგი მეტად ულამაზოა და საკმაოდ ძველმოდური.

– ა? – ამაყად მეკითხება იგი, პიჯაკს ძვირფასი ნადავლივით მიჩვენებს.

მე მომაგონდა, რომ გემოვნებაზე არ დაობენ და გულთბილად ვუთხარი:

– გადასარევი პიჯაკია.

– ხომ გეუბნებოდი.

– აბა შენ იცი, როგორ მოუვლი. ასეთი პიჯაკი მარტო დღეობებზე და ადგილკომის კრებებზე უნდა ჩაიცვა.

მან ბედნიერი ხარის თვალებით შემომხედა და მითხრა ისე, როგორც ნამდვილი მეგობარი ეტყვის ნამდვილ მეგობარს:

– გინდა გქონდეს ასეთი პიჯაკი?

მე უნდა მეპასუხა, რომ უკვე მაქვს ერთი პიჯაკი, რომ ორივეს ერთნაირი პიჯაკის ტარება ინტერნატის მოსწავლეებს დაგვამგვანებს, რომ, მე მგონი, ასეთი ფერი ყურის ბიბილოებზე არ მომიხდება და ა. შ. მაგრამ მე დავუშვი მიუტევებელი შეცდომა და ვთქვი:

– მინდა რომელია.

ჩემს ამ ნათქვამს მოჰყვა ჩემი მეგობრის აბსოლუტურად ბუნებრივი და ლოგიკური წინადადება:

– მაშ, წადი და იყიდე, თორემ გათავდება.

– დღეს ვეღარ მოვასწრებ.

– გაიქეცი, მიასწრებ.

მე ელვისსისწრაფით გამოვვარდი მისი სახლიდან და მოსახვევთან მთელი ორი საათი ხელით მეჭირა ამოვარდნამდე მისული გული.

... მეორე დღეს მოვიდა:

– რა ჰქენი, იყიდე?

– ვერ მოვუსწარი.

– აბა, გავარდი ახლავე.

გავვარდი და ოთხსაათიანი ვიზიტი დავურტყი ნათესავს.

... მესამე დღეს ისევ მოვიდა.

– იყიდე?

– ფული აღარ მეყო.

– ვერ თქვი აქამდე? მე გასესხებ.

პიჯაკის ფული მასესხა და წავიდა.

... მეოთხე დღესაც მოვიდა.

– იყიდე?

– რა?

– პიჯაკი!

– არა, ჩემი ზომისა აღარ იყო, გაყიდულა, – შენ როგორა ხარ? – ვიცრუე და სულ არ გავწითლებულვარ.

– ეჰ, – ხელი ჩაიქნია და წავიდა.

... მეხუთე დღეს ისევ მოვიდა.

– წამოდი ჩქარა!

– რა მოხდა?

– მთელი ქალაქი შემოვიარე და როგორც იქნა მივაკვლიე, ზუსტად ისეთია, შენი ზომისა.

მე უნდა მეყვირა, რომ არ მომწონს ის საშინელი პიჯაკი,

რომ იგი ძველმოდურია და ღილები თიხის ჯამებს მიუგავს, რომ...

მაგრამ მე დამორჩილებული ბედაურივით მივყვები მეგობარს ქუჩაში და თვალები ცრემლით მევსება.

აი ამ ნასესხები ფულით ვიყიდი იმ საბედისწერო და საზიზღარ პიჯაკს.

ხსნა კიდევ არის! პიჯაკს სახლში მიტანისთანავე დავწვავ ცხელი, ძალიან ცხელი უთოთი.

მერე?

არ ვიცი რა მოხდება მერე. ამაზე ფიქრისაც კი მეშინია.

ამერიკელები იცინიან და ლეოს ტაშს უკრავენ.

ლ ე ო – ეს ამბავი მეოთხე სადარბაზოში არ მომხდარა, მეხუთე სადარბაზოში მოხდა. დილის 8 საათი იყო. კლიმენტი ზუმბაძემ შეთქმულივით მიიხედ-მოიხედა. კრიმინალური სიზუსტით ახადა თავი სანდრო მეტრეველის საფოსტო ყუთს, ორი თითი ჩაჰყო და გაზეთები ამოაცოცა. მერე შეუმჩნევლად დაბრუნდა თავის ბინაში, ტახტზე წამოწვა და ღიღინით შეუდგა ახალი გაზეთების კითხვას. კლიმენტს სინდისი არ ჰქენჯნიდა. იგი წლების განმავლობაში არ იწერდა პრესას. იპარავდა, იპარავდა და კაცს ღირსებას როგორ დავუკარგავ, ოქრო გამოსდიოდა ხელიდან.

ზუსტად თეთრთმეტ საათზე სანდრო მეტრეველი შემოფლატუნდა მეხუთე სადარბაზოში. თავისი ყუთი რომ ცარიელი დახვდა, მაწვნის ქილები მარცხენაში დაიჭირა, მიიხედ-მოიხედა და ივანე ყრუაშვილის გაზეთები ამოაცოცა ყუთიდან.

თორმეტ საათზე ივანე ჩამობაკუნდა მეშვიდე სართულიდან. თავისი ყუთი რომ გაძარცული დახვდა, შეხტა და შემოტრიალდა, სიბრაზისაგან კეფა აეწვა, მაგრამ მალევე

მოეგო გონს, ოთარ კვეკვესკირის გაზეთები დაითრია და საეჭვო სტვენით აუყვა კიბეებს.

ოთარ კვეკვესკირი ხორცის რიგიდან ბედნიერი სახით მობრუნდა. საწვიმარზე აწყვეტილი ღილი პირში ჩაიდო, მარჯვენა ხელი გაინთავისუფლა, თავის საფოსტო ყუთს მისწვდა და, ყუთი ცარიელი რომ დახვდა, გაოცებისაგან კინაღამ გადაყლაპა ღილი. ბევრი არ უფიქრია. სერგო ღაღანიძის ახალი გაზეთები გამოაყოლა ხელს და ლიფტში შევარდა.

სერგო ღაღანიძე კარგა ხანს მდუმარედ შესცქეროდა თავის ცარიელ ყუთს, დაახლოებით სამი საათი იყო. ბოლოს ხელი ჩაიქნია და მტკიცე გადაწყვეტილებით გაეშურა საფოსტო განყოფილებისაკენ.

ფოსტალიონს თავისი საქმე დაემთავრებინა და შინ წასულიყო. სერგო ეახლა დირექტორს და აღშფოთებით აუწყა – დღეს ჩემთან ფოსტა არ მოუტანიათო. დირექტორიც აღელდა და აკანკალებულ მომხმარებელს განუცხადა: დაწერეთ საჩივარი და ფოსტალიონს ტყავს გავაძრობო. სერგო დიდხანს ბუტბუტით წერდა საჩივარს. მერე ტელეფონს დაწვდა და სამსახურში დარეკა, დღეს გადაუდებელი საქმე შემემთხვა და ვერ მოვდივარო.

დაახლოებით ექვს საათზე მოიყვანეს ფოსტალიონი სახლიდან, ფოსტალიონმა კატეგორიულად განაცხადა: გაზეთები დროზე მივიტანეო. სერგომ იუკადრისა – ესე იგი მე ცილისმწამებელი ვარო?! ესე იგი მე ქურდი ვარო?! – იკივლა ფოსტალიონმა, ზუსტად ერთი საათის შემდეგ საფოსტო განყოფილებასთან სასწრაფო დახმარების ორი ახალთახალი მანქანა იდგა.

არადა სერგოს ბრალია ყველაფერი, როცა იგი თავის

გაძარცვულ საფოსტო ყუთს შეჰყურებდა, გვერდით იქვე, თენგიზ საგინაძის ყუთში ხელდაუკარებლად ეწყო ახალი გაზეთები. მოვიპარავდი იმ გაზეთებს და ავცდებოდი ამდენ დავიდარაბას.

ტელეხიდი გრძელდება.

– რა გიჩვენათ ავღანეთის ამბებმა? – მშვიდად კითხულობს დევიდ.

– ავღანეთის ამბებმა გვიჩვენა, რომ სიბრძნეს ზღვარი აქვს, სისულელე კი უსაზღვროა – ვერც მე აგიხსნით გიორგის ორაზროვანი პასუხის მეორე აზრს.

– რატომ ადრე არ გამოიყვანეთ ჯარი; სანამ ათასობით თქვენი ჯარისკაცი არ ემსხვერპლა? – იქედნურად სვამს კითხვას ვილი.

– უძრაობის ეპოქა იყო და ჯარის განძრევა არ შეგვეძლო!

ყოჩაღ, ჩემო ლეო.

როცა ჩვენმა დელეგაციამ მხნედ ამოისუნთქა, მაშინ დაატეხა რობინმა კითხვა:

– რატომ მიდის თქვენთან გარდაქმნა ნელი ტემპით?

– იმიტომ რომ ძალიან ჩქარი ტემპით დაიწყო. – არ იბნევა გენო.

– როგორ უცქერით იმ გარემოებას, რომ გარდაქმნა ნელი ტემპით მიდის? – კითხვას იმეორებს ტომ.

– მოგვწონს! – იყვირა მოშემ.

– მოგწონთ?! – ხელები ჩაიხვია ტომმა.

– რასაკვირველია. აბა თქვენ გინდათ უფრო სწრაფად ძვირდებოდეს ბაზარი, უფრო სწრაფად ქრებოდეს ყველი და კარაქი და უფრო მეტად აგინებდნენ სტალინს? – ისევ ლეომ იმარჯვა.

საერთო სიცილში ტომი მიკროფონით ხელში ტელეჩარჩოში დგება.

– გთავაზობთ ამერიკულ ტიპაჟს საბჭოთა სატირულ-იუმორისტული ჟურნალებისათვის.

როგორც მოდების გამოფენაზეა, მხიარული მუსიკის ქვეშ სცენაზე გაივლიან ჩვენს სატირულ პერიოდიკაში დამკვიდრებული ამერიკელი ტიპები: მსუქანი, სიგარიანი მილიონერი, განგსტერი, მეძავი, რასობრივი ჩაგვრის მსხვერპლი და ა. შ.

ამერიკული რეკლამა მთავრდება.

– რატომ იყიდება თქვენთან ცეცხლმსროლელი იარაღი თავისუფლად მაღაზიაში? – კაკოს ჯერია.

პირველად დაიბნა ამერიკის დელეგაცია.

– თქვენთან რატომ არ იყიდება? – გაღმა შეედავა ვილი კაკოს.

– იმიტომ, რომ ჩვენ ნერვიული ხალხი ვართ და უმეტესობას სახლში სიდედრი გვყავს! – გამოსავალი იპოვა ლეომ.

– ამ ბოლო დროს თქვენთან ბევრს წერენ საბჭოთა ორგანოთა დამოუკიდებელ აზროვნებაზე. თუ საიდუმლოება არ არის, რას ნიშნავს თქვენთან „დამოუკიდებელი აზროვნება“?

რობინის ეს ინტრიგული შეკითხვა გიორგიმ აიღო თავზე:

– აქამდე ადგილობრივ უწყებებს ზემოდან აშვებინებდნენ შეცდომებს, ახლა უფლება მიეცათ თვითონ შეცდნენ, დამოუკიდებლად.

ამერიკის დელეგაციას გაეცინა. ჩვენს დელეგაციას არ გაცინებია.

– რას გაძლევთ საჯაროობა? – რომ იტყვიან, კვლავ მაზოლზე გვაჭერს ფეხს დევიდ.

– გულახდილად, საჯაროდ ვამბობთ, რომ გარდაქმნა არ გამოგვდის და რაკი გულახდილად ვამბობთ, პასუხსაც არაფერზე ვაგებთ. – მოკლედ, მაგრამ ბუნდოვნად პასუხობს ბენო.

– რა მოგცათ მეცხრამეტე კონფერენციამ? – გააწყალა გული ვილიმ.

– მეცხრამეტე კონფერენციამ დაგვანახა, რომ ლაპარაკი ლაპარაკისთვის წყლის ნაყვაა და მეტი არაფერი. ამავე კონფერენციამ გვიჩვენა, რომ ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლამ შედეგი გამოიღო. სიტყვებში გამოსულ დელეგატთა შორის მთვრალი მხოლოდ ერთი აღმოჩნდა. – იმარჯვა გიორგიმ.

– არა მართლა, რა დაადგინა მეცხრამეტე კონფერენციამ? – გიორგის ნათქვამი ხუმრობად ჩათვალა ტომმა.

– მეცხრამეტე კონფერენციამ დაადგინა, რომ საჭიროა ვიმუშაოთ უკეთესად. ხოლო, როგორ უნდა ვიმუშაოთ უკეთესად, ამას მეოცე კონფერენცია დაადგენს. – თქვა ლეომ.

– თქვენთან დასასვენებელი სახლები არსებობს? – ხედავთ, რა ოსტატურად გადაიტანა საუბარი სალომემ სხვა თემაზე.

– როგორ დასასვენებელი? – სათვალე მოიხსნა ტომმა.

– ადგილკომი რომ საგზურს გამოგიყოფს, რომ ჩახვალ და დაისვენებ. – აუხსნა გენომ.

მაიკლმა მხრები აიჩეჩა:

– არა. ჩვენთან სასტუმროებია. დარეკავ და ადგილს დაუკვეთავ.

– ტელეფონით ჩვენთან სასტუმროს კი არა, კინოს ბილეთს ვერ იშოვი. – ჩაილაპარაკა გიორგიმ.

ლეომ გიორგის გაბრაზებით შეხედა და მისი „ჩაგდებული“ პასუხის „ამოქაჩვა“ სცადა.

– ჩვენთან ყველაფერი ორგანიზებულია. ყველანი ერთად ჩავდივართ. ერთად ვისვენებთ. ერთად ჩასვლას „ზაეზდი“ ჰქვია. საგზურს რიცხვი აწერია. იმ რიცხვს ვერც გადააცილებ და ვერც გადმოაცილებ. თუ დაგაგვიანდა, შენს ადგილას სხვას მიიღებენ. ერთ ოთახში ოთხ-ხუთ კაცს ერთად სძინავს. შეიძლება მეექვსეც შემოგისახლონ. ამას „ლეჟანკის ჩადგმა“ ჰქვია. თქვენთან „ლეჟანკის ჩადგმა“ არსებობს? ეს ყველაფერი იმისთვის კეთდება, რომ მარტო არ დავრჩეთ და არ მოგვწყინდეს. რომ არ მოგვწყინდეს, ჩვენთან საპირფარეშოებიც საერთოა, იზოლირებული არ არის. ერთად შევდივართ, ერთმანეთს ვესაუბრებით. თუ გაჭირდა, ქაღალდის ნახევსაც ვუწილადებთ ერთმანეთს. პირსაც ერთად ვიბანთ, წელზეპირსახოცწაკრულები. საბჭოთა დასასვენებელი სახლი კომუნიზმის პირველი მერცხალია.

– რას იტყვით თქვენთან ფასების ზრდის შესახებ? – ჩამოსძახა რობინმა ჩვენს დელეგაციას.

– თქვენთან კაპიტალისტურ სამყაროში ფასების ზრდა ეკონომიკური კრიზისის მაჩვენებელია. ჩვენთან კი მშრომელთა კეთილდღეობაზე ზრუნვის გამოხატულება. დიახ, ფასების მომატება ჩვენში საბჭოთა მოქალაქეების მოთხოვნით ხდება! – ამაყად განაცხადა გენომ.

– რა აზრისა ხართ ხელმძღვანელი პარტიული მუშაკის სამი ვადით არჩევაზე? – იკითხა ტომმა.

სანამ სხვები გონს მოვიდოდნენ, მოშე წამოხტა:

– რა საჭიროა სამი ვადა. საქმის გასაფუჭებლად ერთი ვადაც სავსებით საკმარისია!

ტაშის გრიალ-სიცილში ტომი მიკროფონით ხელში წინ გამოდის და აცხადებს:

– რეკლამა რეტრო-შეჯიბრი!

სცენაზე გაიმართება ამერიკული და ქართული ძველი და თანამედროვე ცეკვებისა და სიმღერების ფეიერვერკი. დელეგაციები ერთმანეთს ეჯიბრებიან პაროდირებული, ჰიპერბოლიზებული სიმღერებისა და ცეკვების შესრულებაში. გუნდები ერთმანეთს ცვლიან: ამერიკულ ცეკვას ცვლის ქართული ცეკვა, ამერიკულ სიმღერას – ქართული სიმღერა. ქართულ სახასიათო სიმღერებში შეიძლება შევიდეს „კეკელა და მარო“, „მარებელი“, „ჭიჭე ტურა“ და სხვა. ბოლოს ორივე დელეგაცია ღიმილითა და ჰაეროვანი კოცნით ეთხოვება ნასიამოვნებ, მაგრამ ცოტა დაღლილ ტელემაყურებელს.

განაჩენი

განაჩენის წაკითხვის შემდეგ სამივენი კვლავ ერთ კამერაში დააბრუნეს. ოთხი დღეა, ერთად არიან. დღესაც ერთად ჩასვეს მანქანაში. სასამართლო ბოლო სხდომაზე რაღაცნაირად იმედმიცემულნი, შეთამამებულნი წარსდგნენ. სასიკვდილო განაჩენიც წელში გამართულებმა, თვალებში ირონიაჩამდგრებმა მოისმინეს. ეგ იყო, ერთმანეთის ხელები თითებით ჩაბღუჯეს, ასე თითებ-თითებში გაყრილებმა მოისმინეს განაჩენი. დარბაზში წამით დუმილი რომ ჩამოწვა და აქა-იქ ქვითინი გაისმა, სამთაგან ყველაზე გამხდარმა, თავგადახოტრილმა, თვალებადქცეულმა ბიჭმა თავი აიღო და, თითქოს ახლა გამოერკვაო, მთელი ხმით დაიყვირა:

– დედა! რა გითხარი, დედიკო!

დარბაზში ახალგაზრდა ქალმა ზლუქუნის ცხვირსახოცში ჩახრჩობა სცადა.

მანქანაში რომ სხდებოდნენ, შავი ბაწრის მიღმა ჩამწკრივებულ მოქალაქეებს გადახედეს, თითქოსდა გუშინდელი და გუშინწინდელი ზიზღი აღარ ჩანდა მათ თვალებში. თითქოსდა ისინი დამნაშავენი აღარც იყვნენ. თითქოსდა ყველაფერი გამოისყიდეს სწორედ დღეს, სასიკვდილო განაჩენის მოსმენის დროს. ზედამხედველი მილიციელებიც მუჯლუგუნს აღარ ჰკრავდნენ, თანაგრძნობითაც კი ექცეოდნენ.

კამერაში, როგორც მშობლიურ სახლში, როგორც შეჩვეულ თბილ სენაკში, ისე შეცვივდნენ და ნარზე ერთმანეთის გვერდით გაიშოტნენ.

– მადლობა ღმერთს, ყველაფერი დამთავრდა.

– კიდევ ერთი დღეც და დავუსტვენდი, სასამართლომ ნერვები მომიშალა.

– მე კიდე მომეჩვენა, რომ ჩქარა დამთავრდა. იცი, მაინც საკაიფო სასამართლო იყო.

– მართლა არ დაგვხვრიტონ, ე.

– დაგვხვრიტონ არა, ვინ დაუხვრეტიათ, ჩვენ რო დაგვხვრიტონ.

– ახლა, ორ-სამ დღეში სამუშაოდ გადაგვგზავნიან, მერე ამინისტია მოგვიწევს და იალა, სახლში!

– ძლივს დავარწმუნე დედაჩემი. არ დაიჯერო-მეთქი, არავისაც არ ხვრეტენ-მეთქი. სახელმწიფო ამოდენა უფასო მუშახელს არ დაკარგავს-მეთქი.

– ისე, ჩვენს შორის რომ დარჩეს, არ ვართ დასახვრეტები?

– იცი რა, სასამართლოზე მოწმეები რომ ჰყვებოდნენ, ასე იქცეოდნენ, ასე ძალადობდნენ, ასე გვაწამებდნენო, ხანდახან მეგონა, ჩვენ არაფერ შუაში ვიყავით და სხვაზე ჰყვებოდნენ.

– იმ გოგოსთვის მაინც არ უნდა გვესროლა.

– ვის უნდოდა იმ გოგოს მოკვლა, იცი რატომ ვესროლე, შიშის გამო.

– რისი გეშინოდა?

– ყველას გვეშინოდა. შენ გგონია, შენ არ გეშინოდა? ისტერიულად ჩხაოდი. ვის და რატომ უღერებდი რევოლვერს, ეშმაკიც ვერ გაიგებდა.

– ერთი რამ მაინც ვერ დავამტკიცეთ.

– რა?

– რა და პირველად რომ იმათ გვესროლეს, პირველი ხომ ბესო დაიჭრა.

– ბესოს თავი რომ არ მოეკლა, შეიძლება დაგვემტკიცებინა.

– მაინც რა სლაბი აღმოჩნდა, თავს რაზე იკლავ, ე.

– შიშისგან მოიკლა. შეშინდა, იმიტომ მოიკლა.

– მაინც არაფერი შეიცვლებოდა.

– რაზე ამბობ?

– ვთქვათ დაგვემტკიცებინა, პირველად რომ ჩვენ არ გვისვრია, მაინც სიკვდილს მოგვისჯიდნენ.

– ჩვენ თუ მხოლოდ თავდაცვის მიზნით ვისროდით?

– თავდაცვის კაია. სამი ადამიანის სიკვდილს და ამდენი მგზავრის წვალებას ვინ გაპატიებს. ჯერ ერთი, რა ფორმა იყო თვითმფრინავის გატაცება. პირველად ვინ თქვა?

– ბესომ, ცხონებულმა.

– თვითმფრინავის გატაცება შენ ბიძაშენის დანჯღრეული ჟიგულის დაქოქვა ხომ არ გგონია, მორგებული გასაღებით. თუ წასვლა გვინდოდა, წასვლის ათასი ხერხი არსებობს.

მაინც სხვა კაიფი იყო, თვითმფრინავის დასმა, სხვა თვალით შეგვხედავდნენ. გაზეთები, ტელევიზია, ხო აზრზე ხარ. აფსუს, გამოსულიყო.

– რაკი არ გამოვიდა, ახლა სამაგალითოდ უნდა დავესაჯეთ. ამას პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს. სხვებს რომ არ მოუვიდეთ თავში თვითმფრინავის გატაცება, ამიტომ გაზეთებმა უნდა დაწერონ; სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს, როგორც მკვლელებს და სამშობლოს გამყიდველებსო.

– ეგ ვერ გავიგე, რატომ ვართ ჩვენ მკვლელები?

– მკვლელები ვართ, აბა რა ვართ.

– თუ ეგრე იტყვი, ისინი არ არიან მკვლელები, ვინც ჩვენ გვესროლა?

– ისინი სამსახურს ასრულებდნენ.

– მე მკვლელი არა ვარ! და საერთოდ, ყველაფერი ეს სიზმარი მგონია. ბავშვობაში გადარეული ფილმის ნახვის შემდეგ რომ დაგესიზმრება.

– ან სამშობლოს გამყიდველები რატომ ვართ? არ მინდოდა აქ ცხოვრება და მივდიოდი. ეს რა გაყიდვაა. რა, სამხედრო საიდუმლოება გავყიდე, ან მტრის ჯარს შემოვუძეხი?

– როცა შენს ქვეყანას ზურგს აქცევ, გამყიდველი ხარ, აბა რა ხარ.

– დაიცა, შენ ხომ არ იცი, მე იქ რა თავს გამოვიჩენ. იქნებ სწორედ საქართველოს სახელისთვის, ქართველი კაცის გამოსაჩენად მივდივარ.

– ან ვაბშე არაფერს გავაკეთებ, არც კარგს და არც ცუდს. ვიცხოვრებ უბრალოდ, კაცად. დიდი სულელი უნდა იყო კაცი, სხვა ქვეყანაში შენს ხალხს და შენს ქვეყანას ლანძღვა დაუწყო.

– იტოგში, რაც იყო, იყო. ერთ კვირაში სხვა ცხოვრება დაიწყება. დედაშენი რა ამბავში იყო, ე.

– ბებიაშენი უნდა გენახა. ლოყები მუჭში ეჭირა.

– ბებიაჩემს კივილით მაინც არ უკივლია.

– ნეტავ სად მოვხვდებით სამუშაოდ?

– ლიშ ბი ვერცხლის საბადოები არ იყოს. სხვაგან ყველგან ვიმუშავებ. იქ თურმე ფილტვები უფუჭდებათ.

– არა, ბებიაშენისამ, სიკვდილმისჯილ კაცს საკონდიტრო ფაბრიკაში გაგიშვებენ მწონავად.

– მართლა არ დაგვხვრიტონ, ე.

– გეშინია?

– მე რა, დედაჩემი გაგიჟდება. არ იცი, რა ფეთიანია?

– კარგი ახლა, ჰო, სხვა რამეზე ვილაპარაკოთ...

კამერაში სიჩუმე ჩამოწვა.

ნეტა თუ ვინმემ მოისმინა სიკვდილმისჯილი ბიჭების ეს უკანასკნელი საუბარი.

მე რომ მოსამართლე ვყოფილიყავ, ამ საუბრის მოსმენის შემდეგ იმ საცოდავ დღეზე გაჩენილებს სასიკვდილო განაჩენს უფრო ლმობიერით, თუნდაც ოცწლიანი კატორღით, შევუცვლიდი.

მაგრამ სწორედ ამიტომ არა ვარ მოსამართლე.

დაღლილი კაცის ნათქვამი

პატივცემულო საპენსიო კომისიის წევრებო.

ამ ორმოცი წლის წინათ რიგში ცხრა წლის ბიჭმა პურის ბარათი დავკარგე. საბარათო სისტემის ეპოქაზე მოგახსენებთ. პურზე ისეთი ჭყლეტა-ზედახორა იმართებოდა, ადვილი შესაძლებელი იყო უბარათოდ კი არა, უთავოდ დარჩენილიყავი. როგორც იქნა, მივაღწიე ჟორაია ნოქრამდე და უნდა გენახათ ჩემი ღრიალი, ჯიბეში ბარათი რომ ვერ აღმოვაჩინე. ჩვენი ოჯახის ექვსი წევრის პური შეიხვილიფა იმ დღეს ვიღაცამ. მეტი უბედურება რაღა მოხდებოდა, მეგონა, ცა ჩამოიქცა-მეთქი. ჩემი დოყლაპიობით ოჯახი უპუროდ დარჩა. „რა ვუყოთ, ხდება ხოლმეს“ ლმობიერი პედაგოგიური პრინციპისთვის არ მიუმართავს იმ დღეს ბებიაჩემს; მცემა. ეხლა პურის მაღაზიაში რომ შევდივარ, ის დღე მახსენდება და ტანში გამაკანკალებს. რა გასახსენებელი ეგ არის. ახლა აღარც პურის ბარათებია და შინ ჩემი გამლახავიც არავინ მეგულება, მაგრამ მაინც ის დღე არ ამოდის გონებიდან. საწყენი მერეც ცოტა როდი შემხვედრია, მაგრამ ის პირველი ტრაგიკული შემთხვევა სხვა იყო.

თორმეტის ვიყავ, სტალინი რომ გარდაიცვალა. ინგლისურის მასწავლებელმა, მაღალმა, ლამაზმა კაცმა – მიხეილ იაკობაშვილმა ინგლისურის გაკვეთილზე მეტისმეტად დამწუხრებული სახით გამოგვიცხადა; ბელადი გარდაიცვალა. ბელადი როგორ არ ვიცოდით, მაგრამ მისი გარდაცვალება რატომ იყო ჩვენთვის საშინელება, ვერაფრით წარმოდგვედგინა. წამოვდექით. იმ სიჩუმეში, რაც იაკობაშვილმა

ფეხზე დაგვაყენა, ყველანაირი ცუღლუტური ფიქრი გაკრთა ჩვენს თავში. ვერ აგვეხსნა, რა შუაში ვიყავით ჩვენ ბელადის სიკვდილთან. ერთი კი იყო, მიხეილ იაკობაშვილი ისე გვიყვარდა, რომ მისი ხათრით კიდევ დიდხანს გავჩერდებოდით სევდიანი დუმილის პოზაში და, თუ საჭირო გახდებოდა, ცრემლსაც გადმოვღვრიდით.

შინ რომ დავბრუნდი და მამაჩემის თვალზეც ცრემლი შევნიშნე, დავრწმუნდი; ისეთი ვინმე იყო მკვდარი, ჩვენ რომ ყველას ერთად უნდა გვეგლოვა.

ამ ამბის შემდეგ არ გაუვლია დიდხანს, ერთ საღამოს, ბიბლიოთეკარი შორენა მოგვადგა კარზე და ბებიაჩემს სთხოვა; უშანგის წავიყვან ბიბლიოთეკაში, თუ შეიძლება, აუცილებელი საქმე მაქვს და უნდა მომეხმაროსო. ბებიამ შინ შემოიპატიჟა. დედაჩემი საკერავ მანქანას უჯდა, შორენამ რომ უჩურჩულა, „ვკითხავ მამამისსო“, უპასუხა, საკერავს ხელი უშვა და სარდაფში მოფუსფუსე მამაჩემს ჩააკითხა. ცოტა ხანში ამობრუნდა და მითხრა: „წაყევი შორენას, თბილად ჩაიცვი, შეიძლება დილამდე იქ ყოფნამ მოგიწიოსო“.

ეს გახლდათ ჩემი პირველი უძილო ღამე. ბიბლიოთეკაში ჩვენი ქუჩის თხუთმეტიოდე მცხოვრები შეკრებილიყო. „განსაკუთრებით აქტიური მკითხველებიო“, გამოგვიცხადა შორენამ. გამეხარდა, რომ აქტიურ მკითხველებში მეც ვითვლებოდი. მთელი ღამე ვფურცლავდით წიგნებს და „ბერია“ სადაც შეგვხვდებოდა, ან ფურცელს ვხევდით, ან მელნით გულმოდგინედ გადავხაზავდით „იუგოსლავიის აგენტის“ სახელს. ბევრი წიგნი, რომლებშიც ბერიას საგმირო საქმეებზე ეწერა, ცალკე დავაგროვეთ და დილით ბიბლიოთეკის ეზოში, კოცონზე დავწვით. სხვა წიგნებიდან, რამდენადაც შეგვეძლო, გულმოდგინედ ამოვშანთეთ მოღალატე მარშა-

ლი. ამოვხიეთ სურათები, გამოჩენილ პოეტთა წიგნებიდან ამოვჭერით ბერიასადმი მიძღვნილი ლექსები.

დილით ღამენათევი და გატანჯული, მაგრამ დარწმუნებული და კმაყოფილი მოვაბიჯებდი შინისაკენ. გულში მიხაროდა, რომ საქვეყნო საქმეში მეც გამრიეს. რომ ჩემი ვალი მოვიხადე ქვეყნის წინაშე. ერთი რამ მიკვირდა მხოლოდ; ამდენმა მწერალმა, ამდენმა თავიანმა კაცმა, იმათ, ვინც ბერიას ყოველდღე ხვდებოდა, აქამდე როგორ ვერ შეამჩნიეს ცხვრის ქურქში გადაცმული მგელი-მეთქი. მოვედი სახლში. ჩემი ოჯახის წევრების თვალწინ დინჯად გავიარე შუშაბანდი. ჩემს მაგიდასთან გაკრულ ბერიას სურათს შევხედე, კალმისტარი ავიღე და „იმპერიალიზმის ჯაშუშს“ თვალები დავთხარე. ბებიაჩემმა ამოიგმინა. მამამ ჩემთვის სრულიად მოულოდნელად მისაყვედურა და თავი განზე რომ არ გამეწია, ყურზე ხელის წავლებასაც მიპირებდა: ვინ გასწავლა ასეთი სისასტიკე, შე მამაძაღლოო. ჩამოგეხსნა სურათი და ბუხარში შეგეგდო. სურათისთვის თვალების დათხრა რა ვაჟკაცის საკადრისიაო. სხვა სურათების მოგროვებაც მოგიწევთ, ნუ გეშინია, მალე დაერევიან ეგენი ერთმანეთსო.

ის დღე და მამაჩემის ნათქვამი მთელი ცხოვრების მანძილზე დამამახსოვრდა.

დიდ პოლიტიკასთან მე უშუალოდ საქმე არ მქონია. მეტალების ცივად დამუშავების ფაკულტეტი დავამთავრე, დამთავრებისთანავე ტექნიკური ინსტიტუტის ასპირანტურაში დამტოვეს, 1966 წელს საკანდიდატო დისერტაცია დავიცავი და დღემდე კათედრაზე ვმუშაობ უფროს მეცნიერ თანამშრომლად. პარტიაში არ შევსულვარ. უარი ვთქვი-მეთქი, რომ გითხრათ, მთლად მართალი არც ეს იქნება. ახალგაზრდობაში მინდოდა პარტიის წევრი გავმხდარიყავი, მაგრამ, როგორც მახსოვს, უარი მითხრეს, ანკეტა არა გვაქვსო. მაშინ

პარტიაში შესვლის მსურველს უარს ანკეტის უქონლობის გამო ეუბნებოდნენ. მერე თვითონვე აღარ მქონია სურვილი. რა ვიცი, რაღაცნაირად მიმავიწყდა, თუ მიმრჩა.

დიდ პოლიტიკასთან უშუალოდ კონტაქტი არ მქონია-მეთქი, რომ გითხარი, იცი რას ვგულისხმობდი? არჩეული არსად ვყოფილვარ და თანამდებობა არ მჭერია, თორემ ისე პოლიტიკის გარეშე ვინ გაგიშვებდა. კრემლის ბასტილიებმა სულ ჩემს გულზე გადაიარა.

ჯერ სტალინმა დაგვღალა და გაგვაცალა სიქა მისი სიკვდილიდან დღემდე. ამ ოცდათხუთმეტი წლის განმავლობაში ვერ იქნა და ვერ მოვინელეთ. ვერ იქნა და ვერ შევაფასეთ. ვატყობ, სიამოვნებით აღარ ახსენდება ზოგი, ან ერთხელ და სამუდამოდ ჩარიცხავდა მტრების და სისხლისმსმელების ბანაკში, მაგრამ იმ ოცდაათწლიანი ეპოპეისთვის ვერაფერი მოუხერხებიათ, რომელთანაც ჩვენი სისტემის ბევრი გამარჯვებაა დაკავშირებული. ისე, ჩვენს შორის დარჩეს და მართლა დიდი კაცი ყოფილა; ამდენი ხნის შემდეგაც ამდენ საზრუნავს რომ გვიჩენს და დღესაც ხშირად გვახვევს თავის ნებას.

მამაჩემმა რომ მითხრა, დაერევიან ერთმანეთსო, სულ იმ განწყობილებით გავატარე მთელი ცხოვრება და, ვის დავუმალო, არ ვამბობდი, თორემ ყველაფერი წინასწარ ვიცოდი. კი, რასაკვირველია, კრებებზე ტაშს ვუკრავდი, პარადზე სურათები სხვებთან ერთად მეც გამქონდა, მეც ვიბრაგუნებდი გულზე ხელს, როგორც იქნა კოლექტიურ ხელმძღვანელობას დავუბრუნდით და ახლა კი გავედით სწორ გზაზე-მეთქი, მაგრამ ჩემს თავთან მარტო დარჩენილს ირონიულად მეღიმებოდა, ყურში მიღიტინებდა უნდობლობის ეშმაკი: „ცოტაც მოიცათ. ნახავთ სეირს. ეგ ვინ მამა აბრამის ბატკანია, ერთი დრო სტალინს არ შერჩა-მეთქი“.

ჩემს თვალწინ გაირბინეს თავშეკავებულმა მოლოტოვებმა და „მათ მიტმასნილმა“ კაგანოვიჩებმა. სტალინურ კიტელში გამოწყობილ მალენკოვს რომ ვხედავდი, უკვე ვიცოდი, რომ სულ მალე მოუწევდა ბეცი პოლიტიკოსის იარლიყით სამარცხვინოდ წასვლა ტახტიდან და სვერდლოვსკს იქეთ, რომელიღაც პატარა საწარმოს ზედამხედველიანი დირექტორობა. ინდოეთში სპილოებზე ამხედრებულ ბულგანინს და ხრუშჩოვს რომ „შევხაროდი“, გული მეჭეჭკებოდა, რადგანაც ვგრძნობდი, ჰა და ჰა, ერთი მათგანი დაიდგამდა გვირგვინს თავზე, ხოლო მეორეს ეკონომიკაში გაურკვეველ, სუბიექტივისტური, ამბიციით შეპყრობილ სნობად გამოაცხადებდა.

ვხვდებოდი მეტროთი ნოვოდევიჩზე მიმავალ ერთ დროს საგარეო პოლიტიკის თავს და სტალინის მარჯვენა ხელს – მოლოტოვს; ყრილობათა კულუარებში „ნაცემი ძაღლივით დააბიჯებდა“ ვოროშილოვი და ერთმანეთის მიყოლებით, ჩუმად, უხმაუროდ თავიანთ მღვიმეებში შემკრთალ-შეყუჟული კვდებოდნენ ძველი რევოლუციური გვარდიის ბუდიონები და მიქოიანები.

თბილისში, ბურევესტნიკის სტადიონზე ერთ ქარიან დღეს, ხრუშჩოვმა მუშტები რომ გვიქნია და მწყრალად გახედა ქარისგან ჩამოხეულ მის უშველებელ პორტრეტს, მაშინ ვთქვი ჩემთვის, „არც შენ გიწერია დიდი დღე-მეთქი“.

ჩვენს თვალწინ ხრუშჩოვი ვოლუნტარისტად, თავნებად და თავგასულად გამოცხადდა და ისტორიამ ერთბაშად მიაყარა დავიწყების ქვა და გუნდა.

მერე დიდხანს მიგვაქანებდა ხრუშჩოვზე არანაკლები პოლიტიკური ავანტიურისტი – ბრეჟნევი უძრაობისა და განუკითხაობის ჭაობში. ისე დიდხანს და მოსაწყენად, რომ სულს ვეღარ ვითქვამდით და მიქელ-გაბრიელს რომ არ

ეხმო, ვინ იცის, სანამდე ჩავეფლობოდით იმ წუმპეში, საიდანაც ამოსვლა ასე გაგვძნელებია.

რა გაწუწუნებსო, მეტყვის მკითხველი. შენ ხომ შენთვის ცხოვრობდი, პოლიტიკაში თითქმის არ ერეოდი, არც კარიერის კიბეზე მდგარხარ და არც დაცურების სიმწარე გიგემიაო.

არ არის ასე, ჩემო ძვირფასო, თორემ ასე რომ იყოს, ჩვენ ჩვენთვის ვრჩებოდით და ხელმწიფენი თავისთვის ხელმწიფობდნენ, ვინ მამაძაღლი ამოიღებდა ხმას.

მაღლა, ყოველი პოლიტიკური წაჯექ-უკუჯექობა მე მაწვებოდა კისერზე. რად? შავი პურის რიგებად, სიმართლის მთქმელთა მიმართ რეპრესიებად, „დახმარების“ საბაბით მილიონების განიავებად, სულელურ სამეურნეო ექსპერიმენტებად, სამშობლოდან გაძევებად, ავღანეთში ჩახოცილ უდანაშაულო შვილებად, შიშად – რამე არ წამომცდეს, საკალიმოდ არ წავთამამდე-მეთქი. წიგნებიდან და სამეცნიერო ნაშრომებიდან ამოჭრილ ციტატებად, მერყეულ რწმენად, დაკარგულ იმედებად...

თქვენ რომ არ დამასწროთ დაძახება; ახლა სხვა დროა, ახლა სწორად მივდივართო, მე თვითონ გეტყვით, რომ ახლა სხვა დროა. მე ბედნიერ კაცად ჩავთვლი თავს და ყველანაირ შიმშილს მოვითმენ, თუ ახლანდელ პოლიტიკასაც არ დაედება უნდობლობისა და ეჭვის მტვერი. არადა ავმა წინათგრძნობამ ძილი გამიფრთხო. უკვე თავი წამოყვეს სკეპტიკოსებმა: „ხომ ხედავთ, ზედმეტია მომაკვდავის წვალება-მასაჟი. არ იზამს პირს აქეთ, რაც უნდა ვუწამლვუწრუწუნოთ. სნეულ ორგანიზმს წინააღმდეგობის გაწევა აღარ შეუძლია. ვაცალოთ სიკვდილი და სხვა გზას დავადგეთო“.

ეს იმედიც თუ წყალში ჩაგვიცვივდა, მე ვეღარ გამოგყვებით. ორმოცდაათი წლის კაცი ვარ. დიდხანს გიყურეთ. ცდა და თანადგომა არ დამიკლია. დავიღალე დაპირებებით, ხომ შეიძლებოდა დავღლილიყავი?

მომეცით ორი ლუკმა პურის ფული, თუ მეკუთვნის რამე პენსიის მსგავსი, და გამიშვით ჩემთვის.

ფილმად გადასაღები ამბავი

ვუძღვნი ოთარ ბაქანიძეს

ბერია კარგად მახსოვს. ოცდაჩვიდმეტ წელს რვა წლისა გახლდით და რვა წლის ბავშვს, მოგეხსენება, მეხსიერება გაფაციცებული აქვს. მამაჩემი ქალაქ სამაჩვიის აღმასკომის თავმჯდომარე იყო. თბილისში ორ კვირაში ერთხელ მაინც ჩამოდიოდა და ბერია ჩვენთან სტუმრად ხშირად მინახავს. საშუალო ტანის, პენსნიანი კაცი იყო, საოცრად გაპრიალებული ჩექმები და ტყავის გალიფე ეცვა. სხვათა შორის საკმაოდ გამხდარი და ჩასხმული ტანის იყო. სხარტი მიხვრა-მოხვრა ჰქონდა. თითო-ოროლა ლექსი ვიცოდით მე და ჩემმა ძმამ (ძმა წლინახევრითაა ჩემზე უფროსი) და ყოველ მოსვლაზე გვათქმევინებდა. ჩემს პატარა, ტიტლიკანა დას (ათი თვის იყო მაშინ) მხარზე შეისვამდა და ოთახში დაარბენინებდა.

ენგელსის ქუჩაზე ვცხოვრობდით. სამი ოთახი გვეკავა. სანამ დაი შეგვეძინებოდა, დედაც მამასთან იყო სამაჩვიაში და ჩვენ ბებია გვზრდიდა. დედა ბოლოს რაიონის ქალთა საბჭოს თავმჯდომარე იყო.

ეს ამბავი ათას ცხრაას ოცდაჩვიდმეტი წლის ცხრამეტ მაისს მოხდა.

მამა წინა დღით ჩამოვიდა. გოგირდის აბანოში უყვარდა წასვლა და ჩვენც წაგვასხამდა – უღელ ბიჭებს. აბანოდან რომ დავბრუნდით, მახსოვს, იმ საღამოს დედა და მამა დიდხანს უსმენდნენ რადიოს.

ცხრამეტ მაისს პლენუმი იყო დანიშნული – ეს უკვე ბებიაჩემის ნაამბობიდან ვიცი. მამა ათის ნახევარზე გავიდა თურმე

სახლიდან. ათს წუთები აკლდა, ბერიამ დარეკა; ლიზიკოვო, დედაჩემს უთხრა, პლენუმის შემდეგ შენთან ვართ სადილზეო. ასეთი რამ არაერთხელ მომხდარა, მამაჩემს პლენუმის, ან რაიმე დიდი ღონისძიების შემდეგ ბერია და კიდევ ორი-სამი კაცი სადილზე მოჰყავდა. სამზარეულოში დედა და ბებია ფუსფუსებდნენ. ჩვენ, ლექსებს რომ ვიტყოდით, საწოლ ოთახში გაგვისტუმრებდნენ. ან, რაც ყველაზე დიდი დღესასწაული იყო, ეზოში ჩაგვიშვებდნენ. ბერია და მისი თანმხლებნი მანქანით მოსულნი არასოდეს მინახავს, ფეხით მოდიოდნენ და ფეხითვე ლაპარაკ-ლაპარაკით აუყვებოდნენ ენგელსს. მამაჩემი ჭიშკრამდე გააცილებდა და მობრუნდებოდა ცოტა შეზარხოშებული როცა იყო, მთელ საღამოს ჩვენთან ბუღრაობაში ატარებდა. იატაკზე ვგორავდით, ვითომ ვერეოდით მამას, ისიც ყასიდად წაიქცეოდა, „ვაიმე, ვაიმე, რა ღონიერი „უღელი ბიჭები ყოფილხართო“, წუწუნებდა. დედაჩემი გარს გვივლიდა, ტუქსავდა მამას; „არაფერი მოტეხო, შე დათვო, ამ ბალღებს, შენც ამათი ჭკუის ხარ, ნუ დამინგრიეთ ეს დალაგებული სახლიო“.

იმ დილით დედამ ყურმილი რომ დადო, ბებიას უხმო, არიქა წყალი დაადგი, სადილად ჩვენთან მოდიან, ბაზარში წასვლას რაღას მოვასწრებთ, მაინც რატომ არ გაგვაფრთხილა ტერენტიმო (ტერენტი მამაჩემს ერქვა). დაფაცურდნენ ქალები. მიიძ-მოიძიეს, რაც ჰქონდათ შინ. ხომ იცი, თავშენახული ქალი უქონელს გააჩენს. არაფერი სჯობია სასტუმრო სამზადისს, განსაკუთრებით ისეთი დიასახლისის ოჯახში, ვისაც სტუმრები უყვარს.

გახდა ოთხი საათი. პლენუმი მაშინ თურმე დიდხანს არ გრძელდებოდა, ჩვეულებრივ ორზე მთავრდებოდა ხოლმე. სტუმრები არ ჩანან. ექვსზეც რომ არავინ გამოჩნდა, დედაჩემმა ცეკაში დარეკა, კომენდატურიდან უპასუხეს: პლე-

ნუმი ორის ნახევარზე დამთავრდაო. დედამ ტელეფონით პირდაპირ ბერიას დაურეკა; სადა ხართ, რატომ არ მობრძანდით სადილად, გაცივდა ჭადები, ჩემს ქმარს მაინც რაღატომ შეაგვიანდაო. გაუთვალისწინებელი საქმე გამოგვიჩნდა, ტერენტიც აქ არის, გასარკვევი გვაქვს რაღაც და ბოდიშს გიხდით, საღამოს მოვალთ ყველანი ერთადო, – დაბნეულად უპასუხნია ბერიას.

ასე, დაახლოებით, რვა საათზე რადიო აცხადებს: „დღეს ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე მხილებულ და ადგილზე დაპატიმრებულ იქნა ხალხის მტერი, საბჭოთა სახელმწიფოს წინააღმდეგ დივერსიის ორგანიზატორი და შეთქმულების ინიციატორი, იმპერიალიზმის მოსყიდული აგენტი ტერენტი ჩიორიძე“. დედაჩემის კივილზე ყველანი წინა ოთახში გამოვცვივდით, მაგრამ რადიო უკვე სხვა „აგენტების“ გვარებს აცხადებდა.

დედაჩემი მაშინვე ტელეფონს ეცა და ორი საათის განმავლობაში გააფთრებით რეკავდა. კატეგორიულად მოითხოვდა; ბერიას მალაპარაკეთო, მაგრამ აღარ აერთებდნენ.

წარმოგიდგენია, კაცო? ცინიზმს საზღვარი ხომ უნდა ჰქონდეს? ათზე რომ დარეკა, სადილად მოვდივართო, მაშინ, როგორც ჩანს, ბერიას მამაჩემის დაპატიმრება გადაწყვეტილი ჰქონდა. იქნებ არც ჰქონდა და პლენუმზე „ამხილა“ ვიღაცამ. ამდენი ხანია ვფიქრობ და ვერ გამირკვევია. თითქოსდა მეგობრობდა მამაჩემთან, ხომ გითხარი, არაერთხელ უსადილნია ჩვენთან და რაში დაჭირდა, ისედაც გაუბედურებული ოჯახის დაცინვა, სადილად გველოდეთო.

გაინტერესებს, ალბათ, მერე რა მოხდა. დედაჩემმა ჩაიცვა და სადღაც წავიდა. ჩვენ რა დაგვაძინებდა. ბებია ოთახიდან ოთახში გადი-გამოდიოდა ტირილითა და მოთქ-

მა-ვიშით. შუაღამე გადასული იყო, დედა რომ დაბრუნდა. არაფერს მეუბნებიან, კვალსაც ვერ მივაგენიო.

მეორე დღეს მეზობელი ფინინსპექტორი შვინდაძე შემოვიდა. ჯერ მოგვისამძიმრა, მერე დედაჩემთან მივიდა და წყნარად, ჩურჩულით უთხრა: ლიზიკო, თქვენ ალბათ ამ ბინიდან მაინც გაგასახლებენ და თუ ჭკუაში დაგიჯდეთ, ჩემს ერთოთახიანში გადმოდით, გავცვალოთ ბინები და ფულს დაგიმატებთ, თქვენ ახლა ფული დაგჭირდებათო. დედაჩემმა იფრინა შვინდაძე. რას ჰქვია გაგვასახლებენ. ტერენტი გაუგებრობის ნიადაგზეა დაკავებული. ჯერ წინაპატიმრობაშია, სანქცირებული არც კია. რა ჭირდა ჩემს ქმარს დასაჭერი. ხვალვე გაანთავისუფლებენო.

ისე განთავისუფლდა შენი მტერი, მამაჩემი რომ გაანთავისუფლეს. ათას ცხრაას ოცდაჩვიდმეტი წლის ცხრამეტი მაისის შემდეგ თვალით არ გვინახავს. მამის დაპატიმრების მესამე დღეს დედაჩემიც დააპატიმრეს. ჩვენ, ბავშვებს, დედის წაყვანა არ გაგვიგია. გამთენიისას მოსულა მანქანა. გაჩერდნენ თუ არა ჩვენს სახლთან, უკვე ვიცოდი, დედაშენის დასაჭერად რომ მოდიოდნენო, ბებიაჩემმა.

ერთი კვირაც არ გასულა ამ ამბის შემდეგ, ჩვენს სახლს დილის ექვს საათზე ღიასაბარგულიანი მანქანა მოადგა. „პატარა ტონკას“ ვეძახდით ბავშვები. მახსოვს, როგორ ისროდნენ მანქანაზე, რაც ხელში მოხვდებოდათ. ავეჯის და სხვა მძიმე ნივთების წაღებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტი იყო. დაგვსვეს ყველანი, ჩემი პატარა დაიკო ბებიას კინაღამ გაუვარდა ხელიდან. აღმასრულებელმა მოწყალება მოიღო, ბებიას ბავშვი გამოართვა და კაბინაში მუხლებზე დაისვა. გაგვიყვანეს დიდუბის ბოლოს, პატარა მინდორზე, სადაც მშენებლობის ნარჩენებს და, მგონი ნაგავსაც, ჰყრიდნენ, გადმოგვცალეს მანქანებიდან და დაგვტოვეს ღია ცის ქვეშ.

ესღა გვაკლდა. არც თავშესაფარი, არც რაიმე სახსარი. ბებიაჩემს ეს ძუძუთა ბავშვი ხელზე. სანამ გინდა იტირო და ითავცემო. მივიხედ-მოვიხედეთ, მოშორებით კარვები ჩანს. ჩვენსავით დარბეული რამდენიმე ოჯახი, იქვე, ფარღალალა კარვებში ცხოვრობდა. ვიღაცამ შეგვიკედლა. დაგვაპურეს. ნაშუადღევს ისევ მორახრახდა „პატარა ტონკა“. ჩვენი ნაცნობი აღმასრულებელი გადმოვიდა მანქანიდან და ძარასთან დოინჯშემოყრილი გაჩერდა. შოფერმა დაკეცილი-დაბურდული ბრეზენტი გადმოათრია და იქვე დააგდო. აღმასრულებელი კარვებისკენ წამოვიდა; „ტროცკისტ ჩიორაძის ოჯახს გადაეცით, რომ ხალხის მტრის და მისი შეთქმული მეუღლის ბინისა და ქონების კონფისკაცია მოხდენილია, ქალაქის ხელმძღვანელობას საშუალება არა აქვს კარვის გარდა, ჯერჯერობით, სხვა თავშესაფარი შემოგთავაზოთ. ზამთრამდე ალბათ რაიმეს მოგიხერხებთ. ბინით იმპერიალიზმის აგენტების კი არა, პატიოსანი მშრომელების ოჯახებსაც ვერ ვაკმაყოფილებთო“. ეს თქვა, ახრიალებულ-აძაგძაგებული მანქანისკენ წავიდა და თვალს მიეფარა.

კეთილ ადამიანებს რა გამოლევს. დაგვეხმარნენ, გაგვაშლევინეს კარავი, ვიღაცამ თავისი შეზლონგი დაგვითმო, ფიცრის ტახტი სახელდახელოდ შეგვიჭედეს და მოვეწყეთ „მეფურად“. ჩვენი საგზალი ორ-სამ დღეში გამოგველია, მერე ბებიამ სადღაც დამლაგებლად დაიწყო მუშაობა და ჩემი პატარა დაც თან დაჰყავდა. ჩვენ დილიდან საღამომდე მტკვრის ნაპირას ვერთობოდით. ეგ იყო გვშიოდა, თორემ სხვა მხრივ, გითხრა სიმართლე, დიდად მოწყენილები როდი გახლდით.

ზაფხული ასეთ ყოფაში გავლიეთ. სექტემბერში იქვე, ახლოს, სკოლაში მიგვაბარეს. ცხრაჯერ შეეცვალა იმ სკოლას ნომერი, მერე დაანგრიეს და, მოშორებით, კუს ქუჩაზე ახა-

ლი ააშენეს. ახლა, მგონი, ასოთხმოცდამეშვიდე თუ ასოთხმოცდამეცხრე სკოლაა. კოშმარივით მახსოვს ის ერთი წელი. ჩემი ძმა მეორეში დასვეს, მე პირველში. ჯერ იყო და სიაში ნოემბრის ბოლომდე არ შეგვიტანეს. ვგრძნობდით, რომ გერებივით გვექცეოდნენ და ამის გამო თვალშიც არავის ვეჩხირებოდით. ერთად დავდიოდით; ხან ჩემი ძმა ესწრებოდა ჩემს გაკვეთილებს, ხან მე ვიჯექი მეორეში. პასუხს გაცდენაზე და დაგვიანებაზე არავინ გვთხოვდა. მახსოვს, სახელმძღვანელოები დაარიგეს და ჩვენ, როგორც ტროცკისტის შვილებს, არ მოგვიწია.

იმ წელს ყინვები ადრე დაიჭირა. კარავში სიკვდილი გველოდა. მიდგა-მოდგა საწყალი ბებიაჩემი და დიდუბეში, სამსართულიან საუწყებო სახლში, კიბის ქვეშ, ოთახისმსგავსი რაღაც აღმოაჩინა. ეს უკვე გადარჩენას ნიშნავდა. პრიმუსით იოლას გავდიოდით. ღუმელი კიდეც რომ გვეშოვა, დასადგმელი ადგილი არ იყო.

იმ ზამთრის სიმშვენიერეებზე სიტყვას აღარ გავაგრძელებ. ბევრი რამ შენვე შეგიძლია წარმოიდგინო.

მთავარს გეტყვი: ერთი წლის შემდეგ გამოუშვეს დედაჩემი ციხიდან. ჯერ გაუსამართლებია სამეულს და ხუთი წელი მიუცია. მერე, ბერია რომ მოსკოვში გადაიყვანეს, რატომღაც გადაუხედავთ დედაჩემის საქმისთვის და კი არ გაუმართლებიათ; ის ერთი წელი სასჯელის მოხდად ჩაუთვლიათ და ხელწერილი ჩამოურთმევიათ, რომ ანტისახელმწიფოებრივ საქმიანობაში აღარ გაერეოდა. ჩამოვიდა დედაჩემი მოქალაქეობრივ უფლებააყრილი და სულიერად განადგურებული. არჩევნებში მონაწილეობის უფლება, მახსოვს, ათას ცხრაას ორმოცდაცხრამეტში დართეს. მიაკითხა ძველ სახლს. იქ უკვე სხვა, ვიღაც უცნობი პირები ცხოვრობენ. ჩვენი ბინა ორი ოჯახისთვის მიუციათ. შვინ-

დაძე იმ დროისთვის დაპატიმრებულია. ჩვენ, რასაკვირველია, შიშით იმ სამეზობლოში აღარ გამოვჩენილვართ. ბებიაჩემი ერთხელ ყოფილა და ქურთი მეეზოვე ქალისთვის საიდუმლოდ გაუნდვია: „ჩვენი ასავალ-დასავალი არავის უთხრა, თორემ ამ ბავშვებსაც წამართმევენ. თუ ლიზიკო ან ტერენტი გამოჩნდნენ, მეტი არაა ჩემი მტერი, უთხარი, რომ დიდუბეში, საკირის ქუჩაზე კიბის ქვეშ ვართ შეფარებული. სხვას არავის უთხრა, თორემ ჩვენ ალბათ ჩეკა ჯერ კიდევ დაგვეძებსო“. ხომ იცი შიშის ამბავი. არ ჰქონდა საფუძველი, საწყალს, თავისი მისამართი რომ დაემალა? დედაჩემს მაშინ ის მეეზოვე აღარ შეხვედრია. მაინცდამაინც მაშინ ყოფილა გასული სახლიდან. იღბალი არ გინდა: გამოსულა ქალაქში სასოწარკვეთილი ქალი, უბინაო და უპატრონო. რა სახე ექნებოდა, როგორ გუნებაზე დადგებოდა, ხომ წარმოგიდგენია.

ბელინსკზე მამაჩემის გარე ბიძაშვილი კაკო ჩიორაძე ცხოვრობდა. თვით კაკო მაგ დროს აღარ იყო ცოცხალი. დავარდნილი მეუღლე და ორი გაუთხოვარი ქალიშვილი დარჩა. იმათ შეეკედლა დედაჩემი. არც მუშაობა დაიწყო, არც მთავრობას მიაკითხა, დადის ძუ მგელივით ამხელა ქალაქში და თავის შვილებს გვეძებს.

პირველ რიგში სკოლებისთვის უნდა მიეკითხა, მართალი ხარ შენ, მაგრამ ზაფხული იყო და ბევრი სკოლა გამოკეტილი დახვედრია. ზოგან დარაჯი და საქმეთა მმართველი ყოფილა, იმათ კიდე რა იციან, ვინ სად სწავლობს. დედაჩემი ჯერჯერობით, თურმე იქეთ მხარეს გვეძებს, სოლოლაკის, ორთაჭალის და ავლაბრის მხარეს. დიდუბისკენ, იქ რომ ვერა გააწყო, ათი-თორმეტი დღის ძებნის მერე გადმოსულა. კითხვა-კითხვით რომ ვერ მოგვაკვლია, უფიქრია; ჩემი ბიჭები, თუ დაჭერილები არ არიან, ალბათ, მაწანწალებს

მიეკედლებოდნენო და ბაზრის მაწანწალებთან გვეძებდა თურმე. მერე ვიღაცას უსწავლებია, დიდუბის ბაღში შუაღამისას მთელი თბილისის მაწანწალები და ქურდები იკრიბებიან, თუ იპოვი, იქ იპოვი შენს შვილებს, ან უარეს შემთხვევაში, მაწანწალები მთელ ქალაქში დადიან და შეიძლება იმათ იცოდნენ ძმები ჩიორაძეების ასავალ-დასავალიო.

სამი ღამე გავათიეო, ყვებოდა დედაჩემი, დიდუბის ბაღში, მაწანწალებსა და ბოზებს შორისო. შიშისგან კბილებს ვაკაწკაწებდი, ისეთ ხალხს ვეკითხებოდი ჩემი შვილების ამბავს; სხვათა შორის ბევრ მათგანს გულთან მიჰქონდა, მაგრამ ვერაფრით მშველოდნენო.

ოცდაერთი აგვისტო იყო, რა დამავიწყებს. მე და ჩემი ძმა დილაადრიან სადგურზე მივიჩქაროდით. იქ ვაგონის დატვირთვაში ვეხმარებოდით მუშებს და ისინიც სამადლოდ რაღაცას გვაჩუქებდნენ; ხან თითო ბუხანკა პურს, ხან ცოტა ფულსაც გადმოგვიგდებდნენ.

ტრამვაის ფული სად გვქონდა. ყველა კონდუქტორი გვიცნობდა და მუშტით გვერეკებოდა ვაგონიდან, კიბეზე დაკიდება და მისი ჯანი. ჰოდა, ოცდაერთ აგვისტოს შეახტა ვაგონს ჩემი ძმა, შევახტი მეც. სხვათა შორის იმ შეხტომასაც თავისი მუღამი უნდა, უსათუოდ იმ ფეხით უნდა შეახტე, რომელიც ვაგონის მხარეს გაქვს. მეორე ფეხით საშიშია, იმიტომ რომ, სანამ ფეხს დაადგამდე, შეიძლება შემოგიქნიოს და რელსებში ჩავარდე. ეს კარგად ვიცოდი, მაგრამ ვატმანმა რაკი დაინახა, რომ ვახტებოდით, მოუჩქარა და შეხტომა ვერ მოვასწარი. ხელებით ვკიდივარ ვაგონს და ტრამვაი მიმაპროწიალებს, იქიდან ჩემი ძმა მექაჩება. ვერ იქნა, ტანი ვერ ავიტანე, ეს ხდება სწორედ დიდუბის ბაღის წინ. დილის შვიდი საათია. „გააჩერეთ, გააჩერეთ“, მესმის ხალხის ყვირილი.

ტრამვაი გაჩერდა და პირქვე ჩავემხე. იდაყვები გადატყავებული მაქვს, მუხლებიც მეწვის, მაგრამ ვიცი, რომ მოტეხილი არაფერი მაქვს. მაგრად არაფერი მტკენია. წამომიყვანეს, ვიღაცამ ყურში მომკიდა ხელი, ვიღაცამ დამიყვავა, ვიღაცამ შემაგინა და უეცრად ქალის კივილი მომესმა:

– დაიჭირეთ, არ გაუშვათ! თქვენი ჭირიმე! არ გაუშვათ!

„არ გაუშვათო?“ ისე მოვცოცხე, რომ იტყვიან, კეფაზე ვირტყამდი ტლინკებს. ვხედავ, ვიღაცები მომსდევენ. ვიფიქრე, როგორც წესრიგის დამრღვევს დამიჭერენ და ბავშვთა კოლონია არ ამცდება-მეთქი. მოსახვევიდან გამოვარდნილმა მილიციელმა მკლავში რომ მსტაცა ხელი, ავღრიალდი: „რას მერჩით, რა გინდათ ჩემგან, დედ-მამა დაჭერილი მყავს, არ მაქვს ტრამვაის ფული-მეთქი“.

და სწორედ ამ დროს ვიღაც ქალი უკნიდან მხრებზე ჩამაფრინდა. მილიციელს ხელი გააშვებინა, შემომატრიალა და გულში ჩამიკრა:

– მე ვარ, შვილო, დედაშენი ვარ, სად გარბოდი დედიკო?! მოგიკვდა დედაშენი!

თურმე დილის შვიდ საათზე გამოდის ცრემლგამშრალი დედაჩემი დიდუბის ბაღიდან და ვაგონზე ჩამოკიდებული რომ დამინახა, ვისია ეს უბედურ დღეზე დაბადებული, სამი კაპიკის გულისთვის თავს რომ იკლავსო? დამაკვირდა, დამაკვირდა და სწორედ მაშინ დაუწყია კივილი: დაიჭირეთ, არ გაუშვათო. რომ არ მეკივლა, კარგა ხანს კიდევ ვერ გიპოვიდით. აშენდა იმ მილიციელის ოჯახი, გზა რომ მოგიჭრა, თორემ პეპელასავით გარბოდი, შენი დამწევი არავინ იყოვო.

წარმოიდგინე ასფალტზე მუხლებით დაჩოქილი დედაჩემი და მე და ჩემი ძმა აზლულქუნებულ-აღრიალებულები.

„დედა დაბრუნდა, დედიკო ჩვენთანაა, აწი აღარაფერი გვიჭირს“.

ორი წელი საჩივრები წერა დედაჩემმა კრემლში. ორიოდე კაპიკი რომ შეაქუჩა, მოსკოვში ჩავიდა და ვოროშილოვთანაც მოახერხა შესვლა. ძველი ბინა არ დაგვიბრუნეს, მაგრამ ერთოთახიანი მოგვცეს ნაძალადევში ომის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე.

შენ კინორეჟისორი ხარ. მომწონს მე თქვენი ფილმები, მაგრამ როცა ოცდაჩვიდმეტ წელზე უყვებით მაყურებელს, რაღაცას გამოიგონებთ ხოლმე არნახულს და არგაგონილს.

ა გადაიღე, ბატონო, ეს ამბავი. არ არის გადასაღები?

ქარის მოტაცებული რეცეპტი

რამდენს წერენ ამ ბოლო დროს ადამიანის მარტოობაზე. მიუხედავად ურთიერთობის ფორმათა გამრავალფეროვნებისა, მიუხედავად ამდენი კრება-დემონსტრაციისა და გადაადგილების საშუალებათა ფეიერვერკისა, მიუხედავად ინფორმაციის ზღვა ნაკადისა, ადამიანი უფრო მარტოა, ვიდრე შუასაუკუნეებში იყოვო. ნამეტანი გავუგულგრილდით ერთმანეთსო. ერთად ყოფნის ურბანისტულ მოვლენებს ჩვენმა შინაგანმა ბუნებამ საწინააღმდეგო იმპულსის გააქტიურებით უპასუხა; რაც მეტ ერთმანეთში ათქვეფას გვთავაზობს გარემო, მით უფრო ვიკეტებით საკუთარ ნაჭუჭში, ჩვენს თავს ვუბრუნდებით და ვუღრმავდებით უფრო მეტადო. ეს მოსაზრება კინაღამ ვირწმუნე ამასწინათ და ერთი შემთხვევა რომ არა, შეიძლება სამუდამოდ დამეჯერებინა, რომ ყველანი სახიფათოდ დავცალკევებულვართ, მარტოობის მორევში ყელამდე ჩაფლულთ ერთმანეთისთვის ხმა ვერ მიგვიწვდენია.

ქალაქ დ-ში მივლინებით გახლდით. სასტუმრო „საბენაში“ ჩამოვხტი. „საბენა“ დიდი, გადატვირთული სასტუმროა, მაგრამ მივლინების ბარათს, მისი მესვეურები, ეტყობა, ჯერ კიდევ პატივს სცემენ. ადმინისტრატორს ისიც კი არ უკითხავს, რა საქმეზე ვიყავი ჩამოსული. მეხუთე სართულზე ხუთას თვრამეტში მომათავსა. ერთადგილიანი არაუშავდა ნომერი იყო.

პირველ დღეს სასტუმროდან ფეხი არ გამიდგამს. ნამგზავრი ვიყავი და გამოვიძინე. მეორე დღეს, დილით

დავრეკე და კაცი, რომელსაც უნდა შევხვედროდი, სწორედ იმ დილით მოსკოვში გაფრენილიყო. სამდღიან თათბირზე გამოეძახნათ. უალკოჰოლო სასმელების ქარხნის მთავარ ინჟინერზე მაქვს ლაპარაკი. ჩვენთან ვაპირებდით ხილის წვენების საამქროს გახსნას და ამ საქმეზე ვიყავი ჩამოსული. მთავარი ინჟინერი ინაკავაძე პარიზიდან დაბრუნებული კაცია, იქაც წვენებზე უმუშავნია, იმედი გვქონდა, – გამოცდილებას გაგვიზიარებდა, გზაზე დაგვაყენებდა. ჩემი ბრალიცაა, გაუფრთხილებლად წამოვედი. ჯერ უნდა გამეგო, იყო თუ არა ადგილზე და მერე ამეღო მივლინება. რაც არის არის; კაი ოთხი-ხუთი დღე „საბენაში“ მარტო უნდა ვიყო, იანაკავაძეს უნდა ველოდო, სხვა გზა არა მაქვს.

უცნობ ქალაქში უპატრონოდ ძნელია ყოფნა. ახლომახლო ქუჩები შემოვიარე. დ-ში ნამყოფი იქნები და გეცოდინება ისტორიული ძეგლები და სხვა „ღირსშესანიშნაობანიო“, რომ ეძახიან, დ-ში არ არის. ჩვენი „ხლამით“ გატენილ მაღაზიებში არც შემიხედავს. ერთი დღე ვიბორიალე ქალაქში, მერე მომწყინდა და ისევ სასტუმროს მივაშურე. უსაქმობაზე დიდი საშინელება მე მგონი არ არსებობს. კაცის დასჯა თუ გინდა, საქმე უნდა წაართვა.

უცნობთან გამოლაპარაკებას თავისი ოსტატობა და, ცოტა არ იყოს, გამბედაობაც უნდა, ზოგს ამ საქმეში ოქრო გამოსდის ხელიდან. სულერთია, ქალი იქნება, კაცი იქნება, სიტყვის ძაფს გააბამს, რაღაცა საერთოს იპოვის. მე „ნეტავ, ხვალ როგორი ამინდი იქნებაში“ და „ნეტავ, თუ მართალია, რომ ამბობენში“ მკვდარი გყავარ. არ შემიძლია და მომკალი. თუ ძალიან არ გამიჭირდა, უცნობს საათსაც ვერ ვკითხავ – ბავშვობიდან ასეთი გახლდით. არადა ადამიანს, მითუმეტეს სახლიდან გასულს, ბუნებრივი სურ-

ვილი გაქვს, ვინმეს აზრი გაუზიარო, სიტყვა გაუცვალო. ათასი შესაკითხი გიჩნდება დღის განმავლობაში. ნიადაგ თავისთავს მარტო გიჟები ელაპარაკებიან. მოკლედ, ორმა დღემ ისე გაიარა, ოფიციანტის მეტს არ გავსაუბრებივარ. გაიწელა, მაგრამ რა გაიწელა ეს დღეები. წიგნიც არაფერი მაქვს წამოღებული, რომ თავი გავირთო. გაზეთებს ვყიდულობ და, იცოცხლე, ვფქვავ; სტრიქონს არ ვტოვებ წაუკითხავს, მაგრამ რა არი ჩვენი გაზეთი, ჯერ ერთი, ისედაც ოთხგვერდიანია და მერე მთელს ნომერში ერთი, ჰა, ორი მასალა თუა, რომ წაიკითხება. მერე, თუ რამე ოფიციალური ღონისძიება ტარდება იმ კვირაში, ყველა გაზეთი ერთნაირია. ყველა ერთი და იგივეს ბეჭდავს.

ჩემს ნომერს პატარა აივანი ჰქონდა. აივანზე მრგვალი კოხტა მაგიდა და ორი სკამი იდგა. მესამე დღეს ჩანთა გავიტანე აივანზე და ის ქაღალდი დავაძრე, რომელზედაც ინაკავაძისთვის მისაცემი შეკითხვები, ერთი-ორი წამლის რეცეპტი და ტელეფონის ნომრები მეწერა. ასე ვიცი ხოლმე, ცალკე ფურცელზე ჩამოვწერ, რაც მაქვს გასაკეთებელი. დაუბერა ქარმა და ააფრიალა ჩემი ქაღალდი. იმწამსვე წამოვხტი და მოაჯირს გადავეკიდე, იქნებ თვალი მოვკრა, სად დაეცემა-მეთქი, მაგრამ შენც არ მომიკვდე. მაინც სად გაქრა ასე უცებ, გეგონებოდა, ცამ ჩაყლაპაო. არადა მჭირდება ის ქაღალდი. ახლა, ჩვენს შორის დარჩეს, შეკითხვებს აღიდგენ მეხსიერებაში, თავიდან ჩამოწერ, თუ თავს გაიწვალებ – ტელეფონის ნომრებიც შეიძლება დაადგინო, ინაკავაძეს და მის ქარხანას დ-ში კი არა, მთელ ქვეყანაზე იცნობენ. აი, რეცეპტებს ვერაფერს მოუხერხებ. თვითმფრინავში ვიღაც ღვთიან-მადლიანმა ჩამაწერინა. შინაური წამლის რეცეპტებია. მოწიე ყური, გ-ს უხდება თურმე. მაწუხებს ძალიან. რაც ხანში შევდივარ, უფრო და უფრო დამიბრიყვა,

მეც ამ წამლებმა მომარჩინაო. მგზავრი იყო, თვითმფრინავში ჩემს გვერდით მოხვდა. ჩემდა იღბლად მისამართიც არ ჩამიწერია. სერიოზული კაცი იყო, ტყუილს რაზე მეტყოდა. ის რეცეპტებიც იმ ქაღალდს მივაწერე; მე ვთქვი, მერე გადავწერ-მეთქი და, სწორედ გადასაწერად რომ ამოვიღე, მაშინ გადამიფრიალა ქარმა. გული დაგწყდება კაცს, მეტი კი არაფერი.

ჩავიცვი და ჩავედი სასტუმროს ეზოში. მივიარე-მოვიარე. ვათვალიერებ ზევით, ქვევით, გაგიგონია? ავბრუნდი ნომერში, ამოვიღე სუფთა ქაღალდი ჩანთიდან, დავდე მაგიდაზე და მივეცი ქარს. ჩემი ჭკუით, საითაც ამ ქაღალდს წაიღებს, იქეთ ექნება ის ქაღალდიც გაფრიალებული-მეთქი. ქარმა არ დაახანა. დაუბერა ჩემს ქაღალდს და გააქანა მარცხენა მხარეს, ბზისხეებიანი ეზოსკენ წაიღო. ჩავირბინე. ვეძებე, ვეძებე და, როგორც იქნა, ვიპოვე ის ჩემი სუფთა ქაღალდი. მოვიძიე ახლომახლო ნაწერიანი ფურცელი, მაგრამ არსად ჩანს. ავედი მაღლა და კიდევ ერთი ფურცელი გამოვატანე ქარს. ისიც ვიპოვე, გაზონებს შუა ეგდო. რეცეპტიანი ქაღალდი კი, არსად ჩანს.

ამ ყოფაში გართულს, ადიდასისპიჟამოიანი, სათვალიანი, ასე ცამეტ-თოთხმეტი წლის ბიჭი მომიახლოვდა. რას ეძებ, ბიძიაო. არაფერს, ქაღალდი გადმომივარდა, წარწერიანი. ძალიან მჭირდება ის ნაწერი-მეთქი. ჯერ თვითონ ეძებდა იმ მშობელკურთხეულმა ჩემთან ერთად, მერე წავიდა და ხუთიოდე მისნაირი გამხდარ-გაწლიკული ბიჭი მოიყვანა. ეძებეს, მაგრამ რა ეძებეს, სულ გადაქექეს იქაურობა. ერთ საათში რა ქაღალდი არ მომიტანეს. ავტოკოლონის ქვითრები, მივლინების ძველი ფურცლები, საექიმო ცნობის „ბლანკები“, გასაღების ღრიჭოში შესატანი ბარათები („უჩემოდ ისადილე, მე შემაგვიანდება;..“

„სად ხარ აქამდე;..“ „გასაღები ისევ იქაა;..“ და ა. შ.), ბავშვის ნახატები, ამონაჭრები გაზეთებიდან სტალინის კარიკატურებით, სასიყვარულო ლექსები, მაგრამ ის ჩემი ქაღალდი – გ-ს ორი მისწრება-რეცეპტით არა და არ ჩანდა.

იმედი მაინც არ გადამიწურავს, ძებნაში გართულ ბიჭებს მადლობა მოვახსენე და ადმინისტრატორს ვეახელ. ვინც მე მიმიღო, ჟღალთვალება, წითური კაცი, არ მორიგეობდა. ევკალიპტის შემოდგომის ფოთლისფერთმიანმა მაღალმა ქალმა ყურადღებით მომისმინა. რაკი ეზოში არსად ჩანს, იქნებ რომელიმე აივანზე შეაფრიალა ქარმაო. ეგ მეც ვიფიქრე, მაგრამ ხომ ისევ გამოაფრიალებდა, აივანზე რა გააჩერებდა ამ ქარში ქაღალდის ფურცელს-მეთქი. რა იცით, სად გაეჩხირაო, იქნებ სულაც ოთახში შეიტანა ქარმაო. ნუ გეშინიათ, ჩვენთან არაფერი იკარგება, თუ ქუჩაში არ გადაფრიალდა, უსათუოდ ვიპოვითო. სახელდახელოდ დაწერა განცხადება: „ძვირფასო მეგობრებო, ხუთასთვრამეტ ნომერში მცხოვრებ სტუმარს ქარმა მეტად საჭირო ქაღალდი გადაუფრიალა. ვინც იპოვნის, ვთხოვთ მიუტანოს პატრონს. წინასწარ გიხდით მადლობას. ადმინისტრაცია“. განცხადება იქვე, პატარა დაფაზე გააკრა და ყოველ შემთხვევისათვის მირჩია, ჩემს ქვემოთ ოთხი სართული ჩამომევლო და მეკითხა; სანამ განცხადებას წაიკითხავდეს, ვინმემ არ დაჭმუჭნოს და სანაგვეში არ ჩააგდოსო.

ოთხასთვრამეტის კარებზე კარგა ხანს ვაკაკუნე, მაგრამ არავინ გამიღო. სამასთვრამეტიდანაც არავინ გამომეხმაურა და ის იყო მეორე სართულზე ჩასვლას ვაპირებდი, რომ ლიფტს პროკურორისფორმიანი, ორმოცდაათსმიტანებული, ჭაღარა, სანდომიანი სახის კაცი ამოჰყვა.

– ვინ გნებავთ? – მკითხა და ჩანთა მარცხენა ხელში გადაიტანა.

– სულ ერთია, აქ ვინც ცხოვრობს, შეკითხვა მაქვს პატარა.

– არ იცით ვინ ცხოვრობს? – მკითხა და უფრო გაკვირვებით დამაცქერდა.

– ალბათ თქვენ, ხომ?

– არა, მე ამ სართულზე არ ვცხოვრობ. – აშკარად შეეტყო, რომ ცრუობდა, – მაინც რა უნდა გეკითხათ აქ მცხოვრებისთვის?

– ძნელი არაფერი. აივანზე ქაღალდი ხომ არ შეფრიალდა-მეთქი.

ორი ნაბიჯით კიდევ დაიხია.

– რა ქაღალდი უნდა შეფრიალებულიყო?

– მე ხუთასთვრამეტში ვცხოვრობ, მეხუთეზე – რაც მომიხერხდა, სერიოზული სახე მივიღე. – ქაღალდი გადამიფრიალა ქარმა. საჭირო რაღაც მეწერა და ვეძებ.

შვებით ამოისუნთქა, მაგრამ ბოლომდე მაინც არ მენდო.

– მომიცადეთ, ვნახავ, თუ არის სადმე, ახლავე მოგართმევთ.

კარს რომ აღებდა, ჩემთვის თვალი არ მოუცილებია, შევიდა და ინგლისური გასაღები გაატკაპუნა. ხუთიოდე წუთში გააღო – შემობრძანდით, დაბრძანდით – სავარძელზე მიმითითა, – იცით, არ არის. თუ სადმე მოვკარი თვალი, მე თვითონ ამოგიტანთ. შეიძლება სხვა სართულზე შეაფრიალა. იცის ასე. ადმინისტრატორსაც სცოდნია ეს ამბავი. აქ იქნება, ვინ წაიღებდა. – ხმას დაუწია. – სერიოზული ეწერა რამე?

ისეთი არაფერი, – მორცხვად შევაბრუნე თავი. – გ-ს წამალი მასწავლეს და ჩავინიშნე. იმ კაცს, ვინც მასწავლა,

ველარ შევხვდები. არადა მაწუხებს ძალიან. იქნებ ეშველა, ვინ იცის. ექიმბაშის წამალი უფრო ჭრის ხანდახან.

კვლავ წეღანდელი უნდობლობა ჩაუდგა თვალებში და ფეხზე წამოდგა.

– რას იზამთ, ხდება ხოლმე. ახლა ოთხასთვრამეტს ააკითხეთ, მე მგონი, იქ შეაფრიალებდა. შორს არ ექნება წაღებული.

– ოთხასთვრამეტში შინ არავინ არის. – წამოვდექი და კედელზე პოლიტბიუროს რომელიღაც წევრის სურათს მოწყენილად შევხედე.

– მაშინ მეორეზე იქნება. კი, მეორეზე იქნება ნამდვილად. ახლა ისეთი ძლიერი ქარი არ არის, მაღლა ვერ წაიღებდა, ქაღალდსაც ხომ თავისი წონა აქვს, კარგად ბრძანდებოდეთ.

პირველივე დაკაკუნებაზე ფართოდ გაიღო ორასთვრამეტი ნომრის კარი და მოხდენილმა, ოცი-ოცდახუთი წლის, თეთრყირმიზა, ფერფლისფერთმიანმა, იაპონურხალათიანმა ქალიშვილმა, თითქოს ჩემს მოსვლას ელოდაო, საზეიმოდ მომაგება:

– მობრძანდით, მობრძანდით, ძალიან სასიამოვნოა, ცოტა დააგვიანეთ კიდეც.

– იცით რა, – თითებზე დავიხედე – ოთხასთვრამეტში არავინ იყო. მერე სამასთვრამეტში შევყოვნდი ცოტა ხანს. იქ თურმე პროკურორი ცხოვრობს. იქაც არ არის.

ჩემს ლაპარაკს ყურადღებაც არ მიაქცია.

– მე თქვენ გუშინვე გელოდით. ხომ ვუთხარი გრიშას, თუ შეუძლია, დღესვე მოვიდეს-მეთქი.

– გუშინაც შემეძლო, რასაკვირველია, მაგრამ უმიზეზოდ ხომ ვერ მოვიდოდი. გუშინ ის ქაღალდი ჩანთაში მედო.

– რა ქაღალდი? – სიგარეტს მოუკიდა, ფეხი-ფეხზე გადაიდო და შემომაფიქრდა.

– ქაღალდი, რომელსაც ვეძებ, ახლა ისეთი კი არაფერია, ჩემთვის აქვს მნიშვნელობა, თორემ სხვას, შეიძლება, ხალხური მედიცინისა სულ არ სჯეროდეს.

– მოიცათ, თქვენ გრიშამ არ გამოგგზავნათ? – ნაფაზი დაარტყა და გამომცდელად შემხედა.

– არა.

– კვესელავამ?

– კვესელავა ვინ არის? – კითხვა შევუბრუნე.

– აჰა, ესე იგი სივსივაძის გამოგზავნილი ხართ. რატომ წინასწარ არ გამაფრთხილა.

– სივსივაძეზე წარმოდგენაც არა მაქვს.

– ვიცი, ვიცი, გივი გეტყოდათ.

– რომელი გივი? მე ამ ქალაქში, ჯერჯერობით, თითქმის არავის ვიცნობ.

– კი მაგრამ?

– ხუთასთვრამეტში ვცხოვრობ, ქარმა ქაღალდი გადმომიფრიალა. იქნებ თქვენს აივანზე შემოფრიალდა-მეთქი.

რა ჩემი ხატვა გინდათ, გაიხსენეთ, სად და როდის გინახავთ ლამაზი ქალი რომ გულიანაც იცინის. უკეთეს სურათს ვერ ინატრებს. ეს ბუნების ზეიმი გახლავთ. სილამაზის სხივები ეფრქვევა თვალ-ბაგეთაგან.

სული რომ მოითქვა. აივანზე გავიდა. ჯერ თვითონ მიათვალიერა, მერე მე მიხმო.

– მობრძანდით, ნახეთ, არ არის, იცით, სამწუხაროდ. რა საინტერესოა. მე სრულიად სხვა მეგონეთ. ჩემს ნათესავს ერთი ნაცნობი უნდა გამოეგზავნა. ნოტებს დამპირდნენ. უფრო სწორედ, ნოტებს კი არა, სხვა რაღაცას. თქვენთვის არ იქნება საინტერესო. ამ ქალაქში პირველად ხართ? დაბრძანდით, ყავას ხომ არ მიირთმევთ?

... „გარდაქმნის პროჟექტორი“ კარგა ხნის დამთავრებული იყო, ჩემს ხალისიან მასპინძელს რომ გამოვეთხოვე. მაღლა ასვლისას ოთხასთვრამეტს დავუკაკუნე, მაგრამ ისევ ამაოდ.

ჩემს ნომერთან ორი პატარა ბიჭი, ხელჯოხიანი მოხუცი და გახეხილჯინსიანი, ზუსტად ერთნაირად ჩაცმული, ერთნაირად თმაშეკრეჭილი და პირტიტველა ქალ-ვაჟი იდგა.

მამლის მეოთხე ყივილამდე ვისაუბრეთ. როცა წავიდნენ, მე კიდევ დიდხანს და გულმოდგინედ ვკითხულობდი ამ უანგარო ადამიანების მიერ ნაპოვნ ინტიმურ წერილებს, გარიგების ფურცლებს და დასმენის ბარათებსაც კი.

ის დღე და ის დღე. საპნის ბუშტივით გაქრა ჩემი მარტოობა და შესაბამისად მოწყენილობაც. მოდიოდნენ, რჩევას მაძლევდნენ, მეკითხებოდნენ; რა ეწერა ქაღალდზე, მოჰქონდათ გ-ს სამკურნალო სხვა რეცეპტებიც კი. ყველა ქაღალდს მადლობის ნიშნად ვიტოვებდი, რომ ჩემთვის დამაშვრალი მოქალაქენი არ გამეწბილებინა. ბოლო დღეებში კარებიდანვე ვისტუმრებდი ნაპოვნი ძველი ქაღალდებით მოსულებს, იმის შეტყობინებით, რომ არაფერი მნიშვნელოვანი არ ეწერა იმ ქაღალდზე და, კაცმა რომ თქვას, აღარც დავეძებ-მეთქი.

ძილი და მოსვენება საბოლოოდ რომ დავკარგე, ადმინისტრატორს ვეახელ და განცხადება ჩამოვახსნევინე. ამანაც ვერ მიშველა. ნაპოვნი ფურცლების მოტანა კვლავ გრძელდებოდა. მერე ავდექი და ადმინისტრატორს ახალი განცხადება გავაკვრევინე: „ხუთასთვრამეტში მცხოვრებმა სტუმარმა დაკარგული ქაღალდი უკვე იპოვა. მადლობას მოგახსენებთ ყურადღებისთვის“.

მილოცვების კომპანია ორ დღეს გაგრძელდა. ამ ხნის განმავლობაში უხერხულ მდგომარეობაში მხოლოდ მაშინ აღმოვჩნდი, როცა შუაღამისას სამასთვრამეტიდან პროკურორმა დამიკაკუნა და მთხოვა; რაკი ის ქაღალდი იპოვეთ, ღვთის გულისათვის, იქნებ ჩამაწერინოთ გ-ს რეცეპტი, ვინ იცის როდის დამჭირდებაო.

ცრემლიც რომ გათავდა

მეჩვიდმეტე დღე.
– პარუირ!
– ა ჯან?
– ცოცხალი ხარ?
– მე მგონი.
– ვიმღეროთ?
– აღარ მინდა.
– აღარც მე მინდა. მომწყინდა.
– გესიზმრა რამე?
– არა, შენ?
– აღარაფერი აღარ მესიზმრება. სიზმრებიც ჩამოთავდა.
– ახლა ნეტავ დღეა თუ ღამეა გარეთ?
– რა მნიშვნელობა აქვს.
– ყველაფერი გათავდა?
– ყველაფერი.
– იქნებ მჟავე კიტრის წვენი დარჩა.
– არავითარი.
– მაშ ვკვდებით, პარუირჯან?
– ეგრეა.
– სიკვდილის წინ ხომ არ გვემღერა?
– აზრი არა აქვს, ბევრი ვიმღერეთ.
– პარუირ!
– რა გაყვირებს?!
– არ მინდოდა ისე სიკვდილი, რომ არ გამეგო, რა მოხდა.
– მერამდენეჯერ უნდა აგიხსნა, ქვეყანა დაიქცა.

– იქნებ მარტო ჩვენი სახლი დაინგრა?

– მარტო ჩვენი სახლი რომ დანგრეულიყო, ხომ გითხარი, აუცილებლად გვიპოვიდნენ.

– ახლა რა ვქნათ?

– უკვე შენი ხმა ნერვებს მიშლის. იწექი, როგორც წევხარ. რაც მეტს იფართხალებ, სიკვდილი უფრო ძნელი იქნება.

– კარგი, გავჩუმდები. პარუირ!

– ა?

– ტირილი მინდა, ცრემლიც აღარა მაქვს.

– რა დროს ცრემლია. ფერცხალს ხორცი აღარ შერჩა.

– ჯერ არ მინდოდა სიკვდილი.

– აბა როდის გინდოდა?

– არ ვიცი.

– იწექი, იწექი მშვიდად. იქნებ დავიძინოთ.

– ახლა რომ დავიძინოთ, იცოდე, ველარ გამოვიღვიძებთ.

– კარგიც იქნება. შიგნეული მეწვის და პირი მიშრება. თუ ნერვებს ავყევით, იცოდე, გაგვიჭირდება სიკვდილი. ბოლო საათები წამების გვექნება.

– შენ გგონია, ძილში გავიპარებით?

– უნდა ვცადოთ.

– იქნებ ქილა გაგვეტეხა? როგორ გუშინ გითხარი.

– ვერა, ვერა... ჯერ ერთი, მაგის ძალაც აღარ მაქვს და მერე... ვენებს ვერ გადავიჭრი, არ შემიძლია.

– ყველაფერი ერთბაშად დამთავრდებოდა, პარუირჯან.

– არა, არა, ნუ დამღალე, მომწყინდა.

– შენ რომ უფრო ადრე მოკვდე?

– რა მნიშვნელობა აქვს.

– პარუირ, შენ რომ ჩემზე ადრე მოკვდე, შემეშინდება. მარტო არ დამტოვო, კაცი არა ხარ?!

– ნუ სტირი, შე სულელო. მოიტა ხელი, ა, ასე. ხელი

ჩავჭიდოთ ერთმანეთს და ერთად მოვკვდებით.

– მაშ, წავედით, პარუირჯან, იქნებ მართლა რამე არსებობს იმ ქვეყნად?

– იქნებ კი არა, ნამდვილად არსებობს.

დიდი, შემაზრზენი სიჩუმე ჩამოწვა. ზვავივით ჩამოსკდა ეს სიჩუმე. ბოლო სიჩუმე, ყველაზე საშიში და ვერაგი. როგორც იქნა, დაიმორჩილა უკუნეთმა გაწამებული ორი ადამიანი.

რა მოხდა? 1988 წლის შვიდ დეკემბერს პარუირ პოღოსიანმა თავის კარის მეზობელს ჰრაჩია მკრტიჩიანს სთხოვა, სარდაფში ჩაჰყოლოდა თუჯის ღუმელის ამოსატანად. სპიტაკში დეკემბერში სიცივეები დაიჭირა. ნელთბილი რადიატორის იმედზე ყოფნა არ ივარგებს, შარშანდელივით შეშის ღუმელს დავდგამ და იოლას გავალო, პარუირმა. მეზობლები ამ ლაპარაკით ჩავიდნენ სარდაფში, შუქი აანთეს, პარუირმა დამტვერილი ღუმელი ჩვრით გადაწმინდა და ის იყო კარებისკენ უნდა გაეთრიათ, რომ დაიგრგვინა.

სინათლე ცოტა ხანს ენთო და მალე ჩაქრა. სინათლე-შივე ეჯაჯგურნენ სარდაფის რკინის კარს, მაგრამ ძვრა ვერ უყვეს, კარი გარედან რკინაბეტონის „სიმკარებით“ იყო ჩახერგილი.

უკუნეთში დღე-ღამე ებრძოდნენ ცოცხლად დამარხული მეზობლები სიკვდილს. ლორის, სუჯუკის, კომპოტის, მჟავე კიტრის მარაგი მაქსიმალურად გამოიზოგეს. ბოლოს ყველაფერი გათავდა. შიმშილმა, სიცივემ და ადამიანური სიბინძურის შემხუთველმა სუნმა თავისი გაიტანა. მშივრებს, მჟავე კიტრის წვენის ბოლო წვეთები რომ ჩაიპირქვავეს, ტანზე ცხრაპირად შემოჭერილი ბრეზენტის ნაჭრები და გათბობის მილის ხელოვნური ბამბა (სარდაფში გამავალ ცენტრალურ მილს გააცალეს) აღარ ათბობდათ და ეს საუ-

ბარი მეჩვიდმეტე დღეს შედგა. ეს მხოლოდ ჩვენ ვიცით, თორემ განწირულებს დღეთა სათვალავი კარგა ხნის დაკარგული ჰქონდათ.

... ტრაგედიის მეთვრამეტე დღეს მიწისძვრისგან იავარქმნილ ქალაქში ბულდოზერი სარდაფის კარებს წააწყდა. მართალია, ნაბრძანები იყო, სახლის ფუნდამენტის მოსწორება, რადგანაც დამარხულთა ქალაქს სიცოცხლის ნიშანწყალი უკვე აღარ ეტყობოდა, მაგრამ მებულდოზერემ მაინც შეაჩერა მანქანა და კარის ღრიჭოში შეიხედა.

... იმავე საღამოს ტელევიზიამ მსოფლიოს მოჰფინა ცნობა იმის შესახებ, რომ ჩვიდმეტი დღის შემდეგ სტიქიის ურჩხულს ორი კაცის სიცოცხლეც გამოგლიჯეს.

ეს ალბათ დამცხრალი დრაკონის ბოლო მოწყალება იყო.

ძლიერია და ჯიუტი სიცოცხლე, ჩემო მეგობარო. ასფალტზე ამოყრილი ბალახი ხომ გინახავს? სიცოცხლის სუნთქვა ბეტონის საფლავს ამოარღვევს ხოლმე და მაღლა ამოდის.

საფლავს მოსხურებული ღვინო

საფლავის ქვას „სოსო შაორიძე“ აწერია. მეტი არაფერი. არც დაბადების თარიღი უზის, არც გარდაცვალების. საფლავთან თეთრკვართიანი, ინტელიგენტური გარეგნობის კაცი დახრილა. ხელთ ჭიქა უჭირავს. იქვე შამპანურის ახლადგახსნილი ბოთლი დევს. დავაკვირდი. ვიცანი. პროფესორი შიო ბადალაშვილია. საქვეყნოდ ცნობილი მეცნიერი – მელიორატორი. ტელევიზორში ხშირად მომისმენია. რიხიანი, ვაჟკაცური გამოსვლა იცის. პირადად არ ვიცნობ. ნამდვილად ის არის. საფლავს ღვინო რომ მოასხა და წამოიმართა, გავბედე გამოლაპარაკება.

– ბატონო შიო.

შემომხედა, მაგრამ რომ ვერ მიცნო, უხერხულად გაიღიმა.

– მაპატიეთ?

– ბოდიშს ვიხდი, მყუდროება დაგირღვიეთ. ხომ ბატონი შიო ბადალაშვილი ბრძანდებით.

– დიახ.

– სასიამოვნოა თქვენი გაცნობა. მე მურუსიძე გახლავართ ფიზკულტურის ინსტიტუტიდან. აქეთ სტუდენტები გვყავს ყურძნის კრეფაზე. ქვემოთ მუშაობენ ხაშმის ზვრებში. სასაფლაოზე გავლა მიყვარს. ჩვეულებად მექცა. რა ვიცი, რა მიზეზია. შეიძლება აქ რომ ვართ ბოლოს ყველა მოსასვლელი, იმიტომ.

– ჯვარი გწერია აქ მოსასვლელად... მერე კი, ალბათ, ასი წლის მერე...

– ეგ ვინ იცის. ჩვენი სიკვდილის აჩრდილი რომ იტყვიან, თან დაგვდევს. თქვენ, თუ არ ვცდები, აქაური ბრძანდებით.

– დიახ, აქვე მეზობელი სოფლიდან გახლავართ. გიორგიწმინდა, თუ გაგიგონიათ?

– გიორგიწმინდა?

– ხევს გაღმაა, პირველივე სოფელი.

– იქეთ, ორჯონიკიძესთან.

– სწორედ მაგ „ორჯონიკიძეს“ ერქვა გიორგიწმინდა. მე მგონი არ იყო ურიგო სახელი. ჩვენ მაინც გიორგიწმინდას ვეძახით. არ გამცეთ და წერილს რომ ვაგზავნი ჩემიანებთან, კონვერტს გიორგიწმინდას ვაწერ. დავსვით ახლა საკითხი, შეიძლება დავუბრუნოთ სოფელს ძველი სახელი.

ხელები გაიფერთხა, ჭიქა შამპანურს ჩამოამხო, პიჯაკი მოიხურა, საფლავის კარი გამოიკეტა.

– მაპატიეთ, მიცვალებული: – ვკითხე.

– ჩემი არაფერი არ არის. ჩვენი სასაფლაო ხევს გაღმაა, იქეთ. ეს ბიჭი ოცდათერთმეტი წლისა დაიღუპა. კარგა ოცდაათი წლის ამბავია. აქეთ მოდიხართ?

– დიახ, – გვერდით მოვყვები. სასაფლაოს გასასვლელისაკენ მოვაბიჯებთ.

– გიამბობთ, თუ გაინტერესებთ. მილიციის უფროსი გამომძიებელი გახლდათ. უნივერსიტეტი ჰქონდა დამთავრებული. მე რომ შევხვდი, ოცდაცხრა წლის იყო. ორი წლის შემდეგ დაიღუპა. ბრმად, ავტოკატასტროფაში მოჰყვა. გუშინდელივით მახსოვს მისი დასაფლავება. მთელი გარეკახეთი დასტიროდა. დიდებული ვაჟკაცი იყო. ჩიტის გული ჰქონდა. საწყალმა ცოლის შერთვაც ვერ მოასწრო.

გაგიკვირდებათ და მე ამ სოსო შაორიძისგან მთელი ჩემი ცხოვრებით ვარ დავალებული. ამიტომაც, როცა აქეთ მოვდივარ, ამ სასაფლაოს არასოდეს ჩავუვლი. შემოვალ,

ჭიქას წავუქცევ. რა ვიცი, ჩემს პატივისცემას გამოვხატავ. მას ახლა სხვა აღარაფერი სჭირდება. ყველაფერი დამთავრებულია ამ საცოდავისთვის.

აი, რა კაცი იყო. ჩვიდმეტისა გახლდით, სკოლა დავამთავრე და ჩვენი რაიონის ტექნიკუმში დავაპირე სწავლის გაგრძელება. ქალაქს წასვლის საშუალება არ მქონდა. მამა ადრე გარდამეცვალა და მარტოხელა დედას ჩემი უმცროსი და-ძმების (ოთხნი ვიყავით) ამარა ვერ დავაგდებდი. მივედი ტექნიკუმში, მაშინ მექრთამეობა აყვავების ზენიტში იყო. ჩავაბარე საბუთები და კაცი გამომყვა: შვილოსა, ტყუილად თავს ნუ გაიწვალებ, თუ ორიათასი მანეთი არა გაქვს, არაფერი გამოგივაო. არ გეგონოს, ჩემთვის ვცდილობდე, შენ თვითონ მიუტანე დირექტორს. ამასაც შენი სიობლის ხათრით გეუბნებით, თორემ, საერთოდ, აქ მოწყობას სამი ათასი უნდაო.

წამოველ. დაღონებულმა ეს ამბავი ჩემს მეზობელს შაქრო ხმიადაძეს შევჩივლე. აცხონოს ღმერთმა, შარშან გარდაიცვალა, ოთხმოცდაერთი წლისა. შაქროს მაშინ შანსიანი კაცის სახელი ჰქონდა. მგონი, ერთი-ორჯერ ხელმრუდობისთვის ნასამართლევიც იყო. ორმოცდაათს გახლდათ მიტანებული. „ეჰ, შვილო, მართალი უთქვამთო, ფრიადებზეც რომ იცოდე, უფულოდ ამ ჩვენს ტექნიკუმში არ გაგაჭაჭანებს ბზრიალაძეო. ბზრიალაძე დირექტორი იყო. „ორი ათასი მანეთი სად უნდა ვიშოვო. დიდი-დიდი, დედაჩემმა ღორ-ქათამი რომ დაჰყიდოს, ხუთას მანეთს მოუყაროსმეთქი თავი.

რას იზამ, ეგრეაო, შაქრომ, მერე ვენახის ბოლოს გამიყვანა და საიდუმლოდ გამანდო. მინდოდა ამ საქმითვინ თავი გამენებებინა, მაგრამ შენმა სიბრალულმა გული დამწვაო. წავიდეთ ამაღამ, კოლმეურნეობის საზამთრო დავკრიფოთ,

დილით ბაზარს წავიღოთ და ერთი კარგი ურემი ეყოფა შენს გაჭირვებასა, თუ არ ეყო, ერთი გზობაც დავურტყათ და ეგ იქნებაო. საზამთრო ახალი შემოსულია და კარგი მაზანდა ექნებაო.

სიგლახეზე გიყვებით, მაგრამ იმდენად დიდი იყო სწავლის წყურვილი, რომ, წარმოიდგინეთ, დავთანხმდი. შუაღამეგადასულზე გავიპარე სახლიდან, შაქრო ურმით სოფლის ბოლოს მელოდებოდა.

შევიპარეთ კოლმეურნეობის ბაღში. ლამის გავავსეთ ურემი და დაგვადგნენ კიდეც თავზე ეს სოსო შაორიძე და ორი მილიციელი. დაგვიჭირეს და წამოგვიყვანეს საგარეჯოში. ფაქტზე ვართ დაჭერილები, ჩვენს საქმეს წყალი არ გაუვა.

შაორიძემ შაქრო, რასაკვირველია, მაშინვე იცნო. მე კიდე რომ გამომკითხა და გაიგო ვინც ვიყავ, შაქროს უსაყვედურა: ეე ბალღი მაინც რაზე დაღუპე, რას ერჩოდი, შე ოხერტიალოო.

პირიქით, მე დავღუპე შაქრო ძია, ჩემი გულისთვის წამოვიდა, თორემ არ უნდოდა საზამთროს მოპარვა, მე ძალად წამოვიყვანე-მეთქი.

გაეცინა.

რაღა გავაგრძელო, პირველივე დაკითხვაზე ასე დამიწყო:

– ხომ არ იცოდი, რომ შაქროს საზამთროს მოსაპარავად მოჰყავდიო.

– როგორ არ ვიცოდი-მეთქი.

– შენაო, ხომ არ ჩასულხარ ბაღში, შენ ხომ წყლისპირას ხარებს უდექი, რომ არ წასულიყვნენო. შენ ხომ სათევზაოდ წამოგიყვანა შაქრომ და გზაში გითხრა, აქვე, ახლოს საზამთრო მითესია და რამდენიმე ცალს წამოვიღებო. ხომ ეგრე იყოვო.

სასტიკად ვიუარე. როგორ გეკადრებათ-მეთქი. საზამთროს მოსაპარავად წამოვედით. ტექნიკუმში ორი ათასი მანეთი მომთხოვეს და უნდა შეგვექუჩებინა-მეთქი.

ქაღალდი დამიდო წინ. რასაც მე გიკარნახებ, ის დაწერე, ბევრს ნუ ლაპარაკობო.

გავჯიუტდი. როგორც იყო, ყველაფერს ეგრე დავწერ-მეთქი.

შემეხვეწა. თუ ძმა ხარ, დამიჯერე. ჯერ პატარა ბიჭი ხარ. არ მინდა ცხოვრება გაგიფუჭდეს. იმათ მიეცა შენი ცოდო, ვინც სწავლაში ორი ათასი მანეთი მოგთხოვაო. შენ რა გინდა ციხეში, საციხე ისინი არიანო.

სულ ტირილით და მუჯლუგუნით მაწერინა ჩვენება. მერე გავიგე, თურმე შაქროსაც ეგრე დააწერინა; მოვატყუე ბალღი, ეგონა სათევზაოდ მიმყავდაო.

კარგი ბალღი მე ვიყავ, ჩვიდმეტი წლისას ჭკუა ხომ უნდა მქონოდა, მაგრამ ახლა აქედან ყველაფრის განსჯა ადვილია. იმ ასაკში და ჩემს მდგომარეობაში როგორ მოიქცეოდა სხვა? ალბათ ასიდან ოთხმოცი მაინც დაყაბულდებოდა შაქროს წინადადებას. ამის შემდეგ ყოველთვის წინააღმდეგი ვარ მოზარდის დაპატიმრებისა.

რაღა გავაგრძელო, მე მაშინვე გამათავისუფლეს, შაქროს კი ორი წელი მისცეს. თქვენ გგონიათ, ყველაფერი ამით დამთავრდა?

სოსოს დაუბარებია ტექნიკუმის დირექტორი და უთქვამს; რასაც მანდ მაიმუნობთ, ჩვენთვის ცნობილია, ახლა თუ არ გინდა, ამოგატრიალოთ თევზივით, შიო ბადალაშვილი უნდა მიიღოთ სასწავლებელშიო.

ჩემი სწავლის საქმე ხომ მომიგვარა, შაქროსთვისაც მიწერა გააკეთებინა და ექვს თვეში სახლში გამოაშვებინა.

ასეთი კაცი იყო ცხონებული.

მე რომ მაშინ ოთხ კედელშუა აღმოვჩენილიყავი, ვინ იცის, როგორ წარიმართებოდა ჩემი მომავალი.

ამიტომ გითხარით, ამ კაცისგან ცხოვრებით ვარ-მეთქი დავალებული.

მაშინ, ჩვიდმეტი წლის ბიჭს, ოცდაცხრა წლის კაცი დიდი მეგონა. ახლა რომ ვუფიქრდები, თითქმის ისიც ჩემსავით ბავშვი ყოფილა.

საიდან ჰქონდა ოცდაცხრა წლის ბიჭს ამოდენა გამოცდილება და წინდახედულება.

კაცი იყო, კაცი.

მეწყერი

ფოსტას ველარ ვენდობით და დროც აღარ ითმენს. შენ წაიღე ეს წერილი და პირადად გადაეცი ფოცხვერაძეს, ჩვენი გასაჭირი მოუყევი. ა, რაც გვჭირს, ეს უთხარი. ყველაფერი ვერ ჩავწერეთ. ზოგი რამის შეგვრცხვა, ზოგი ვერ გამოვთქვით, როგორც საჭირო იყო. ქაღალდზე ყველაფერს ვერ დაწერ თურმე. დიდი უსტარის საკითხავად არც მაგენს სცალიათ. ზეპირად რომ ეტყვი, სხვა ამბავია.

ტეხურის კიდევ ერთი ადიდება-თქო და წყალში აღმოჩნდება სოფელი-თქო. სასწრაფოდ თუ არ ვუშველეთ და კალაპოტი სხვაგან არ გავუჭერით, უბედურება მოხდება-თქო. მთელი ხეობა რომ შემოიარო, ასეთ რბილმიწიან ნაპირს ვერ წააწყდები. თუ სიპი კლდე არ არი, ტკილი მაინც ჩაუდვია ბუნებას ნიაღვრისგან მიწის დასაცავად. მდინარის წესი ხომ იცი, სადაც რბილ ადგილს იპოვის, იქეთ შეტრიალდება. ეს ოცი წელია, ამ ჩვენს მხარეს მოაწვა ტეხური. სადაც შენ დგახარ ახლა, კურდღელიების ჭიშკარი იყო. მე რომ მომიყვანეს, იმ ეზოში დაკლეს საქორწილო თხა-ძროხა. კაი დიდი ოდა ედგათ. კბოდემდე ბარე ორი ქცევა ყანა იყო გაშლილი. თხარა და თხარა ნაპირი ტეხურმა. ყოველ მოდიდებაზე გაიყოლია მიწა და მეწყერი კარს რომ მოადგა, გადასახლდა კურდღელიების ოჯახი აქედან. სამჯერ გადმოსწია მთავრობამ გზა ისე, რომ ნაპირის გამაგრებაზე არც უფიქრია. ახლა ხომ ხედავ, პიწკზეა საქმე, ტეხურის ერთი გაგიჟება და ამ გზას და ჩემს ეზო-სახლს ერთად ჩააქცევს ძირს.

მარტო მე რომ ვიყო ამ დღეში, ჯანდაბა ჩემს თავს. ავდგებოდი და გადავსახლდებოდი, მარა გახედე, ჩემი სახლის გაყოლებაზე თერთმეტი მოსახლეა, თერთმეტივე ჩემს დღეშია. ჯერ მე მიყოფს პირს წყალი და მერე მაგათ მიადგება. შეიძლება დიდი წვიმების დროს ოხვამეს ქვემოთ სულ მოცურდეს ეს მიწა. ნახე, დაბზარული ფერდობი აქედანაც კარგად ჩანს.

შენ იტყვი, აქამდე სად იყავითო. კურდღელიების ეზო რომ შემოჭამა ტეხურმა, რატომ არ ატეხეთ ბარაბნების ცემა და განგაშიო. როგორ არ ავტეხეთ, ვის არ შევჩივლეთ, სად არ ვაფრინეთ კოლექტიური განცხადებები. ცოდვას ვერ დავიდებ, ყურადღებაც მოგვაქციეს და გაღმა ჭალას ხომ ხედავ, ლეჭურჭულეს ეკუთვნის ეგ ჭალა. ამ ხუთი წლის წინ მოიყვანეს ბულდოზერი და ჭალის გაჭრა დაიწყეს. მდინარისთვის კალაპოტი უნდა შეეცვალათ. ასი ნაბიჯიც კი არაა გასაჭრელი. გადააგდებდნენ იქეთ წყალს და გადავრჩებოდით ამ დავიდარაბას. ჭალა, როგორც ხედავ, კვადაცითაა სავსე. საყანე რომ იყოს, დაგწყდებოდა კაცს გული, მაგრამ უსარგებლო ჭალაა, გამოუყენებელი. ყანაც რომ ყოფილიყო, მაინც უნდა გაეჭრათ, არ ვღირვართ ჩვენ, მთელი სოფელი, იმ ორ გოდორ სიმინდად, რაც იქ მოვიდოდა?

სამ დღეს იმუშავა ბულდოზერმა. მეოთხე დღეს აიკეცა ყბა და გაეცალა აქაურობას. რაშია საქმე? გავარდა ჩვენი თავმჯდომარე რაიკომში და სისხლგამშრალი დაბრუნდა საღამოს. ლეჭურჭულეს აუტეხია ერთი ამბავიო. რას ჰქვია ჩვენს ჭალაზე უნდა გაიაროს ტეხურმაო. ხომ დაგვიუშნოვა ჭალაო. სასწრაფოდ შეწყვიტეთ კალაპოტის გაჭრა, თორემ წყალში გადაგიგდებთ ბულდოზერსო. ეს ყველაფერი ხმამაღლა გამოგვიცხადა თავმჯდომარემ და ხმადაბლა, შინ-

აურულად, ცაცხვის ძირში შეკრებილებს, კრება რომ დამთავრდა, გაგვიმხილა; კონდრა ფარცვანიას საქმეა, ბატონო. კონდრას გაუჩერებია. დაურეკავს თბილისიდან რაიკომში. არ გაბედოთ ჭალის გაჭრაო. იდინოს ტეხურმა, რავარც აქამდე დიოდა. გაღმელებს (გაღმელები ჩვენ ვართ) გადაეცით; თუ შეაწუხათ წყალმა, კეთილ ინებონ და ასახლდნენ ზევით, ფერდობზეო. მაშინ კრებაზე სალაპარაკო სიტყვა სხვა იყო და შინაურობაში სათქმელი სხვა.

უყურებ შენ, ბიცოლა, რაში ყოფილა საქმე? კონდრა ფარცვანიას ხუშტურს უნდა გადავყვეთ მთელი სოფელი. ასე არ გამოდის? ვინ არის ახლა ეს კონდრა ფარცვანია? ხრუშჩოვმა რომ სამტრედიის სადგურზე ხალხის შესახედავად ჭყინტი სიმინდი შეჭამა, იმის შემდეგ ლეჭურჭულეში არ ჩამოსულა. ოცდაათი წელი მალე შესრულდება. მაშინ რაიკომის ინსტრუქტორი იყო და მას ჰქონდა თურმე დავალებული; მეფე ვაგონის კარს რომ მოადგებოდა, მოხარშული სიმინდით სავსე გობი მიეწოდებინა. კარგად შეუსრულებია ეს დავალება და მაშინვე გადაუყვანიათ თბილისში. ახლაც რაღაცა თანამდებობაზეა. მაგათი კარუსელი ხომ გაუჩერებლად ბრუნავს. ერთხელ თუ მოჯექი თანამდებობაზე, მერე, თუ რაღაც ფარცაგი არ შეგემთხვა, სულ თანამდებობის კაცი ხარ. დიდი-დიდი ერთი სკამიდან მეორეზე გადაგსვან.

კონდრამ ცხონებული დედ-მამაც ამოთხარა მიწიდან და ქალაქში გადაასაფლავა. სახლი ნიკანდრო ნაროუშვილს მიჰყიდა. აღარაფერი, გვარის გარდა, ლეჭურჭულესთან არ აკავშირებს, მაგრამ ხომ ხედავ, რა დროს გაითამაშა თავის სოფელზე მზრუნველი კაცის როლი. შემიძლია და ვკრძალავო, ძალა მაქვს და გერევითო. ბავშვი აღარაა ახლა ფარცვანია, ვერ უნდა ხვდებოდეს, რა მოჰყვება მის აზრდაუყოლებელ გადაწყვეტილებას?

ლეჭურჭულეში სულ შვიდი კომლი ცხოვრობს. თითქმის დაცლილია სოფელი. მახსოვს, აქედან რომ გავხედავდით, ბჟერის მთამდე იყო გაჭიმული ლეჭურჭულე. ახლა იმ შვიდიოდე კინკილა ბუხრიდანღა ამოდის კვამლი. სასწაულს გეტყვი; კაკლის ხეს, თურმე, სოფლის გარეშე არ შენაძლება სიცოცხლე. გადაშენდა სოფელი და კაკალიც მიჰყვა. ათ წელიწადში ყველა კაკლის ხე გახმა. გახედე, იქეთ ცაცხვებს შორის შავ ჩონჩხებად რომ დგანან, სულ გამხმარი კაკლის ხეებია. კაციც აღარავინაა, რომ მოჭრას და მოიხმაროს.

ორმოცდაათი წელიწადია ამ სოფელში ვცხოვრობ, ბიცოლა, მე. შენ დაბადებულიც არ იყავი, რომ მომიყვანეს. სენაკში პედსასწავლებელი დავამთავრე და აქეთ გამოვთხოვდი. ახლა, სექტემბერში გახდება ორმოცდაათი, რაც სკოლაში მასწავლებლად ვმუშაობ. რატომ გეუბნები ამას? რატომ და ამ ორმოცდაათი წლის განმავლობაში, რაც მე მახსოვს და ჩემამდეც, ალბათ, სულ გვქონდა პატარ-პატარა ქიშპი ლეჭურჭუმელებთან. ხომ თითქმის ერთი სოფელია, ხომ პატარა ტეხური გვყოფს, მეტი არაფერი, მარა კაცმა არ იცის, როდის დაიწყო და ყოველთვის იყო „მელენარებსა“ და „მოლენარებს“ შორის დავა და გაწევობია. სოფლის ბუნებაა, ეტყობა, ასეთი. სიძულვილით კი არ გვძულდა ერთმანეთი, ღმერთმა დაგვიფაროს, ქორწილი და ჭირის სუფრა მუდამ ერთი გვქონდა, მაგრამ რაღაცნაირი შეჯიბრი და ქიშპი იყო კი, არ უნდა ლაპარაკი. ლეჭურჭუმელ მაყარს მეტი უნდა დაელია. ლეჭურჭუმელს უკეთესად უნდა სცმოდა. ხომ ხედავ, რანაირია ეს ცხოვრება. აგერ ა, ერთ ფეხის ნაბიჯზე ვერ მოვრიგებულვართ გაღმა-გამოღმელები და შენ ამბობ, სხვადასხვა რჯულ-ტომი ჩავახუტოთ ერთმანეთსო? არ დაიჯერო, ბიცოლა, მაგ ამბავი. კი, რასაკვირველია, ხალხე-

ბი მშვიდად უნდა იყვნენ და ტკბილ-მეზობლურად ცხოვრობდნენ, მარა გინდათ თუ არა გაითქვიფეთ ერთმანეთში, შეერიეთ ერთმანეთს და ერთ ენაზე ილაპარაკეთო, რომ ქადაგებს ზოგიერთი, დიდი სისულელე მგონია მე ეგ. ამით უფრო არ შევაძულოთ ხალხებს და ქვეყნებს ერთმანეთი, მამაჩემსა აქვს ცხონება.

ერთი, იმ კონდრას ჭკუა რომ ასწავლოს, არაა არავინ ამ ქვეყანაზე? ხომ ვიცი, როგორც იქნებოდა საქმე. ვიღაცამ იმ შვიდი მოსახლიდან დარეკა თბილისში, არიქა ჭალაში ბულდოზერი მუშაობს, ტეხურის გადმოგდებას აპირებენო. შეიკრიბნენ დედაქალაქში გაქცეული ლეჭურჭუმელები. ასეთ დროს ყველა ნამეტანი მგრძნობიარე ხდება. მაშინ ახსენდებათ „ვალი“ მშობლიური სოფლის წინაშე. თუ ასე გტკივა გული, შე კაი დედმამიშვილო, სად იყავი აქამდე, რატომ წაიშალა სასაფლაო სოფელში და ამწვანდა ბილიკი?

ამას წინათ ზოსის სიძე მეუბნებოდა, რეჟისორადაა ფოთის თეატრში: ბევრი ქართველი პატრიოტს რომ ეძახის თავის თავს, წელიწადი ისე გავა, თეატრში არ შემოიხედავსო, მაგრამ საკმარისია ვინმემ ხმა გააგდოს, თეატრის დახურვას აპირებენო, თოფ-აბჯარს აისხამს და დემონსტრაციას გამართავს ქუჩაში თეატრის გადასარჩენადო.

ისე ჭირთ, მე მგონი, ლეჭურჭუმელებსაც. უთხარი, შვილო, ფოცხვერაძეს; დახანება არაფრით არ შეიძლება-თქო. მეწყერზე ზის სოფელი-თქო.

ღამე სიზმრებს ვხედავ, ვითომ კუპრივით შავი წყლის ფაფარზე ვზივარ და ქვევით, დედამოკასკენ მივექანები. მე ვიცი, ვარვარა ჯგერენაია არაფრად ვუღირვარ ამ ქვეყანას, მარა უბედურება რომ მოხდება, მერე გამოიფხიკავენ ყურებს, საგანგებო კომისია შეიქმნება და რაიხელმძღვანელობაში ერთი ორი კაცი შეეწირება ამ საქმეს.

ასე არ ვიცით? წაყრუების აკადემიკოსები ვართ. წაყრუებაში ვერავინ გვაჯობებს დედამიწაზე. ფათერაკი რომ თავისას იზამს, მერე ვიცით ყურის გაპარტყუნება.

თქვენთან ერთად

– დედაშენი მთელი ღამე ბორგავდა. ამ დილით ჩაეძინა.

– ვიცი. გული ისევ?

– რა ვიცი. გეტყვის? ფერი არ ჰქონდა. შუაღამისას დავხედე, ჩქარა სუნთქავდა. წამლები მივეცი. ნუ დაბრახუნობ, ბავშვი არ გააღვიძოვო, შენზე წუხდა.

– უნდა დავაწვინოთ გამოკვლევაზე.

– თუ დამიჯერა, კი.

ბიჭმა შავი ყელსახვევი კისერზე შემოიგდო.

– მიდიხარ? – ჰკითხა მამამ.

– რა ვქნა, აბა, მამა. რატომ მეკითხები ერთსა და იგივეს!

– ნუ ყვირი. ჩემს ოთახში შევიდეთ და მოვილაპარაკოთ.

მამა მაგიდას მიუჯდა. შვილი იდაყვებით სკამის საზურგეს ჩამოეყრდნო.

– გამაგებინე ერთი კაცურად, რისთვის მიდიხარ, რა საქმეზე. ხომ შეიძლება, ვიცოდე მე, მამაშენმა?

– იცი შენ, ძალიან კარგად.

– მიტინგი გექნებათ, დემონსტრაცია. გაივლით ქუჩაში, ილაპარაკებთ, რაც ენაზე მოგადგებათ. დროშებს და ტრანსპარანტებს გამოიტანთ.

– დაახლოებით.

– მერე? რა მოჰყვება ყოველივე ამას. შედეგზე ფიქრობთ? აი, დღეს, მაგალითად, რა საქმეს გააკეთებთ?

– იცი, მამა, ჩემზე უკეთ იცი შენ ეს ყველაფერი და ნუ მამეორებინებ მეათასეჯერ.

– საერთოდ ვიცი, მაგრამ დღეს რას იტყვით ისეთს, რაც გუშინწინდელ მიტინგზე არ გითქვამთ?

– დღეს ერთი დიდი საქმე გაკეთდება. თავის სახელს დავარქმევთ უბედურ დღეს, რომელიც საზეიმოდ გაგვიხადეს. მოწყენილები გავივლით ქუჩაში და დავიშლებით. ქვეყანას არ დავაქცევთ, ნუ გეშინია.

– ამას შენ ამბობ, მაგრამ იქ რომ ორმოცდაათი ათასი კაცი შეიკრიბება, ყველა ასე ფიქრობს? ხომ შეიძლება, ვინმემ ქვა ისროლოს და იმდღევანდელივით ყველას ძმარი გადინონ ცხვირიდან.

– რას იზამ. ჩვენთან ხომ მიტინგის და დემონსტრაციის კულტურა ახალთახალი ხილია. ეტყობა, ისიც უნდა ვისწავლოთ, რომ პროვოკაციაზე არ წამოვეგოთ. რაც შეეხება ერთნაირად ფიქრს, დამიჯერე, მამა, სისულელეა, რასაც წუხელის ტელევიზორში ამბობდნენ.

– რა არი სისულელე?

– რა და ერთი მუჭა ექსტრემისტ-ლიდერების ბრალია ყოველივე, თორემ ყველაფერი მშვიდად იქნებოდაო. წამქეზებლები რომ არ ჰყავდეთ, ახალგაზრდები თითსაც არ გაანძრევდნენო.

– რატომ არის სისულელე?

– შენ ხომ იყავი გუშინწინ უნივერსიტეტში ჩვენს მიტინგზე? ქაოტურობის და წაქეზებულობის რაიმე ეტყობოდა ჩვენს საქციელს? ხომ ნახე, მიკროფონთან უზარმაზარი რიგი. ხომ ნახე, პრეზიდიუმს რომ ხელმოწერებს აბარებდნენ. მთელი დარბაზი, როგორც ერთი კაცი, ისე მოქმედებდა. ყველას თავისი ფუნქცია აქვს.

– ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ, საბოლოოდ, რა შედეგი უნდა მოჰყვეს ამ თქვენს მოძრაობას?

– ბიუროკრატიული ცხოვრება უნდა დავანგრიოთ. უნდა მოვსპოთ ადამიანის უუფლებობა. გულში ჩაიხედე, განა შენც უმწეო არა ხარ? განა მთელი თქვენი სიცოცხლე გაბატონებული მაფიების წინააღმდეგ ამაო ბრძოლაში არ იხარჯება? განა გულს არ გიხეთქავს იმის ფიქრი, რომ ხვალ შეიძლება, საქართველოს ისტორია დამთავრდეს?

– მერე მიტინგი უშველის იმას, რაც შენ ჩამოთვალე?

– არა, მამა. მიტინგი საზოგადოებრივ აზრს შექმნის. საზოგადოებრივი აზრი კი დიდი ძალაა. უნდა შევაჩვიოთ „დიდ-დიდნი“, რომ მათი სავარძლების შერყევაც შეიძლება.

– სანამ შეაჩვევდეთ მაგ აზრებს, ხომ შეიძლება, ცეცხლით და მახვილით დაიცვან თავიანთი შეურყევლობა?

– როგორ არ შეიძლება, მაგრამ სწორედ აქ გვმართებს ჭკუა. იმ ზღვარს არ უნდა გადავცდეთ, რის შემდეგაც მათრახის ენა ალაპარაკდება. სიტყვით... სიტყვაზე უნდა დავიჭიროთ. თვითონვე დაუშვეს კამათის თავისუფლება. ჩვენც მშვიდად, თავისუფლად ვეკამათებით.

– აბა, კომუნისტებს ხეზე ჩამოვკიდებთო, ესაა მშვიდი კამათი?

– ვინც ეგ მოისმინა და წამდაუწუმ ხელზე იხვევს, უნდა არჩევდეს ერთმანეთისგან ჭკვიანი მოპაექრის და ავანტიურისტის ნათქვამს. კომუნისტი ხარ შენ და როგორ ფიქრობ, ჩვენს მამებს ხეზე დავკიდებთ? საერთოდ არა გვაქვს ლაპარაკი ვინმეს დასჯა-გადმოგდებაზე. ამაოდ ეშინიათ. ეს ახალი ქვეყანა თქვენთან ერთად, თქვენი დახმარებით უნდა ვაშენოთ.

– დედაშენის სიზმარი? გუშინ მთელი დღე ამბობდა ცუდი წინათგრძნობა მაქვსო.

– არ ახდება. დამერწმუნე, მამა, ისეთს არაფერს ჩავი-

დენთ, რომ გვესროლონ და, უდანაშაულო ხალხს თუ სროლას აგვიტეხავენ, მაგათ სინდისზე იყოს. ნურავის ჰგონია, რაკი იარაღი მანდეს, ყველაფრის უფლება მაქვსო. ყოველი საბედისწერო შეცდომისთვის ისტორიას სასტიკი განაჩენი აქვს გამზადებული. წავედი.

– მოიცა. ისევ ჩქარობ და ისევ გეშლება. „წავედი“ კი არა „წავიდეთო“ უნდა გეთქვა. შენ წახვალ და მე აქ დავრჩები?

– დედა? ავადაა, მარტოა. შენ თვითონვე თქვი, ახალს არაფერს იტყვითო.

მამა წამოდგა. შვილს ქოჩორზე მოუქიჩავა და თავი მხარზე მიადებინა.

– რამე რომ მოხდეს, ღმერთმა გვაშოროს. ერთ ტყვიას მაინც დავიფარავ, ბიჭო.

ბიჭს მაღალფარდოვნება არ უყვარდა. მამამაც იგრძნო, ცოტა არ იყოს, თეატრალური ფრაზა რომ წამოცდა და საქმეზე გადავიდა.

– ჩაი აადუღე. აკვარიუმს წყალი გამოუცვალე. მე დედაშენს გავაღვიძებ და დავუბარებ, ვაკის პარკში გავივლითმეთქი.

* * *

ნაშუადღევს სუსხიანმა ქარმა წამოუბერა და მამამ კაპიშონი ყურებზე ჩამოიწია.

მიტინგი ხურდებოდა, სიჩქარეს იღებდა. ორატორები უფრო და უფრო მეტ უსამართლობას ამზეურებდნენ და დაუყოვნებლივ მოითხოვდნენ პასუხს.

– რუსიკო! შენ გაგიჟდი, ქალო? რითი მოხვედი?!

– ფეხით.

– რა გინდოდა. წუხელის გული რომ ხელით გეჭირა, დაგავიწყდა?

გაფითრებულმა ქალმა არა უპასუხა რა. მოვიდა და ქმარს ნიკაპით ჩამოეყრდნო.

– მაღლაა?

– აბა სად იქნება.

– ხედავ?

– ვერ ვხედავ, მაგრამ ვიცი, რომ იქ არის.

– გამოვიდა?

– ჯერ არა...

შორს, ლისის ტბის თავზე, ონკოლოგიური საავადმყოფოს თეთრი შენობა მოჩანდა.

რჩევა ახალგაზრდა მწერალს

წავიკითხე შენი ნოველები. თუ ძმა ხარ, ამიხსენი, საიდან მოიტანე ამდენი ტყუილი. ნიჭიერი კაცი ხარ, წერა იცი, მაგრამ რა უნდა წერო, წარმოდგენა არა გაქვს. ვინ გირჩია, ვინ ჩემი ცოდვით სავსემ, რომ მწერლობა გაურკვეველი ამბების გაუგებრად გადმოცემაა. სად ცხოვრობენ შენი პერსონაჟები, ან შენ სად ცხოვრობ, რომელ დროს, რა ხდება შენს ირგვლივ ქვეყანაში ვერ უნდა გაიგოს კაცმა შენი ნაწერიდან? კაცია – კაცის სახე არა აქვს, ქალია – ქალის არაფერი სცხია. რა მოსაწყენად ათენ-აღამებენ, რა დუნედ მოძრაობენ, რას ფილოსოფოსობენ, თავი ამტკივდა მათი მოსმენით. მითხარი, ლოთიანად, რომელ ნამდვილ მწერალთან ნახე ამგვარი, უსახური ხალხი? მწერლობა, შე კაი კაცო, საინტერესო ამბის მოყოლაა – მეტი არაფერი. გიზის წინ მკითხველი და ესაუბრები. უყვები ამბავს; ასე მოხდა, ისე მოხდაო, იმან ეს თქვა და ამან ის უპასუხაო. როგორც კი ამბის სამანს გაცდები, მაშინვე მთქნარება აუტყდება მკითხველს. დავიჯერო, ახლა შენ შენს მეგობრებს ისე ესაუბრები, როგორც შენი გმირები ლაპარაკობენ? და თუ ისე ესაუბრები, გისმენენ საერთოდ? არა. რასაკვირველია. აბა, კალამს რომ აიღებ ხელში, მაშინ რა ღმერთი გიწყრება. იცოდე, მწერალმა გონების ცხრილში უნდა გაატაროს, რაც მის ირგვლივ ხდება, რასაც ყურს მოჰკრავს და განსაკუთრებით საინტერესო, მოსაყოლად საინტერესო ამბავი უნდა გადაიტანოს ქაღალდზე. თანაც ისე გადაიტანოს, თითქოს ამ ამბავს ნაცნობს უამბობდეს, უბრალოდ უამბობ-

დეს, მეტი არაფერი. არც ძალიან მოინდომო ამბის გალამაზება, არც ზედმეტ განსჯა-ფილოსოფიურობაში გადავარდე. ხომ მოგისმენია, საუბრის დროს კაცი კაცს რომ მიმართავს; თუ ძმა ხარ, ნუ ფილოსოფოსობ, საქმეზე ილაპარაკეო. საქმეზე ლაპარაკია მწერლობა, სხვა არაფერი, თუ დამიჯერებ, ასეა და, თუ არ დამიჯერებ, შენი საქმისა შენ იცი.

იქნებ საინტერესო არაფერი ხდება შენს ირგვლივ და იძულებული ხარ ფანტაზიის იმედზე დარჩე, ან წაკითხულიდან გამოიხმო შენს მიერ განუცდელი, შენთვის მხოლოდ წიგნიდან ნაცნობი აჩრდილები და შენი სიტყვებით ალაპარაკო? არ დაიჯერო. ყოველდღე იმდენ ახალ, საინტერესო ამბავს გვთავაზობს ცხოვრება, რომ თუ თვალს მიმოატარებ და ყურს გაიფაციცებ, საწერ-მოსაყოლი, რომ იტყვიან, თავზე საყრელად გექნება.

გუშინდელი ამბავი ავიღოთ, თუ გინდა. მოკლედ გიამბობ და შენვე განსაჯე, სანოველოდ გამოდგება თუ არა. თუმცა, რა ჩემი მოყოლა გინდა, შენც იქ არ იყავი? ორჯერ მოგკარი თვალი დემონსტრაციაზე, უნივერსიტეტთანაც დაგინახე, მერე დამეკარგე სადღაც. თუმცა, შენ კი არა, შვილი მომყვებოდა გვერდით და ისიც გამებნა იმ ჯგლეთა-რიალში.

დილით, თერთმეტი არც იქნებოდა, ქაშუეთის ეკლესიასთან რომ შევიკრიბეთ. პარაკლისი უნდა გადაგვეხადა იმ უდანაშაულო ხალხისთვის, კოჯრის მხრიდან ჩამოსულ ჯარს რომ თავი შეაკლა. იმ გმირის სახელიც უნდა გვეხსენებინა, ზოგიერთი ისტორიკოსი სამოცდარვა წლის მანძილზე ბანდიტს რომ ეძახდა და სინამდვილეში მისი „ბანდიტობა“ ერის თავისუფლებისთვის ბრძოლას არ გაშორებია.

ქაშუეთის შესასვლელი მილიციელებს ჩაეხერგათ. გამოგვიცხადეს; თქვენი ამხანაგები ტაძარში არიან და პარაკლისს ესწრებიან, ყველანი ხომ ვერ დაეტევითო. ბატონი

ხარ, მოვიცდით, აბა რას ვიზამთ. ამასობაში რუსთაველზე ხალხი მოგროვდა. ხალხი მოგროვდაო? ჩაამწკრივეს მთავრობის სასახლის წინ თავჩაჩქნიანი, ფარჩაბღუჯული ჯარისკაცები. ამგვარი ფარ-მუზარადი მხოლოდ ჯვაროსნულ ლაშქრობებზე გადაღებულ ფილმებში მინახავს. სანახავად ცოტა უხერხული კია, მაგრამ პროტესტი არავის გამოუთქვამს. დაცვას თავისი წესები აქვს და იყოს, ბატონო. მართლაც, ხომ შეიძლება, ამ მილეთ ხალხში ხვადაგიც ერიოს და ქვა ისროლოს.

მგონი პარაკლისი დამთავრდა და ქაშუეთიდან მოპარაკლისეებმა იწყეს დენა. მილიციის მაიორმა მეგაფონს ჩასძახა სასწრაფოდ გაათავისუფლეთ ტერიტორიაო! რა ტერიტორია უნდა გაგვეთავისუფლებინა, გითხრა სიმართლე, არ ვიცოდით და ცოტა დავიბენით. მერე ვიღაცამ ჩვენი, დემოკრატიული რესპუბლიკის სამფეროვანი დროშა ააფრიალა და რუსთაველის ძეგლისკენ გაუძღვა ხალხს.

მივდიოდით ტროტუარზე. არც მოძრაობას ვუშლიდით ხელს და არც, როგორც წესრიგის დამცველებმა ტელევიზორში იციან თქმა, გაზონებს ვთელავდით. ოპერის თეატრთან პროსპექტის მარცხენა მხარეს გადმოვედით, ფოსტა-ტელეგრაფის შენობასთან ახლოს რომ არ გაგვევლო და ვინმეს რამე არ მოჩვენებოდა.

გავიშალეთ კონსტიტუციის მოედანზე (ამ მოედანს, ალბათ, ადრე თუ გვიან, დავით აღმაშენებლის მოედანს დაარქმევენ). იქ მიტინგი უნდა გამართულიყო, მაგრამ ნება არ მოგვცეს. ჯავშნოსანი მანქანები წამოგვეწივნენ, ალყა შემოგვარტყეს და წინადადება მოგვცეს, ხუთ წუთში დაგვეცალა მოედანი, თორემ გადამჭრელ ზომებს მივიღებთო.

1956 წლის ცხრა მარტი ვისაც ახსოვს, მან იცის, რას ჰქვია „გადამჭრელი ზომები“, ამიტომაც წესრიგის დამ-

ცველებთან ურთიერთობის გარკვევა არ დაგვიწყია, შევბრუნდით და უნივერსიტეტისკენ გავეშურეთ.

უნივერსიტეტის წინ, ღვინის ქარხნის ქვევით, გზა გადაგვიკეტეს. რატომღაც წინა რიგებში აღმოვჩნდით და სხვებთან ერთად მეც მომიწია ოფიცრებთან ლაპარაკმა.

გვეკითხებიან: „სად მიდიხართ“.

„უნივერსიტეტში“, ვპასუხობთ.

„რა საქმეზე?“

„მიტინგი უნდა ჩავატაროთ“.

„არ შეიძლება!“

„რა არ შეიძლება?“

„მიტინგის გამართვა“.

„კეთილი, მიტინგს აღარ გავმართავთ, უბრალოდ გავივლით იპოდრომამდე“.

„არც გავლა შეიძლება“.

„რატომ?“

„სერგო ორჯონიკიძის ძეგლთან ვერ მიგიშვებთ“.

„უკან დავბრუნდეთ?“

„სად უკან?“

„რუსთაველზე“.

„არავითარ შემთხვევაში“.

„აბა, ვიდგეთ ასე?“

„რატომ უნდა იდგეთ, დაიშალეთ და შინ მიბრძანდით!“

„ბოდიში, მაგრამ ხომ ხედავთ, უნივერსიტეტის წინ მიტინგი მიმდინარეობს“.

„ვხედავთ“.

„გვინდა მოვისმინოთ“.

„არ შეიძლება!“

„ნიკოლაძის ქუჩით მაინც გაგვატარეთ“.

„არ შეიძლება!“

„პეტრიაშვილის ქუჩით გავივლით“.

„არ შეიძლება! გესმით თქვენ რას ნიშნავს, არ შეიძლება?!“

ლაპარაკის გაგრძელება უაზრო იყო. სამ საათზე მეტ ხანს ვიდექით ერთმანეთის პირისპირ. შეჩერდა მოძრაობა, დაიძაბა სიტუაცია. მანქანები გაბმულ სიგნალს იძლეოდნენ. რამდენიმე კაცმა ჩვენს შორის საბჭოთა ხელისუფლების სალანძღავი ლოზუნგიც წამოისროლა.

არ ვიცი, შენ მოყევი თუ არა იმ სათაგურში. არც წინ გიშვებენ, არც უკან. იქეთ-აქეთ მოსახვევებში, საბრძოლო მზადყოფნაში, ტანკები და ჯავშნოსანი მანქანები დგანან. ვერ ამიხსნია, ვის აძლევს ხელს კონფლიქტური სიტუაციის ხელოვნური შექმნა. გავეშვით ჩვენს გზაზე. იყო საჭირო ქალაქის ერთ-ერთ ყველაზე გადატვირთულ გზაჯვარედინზე მოძრაობის გადაკეტვა და ისედაც მიზეზთა გამო მოღუშული ხალხის კიდევ უფრო განაწყენება?

ბოლოს შეგუბებულმა წყალმა თავისი გზა ნახა. ისე, როგორც ქვიშის მუჭით დაჭერა არ შეიძლება, ვერც ხალხს გააჩერებ ერთ ადგილზე. საღამოს რვა საათზე ლენინის ქუჩაზე ალყაში სამოქალაქო ფორმიანი ორგანოს ასიოდე თანამშრომელი იდგა. ჩვენ კი, გაღმა, უნივერსიტეტის ეზოში ვუსმენდით ახალგაზრდა ორატორებს.

როგორც ხდება, არც მიკროფონი ჩაურთეს და არც ლამპიონები აანთეს. სიბნელეში გაჰყვიროდნენ გამომსვლელნი და მაინც გაგვაგებინეს ყველას, რომ დილის რვა საათზე ეროვნული მოძრაობის ლიდერები – ოცდაშვიდი კაცი დააპატიმრეს.

გამოცხადდა უვადო შიმშილობა და მდგომარე მანიფესტაცია, სანამ დაკავებულებს არ გაათავისუფლებდნენ.

ეს ყველაფერი დასაწერად იოლია, მაგრამ ცივმა ოფლმა

დამასხა, როცა წარმოვიდგინე შიმშილობით გათანგული ახალგაზრდები 1988 წლის 22-29 ნოემბერს მთავრობის სასახლის კიბეებზე.

„ღმერთმა ნუ ჰქნას, ის ჯოჯოხეთი განმეორდეს“, ლოცვასავით ვიმეორებდი გულში.

ღამის თერთმეტ საათამდე ერთმანეთს ცვლიდნენ ორატორები. ლაპარაკობდნენ ძალადობაზე, ოკუპაციაზე, ჩინოვნიკთა თვითნებობაზე, პიროვნების უფლებათა შელახვაზე, არადემოკრატიულ არჩევნებზე.

თერთმეტს წუთები აკლდა, როცა ვარაზისხევში კიბეებთან, ტაში აქარიშხლდა და მთელს მიტინგს მოედო.

მალე ყელისგამგლეჯი ხმა მიასკდა ყურის ბარაბანს:

„ძვირფასო მეგობრებო, ქართველებო. გილოცავთ გამარჯვებას! როგორც იქნა კეთილმა ნებამ გაიმარჯვა. მოვიდა ცნობა, რომ დაკავებულები გაათავისუფლეს. ამით ვამთავრებთ მიტინგს. დავიშალოთ, მეგობრებო! დიდი მადლობა ერთსულოვნებისთვის! როცა ასე ერთ მუშტად შევიკვრებით, ვერ დაგვჩაგვრავენ, ვერ მოგვერევიან!

გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს!“

სიხარულისგან გული ისე შემიხტა, კინაღამ წავიქეცი. შემოვტრიალდი და უკან მდგომ ხანშიშესულ კაცს, ისე რომ კისერი კინაღამ მოვტეხე, გადავეხვიე. „მომილოცავს! მომილოცავს!“ ისმოდა ირგვლივ. ცრემლი ღაპაღუპით მომდიოდა. გადავრჩით.

მაპატიე, რომ ასე ცუდად გიამბე, მაგრამ ჩქარა და გადახტომ-გადმოხტომით იმიტომ ვყვებოდი, რომ შენც გამოსცადე გუშინდელი დღე.

თავს ნუ მოიმოწაფებ. მოწაფე-მწერლები და მწერლობანასწავლი ესტეტები ჭირივით მძულს.

დაფიქრდი, რით არ არის ეს ყოველივე დასაწერი და

შთამომავლობისთვის შესანახავი; როგორც ჩვენი დღეების ეპოპეა, როგორც ეროვნული მოძრაობის ჰეროიკის ერთი დღიური.

ჰოდა, შე კაი კაცო, ყურით მოთრეულ სიუჟეტებს რომ ჩასციებიხარ, დაწერე ამ ამბავზე.

გამოცხადება

აბას ხამედოვი სტუმარს ეზოში შემოუძღვა, კანშემოცლილ ბლის ხესთან გაჩერდა, დოინჯი გაიკეთა და აივანს შესძახა:

– ჰაიულარი აჯამ ბესთაბუ ბილბისუღი!

არავინ გაეპასუხა.

– ჰაიულარი აჯამ ბესთაბუ ბილბისუღი! – უფრო ხმამაღლა და, მგონი, მრისხანედაც გაიმეორა ხამედოვმა და უცნობს მიუბრუნდა.

– თქვენთან რომელია?

– ათს რვა წუთი აკლია, – სტუმარმა ჯერ პასუხი გასცა და მერე დახედა საათს, – უფრო ზუსტად ექვსი წუთი.

– ჰოდა, შეიძლება ათ საათამდე ადამიანი ლოგინში იწვეს, თუ ავად არ არის? ზარმა ყურის ბარაბანი რომ გაუხეთქოს, ჩემს მეტი ჭიშკართან არავინ მივა.

ხამედოვი კენჭს დაწვდა და აივნის ფანჯარას ესროლა.

ყბიდან კეფისკენ ხილაბანდაკრულმა ქალმა გამოიხედა.

– ჰაი?

– ჰაიულარი აჯამ ბესთაბუ ბილბისუღი! – აბასი კატეგორიულად მოითხოვდა რაღაცას. სტუმარი მიხვდა (თუმცა, რა დიდი მიხვედრა უნდოდა) რომ საქმე ოჯახში უცხო კაცის გამოჩენას შეეხებოდა.

ფლანელის გრძელხალათიანმა, წელზე შალშემოხვეულმა დედაკაცმა ორი მაღალი სკამი ჩამოარბენინა, ბლის ქვეშ დადგა და სტუმარს მიეახლა.

– ხომ კარგად ბრძანდებით?

– გმადლობთ, არა მიშავს.

– ოჯახში ხომ კარგად, თქვენები ხომ კარგად არიან?

ქალი იღიმებოდა და ხელს მაგრად ართმევდა მოსულს.

– ჩაილარი ობულბუ ჰაილე! – ჩაილაპარაკა თუ არა ოჯახის თავმა, დედაკაცი სწრაფად მოსწყდა ადგილს, აივანზე აირბინა და პირველივე კარში გაუჩინარდა.

კარგა ხანს ჩუმად ისხდნენ.

სტუმარს (იგი ოციოდე წლის ღინღლწვეროსანი, სათვალიანი ყმაწვილი იყო, მოკლესახელოებიან პერანგზე ჰალსტუხი ეკეთა, იქნებ იმ მიზნით, რომ მეტი დამაჯერებლობა მიეინიჭებინა თავისი გარეგნობისათვის) ეუხერხულებოდა დაწყება, ხოლო მასპინძელი ჩიბუხს აბოლებდა და ცდილობდა დაახლოებით მაინც ამოეცნო, რა საქმეზე შეიძლებოდა მოსულიყო მასთან ეს კაფანდარა, ჯერხნობით პირველწვერგაუპარსავი ბიჭი.

– ბატონო აბას, მე სახალხო ფრონტის წარმომადგენელი ვარ, ხურციძე. – მუხლებზე ხელები გაისვა, გაბედულად თქვა სტუმარმა და აბასს შეხედა. აქაოდა, რა შთაბეჭდილებას მოახდენს პირველივე ფრაზა მასპინძელზეო.

ხურციძის წარმომადგენლობას ხამედოვი ოდნავადაც არ აუღელვებია. თავი ისე დაიჭირა, თითქოს მშვენივრად იცოდა, რას ერქვა სახალხო ფრონტი და მის პროგრამა-სტრუქტურაშიც გარკვეული იყო.

– თხოვნა აქვს თქვენთან სახალხო ფრონტს, ბატონო აბას. – სტუმარი ხამედოვს თვალს არ უსწორებდა, გაპრიალებული ფეხსაცმლის წვერებს დასცქეროდა და ორივე ხელს ხვნეშით ისვამდა მუხლებზე.

– ვის?

– სახალხო ფრონტს.

– გისმენთ.

– ბატონო აბას, მოგეხსენებათ, რომ ტერიტორია, სადაც თქვენ ახლა ცხოვრობთ, ისტორიულადაც და ახლაც საქართველოს ტერიტორიაა, საქართველოს ეკუთვნის.

მასპინძელმა შეატყო, რომ ხურციძე ღელავდა და შეეცადა ბოლომდე მშვიდად თქმის საშუალება მიეცა. გაუღიმა და ხელები მკერდთან ჩაიხვია:

– ვიცი.

– თქვენ ისიც გეცოდინებათ, რომ კარგა ხანია კეთილმეზობლურად და მეგობრულად ვცხოვრობთ. თქვენ მშრომელი, პატიოსანი ხალხი ხართ და ჩვენმა წინაპრებმა გულთბილად მიგიღეს.

აბასმა არ იცოდა, როდის ჩამოვიდნენ მისი წინაპრები ამ მიწაზე საცხოვრებლად, არც ის იცოდა, ჩამოვიდნენ თუ არა საერთოდ, და, მითუმეტეს, გულთბილად მიიღეს თუ არა. მაგრამ სტუმარს მაინც დაუქნია თავი.

– მართალია.

– გამოუვალი მდგომარეობა რომ არ გვქონდეს, ჩვენ ფიქრადაც არ მოგვივიდოდა ის, რაც ახლა უნდა გთხოვოთ.

– ჰო?

– ბატონო აბას, სახალხო ფრონტმა დაადგინა, გთხოვოთ თქვენ, ექვსი თვის განმავლობაში გაასხვისოთ, ან გადაცვალოთ თქვენი სახლი და გადასახლდეთ. – სხაპასხუპით მიაყარა ხურციძემ და შვებით ამოისუნთქა.

აბასი გაშრა. მისთვის ეს თხოვნა მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნაზე უფრო მოულოდნელი იყო.

– სად უნდა გადავსახლდე?

– თქვენს სამშობლოში.

– რამდენ ხანშიო?

– ექვს თვეში.

– მერედა, ეს ვინ დაადგინაო?

– სახალხო ფრონტმა.

– სახალხო ფრონტი ვინ არის?

– ჩვენ ვართ.

აბასმა ცოტა არ იყოს, ამრეზილად შეხედა ყმაწვილს, სკამზე შებრუნდა და აივანს გასძახა:

– ჰაიჩუ, აბასვრალი ზანზარუ ბულბუ ჰეზაირაღლი!

აივნის კარი გაიღო, ერთმანეთის მიყოლებით ჩამოირბინეს აბასის მეუღლემ, ხუთმა მზისგან გარუჯულმა ვაჟკაცმა, წელშეხვეულმა ახალგაზრდა, მოხდენილმა ქალმა და იმაზე მეტმა ბავშვმა, ვიდრე ხურციძე წარმოიდგენდა. ბოლოს ტაატით ჩამოვიდა ფეხმძიმე ლამაზი გოგო, რომელსაც ხელში აბრეშუმის შეიდიშში შეფუთული ძუძუთა ბავშვი ეჭირა.

ოჯახის წევრები ღილების კვრითა და კვართ-საწმერთულის სწორებით ჯერ მამას დაადგნენ თავზე. მოკლე ფრაზები გაუცვალ-გამოუცვალეს ერთმანეთს და მერე ყველანი სტუმარს მიაჩერდნენ.

– ეგ თქვენი სახალხო ფრონტის კანონი მთავრობამ იცის?

იკითხა აბასმა და მოახლოებულ ფეხმძიმე რძალს შეხედა – ზარლახთუ ჩოჩომსაღლი შუჩიზუქე!

რძალმა პირმშო მარცხენა მკლავზე გადაინაცვლა და ისევე ფრთხილად, მუცელგაშვერილად აუყვა კიბეებს, როგორც ჩამოვიდა.

– იცის. – მშვიდად თქვა ხურციძემ.

– მერე რას ამბობს?

– მთავრობა წინააღმდეგია. დაგვერწმუნეთ, არც ჩვენ გვინდოდა ამ საკითხის დაყენება. თქვენ ჩვენ ძალიან გვიყვარხართ, მაგრამ სხვა გამოსავალი არ არის.

– მარტო ჩვენ უნდა გადავსახლდეთ? – ირონიაგა-

რეულად იკითხა დოინჯშემოყრილმა, წითელი ხილაბანდით თავწაკრულმა შავულვაშამ, რომელიც ხურციძის შეტყობით, შვილებში უფროსი უნდა ყოფილიყო.

– რათა მარტო? ყველანი ერთად. დაგვიჯერეთ, ჩვენ გამოუვალი მდგომარეობა გვაქვს.

– როგორ ყველანი. მთელი ეს სოფელი?

– ეს სოფელიც და სხვა სოფლებიც.

– ჩამგლაზე ჰიმზილუქუ. – შეუღრინა აბასმა შვილს და ამ უკანასკნელმაც ენას კბილი დააჭირა.

– რა გამოუვალი მდგომარეობა გაქვთ ასეთი? – ჰკითხა ოჯახის თავმა.

ხურციძე ამ შეკითხვას, რასაკვირველია, ელოდა.

– საქმე იმაში გახლავთ, რომ ჩვენი გამრავლების ტემპი დაბალია, თქვენი – მაღალი. თუ ასე გაგრძელდა, ორმოცდაათ წელიწადში ჩვენ, ქართველები, საქართველოში ვიქნებით ოცდათვრამეტი პროცენტი, ხოლო ასი წლის შემდეგ მხოლოდ ცხრა პროცენტი მთელი მოსახლეობის.

– მერე? ჩვენ რა დავაშავეთ, რატომ უნდა გადავსახლდეთ?

აბასს მართლაც ვერ გაეგო, რა მისი ბრალი იყო, რომ ამ ყმაწვილის ტომ-ჯილაგის გამრავლების ტემპი დაბალი იყო, ან ამ უბრალო მიზეზის გამო რატომ უნდა გადასახლებულიყო ამ შეჩვეული ადგილებიდან.

– უნდა გაგვიგოთ. – თითების მტვრევა-ტკაცუნით დაიწყო ხურციძემ, – ჩვენ გვიჭირს. თქვენ ხომ არ გინდათ, რომ ქართველი კაცის არსებობა წაიშალოს ამ მიწაზე. ჩვენ ხომ პატივი გეცით ამ წლების მანძილზე, რაც შეგვეძლო. ახლა თქვენც უნდა შეხვიდეთ ჩვენს მდგომარეობაში.

– რითი გცეთ პატივი?

– გადასახლდით თქვენს მიწაზე და იქ გამრავლდით.

ღმერთმა ხელი მოგიმართოთ. როცა გაგეხარდებათ, სტუმრად გვეწვიეთ. კვლავაც ჩვენი მეგობრები იქნებით.

– ვინ დაგიმტკიცათ ეს მიწა თქვენ, ქართველებს?

– დავით აღმაშენებელმა ხმლით შემოხაზა.

– აღმაშენებელი დიდი ხანია წავიდა. ახლა აქ საბჭოთა კავშირი არის და მიწა ყველასია.

– კონსტიტუციურად ეგ, იქნებ, აგრე იყოს, მაგრამ არა მგონია, ან თქვენ და ან საბჭოთა კავშირს ძალიან გაეხარდეს, რომ ორასი წლის შემდეგ ქართველთა ხსენება აღარ იყოს ამ შემოგარენში.

აბასი გაჩუმდა. მისი ოჯახის მკლავჩახვეული წევრები ისე დასცქეროდნენ მიწასჩაშტერებულ ხურციძეს, როგორც ახლობლის ცხედარს.

– ვთქვათ, უარი თქვა სოფელმა აყრა-გადასახლებაზე, მაშინ რას იზამს თქვენი სახალხო ფრონტი? – იკითხა უფროსმა ვაჟმა.

– ჩაზლუქუ ოღლუსეჰ მისრაფათი!

აბასს არც ახლა მოეწონა შვილის შეკითხვა.

– ჩვენ ამაზე არც გვიფიქრია. სახალხო ფრონტი თქვენგან უარს არ ელოდა და ამიტომ არ გვინდა ვიმსჯელოთ იმაზე, თუ როგორ მოვიქცევით უარის შემთხვევაში. ჩვენ გვგონია, რომ უნდა გაგვიგოთ და დაგვეხმაროთ, რომ არ გადავშენდეთ. თუ არსებობს ჩვენს შორის ძმური სიყვარული, უნდა შეგვიწყოთ ხელი, რომ არ გავქრეთ, არ გადავშენდეთ.

– თქვენ როგორ მოიქცეოდით ჩვენს ადგილას. ასე ადვილია წასვლა? – განზე გაიხედა აბასმა.

– თქვენ როგორ ფიქრობთ, როგორ მოვიქცეოდით? ან თქვენ, ან ისტორიას ახსოვს ქართველების შუღლი სხვა ერების მიმართ და სხვისი მიწის მიტაცების ცდა-სურვილი?

აბასი ისევ გაჩუმდა. ისტორიას იგი თავისი ცოდნით შორს ვერ ჩაჰყვებოდა, მაგრამ მის ცხოვრებაში ასეთი რამ მართლაც ვერ გაიხსენა.

ხურციძე წამოდგა, მასპინძლებს თვალი შემოაყოლა, თავი ჩაღუნა, კარგად ბრძანდებოდეთო, ჩაილაპარაკა და წელში მოხრილმა ჭიშკრისკენ გააბიჯა.

მარტო აბასმა გააცილა ჭიშკრამდე. ოჯახის წევრები ქანდაკებებივით იდგნენ და ვინ იცის, რას ფიქრობდნენ.

აბასმა ჭიშკარი დაკეტა. ნელა წამოვიდა კანშემოცლილი ბლისკენ, ხელი გაუტყაპუნა, მთელი ტანით შემობრუნდა ჯალაბისკენ და ყრუდ ამოილაპარაკა:

– ჯამჰსალფუ ხმიდუ ბილზაფლუქე.

ათას ცხრაას ოთხმოცდაცხრა წლის თიბათვე იწურებოდა.

წინააღმდეგი ვინ არის?!

ახლა საზღვარგარეთთან და საზღვარგარეთულთან ყველაფრის შედარება მოდაშია. მე ნამდვილ საზღვარგარეთზე, სხვა სისტემა-წყობიან საზღვარგარეთზე მოგახსენებთ. სამწუხაროდ, უკვე აღარ შეიძლება შედარებათა ამ ნიაღვრის ერთი კარგი დეკრეტით ერთხელ და სამუდამოდ აკრძალვა, თორემ დავისვენებდით ჩვენც და თქვენც. ჭირვეული შედარებანი ორივე მხრივ ზიანის მომტანია. სასწაული რომ ხდებოდეს და შედარების საგანი საკუთარი უპირატესობის გრძნობას გვიღვივებდეს, არც მაშინ იქნება კარგი ტონი. რა გინდა, რას ერჩი, ავჯობე, მეტი ხომ არაფერი! დაანებე თავი, აშმორებულ საზოგადოებრივ წყობაში მოქცეულ, დატანჯულ ხალხს თავისი გაჭირვება ჰყოფნის. სამწუხაროდ, სასწაული არ ხდება, ნებითი თუ უნებლიე შედარების დროს უმწეობის შეგრძნება გვეუფლება და მეტი არაფერი. რომ გვეგონა, რაღაც-რაღაცებში თუ ისინი გვისწრებენ, სამაგიეროდ, რაღაც-რაღაცებში ჩვენ ვუსწრებთო, მთლად მართალი არც ეს აღმოჩნდა. ამ ბოლო დროს ჩვენი რაღაც-რაღაცების რიცხვი კატასტროფულად კლებულობს, იმათი რაღაც-რაღაცები კი, თითქოსდა ჩვენს ჯიბრზე და ჩვენივე გულსახეთქად, უკეთეს რაღაც-რაღაცებად გვევლინება.

მაგრამ სწორედ ამ ბოლო დროს ჩვენც დავიწყეთ დევის ნაბიჯებით სვლა და ისინი თუ შეჩერდნენ, დიდი იმედი გვაქვს, რომ უახლოეს ას-ასორმოცდაათ წელიწადში

არა მარტო დავეწევით, რაღაც-რაღაცებში გავუსწრებთ კიდეც.

წუწუნისგან ღმერთმა დაგვიფაროს. ჩვენი ინერციის სიკეთე უკვე იგრძნობა. მაგალითად, კაპიტალისტურ სამყაროში უზარმაზარი დრო და ენერგია იხარჯება, რომ მოქალაქე, ამომრჩეველი, ხმოსანი როგორმე მიიმხრონ. თუ ორჭოფობს, იმნაირად შეუხვიონ თავი და უქციონ მხარი, რომ გადაიბირონ. ჩვენთან კი ხმის მოპოვებისთვის ჭაპანწყვეტა არავითარ დონეზე არ გვჭირდება. ჩვენთან ყველა ყველაფერზე თანახმაა. მაინც რანაირად მიაღწიეთ, რომ თქვენთან ყველა კრების დადგენილება და ყველა კანონპროექტი ერთხმად, ერთსულოვნად გადისო, გვეკითხებოდნენ წლების განმავლობაში საზღვარგარეთელი არაკეთილმოსურნენი. ჩვენ გვეგონა, მათ ერთხმიანობის მუღამი აინტერესებდათ და გულმოდგინედ ვუმალავდით. როცა გაირკვა, რომ ერთსულოვნების მკაცრი მიზეზი მსოფლიომ მშვენივრად იცოდა და თურმე იმ შეკითხვაში დაცინვა-ირონია უფრო ჩანდა, უნდა ვაღიაროთ, შეგვრცხვა ჩვენი ერთსულოვნების.

მკითხველმა შეიძლება არ დაიჯეროს, რომ 1988 წლის 21 ივნისს ოთხმოცდამეცამეტე საფოსტო ყუთის № გაერთიანების ადგილკომის თავმჯდომარე იაზონ ითაშვილი იდგა თავისი კაბინეტის წინ და მოწინააღმდეგეებს ეძებდა. საცაა კრება დაიწყებოდა; უნდა ეყარათ კენჭი ტრანსაუარიის კოშკის პროექტის დასამტკიცებლად. ამ პროექტს გულში ბევრი არ ეთანხმებოდა და, გულახდილად გითხრათ, კოშკი ვერ იყო გაერთიანებისთვის მთლად სასარგებლო საქმე, მაგრამ რაკი კენჭის ყრამდე მოვიდა, პროექტი უსათუოდ დამტკიცდებოდა. იაზონსაც ეს სურდა. მაშ რა-

ტომ ეძებდა ასე გაფაციცებით ადგილკომის ისეთ წევრს, პროექტის წინააღმდეგ ხმას რომ აღიმაღლებდა? თურმე დირექტორს ზემოდან უთხრეს; ღმერთი არ გაგიწყრეს და პროექტი ერთხმად არ გავიდეს, როგორც გინდა, ისე მოძებნე ერთი-ორი წინააღმდეგი, რომ კამათის ილუზია შეიქმნასო; ხომ ხედავ, დაგვცინის საზღვარგარეთი ამ ერთხმიანობისთვისო. ის, ვინც დირექტორს ზემოდან უთხრა, უფრო ზემოდან დამოძღვრილს ჰგავდა, თორემ როდის იყო საბჭოთა დაწესებულებაში ადამიანს ეხვეწებოდნენ, არიქა გვიშველე, არ დაგვიჭირო მხარიო.

იაზონს ნელ-ნელა სასოწარკვეთილება ეუფლებოდა. მეშვიდე ჩამვლელს უსაფრდებოდა ახლა, ამ წამში, და ისეთი მეპროტესტე ვერა და ვერ შეიგულა, რომელიც პირობას მისცემდა, რომ პროექტის წინააღმდეგ გამოვიდოდა.

ლიფტს ელექტროინჟინერი ტარას ქემაშვილი ამოჰყვა და პირდაპირ იაზონისკენ წამოვიდა. იაზონს სახე გაებადრა. ტარასი ელექტროინჟინრის პირობაზე ერთობ გაბედული კაცი გახლდათ.

– დიდხანს გაგრძელდება? როგორ ატყობ! – ჰკითხა ქემაშვილმა და ჩინურ ონკანზე წყლის ჭავლს პირი აავლო. ალბათ წყლის დალევა კი არა, უბრალოდ ტუჩების გასველება სურდა.

– საათის, საათნახევრის ამბავია. ისე, კოშკი შენი ჭკუით?

– სისულელეა, სისულელეზე მეტია, ფულის წყალში გადაყრა. რად გვინდა კოშკი, ვის ვაწონებთ თავს!

– აგაშენა ღმერთმა, – იაზონმა ხელი მკლავში მოჰკიდა და შეთქმულივით ფანჯრისკენ წაიყვანა. ელექტროინჟინერმა ჯერ მკლავზე გაამახვილა ყურადღება და მერე ადგილკომის თავმჯდომარეს შეხედა.

– გამოდი და თქვი. ახლა შეიძლება სიმართლის თქმა. გამოდი და თქვი რასაც ფიქრობ.

– რაზე? – მოწყენილად შეხედა ქემაშვილმა.

– კოშკზე.

– შენ ხუმრობ და მართლა უნდა თქვას კაცმა.

– ჰოდა თქვი. ბავშვებს გაფიცებ, თუ არ თქვა. ხომ არ შეიძლება ყველაფერზე თავი ვუქნიოთ.

– ვის?

– მაგათ.

– კოშკი რომ სისულელეა, რად უნდა ლაპარაკი! მართლა უნდა ადგეს კაცი და უნდა თქვას. ღირსიც იქნებიან მაგენი, – წყნარად, შეფიქრიანებულად თქვა ტარასმა, მკლავი გაითავისუფლა და სხდომათა დარბაზის მაღალი კარებისკენ გააბიჯა.

– მამია!

მამია ხოფერია მხარწაგდებით მიმავალი, შრომის ინვალიდი მამია, წამით შეჩერდა. არ გამოუხედავს. ეტყობა სურდა ხმაზე გამოეცნო, ვინ დაუძახა. გამოიცნო თუ არა, ამას ჩვენ, სამწუხაროდ, ვეღარ დავადგენთ, მაგრამ ადგილკომის თავმჯდომარის დანახვისთანავე მამიამ ხელჯოხი რომ მიმოაკაკუნა და ნაბიჯს რამდენადაც შეეძლო, მოუჩქარა, მეც და ჩემმა მკითხველმაც მშვენივრად დავინახეთ.

– უნდა მიშველო, მამია, – იაზონის ხმასა და თვალებში მუდარას დაესადგურებინა.

– ჰო, – ჯოხს ხელი შეუნაცვლა მამიამ.

– წინააღმდეგ უნდა გამოხვიდე. ერთი-ორი მოწინააღმდეგე ჰაერივით გვჭირდება. არ არის საჭირო კოშკის აშენება-თქო, შენც ხომ ასე ფიქრობ, მამია?

– ჩემს ფიქრს რა მნიშვნელობა აქვს, ახლა, ამ წუთში, მაგრამ თუ საქმისთვის არის საჭირო, ყველაფერს იზამს კაცი, – ხმის საეჭვო განაზებით თქვა მამიამ.

– ჰო, გენაცვალე. არ გიჭერთ მხარს-თქო. არ მიმაჩნია სწორად საკითხის ასე დაყენება-თქო. ჩემი საკუთარი აზრი მაქვს-თქო, ხომ შეიძლება, რაღაცაში არ გეთანხმებოდეთ-თქო!..

– მე ვიტყვი, რატომღაც არა, მაგრამ საბოლოოდ რა მოჰყვება ამ ამბავს? – განზე გაიხედა მამიამ.

– საბოლოოდ არაფერი. პროექტი მაინც გავა. ოღონდ ოქმში ჩაიწერება, მამია ხოფერია წინააღმდეგ გამოვიდაო.

– მაგაშია საქმე, – ამოიოხრა მამიამ.

– არაფერი მოხდება, დამერწმუნე. პირიქით, იტყვიან: იმდენ ცხვრებში თავი მხარზე მარტო მამიას ჰქონიაო.

– მერე? მაგ ორი სიტყვისთვის გადავიკიდო ქვეყანა? მხარზე თავი რომ მაქვს, ამის დამტკიცება ახლა დავიწყო. სამოცდაორი წლის კაცმა და უჭირო საჭიროდ გავიხადო?!

– შენ შენს აზრს იტყვი.

– კი ბატონო, ვიტყვი, მერე? რაღა მე ვიქცე თეთრ ყვავად!

– გეშინია, მამია?

– კი არ მეშინია, მერიდება, ჩემო იაზონ. რაღაცაში არ ვტყუვდებოდეთ. თუ მაგათ გადაწყვეტილი აქვთ, წინააღმდეგ კი არა, უკანალით კაკალი რომ ვამტვრიო, მაინც ააშენებენ. ჩემი გამოსვლით პირს ავიმყრალებ და მტრებს გავიმრავლებ, მეტი არაფერი.

– იფიქრე, მაინც, იფიქრე, თუ კაცი ხარ. ეს ამბავი დირექტორმაც იცის. ვიღაც წინააღმდეგ უნდა გამოვიდეს, საქმეს სჭირდება.

– კი ბატონო, ვიფიქრებ. ფიქრს რა უდგას წინ. მაგრამ რაღა მე გამომარჩიე, იაზონ? ჩემს მეტი ბუნტოვშჩიკი ვერ ნახე ამხელა გაერთიანებაში? – ბოლო სიტყვებს რომ ამბობდა, მამია შეტრიალებული გახლდათ და ჯოხს განიგან მიიქნევდა, რომ კლუბისკენ ჩქარი ნაბიჯით მიმავალთაგან ვინმეს არ წამოსდებოდა და არ წაქცეულიყო.

დრო ჩვეულებრივზე სწრაფად გარბოდა.

იაზონი კიბის თავზე მარტორქასავით მიმოდიოდა.

ვერა და ვერ შეიპირა ადგილკომის ვერცერთი წევრი, რომელიც ადგებოდა და ხელმძღვანელობას იმდენ პატივს სცემდა, რომ მშვიდად, აუღელვებლად იტყოდა; არ გიჭერთ მხარს, კოშკის აშენების წინააღმდეგი ვარო. მგლინავმა კუკური ჯიჯეიშვილმა კარგა ხანს უსმინა და იაზონს რომ ეგონა, ახლა კი დავარწმუნე, როგორც იქნაო, მოკლედ მოუჭრა – შენ თვითონ რომ გამოხვიდე? ხომ არც შენ მოგწონს კოშკის იდეა? შენ რომ გამოხვიდე და მისცე მაგალითი გაერთიანებას? არ აჯობებს ვითომ?

– მეც ვიტყვი, საერთოდ, ჩემს სათქმელს. რატომაც არ ვიტყვი, მაგრამ, ამ შემთხვევაში, ქვევიდან ჯობდა აზრი წამოსულიყო. მე მაინც ოფიციალური პირი ვარ. და, საერთოდ, ვერ გაგაგებინე, რა მინდა: კოშკი მაინც აშენდება, ერთიორი მოწინააღმდეგე ჩვენ დემოკრატიისთვის გვჭირდება, მეტი არაფერი. რომ ნახოს ვიღაცამ, უმსჯელიათ, უკამათიათო, გამიგე?

– ვერა! – მიუგო ჯიჯეიშვილმა.

ბოლო იმედმა, მეტაბელე ლევან დუჩიძემ ადგილკომის თავმჯდომარეს წინააღმდეგ გამოსვლის თხოვნაზე ისე შეხედა როგორც მეზოზოური ხანიდან პირდაპირ მეოცე საუკუნის ოთხმოციან წლებში შემოჭრილ ცხოველს, რო-

მელიც წითელ წიგნში იმიტომ არ შეუტანიათ, რომ აქამდე აღმოჩენილი არ გახლდათ.

პროექტის განხილვა როგორც დაიწყო, ისე დამთავრდა.

მიუხედავად იაზონის მიერ მიღებული ზომებისა და ენერგიული აჯა-თხოვნისა, პროექტს უკლებლივ ყველამ დაუჭირა მხარი. წინააღმდეგ არავინ წასულა.

მოხდება ასეთი რამ კაპიტალისტურ სამყაროში? არ მოხდება.

კარი

ხელჯოხიანმა, უქუდო, ჩიკორა მოხუცმა ჯერ აბრა წაიკითხა. როდესაც დარწმუნდა, რომ ნამდვილად აღმასკომის რეზიდენციასთან ჰქონდა საქმე, სამსართულიანი შენობის ერთადერთ კარებში გაუჩინარდა.

ცოტა ხანში გამობრუნდა. სამჯერ შემოუარა შენობას, მაგრამ სხვა შესასვლელი რომ ვერ უპოვა, ისევ აბრიან კარს მიადგა.

კარისკაცმა გაუღიმა.

– ხომ აგიხსენით, ბიძია, თავმჯდომარის მისაღები მეორე კარიდანაა.

– კი, ბატონო, ეზოდან ხომ? გავიგე, მაგრამ დაკეტილი რომ არის?

– რა მოგახსენოთ, ალბათ სადმე გამოიძახეს.

– მოიცა, თუ ღმერთი გწამს, – თითქოს რაღაც საიდუმლო უნდა გაანდოსო, მოხუცმა პირზე მარჯვენა ხელი აიფარა, – არ შეგიძლია მიმიყვანო ვინმესთან?

– როგორ ვინმესთან?

– რომელიმე უფროსთან, აქ, ამ შენობაში.

– მოადგილეს ხვალ აქვს მიღება.

– ხვალ მოსასვლელად არ მცალია, – შეწუხდა მოხუცი, – მიდი, აუხსენი პენსიონერი ჩიმაკაძეა-თქო, იქნებ მიმიღოს.

ამ სტრიქონების ავტორსაც უკვირს, როგორ მიატოვა კარისკაცმა „პოსტი“ და როგორ აღმოჩნდა ხუთიოდე

წუთის შემდეგ მოხუცი თავმჯდომარის მოადგილის კაბინეტში.

მოადგილე ულვაშწკიპა, პირმრგვალი, სათვალიანი ბიჭი იყო. კომკავშირიდან დაეწინაურებინათ.

– მე პენსიონერი ჩიმაკაძე გახლავართ. სამოცდაცხრა წლის კაცი ვარ, ბიძია, თუ მომისმენ ხუთ წუთს, ძალიან დაგიმადლი, თვარა და წავალ ჩემ გზაზე. სათხოვარი და სახვეწარი მე არაფერი მაქვს, – დინჯად დაიწყო ჩიმაკაძემ.

– ბრძანეთ, ბატონო, – მოადგილემ ფანქარი კბილს გაუკაკუნა.

– ასე დაბნეული, ახლა რომ ხართ, ბაბაია, მიდღემჩი არ ყოფილხართ. რაშია საქმე, რა ამბავია თქვენ თავს?

– ვინ ჩვენ, ბატონო, რაში შეგვატყვეთ დაბნეულობა?!

– თქვენ, მთავრობა. რავა არა ხართ დაბნეული, კვირაში ცხრა პარასკევი რომ გაქვთ, ვერ ატყობთ ამას? ჯერ იყო და, კაცი რომ კაცს სახლის გადახურვაში მიხმარებოდა, დამგზავრებული კაცი მანქანით ბაზარში ჩაეყვანა, უშრომელ შემოსავლად გამოაცხადეთ და ბრძოლა გაუმართეთ. არ იყო ასე? მერე ადექით და, ლოთების მაგივრად ღვინოს და არაყს დაუწყეთ ჩხუბი. ოჯახებში შედიოდნენ თქვენი აგენტები და ქვაბებს სტაცებდნენ დედაბრებს ხელიდან. იწერებოდა მერე გაზეთებში: ამის სახლიდან ეს იქნა ამოღებული და იმის სახლიდან ისო. სამართალი იყო, ბატონო, სახლში შესვლა და მოქალაქისთვის ქვაბის წართმევა? არ ჰგავს ეს ხრუშჩოვის სულელურ კანონს – ერთ ძროხაზე მეტი არ იყოლიოო? პირიქით, ხელი უნდა შეუწყო, თუ გამოხდის კაცი არაყს, შეისყიდე მერე შენ, სახელმწიფო რომ ხარ, და მიყიდე შენის მხრივ სხვა სახ-

ელმწიფოს ცოტა სარფიან ფასში. ანდა, რასაც თქვენ უშრომელ შემოსავალს ეძახდით, ჩვეულებრივი ურთიერთობა არ იყო ადამიანებს შორის? თუნდაც დავარქვათ ის, რომ კაცი თავის სამუშაო ძალას ჰყიდდა.. რა არი ამაში ცუდი?!

– მერე? ხომ გამოვასწორეთ ეს მდგომარეობა. ხომ აღარ ვლაპარაკობთ ახლა უშრომელ შემოსავალზე? ა, ბატონო, კოოპერატივები!

– მეც მანდა ვარ, ჩემო ბიძიკო. ასეთ მოკლე დროში, შეიძლება წამდაუწუმ მიცვალო კანონი? ორივე ერთად გინდათ, ისე გატყობთ მე. ისიც გინდათ, ხალხი კერძო მეურნეობაზე გადაიყვანოთ და ისიც გინდათ – სოციალიზმის თეორიას და საკოლმეურნეო წყობილებას ბეწვი არ ჩამოვარდეს. ასე არ გამოდის. პატარ-პატარა არენდამ და თვითდაფინანსებამ ან აქა-იქ საჩვენებელმა საოჯახო იჯარამ, ხომ ხედავთ, შედეგი ვერ მოგვცა. ბოლო ათი წლის მანძილზე ყველაზე ცოტა ხორბლის მოსავალი თურმე წრეულს მიგვიღია. ასე თუ გაგრძელდა, სად წავალთ!

არ შეიძლება, არა, ბაბაია, უკომპასოდ ქვეყნის მართვა! რა გვინდა, ხომ უნდა ვიცოდეთ. ამ სტადიისთვის გამოგვადგა-თქვა და გადავაგდოთ, ბატონო, ერთი ხელის მოსმით, რასაც ამდენ ხანს ვებღაუჭებოდით. მკვდარს ფერ-უმარილი უნდა? არ უნდა. ვერაფერ სიკეთეს ვერ ვეწიეთ ხომ ხედავ, ისევ ძველებურადაა ყველაფერი. სახელის შეცვლა რას მოგვცემს, თუ ბაზარი არ გამიიაფე და მანეთს ფასი არ მიეცა. არ გეწყინოთ კია და ნამეტანი დეიბენით. ასე არ გამოვა. ან იქით ან აქეთ. ორი კურდღლის მადევარმა ვერცერთი ვერ დაიჭირაო.

მთლად ახალი ამბავი ავიღოთ თუ გინდა: გუშინ ტელევიზორში გამოაცხადეს პენსიონერთა საკავშირო საზოგადოება უნდა შევქმნათ თავისი ადგილობრივი ორგანოებითო. ამ საზოგადოების მთავარი დანიშნულება იქნება პენსიონერების ჩაბმა საზოგადოებრივ სასარგებლო შრომაშიო. პენსიონერი, ბაბა, იმ კაცს ჰქვია, რომელიც დიდხანს იყო ჩაბმული „საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომაში“, მერე დაბერდა და ისვენებს. შენ თვითონ არ გააცილე ტაშ-ფანდურით? შენ არ უთხარი: „აწი დამსახურებული დასვენება გეკუთვნის და დაისვენეო?“ ახლა გაგიჭირდა და უკან ეძახი? უკან დაძახებაა, აბა, რა არი? „პენსიონერები ჩავაბათ საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომაშიო“, ისე აცხადებ, ვითომ შენ არ შეგეწყოს ხელი ამ ხალხის დასვენებისთვის“. გუშინ არ იყო? ვისაც სამოცი შეუსრულდა, წავიდეს, დაისვენოსო, რომ გამომიცხადე? გუშინ არ იყო, ყელგამოწვდილი რომ გეხვეწებოდი, ნუ გამიშვებ პენსიაზე, ჯერ კიდევ შემიძლია მუშაობა-მეთქი? დაგაკლდი, გაგიჭირდა ხომ? ბატონი ხარ, მოვბრუნდები და ისევ შევებმები საქვეყნო უღელში, მარა რად უნდა ამას საზოგადოება?“ კიდევ ახალ, რას ეძახიან? ბიუროკრატიულ საფეხურს აკეთებ, შე კაცო? არიქა, საზოგადოება, მისი თავმჯდომარე და აპარატი, მერე ქვესაზოგადოება, მისი თავმჯდომარე და აპარატი. კიდევ ახალი ბეჭედი, ახალი წიგნაკები, კიდევ საწევროს გადახდა და ახალი კრება-კონფერენციები. არ დაიღალეთ, თუ ძმა ხარ?

ჩამთავრებულ, ჩავლილ, გარდასულ პენსიონერთან სახვეწრად რატომ გაიხადეთ საქმე? პენსიონერის ბებერი, დაღლილი ხელებით გამომცხვარი ჭადი სანამ უნდა ჭამოთ, თუ ღმერთი გწამთ? კაი ცხოვრებიდან რომ არაა

გამოწვეული პენსიონრებისკენ მიბრუნება, ქე ვხვდები ამას მე.

– სწორი ბრძანდებით... რა ვქნათ, აბა?

– რა ქნათ და ნუ დაიბენით; უფრო გაბედულად და ვაჟკაცურად იმოქმედეთ. სისტემა უნდა გამოვცვალოთ, სისტემა. ნუ იპწკინებით. ნუ გეშინით. რაც არ გამოდგა, არ გამოდგა, მორჩა და გათავდა! ა, ეს მინდოდა მეთქვა, – მოხუცი წამოდგა და მოადგილეს ხელი გაუწოდა, – კარგად იყავით!

– კარგად ბრძანდებოდეთ, – მასპინძელმა ხელი ჩამოართვა და კარებამდე გამოაცილა. ახირებულ მოხუცთან რომ ჰქონდა საქმე, აშკარა იყო, მაგრამ რაღა მაინცდამაინც მასთან, აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილესთან მოვიდა ეს დროული კაცი, ვერა და ვერ აეხსნა.

მოხუცი დერეფანს დაადგა, ბოლომდე გავიდა, მაგრამ გასასვლელი ვერ იპოვა და შემობრუნდა.

მეორე მხარესაც ბოლომდე გაიარა დერეფანი, კარი გამოაღო, მაგრამ კიბის ნაცვლად სახანძრო ინვენტარს წააწყდა.

მოხუცი სასოწარკვეთილებამ შეიპყრო. რამდენჯერმე გაიარ-გამოიარა დერეფანში და ვერ მიაგნო კარებს, რომლითაც აქ შემოვიდა. „ფუი ეშმაკს, რა ხათაბალაში გავებიო“, ფიქრობდა. იღბლად, დერეფანში გულზესაქაღალდე ახუტებული გოგონა გამოჩნდა.

– ბოდიში, ბაბუა, როგორ უნდა გავიდე აქედან?

– სად უნდა გახვიდეთ ბატონო?

– გარეთ, საერთოდ, ქუჩაში, სახლში მინდა წასვლა.

– წამობრძანდით, – გოგონა შემობრუნდა, შუა დერეფანში კარს მიაწვა, კიბეს დაუყვა, მოხუცი ქუჩაში გამოი-

ყვანა და ყოველ შემთხვევისათვის ჰკითხა:

– აქედან ხომ გააგნებთ, ბატონო?

– აქედან კი, გმადლობთ.

მოხუცი მზისგან ნახევრად განათებულ ქუჩას ზევით-კენ გაუყვა.

არჩევანი

კრების თავმჯდომარეს, მთაგრეხილთა მოსწორების და მდინარეთა გადაგდების საპროექტო ინსტიტუტის ადგილკომის თავკაცს ქიშვარდ ბარაბაძეს სხდომების მეტი რა ჩაუტარებია, მაგრამ ეს თავყრილობა სხვა იყო. გაგანია დემოკრატიის ვითარებაში დეპუტატობის კანდიდატის დასახელებას შეიძლებოდა, მთელი რიგი გართულებები მოჰყოლოდა.

„მართალია, გაზეთები ჯერჯერობით მარჯვედ დგანან და, რაც მოუხერხდებათ, არ აჭაჭანებენ ენააქავებულთა აზრებს თავიანთ ფურცლებზე, მაგრამ ზეპირმეტყველება ნამეტანი წინ წავიდა და ისეთ სიტყვებს მოჰკრავ მთავრობის მისამართით, ხანდახან, დერეფანში ყურს, რომ წყალში გადახტომა მოგინდება კაცს. მშვენივრად ვცხოვრობდით უწინ, სამასი მილიონი კაცის დემოკრატია გამიგონია? დემოკრატია, ჩემო ბატონო, საბერძნეთში და რომში იმ დროს იყო, როცა ცივილიზაციის აკვანი ირწეოდა. არა – ტელევიზია, არა – რადიო, არა – გაზეთი. უნდა შეკრებილიყვნენ მოთავეები და დემოსის წინაშე საჯაროდ გადაეწყვიტათ რაღაც-რაღაცები. ახლა? ადამიანმა, ლამის, ყველაფერი იცის ამ მუხთალი წუთისოფლისა და დემოკრატია გამოვა ამდენი გამწყრალი პიროვნების ხელში? ობიექტურად დაასახელეთ კანდიდატურებიო. რას ჰქვია ობიექტურად დასახელება? ვინც ასახელებს, ის ხომ სუბიექტია. ერთი კაცი ასახელებს ერთ კაცს: ვინც მოასწრო, ვინც ხელი უფრო მაღლა ასწია. მეორე დაასახელებს მეორე კაცს. მერე უნდა

შეწყდეს დასახელება, თორემ თუ გაგრძელდა, რამდენი კაციცაა დარბაზში, იმდენი კანდიდატი დასახელდება. ყველა ერთმანეთს დაასახელებს. იქნება ეს ობიექტურობა? ვინ რა იცის, ვინ გაარკვევს, ვინაა ღირსეული და ვინ არა. ეს დასახელებაც სტიქიურია, აბა რა არის. გეტყოდნენ უწინ, ზევიდან, ერთ კანდიდატს და ვიყავით მშვიდად. არავითარი გაუგებრობა. ახლა ამნაირი განუკითხავი დასახელებით, შეიძლება, ისეთი ვინმე გაძვრეს რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში, რომ თავში საცემად გაუხადოს ხალხს საქმე. ახლა რომ დემოკრატია ამართლებდეს, შენ მოასწრებდი თვითონ საბერძნეთს და იტალიას? თუ, მე შენ გეტყვი, ტრადიცია და გამოცდილება არა აქვთ ამ საქმეში! როდის გვიცხოვრია ჩვენ დემოკრატიაში ლოთიანად, ახლა რომ ავიქაფეთ პირი? გადავხედოთ ერთი ჩვენს ისტორიას. არის ისეთი დრო, დემოკრატიულად რომ ემართოს ვინმეს ქვეყანა? ეს ბოლო სამოცდაათი წელი იყო და, მგონი, სამუდამოდ დაავიწყეს ხალხს მსოფლიო ისტორიის წიგნებში რომ დემოკრატიის ლამპარი ბჟუტავდა. კაცს კაცთან დალაპარაკების ეშინოდა და ოჯახი არ იყო, ახლობელი რომ არ ჰყოლოდა ჭკუანასწავლი ციმბირის გულაგებში რვა წელიწადს მაინც. ასე, შიშსა და ძრწოლაში ნაცხოვრებ ხალხს გინდა დემოკრატიის ტოგა წამოაცვა და ქადაგად დასვა? შენ არ მომიკვდე, ამ თაობისთვის ეგ არ გამოვიდეს და მერე ვნახოთ, რა იქნება! სანამ მიხვდებოდეს უბრალო კაცი, ჯერჯერობით არაუშავს, თავისი გასაღები მოარგეს ამ დემოკრატიულ არჩევნებსაც. ორფა არჩევნები მოიფიქრეს. დაწესებულებებს და უწყებებს ერთ კანდიდატს ძველებურად ახვევენ თავზე, ხოლო მეორეს დემოკრატიულად ასახელებინებენ. მთავარია, ორივე კანდიდატი გავიდეს მთავარ არჩევნებში და იქ, ალბათ, მოახერხებენ რაღაცას, როგორც აქამდე ახერხებდნენ. ჩვენთან უნდა

დასახელდეს ედიბერიძე. ედიბერიძე გემთსაშენის მმართველია. მართალია, ჩვენს ინსტიტუტთან საქმე არასოდეს ჰქონია და, ალბათ, არც იცის ჩვენი არსებობა, მაგრამ დაასახელეთო, დაგვავალეს და ჩვენც უნდა შევასრულოთ. კი, ბატონო, დავავალე ბუცხრიკიძეს და დაასახელებს, მერე? კენჭი მაინც არ იყოს საყრელი! რა ვიცი, მეორეს ვის დაასახელებენ. ვაითუ, იმ მეორემ მეტი ხმა მიიღოს, ხომ დავიღუპე და ამოვვარდი კაკალი კაცი, ასე ფიქრობდა ქიშვარდი და მღელვარება გაუსამკეცდა, როცა კრებას განუცხადა, ორი კანდიდატის დასახელების უფლება გვაქვსო, ხოლო კრებამ ამაზე ერთი ალიაქოთი და ზრიალ-ჟრიამული ატეხა.

– რატომ ორი?!

– ორი რა, ლიმიტია?!

– დავასახელოთ მეტი!

– რამდენი მაინც?

– რამდენიც დასახელდება!

– დასახელდება რას ჰქვია, თქვენ ეს არჩევნები ურაზმერო ხომ არ გგონიათ? ორიო, რაკი გვეუბნებიან, ესე იგი, ორი უნდა დავასახელოთ! – კატეგორიულად განაცხადა ბარაბაძემ.

– ნუ გვიბრიალებ თვალებს, ქიშვარდი, აღარაა ის დრო, შენ რომ იცი, სხვა დროა ახლა! ხალხს როგორც უნდა, ისე იქნება!

– წავიკითხოთ არჩევნების დებულება! – დაიძახა ვიღაცამ.

– რად გვინდა დებულება, ზეპირად ვიცით, რა სწერია შიგ!

– ვინ არის მომხრე, რომ დებულება იქნას წაკითხული, – იკითხა თავმჯდომარემ.

დარბაზში დებულების წაკითხვის მომხრე სამად-სამი

კაცი აღმოჩნდა.

– დავასახელოთ ორი კაცი და წავიდეთ სახლში. არ ღირს საქმის გაჯანჯლება!

– ეს მაინც ტყვილი არჩევნებია, ამ კანდიდატებს ცხრილში გაატარებენ!

– გადავდივართ დასახელებაზე! – დრო იხელთა ქიშვარდმა და თავაუწევლად დაიძახა:

– ბუცხრიკიძე!

ბუცხრიკიძე, თავკიტრა, კვერნისყურება, აწოწილი ინჟინერი, წამოდგა და დაიქუხა:

– დეპუტატობის კანდიდატად ვასახელებ ედიბერიძეს!

– ვის?!

– ედიბერიძეს! – გაიმეორა ბუცხრიკიძემ და დაჯდა.

– ვინაა ედიბერიძე! – სასოწარკვეთილი, ისტერიული ყვირილი აღმოხდა არაფორმალური გაერთიანების წევრობაში შემჩნეულ შინაბერას, ბიბლიოთეკარ მერი ორბელიანს.

– ვინაა, რომელია, ადგეს!

– დაგვენახოს!

– ალბათ, იმ ედიბერიძეზეა ლაპარაკი, გემთსაშენის მმართველი რომ არის?! – თითქოს არც კი იცოდა, მიამიტურად იკითხა ადგილკომის თავმჯდომარემ.

– ალბათ, – წყნარად გაიმეორე ბუცხრიკიძემ.

– მერე? რა უნდა აქ ედიბერიძის კანდიდატურას. დაასახელოს გემთსაშენმა! – ორბელიანი ამ ბოლო დროს, როგორც ყველა კრებაზე, აქაც აქტიურობდა.

– ბუცხრიკიძეს ვინც უნდოდა, ის დაასახელა. ხომა აქვს უფლება! – განმარტა ბარაბაძემ.

– იქნებ არ უნდა იმ კაცს ჩვენთან იყაროს კენჭი!

– რას იტყვი, ბუცხრიკიძე?!

– რის თაობაზე? – წამოდგა ბუცხრიკიძე.

– იცი თუ არა, უნდა თუ არა ედიბერიძეს კენჭის ყრა ჩვენს ინსტიტუტში!

ბუცხრიკიძემ თავმჯდომარეს შეხედა.

ქიშვარდმა თავი დაუქნია.

– ვიცი, უნდა! – თქვა ბუცხრიკიძემ.

– დავასახელოთ მეორე კანდიდატურა და მერე ვუყაროთ კენჭი ორივეს! – წამიერი სიჩუმე ბარაბაძემ დაარღვია.

დარბაზში ხელების ტყე აღიმართა.

„ნეტავ მეორე კანდიდატურაზეც მეზრუნა. რა ვიცი, ვის დაასახელებენ“, გაიფიქრა ქიშვარდმა და, რაც იქნება იქნებაო, მარჯვენა მხარეს პირველ რიგში მჯდომ მექსეროქსე ლერი კაკაბაძეს გახედა. კაკაბაძეს „მჯდომი“ არც ეთქმოდა, ხელი ყველაზე მაღლა აეწია, გეგონებოდათ, საცაა წამოფრინდებაო.

– კაკაბაძე!

ლერი წელში გაიმართა, კრებას დაშოშმინება აცალა და როცა თავმჯდომარეს უკანასკნელი ნერვიც გიტარის სიმივით დაეჭიმ-დაეძაბა, მკაფიოდ განაცხადა:

– ვასახელებ შაკოია მაცაბერიძის კანდიდატურას!

ტაშმა და სიცილ-ღრიანცელმა კინაღამ კლუბის ჭერი ჩამოანგრია.

ზოგი სიცილისგან ცრემლებს იწმენდდა, ზოგი ყურებს არ უჯერებდა და გვერდით მჯდომს პირმორღვეული ეკითხებოდა, მართლა შაკოია დაასახელეს, თუ მოგვეყურაო.

შაკო მაცაბერიძემ თავის გვარს რომ მოჰკრა ყური, ჯერ სხვებივით გაიცინა, მაგრამ სწრაფად დასერიოზულდა, შუბლზე ხელი ჩამოისვა და თავმჯდომარეს მიაჩერდა.

– კაკაბაძე, გისმენთ! – განზე გაიხედა ბარაბაძემ.

– ბატონო? – წამოხტა კაკაბაძე.

– ვის ასახელებ?

– მე მგონია, გარკვევით ვთქვი – შაკოია მაცაბერიძეს!

კვლავ სიცილმა გადაუარა დარბაზს.

– კაკაბაძე, ჩვენ აქ სახუმროდ არ გვცალია!

– ვინ ხუმრობს, ბატონო! მე დავასახელე შაკო მაცაბერიძე, უყარეთ კენჭი!

თავმჯდომარეს ნერწყვი გაუშრა. კაკაბაძე უკან არ იხევდა.

ხდებოდა ის, რისიც, ბარაბაძეს ყველაზე მეტად ეშინოდა; კრება არასერიოზულ ხასიათს იღებდა.

– არის წინადადება, შეწყდეს კანდიდატურების დასახელება! – დასახელებას მაინც შევაჩერებ, თორემ თუ ასე გაგრძელდა, ვინ იცის, კიდევ ვის დაასახელებენ, თუმცა შაკოიაზე უბედურს, ვის მოძებნიანო, თავმჯდომარემ.

ყველა დაწესებულებაშია თითო-ოროლა „ძნელი“ თანამშრომელი. სწორედ ასეთი გახლდათ შაკო მაცაბერიძე. სისხლი ჰქონდა მისგან გამშრალი ინსტიტუტის ხელმძღვანელობას. თვე არ გავიდოდა, შაკოზე „შეტყობინება“ არ მოსულიყო. ხან დალევდა და საკონსერვო ქარხნის კლუბში კინოს „დემონსტრირებას“ შეუშლიდა ხელს, ხან „მარცხენა“ სამუშაოს აიღებდა, დამკვეთს ფულს წინასწარ გამოართმევდა და მერე პირს უშლიდა, ხან ყოფილ სიდედრს მიუვარდებოდა და გინებით აიკლებდა. ამხანაგური სასამართლოს არსებობის ერთადერთი გამართლება შაკოიას საქმეების გარჩევა იყო. სასამართლოზე ყველაზე მეტს შაკო იცინოდა, მაშინაც კი, როცა უკანასკნელად გააფრთხილებდნენ. წელიწადში სამჯერ მაინც გააფრთხილებდნენ უკანასკნელად, მაგრამ, როგორც იტყვიან, მის მიმართ გადამჭრელ ზომებს არავინ მიმართავდა, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ სამსახურიდან მოხსნას, შეიძლებოდა, დამღუპველად ემოქმედა ისედაც დაქანებული კაცის ცხოვრებაზე. გადაჰყავდათ განყო-

ფილებიდან განყოფილებაში, ტუქსავდნენ, კედლის გაზეთში ამასხარავებდნენ, მოხსენებაში აწითლებდნენ, მაგრამ შაკოს ყველაფრისთვის მიჩვეული ჰქონდა ყური. დარდი და წუხილი არ იცოდა, რა იყო. დანამუსება და „სინდისზე შეგდება“ მასზე არ მოქმედებდა. დღეს რომ ცრემლმორეული დადებდა პირობას, ხვალიდან გამოვსწორდებიო, სწორედ მეორე დღეს დათვრებოდა და წესრიგის დამცველებს ახალ საზრუნავს გაუჩენდა.

რა ექნა კრების თავმჯდომარეს? სწორედ ეს შაკოია მაცაბერიძე იყო დასახელებული დეპუტატობის კანდიდატად გემთსაშენის მმართველ ედიბერიძესთან ერთად.

მთავარი, თურმე, ჯერ წინ იყო: ღიად უყარეს კენჭი კანდიდატებს და, როგორც კლასიკოსები შესძახებენ ხანდახან – ჰოი, საკვირველებავ, ედიბერიძეს ასორმოცდაშვიდი ხმოსნიდან ხმა მისცა ოცდაცხრა კაცმა, შაკოია მაცაბერიძეს – ასოცდაერთმა!

ქიშვარდ ბარაბაძეს თავზარი დაეცა.

– ეს რას ჰგავს... მართლა და მართლა... მასხარაობა ხომ არ არის! რას იტყვიან, როცა გაიგებენ... ესაა თქვენი დემოკრატია და ობიექტურობა?! – ლუღლუღებდა თავმჯდომარე და ტუჩებს თავს ვერ უყრიდა.

ინსტიტუტი ზემდგომი ორგანოების თვალში საბოლოოდ შერცხვენისაგან ისევ შაკო მაცაბერიძემ იხსნა. მან ხელი ასწია, სიტყვა მაქვსო. დაბნეული თავმჯდომარის ნებართვას არც კი დაელოდა, ტრიბუნასთან მივიდა, გვერდით დაუდგა და მარჯვენა მკლავი ჩამოადო.

– მადლობელი ვარ, რასაკვირველია, ნდობის გამოცხადებისთვის. დიდი მადლობა ყველას, ვინც ხმა მომცა, მაგრამ, არ გეწყინოთ და, უნდა გაგაწბილოთ, დეპუტატობაზე უარი უნდა ვთქვა.

– რატომ? რა მიზეზით! – გაისმა შეძახილები.

– არ მაქვს, რასაკვირველია, ჩემი პროგრამა და, ჩვენს შორის დარჩეს, არც პლატფორმა მაქვს. იქანა სხვებივით, ყურპარტყუნათ ხომ ვერ დავჯდები.

ბოლო სიტყვები პარტერისკენ მიმავალმა წარმოსთქვა, თავჩაქინდრული, ხელებმომუშტული დაჯდა თავის ადგილას და იატაკს დააჩერდა.

– პროგრამა და კიდევ რა არა გაქვს? – სიჩუმეში ჰკითხა ვიღაცამ.

– პლატფორმა, – ყველას გასაგონად თქვა მაცაბერიძემ.

მეორე დღეს ბარაბაძემ, სადაც ჯერ არს, კრების ოქმი გაარბენინა. „მთაგრეხილთა მოსწორების და მდინარეთა გადაგდების საპროექტო ინსტიტუტმა თავის საერთო კრებაზე დეპუტატობის კანდიდატად ერთხმად დაასახელა გემთსაშენის მმართველი ედიბერიძეო“, ეწერა ოქმში.

დიალოგი

სოკრატე – აქ რა გინდა, ჰიპოკრატე?

ჰიპოკრატე – შენ დაგეძებდი, სოკრატე.

სოკრატე – რა იცოდი, აქ რომ ვიქნებოდი, ჰიპოკრატე?

ჰიპოკრატე – ახლა გაზაფხულია, სოკრატე. მზეს ძალა მოემატა. შენ დროული კაცი ხარ და მზეს მიეფიცხებოდი, ძვლების გასათბობად.

სოკრატე – ახალგაზრდა რომ ვიყო, ჰიპოკრატე?

ჰიპოკრატე – ახალგაზრდა რომ იყო, სოკრატე, მაშინ ამ მყუდრო ადგილას, მდინარის პირას, მინდორზე, კი არ დაგიწყებდი ძებნას, არამედ ჭადრების ჩრდილში მობურთავეს, ან მიტინგის არენაზე კენჭებით პირში, ორატოროობაში მოვარჯიშეს.

სოკრატე – შენ ორატოროობას რას ეძახი, ჰიპოკრატე?

ჰიპოკრატე – როცა იმას ამბობ, სოკრატე, რაც ენაზე მოგადგება და, რასაც გონება გიკარნახებს.

სოკრატე – გონება ხომ იმას გიკარნახებს ჰიპოკრატე, რაც ენაზე მოგადგება?

ჰიპოკრატე – რომ გიკარნახოს, უნდა გქონდეს, სოკრატე.

სოკრატე – რა, ჰიპოკრატე?

ჰიპოკრატე – გონება. მე ასე მესმის, სოკრატე.

სოკრატე – რა სჯობია, ჰიპოკრატე, გონებამ მცდარი აზრები გიკარნახოს, თუ არაფერი გიკარნახოს საერთოდ?

ჰიპოკრატე – მცდარი აზრი, სოკრატე, მხოლოდ ვიღაცისთვის არის მცდარი, ხოლო ვიღაცვიღაცისთვის იგი სწორი აზრია.

სოკრატე – სანამ სიმართლეს გაარკვევდნენ, მე ხომ ჩემი დამემართება, ჰიპოკრატე?

ჰიპოკრატე – გააჩნია, მსაჯული ვინ იქნება, ვიღაცა თუ ვიღაცვიღაცა. შენ ხომ ბრძენი ხარ. შენ გგონია, შენი სიბრძნისა ყველას სჯერა, სოკრატე?

სოკრატე – სიბრძნე, რომლისაც ყველას სჯერა, სიბრძნე აღარ არის, ჰიპოკრატე.

ჰიპოკრატე – ეს როგორ გავიგო, სოკრატე?

სოკრატე – როგორ და სიბრძნე იმდენად მართალი უნდა იყოს, რომ განსჯას და ეჭვს ექვემდებარებოდეს, ჰიპოკრატე.

ჰიპოკრატე – მაშ, შენი აზრით, მდგრადი, მუდმივი ჭეშმარიტება არ არსებობს, სოკრატე?

სოკრატე – როგორ არა, უცვლელი სიბრძნე მხოლოდ ის არის, რომ ყველაფერი ცვალებადია, ჰიპოკრატე.

ჰიპოკრატე – თუ ყველაფერი ცვალებადია, რატომ არის, რომ ასი წლის წინათ ნათქვამს დღესაც ვიმეორებთ ხოლმე – სოკრატე?

სოკრატე – ისინი, ვინც ასი წლის წინათ ნათქვამს საღღეისო გაკვეთილის ფასს სდებენ, ღრმად ცდებიან, ჰიპოკრატე. შეიძლება ენდო მხოლოდ ზოგად, უცილობელ ჭეშმარიტებებს. სხვა ყველაფერი განსჯის, ეჭვის ქურაში უნდა გაატარო, ჰიპოკრატე. ცხოვრება მდინარესავით ცვალებადია, ხოლო ერთ მდინარეში ორჯერ ვერ შეხვალ, ჩემო კარგო ჰიპოკრატე.

ჰიპოკრატე – სახელმწიფო როდის ინგრევა, სოკრატე?

სოკრატე – როცა ხალხი მიხვდება რომ ბაბილონის გოდოლს აშენებდა და მოსწყინდება მონურად ცხოვრება, ჰიპოკრატე.

ჰიპოკრატე – მონურად ცხოვრებაში რას გულისხმობ, სოკრატე?

სოკრატე – რას და ერთნი რომ იდეებს ისვრიან და მეორენი ანგარიშმიუცემლად მუშაობენ, ჰიპოკრატე.

ჰიპოკრატე – შენი აზრით, სახელმწიფოს დასანგრევად ეს საკმარისია, სოკრატე?

სოკრატე – სავსებით. თუმცა არსებობს დამჩქარებელი საშუალებანიც, ჰიპოკრატე.

ჰიპოკრატე – მაგალითად, სოკრატე?

სოკრატე – მაგალითად, როცა სახელმწიფოს თავი გაუთავებელ ლაყბობას მოჰყვება, ჰიპოკრატე. როცა ახალი ცხოვრების დაწყების სურვილი აქვს, მაგრამ ამ სურვილის ფრთაშესხმულად მხოლოდ ენას ატარტალებს, საქმით კი ძველ ცხოვრებას ვერ შელევია, გესმის, ჰიპოკრატე?

ჰიპოკრატე – მესმის, სოკრატე, მაგრამ, რომ დაინახო შენი შეცდომა, ამისათვის ხომ არის საჭირო შეცდომა დაუშვა. უფრო გასაგებად რომ ვთქვა, საგანი შეცდომით გააკეთო?

სოკრატე – რა თქმა უნდა, ჰიპოკრატე!

ჰიპოკრატე – ხოლო საგანი რომ შეცდომით, მრუდედ გააკეთო, ამისთვის ხომ დროა საჭირო, სოკრატე?

სოკრატე – სამწუხაროდ, ასეა, ჰიპოკრატე.

ჰიპოკრატე – ესე იგი, დრო რომ გავა, მერე გაირკვევა, რომ ესა თუ ის კაცი მცდარი გზით მიდიოდა. ასე არ არის, სოკრატე?

სოკრატე – ჭეშმარიტებაა, ჰიპოკრატე. სწორედ ამის გამოა, რომ შემდეგ მოსულმა თითქმის ყოველთვის იცის, რაში ცდებოდა ადრე გამვლელი.

ჰიპოკრატე – მაგრამ ეს ცოდნა მისი ჭკუის დამსახურება ხომ არ არის, სოკრატე?

სოკრატე – არა, ჰიპოკრატე, დროის დამსახურებაა.

ჰიპოკრატე – რაკი ასეა, საერთოდ, შთამომავალი წინაპარს ყოველთვის რაღაცაში არ ეთანხმება, ხომ, სოკრატე?

სოკრატე – დიახ, ჰიპოკრატე, მაგრამ ჭკვიანმა შთამომავალმა ყოველთვის იცის, რომ მისმა წინაპარმა შეცდომა სწორედ იმიტომ დაუშვა, რომ მემკვიდრეს ის შეცდომა აღარ გაემეორებინა.

ჰიპოკრატე – ესე იგი შთამომავალი წინაპრის მადლიერიც უნდა იყოს, თუნდაც სრულებით არ ეთანხმებოდეს მის მიერ განვლილ გზას, სოკრატე.

სოკრატე – გონიერი შთამომავალი წინაპრის კერიის ღველფზე არასოდეს დააფსამს, ჰიპოკრატე, თუნდაც იმის შიშით, რომ მემკვიდრენი მასაც ისევე არ მოექცნენ.

ჰიპოკრატე – შენ ბრძენი ხარ, სოკრატე, და გთხოვ მიპასუხო: რომელიმე კეისარი, ან რომელიმე დრო გამოდგება ჭეშმარიტების კამერტონად?

სოკრატე – არა, ჰიპოკრატე. კაცობრიობა იმიტომ იცვლება და ვითარდება და ცხოვრებაც იმიტომაა საინტერესო, რომ გონება სრულყოფილი სისტემის ძიებაშია და დღემდე ვერ უპოვია.

ჰიპოკრატე – თუ მოხდა სასწაული და იპოვა, სოკრატე?

სოკრატე – ვერ გეტყვი, მაშინ რა იქნება, ჰიპოკრატე. ან საყოველთაო ჰარმონია-განცხრომა დაღუპავს კაცობრიობას, ან ქვეყნად საშინელი მოწყენილობა დაისადგურებს.

ჰიპოკრატე – შენ-ჩემობა სანამ გაგრძელდება, სოკრატე?

სოკრატე – სანამდისაც კაცობრიობა იარსებებს, ჰიპოკრატე.

ჰიპოკრატე – მაშ, შენ ამბობ, რომ შეუძლებელია საერთო საკუთრება, სოკრატე?

სოკრატე – საერთოში რას გულისხმობ, ჰიპოკრატე?

ჰიპოკრატე – ყველასი, ხალხის საკუთრება, სოკრატე.

სოკრატე – ის, რაც ყველასია, არავისი არ არის და ის, რაც არავისია, ყველასია, ჰიპოკრატე. საკუთრება იმას ჰქვია, რომ საგანს ვიღაცამ უნდა უპატრონოს. რაც ყველასია, იმას არავინ პატრონობს. შენ წარმოიდგინე, სხვის რწყილებს ჩემი რწყილები მირჩევნია, რაკიღა ჩემს რწყილებს ჩემი სუნი ასდის, გამიგე, ჰიპოკრატე?

ჰიპოკრატე – მაშ, საყოველთაო თანასწორობა შეუძლებელია, სოკრატე?

სოკრატე – ასეთ რამეზე ფიქრიც კი სისულელეა, ჰიპოკრატე. რას ჰქვია თანასწორობა, მაშინ, როდესაც ამოდენა დედამიწაზე ორი ზუსტად ერთნაირი ტყუპისცალიც კი არ არსებობს. როდესაც ზუსტად ფოთოლსაც კი არ იმეორებს ღმერთი.

ჰიპოკრატე – თუ თანასწორობა შეუძლებელია, ეს იმას ხომ არ ნიშნავს, სოკრატე, რომ სუსტნი სამუდამოდ განწირულნი არიან ძლიერთაგან დასაჩაგრავად?

სოკრატე – ჩემს ხელებს დახედე, ჰიპოკრატე. სხვადასხვა ზომის და ძალის თითები ერთმანეთს ხომ არ უშლიან. ასე უნდა იყოს დემოსშიც. სუსტსა და ძლიერს შორის კანონი უნდა ჩადგეს.

ჰიპოკრატე – ქვეყანა როდის ინგრევაო, შემახსენე, სოკრატე?

სოკრატე – როცა კანონს ძალა არა აქვს, ჰიპოკრატე.

ჰიპოკრატე – როდის არა აქვს კანონ ძალა, სოკრატე?

სოკრატე – როცა კანონის დამრღვევნი რიცხობრივად და უფლებრივადაც გაცილებით სჭარბობენ კანონის დამცველთ, ჰიპოკრატე.

ჰიპოკრატე – თუ ღმერთი გწამს, ჩრდილს შევეფაროთ, ამ სიცხეში ტვინი ამიდუღდა, სოკრატე.

სოკრატე – სიამოვნებით, მაგრამ აქ მთაა, ხოლო მთაში ჩრდილს რომ შეეფარები, მართალია, მზისგან თავს დაიფარავ, მაგრამ ტანზე შეგცივდება, ჰიპოკრატე.

ჰიპოკრატე – ესე იგი, რაც ტანს უნდა, ის თავს ყოველთვის ხელს როდი აძლევს, სოკრატე?

სოკრატე – დიახ, ჰიპოკრატე.

ჰიპოკრატე – ბრძენო სოკრატე, გამოსავალი არ არის ამ საქმიდან?

სოკრატე – როგორ არა, ჰიპოკრატე.

ჰიპოკრატე – მასწავლე და მთელი სიცოცხლე შენი მადლიერი ვიქნები, სოკრატე.

სოკრატე – სულ ადვილია: მზეში თავზე უნდა დაიხურო, ჰიპოკრატე.

ჯადოსნური სარკე

– თავისუფალია? – კალანჩხიანმა, შუბლზე აკეცილ იმერულქუდიანმა, ულვაშებში ჭაღარაშერეულმა მგზავრმა სავარძელზე მისვენებულ თვალებმილულულ, სქელკისერა, ასე, ოცდაათი-ოცდათხუთმეტი წლის ბიჭს ჰკითხა.

ბიჭმა თვალები გაახილა, მგზავრს ახედა და განზე გაიჩოჩა.

– კი, ბიძია, დაბრძანდით.

ახალმოსულმა გაზეთგადაფარებული და კანაფის თოკით საგულდაგულოდ შეკრული კალანჩხა სავარძლის ქვეშ შეაცურა, დაჯდა, იმერული ქუდი მოიხადა, დაკეცა, თეთრი ხალათის გულისჯიბეში ჩაიდო და გვერდით მჯდომს ჰკითხა:

– თბილისამდე?

– არა, ბატონო. ხაშურამდე გეახლებით. მამიდა გათხოვდა ჩემი და პატარა ქორწილივითა აქვთ ამაღამ, ხვალ ქე უნდა დავბრუნდე.

– კაი საქმეზე მინავალხართ, ღმერთმა აგაშენოთ. მამიდა?

უცნობმა ცნობისმოყვარეობა ვერ დამალა. მისი ვარაუდით, ოცდაათს გადაცილებულ კაცს მთლად ახალგაზრდა მამიდაც არ უნდა ჰყოლოდა.

– ქვრივი მამიდა მყავდა. ქმარი ამ რვა წლის წინ დაეღუპა. თუ გახსოვთ, ავტობუსი რომ გადავარდა ნაქერალას უღელტეხილზე. ბავშვები არ ჰყოლია იმ ქმრის ხელში და ახლა რაღას ეყოლება ორმოცდაათის ქეა, რა დროს მაგის გათხოვება იყო, მარა მოხდა ასე და...

– რატომ, შე კაცო. ისე ბავშვზე რომ თქვი შენ, მთლად იმედსაც ნუ გადაწურავთ. ორმოცდაათი წელი რაია, არაფერი არ არი. „სამანიშვილის დედინაცვალი“ ხომ გაქვს ნასწავლი.

– რავა არ არი, ბატონო. ორმოცდაათი წელი ბარე კი არი. სიმართლე გითხრა, ქე მრცხვენია ახლა იმ ქორწილზე ყოფნის, მარა მოხდა ასე და რა ვქნა, მამიდას ხომ ვერ დავკარგავ.

– კაი, თუ ღმერთი გწამს. ძალიანაც კარგად მოქცეულა მამიდაშენი, ღმერთმა ხელი მოუმართოს. წესია, ბატონო, ბუნების. კაცმა ქალი უნდა მოძებნოს და ქალმა კაცი. ასე დაუწესებია გამჩენს. უერთმანეთოდ გაძლება არ შეუძლიათ.

– კი ბატონო, მარა თავისი დროი აქვს ყორიფელს.

– ვინ დაადგინა, ჩემო, შენი სახელი?

– ლევუშა, ლევანი.

– ჩემი ლევუშა, მე ვარლამი მქვია. ვინ დაადგინა ეს დროი. რასაკვირველია, კარგია თავის დროზე ყველაფერი, მაგრამ არის ცხოვრება მოწყობილი, რავარც ჩვენ გვინდა? ბაბუაჩემი მეტყოდა; კარზე მომდგარ ბედს ხელი არ უნდა ჰკრა, თვარა წავა და აღარ გადმოვა შენს ალაგზე მეორედო, აპა.

ლევანის და ვარლამის ამგვარ მუსაიფში „იკარუსმა“, რომელსაც მძღოლის მარჯვნივ, მინაზე, „ქუთაისი-თბილისი“ ეწერა, კარგა მანძილი გაიარა, ეროვნული ხასიათის ნიშნებს ვინც ეძებს, ვთხოვ, ჩვენებურთა ნაციონალურ თვისებად ეს ნიშანიც გაითვალისწინოს. ხომ ხედავთ, ახალგაცნობილი კაცი რა ახლოს მოუშვა, რა გულახდილად გაუზიარა გულში ნადები, როგორ აქცია თავისი ჭირღიმილის მონაწილედ ერთმა მეორე. სხვა ქვეყანაში, შეიძლება, ისე ემგზავრათ ასობით კილომეტრი, რომ ხმა არ

გაეცათ ერთმანეთისთვის. ასეთი „მაღალკულტურული“ ერებიც არსებობენ. უტაქტობად ითვლება უცნობთან გამოლაპარაკება. შენ მისთვის არავინ არა ხარ, მერე რა, რომ შემთხვევით დაემგზავრეთ ერთმანეთს. ეს უფლებას როდი გაძლევს, გაუშინაურდე და მამიდის გათხოვებაზე ელაპარაკო. ამ ნოველის ავტორი იმის განსჯაში როდი შედის, კარგია ეს თუ ცუდი. იგი უბრალოდ ხაზს უსვამს, რომ ქართველს არ შეუძლია გვერდით მჯდომთან საათობით უბრად ყოფნა. მას, პირიქით, დამგზავრებულთან დამდურებულივით ჯდომა მიაჩნია უკულტურობად, კაცია და გუნება.

მოკლედ, ავტობუსი ზესტაფონს რომ გამოცდა, ლევანმა და ვარლამმა ბევრი რამ იცოდნენ ერთმანეთის შესახებ და ისე გულიანად საუბრობდნენ, კაცს ეგონებოდა; თუ მამაშვილი არა, ბიძა-ძმიშვილი მაინც არიან და მთელი ცხოვრება ერთად გაუტარებიათო.

– არ გრცხვენია მერე, ქე ამხელ მაგას? – მუჭს თითები შემოჰკრა ვარლამმა და ცხვირსახოცი შუბლ-ყელზე მოისვა – ე, გამრავლება რომ გვინდა, მე გავმრავლდები აწი? უცოლო რავა ხარ ამხელა კაცი. შენ ახლა სამი ბოვში მაინც უნდა გიჭყაოდეს სახლში.

– ადვილი სათქმელია, სამი ბავშვი. შენ გგონია, მე არ მინდა? ცოლიც მინდა და რჩენაც ქე შემიძლია, მაგრამ ასე მოხდა და რა ვუყო ახლა. მთლად ჩემი ბრალიც არაა. გეტყვი აგერ და არ გამცინო, მამის სულს გაფიცებ.

– რავა გეკადრება.

– ვინ ვითხოვო? ასე ქუჩაში ხვარ მოკიდებ ქალს ხელს. გარიგებული და სხვისი შემოძლეული მე არ მინდა. გოგოს რომ გასარიგებლად და მაშვლით გასათხოვებლად გაუხდება საქმე, არაა მისი საქმე მთლად კარგად. რავარც შენ

გაჩვენეს, ისე აჩვენებდნენ სხვასაც. ერთი ხუთი კაცი ხომ მაინც იქნება ქუთაისში, რომელიც იტყვის; მე დევიწუნე ის გოგო და ლევუშია ჭყოიძემ ითხოვაო. მინდა ამნაირი ცოლი? არ მინდა. მემეწონება ვინმე და სიყვარულით ვითხოვ-თქვა, ვითომ, ჩემი ჭკუით, მარა გარბის წლები და არ დამადგა საშველი. ამ შვიდი წლის წინ ერთი გოგო იყო იქანა, ჩვენთან, ნინოშვილის ქუჩის თავში, მეოთხე სკოლა დაამთავრა, კაი ოჯახის შვილია, არ გეტყვი გვარს. რა საჭიროა, წასული საქმეა. დავადგი ამ ბოვშს თვალი. მეათეში იყო მაშინ. სხვათა შორის, არც თვითონ იყო უარზე. ვსდიე, სანამ სკოლას დაამთავრებდა. ვსდიე რას ჰქვია, ვპატრონობდი ისე, შორიდან, ლამაზი ბაღანა იყო და არვინ მომტაცოსთქვა. დაამთავრა და ჩააბარებიეს თბილისში, სამედიცინოზე. დეიდამისთან იდგა იქანა ბინად. თბილისიდან კაი გოგოს აქეთ გამოუშვებდნენ? სანამ მე რაზგონს ვიღებდი, ქე ამწაპნა მეორე კურსზე ვიღაცამ. რა მექნა, ჩემი ბრალია რამე? ოჯახსაც ვუნდოდი (სასოფლო მაქვს, ქუთაისის, დამთავრებული ხუთებზე, რა სათქმელია მარა), გოგოსაც ვუნდოდი ვითომ, პირველ კურსზე ხომ არ ვსტაცებ ხელს, სად წავა-მეთქი, მარა ე სად წავიდა. შარშან აგერ, ტყიბულში მამაჩემის ნათლულის ქორწილში ვიყავით. პატარძლის მხრიდან მაყრებში ერთი გოგო ერია, თვალი რას ნახავს უკეთესს. შხვართი გოგო, ჯეირანივით. ბათუმიდან იყო, თუ ოზურგეთიდან, ვერ მოვასწარი გაგება. ადრე წავიდნენ, ახალმა „მასკვიჩმა“ მოაკითხათ და სამი გოგო ადრე წავიდნენ ქორწილიდან. სად გინდა აწი იმის ნახვა. გამოკითხვას ხომ არ დავიწყებ ბოთესავით: ამნაირი გოგო იყო, ასეთი თმები და ფეხები ჰქონდა და ხომ არ იცნობთ ვინმე-თქვა. დამცინებს ვიღაცა, გოუფრენია ამ უპატრონოსო. ისე რას მოძებნი. დროზე მივსულიყავი და გამოვცნაურებოდი, კარგი

იყო. მაგრამ მომენტის შერჩევა უნდა გოგოს, ასე უცებ ხომ არ მიხვალ და დაეტაკები; მომწონხარ-თქვა. ვინ ყოფილა ეს ჯიხვიო, იფიქრებ და სულ აღარ მოგეკარება.

– მანქანის ნომერი არ გახსოვს?

– არ დავკვირვებივარ, ვერ მოგატყუებ.

– ბათუმიდან თუ ოზურგეთიდანო, რომ თქვი, საიდან იცი?

– პატარძლის დედა ოზურგეთიდან ყავსო თქვეს და ბათუმში აქვს სკოლა დამთავრებულიო. ჩემი მოკლე ჭკუით ვამბობ ბათუმს და ოზურგეთს, თვარა რა ვიცი. ეგებ სულაც სხვა ქალაქიდან იყო. სოფელში გაზრდილს არ ჰგავდა. ისე იყო ჩაცმული. თუმცა ახლა ვერც მაგით გამოარჩევ. ზოგი სოფლელი იმნაირად იცვამს, ტელევიზორიდან გადმოსული გეგონება. შეგხვდება აწი ის გოგო შემთხვევით სადმე? მეტი არ იქნა ჩემი მტერი.

– არ გეწყინოს ლევუშა ბიძია და მაგ ლაპარაკი გლახის ლაპარაკია. რას ვერ მოძებნი, თუ გულით გინდა, შე კაი კაცო. ვის ქორწილში იყო იცი, პატარძლის მაყრებში რომ იყო, იცი და მაგის მოძებნა გაგიხდა საქმედ? კითხე პატარძალს და გათავდა.

– იოლი სათქმელია. არ გინდა უცხო ადამიანს ჰკითხო უცხო ადამიანზე?

– რავა, რა სირცხვილი ეს არის მაგალითად.

– რაზე ვეკითხები ხომ უნდა ვუთხრა. ეგება სულ არაა საჩემო, ეგება სულაც გათხოვილია, ან დანიშნულია. ახალი რძლის სამასხარაოდ გავიხადო თავი?

– რა სამასხარაო კი ეგ არი. გამაგიჟებ, ბიძია, მე შენ, არ შეიძლება ადამიანმა ადამიანის ვინაობა იკითხოს? შენ აგერ ყურისძირში გოგო ვერ გიპოვია და მე აქედან ოთხიათას კილომეტრზე მოვძებნე შარშანწინ ერთი კაცი. არც ქალაქი

ვიცოდი მისი და არც ასავალ-დასავალი. დამიგდე კარგად ყური:

ამ სამი წლის წინ საგზური მომცეს სამსახურში. აღარ მახსოვს, გითხარი თუ არა, მასწავლებელი ვარ, ოკრიბის საშუალოში ზოოლოგიას ვასწავლი. სოხუმის პანსიონატია, რომ შედიხარ აქედან, მარჯვენა მხარეს. რკინიგზის ქვეშ უნდა გაძვრე და იქვეა ზღვა. კარგი ადგილია, სხვათა შორის, მარა რათ გინდა. თვრამეტი დღე ვიყავი და ზღვაში არ ჩავსულვარ. ჯერ ერთი ჭუჭყიანიაო დაგვაშინეს და გული არ მიმდიოდა. მერე ამინდებიც არ დაგვესწრო. მთელი ივლისი წვიმდა. სამი დღე თუ გამოერია მშრალი იმ თვრამეტ დღეში, მეტი არა.

დავიკავებდი ქოლგას და დავდიოდი ცენტრში. ორი გაჩერებაა ავტობუსით. თვალს წყალს ვალევინებდი. მოწყენილობისგან კინაღამ სული გამძვრა, მაგრამ ხომ არ გამოვიქცეოდი სახლში. ჯერ ოჯახის მრცხვენოდა, რა მოგარბენინებდაო, ამიკლებდნენ და მერე სკოლის. ხალხმა საგზური გამოგიყო, პატივი გცა, ვერ უნდა შეიშნო?

ერთ დღეს, ბარათაშვილის ბაქანთან ავტობუსები რომ ჩერდება, იქვე ბაზრობაა, თუ ყოფილხარ, ასე ჩემი ხნის რუსი გამომელაპარაკა. „კაცო!“ დამიძახა. სიმართლე გითხრა არ მესიამოვნა მისგან „კაცოს“ დაძახება. ეგენი ყველას „კაცოს“ გვეძახიან. ვინ ასწავლათ, რომ საქართველოში „კაცო“ ადამიანის გამოსახედებელი სიტყვაა, როგორც ვთქვათ, მაგენთან „სკაჟიტე პაჟალუსტა“ ან „პრაშუ პრაშენია“. „ბატონოს“ მაინც დაგიძახებდნენ. „კაცო“ ნამეტანი იაფად და ცოტა ულამაზოდ ისმის. ასე მეჩვენება მე, რა ვიცი, ეგება ვცდები.

მოვიხედე, მოდის ეს რუსი ჩემკენ, „ზდრავსტვუი კაცოვო“. თავი დავუქნიე. „ვეფხისტყაოსანი“ მინდა რუსულად

ვიშოვო, მთელი სოხუმი შემოვიარე და ვერსად წავაწყდიო.

მესიამოვნა ხომ იცი, შენ. რაც სოხუმში ვიყავი, რა რუსი არ გამომელაპარაკა, მაგრამ ყველა თითქმის ერთსა და იგივეს მეკითხებოდა, სკაჟიტე პაჟალუსტა გდე ზდეს მოჟნა სუხოე გრუზინსკოე ვინო პრიაბრესტიო. ამ კაცმა „ვეფხისტყაოსანი“ მკითხა და ლამის გადავეხვიე სიხარულით. აღმასკომის გვერდით წიგნის დიდი მაღაზიაა, თეატრთან, იქ იყავით-მეთქი? ახლა იქედან მოვდივარო. სადგურის ქუჩაზე, ბაზართან თუ შეიარეთ-მეთქი, „ამაგაზინ“ აწერია-მეთქი. მანდ ნამდვილად არ ვყოფილვარო. გავარდი ახლავე, შეიძლება იქ იყოს-მეთქი. მინდა რაღაცით დავეხმარო. ეჰ, რაღა დროსიაო, ამოიოხრა, აგერ რომ ავტობუსი დგას, იმით პირდაპირ აეროპორტში მივდივარო. გუდაუთაში ვისვენებდი, იქ რომ ვერ ვიშოვე, სოხუმის იმედზე ვიყავიო. არ მინდოდა საქართველოდან ურუსთაველოდ წავსულიყავიო, ჩვენთან ბიბლიოთეკაშიც არ არისო. სად მუშაობთ, რა მოხელე ბრძანდებით-მეთქი, პედსასწავლებელში რუსულ ენას ვასწავლიო. ისე შორს ვცხოვრობ აქედან, რომ გითხრა, გაგიკვირდებაო. ოთხი საათია განსხვავება აქაურსა და ჩემი ქალაქის დროშიო. ეჰ, არ მქონია იღბალი, ისე საქართველოში, რა და „ვეფხისტყაოსანი“ მაინც უნდა იშოვებოდესო. კარგად ბრძანდებოდეთო, ხელი ჩამომართვა და დაქოქილი ავტობუსისკენ გაიქცა. ვერც კი მოვასწარი მეთქვა, მისამართი დამიტოვეთ და, თუ ვიშოვე, გამოგიგზავნით-მეთქი. შეხტა თუ არა ავტობუსში, მაშინვე დაიძრა, თურმე მის მოსვლას ელოდნენ.

დამშორდა თუ არა ის რუსი, არ დაიჯერებ, მოსვენება დავკარგე. ა, კაცი, ვამბობდი გულში ჩემთვის, რა გულადწყვეტილი მეუბნებოდა, იღბალი არ მქონია, „ვეფხისტყაოსანი“ ვერ ვიშოვეო. როგორ მომივიდა, ტელეფონი მაინც

გამომერთმია-მეთქი. რასაკვირველია, სოხუმში ვერ ვიშოვე. ქართულად და რუსულად კი არა, არც მუშნი ლასურიას თარგმანი იშოვება აბაზგურ ენაზე. ერთ კვირაში დავბრუნდი, ქუთაისში ძლივს ვიშოვე რუსულად ზაბოლოცკის ნათარგმნი, ერთმა ჩემმა კურსელმა დამითმო, ჭირი მოვჭამე, ისეთ კაცს უნდა გავუგზავნო, იმასთან სირცხვილის ჭამა სიკვდილს უდრის-მეთქი.

ჩამოვედი ოკრიბაში და ჩამოვიტანე წიგნი. ახლა დღე და ღამე იმაზე ვფიქრობ, სად ვიპოვო ჩემი რუსი. დააკვირდი კარგად, არც სახელი ვიცი, არც გვარი. რაც მითხრა, სულ ეგ იყო: პედსასწავლებელში ვასწავლი რუსულს და ჩემს ქალაქსა და სოხუმს შორის განსხვავება დროში ოთხი საათიაო.

სწავლა ორი კვირის დაწყებული იყო, ჩემს დირექტორს დავეთხოვე, რაღაც ვერა ვარ კარგად და ქუთაისში უნდა წავიდე, შეიძლება ათ დღეს საავადმყოფოში მომიწიოს-მეთქი დაწოლა. გამიშვა.

ქუთაისში ისევ იმ ჩემს თანაკურსელ ძმაკაცს ვეახელ. გამოვუტყდი ასე და ასეა საქმე. რადაც უნდა დამიჯდეს, ის კაცი უნდა მოვძებნო-მეთქი.

პირველად მილიციას მივაკითხე, მაგრამ მილიციამ ვერაფერი სანუგეშო მითხრა, სურათი რომ გეჭიროს ხელში და ქალაქი იცოდე, დაგეხმარებოდით, ასე ვერაფერს შეგეწევით და საერთოდ დაანებე მაგ საქმეს თავი, ტყვილად გაწვალდები, ვერაფერს მიაღწევო.

არ მოვეშვი. ჯერ მივედი პედინსტიტუტში და გეოგრაფიის კათედრაზე დავაზუსტე, რა ტერიტორია იქნებოდა სოხუმიდან დროით ოთხი საათით განსხვავებული. როგორც ვვარაუდობდი, ციმბირისკენ აღმოჩნდა, იქით, ბაიკალსგაღმა, კაი დიდი ტერიტორია მომიხაზეს. ავდექი და

გადმოვიწერე ატლასიდან ყველა მსხვილი დასახლებული პუნქტი, სადაც შეიძლებოდა პედსასწავლებელი ყოფილიყო. ვარაუდს არ დავუჯერე, ვიშოვე 1985 წელს გამოცემული წიგნი, რომელშიც მთელი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე განლაგებული პედსასწავლებელია ჩამოთვლილი. ჩემთვის საინტერესო ქალაქებში დაახლოებით ორმოცდაშვიდი პედსასწავლებელი აღმოჩნდა. დავიდე ეს სია წინ და დავიწყე რეკვა. ვეკითხები პედსასწავლებლის დირექტორს, ან მოადგილეს, თქვენგან რუსულის მასწავლებელი ამ ზაფხულს გუდაუთში ხომ არ ყოფილა-მეთქი დასასვენებლად. სახელი და გვარი, რასაკვირველია, არ ვიცი. დღეში სამ-ოთხ ადგილას ვასწრებდი დარეკვას, მეტგან ვერა. საქალაქთაშორისოს თანამშრომლები, თუ ნომერი არ უთხარი, არ გაერთებენ. ვრეკე, ვრეკე და, შენ როგორ ფიქრობ, მეცხრამეტე მოვართყი მიზანში. მეუბნება დირექტორი; კიო, პიოტრ სერგეევიჩ საველევი იყო წელს გუდაუთშიო. სწორედ რუსულის მასწავლებელიაო. არიქა მისამართი, ან ტელეფონი-მეთქი. მეშინია არ გაგვთიშონ. ვინ ბრძანდებითო, ჩვენ უფლება არა გვაქვს უცნობს მისამართი მივცეთო. „ვეფხისტყაოსანი“ მთხოვა-მეთქი, ჩავეხვეწე-ჩავეღრიჯე ყურმილს. ეტყობა დავაჯერე, მომცეს ტელეფონი. იმ დღეს ვეღარ მოვასწარი და მეორე დღეს დავურეკე ბინაზე პიოტრ სერგეევიჩს. იცოდა, და თურმე მთელი დღე ტელეფონთან მელოდებოდა. რომელი ხარო, რას გამიხსენებდა. მე ვუთხარი, სუხუმში ავტობუსის გაჩერებასთან რომ გამომელაპარაკე, ის კაცი ვარ-მეთქი. გიშოვე „ვეფხისტყაოსანი“, მითხარი მისამართი და გამოგიგზავნი-მეთქი. ჩამაწერინა სიხარულით. მეორე დღესვე გავუგზავნე წიგნი და ცოტა რაღაც სხვაც გავაყოლე, რასაკვირველია; ხურმის ჩირი და ჩურჩხელები, რაც არ გაფუჭდებოდა, თოთხმეტი დღე უნდა ამანათს. ამ ამბიდან

თვენახევარში პიოტრ სერგეევიჩისგან ერთი ყუთი ტარანი და მადლობის ბარათი მივიღე. რომ წაიკითხო ის წერილი, ცრემლი მოგადგება. ვინ ყოფილხართ თქვენ, ქართველები, ასეთი სიკეთე სხვას რომ ეთქვა, არ დავიჯერებდი. ამხელა სახელმწიფოში კაცმა როგორ მიპოვეო. დიდი ძმაკაცები ვართ ახლა. წერილს წერილზე ვწერთ ერთმანეთს. შემოდგომაზე ველოდები. ცოტა მარილები აწუხებს, თუ შეძლო ჩამოსვლა.

რატომ მოგიყევი, თუ იცი, ჩემო ლევუშა, ეს ამბავი? რატომ და კაცი თუ მოინდომებ, ქვას გახეთქავ, ქვესკნელს ჩახედავ და იპოვი, რასაც ეძებ. სურვილი უნდა გქონდეს დიდი და თავის გაწვალებას არ უნდა მოერიდო, გული უნდა ყველაფერს, გული!

ბათუმში თუ ოზურგეთში ვერ ვიპოვი გოგოსო? არ უთხრა ეგ ამბავი, ჩემს გარდა, არავის, სირცხვილია.

ასარჩევი

მსხვერპლი 5
ბრალი 19
უკანასკნელი დიალოგი 30
წვიმს იმერეთში 57
გადავრჩით 69
ვერ დავიფარეთ 75
რატომ დაიგვიანა გუბერნატორმა 79
გამწყრალი მინისტრი 83
პირველი ლედი 88
საკვირაო სკოლა თურქეთში 95
ცოტნე დადიანი 100
წართმეული გვარები 105
ხდება ხოლმე 110
არიელ შარონთან 118
გაწბილებული დელეგაცია 122
ირაკლი 126
შოთა ნიშნიანიძის ნიღაბი 131
ფერეიდანში 135
ვის დავაბრალოთ?! 141
„პირისპირ“ 146
ახლა ხომ ხვდები 151
წინასწარმეტყველება? 155
სადღეგრძელოები 158
იმედი მაქვს... 168
სოფი ლორენი 173
დარბაისელი 178
გავიმარჯვეთ! 184
სიყვარულის გამოცანა 188
მე ბოლქვაძე ვარ... 189
ჯიხვი 190
რა ვაჟკაცი მნახეთ 191
„როვნო პიტნაცატ მინუტ!“ 192
გასაწმენდი 193
სინამდვილეში შენ იყავი 194
სხედან და ზიანს აყენებენ 195
რჩევა 196
სად ისწავლა 197

ცხრა აკვანი 199
რომ მოგპარონ? 201
იაფი 202
დაჩქარების მიზნით 203
თუ გული გულობს 205
აფრიკელი სტუმარი 208
ოთხი „პერიოდი“ 211
თანამოგრძნე 212
შეეხარბა 214
„კიევსკაია“ 216
მთავარია მიდგომა 222
არაბია 226
ჭეშმარიტად სახალხო 227
მშვიდი დარჩა ვინმე? 230
რაზე გაეცინებათ ოცდამეხუთე საუკუნეში 235
ცხოვრება 238
ძილში არ გაიპარო 253
პრეზიდენტის დამხობის ოსტატები 269
მკურნალი 278
როდემდე? 284
იგივენი და ოფელია 325
ბაგირის ორი ბოლო 333
განაჩენი 358
დაღლილი კაცის ნათქვამი 363
ფილმად გადასაღები ამბავი 370
ქარის მოტაცებული რეცეპტი 380
ცრემლიც რომ გათავდა 390
საფლავს მოსხურებული ღვინო 394
მეწყერი 400
თქვენთან ერთად 406
რჩევა ახალგაზრდა მწერალს 411
გამოცხადება 418
წინააღმდეგი ვინ არის?! 425
კარი 432
არჩევანი 438
დიალოგი 446
ჯადოსნური სარკე 452

РЕВАЗ МИШВЕЛАДЗЕ

ИЗБРАННЫЕ ПРОИЗВЕДЕНИЯ

в 25 томах

ТОМ XI

Издательство „Сакартвелос Мацне“
Тбилиси 2012